Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

24

ᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ
რკპ(ბ) IX ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲡრკ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲔᲑᲘᲡ
II ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1949

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

24

1917 აპრილი — ივნისი

წინასიტყვაობა

ოცდამეოთხე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1917 წლის 3 აპრილიდან 3 ივნისამდე.

ტომში შედის აპრილის განთქმული თეზისები, რომლებშიც ლენინმა პარტიას და პროლეტარიატს მისცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის ბრძოლის თეორიულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა და წამოაყენა საბჭოების რესპუბლიკის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის, ორგანიზაციის ლოზუნგი.

ნაწარმოებებში: «წერილები ტაქტიკაზე», «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში», «პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები» — განვითარებულია აპრილის თეზისების იდეები.

რსდმპ(ბ) პეტროგრადის საქალაქო და სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციების მასალები შეიცავს ლენინის გამოსვლებს და რეზოლუციებს ომისა და რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე: მიმდინარე მომენტის, ომის, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების, საბჭოების შესახებ, აგრარულ და ნაციონალურ საკითხებზე.

«პრავდაში» გამოქვეყნებული ლენინის სტატიებისა და შენიშვნების («ორხელისუფლებიანობის შესახებ», «ომი და დროებითი მთავრობა», «დაძმობილების მნიშვნელობა», «ხალხის დაფრთხობა ბურჟუაზიული შიშით», «მიწის «თვითნებურად დატაცების» შესახებ» და სხვ.) საგანია განუმარტოს

მასებს პოლიტიკური ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ამბების აზრი, დარაზმოს მასები ბოლშევიკური პარტიის გარშემო და მოამზადოს ისინი სოციალისტური რევოლუციისათვის.

ტომში იბეჭდება მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის, რომლებშიც ლენინის მიერ დამუშავებულია პარტიის ახალი პროგრამის ძირითადი დებულებები.

ტომში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი ცხრამეტი დოკუმენტი.

ამ დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის მასალები: ცხრა რეზოლუცია (ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარულ საკითხზე, პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ, საბჭოების შესახებ, ნაციონალურ საკითხზე, მიმდინარე მომენტზე, ბორგბიერგის წინადადების გამო, წვრილბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანების შესახებ) და «შესავალი რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებისა».

ვ. ი. ლენინის თხზულებებში გამოქვეყნებული რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციის მასალები შევსებულია «პროექტით რეზოლუციისა სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიებისადმი, ეგრეთწოდებული «არაფრაქციული» სოციალ-დემოკრატების პარტიისა და სხვ. მონათესავე პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი დამოკიდებულების შესახებ».

«მონასახი სტატიისა თუ სიტყვისა აპრილის თეზისების დასაცავად» ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა ჯგუფს, რომელნიც ასაბუთებენ და ავითარებენ აპრილის თეზისების იდეებს.

პროკლამაცია «მოწოდება ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი» და «სიტყვა პუტილოვის ქარხნის მუშების მიტინგზე 1917 წ. 12 (25) მაისს» მიძღვნილია მიმდინარე იმპერიალისტური ომის მიზეზებისა და მიზნების განმარტე-

ბისა და რევოლუციური გზით მისი შეწყვეტის საშუალებებზე ბოლშევიკური შეხედულებების დასაბუთებისადმი.

«რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 20 აპრილის (3 მაისის) რეზოლუციაში დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის შესახებ» მხილებულია დროებითი მთავრობის პოლიტიკის იმპერიალისტური ხასიათი.

ტომში შეტანილია აგრეთვე «წერილი რედაქციის მიმართ» და «პრავდაში» გამოქვეყნებული სამი სტატია: «კიდევ და კიდევ სიცრუე», «ჯაჭვის სიმაგრეს განსაზღვრავს მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმაგრე», «ვის დასცინით? საკუთარ თავს დასცინით!», სადაც ლენინი ამხილებს მენშევიკებსა და ესერებს, როგორც იმპერიალიზმის მსახურთ.

პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში[1]

დაიბეჭდა 1917 წ. 7 აპრილს.
გაზეთ «პრავდაში» № 26
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

1 ტ. 24

პეტროგრადში მხოლოდ 3 აპრილს ღამით ჩამოვედი და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი სახელით შემეძლო გამოვსულიყავი 4 აპრილის სხდომაზე მოხსენებით რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანების შესახებ; აღვნიშნე ისიც, რომ საკმაოდ მომზადებული არ ვიყავი.

ერთადერთი, რითაც შემეძლო შემემსუბუქებინა შრომა ჩემთვის, — და კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ი ოპონენტებისთვისაც, — ეს იყო წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი თეზისების დამზადება. ეს თეზისები წავიკითხე და მათი ტექსტი ამხ. წერეთელს გადავეცი. წავიკითხე ძალიან ნელა და ო რ ჯ ე რ: პირველად ბოლშევიკების კრებაზე, ხოლო შემდეგ ბოლშევიკებისა და მენშევიკების კრებაზე.

ვბეჭდავ ამ ჩემს პირად თეზისებს იმ სულ მოკლე განმარტებითი შენიშვნების დართვით, რომლებიც ბევრად უფრო ვრცლად მოხსენებაში იყო განვითარებული.

თეზისები

1. ჩვენს დამოკიდებულებაში ომისადმი, რომელიც რუსეთის მხრივ ლვოვისა და კომპ. ახალი მთავრობის დროსაც უეჭველად მძარცველურ იმპერიალისტურ ომად რჩება ამ მთავრობის კაპიტალისტური ხასიათის გამო, შეუწყნარებელია რაიმე მცირეოდენი დათმობაც კი «რევოლუციური ობორონცობისათვის».

რევოლუციურ ომს, რომელიც ნამდვილად გაამართლებდა რევოლუციურ ობორონცობას, შეგნებული პროლეტარიატი შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ შემდეგ პირობებში: ა) თუ ძალაუფლება გადავა პროლეტარიატისა და მისი მომხრე გლეხობის უღარიბესი ნაწილის ხელში; ბ) თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი ანექსია საქმით და არა სიტყვით; გ) თუ სავსებით საქმით გაწყვეტილი იქნება კავშირი კაპიტალის ყოველგვარ ინტერესებთან.

რევოლუციური ობორონცობის მასობრივ წარმომადგენელთა ფართო ფენების უეჭველი კეთილსინდისიერების გამო, რადგან ისინი ომს ცნობენ მხოლოდ როგორც აუცილებლობას და არა როგორც დაპყრობის საშუალებას, იმის გამო, რომ ეს ფენები მოტყუებული არიან ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა განსაკუთრებით საფუძვლიანად, დაჟინებით, მოთმინებით განვუმარტოთ ამ ფენებს მათი შეცდომა, განვუმარტოთ, თუ რა განუყრელი კავშირი არსებობს კაპიტალსა და იმპერიალისტურ ომს შორის, დავუმტკიცოთ, რომ კაპიტალის დაუმხობლად შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ომი დამთავრდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული, არა ძალდატანებითი ზავით.

ამ შეხედულების ფრიად ფართო პროპაგანდის მოწყობა მოქმედ არმიაში.

დაძმობილება.

2. რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მ ე ო რ ე ეტაპზე გ ა დ ა ს ვ ლ ა შ ი, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს.

ამ გადასვლას ახასიათებს, ერთი მხრივ, ლეგალობის მაქსიმუმი (რუსეთი ა მ ჟ ა მ ა დ მეომარ ქვეყანათაგან ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყანაა მსოფლიოში), მეორე მხრივ, მასებზე ძალადობის უქონლობა და, ბოლოს, ამ მასების შეუგნებელ-მიმნდობი დამოკიდებულება კაპიტალისტე-

ბის, მშვიდობისა და სოციალიზმის ყველაზე უარესი მტრების, მთავრობისადმი.

ეს თავისებურება მოითხოვს ჩვენგან უნარს შევეგუოთ პარტიული მუშაობის განსაკუთრებულ პირობებს პროლეტარიატის იმ წარმოუდგენლად ფართო მასებში, რომლებმაც ეს-ეს არის გამოიღვიძეს პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

3. არავითარი მხარისდაჭერა დროებითი მთავრობისათვის, განმარტება იმისა, რომ სრული სიცრუეა ყველა მისი დაპირება, განსაკუთრებით ანექსიებზე ხელის აღების შესახებ. მხილება, ნაცვლად შეუწყნარებელი, ილუზიების გამავრცელებელი «მოთხოვნისა», რომ ეს მთავრობა, კაპიტალისტების მთავრობა, აღარ იყოს იმპერიალისტური.

4. აღიარება იმ ფაქტისა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების უმეტესობაში ჩვენი პარტია წარმოადგენს უმცირესობას, და ჯერჯერობით სუსტ უმცირესობას, იმ ბლოკთან შედარებით, რომელშიც შედიან ყველა წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტული, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მყოფი და ამ გავლენის პროლეტარიატზე გადამტანი ელემენტები, დაწყებული სახალხო სოციალისტებით, სოციალ-რევოლუციონერებით და გათავებული ორგანიზაციული კომიტეტით (ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.), სტეკლოვით და სხვ. და სხვ.

5. უნდა განემარტოს მასებს, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა რევოლუციური მთავრობისა და ამიტომ, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას განიცდის, ჩვენს ამოცანას უნდა შეადგენდეს მხოლოდ მოთმინებითი, სისტემატური, დაჟინებითი, განსაკუთრებით მასების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შეგუებული განმარტება მათი ტაქტიკის შეცდომებისა.

ვიდრე უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, ვარკვევთ შეცდომებს და იმავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების

საბჭოებისთვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს.

5. პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე.

გაუქმება პოლიციისა, ჯარისა, მოხელეობისა *.

ყველა მოხელის ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს კარგი მუშის საშუალო ხელფასს; ყველა მოხელის არჩევითობა და გადაყენება ყოველ დროს.

6. აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრის გადატანა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე.

მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია.

ჩვენი ქვეყნის მ თ ე ლ ი მიწის ნაციონალიზაცია, მიწას უნდა განაგებდეს მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. გამოყოფა უღარიბესი გლეხების დეპუტატთა საბჭოებისა. ყოველი მსხვილი მამულისაგან (დაახლოებით 100-დან 300 დესეტინამდე ადგილობრივი და სხვა პირობების მიხედვით და ადგილობრივი დაწესებულებების დადგენით) შექმნა სანიმუშო მეურნეობისა მოჯამაგირეთა დეპუტატების კონტროლით და საზოგადოებრივ ხარჯზე.

7. ჩვენი ქვეყნის ყველა ბანკის დაუყოვნებლივ შეერთება, მათგან ერთი საერთო-ნაციონალური ბანკის შექმნა და მის მიმართ მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლის დაწესება.

8. ჩვენი უ შ უ ა ლ ო ამოცანაა არა სოციალიზმის «შემოღება», არამედ დაუყოვნებლივ გადასვლა მხოლოდ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კ ო ნ ტ რ ო ლ ზ ე მუშათა დეპუტატების საბჭოების მხრივ.

9. პარტიული ამოცანები:

ა) პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა;

ბ) პარტიის პროგრამის შეცვლა, უმთავრესად:

---

* ე. ი. მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

1) იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის შესახებ,
2) სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ და ჩ ვ ე ნ ი მოთხოვნა «სახელმწიფო-კომუნისა» *,
3) მოძველებული პროგრამა-მინიმუმის შესწორება;

გ) პარტიის სახელწოდების გამოცვლა **.

10. ინტერნაციონალის განახლება.

რევოლუციური ინტერნაციონალის, ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ ე ბ ი ს ა და «ცენტრის» *** წინააღმდეგ მიმართული ინტერნაციონალის დაარსების ინიციატივა.

იმისათვის, რომ მკითხველმა გაიგოს, თუ რატომ გავუსვი ხაზი განსაკუთრებით, როგორც იშვიათ გამონაკლისს, კეთილსინდისიერი ოპონენტების «შემთხვევას», გთხოვთ შეადაროთ ამ თეზისებს ბატონ გოლდენბერგის შემდეგი პასუხი: ლენინმა «რევოლუციური დემოკრატიის წრეში აღმართა სამოქალაქო ომის დროშა» (ციტატი მოყვანილია ბ-ნ პლეხანოვის «ედინსტვოში» [2], № 5).

მარგალიტია, არა?

მე ვწერ, ვკითხულობ, ვღეჭავ: «რევოლუციური ობორონცობის მ ა ს ო ბ რ ი ვ წარმომადგენელთა ფ ა რ თ ო ფენების უეჭველი კეთილსინდისიერების გამო... იმის გამო, რომ ეს ფენები მოტყუებული არიან ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ საფუძვლიანად, დაჟინებით, მ ო თ მ ი ნ ე ბ ი თ განვუმარტოთ ამ ფენებს მათი შეცდომა»...

---

* ე. ი. ისეთი სახელმწიფოსი, რომლის პირველსახე პარიზის კომუნამ მოგვცა.

** ნაცვლად «სოციალ-დემოკრატიისა», რომლის ოფიციალურმა ბელადებმა მ თ ე ლ მსოფლიოში გასცეს სოციალიზმი და მიემხრნენ ბურჟუაზიას («ობორონცები» და მერყევი «კაუცკელები»), უნდა დავიჩქვათ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა.

*** «ცენტრი» საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში ეწოდება იმ მიმდინარეობას, რომელიც ქანაობს შოვინისტებსა (=«ობორონცებსა») და ინტერნაციონალისტებს შორის, სახელდობრ: კაუცკი და კომპ. გერმანიაში, ლონგე და კომპ. საფრანგეთში, ჩხეიძე და კომპ. რუსეთში, ტურატი და კომპ. იტალიაში, მაკდონალდი და კომპ. ინგლისში და სხვ.

ხოლო ვაჟბატონები ბურჟუაზიის წრიდან, რომლებიც თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ და რომლებიც არ ეკუთვნიან ობორონცობის არც ფართო ფენებს, არც მასობრივ წარმომადგენლებს, წარბშეუხრელად ასე ამახინჯებენ ჩემს შეხედულებებს: «რევოლუციური დემოკრატიის წრეში (!!) აღმართა (!) სამოქალაქო ომის დროშა (!)»... (ამაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი თეზისებში, არც ერთი სიტყვა არ ყოფილა მოხსენებაში!).

რა არის ეს? რით განსხვავდება ეს პოგრომული აგიტაციისაგან? «რუსსკაია ვოლიასაგან»?

~~მე ვწერ, ეკითხულობ, ვლეპუ~~: «მუშათა დეპუტატების საბჭო ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა რევოლუციური მთავრობისა, და ამიტომ ჩვენს ამოცანას უნდა შეადგენდეს მხოლოდ მოთმინებითი, სისტემატური, დაჟინებითი, განსაკუთრებით კი მასების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შეგუებული, განმარტება მათი ტაქტიკის შეცდომებისა»...

ერთი ჯურის ოპონენტები კი ჩემს შეხედულებებს გადმოსცემენ, როგორც «რევოლუციური დემოკრატიის წრეში სამოქალაქო ომისაკენ» მოწოდებას!!

მე თავს ვესხმოდი დროებით მთავრობას იმისთვის, რომ მან არ დანიშნა არც მოკლე, არც საერთოდ რაიმე ვადა დამფუძნებელი კრების მოწვევისა, რომ ის თავს იძვრენდა დაპირებებით. მე ვამტკიცებდი, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გარეშე დამფუძნებელი კრების მოწვევა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, რომ მისი წარმატება შეუძლებელია.

მე კი მაწერენ ისეთ შეხედულებას, თითქოს წინააღმდეგი ვიყო დამფუძნებელი კრების სასწრაფო მოწვევისა!!!

მე ამას «ბოდვას» ვუწოდებდი, რომ ათეული წლების პოლიტიკურ ბრძოლას არ ესწავლებინა ჩემთვის — ოპონენტების კეთილსინდისიერებას ვუყურო, როგორც იშვიათ გამონაკლისს.

ბ-მა პლეხანოვმა თავის გაზეთში ჩემს სიტყვას «ბოდვა» უწოდა. კეთილი და პატიოსანი, ბატონო პლეხანოვ! მაგრამ

აბა დააკვირდით, რამდენად ტლანქი, უხეში და მიუხვედრელი ხართ თქვენს პოლემიკაში. თუ მე ჩემს სიტყვაში ორი საათის განმავლობაში «ვბოდავდი», როგორ ითმენდა ამ «ბოდვას» რამდენიმე ასეული მსმენელი? შემდეგ. რად დაუთმო თქვენმა გაზეთმა ამ «ბოდვის» გადმოცემას მთელი სვეტი? უხეიროდ, ძალიან უხეიროდ გამოგიდით.

რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილია იყვიროთ, ილანძღოთ, იღაღადოთ, ვიდრე შეეცადოთ გვიამბოთ, განმარტოთ და გაიხსენოთ, რ ო გ ო რ მსჯელობდნენ მარქსი და ენგელსი 1871, 1872, 1875 წლებში პარიზის კომუნის[8] გამოცდილებაზე და იმაზე, თუ რ ო გ ო რ ი სახელმწიფო ესაჭიროება პროლეტარიატს?

ყოფილ მარქსისტს, ბ-ნ პლეხანოვს. არ სურს. ალბათ, მარქსიზმის გახსენება.

მე მოვიყვანე სიტყვები როზა ლუქსემბურგისა, რომელმაც 1914 წლის 4 აგვისტოს გ ე რ მ ა ნ ი ი ს სოციალ-დემოკრატიას «აყროლებული ლეში» უწოდა. ბბ. პლეხანოვები, გოლდენბერგები და კომპ. კი «ნაწყენნი» არიან... ვის მაგიერ? — გ ე რ მ ა ნ ე ლ ი შოვინისტების მაგიერ, რომელთაც შოვინისტები უწოდეს!

გზა-კვალი აებნათ საცოდავ რუს სოციალ-შოვინისტებს, სიტყვით სოციალისტებს, საქმით კი შოვინისტებს.

როგოკრ ჩამოკვედით [4]

სოციალისტურ პრესაში უკვე იყო ცნობა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა რუსეთში გაშვებაზე უარი უთხრეს ინტერნაციონალისტ-ემიგრანტებს.

აქ ჩამოსული 32 ემიგრანტი, რომლებიც სხვადასხვა პარტიას ეკუთვნიან (მათ შორის 19 ბოლშევიკია, 6 ბუნდელი, 3 პარიზის ინტერნაციონალური გაზეთის «ნაშე სლოვოს» [5] მომხრე), თავის მოვალეობად თვლის განაცხადოს შემდეგი:

ჩვენ ხელთა გვაქვს მთელი რიგი დოკუმენტები, რომელთაც გამოვაქვეყნებთ მაშინვე, როგორც კი მივიღებთ მათ სტოკჰოლმიდან (ეს დოკუმენტები სტოკჰოლმში დავტოვეთ, რადგან შვეცია-რუსეთის საზღვარზე ინგლისის მთავრობის წარმომადგენელნი დათარეშობენ), და რომელნიც დაგვისურათებენ ხსენებული «მოკავშირე» მთავრობების სავალალო როლს ამ საკითხში. ამ პუნქტს დავსძენთ მხოლოდ შემდეგს: ემიგრანტთა ციურიხის საევაკუაციო კომიტეტმა, რომელშიც შედიან 23 ჯგუფის წარმომადგენლები (მათ რიცხვში ცენტრალური კომიტეტი, ორგანიზაციული კომიტეტი, სოციალისტ-რევოლუციონერები, ბუნდი და სხვ.), ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში საჯაროდ აღნიშნა ის ფაქტი, რომ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ინტერნაციონალისტ-ემიგრანტებს მოუსპოს სამშობლოში დაბრუნებისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების საშუალება.

ემიგრანტებისათვის რევოლუციის პირველ დღეებშივე გამოირკვა ინგლისის მთავრობის ასეთი განზრახვა. მაშინ სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის (მ. ა. ნატანსონი), რსდმ პარტიის ორგანიზაციული კომიტეტის [6] (ლ. მარტოვი), ბუნდის (კოსოვსკი) წარმომადგენლების თათბირზე წარმოიშვა

გეგმა (ეს გეგმა წამოაყენა ლ. მარტოვმა) — მოგვეწყო გერმანიაზე ემიგრანტების გატარება რუსეთში ინტერნირებულ გერმანელ და ავსტრიელ ტყვეებზე გადაცვლით.

ამ აზრით რუსეთში მთელი რიგი დეპეშები გამოიგზავნა და ამასთან ერთად შვეიცარიის სოციალისტების მეშვეობით გადაიდგა ნაბიჯები ასეთი გეგმის სისრულეში მოსაყვანად.

რუსეთში გამოგზავნილი დეპეშები დაკავებულ იქნა, ცხადია, ჩვენი დროებითი «რევოლუციური მთავრობის» (ან მისი მომხრეების) მიერ.

რუსეთიდან პასუხის მიღებას ამაოდ ვუცადეთ ორი კვირა და შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენვე გაგვეხორციელებინა ჩვენი გეგმა (სხვა ემიგრანტებმა გადაწყვიტეს ჯერ კიდევ დაეცადათ, რადგან დამტკიცებულად არ თვლიდნენ, რომ დროებითი მთავრობა მართლაც არ მიიღებდა ზომებს სამშობლოში ყველა ემიგრანტის დასაბრუნებლად).

ამ საქმის მოგვარება ევალებოდა შვეიცარიელ სოციალისტ-ინტერნაციონალისტს ფრიც პლატენს. მან ზუსტი წერილობითი პირობა დადო გერმანიის ელჩთან შვეიცარიაში. ამ პირობის ტექსტს გამოვაქვეყნებთ. მისი უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1) მიდის ყველა ემიგრანტი განურჩევლად იმისა, ვინ რა შეხედულებისაა ომზე; 2) ვაგონი, რომლითაც მიემგზავრებიან ემიგრანტები, ექსტერიტორიული უფლებით სარგებლობს, არავის არა აქვს უფლება შევიდეს ვაგონში პლატენის ნებადაურთველად. არავითარი კონტროლი არც პასპორტების, არც ბარგისა: 3) მიმავალი ემიგრანტები ვალდებული არიან აგიტაცია გაწიონ რუსეთში, რათა გატარებული ემიგრანტების სანაცვლოდ დააბრუნონ ავსტრიელ და გერმანელ ინტერნირებულთა ამდენივე რიცხვი.

ყოველი ცდა გერმანიის სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობისა — ურთიერთობა გაებათ მიმავალ ემიგრანტებთან, ამ უკანასკნელებმა გადაჭრით უარყვეს. მთელი მგზავრობის განმავლობაში ვაგონს თან ახლდა პლატენი. პლატენმა გადაწყვიტა გამოგვყოლოდა პეტროგრადამდე, მაგრამ ის დააკავეს რუსეთის საზღვარზე (ტორნეოში). იმედი გვაქვს — მხოლოდ დროე-

ბით. ყოველგვარი მოლაპარაკება წარმოებდა მთელ რიგ უცხოელ სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა მონაწილეობით და სრული თანხმობით. გამომგზავრების ოქმს ხელი მოაწერა ორმა ფრანგმა სოციალისტმა: ლორიომ და გილბომ და ლიბკნეხტის ჯგუფის სოციალისტმა (ჰარტშტეინმა), შვეიცარიელმა სოციალისტმა პლატენმა, პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა ბრონსკიმ, შვეციელმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა ლინდჰაგენმა, კარლსონმა, შტრემმა, ტურე ნერმანმა და სხვებმა.

«კარლ ლიბკნეხტი რომ ახლა რუსეთში იყოს, მილიუკოვები მას სიამოვნებით გაუშვებდნენ გერმანიაში; ბეტმან-ჰოლვეგები გიშვებენ თქვენ, რუს ინტერნაციონალისტებს, რუსეთში. თქვენი საქმეა — წახვიდეთ რუსეთში და ებრძოლოთ იქ როგორც გერმანიის, ისე რუსეთის იმპერიალიზმს». ასე გვითხრეს ზემოხსენებულმა ინტერნაციონალისტმა ამხანაგებმა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი მართალნი იყვნენ. მოხსენებას მგზავრობის შესახებ გავუკეთებთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. იმედი გვაქვს, რომ ის შეძლებს ინტერნირებულთა სათანადო რიცხვის განთავისუფლებას, პირველ რიგში კი თვალსაჩინო ავსტრიელი სოციალისტის ოტო ბაუერისას, და რომ ის შეძლებს ყველა ემიგრანტის, და არა მარტო სოციალ-პატრიოტების, დაბრუნებას რუსეთში. იმედი გვაქვს, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ბოლოს მოუღებს იმ გაუგონარ მდგომარეობასაც, როცა არც ერთ გაზეთს, თუ იგი «რეჩზე»[7] მემარცხენეა, არ უშვებენ საზღვარგარეთ და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მანიფესტსაც კი[8] ყველა ქვეყნის მუშებისადმი საზღვარგარეთის პრესაში არ ბეჭდავენ.

დაწერილია 1917 წ.
4 (17) აპრილს
დაიბეჭდა 1917 წ. 5 აპრილს
გაზეთებში «პრავდა» № 24
და «იზვესტია» № 32

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
გაზეთ «იზვესტიის» ტექსტთან

ორი სამყარო

კაპიტალისტების გაზეთებმა, როგორიც არის «რეჩი» და «ნოვოე ვრემია»[9], სტატიები დაბეჭდეს გერმანიის ტერიტორიით ჩვენი ჩამოსვლის წინააღმდეგ, სადაც ბინძურ ეჭვებს გამოთქვამენ — ჩამოსულნი გერმანიის იმპერიალისტებს ხომ არ ეხმარებიანო *.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გაზეთი «იზვესტია»[11] მ თ ლ ი ა ნ ა დ ბეჭდავს იმ მოხსენებას, რომელიც გუშინ გაზეთ «პრავდაში» **[12] იყო მოთავსებული და რომელიც ჩამოსვლის პ ი რ ვ ე ლ ს ა ვ ე დღეს წარედგინა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს; მოხსენების გარდა «იზვესტიაში» დაბეჭდილია აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება. ამ დადგენილებას ასე გადმოგვცემს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის» რედაქცია:

«აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ამხ. ზურაბოვისა და ზინოვიევის მოხსენება და დაადგინა დაუყოვნებლივ მიმართოს დროებით მთავრობას და მიიღოს ზომები დაუყოვნებლივ შემოუშვან რუსეთში ყველა ემიგრანტი, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა და ომისადმი დამოკიდებულებისა. მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგებს ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ. რ ე დ.».

---

* სახელგანთქმული — საკალალოდ სახელგანთქმული — «რუსსკაია ვოლია»[10] ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში სავსებით «რეჩის» შესაფერის «მასალას» იძლევა. ნეტავ არ ეთაკილებათ ბატონ მილიუკოვებსა და კომპ. ასეთი მეზობლობა?

** გაბედავს კი ამის დაბეჭდვას «რეჩი»?

აი პატარა, — სულ პატარა, მაგრამ მეტად დამახასიათებელი, — სურათი ორი სამყაროსი: სამყარო კაპიტალისტებისა, «რეჩისა», «რუსსკაია ვოლიასი» და «ნოვოე ვრემიასი», ბინძური ეჭვები, საზიზღარი ინსინუაციები სოციალისტების წინააღმდეგ, — და სამყარო რევოლუციური დემოკრატიისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებისა, რომელმაც დინჯი, თავდაჭერილი, ღირსეული ფორმით დაადგინა: «მ ი ი ღ ო ს ზ ო მ ე ბ ი». რის შესასრულებლად? იმის შესასრულებლად, რაც დროებითმა მთავრობამ ა რ გააკეთა!

განა ეს დროებითი მთავრობისათვის გაკიცხვის გამოტანას არ უდრის?

და განა ეს დამსახურებული გაკიცხვა არ არის?

ნუ დაგავიწყდებათ, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო თავისი რეზოლუცია, თუმცა იცოდა, რომ მას ბოლშევიკებთან პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უთანხმოება აქვს. კაპიტალისტებისათვის ეს ინსინუაციათა საბაბი იქნებოდა. კაპიტალისტების სამყაროში ადამიანური ღირსების ძებნა ამაოა.

«პრავდა» № 25,
1917 წ. 6 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მოწასახი სტატიისა თუ სიტყვისა აპრილის თეზისების დასაცავად

(1) გვემუქრება ეკონომიური კრახი. ამიტომ ბურჟუაზიის ჩამოშორება შეცდომაა.

(ასეთი დასკვნა ბურჟუაზიულია. რაც უფრო ახლოსაა კრახი, მით უფრო უცილობელია ბურჟუაზიის ჩამოშორება.)

(2) პროლეტარიატი არ არის დარაზმული, სუსტია, შეუგნებელია.

(სწორია. ამიტომ მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვებრძოლოთ იმ წვრილბურჟუაზიულ ბელადებს, ეგრეთწოდებულ სოციალ-დემოკრატებს (ჩხეიძე, წერეთელი, სტეკლოვი), რომლებიც აძინებენ მასებს მათთვის ბურჟუაზიისადმი ნდობის ჩაგონებით.

არა გაერთიანება ამ წვრილ ბურჟუებთან (ჩხეიძე, სტეკლოვი, წერეთელი), არამედ განადგურება ამ სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ღუპავს პროლეტარიატის რევოლუციას.)

(3) რევოლუცია ამ სტადიაზე ბურჟუაზიულია. ამიტომ საჭირო არ არის «სოციალისტური ექსპერიმენტი».

(ასეთი მსჯელობა მთლად ბურჟუაზიულია. «სოციალისტურ ექსპერიმენტზე» არავინ არ ლაპარაკობს. კონკრეტული, მარქსისტული დებულება მოითხოვს ახლა არა მარტო კლასების მიღებას მხედველობაში, არამედ დაწესებულებებისასაც.)

რევოლუციის ჩამხრჩობი ვაჟბატონები (ჩხეიძე, წერეთელი, სტეკლოვი) მოთაფლული ფრაზით რევოლუციას ეწევიან უკან, მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან ბურჟუაზიის «ერთხელისუფლებიანობისაკენ», ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკისაკენ.

ჩვენ მოხერხებულად, ფრთხილად, გონების გამოფხიზლებით უნდა წავიყვანოთ **წინ** პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა «ორხელისუფლებიანობიდან» მუშათა დეპუტატების საბჭოების **სრულხელისუფლებიანობისაკენ,** და ეს არის სწორედ კომუნა მარქსის აზრით, 1871 წლის გამოცდილების აზრით.

საკითხი ის კი არ არის, რა სიჩქარით წავიდეთ, არამედ ის, თუ საით წავიდეთ.

საკითხი ის კი არ არის, მომზადებული არიან თუ არა მუშები, არამედ ის, თუ **როგორ** და **რისთვის** ვამზადოთ ისინი.

რადგან მუშათა დეპუტატების საბჭოს მანიფესტები და მოწოდებები ომის შესახებ და სხვ. უაღრესად ფუჭი და ცრუ წვრილბურჟუაზიული ლაყბობაა, რაც მხოლოდ აჩლუნგებს ხალხის სიფხიზლეს, ამიტომ ჩვენი ამოცანა, როგორც ვამბობდი, ყველაზე უფრო მეტად ისაა, რომ გამოვაფხიზლოთ მასების გონება, გავათავისუფლოთ ისინი ჩხეიძის, სტეკლოვის, წერეთლისა და კომპ. ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გავლენისაგან.

მუშათა დეპუტატების საბჭოს, ე. ი. ჩხეიძის, წერეთლისა და სტეკლოვის, «რევოლუციური ობორონცობა» ასწილ უფრო მავნეა, რადგან ეს არის მოთაფლული ფრაზებით დაფარული, შოვინისტური მიმდინარეობა, დროებით რევოლუციურ მთავრობასთან მასების შერიგების ც დ ა.

გონებაჩლუნგ, შეუგნებელ, ბბ. ჩხეიძის, წერეთლის, სტეკლოვისა და კომპ. მიერ გაბრიყვებულ მასას არ ესმის, რომ ომი პოლიტიკის განგრძობაა, რომ ომებს მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი აწარმოებენ.

უნდა განვმარტოთ, რომ ომის შეწყვეტა ან მისი ხასიათის შეცვლა «ხალხს» მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მთავრობის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ხ ა ს ი ა თ ს შეცვლის.

დაწერილია 1917 წ.
4 და 12 (17 და 25) აპრილს შუა

პირველად დაიბეჭდა
1933 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ლუიბლანელობა

ფრანგმა სოციალისტმა ლუი ბლანმა 1848 წლის რევოლუციაში სავალალოდ გაითქვა სახელი იმით, რომ კლასობრივი ბრძოლის პოზიციიდან წვრილბურჟუაზიული ილუზიების პოზიციაზე გადავიდა, რომლებიც ვითომდა «სოციალიზმის» ფრაზეოლოგიით იყო შელამაზებული, ხოლო სინამდვილეში ემსახურებოდა პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის განმტკიცებას. ლუი ბლანი ბურჟუაზიისაგან მოელოდა დახმარებას, თვითონაც იმედოვნებდა და სხვებსაც უღვიძებდა იმედს, თითქოს ბურჟუაზიას შ ე უ ძ ლ ი ა დაეხმაროს მუშებს «შრომის ორგანიზაციის» საქმეში — ამ გაურკვეველ ტერმინს უნდა გამოეხატა «სოციალისტური» მისწრაფებანი.

ლუიბლანელობამ სრული გამარჯვება მოიპოვა დღეს რუსეთის «სოციალ-დემოკრატიის» მარჯვენა ფრთაში, ორგანიზაციული კომიტეტის პარტიაში. ჩხეიძემ, წერეთელმა, სტეკლოვმა და მრავალმა სხვამ, რომელნიც ამჟამად პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს ბელადები არიან და რომელნიც ბელადები იყვნენ აგრეთვე საბჭოების ამ დღეებში დამთავრებული სრულიად რუსეთის თათბირისა[13], სწორედ ლუი ბლანის პოზიცია დაიკავეს.

თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ყველა მთავარ საკითხში ეს ბელადები, რომელნიც დაახლოებით საერთაშო-

რისო მიმდინარეობის — «ცენტრის» — კაუცკის, ლონგეს, ტურატისა და მრავალ სხვათა თვალსაზრისზე დგანან, სწორედ ლუი ბლანის წვრილბურჟუაზიულ პოზიციაზე აღმოჩნდნენ. ავიღოთ ომის საკითხი.

პროლეტარული თვალსაზრისი მდგომარეობს ომის გარკვეულ კლასობრივ დახასიათებაში და იმპერიალისტური ომისადმი შეურიგებელ მტრობაში, ე. ი. იმ ომისადმი, რომელიც წარმოებს კაპიტალისტური ქვეყნების ჯგუფებს შორის (სულ ერთია, მონარქისტულია თუ რესპუბლიკური ეს ქვეყნები) კაპიტალისტური ნადავლის გაყოფის გამო.

წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი იმით განსხვავდება ბურჟუაზიული თვალსაზრისისაგან (ომის პირდაპირი გამართლება, «სამშობლოს» აშკარა «დაცვა», ესე იგი თავიანთი კაპიტალისტების «ინტერესების» დაცვა, დაცვა ანექსიების მათი «უფლებისა»), რომ წვრილი ბურჟუა «უარყოფს» ანექსიებს, «გმობს» იმპერიალიზმს, «მოითხოვს» ბურჟუაზიისაგან, რომ აღარ იყოს იმპერიალისტური და ამავე დროს დარჩეს მსოფლიო იმპერიალისტურ კავშირურთიერთობათა და კაპიტალისტური სამეურნეო წყობის ფარგლებში. წვრილი ბურჟუა ჯერდება ასეთ კეთილ, უვნებელ, უშინაარსო დეკლამაციას, საქმით კი მხოლოდ უმწეოდ მისჩანჩალებს კუდში ბურჟუაზიას, ზოგ რამეში სიტყვიერად «თანაუგრძნობს» პროლეტარიატს, მაგრამ საქმით ბურჟუაზიაზე დამოკიდებული რჩება; მას ვერ შეუგნია ან არ სურს შეიგნოს ის გზა, რომელსაც მივყავართ კაპიტალისტური უღლის დამხობისაკენ და რომელსაც ერთადერთს შეუძლია იხსნას კაცობრიობა იმპერიალიზმისაგან.

წვრილი ბურჟუასთვის უდიდეს გამბედაობას, ანტიიმპერიალისტური, «ციმერვალდისტური» თანამიმდევრობის ნიმუშს წარმოადგენს ის, რომ «მოსთხოვოს» ბურჟუაზიულ მთავრობებს გამოაქვეყნონ «საზეიმო დეკლარაცია» ანექსიების უარყოფის სულისკვეთებით. ადვილი გასაგებია, რომ ეს უცუდესი ტიპის ლუიბლანელობაა. ჯერ-ერთი, ცოტად

თუ ბევრად გამოცდილ ბურჟუაზიულ პოლიტიკანს არასოდეს არ გაუჭირდება «ბრწყინვალე», ეფექტური, მჭექარე, არაფრის-მთქმელი და არაფრის დამავალდებულებელი ფრაზების კორიანტელი დააყენოს «საერთოდ» ანექსიების წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ს ა ქ მ ე ს ა ქ მ ე ზ ე მიდგება, — შეუძლია იოინბაზოს თუნდაც ისე, როგორც ამ დღეებში იოინბაზა «რეჩმა», რომელმაც სავალალო ვაჟკაცობა გამოიჩინა და განაცხადა, კურლანდია (რომელიც ამჟამად ანექსირებულია ბურჟუაზიული გერმანიის მტაცებელი იმპერიალისტების მიერ) რუსეთის ანექსიას ა რ წარმოადგენსო!!

ეს ყველაზე აღმაშფოთებელი ოინბაზობაა, ყველაზე აუტანელი მოტყუებაა მუშებისა ბურჟუაზიის მხრივ, რადგან პოლიტიკური ანაბანის ყოველმა მცოდნე ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ კურლანდია ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს რუსეთის ა ნ ე ქ ს ი ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა.

ჩვენ აშკარად და პირდაპირ ვიწვევთ «რეჩს»: 1) წარუდგინოს ხალხს «ანექსიის» ცნების ისეთი პოლიტიკური განსაზღვრა, რომელიც მიუდგებოდეს ყ ვ ე ლ ა ანექსიას მსოფლიოში, — გერმანიის, ინგლისის, რუსეთის, წარსულისა და აწმყოს, ყველა ანექსიას გამოუკლებლივ; 2) ნათლად და გარკვევით თქვას, რას ნიშნავს, მისი აზრით, ა ნ ე ქ ს ი ე ბ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა ა რ ა სიტყვიერად, არამედ საქმით. მოგვცეს «ანექსიების საქმით უარყოფის» ცნების ისეთი პოლიტიკური განსაზღვრა, რომელიც ეხებოდეს არა მარტო გერმანელებს, არამედ ინგლისელებსაც და ყველა იმ ხალხსაც, რომელსაც კი საერთოდ ოდესმე ანექსია მოუხდენია.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ «რეჩი» ან თავს აარიდებს ჩვენს გამოწვევას, ანდა მთელი ხალხის წინაშე მხილებული იქნება ჩვენ მიერ. სწორედ «რეჩის» მიერ აღძრული კურლანდიის საკითხის გამო ჩვენი დავა არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული, უაღრესად გადაუდებელი, უაღრესად არსებითი და უაღრესად საჭირბოროტო.

მეორე. დავუშვათ თუნდაც ერთი წუთით, რომ ბურჟუაზიული მინისტრები კეთილსინდისიერების იდეალს წარმო-

ადგენენ, რომ გუჩკოვებს, ლვოვებს, მილიუკოვებსა და კომპ. ფრიად გულწრფელად სჯერათ ანექსიების უარყოფის შესაძლებლობა კაპიტალიზმის შენარჩუნების პირობებში და უნდათ ხელი აიღონ მათზე.

დავუშვათ ეს თუნდაც ერთი წუთით, მივმართოთ ამ ლუიბლანისებურ ვარაუდს.

იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა მოზრდილ ადამიანს დაკმაყოფილდეს იმით, რასაც ადამიანები თავიანთ თავზე ფიქრობენ, და არ შეამოწმოს ეს იმით, რასაც ისინი აკეთებენ? ნუთუ შეუძლია მარქსისტს არ გაარჩიოს სურვილები და განცხადებები ობიექტური სინამდვილისაგან?

არა. არ შეუძლია.

ანექსიები ემყარება ფინანსური, საბანკო, იმპერიალისტური კაპიტალის კავშირურთიერთობას. ეს არის ანექსიების თანამედროვე, სამეურნეო საფუძველი. ამ მხრივ ანექსია წარმოადგენს ანექსირებული ქვეყნების ათასობით საწარმოში «დაბანდებული» მრავალმილიარდიანი კაპიტალის პოლიტიკურად გარანტირებულ მოგებას.

სურვილიც რომ იყოს, შეუძლებელია ანექსიებზე უარის თქმა, თუ გადამწყვეტ ნაბიჯებს არ გადადგამ კაპიტალის უღლის დასამხობად.

ნიშნავს თუ არა ეს, როგორც ამას «ედინსტვო», «რაბოჩაია გაზეტა»[14] და სხვა ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის «ლუიბლანები» მზად არიან დაასკვნან და დაასკვნიან კიდეც, რომ არ უნდა გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯები კაპიტალის დასამხობად? რომ უნდა შევურიგდეთ ანექსიების თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ნაწილს მაინც?

არა. უნდა გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯები კაპიტალის დასამხობად. ეს ნაბიჯები უნდა გადაიდგას მარჯვედ და თანდათანობით, ამასთან უნდა ვეყრდნობოდეთ მხოლოდ მუშებისა და უღარიბესი გლეხების დიდი უმრავლესობის შეგნებულობასა და დარაზმულობას. დიახ, ასეთი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. და მუშათა დეპუტატების საბჭოებმა რუსეთის მთელ რიგ ადგილებში უკვე დაიწყეს ამ ნაბიჯების გადადგმა.

დღის წესრიგში დგას გადამწყვეტი, უცილობელი გამიჯვნა ლუი ბლანებისაგან, ჩხეიძეებისა, წერეთლებისა, სტეკლოვებისაგან, ორგ. კომიტეტის პარტიისაგან, სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სხვათა და სხვათა პარტიისაგან. მასებს უნდა განემარტოთ, რომ ლუიბლანელობა ღუპავს და დაღუპავს შემდგომი რევოლუციის წარმატებას, თვით თავისუფლების წარმატებასაც, თუ მასები არ გაიგებენ ამ წვრილბურჟუაზიული ილუზიების მავნებლობას და არ შეუერთდებიან შეგნებული მუშების მიერ სოციალიზმისკენ თანდათანობით გადადგმულ წინდახედულ, მოფიქრებულ, მაგრამ მტკიცე და დაუყოვნებელ ნაბიჯებს.

სოციალიზმის გარეშე კაცობრიობა ვ ე რ იხსნის თავს ომებისა, შიმშილისა და კვლავ მილიონობით ადამიანთა დაღუპვისაგან.

«პრავდა» № 27,
1917 წ. 8 აპრილი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ორხელისუფლებიანობის შესახებ

(ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია ძალაუფლების საკითხი სახელმწიფოში. ამ საკითხის გაურკვევლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია რევოლუციაში რაიმე შეგნებულ მონაწილეობაზე, რევოლუციის ხელმძღვანელობაზე რომ არაფერი ვთქვათ.)

(ჩვენი რევოლუციის უაღრესად შესანიშნავი თავისებურება ის არის, რომ ამ რევოლუციამ შექმნა ორ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა. უწინარეს ყოვლისა ამ ფაქტში უნდა გავერკვეთ; მის გაუგებლად წინსვლა შეუძლებელია. ძველი «ფორმულები», მაგალითად, ბოლშევიზმისა უნდა შევავსოთ და შევასწოროთ, რადგან ისინი, როგორც გამოირკვა, თუმცა საერთოდ სწორი იყო, მაგრამ მათი კონკრეტული განხორციელება სხვანაირი გ ა მ ო დ გ ა. ორხელისუფლებიანობაზე წინათ ა რ ა ვ ი ნ ფიქრობდა და არც შეეძლო ეფიქრა.

(რაში მდგომარეობს ორხელისუფლებიანობა? იმაში, რომ დროებითი მთავრობის, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს მთავრობის, გვერდით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სუსტი, ჩანასახოვანი, მაგრამ მაინც უეჭველად ნამდვილად არსებული და მზარდი მ ე ო რ ე მ თ ა ვ რ ო ბ ა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.)

(როგორია ამ მეორე მთავრობის კლასობრივი შემადგენლობა? პროლეტარიატი და გლეხობა (გლეხობა, ჯარისკაცთა ფარაჯაში გამოწყობილი). როგორია ამ მთავრობის პოლიტი-

კური ხასიათი? ეს არის რევოლუციური დიქტატურა, ესე იგი ძალაუფლება, რომელიც პირდაპირ ეყრდნობა რევოლუციური გზით ხელში ჩაგდებას, ხალხის მასების უშუალო თაოსნობას ქვევიდან, და არა იმ კანონს, რომელიც გამოცემულია ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. ეს ხელისუფლება სრულიად არ არის იმგვარი, როგორიცაა საერთოდ ხელისუფლება დღემდე არსებული ჩვეულებრივი, ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში გაბატონებული ტიპის პარლამენტურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ხშირად ივიწყებენ ამ გარემოებას, ხშირად არ უფიქრდებიან მას, თავიდათავი კი სწორედ ესაა. ეს ხელისუფლება იმავე ტიპის ხელისუფლებაა, როგორიც იყო 1871 წლის პარიზის კომუნა. ამ ტიპის ძირითადი ნიშნებია: 1) ძალაუფლების წყაროა არა კანონი, პარლამენტის მიერ წინასწარ განხილული და მიღებული, არამედ ხალხის მასების პირდაპირი თაოსნობა ქვევიდან და ადგილებზე, პირდაპირ «ხელში ჩაგდება», გაცვეთილ გამოთქმას თუ ვიხმართ; 2) პოლიციისა და ჯარის, როგორც ხალხისაგან განცალკევებული და ხალხისადმი დაპირისპირებული დაწესებულებების, შეცვლა მთელი ხალხის პირდაპირი შეიარაღებით; ასეთი ხელისუფლების დროს სახელმწიფოებრივ წესრიგს იცავენ თვითონ შეიარაღებული მუშები და გლეხები, თვითონ შეიარაღებული ხალხი; 3) მოხელეობას, ბიუროკრატიას ცვლის ან კვლავ თვითონ ხალხის უშუალო ხელისუფლება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, აყენებენ განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ, ხდება არა მარტო მათი არჩევა, არამედ გადაყენებაც ხალხის პირველი მოთხოვნილებისთანავე; ისინი ხალხის უბრალო რწმუნებულები ხდებიან; პრივილეგიებით აღჭურვილი, ისეთი «ადგილების» მქონე ფენიდან, სადაც დიდ, ბურჟუაზიულ, ჯამაგირს იღებენ, იქცევიან განსაკუთრებული «გვარეობის იარაღის» მუშებად, რომელთა გასამრჯელოც კარგი მუშის ჩვეულებრივ ხელფასს არ აღემატება.

ეს და მხოლოდ ეს არის დედაარსი პარიზის კომუნისა, როგორც განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფოსი.

ეს დედაარსი დაივიწყეს და დაამახინჯეს ბბ. პლეხანოვებმა (ნამდვილმა შოვინისტებმა, რომელთაც უღალატეს მარქსიზმს), კაუცკებმა («ცენტრის», ე. ი. შოვინიზმსა და მარქსიზმს შორის მერყეევმა ხალხმა) და საერთოდ ამჟამად გაბატონებულმა ყველა სოციალ-დემოკრატმა, სოციალისტ-რევოლუციონერმა და სხვა ამგვარებმა.

ფრაზებით კმაყოფილდებიან, კრინტს არ ძრავენ, თავს იძვრენენ, ათასჯერ ულოცავენ ერთმანეთს რევოლუციას და იმას კი არ უ ფ ი ქ რ დ ე ბ ი ა ნ, თუ რ ა ა რ ი ს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. არ სურთ დაინახონ ის აშკარა ჭეშმარიტება, რომ, რამდენადაც ეს საბჭოები არსებობენ, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ისინი წარმოადგენენ ხელისუფლებას, იმდენად რუსეთში არსებობს პარიზის კომუნის ტ ი პ ი ს სახელმწიფო.

მე ხაზი გავუსვი სიტყვას «რამდენადაც». ვინაიდან ეს არის მხოლოდ ჩანასახოვანი ხელისუფლება. თვითონ მან, როგორც პირდაპირი შეთანხმებით ბურჟუაზიულ დროებით მთავრობასთან, ისე მთელი რიგი ფაქტიური დათმობებით ბურჟუაზიას ჩ ა ა ბ ა რ ა დ ა ა ბ ა რ ე ბ ს პოზიციებს.

რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ჩხეიძე, წერეთელი, სტეკლოვი და კომპ. «შეცდომას» სჩადიან? რა სათქმელია. ასე ფიქრი შეუძლია მხოლოდ ობივატელს და არა მარქსისტს. ამის მიზეზია პროლეტარებისა და გლეხების ა რ ა ს ა კ მ ა რ ი ს ი შ ე გ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა და დარაზმულობა. დასახელებული ბელადების «შეცდომას» წარმოადგენს მათი წვრილბურჟუაზიული პოზიცია, ის, რომ ისინი კი არ აფხიზლებენ, არამედ ა ბ ნ ე ლ ე ბ ე ნ მუშების შეგნებას, კი არ აქარწყლებენ, არამედ ნ ე რ გ ა ვ ე ნ წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს, მასებს კი არ ათავისუფლებენ ბურჟუაზიის გავლენისაგან, არამედ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ ამ გავლენას მასებზე.

აქედან უკვე ცხადი უნდა იყოს, რატომ სჩადიან ამდენ შეცდომას ჩვენი ამხანაგებიც, როცა «მარტივად» აყენებენ საკითხს: ახლავე უნდა დავამხოთ დროებითი მთავრობა თუ არა?

ვუპასუხებ: 1) ის უნდა დავამხოთ, რადგან იგი ოლიგარქიულია, ბურჟუაზიულია და არა საყოველთაო-სახალხო, ის ვერ მოგვცემს ვერც ზავს, ვერც პურს, ვერც სრულ თავისუფლებას; 2) მისი დამხობა ამჟამად შეუძლებელია, რადგან მას ზურგს უმაგრებს პირდაპირი და არაპირდაპირი, ფორმალური და ფაქტიური შეთანხმება მუშათა დეპუტატების საბჭოებთან და უწინარეს ყოვლისა მთავარ, პიტერის, საბჭოსთან; 3) მისი «დამხობა» საერთოდ შეუძლებელია ჩვეულებრივი წესით, რადგან იგი ეყრდნობა მეორე მთავრობის, მუშათა დეპუტატების საბჭოს «მხარდაჭერას» ბურჟუაზიისთვის, ხოლო ეს მთავრობა ერთადერთი შესაძლებელი რევოლუციური მთავრობაა, რომელიც პირდაპირ გამოხატავს მუშებისა და გლეხების უმრავლესობის შეგნებასა და ნებას. კაცობრიობას ჯერ არ გამოუმუშავებია და ჩვენც დღემდე არ ვიცით მთავრობის იმაზე უფრო მაღალი, უკეთესი ტიპი, როგორიცაა მუშათა, მოჯამაგირეთა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

(ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად შეგნებულმა მუშებმა უნდა მიიმხრონ უმრავლესობა: ვიდრე არ არსებობს ძალადობა მასებზე, სხვა გზა არ არის ხელისუფლებისაკენ.) ჩვენ ბლანკისტები არა ვართ, არა ვართ მომხრენი იმისა, რომ უმცირესობამ ძალით ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება. ჩვენ ვართ მარქსისტები, მომხრენი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა წვრილბურჟუაზიული თავბრუდახვევის, შოვინიზმ-ობორონცობის, ფრაზის, ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულების წინააღმდეგ.

(შევქმნათ პროლეტარული კომუნისტური პარტია; მისი ელემენტები უკვე შექმნეს ბოლშევიზმის საუკეთესო მომხრეებმა. შევმჭიდროვდეთ პროლეტარული კლასობრივი მუშაობისათვის, და ჩვენს მხარეზე გადმოვა პროლეტართა და უღარიბეს გლეხთა სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვი. რადგან ცხოვრება დღითი დღე დაამსხვრევს «სოციალ-დემოკრატების», ჩხეიძეების, წერეთლების, სტეკლოვების და სხვათა, «სოციალისტ-რევოლუციონერების», კიდევ უფრო

«წმინდა წყლის» წვრილი ბურჟუებისა და სხვათა და სხვათა წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს.

ბურჟუაზია იცავს ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობას.

შეგნებული მუშები კი იცავენ მუშათა, მოჯამაგირეთა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ერთხელისუფლებიანობას, — ისეთ ერთხელისუფლებიანობას, რომელსაც მოამზადებს პროლეტარული შეგნების გ ა მ ო ფ ხ ი ზ ლ ე ბ ა, მისი გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ბურჟუაზიის გავლენისაგან და არა ავანტიურები.

წვრილი ბურჟუაზია,—«სოც.-დემოკრატები», სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვანი და სხვანი, — ყოყმანობს და ამით ხ ე ლ ს უ შ ლ ი ს ამ გამოფხიზლებას, ამ განთავისუფლებას.

აი ფაქტიური, კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი, ძალთა თანაფარდობა, რაც განსაზღვრავს ჩვენს ამოცანებს.

«პრავდა» № 28, 1917 წ. 9 აპრილი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წერილები ტაქტიკაზე [15]

წინასიტყვაობა

1917 წლის 4 აპრილს სათაურში აღნიშნულ თემაზე თავდაპირველად მოხსენების გაკეთება მომიხდა ბოლშევიკების კრებაზე პიტერში. ესენი იყვნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის დელეგატები, რომელნიც ადგილებზე უნდა დაბრუნებულიყვნენ და ამიტომ მოხსენებას ვერ გადამიდებდნენ. კრების დამთავრების შემდეგ მისმა თავმჯდომარემ, ამხ. გ. ზინოვიევმა, მთელი კრების სახელით წინადადება მომცა გამემეორებინა მოხსენება მაშინვე ბოლშევიკი და მენშევიკი დელეგატების კრებაზეევე, დელეგატებისა, რომელთაც სურდათ განეხილათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაერთიანების საკითხი.

თუმცა ძალიან მიჭირდა მოხსენების დაუყოვნებლივ განმეორება, მაგრამ უარი ვერ ვთქვი, რაკი ამას მოითხოვდნენ ჩემი თანამოაზრეებიც და მენშევიკებიც, რომელნიც გამგზავრებას აპირებდნენ და მართლაც სხვა დროს ვერ დამინიშნავდნენ.

მოხსენების დროს წავიკითხე ჩემი თეზისები, გამოქვეყნებული «პრავდის» 26-ე ნომერში 1917 წლის 7 აპრილს *.

თეზისებმაც და ჩემმა მოხსენებამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თვით ბოლშევიკების წრეში და თვითონ «პრავდის»

---

* ამ წერილის დამატებად «პრავდის» ამ ნომრიდან გადმოვბეჭდე ეს თეზისები მოკლე განმარტებითს შენიშვნებთან ერთად. (იხ. ეს ტომი, გვ. 3 — 7. რ ე დ.)

რედაქციაშიც. მთელი რიგი თათბირების შემდეგ ჩვენ ერთხმად იმ დასკვნამდე მივედით, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ამ აზრთა სხვადასხვაობას ა შ კ ა რ ა დისკუსიის საგნად გავხდიდით და ამრიგად მასალას მივცემდით ჩვენი პარტიის (ცენტრალური კომიტეტით გაერთიანებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის) სრულიად რუსეთის კონფერენციას, რომელიც 1917 წლის 20 აპრილს უნდა შეკრებილიყო პიტერში.

დისკუსიის შესახებ ამ დადგენილების შესასრულებლად ვბეჭდავ ქვემომოყვანილ წ ე რ ი ლ ებ ს არა იმიტომ, თითქოს ჩემს წერილებში საკითხი ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ იყოს შესწავლილი, არამედ მსურს დავსახო მხოლოდ უმთავრესი მოსაზრებები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის მოძრაობის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ამოცანებისათვის.

წ ე რ ი ლ ი I

მ ო მ ე ნ ტ ი ს შ ე ფ ა ს ებ ა

მარქსიზმი ჩვენგან მოითხოვს კლასთა თანაფარდობისა და ყოველი ისტორიული მომენტის კონკრეტულ თავისებურებათა უაღრესად ზუსტ გათვალისწინებას, რომლის ობიექტური შემოწმებაც შესაძლებელია. ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის ვცდილობდით ერთგულნი ვყოფილიყავით ამ მოთხოვნისა, რაც უთუოდ სავალდებულოა პოლიტიკის ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების თვალსაზრისით.

«ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის»[16] — ასე ამბობდნენ ყოველთვის მარქსი და ენგელსი, სამართლიანად დასცინოდნენ რა იმ «ფორმულების» გაზეპირებას და წარამარა განმეორებას, რომელთაც უკეთეს შემთხვევაში შეუძლიათ მხოლოდ დასახონ ზ ო გ ა დ ი ამოცანები, რომელნიც აუცილებლად იცვლებიან ისტორიული პროცესის ყოველი განსა-

კუთრებული ხანის კონკრეტული ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებით.

მაშ რა მტკიცედ დადგენილი, ობიექტური ფაქტებით უნდა იხელმძღვანელოს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიამ ახლა თავისი მოქმედების ამოცანებისა და ფორმების გასარკვევად?

როგორც ჩემს პირველ «წერილში შორიდან» («პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი»), რომელიც დაიბეჭდა «პრავდის» მე-14 და მე-15 ნომრებში 1917 წლის 21 და 22 მარტს, ისე ჩემს თეზისებშიც «რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურებას» განვსაზღვრავ, როგორც რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორეზე **გადასვლის** ხანას. ამიტომაც ძირითად ლოზუნგად, «სადღეისო ამოცანად» **ამ** მომენტში მე ვთვლიდი: «მუშებო, თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, ხალხური გმირობის სასწაულები სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ, თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე» («პრავდა» № 15) *.

რაში მდგომარეობს პირველი ეტაპი?

ესაა სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ბურჟუაზიის ხელში.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე სახელმწიფო ძალაუფლება რუსეთში ერთი ძველი კლასის ხელში იყო, სახელდობრ: მებატონე-თავადაზნაურ-მემამულეთა კლასისა, რომელსაც ნიკოლოზ რომანოვი მეთაურობდა.

ამ რევოლუციის შემდეგ ძალაუფლება მეორე, ახალი, კლასის ხელშია, სახელდობრ: ბურჟუაზიისა.

სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასის ხელიდან მეორე **კლასის** ხელში — ეს არის პირველი, მთავარი, ძირითადი ნიშანი რევოლუციისა, როგორც ამ ცნების მკაცრად-მეცნიერული, ისე პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობით.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 23, გვ. 406 — 407. რედ.

ამდენად ბურჟუაზიული ან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში დამთავრებულია.

აქ ჩვენ გვესმის განგაში მოწინააღმდეგეებისა, რომელნიც სიამოვნებით უწოდებენ თავიანთ თავს «ძველ ბოლშევიკებს»: განა ჩვენ ყოველთვის იმას არ ვამბობდით, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ამთავრებს მხოლოდ «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა»? განა დამთავრდა აგრარული რევოლუცია, რომელიც აგრეთვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაა? განა, პირიქით, ფაქტი არ არის, რომ ის ჯერ არც კი დაწყებულა?

ვუპასუხებ: ბოლშევიკური ლოზუნგები და იდეები საერთოდ ისტორიამ სავსებით დაადასტურა, მაგრამ კონკრეტულად საქმე სხვანაირად მოეწყო, ვიდრე ამას მოელოდა ვინმე (ვინც უნდა იყოს იგი), მოეწყო უფრო ორიგინალურად, უფრო თავისებურად, უფრო მრავალფეროვნად.

ამ ფაქტის უგულებელყოფით, დავიწყებით იმ «ძველ ბოლშევიკებს» დავემსგავსებოდით, რომელთაც ჩვენი პარტიის ისტორიაში არა ერთხელ შეუსრულებიათ სამწუხარო როლი, ახალი, ცოცხალი სინამდვილის თავისებურების შესწავლის ნაცვლად უაზროდ იმეორებდნენ რა გაზეპირებულ ფორმულას.

«პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა» რუსეთის რევოლუციაში უკვე განხორციელდა*, რადგან ეს «ფორმულა» ითვალისწინებს მხოლოდ კლასთა თანაფარდობას და არა კონკრეტულ პოლიტიკურ დაწესებულებას, რომელიც **ახორციელებს** ამ თანაფარდობას, ამ თანამშრომლობას. «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო» — აი ცხოვრების მიერ უკვე განხორციელებული «რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხობისა».

---

* განსაზღვრული ფორმით და განსაზღვრული ოდენობით.

ეს ფორმულა უკვე მოძველდა. ცხოვრებამ იგი ფორმულების სამყაროდან სინამდვილის სამყაროში შეიტანა, სისხლი და ხორცი შეასხა მას, კონკრეტულად ჩამოაყალიბა და მ ი თ სახე შეუცვალა.

დღის წესრიგში უკვე სხვა, ახალი ამოცანა დგას: გათიშვა თვით ამ დიქტატურის შ ი გ ნ ი თ არსებულ პროლეტარულ (კომუნაზე გადასვლის მომხრე ანტიობორონცულ, ინტერნაციონალისტურ, «კომუნისტურ») ელემენტებსა და წ ვ რ ი ლ მ ე ს ა კ უ თ რ უ ლ ანუ წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ელემენტებს შორის (ჩხეიძე, წერეთელი, სტეკლოვი, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ. და სხვ. რევოლუციური ობორონცები, კომუნისკენ მიმავალი გზის მოწინააღმდეგენი, ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული მთავრობის «მხარდაჭერის» მომხრენი).

ვინც ა ხ ლ ა მხოლოდ «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე» ლაპარაკობს, ის ჩამორჩენილია ცხოვრებას, ის ამის გამო საქმით უკვე გ ა დ ა ს უ ლ ი ა წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ, ის უნდა ჩაბარდეს «ბოლშევიკურ» რევოლუციამდელ იშვიათობათა არქივს (რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ «ძველი ბოლშევიკების» არქივი).

პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა უკვე განხორციელდა, მაგრამ მეტისმეტად ორიგინალურად, მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი სახეცვლილებებით. ამ სახეცვლილებებზე ცალკე ვილაპარაკებ, ერთ-ერთ შემდგომ წერილში. ახლა კი საჭიროა შევითვისოთ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ მარქსისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ცოცხალ ცხოვრებას, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ზუსტ ფაქტებს, და კვლავინდებურად არ ჩაებღაუჭოს გუშინდელი დღის თეორიას, რომელიც, როგორც ყოველი თეორია, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სახავს ძირითადს, ზოგადს, მხოლოდ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა იმას, რომ მოიცვას ცხოვრების სირთულე.

«უფერულია, ჩემო კარგო, აქ თეორია, და ოქროს ხე კი სიცოცხლისა მარად მწვანეა» [17].

ვინც ძველებურად სვამს ბურჟუაზიული რევოლუციის «დამთავრების» საკითხს, ის ცოცხალ მარქსიზმს მსხვერპლად სწირავს მკვდარ ასოს.

ძველებურად გამოდის: ბურჟუაზიის ბატონობას შეიძლება და უნდა მოჰყვეს პროლეტარიატისა და გლეხობის ბატონობა, მათი დიქტატურა.

ცოცხალ ცხოვრებაში კი უკვე **სხვანაირად** გამოვიდა: მივიღეთ მეტისმეტად ორიგინალური, ახალი, არნახული გადახლართვა ერთისაც და მეორისაც. ერთიმეორის გვერდით, ერთად, ერთსა და იმავე დროს არსებობს ბურჟუაზიის ბატონობაც (ლვოვისა და გუჩკოვის მთავრობა) და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურაც, რომელიც **ნებაყოფლობით** უთმობს ბურჟუაზიას ძალაუფლებას, ნებაყოფლობით ხდება ამ ბურჟუაზიის დანამატი.

ვინაიდან არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ პიტერში ძალაუფლება ფაქტიურად მუშებისა და ჯარისკაცების ხელშია: მათ მიმართ ახალი მთავრობა ძალადობას არ იყენებს და არც შეუძლია გამოიყენოს, რადგან არ არსებობს არც პოლიცია, არც ხალხისაგან განცალკევებული ჯარი, არც ყოვლად ძლიერი, ხალხზე მაღლა მდგომი მოხელეობა. ეს ფაქტია. ეს სწორედ ისეთი ფაქტია, რომელიც პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფოს დამახასიათებელია. ეს ფაქტი ძველ სქემებში ვერ თავსდება. სქემები ცხოვრებას უნდა შევუფარდოთ და არა ვიმეოროთ უკვე ყოველ აზრს მოკლებული სიტყვები საერთოდ «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის» შესახებ.

მივუდგეთ საკითხს მეორე მხრივ, რათა უკეთ გავაშუქოთ იგი.

მარქსისტი არ უნდა ასცდეს კლასობრივი ურთიერთობის ანალიზის სწორ ნიადაგს. ხელისუფლების სათავეში დგას ბურჟუაზია. ხოლო გლეხთა მასაც განა აგრეთვე ბურ-

ჟუაზიას არ წარმოადგენს, მხოლოდ სხვა ფენის, სხვა ჯგუფის, სხვა ხასიათისას? საიდან გამომდინარეობს, რომ ამ ფენას არ შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას და «დააგვირგვინოს» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია? რატომაა ეს შეუძლებელი?

ასე მსჯელობენ ხშირად ძველი ბოლშევიკები.

ვუპასუხებ: ეს სავსებით შესაძლებელია. მაგრამ მარქსისტი მომენტის შეფასების დროს შესაძლებლობიდან კი არა, სინამდვილიდან უნდა გამოდიოდეს.

სინამდვილე კი გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ თავისუფლად არჩეული ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატები თავისუფლად შედიან მეორე, გვერდით მყოფ მთავრობაში, თავისუფლად ავსებენ, ავითარებენ, საბოლოოდ აყალიბებენ მას. და ასევე თავისუფლად უთმობენ ისინი ხელისუფლებას ბურჟუაზიას, — და ეს მოვლენა სრულიადაც არ «არღვევს» მარქსიზმის თეორიას, რადგან ჩვენ ყოველთვის ვიცოდით და მრავალჯერაც აღგვინიშნავს, რომ ბურჟუაზია გამაგრებულია არა მარტო ძალმომრეობით, არამედ აგრეთვე მასების შეუგნებლობით, რუტინით, დაბეჩავებით, დაურაზმელობით.

და აი დღევანდელი დღის ამ სინამდვილის წინაშე პირდაპირ სასაცილოა ზურგი შევაქციოთ ფაქტს და «შესაძლებლობაზე» ვილაპარაკოთ.

შესაძლებელია, რომ გლეხობამ აიღოს მთელი მიწა და მთელი ძალაუფლება. მე არათუ არ ვივიწყებ ასეთ შესაძლებლობას, არ ვსაზღვრავ ჩემს ჰორიზონტს მარტოოდენ დღევანდელი დღით, არამედ პირდაპირ და ზუსტად ვაყალიბებ აგრარულ პროგრამას, ანგარიშს ვუწევ რა ახალ მოვლენას: მოჯამაგირეებისა და უღარიბესი გლეხების უფრო ღრმა უთანხმოებას მესაკუთრე გლეხებთან.

მაგრამ შესაძლებელია სხვა რამეც: შესაძლებელია, რომ გლეხებმა დაუჯერონ სოციალისტ-რევოლუციონერების წვრილბურჟუაზიული პარტიის რჩევას, პარტიისა, რომელიც ბურჟუას გავლენას დაემორჩილა, ობორონცობის მხარეზე გადა-

ვიდა და ურჩევს გლეხებს დაუცადონ დამფუძნებელ კრებას, თუმცა აქამდე მისი მოწვევის ვადაც კი არ არის დანიშნული! *

შესაძლებელია, რომ გლეხებმა შეინარჩუნონ, განაგრძონ თავიანთი გარიგება ბურჟუაზიასთან, გარიგება, რომელიც მათ დადვეს ახლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით არათუ ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც.

სხვადასხვა რამ არის შესაძლებელი. უდიდესი შეცდომა იქნებოდა დაგვევიწყებინა აგრარული მოძრაობა და აგრარული პროგრამა. მაგრამ ასეთივე შეცდომა იქნებოდა იმ სინამდვილის დავიწყებაც, რომელიც გვიჩვენებს შეთანხმების ფაქტს, — ან, თუ ვიხმართ უფრო ზუსტ, უფრო ნაკლებად იურიდიულ, უფრო ეკონომიურ-კლასობრივ გამოთქმას — ბურჟუაზიისა და გლეხობის კლასობრივი თანამშრომლობის ფაქტს.

როცა ამ ფაქტს ადგილი აღარ ექნება, როცა გლეხობა გამოეყოფა ბურჟუაზიას, მისი სურვილის წინააღმდეგ დაეპატრონება მიწას და ხელთ იგდებს ძალაუფლებას, — მაშინ ეს იქნება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ახალი ეტაპი, და მასზე ლაპარაკიც ცალკე გვექნება.

მარქსისტი, რომელიც, ამ მომავალი ეტაპის შესაძლებლობის გამო, ივიწყებს თავის მოვალეობას ახლა, როდესაც გლეხობა ბურჟუაზიას უთანხმდება, ასეთი მარქსისტი წვრილ ბურჟუად გადაიქცეოდა. რადგან ის საქმით უქადაგებდა პროლეტარიატს წვრილი ბურჟუაზიისადმი ნდობას («იგი, ეს წვრილი ბურჟუაზია. ეს გლეხობა უნდა გამოეყოს

---

* ჩემი სიტყვები რომ არ გადაასხვაფერონ, დავასწრებ და ახლავე ვიტყვი: მე უცილობლად იმის მომხრე ვარ, რომ მოჯამაგირეთა და გლეხთა საბჭოებმა ახლავე აიღონ მთელი მიწა, მაგრამ სასტიკად უნდა დაიცვან თვითონვე წესრიგი და დისციპლინა, ოდნავი ზიანიც კი არ მიაყენონ შენობებს, შენობებს, პირუტყვს, არავითარ შემთხვევაში არ მოშალონ მეურნეობა და პურის წარმოება, პირიქით, უნდა გააძლიერონ იგი, რადგან ჯარისკაცებს **ერჯერ** მეტი პური ესაჭიროებათ, და არც ხალხი უნდა დაიმშეს.

ბურჟუაზიას ჯერ ისევ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებში»). ასეთი მარქსისტი იმ სასიამოვნო და ტკბილი მომავლის «შესაძლებლობის» გამო, როცა გლეხობა **აღარ** იქნება ბურჟუაზიის მაჩანჩალა, როცა სოციალისტ-რევოლუციონერები, ჩხეიძეები, წერეთლები, სტეკლოვები **აღარ** იქნებიან ბურჟუაზიული მთავრობის დანამატი, — ამ სასიამოვნო მომავლის «შესაძლებლობის» გამო ის დაივიწყებდა იმ **არასასიამოვნო აწმყოს,** როცა გლეხობა ჯერ კიდევ ბურჟუაზიის მაჩანჩალას წარმოადგენს, როცა სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ არ ანებებენ თავს ბურჟუაზიული მთავრობის დანამატის, «მისი უდიდებულესობის» [18] ლოვოის ოპოზიციის როლს.

ჩვენ მიერ ვარაუდით აღებული ადამიანი დაემსგავსებოდა ტკბილმოუბარ ლუი ბლანს, მოთაფლულ კაუცკელს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაემსგავსებოდა რევოლუციურ მარქსისტს.

მაგრამ იქნებ ჩვენ საფრთხე მოგველის ავყვეთ სუბიექტივიზმს, სურვილს, რომ დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის რევოლუციიდან, — რომელსაც გლეხთა მოძრაობა ჯერ კიდევ სავსებით არ გაუვლია, — სოციალისტურ რევოლუციაზე «გადავხტეთ»?

მე რომ მეთქვა: «უმეფოდ, მთავრობა კი მ უ შ უ რ ი» [19], — ეს საფრთხე მართლაც მოსალოდნელი იქნებოდა. მაგრამ მე ვთქვი **არა** ეს, არამედ სხვა რამ. მე ვთქვი, რომ რუსეთში სხვა მთავრობა (ბურჟუაზიულის გამოკლებით) შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, გ ა რ დ ა მუშათა, მოჯამაგირეთა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა. მე ვთქვი, რომ რუსეთში ძალაუფლება ახლა გუჩკოვისა და ლვოვისაგან შეიძლება გადავიდეს მ ხ ო ლ ო დ ამ საბჭოების ხელში, ამ საბჭოებში კი ს წ ო რ ე დ გლეხობა ჭარბობს, ჭარბობენ ჯარისკაცები, ჭარბობს წვრილი ბურჟუაზია, თუ ვიხმართ მეცნიერულ, მარქსისტულ ტერმინს, თუ მივმართავთ არა საყოფაცხოვრებო, არა ობივატელურ, არა პროფესიულ, არამედ კლასობრივ დახასიათებას.

ჩემს თეზისებში მე აბსოლუტურად დავიზღვიე თავი იმისაგან, რომ თავს გადავახტე გლეხთა ან საერთოდ წვრილბურჟუაზიულ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ მოძრაობას, თავი დავიზღვიე მუშური მთავრობის მიერ «ძალაუფლების ხელში ჩაგდების» ყოველგვარი თამაშისაგან, ყოველგვარი ბლანკისტური ავანტიურისაგან, რადგან მე პირდაპირ მივუთითე პარიზის კომუნის გამოცდილებაზე. ამ გამოცდილებამ კი, როგორც ვიცით და როგორც დაწვრილებით დაგვანახვა მარქსმა 1871 წელს და ენგელსმა 1891 წელს[20], სრულიად გამორიცხა ბლანკიზმი, სავსებით უზრუნველყო პირდაპირი, უშუალო, უეჭველი ბატონობა უმრავლესობისა და მასების აქტიურობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეგნებულად გამოდის თვით ეს უმრავლესობა.

თეზისებში საქმის ვითარება მე სრულიად გარკვევით განვსაზღვრე, როგორც ბრძოლა გავლენისათვის მუშათა, მოჯამაგირეთა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების **შიგნით.** რათა ეჭვის ნატამალიც კი არ დამეშვა ამ მხრივ, თეზისებში მე ორჯერ გავუსვი ხაზი იმას, რომ საჭიროა მოთმინებით, შეუპოვრად ვაწარმოოთ «მასების **პრაქტიკულ** მოთხოვნილებებთან შეგუებული» «ახსნა-განმარტებითი» მუშაობა.

უვიც ადამიანებს ან მარქსიზმის ისეთ რენეგატებს, როგორიც არიან ბ-ნი პლეხანოვი და სხვ., შეუძლიათ იყვირონ ანარქიზმზე, ბლანკიზმზე და სხვ.. ვისაც ფიქრი და სწავლა სურს, მას არ შეუძლია არ შეიგნოს, რომ ბლანკიზმი არის უმცირესობის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ხოლო მუშათა და სხვ. დეპუტატების საბჭოები — ეს არის ხალხის უმრავლესობის აშკარად გამოხატული პირდაპირი და უშუალო ორგანიზაცია. ის მუშაობა, რომელიც ასეთი საბჭოების შიგნით გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლის სახეს იღებს, არ შეიძლება, პირდაპირ არ შეიძლება ბლანკიზმის ჭაობში გადავარდეს. და ეს მუშაობა არც ანარქიზმის ჭაობში გადავარდება, რადგან ანარქიზმი არის უარყოფა სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელის-

უ ფ ლ ე ბ ი ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი ს ა ბურჟუაზიის ბატონობიდან პროლეტარიატის ბატონობაზე **გადასვლის** ეპოქისთვის. მე კი სრული სიცხადით, რაც შეუძლებლად ხდის ყოველგვარ გაუგებრობას, ვ ი ც ა ვ სახელმწიფოს საჭიროებას ამ ეპოქისათვის, მაგრამ, თანახმად მარქსისა და პარიზის კომუნის გამოცდილებისა, ვიცავ არა ჩვეულებრივ პარლამენტურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, არამედ ისეთი სახელმწიფოს საჭიროებას, რომელსაც ა რ ე ყ ო ლ ე ბ ა მუდმივი ჯარი, ხალხისადმი დაპირისპირებული პოლიცია და ხალხზე მაღლა მდგომი მოხელეობა.

თუ ბ-ნი პლეხანოვი მთელი ძალ-ღონით გაჰკივის თავის «ედინსტვოში» ანარქიზმის შესახებ, ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ მას მარქსიზმთან კავშირი გაწყვეტილი აქვს. ჩემს გამოწვევაზე «პრავდაში» (№ 26) — ეამბნა, თუ რას გვასწავლიდნენ მარქსი და ენგელსი სახელმწიფოს შესახებ 1871, 1872, 1875 წლებში *, ბ-ნი პლეხანოვი იძულებულია და იძულებული იქნება საკითხის არსებით მხარეზე დუმილით გვიპასუხოს ანდა ღრიანცელი მორთოს მსგავსად გაბოროტებული ბურჟუაზიისა.

მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ყოფილ მარქსისტს ბ-ნ პლეხანოვს ს რ უ ლ ი ა დ ვერ გაუგია. სხვათა შორის, ამ გაუგებლობის ჩანასახი ემჩნევა მის გერმანულ ბროშურასაც ანარქიზმის შესახებ [21].

* *
*

ახლა ვნახოთ, როგორ აყალიბებს ამხ. ი. კამენევი «პრავდის» 27-ე ნომერში მოთავსებულ შენიშვნაში თავის «უთანხმოებას» ჩემს თეზისებთან და ზემოაღნიშნულ შეხედულებებთან. ეს დაგვეხმარება უფრო ზუსტად გავერკვეთ ამ უთანხმოებაში.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 9. რ ე დ.

«რაც შეეხება ამხ. ლენინის საერთო სქემას, — წერს ამხ. კამენევი, — ის ჩვენ მიუღებლად გვეჩვენება, რამდენადაც ის გამოდის იმის აღიარებიდან, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია **დამთავრებულია** და ნავარაუდევია ამ რევოლუციის დაუყოვნებლივ გარდაქმნა სოციალისტურ რევოლუციად»...

აქ ორი დიდი შეცდომაა.

პირველი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის «დამთავრების» საკითხი სწორად არ არის დ ა ს მ უ ლ ი. ეს საკითხი ისე აბსტრაქტულად, მარტივად, ერთფეროვნად, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის დასმული, რაც ა რ შეეფერება ობიექტურ სინამდვილეს. ვინც ა ს ე აყენებს საკითხს, ვინც ა ხ ლ ა კითხულობს: «დამთავრებულია თუ არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაო» **და მეტი არაფერი,** — ის ისპობს შესაძლებლობას გაიგოს მეტისმეტად რთული, სულ ცოტა რომ ვთქვათ, «ორფეროვანი» სინამდვილე. ეს თეორიულად. პრაქტიკულად კი ის უმწეოდ ემორჩილება წ ვ რ ი ლ-ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო ბ ა ს.

მართლაც. სინამდვილე გვიჩვენებს ძალაუფლების ბურჟუაზიის ხელში გ ა დ ა ს ვ ლ ა ს ა ც («დამთავრებული» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩვეულებრივი ტიპისა) დ ა ამ ნამდვილი მთავრობის გვერდით მეორე მთავრობის ა რ ს ე ბ ო ბ ა ს ა ც, რომელიც წარმოადგენს «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას». ამ უკანასკნელმა «აგრეთვე-მთავრობამ» თ ვ ი-თ ო ნ დაუთმო ძალაუფლება ბურჟუაზიას, თ ვ ი თ ო ნ გამოება ბურჟუაზიულ მთავრობას.

მოიცავს თუ არა ამ სინამდვილეს ამხ. კამენევის ძველი ბოლშევიკური ფორმულა: «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არ არის დამთავრებული»?

არა, ფორმულა მოძველდა. ის ყოვლად უვარგისია. იგი მკვდარია. ამაოა მისი მკვდრეთით აღდგენის ცდა.

მეორე. პრაქტიკული საკითხია. გაურკვეველია, შეიძლება თუ არა ახლა რუსეთში არსებობდეს ბურჟუაზიულ მთავრობას მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი «რევოლუ-

ციურ-დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხობისა». ასეთ გაურკვეველ რამეზე მარქსისტული ტაქტიკის დამყარება შეუძლებელია.

მაგრამ თუ ეს კიდევ შეიძლება მოხდეს, ერთადერთი გზა აქეთკენ არის: დაუყოვნებლივი, გაბედული, უცილობელი გამოყოფა მოძრაობის პროლეტარული, კომუნისტური ელემენტებისა წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან.

რატომ?

იმიტომ, რომ აუცილებლობამ და არა შემთხვევამ აიძულა მთელი წვრილი ბურჟუაზია პირი ებრუნებინა შოვინიზმისაკენ (=ობორონცობისაკენ), ბურჟუაზიის «მხარდაჭერისაკენ», მისგან დამოკიდებულებისაკენ, ჰქონოდა შ ი შ ი, რომ უბურჟუაზიოდ იოლად ვერ წავა და სხვ. და ა. შ.

როგორ შეიძლება «წაუბიძგო» წვრილ ბურჟუაზიას ძალაუფლებისაკენ, თუ ამ წვრილ ბურჟუაზიას ამჟამად უკვე შეუძლია, მაგრამ ა რ ა ს უ რ ს აიღოს იგი?

ეს შეიძლება მხოლოდ პროლეტარული, კომუნისტური, პარტიის გამოყოფით, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლით, რომელიც **თავისუფალია** ამ წვრილი ბურჟუების სიმხდალისაგან. მხოლოდ საქმით და არა სიტყვიერად წვრილი ბურჟუაზიის გავლენისაგან თავისუფალი პროლეტარების შემჭიდროებას შეუძლია წვრილი ბურჟუაზიის ფეხქვეშ ისე «გაახუროს» ნიადაგი, რომ იგი განსაზღვრულ პირობებში ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ე ბ ა აიღოს ხელისუფლება; არც ის არის გამორიცხული, რომ გუჩკოვიც და მილიუკოვიც — ასევე განსაზღვრულ ვითარებაში — მიემხრობიან ჩხეიძის, წერეთლის, სოციალისტ-რევოლუციონერების, სტეკლოვის სრულხელისუფლებიანობას, ერთხელისუფლებიანობას, რადგან ყველა ესენი ხომ «ო ბ ო რ ო ნ ც ე ბ ი» არიან!

ვინც ახლავე, დაუყოვნებლივ და უცილობლად აცალკევებს საბჭოების პროლეტარულ ელემენტებს (ესე იგი პროლეტარულ, კომუნისტურ, პარტიას) წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან, იგი სწორად გამოხატავს მოძრაობის ინტერესებს ორსავე შესაძლებელ შემთხვევაში: ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ც,

თუ რუსეთს კვლავ მოუხდება განიცადოს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა», რომელიც არ დაემორჩილება ბურჟუაზიას, და ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ც, თუ წვრილი ბურჟუაზია ვერ შეძლებს ბურჟუაზიისაგან გამოყოფას და მუდამ (ესე იგი სოციალიზმამდე) იქანავებს ბურჟუაზიასა და ჩვენ შორის.

ვინც თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს მხოლოდ უბრალო ფორმულით «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არ დამთავრებულაო», ის ამით კისრულობს ერთგვარ გარანტიას იმისას, რომ წვრილბურჟუაზიას უთუოდ აქვს ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებელი არსებობის უნარი. ის ამით ამჟამად უმწეოდ ნებდება სამოწყალოდ წვრილ ბურჟუაზიას.

სხვათა შორის, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის «ფორმულის» შესახებ «ორ ტაქტიკაში» (1905 წ. ივლისი) სპეციალურად ხაზგასმით აღვნიშნავდი («12 წლის მანძილზე» [22], გვ. 435):

«პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას, როგორც ყველაფერს ქვეყნად, აქვს წარსული და მომავალი. მისი წარსულია თვითმპყრობელობა, ბატონყმობა, მონარქია, პრივილეგიები... მისი მომავალია — ბრძოლა კერძო საკუთრების წინააღმდეგ, დაქირავებული მუშის ბრძოლა მეპატრონესთან, ბრძოლა სოციალიზმისათვის»... *

ამხ. კამენევის შეცდომა ის არის, რომ იგი 1917 წელსაც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის მხოლოდ წ ა რ ს უ ლ ს უყურებს. ამ დიქტატურისათვის კი ს ა ქ მ ი თ უკვე დაიწყო მ ო მ ა ვ ა ლ ი, რადგან დაქირავებული მუშისა და წვრილი მეპატრონის ინტერესები და პოლიტიკა ს ა ქ მ ი თ უკვე დაშორდნენ ერთმანეთს, ამასთან ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიცაა «ობორონცობა», როგორიცაა იმპერიალისტური ომისადმი დამოკიდებულება.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 9, გვ. 90. რ ე დ.

აქაც მე მივადექი ამხ. კამენევის ზემომოყვანილ მსჯელობაში დაშვებულ მეორე შეცდომას. ის მისაყვედურებს, რომ ჩემი სქემა «ვარაუდობს» «ამ (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული) რევოლუციის დაუყოვნებლივ გარდაქმნას სოციალისტურ რევოლუციად».

ეს სწორი არ არის. მე არათუ არ «ვვარაუდობ» ჩვენი რევოლუციის «დაუყოვნებლივ გარდაქმნას» სოციალისტურ რევოლუციად, არამედ პირდაპირ ვაფრთხილებ ყველას ამის წინააღმდეგ, პირდაპირ ვაცხადებ მერვე თეზისში:... «ჩვენი უშუალო ამოცანაა **არა** სოციალიზმის «შემოღება»»... *

განა ცხადი არ არის, რომ ადამიანი, რომელიც ვარაუდობს ჩვენი რევოლუციის დაუყოვნებლივ გარდაქმნას სოციალისტურ რევოლუციად, ვერ გაილაშქრებდა სოციალიზმის შემოღების უშუალო ამოცანის წინააღმდეგ?

ეგ არაფერი. რუსეთში «სახელმწიფო-კომუნის» (ესე იგი პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფოს) «დაუყოვნებლივი» შემოღებაც კი შეუძლებელია, რადგან ამისთვის საჭიროა, რომ ყველა საბჭოს (ანდა მათი უმეტესობის) დეპუტატების უმრავლესობამ ცხადად შეიგნოს სოციალისტ-რევოლუციონერების, ჩხეიძის, წერეთლის, სტეკლოვის და სხვათა ტაქტიკისა და პოლიტიკის მთელი შეცდომა, მთელი მავნებლობა. მე კი სრულიად ზუსტად განვაცხადე, რომ ამ სფეროში «იმედი მაქვს» მხოლოდ «მოთმინებითი» განმარტებისა (განა იმისთვის მოთმინებაა საჭირო, რომ მიიღო ცვლილება, რომლის «დაუყოვნებლივ» განხორციელებაც შეიძლება?)!

ამხ. კამენევმა ცოტათი «მოუთმენლად» შეტოპა და პარიზის კომუნის შესახებ გაიმეორა ბურჟუაზიული ცრურწმენა, თითქოს მას «დაუყოვნებლივ» უნდოდა სოციალიზმის შემოღება. ეს ასე არ არის. კომუნა, სამწუხაროდ, მეტისმეტად აგვიანებდა სოციალიზმის შემოღებას. კომუნის ნამდვილი დედა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 6. რედ.

არსი ის კი არ არის, რასაც ჩვეულებრივად ეძებენ ხოლმე ბურჟუები, არამედ ის, რომ მან შექმნა სახელმწიფოს განსაკუთრებული ტიპი. რუსეთში კი ასეთი სახელმწიფო **უკვე** წარმოიშვა, ეს არის სწორედ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები!

ამბ. კამენევი არ დაუფიქრდა ფაქტს, არსებული საბჭოების მნიშვნელობას, მათს და კომუნის სახელმწიფოს იგივეობას ტიპითა და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათით და, ამ ფაქტის შესწავლის ნაცვლად, ლაპარაკი დაიწყო იმაზე, რასაც თითქოს მე «ვვარაუდობ», როგორც «დაუყოვნებელ» მომავალს. სამწუხაროდ, გამოვიდა მრავალი ბურჟუას ფანდის განმეორება: იმ კითხვიდან, თუ რა არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, თავისი ტიპის მიხედვით უფრო მაღლა დგანან ისინი პარლამენტურ რესპუბლიკაზე, უფრო სასარგებლოა თუ არა ისინი ხალხისათვის, უფრო დემოკრატიულია თუ არა ისინი, უფრო მოხერხებულია თუ არა ისინი ბრძოლისათვის, მაგალითად, უპურობასთან და სხვა, ამ საარსებო, რეალური, ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებული კითხვიდან ყურადღება გადააქვთ სხვა რამეზე, ფუჭ, ვითომმეცნიერულ, ნამდვილად კი უშინაარსო, მკვდარ პროფესორულ საკითხზე — «დაუყოვნებლივი გარდაქმნის იმედზე».

უშინაარსო, ყალბად დაყენებული საკითხია. მე «იმედი მაქვს» მხოლოდ იმისა, მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მუშები, ჯარისკაცები და გლეხები მოხელეებზე, პოლიციელებზე უკეთ გაართმევენ თავს პრაქტიკულ ძნელ საკითხებს პურის წარმოების გაძლიერების, მისი უკეთ განაწილების, ჯარისკაცების უკეთ უზრუნველყოფის და სხვ. და სხვ. შესახებ.

მე უაღრესად დარწმუნებული ვარ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები უფრო ჩქარა და უკეთესად განახორციელებენ ხალხის მასის დამოუკიდებლობას, ვიდრე პარლამენტური რესპუბლიკა (ორივე ტიპის სახელმწიფოს შედარება უფრო დაწვრილებით მეორე წერილში გვექნება).

საბჭოები უკეთ, უფრო პრაქტიკულად, უფრო სწორად გადაწყვეტენ, როგორ და სახელდობრ რა **ნაბიჯები** უნდა გადავდგათ სოციალიზმისაკენ. ბანკის კონტროლი, ყველა ბანკის შეერთება ერთ ბანკად, ეს კიდევ არ არის სოციალიზმი, მაგრამ სოციალიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯი კი არის. ასეთ ნაბიჯებს დღეს ხალხის წინააღმდეგ დგამს იუნკერი და ბურჟუა გერმანიაში. ასეთ ნაბიჯებს ხვალ უკეთ გადადგამს ხალხის სასარგებლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, თუ მის ხელში იქნება მთელი სახელმწიფო ძალაუფლება.

რა **გვაიძულებს** ასეთი ნაბიჯების გადადგმას?

შიმშილი. მეურნეობის მოშლა. მოახლოებული კრახის საფრთხე. ომის საშინელებანი. კაცობრიობისათვის ომის მიერ მიყენებული ჭრილობების საშინელებანი.

ამხ. კამენევი თავის შენიშვნას ამთავრებს განცხადებით, რომ «ფართო დისკუსიის დროს მას იმედი აქვს დაიცვას თავისი, როგორც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვის ერთადერთი შესაძლებელი თვალსაზრისი, რამდენადაც სოციალ-დემოკრატიას სურს ბოლომდე დარჩეს და უნდა დარჩეს კიდეც პროლეტარიატის რევოლუციური მასების პარტიად და არ გადაიქცეს პროპაგანდისტ-კომუნისტების ჯგუფად».

ჩემი აზრით, ამ სიტყვებში ჩანს მომენტის უაღრესად შემცდარი შეფასება. ამხ. კამენევი «მასების პარტიას» უპირისპირებს «პროპაგანდისტების ჯგუფს». მაგრამ «მასებს» ხომ სწორედ ახლა მოედო «რევოლუციური» ობორონცობის თავბრუდახვევა. განა ინტერნაციონალისტებისთვისაც უფრო საკადრისი არ არის ასეთ მომენტში გაუმკლავდნენ ამ «მასობრივ» თავბრუდახვევას, ვიდრე მასებთან «დარჩენის სურვილი» გამოიჩინონ, ესე იგი დაემორჩილონ ამ საერთო სენს? განა ევროპის ყველა მეომარ ქვეყანაში არ დავინახეთ, როგორ იმართლებდნენ თავს შოვინისტები «მასებთან დარჩენის» სურვილით? განა სავალდებულო არ არის განსაზღვრული დროის მანძილზე უმცირესობაში ყოფნა «მასობრივი» თავბრუდახვევის წინააღმდეგ? განა სწორედ პროპაგანდისტების

მუშაობა სწორედ დღევანდელ მომენტში არ წარმოადგენს ცენტრალურ პუნქტს პროლეტარული ხაზის გასათავისუფლებლად «მასობრივი» ობორონცული და წვრილბურჟუაზიული თავბრუდახვევისაგან? სწორედ პროლეტარული და არაპროლეტარული მასების შედუღება, მასების შიგნით კლასობრივი განსხვავების განურჩევლად, ობორონცული სენის ერთ-ერთი პირობა გახდა. პროლეტარული ხაზის «პროპაგანდისტთა ჯგუფზე» ზიზღით ლაპარაკი, მგონი, მაინცდამაინც საკადრისი არ უნდა იყოს.

დაწერილია 1917 წ.
8 და 13 (21 და 26) აპრილს შუა

დაიბეჭდა 1917 წ. აპრილში
ცალკე ბროშურად «პრიბოის»
გამომცემლობაში

იბეჭდება
ბროშურის ტექსტის მიხედვით

პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში

(პროლეტარული პარტიის პლატფორმის პროექტი)

პირველად დაიბეჭდა 1917 წ.
სექტემბერში ცალკე ბროშურად
«პრიბოის» გამომცემლობაში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით



ჭარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა
«პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში».—1917 წ.
დაპატარავებული

ისტორიული მომენტი, რომელსაც რუსეთი განიცდის, ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

მოკმხდარი რევოლუციის კლასოგბრივი ხასიათი

1. მეფის ძველი ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ ერთ მუჭა მებატონე-მემამულეებს და მბრძანებლობდა მთელ სახელმწიფო მანქანას (ჯარს, პოლიციას, მოხელეობას), დამარცხებული და გადაყენებულია, მაგრამ მთლად განადგურებული არ არის. მონარქია ფორმალურად არ არის მოსპობილი. რომანოვების ხროვა განაგრძობს მონარქისტულ ინტრიგებს. მებატონე-მემამულეთა უზარმაზარი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია არ მომხდარა.

2. სახელმწიფო ძალაუფლება რუსეთში გადავიდა ახალი კ ლ ა ს ი ს ხელში, სახელდობრ: ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეების ხელში. ა მ დ ე ნ ა დ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში დამთავრებულია.

ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ბურჟუაზიამ ბლოკი (კავშირი) შეკრა აშკარა მონარქისტულ ელემენტებთან, რომლებმაც 1906 — 1914 წლებში თავი ისახელეს იმით, რომ გაუგონარი გულმოდგინებით დაუჭირეს მხარი ნიკოლოზ-სისხლისმსმელსა და ჯალათ-სტოლიპინს (გუჩკოვი და კადეტებზე უფრო მარჯვნივ მდგომი დანარჩენი პოლიტიკოსები). ლეოვისა და კომპანიის ახალმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ სცადა და გამართა კიდეც მოლაპარაკება რომანოვებთან რუსეთში მონარქიის აღდგენის შესახებ. რევოლუციური ფრა-

ზის კორიანტელში ეს მთავრობა საკომანდო ადგილებზე ნიშნავს ძველი წესწყობილების მომხრეებს. ეს მთავრობა ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად გარდაქმნას სახელმწიფო მანქანის მთელი აპარატი (ჯარი, პოლიცია, მოხელეობა), ჩაუგდო რა იგი ხელში ბურჟუაზიას. ახალმა მთავრობამ უკვე დაუწყო ყოველნაირად ხელის შეშლა მასობრივ მოქმედებათა რევოლუციურ თაოსნობას და ხალხის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ქვემოდან, რაც ერთადერთი გარანტიაა რევოლუციის ნამდვილი წარმატებისა.

დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა ამ მთავრობას ჯერაც არ დაუნიშნავს. მემამულურ მიწათმფლობელობას, ბატონყმური ცარიზმის ამ მატერიალურ საფუძველს, იგი ხელს არ ახლებს. ამ მთავრობას ფიქრადაც არ მოსდის შეუდგეს კაპიტალისტთა მონოპოლისტური ფინანსური ორგანიზაციების, მსხვილი ბანკების, სინდიკატების, კარტელებისა და სხვათა მოქმედების გამოძიებას, გამომზეურებას და კონტროლს.

ყვავლაზე მთავარი, გადამწყვეტი სამინისტრო პოსტები ახალ მთავრობაში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამხედრო სამინისტრო, ე. ი. მბრძანებლობა ჯარისა, პოლიციისა, მოხელეობისა, მასების ჩაგვრის მთელი აპარატისა) აშკარა მონარქისტების და მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის მომხრეთა ხელშია. კადეტებს, გუშინდელ რესპუბლიკელებს, ძალაუნებურად რესპუბლიკელებს, დათმობილი აქვთ მეორეხარისხოვანი პოსტები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ხალხზე მბრძანებლობასთან და სახელმწიფო ხელისუფლების აპარატთან. ა. კერენსკი, ტრუდოვიკების წარმომადგენელი და «ვითომ-სოციალისტი», სრულიად არავითარ როლს არ ასრულებს, გარდა იმისა, რომ მყვირალა ფრაზებით აძინებს ხალხის სიფხიზლესა და გულისყურს.

ყველა ამ მიზეზის გამო შინაური პოლიტიკის სფეროშიც კი ახალი ბურჟუაზიული მთავრობა პროლეტარიატის მხრივ არავითარი ნდობის ღირსი არ არის, და ამ მთავრობის რაიმე მხარდაჭერა მისი მხრივ შეუწყნარებელია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

3. საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომელიც ახლა ობიექტური პირობების გამო პირველ ადგილზეა წამოყენებული, ახალი მთავრობა წარმოადგენს იმპერიალისტური ომის განგრძობის მთავრობას, ომისა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან — ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვებთან კავშირში კაპიტალისტური ნადავლის გასაყოფად და პატარა, სუსტი ერების ჩასახრჩობად.

მიუხედავად სურვილებისა, რომლებიც სრულიად გარკვეულადაა გამოთქმული რუსეთის ხალხთა აშკარა უმრავლესობის სახელით ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს მეშვეობით, ახალმა მთავრობამ, რომელიც რუსეთის კაპიტალის და მისი ძლიერი მფარველისა და ბატონ-პატრონის — მთელ მსოფლიოში უმდიდრესი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალის ინტერესებს ემორჩილება, კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის არავითარი რეალური ნაბიჯი არ გადადგა ხალხთა ხოცვა-ჟლეტის შესაწყვეტად. მან არც კი გამოაქვეყნა აშკარა მძარცველური შინაარსის ის საიდუმლო ხელშეკრულებანი (სპარსეთის გაყოფის, ჩინეთის გაძარცვის, თურქეთის გაძარცვის, ავსტრიის გაყოფის, აღმოსავლეთ პრუსიის წართმევის, გერმანიის კოლონიების წართმევისა და სხვ. შესახებ), რომლებიც ცხადად აკავშირებენ რუსეთს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ მძარცველურ კაპიტალთან. ახალმა მთავრობამ დ ა ა დ ა ს ტ უ რ ა ეს ხელშეკრულებანი, დადებული ცარიზმის მიერ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში უფრო მეტ ხალხებს ძარცვავდა და ჩაგრავდა, ვიდრე სხვა ტირანები და დესპოტები, — იმ ცარიზმის მიერ, რომელიც არათუ ჩაგრავდა, არამედ პირდაპირ არცხვენდა და რყვნიდა ველიკოროს ხალხს, სხვა ხალხთა ჯალათად ხდიდა მას.

ახალმა მთავრობამ დაადასტურა ეს სამარცხვინო, ყაჩაღური ხელშეკრულებანი, დაუყოვნებლივი დროებითი ზავი არ შესთავაზა ყველა მეომარ ხალხს მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხალხთა უმრავლესობამ, მუშათა და ჯარისკაცთა

დეპუტატების საბჭოს პირით, ნათლად მოითხოვა ეს. დროებითი მთავრობა დასჯერდა საზეიმო, მყვირალა, საპარადო, მაგრამ სრულიად უშინაარსო დეკლარაციებსა და ფრაზებს, რომლებსაც ყოველთვის მიმართავდნენ და მიმართავენ ხოლმე ბურჟუაზიის დიპლომატები დაჩაგრული ხალხის დანდობილი და გულუბრყვილო მასების მოსატყუებლად.

4. ამიტომ ახალი მთავრობა არათუ მცირედი ნდობის ღირსიც არ არის საგარეო პოლიტიკის სფეროში, არამედ მისდამი კვლავ მოთხოვნის წარდგენაც კი იმის შესახებ, რომ მან ქვეყანას ამცნოს რუსეთის ხალხთა მისწრაფება ზავისაკენ, რომ მან ხელი აიღოს ანექსიებზე და სხვ. და სხვ., ნამდვილად მხოლოდ ხალხის მოტყუებაა, მისთვის განუხორციელებელი იმედების ჩანერგვაა, მისი გონებრივი გამოფხიზლების შეფერხებაა, მისი არაპირდაპირი შერიგებაა იმ ომის განგრძობასთან, რომლის ჭეშმარიტი სოციალური ხასიათი განისაზღვრება არა კეთილი სურვილებით, არამედ ომის მაწარმოებელი მთავრობის კლასობრივი ხასიათით, იმ კავშირით, რომელიც ამ მთავრობის მიერ წარმოდგენილ კლასს აქვს რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. იმპერიალისტურ ფინანსურ კაპიტალთან, *იმ ნამდვილი რეალური პოლიტიკით*, რომელსაც ეს კლასი აწარმოებს.

თავისებური ორხელისუფლებიანობა და მისი კლასობრივი მნიშვნელობა

5. ჩვენი რევოლუციის ყველაზე მთავარი თავისებურება, რომელიც ყველაზე უფრო დაჟინებით მოითხოვს მისდამი მოფიქრებულ მოპყრობას, ეს არის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე შექმნილი *ორხელისუფლებიანობა*.

ეს ორხელისუფლებიანობა იმაში გამოიხატება, რომ არსებობს *ორი* მთავრობა: მთავარი, ჭეშმარიტი, ნამდვილი მთავრობა ბურჟუაზიისა, ლვოვისა და კომპანიის «დროებითი მთავრობა», რომელსაც ხელთ უპყრია ხელისუფლების ყველა ორგანო, და დამატებითი, გვერდით მდგომი, «კონტროლის

გამწევი» მთავრობა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით, რომელსაც არ უპყრია ხელთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მაგრამ რომელიც უშუალოდ ეყრდნობა ხალხის აშკარა უცილობელ უმრავლესობას, შეიარაღებულ მუშებსა და ჯარისკაცებს.

ამ ორხელისუფლებიანობის კლასობრივი წყარო და კლასობრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის 1917 წლის მარტის რევოლუციამ არათუ სრულიად აღგავა მეფის მონარქია, არათუ გადასცა მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიას, არამედ იგი პირისპირ მიადგა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას. სწორედ ასეთ დიქტატურას (ე. ი. ხელისუფლებას, რომელიც ეყრდნობა არა კანონს, არამედ მოსახლეობის შეიარაღებული მასების უშუალო ძალას) და სწორედ დასახელებული კლასების დიქტატურას წარმოადგენენ პეტროგრადისა და სხვა, ადგილობრივი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

6. რუსეთის რევოლუციის შემდგომი, უაღრესად მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობის ნდობით სარგებლობს, ნებაყოფლობით უთმობს სახელმწიფო ძალაუფლებას ბურჟუაზიას და მის დროებითს მთავრობას, ნებაყოფლობით უთმობს მას პირველობას, დებს რა მასთან შეთანხმებას, რომ მხარს დაუჭერს მას, სჯერდება ზედამხედველის, კონტროლიორის როლს დამფუძნებელი კრების მოწვევის საქმეში (რომლის მოწვევის ვადაც დროებით მთავრობას დღემდე არ გამოუქვეყნებია).

ამ მეტისმეტად თავისებურმა, ისტორიაში ამ ფორმით ჯერ უნახავმა გარემოებამ შექმნა ამ ორი დიქტატურის გადახლართვა ერთმანეთში, ერთ მთლიანობად: ბურჟუაზიის დიქტატურისა (ვინაიდან ლვოვისა და კომპანიის მთავრობა დიქტატურაა, ე. ი. ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც ეყრდნობა არა კანონს და არა ხალხის ნების წინასწარ

გამოთქმას, არამედ ძალით დაპყრობას, ამასთან ეს დაპყრობა განახორციელა განსაზღვრულმა კლასმა, სახელდობრ: ბურჟუაზიამ) და პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურისა (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო).

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი «გადახლართვა» დიდხანს ვ ე რ ი ა რ ს ებ ე ბ ს. სახელმწიფოში შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ორი ხელისუფლება. ერთი მათგანი უნდა მოისპოს, და რუსეთის მთელი ბურჟუაზია ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს, ყოველგვარ საშუალებას მიმართავს ყველგან, რათა თავიდან მოიშოროს, დააუძლუროს და არარად აქციოს ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოები, შექმნას ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობა.

ორხელისუფლებიანობა გამოხატავს მხოლოდ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ მომენტს რევოლუციის განვითარებაში, როდესაც ეს რევოლუცია გასცილდა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, მ ა გ რ ა მ ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ მ ი ს უ ლ ა პროლეტარიატისა და გლეხობის «წმინდა» დიქტატურამდე.

ამ გარდამავალი მერყევი მდგომარეობის კლასობრივი მნიშვნელობა (და კლასობრივი განმარტება) მდგომარეობს შემდეგში: როგორც ყოველმა რევოლუციამ, ჩვენმა რევოლუციამაც მოითხოვა უდიდესი გმირობა, მასის თავგანწირვა ცარიზმთან ბრძოლისათვის და ამასთანავე ერთბაშად ჩ ა ი თ რ ი ა მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი ობივატელების გაუგონრად დიდი რაოდენობა.

ყ ო ვ ე ლ ი ნამდვილი რევოლუციის ერთ-ერთი უმთავრესი, მეცნიერული და პრაქტიკულ-პოლიტიკური ნიშანი ის არის, რომ არაჩვეულებრივ სწრაფად, მკვეთრად, მძაფრად იზრდება იმ «ობივატელთა» რიცხვი, რომელნიც აქტიური, დამოუკიდებელი, ქმედითი მონაწილეობის მიღებას იწყებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ო წ ყ ო ბ ა შ ი.

ასეა რუსეთშიც. რუსეთი ახლა დუღს. მილიონობით და ათეული მილიონობით ხალხმა, რომელსაც ათი წელი ეძინა

პოლიტიკურად, რომელიც პოლიტიკურად დაბეჩავებული იყო ცარიზმის საშინელი უღლით და კატორღული შრომით მემამულეებისა და მეფაბრიკების სასარგებლოდ, გ ა მ ო ი ღ ვ ი ძ ა დ ა პოლიტიკას დ ა ე წ ა ფ ა. მერე ვინ არიან ეს მილიონები და ათეული მილიონები? მეტ წილად წვრილი მეპატრონენი, წვრილი ბურჟუები, ადამიანები, რომელნიც კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შუა დგანან. რუსეთი ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა.

უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე.

ცხოვრებაში წვრილი ბურჟუაზია დამოკიდებულია ბურჟუაზიაზე, ცხოვრობს ისე, როგორც მეპატრონე, და არა ისე, როგორც პროლეტარი (იმ აზრით, თუ რა ა დ გ ი ლ ი უჭირავს საზოგადოებრივ წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი), და თავისი შეხედულებებითაც ბურჟუაზიას მისდევს.

მიმნდობ-შეუგნებელი დამოკიდებულება კაპიტალისტებისადმი, მშვიდობისა და სოციალიზმის ამ ყველაზე უარესი მტრებისადმი, — აი რა ახასიათებს მ ა ს ე ბ ი ს თანამედროვე პოლიტიკას რუსეთში, აი რა ა ღ მ ო ც ე ნ დ ა რევოლუციური სისწრაფით ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ევროპული ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ნიადაგზე. აი კ ლ ა ს ობ რ ი ვ ი საფუძველი «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა» (ხაზს ვუსვამ, რომ მხედველობაში მაქვს არა იმდენად ფორმალური შეთანხმება, რამდენადაც ფ ა ქ ტ ი უ რ ი მხარისდაჭერა, ჩუმი შეთანხმება, ძალაუფლების მიმნდობ-შეუგნებელი დათმობა) დროებით მთავრობასა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შორის, — შეთანხმებისა, რამაც გუჩკოვებს არგუნა მსუქანი ლუკმა, ნამდვილი ძალაუფლება, საბჭოს კი — დაპირებები, პატივი (დროებით), პირმოთნეობა, ფრაზები, დარწმუნებანი, კერენსკების მილოქუცება.

რუსეთში პროლეტარიატის რიცხვის სიმცირე, მისი არასაკმაო შეგნებულობა და დარაზმულობა — აი მეორე მხარე იმავე მედლისა.

ყველა ნაროდნიკული პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერების ჩათვლით, ყოველთვის წვრილბურჟუაზიული იყო; ასეთივეა ორგანიზაციული კომიტეტის პარტიაც (ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.); უპარტიო რევოლუციონერებიც (სტეკლოვი და სხვ.) ასევე დაემორჩილნენ ამ ტალღას ან ვერ დაძლიეს, ვერ მოასწრეს დაეძლიათ ეს ტალღა.

ზემომოყვანილიდან გამომდინარე თავისებურება ტაქტიკისა

7. ფაქტიური მდგომარეობის ზემოაღნიშნული თავისებურებიდან გამომდინარეობს მარქსისტისათვის, — რომელიც ანგარიშს უნდა უწევდეს ობიექტურ ფაქტებს, მასებსა და კლასებს, და არა პიროვნებებს და სხვ., — სავალდებულო თავისებურება მ ი მ დ ი ნ ა რ ე მომენტის ტაქტიკისა.

ეს თავისებურება პირველ რიგში აყენებს «რევოლუციურ-დემოკრატიული ფრაზების დაშაქრულ წყალში ძმრისა და ნაღველის შერევას» (როგორც მეტად მოსწრებულად თქვა ჩემმა ამხანაგმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ, თეოდოროვიჩმა, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის ყრილობის გუშინდელ სხდომაზე პიტერში). ეს არის კრიტიკული მუშაობა, სოციალისტ-რევოლუციონერების და სოციალ-დემოკრატების წვრილბურჟუაზიული პარტიების შეცდომათა ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა, შ ე გ ნ ე ბ უ ლ-პროლეტარული, კომუნისტური პარტიის ელემენტების მომზადება და შეკავშირება, პროლეტარიატის გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა «საერთო» წვრილბურჟუაზიული თავბრუდახვევისაგან.

ეს «მხოლოდ» გ ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა პროპაგანდისტულ მუშაობად. ნამდვილად კი ეს უაღრესად პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მუშაობაა, რადგან წინ ვერ წასწევ რევოლუციას, რომელიც შეჩერდა, გაიგუდა ფრაზით, «ერთ

ადგილს» ტკეპნის არა გარეშე დაბრკოლებათა გამო, არა ბურჟუაზიის მხრივ ძალადობის გამო (გუჩკოვი ჯერ მხოლოდ იმუქრება, ძალადობას მივმართავ ჯარისკაცთა მასის წინააღმდეგო), არამედ მასების მიმნდობი შეუგნებლობის გამო.

მხოლოდ ამ მიმნდობ შეუგნებლობასთან ბრძოლით (მასთან ბრძოლა კი შესაძლებელია და უნდა წარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ იდეურად, ამხანაგური დარწმუნებით, ცხოვრების გამოცდილებაზე მითითებით) შეგვიძლია გავთავისუფლდეთ გაბატონებული რევოლუციური ფრაზის თარეშისაგან და მართლაც წინ წავწიოთ როგორც პროლეტარული შეგნება, ისე მასების შეგნებაც, მათი გაბედული გადამწყვეტი ინიციატივა ადგილებზე, თვითნებური განხორციელება, განვითარება და განმტკიცება თავისუფლებათა, დემოკრატიისა, მთელი მიწის საყოველთაო-სახალხო მფლობელობის პრინციპისა.

8. ბურჟუაზიული და მემამულური მთავრობების მსოფლიო გამოცდილებამ გამოიმუშავა ორი საშუალება ხალხის ჩაგვრის შენარჩუნებისა. პირველია ძალმომრეობა. ნიკოლოზ რომანოვმა I—ნიკოლოზ პალკინმა, და ნიკოლოზ II—სისხლისმსმელმა დაანახვეს რუს ხალხს ასეთი, ჯალათური, საშუალების შესაძლებლობისა და შეუძლებლობის მაქსიმუმი. მაგრამ არის მეორე საშუალება, რომელიც ყველაზე უკეთ დამუშავებულია მასების მთელი რიგი დიდი რევოლუციებისა და რევოლუციურ მოძრაობათა წყალობით «ჭკუანასწავლ» ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ. ეს არის მოტყუების, მლიქვნელობის, ფრაზების, მილიონ დაპირებათა, წვრილმან მოწყალებათა, უმნიშვნელოს დათმობისა და მნიშვნელოვანის შენარჩუნების საშუალება.

რუსეთში მომენტის თავისებურებაა — თავბრუდამხვევი სწრაფი გადასვლა პირველი საშუალებიდან მეორეზე, ხალხის მიმართ ძალადობიდან ხალხისადმი მლიქვნელობაზე, დაპირებებით მის მოტყუებაზე. ციცუნია კატა კი ყურს უგდებს და შეექცევა. მილიუკოვსა და გუჩკოვს ხელთ უპყრიათ

ძალაუფლება, ისინი იცავენ კაპიტალის მოგებას, აწარმოებენ იმპერიალისტურ ომს რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის სასარგებლოდ, — და თავს იძვრენენ დაპირებებით, დეკლამაციით, ეფექტიანი განცხადებებით ისეთ «მზარეულთა» სიტყვების საპასუხოდ, როგორიც არიან ჩხეიძე, წერეთელი, სტეკლოვი, რომლებიც იმუქრებიან, არცხვენენ, აფიცებენ, ემუდარებიან, მოითხოვენ, აღიარებენ... ციცუნია კატა კი ყურს უგდებს და შეექცევა.

და დღითი დღე ეს მიმნდობი შეუგნებლობა და შეუგნებელი მიმნდობლობა გაქრება, განსაკუთრებით პროლეტარებისა და უ ღ ა რ ი ბ ე ს ი გლეხების მხრივ, რომელთაც ცხოვრება (მათი საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა) ასწავლის — არ დაუჯერონ კაპიტალისტებს.

წვრილი ბურჟუაზიის ბელადებმა «უნდა» ასწავლონ ხალხს ბურჟუაზიისადმი ნდობა. პროლეტარებმა უნდა ასწავლონ მას უნდობლობა.

რევოლუციური ობორონცობა და მისი კლასობრივი მნიშვნელობა

9. იმ წვრილბურჟუაზიული ტალღის ყველაზე დიდ, ყველაზე მკვეთრ გამოვლინებად, რომელმაც «თითქმის ყველაფერი» წალეკა, უნდა მივიჩნიოთ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ო ბ ო რ ო ნ ც ო ბ ა. სწორედ ესაა უბოროტესი მტერი რუსეთის რევოლუციის შემდგომი წინსვლისა და წარმატებისა.

ვინც ამ პუნქტში დათმო და თავი ვერ გაითავისუფლა, — ის რევოლუციისათვის დაღუპულია. მაგრამ მასები სხვანაირად თმობენ, ვიდრე ბელადები, და ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ ვ ე, განვითარების სხვანაირი მსვლელობით, სხვანაირი საშუალებით თავისუფლდებიან.

რევოლუციური ობორონცობა არის, ერთი მხრივ, ბურჟუაზიის მიერ მასების მოტყუების ნაყოფი, გლეხებისა და მუშების ერთი ნაწილის მიმნდობი შეუგნებლობის ნაყოფი; მეორე მხრივ — იმ წვრილი მეპატრონის ინტერესებისა და თვალსაზრისის გამოხატულება, რომელიც რამდენადმე დაინ-

ტერესებულია ანექსიებით და საბანკო მოგებით და რომელიც «წმინდად» იცავს ცარიზმის ტრადიციებს, ველიკოროსებს რომ რყვნიდა სხვა ხალხებზე ჯალათობით.

ბურჟუაზია ატყუებს ხალხს, ის იყენებს რევოლუციით გამოწვეულ კეთილშობილური სიამაყის გრძნობას და საქმეს ისე გვიხატავს; თითქოს ომის ს ო ც ი ა ლ უ რ-პ ო ლ ი ტ ი-კ უ რ ი ხასიათი რუსეთის მხრივ შეიცვალა რევოლუციის ამ ეტაპის გამო, მეფის მონარქიის გუჩკოვ-მილიუკოვის თითქმის რესპუბლიკით შეცვლის გამო. და ხალხმაც დაიჯერა — დროებით — უმთავრესად იმ ძველ ცრურწმენათა წყალობით, რაც აიძულებს მას რუსეთის ყველა სხვა ხალხში, გარდა ველიკოროსებისა, დაინახოს ამ ველიკოროსების რაღაც საკუთრების ან მამულ-დედულის მსგავსი რამ. ის საზიზღარი გარყვნა ველიკოროსი ხალხისა ცარიზმის მიერ, რომელიც მას ასწავლიდა სხვა ხალხებში დაენახა რაღაც მდაბალი, რაღაც ისეთი რამ, რაც ველიკოროსიას «უფლებით» ეკუთვნის, ასე ე რ თ ბ ა-შ ა დ ვერ გაიფანტებოდა.

ჩვენ უნდა შეგვწევდეს უ ნ ა რ ი განვუმარტოთ მასებს, რომ ომის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი განისაზღვრება არა პიროვნებათა და ჯგუფთა, თუნდაც ხალხთა «კეთილ ნება-სურვილით», არამედ იმ კ ლ ა ს ი ს მდგომარეობით, რომელიც ომს აწარმოებს, კლასის იმ პ ო ლ ი ტ ი კ ი თ, რომლის განგრძობასაც ომი წარმოადგენს, კაპიტალის, როგორც თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიური ძალის, კ ა ვ შ ი რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ, საერთაშორისო კაპიტალის ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი თ, ფინანსური, საბანკო საქმის, დიპლომატიური მხრივ რუსეთის დამოკიდებულებით ინგლისსა და საფრანგეთზე და სხვა. ა დ ვ ი ლ ი ა რ ა რ ი ს მოხერხებულად, მასებისათვის გასაგებად ამის ახსნა-განმარტება, შეუმცდარად ამას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეძლებდა ერთბაშად.

მაგრამ ჩვენი პროპაგანდის მიმართულება ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შინაარსი ასეთი და მხოლოდ ასეთი უნდა იყოს. ოდნავი დათმობაც კი რევოლუციური ობორონცობი-

სათვის — ღალატია სოციალიზმისა, სრული უარყოფაა ინტერნაციონალიზმისა, რა ლამაზი ფრაზებით, რა «პრაქტიკული» მოსაზრებებითაც უნდა ამართლებდნენ ამას.

ლოზუნგი «ძირს ომი», რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ის არ უწევს ანგარიშს მომენტის ამოცანების თავისებურებას, ფართო მასებთან სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობას. ჩემი აზრით, ეს ლოზუნგი წააგავს ლოზუნგს «ძირს მეფე», რომლითაც «დალოცვილი ძველი დროის» მოუხერხებელი აგიტატორი უბრალოდ, პირდაპირ მიდიოდა სოფლად — და ცემით უმასპინძლდებოდნენ. რევოლუციური ობორონცობის მასობრივი წარმომადგენლები კეთილსინდისიერნი არიან, — არა პირადად, არამედ კლასობრივად, ე. ი. ისინი ეკუთვნიან ისეთ კლასებს (მუშები და უღარიბესი გლეხები), რომლებიც ანექსიებითა და სხვა ხალხთა ჩახშობით მართლაც ვერაფერს იგებენ. სულ სხვაა ბურჟუები და ბატონი «ინტელიგენტები», რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ შეუძლებელია ანექსიების უარყოფა, თუ კაპიტალის ბატონობა არ უარყავი, და რომლებიც უსინდისოდ ატყუებენ მასებს ლამაზი ფრაზებით, უზომო აღთქმებით, ურიცხვი დაპირებებით.

ობორონცობის მასობრივი წარმომადგენელი საქმეს უბრალოდ, ობივატელურად უყურებს: «მე არ მსურს ანექსიები, მაგრამ ჩემზე «მოიწევს» გერმანელი, მაშასადამე, მე ვიცავ მართალ საქმეს და არა რაღაც იმპერიალისტურ ინტერესებსო». ასეთ ადამიანს დაუღალავად უნდა განვუმარტოთ, რომ საქმე მის პირად სურვილებში კი არა, არამედ მასობრივ, კლასობრივ, პოლიტიკურ ურთიერთობასა და პირობებშია, იმაში, რომ ომი დაკავშირებულია კაპიტალის ინტერესებთან და ბანკების საერთაშორისო ქსელთან და სხვა. მხოლოდ ასეთი ბრძოლა ობორონცობასთან შეიძლება იყოს სერიოზული და გვიქადის გამარჯვებას, — შეიძლება, ძალიან სწრაფს არა, მაგრამ ნამდვილსა და მტკიცე გამარჯვებას.

როგორ შეიძლება დავამთავროთ ომი?

10. ომის დამთავრება «სურვილისამებრ» შეუძლებელია. მისი დამთავრება შეუძლებელია ერთი მხარის გადაწყვეტილებით. მისი დამთავრება შეუძლებელია «ხიშტის მიწაში ჩარჭობით», როგორც ერთმა ობორონეცმა ჯარისკაცმა თქვა.

ომის დამთავრება შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტების «შეთანხმებით», ყველა ქვეყნის პროლეტარების «გამოსვლით», ხალხთა «ნება-სურვილით» და სხვ. — ყველა ამგვარი ფრაზა, რომლებითაც სავსეა ობორონცული, ნახევრადობორონცული, ნახევრადინტერნაციონალისტური გაზეთების სტატიები და აგრეთვე აურაცხელი რეზოლუციები, მოწოდებები, მანიფესტები, ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს რეზოლუციები, — ყველა ეს ფრაზა მხოლოდ წვრილი ბურჟუების უშინაარსო, უვნებელი, კეთილი სურვილებია და სხვა არაფერი. არაფერია ისე მავნებელი, როგორც ამგვარი ფრაზები «ზავისადმი ხალხთა ნება-სურვილის გამომჟღავნების» შესახებ, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლის რ ი გ ი ს შესახებ (რუსეთის პროლეტარიატის შემდეგ «რიგი» გერმანიის პროლეტარიატისაა) და სხვა. ყველაფერი ეს ლუიბლანელობაა, ტკბილი ოცნება, «პოლიტიკური კამპანიობის» თამაშია, საქმით ციცუნია კატის არაკის განმეორებაა.

ომი მტაცებელი კაპიტალისტების ბოროტი ნებით კი არ წარმოშობილა, თუმცა იგი, უცილობლად, მ ხ ო ლ ო დ მათი ინტერესებისათვის წარმოებს, მხოლოდ მათ ამდიდრებს. ომი წარმოშობილია მსოფლიო კაპიტალის ნახევარსაუკუნოვანი განვითარებით, მილიარდობით მისი ქსელისა და კავშირურთიერთობის წყალობით. შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა თავი დააღწიო იმპერიალისტურ ომს, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა დემოკრატიული, არა მოძალადური ზავის მიღწევა კაპიტალის ბატონობის დაუმხობლად, სახელმწიფო ძალაუფლების მ ე ო რ ე კლასის, პროლეტარიატის ხელში გადაუსვლელად.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია დასაწყისი იყო იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა. ამ რევოლუციამ გადადგა პ ი რ ვ ე ლ ი ნაბიჯი

ომის შესაწყვეტად. მხოლოდ მ ე ო რ ე ნაბიჯს, სახელ-დობრ — სახელმწიფო ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლას, შეუძლია უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ს მისი შეწყვეტა. ეს იქნება დასაწყისი მსოფლიო «ფრონტის გარღვევისა» — კაპიტალის ინტერესების ფრონტის გარღვევისა, და მხოლოდ ა მ ფრონტის გარღვევით შ ე უ ძ ლ ი ა პროლეტარიატს გადაარჩინოს კაცობრიობა ომის საშინელებას, მიანიჭოს მას მტკიცე ზავის სიკეთენი.

და კაპიტალის «ფრონტის» ამგვარად «გარღვევასთან» რუსეთის რევოლუციამ უ კ ვ ე პირისპირ დააყენა რუსეთის პროლეტარიატი, შექმნა რა მუშათა დეპუტატების საბჭოები.

სახელმწიფოს ახალი ტიპი, რომელიც იზრდება ჩვენს რევოლუციაში

11. მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოები ვერ გაუგიათ არა მარტო იმ მხრივ, რომ უმრავლესობისათვის გაურკვეველია მათი კლასობრივი მნიშვნელობა, მათი როლი რ უ ს ე თ ი ს რევოლუციაში. ვერ გაუგიათ იმ მხრივაც, რომ ისინი წარმოადგენენ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ახალ ფორმას, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ახალ ტ ი პ ს.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ყველაზე უფრო სრულყოფილ, მოწინავე სახელმწიფოს წარმოადგენს პ ა რ ლ ა-მ ე ნ ტ უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ტიპი: ძალაუფლება პარლამენტს ეკუთვნის; სახელმწიფო მანქანა, აპარატი და მართვა-გამგეობის ორგანო ჩვეულებრივია: შუდმივი ჯარი, პოლიცია და ფაქტიურად უცვლელი, პრივილეგიებით აღჭურვილი და ხ ა ლ ხ ზ ე გაბატონებული მოხელეობა.

მაგრამ XIX საუკუნის დამლევიდან რევოლუციურმა ეპოქებმა წამოაყენეს დემოკრატიული სახელმწიფოს უ მ ა ღ ლ ე ს ი ტიპი, ისეთი სახელმწიფოს ტიპი, რომელიც, ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, რამდენადმე უკვე აღარ წარმოადგენს სახელმწიფოს, «აღარ წარმოადგენს სახელმწიფოს ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით» [23]. ეს არის პარიზის კომუნის ტიპის

სახელმწიფო, რომელიც ხალხისაგან განცალკევებულ ჯარსა და პოლიციას ცვლის თვით ხალხის პირდაპირი და უშუალო შეიარაღებით. ეს არის არსი კომუნისა, რომლის შესახებაც ბურჟუაზიულმა მწერლებმა ათასგვარი სიცრუე და ჭორები შეთხზეს და რომელსაც, სხვათა შორის, შეცდომით მიაწერდნენ სოციალიზმის დაუყოვნებლივ «შემოღების» განზრახვას.

სწორედ ასეთი ტიპის სახელმწიფოს შექმნა დაიწყო რუსეთის რევოლუციამ 1905 და 1917 წლებში. რესპუბლიკა მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოებისა, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან ხალხის წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებით ან საბჭოების საბჭოთი და სხვ., — აი რა შემოდის ჩვენში უკვე ცხოვრებაში ახლა, ამჟამად, მრავალმილიონიანი ხალხის ინიციატივით, რომელიც თვითნებურად ქმნის დემოკრატიას თავისებურად და არ უცდის არც იმას, თუ როდის დაწერენ ბატონი კადეტი-პროფესორები კანონთა თავიანთ პროექტებს პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის, — და არც იმას, თუ როდის დაანებებენ თავს სახელმწიფოს საკითხზე მარქსიზმის მოძღვრების დამახინჯებას წვრილბურჟუაზიული «სოციალ-დემოკრატიის» ისეთი პედანტები და რუტინიორები, როგორიცაა ბ-ნი პლეხანოვი ან კაუცკი.

მარქსიზმი იმით განსხვავდება ანარქიზმისაგან, რომ ცნობს სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებლობას საერთოდ რევოლუციურ პერიოდში და კერძოდ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში.

მარქსიზმი იმით განსხვავდება ბბ. პლეხანოვის, კაუცკისა და კომპანიის წვრილბურჟუაზიული, ოპორტუნისტული «სოციალ-დემოკრატიზმისაგან», რომ აღნიშნული პერიოდებისათვის ცნობს არა ისეთი სახელმწიფოს აუცილებლობას, როგორიცაა ჩვეულებრივი პარლამენტურ-ბურჟუაზიული რესპუბლიკა, არამედ ისეთისას, როგორიც იყო პარიზის კომუნა.

სახელმწიფოს ამ უკანასკნელი ტიპის მთავარი განსხვავება ძველი ტიპისაგან შემდეგია:

პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკიდან მონარქიისაკენ დაბრუნება სულ ადვილია (როგორც ეს კიდევაც დაამტკიცა ისტორიამ), რადგან ხელუხლებელი რჩება ჩაგვრის მთელი მანქანა: ჯარი, პოლიცია, მოხელეობა. კომუნა და მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვათა დეპუტატების საბჭოები ამსხვრევენ და სპობენ ამ მანქანას.

პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკა ზღუდავს და ახშობს მასების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას, მათ უშუალო მონაწილეობას მთელი სახელმწიფო ცხოვრების დემოკრატიულ მშენებლობაში თავიდან ბოლომდე. ამის საწინააღმდეგოს წარმოადგენს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

ეს უკანასკნელნი კვლავ აღადგენენ სახელმწიფოს იმ ტიპს, რომელსაც იმუშავებდა პარიზის კომუნა და რომელსაც მარქსმა უწოდა «ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმა, რომელშიც შეიძლება მოხდეს მშრომელთა ეკონომიური განთავისუფლება» [24].

ჩვეულებრივად გვიპასუხებენ: რუსი ხალხი ჯერ კიდევ არ არის მომზადებული კომუნის «შემოსაღებადო». ეს იმ მენატონეთა საბუთია, რომლებიც ამბობდნენ: გლეხები თავისუფლებისათვის მომზადებული არ არიანო. კომუნას, ე. ი. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, არ «შემოაქვს», არც განზრახვა აქვს «შემოიღოს» და არც უნდა შემოიღოს რაიმე ისეთი ცვლილება, რაც არ არის აბსოლუტურად მომწიფებული როგორც ეკონომიურ სინამდვილეში, ისე ხალხის უდიდესი უმრავლესობის შეგნებაში. რაც უფრო ძლიერია ეკონომიური კრახი და ომით წარმოშობილი კრიზისი, მით უფრო უცილობლად საჭიროა ყველაზე სრულქმნილი პოლიტიკური თორმა, რომელიც გაუადვილებს კაცობრიობას ომის მიერ მიყენებულ საშინელ ჭრილობათა განკურნებას. რაც უფრო ნაკლები ორგანიზაციული გამოცდილება აქვს რუს ხალხს, მით უფრო გადაჭრით უნდა შევუდგეთ

თ ვ ი თ ხ ა ლ ხ ი ს, და არა მარტოოდენ ბურჟუაზიული პოლიტიკანებისა და «შემოსავლიანი ადგილების» მქონე მოხელეობის, ორგანიზაციულ მშენებლობას.

რაც უფრო ჩქარა დავაღწევთ თავს ბბ. პლეხანოვის, კაუცკის და კომპანიის მიერ დამახინჯებული ცრუ-მარქსიზმის ძველ ცრურწმენას, რაც უფრო გულმოდგინედ დავეხმარებით ხალხს მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნაში ახლავე და ყველგან, მ თ ე ლ ი ცხოვრების მათ მიერ ხელთ ჩაგდებაში, რაც უფრო გააჭიანურებენ ბბ. ლვოვები და კომპანია დამფუძნებელი კრების მოწვევას, — მით უფრო გაუადვილდება ხალხს (დამფუძნებელი კრების საშუალებით ან მის გარეშე, თუ ლვოვი დიდხანს არ მოიწვევს მას) არჩევანი მოახდინოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკის სასარგებლოდ. შეცდომები თვით ხალხის ახალ ორგანიზაციულ მშენებლობაში პირველ ხანებში აუცილებელია, მაგრამ უმჯობესია ცდებოდე და წინ მიდიოდე, ვიდრე უ ც ა დ ო, ბ-ნ ლვოვის მიერ მოწვეული პროფესორი-იურისტები როდის დაწერენ კანონებს დამფუძნებელი კრების მოწვევისა და პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკის უკვდავყოფის შესახებ, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ჩახშობის შესახებ.

თუ დავირაზმებით და მარჯვედ ჩავატარებთ ჩვენს პროპაგანდას, არა მარტო პროლეტარები, არამედ გლეხობის ცხრა მეათედიც წინააღმდეგი იქნება პოლიციის აღდგენისა, უცვლელი და პრივილეგიებით აღჭურვილი მოხელეობისა, ხალხისაგან განცალკევებული ჯარისა. ხოლო სახელმწიფოს ახალი ტიპიც ხომ მხოლოდ ამაში მდგომარეობს.

12. პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით არის ისეთი გარდაქმნა, რაც რევოლუციის მთელი მსვლელობიდან გამომდინარეობს და რუსეთის უმეტეს ადგილებში უკვე ხორციელდება. ჩვენ უნდა განვუმარტოთ მასებს, რომ ჩვეულებრივი ტიპის ბურჟუაზიული რევოლუციების უმეტესობაში ასეთი გარდაქმნა ძალზე ხანმოკლე იყო ხოლმე, და ბურჟუაზია, თვით უაღრესად დემოკრატიული და რესპუბლიკურიც

კი, ხელახლა აღადგენდა ხოლმე ძველს, ცარისტული ტიპის პოლიციას, რომელიც განცალკევებულია ხალხისაგან, ბურჟუაზიის მბრძანებლობას ემორჩილება და მზად არის ყოველნაირად ჩაგროს ხალხი.

პოლიციის აღდგენა რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი გახდეს, ამისათვის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: საყოველთაოსახალხო მილიციის შექმნა და მისი შეერთება ჯართან (მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით). ასეთ მილიციაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ორივე სქესის ყველა მოქალაქე გამოუკლებლივ 15-დან 65 წლამდე, თუ ამ, მაგალითისათვის მოყვანილი, ასაკით შეიძლება განვსაზღვროთ მოზარდთა და მოხუცთა მონაწილეობა. კაპიტალისტებმა დაქირავებულ მუშებს, შინამოსამსახურეებს და სხვებს უნდა აძლიონ იმ დღეების ხელფასი, რასაც ისინი მოანდომებენ საზოგადოებრივ სამსახურს მილიციაში. ქალების ჩაუბმელად დამოუკიდებლად არათუ საერთოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მუდმივ და საყოველთაო საზოგადოებრივ სამსახურში, ზედმეტია ლაპარაკი არათუ სოციალიზმზე, არამედ სრულსა და მკვიდრ დემოკრატიაზედაც. ხოლო «პოლიციის» ისეთი ფუნქციები, როგორიც არის მზრუნველობა სნეულებზე, უპატრონო ბავშვებზე, ჯანსაღ კვებაზე და სხვ., საერთოდ დამაკმაყოფილებლად ვერ განხორციელდება, ვიდრე არ მოხდება ქალების უფლებრივი გათანასწორება საქმით და არა მარტო ქაღალდზე.

პოლიციის აღდგენის დაუშვებლობა; მთელი ხალხის ორგანიზაციული ძალების ჩაბმა საყოველთაო მილიციის შექმნის საქმეში — ასეთია ის ამოცანები, რომელნიც პროლეტარიატმა უნდა გადაიტანოს მასებში რევოლუციის დაცვის, განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

აგრარული და ნაციონალური პროგრამები

13. ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია გარკვევით ვიცოდეთ, განვითარდება თუ არა უახლოეს მომავალში სოფლად ძლიერი აგრარული რევოლუცია რუსეთში. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, სახელდობრ რამდენად დიდია ბოლო დროს უეჭველად

გაღრმავებული კლასობრივი დაყოფა გლეხობისა, ერთი მხრივ, მოჯამაგირეებად, დაქირავებულ მუშებად და უღარიბეს გლეხებად («ნახევრადპროლეტარებად»), — და, მეორე მხრივ, შეძლებულ და საშუალო გლეხებად (კაპიტალისტებად და წვრილ კაპიტალისტებად). ასეთი საკითხების გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ გამოცდილებას, და გადაწყვეტს კიდეც.

მაგრამ ჩვენ, როგორც პროლეტარიატის პარტია, უცილობლად მოვალენი ვართ დაუყოვნებლივ გამოვიდეთ არა მარტო აგრარული (მიწის) პროგრამით, არამედ რუსეთის გლეხთა აგრარული რევოლუციის ინტერესებისათვის დაუყოვნებლივ განსახორციელებელ პრაქტიკულ ღონისძიებათა ქადაგებითაც.

ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთელი მიწის ნაციონალიზაცია, ე. ი. სახელმწიფოს მთელი მიწის გადასვლა ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების საკუთრებად. ამ ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს გადასახლება-დასახლების ფონდის ოდენობა და სხვ., განსაზღვროს ტყის დაცვის, მელიორაციისა და სხვა კანონები; უთუოდ აკრძალოს ყოველგვარი შუამავლობა მიწის მესაკუთრეს — სახელმწიფოსა და მის მოიჯარეს — მეპატრონეს შორის (აკრძალოს მიწის ყოველგვარი გადაცემა). მაგრამ მიწის გამგებლობის მთელი უფლება, მიწის მფლობელობისა და სარგებლობის ადგილობრივი პირობების ყოველგვარი განსაზღვრა მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ უნდა იყოს გლეხთა დეპუტატების საოლქო და ადგილობრივი საბჭოებისა და არა ბიუროკრატების, მოხელეების ხელში.

პურის წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებისა და წარმოების ოდენობის გადიდების მიზნით, აგრეთვე რაციონალური მსხვილი მეურნეობის განვითარებისა და მის მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების მიზნით, ჩვენ გლეხთა კომიტეტების შიგნით უნდა ვეცადოთ, რომ მემამულეთა კონფისკებულ ყოველ მამულში მოეწყოს მსხვილი სანიმუშო მეურნეობა, მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოების კონტროლით.

წინააღმდეგ წვრილბურჟუაზიული ფრაზისა და იმ პოლიტიკისა, რომელიც გაბატონებულია სოციალისტ-რევოლუციონერებში, განსაკუთრებით ფუჭ ლაპარაკში «სამომხმარებლო» თუ «შრომითი» ნორმის, «მიწის სოციალიზაციის» და სხვათა შესახებ, პროლეტარიატის პარტიამ უნდა განმარტოს, რომ სასაქონლო წარმოების პირობებში წვრილი მეურნეობის სისტემას არ ძალუძს იხსნას კაცობრიობა მასების სიღატაკისა და ჩაგვრისაგან.

პროლეტარიატის პარტიამ უნდა განმარტოს, რომ საჭიროა დაარსდეს მოჯამაგირეთა დეპუტატების განსაკუთრებული საბჭოები და უღარიბესი გლეხების (ნახევრადპროლეტარების) დეპუტატების განსაკუთრებული საბჭოები ანდა, ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებული მუდმივი თათბირები იმგვარი კლასობრივი მდგომარეობის დეპუტატებისა, როგორიცაა ცალკეული ფრაქციები ან პარტიები გლეხთა დეპუტატების საერთო საბჭოების შიგნით ისე, რომ ამან არ უნდა გამოიწვიოს გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივი და აუცილებელი გათიშვა. უამისოდ ნაროდნიკების მთელი მოთაფლული წვრილბურჟუაზიული ფრაზები საერთოდ გლეხობის შესახებ იქნება დაფარვა ღარიბთა მასის მოტყუებისა შეძლებული გლეხობის მიერ, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალისტების ერთ-ერთ ნაირსახეობას.

წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-ლიბერალური ანდა წმინდამოხელური ქადაგებისა, რომელსაც მრავალი სოციალისტ-რევოლუციონერი და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო აწარმოებს, ურჩევს რა გლეხებს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არ დაიტაცონ მემამულეთა მიწები და არ დაიწყონ აგრარული გარდაქმნა, პროლეტარიატის პარტიამ უნდა მოუწოდოს გლეხებს დაუყოვნებლივ, თვითნებურად განახორციელონ აგრარული გარდაქმნა და დაუყოვნებლივ მოახდინონ მემამულეთა მიწების კონფისკაცია ადგილობრივ გლეხთა დეპუტატების გადაწყვეტილებით.

ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა იმის დაჟინებით მოთხოვნა, რომ გადიდებულ იქნეს საკვები პროდუქტების წარმოება ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისა და ქალაქებისათვის, — აბსოლუტურად აიკრძალოს პირუტყვის, იარაღების, მანქანების, შენობებისა და სხვ. და სხვ. რაიმე დაზიანება ან გაფუჭება.

14. ნაციონალურ საკითხში პროლეტარულმა პარტიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოითხოვოს აღიარება და დაუყოვნებლივი განხორციელება რუსეთისაგან ყველა იმ ერისა და ეროვნების გამოყოფის სრული თავისუფლებისა, რომელთაც ცარიზმი ჩაგრავდა, რომელნიც ძალით იყვნენ შემოერთებულნი ან რომელთაც ძალით აჩერებდნენ სახელმწიფოს ფარგლებში, ე. ი. ანექსირებული იყვნენ.

ყოველგვარი განცხადება, დეკლარაცია და მანიფესტი ანექსიებზე ხელის აღების შესახებ, რასაც თან არ სდევს გამოყოფის თავისუფლების ნამდვილი განხორციელება, მხოლოდ ბურჟუაზიული მოტყუებაა ხალხისა ანდა წვრილბურჟუაზიული გულუბრყვილო სურვილები.

პროლეტარული პარტია ცდილობს შექმნას რაც შეიძლება უფრო დიდი სახელმწიფო, რადგან ეს ხელსაყრელია მშრომელთათვის; პარტია მიისწრაფვის ერთა ერთმანეთთან დაახლოებისა და მათი შემდგომი შერწყმისაკენ, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მას სურს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ყველა ერის მუშებისა და მშრომელი მასების თავისუფალი და ძმური კავშირით.

რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის რესპუბლიკა, რაც უფრო მალე მოეწყობა იგი მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკად, მით უფრო ძლიერი იქნება ყველა ერის მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება ასეთი რესპუბლიკისადმი.

გამოყოფის სრული თავისუფლება, უაღრესად ფართო ადგილობრივი (და ნაციონალური) ავტონომია, ეროვნული უმცირესობის უფლებათა დეტალურად გამომუშავებული გარანტიები — ასეთია რევოლუციური პროლეტარიატის პროგრამა.

კაპიტალისტთა ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაცია

15. პროლეტარიატის პარტიას არასგზით არ შეუძლია მიზნად დაისახოს სოციალიზმის «შემოღება» წვრილი გლეხობის ქვეყანაში, ვიდრე მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ შეუგნია სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობა.

მაგრამ მხოლოდ ბურჟუაზიულ სოფისტებს, რომლებიც «თითქმის-მარქსისტულ» სიტყვებს ეფარებიან, შეუძლიათ ამ ჭეშმარიტებიდან გამოიყვანონ ისეთი პოლიტიკის გამართლება, რომელიც გააჭიანურებდა დაუყოვნებლივი რევოლუციური ზომების მიღებას, რაც პრაქტიკულად სავსებით მომწიფებულია, ომის დროს ხშირად განხორციელებულია მთელი რიგი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ, აუცილებლად საჭიროა მოახლოებული სრული ეკონომიური დაშლისა და შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აუცილებლად უნდა დავიცვათ და, შეძლებისდაგვარად, რევოლუციური გზით განვახორციელოთ ისეთი ზომები, როგორიცაა მიწის, კაპიტალისტთა ყველა ბანკისა და სინდიკატის ნაციონალიზაცია ანდა, ყოველ შემთხვევაში, მათ მიმართ მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლის დაუყოვნებლივ დაწესება და სხვ., თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სოციალიზმის «შემოღება». ასეთი ზომების მიუღებლად, რომლებიც მხოლოდ სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენენ და რომელთა განხორციელებაც სავსებით შესაძლებელია ეკონომიურად, შეუძლებელია ომის მიერ მიყენებული ჭრილობების მკურნალობა და მოახლოებული კრახის თავიდან აცილება, რევოლუციური პროლეტარიატის პარტია კი არასოდეს არ დატოვებს ხელშეუხებლად კაპიტალისტებისა და ბანკირების გაუგონრად დიდ მოგებას, რომლებიც სწორედ «ომით» მდიდრდებიან განსაკუთრებით სკანდალურად.

საქმის ვითარება სოციალისტურ ინტერნაციონალში

16. რუსეთის მუშათა კლასის საერთაშორისო მოვალეობანი სწორედ ახლა დგება განსაკუთრებული ძალით პირველ რიგში.

მხოლოდ ზარმაცი თუ არ ფიცულობს ჩვენს დროში ინტერნაციონალიზმს; თვით შოვინისტ-ობორონცები, თვით ბბ. პლეხანოვი და პოტრესოვი, თვით კერენსკიც კი, თავიანთ თავს ინტერნაციონალისტს უწოდებენ. მით უფრო არსებითია პროლეტარული პარტიის მოვალეობა მთელი სიცხადით, სიზუსტითა და გარკვეულობით დაუპირისპიროს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი სიტყვიერ ინტერნაციონალიზმს.

ლიტონი მოწოდებები ყველა ქვეყნის მუშებისადმი, ცარიელი დაპირებანი ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებისა, ცდა პირდაპირ თუ არაპირდაპირ დააწესონ სხვადასხვა მეომარ ქვეყანაში რევოლუციური პროლეტარიატის გამოსვლების «რიგი», ჭაპანწყვეტა, რომ მეომარი სახელმწიფოების სოციალისტებს შორის «შეთანხმება» დადონ რევოლუციური ბრძოლის შ ე ს ა ხ ე ბ, ფაცაფუცი სოციალისტური ყრილობების მოსაწვევად ზავის კ ა მ პ ა ნ ი ი ს ა თ ვ ი ს და სხვ. და სხვ. — ყოველივე ეს თავისი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მნიშვნელობით, რაგინდ გულწრფელნიც უნდა იყვნენ ასეთი იდეების, ასეთი ცდის ანდა ასეთი გეგმების ავტორები, ყოველივე ეს მხოლოდ ფრაზიორობაა, უ კ ე თ ე ს შემთხვევაში კი გულუბრყვილო, კეთილი სურვილებია, რაც მხოლოდ შოვინისტების მიერ მასების მ ო ტ ყ უ ე ბ ი ს დასაფარავად გამოდგება. და ყველაზე უფრო მოხერხებულმა, პარლამენტური გაიძვერობის ხრიკებში ყველაზე უფრო დახელოვნებულმა ფ რ ა ნ გ მ ა სოციალ-შოვინისტებმა დიდი ხანია რაც პირველობა მოიპოვეს ძალზე მყვირალა, მაღალფარდოვანი პაციფისტური და ინტერნაციონალისტური ფრაზებით, რომლებიც შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი ა სოციალიზმისა და ინტერნაციონალისადმი გაუგონრად ურცხვ ღალატთან, იმპერიალისტური ომის მაწარმოებელ სამინისტროებში შესვლასთან, კრედიტების ან ს ე ს ხ ე ბ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ხმისმიცემასთან (რო-

გორც ეს ამ უკანასკნელ დღეებში ჩაიდინეს რუსეთში ჩხეიძემ, სკობელევმა, წერეთელმა, სტეკლოვმა), თავის საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური ბრძოლისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან და სხვ. და სხვ.

კეთილ ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ მსოფლიო იმპერიალისტური ომის მრისხანე, მძვინვარე ვითარება. ეს ვითარება ვერ ურიგდება ფრაზებს, ის აბუჩად იგდებს გულუბრყვილო, მოთაფლულ სურვილებს.

ინტერნაციონალიზმი საქმით ერთია და მხოლოდ ერთი: თავდადებული მუშაობა საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის გასაძლიერებლად, მხარისდაჭერა (პროპაგანდით, თანაგრძნობით, მატერიალურად) ასეთივე ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა, და მარტოდმარტო მისი, ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ.

ყოველივე სხვა მოტყუება და მანილოვობაა.

ომიანობის ამ ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საერთაშორისო სოციალისტურმა და მუშათა მოძრაობამ ყველა ქვეყანაში სამი მიმდინარეობა შეიმუშავა, და ვინც სცილდება ამ სამი მიმდინარეობის აღიარების, მათი ანალიზისა და ნამდვილი ინტერნაციონალისტური მიმდინარეობისათვის თანამიმდევრული ბრძოლის რეალურ ნიადაგს, — ის თავის თავს უმზადებს უძლურებას, უსუსურობასა და შეცდომებს.

ეს სამი მიმდინარეობა შემდეგია:

1) სოციალ-შოვინისტები, ე. ი. სიტყვიერად სოციალისტები, საქმით შოვინისტები, — ესაა ადამიანები, რომლებიც აღიარებენ «სამშობლოს დაცვას» იმპერიალისტურ (და, უწინარეს ყოვლისა, ამ იმპერიალისტურ) ომში.

ეს ადამიანები ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი არიან. ისინი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ.

ასეთია ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური ბელადების უმეტესობა ყველა ქვეყანაში. ბბ. პლეხანოვი და კომპანია რუსეთში, შეიდემანები — გერმანიაში, რენოდელი, გედი, სამბა — საფრანგეთში, ბისოლატი და კომპანია —

იტალიაში, ჰაინდმანი, ფაბიანელები[25] და «ლაბურისტები» («მუშათა პარტიის» ბელადები)[26] — ინგლისში, ბრანტინგი და კომპანია — შვეციაში, ტრულსტრა და მისი პარტია — ჰოლანდიაში, სტაუნინგი და მისი პარტია — დანიაში, ვიქტორ ბერგერი და სხვა «სამშობლოს დამცველები» — ამერიკაში და სხვ.

2) მეორე მიმდინარეობა — ეგრეთწოდებული «ცენტრი» — ესაა ადამიანები, რომლებიც მერყეობენ სოციალ-შოვინისტებსა და საქმით ინტერნაციონალისტებს შორის.

«ცენტრი» სულ ღმერთსა და ხატს ფიცულობს, მარქსისტები, ინტერნაციონალისტები ვართო, ზავის მომხრენი ვართო, მომხრენი ვართ მთავრობებზე ყოველგვარი «ზემოქმედებისა», საკუთარი მთავრობისადმი ყოველგვარი «მოთხოვნის» წარდგენისა, რომ «მან გამოამჟღავნოს ხალხის ნება ზავისადმი», მომხრენი ვართ ყოველგვარი კამპანიისა ზავის სასარგებლოდ, უანექსიო ზავისა და სხვ. და სხვ., — და ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ ე ბ თ ა ნ ზ ა ვ ი ს ა ც ო. «ცენტრი» «ერთიანობის» მომხრეა, ცენტრი გათიშვის წინააღმდეგიაო.

«ცენტრი» სამეფოა კეთილი წვრილბურჟუაზიული ფრაზისა, სიტყვიერი ინტერნაციონალიზმისა, საქმით ლაჩრული ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინისტების წინაშე მლიქვნელობისა.

საკითხის დედააზრი ისაა, რომ «ცენტრი» დარწმუნებული არ არის რევოლუციის აუცილებლობაში საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ, არ ქადაგებს მას, არ აწარმოებს თავდადებულ რევოლუციურ ბრძოლას, იგონებს მასზე ხელის აღების ყოვლად უგვანო — და არქი-«მარქსისტული» იერის — მ ო მ ი ზ ე ზ ე ბ ე ბ ს.

სოციალ-შოვინისტები ჩვენი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ნ ი არიან, ბ ურ ჟ უ ე ბ ი არიან მუშათა მოძრაობაში. ისინი წარმოადგენენ იმ მუშების ფენას, ჯგუფებს, რომლებიც ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ბურჟუაზიის მიერ არიან მოსყიდულნი (საუკეთესო გასამრჯელო, საპატიო ადგილები და სხვ.) და ეხმარებიან თ ა ვ ი ა ნ თ ბურჟუაზიას

პატარა და სუსტი ერების ძარცვასა და ჩახშობაში, კაპიტალისტური ნადავლის განაწილების გამო ბრძოლაში.

«ცენტრი» რუტინის, დამპალი ლეგალობით გამოხრული, პარლამენტარიზმის ვითარებით და სხვ. გაფუჭებული მოხელეებია, რომლებიც თბილ ადგილებსა და «მყუდრო» მუშაობას მიეჩვივნენ. ისტორიული და ეკონომიური მხრივ ისინი არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ ფენას, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ გადასვლას მუშათა მოძრაობის განვლილი ხანიდან, 1871 — 1914 წლების ხანიდან, იმ ხანიდან, რომელმაც ბევრი რამ საგულისხმო შეგვძინა, განსაკუთრებით პროლეტარიატისათვის აუცილებელი დინჯი, გამობრძმედილი, სისტემატური, ფართო და უფართოესი მასშტაბის ორგანიზაციული მუშაობის ხელოვნებაში, — ახალ ხანაზე, რომელიც ობიექტურად აუცილებელი გახდა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროიდან, რომელმაც დასაბამი მისცა სოციალური რევოლუციის ერას.

«ცენტრის» მთავარი ბელადი და წარმომადგენელია კარლ კაუცკი, II ინტერნაციონალის (1889 — 1914) უთვალსაჩინოესი ავტორიტეტი, მარქსიზმის სრული კრახის, გაუგონარი უხასიათობის, 1914 წლის აგვისტოდან ფრიად უბადრუკი მერყეობისა და მოღალატეობის ნიმუში. «ცენტრის» მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან კაუცკი, ჰაზე, ლედებური, ეგრეთწოდებული «მუშათა ანუ შრომითი თანამეგობრობა»[27] რეიხსტაგში; საფრანგეთში — ლონგე, პრესმანი და ეგრეთწოდებული «მინორიტერები»[28] (მენშევიკები) საერთოდ; ინგლისში — ფილიპ სნოუდენი, რამსეი მაკდონალდი და «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის»[29] და ნაწილობრივ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის[30] მრავალი სხვა ბელადი; მორის ჰილკვიტი და მრავალი სხვა — ამერიკაში; ტურატი, ტრევესი, მოდილიანი და სხვ. — იტალიაში; რობერტ გრიმი და სხვ. — შვეიცარიაში; ვიქტორ ადლერი და კომპანია — ავსტრიაში; ორგანიზაციული კომიტეტის პარტია, აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე, წერეთელი და სხვ. — რუსეთში და სხვ.

გასაგებია, რომ ცალკეული პირნი ხანდახან, თავისდა შეუმჩნევლად, გადადიან ხოლმე სოციალ-შოვინიზმის პოზიციიდან «ცენტრის» პოზიციაზე და პირუკუ. ყოველმა მარქსისტმა იცის, რომ კლასები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მიუხედავად ცალკეულ პირთა თავისუფალი გადასვლისა კლასიდან კლასში; ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ნ ი პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიუხედავად ცალკეულ პირთა თავისუფალი გადასვლისა ერთი მიმდინარეობიდან მეორეში, მიუხედავად ცდისა და ღონისძიებებისა შ ე ა ე რ თ ო ნ მიმდინარეობანი.

3) მესამე მიმდინარეობაა საქმით ინტერნაციონალისტები, რომლებსაც ყველაზე უფრო გამოხატავს «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი» [31] (დამატებაში ჩვენ მიერ გადმობეჭდილია მისი მანიფესტი, 1915 წ. სექტემბრის თარიღით, რათა მკითხველი დედნის საშუალებით გაეცნოს ამ მიმდინარეობის წარმოშობას).

მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია: სრული კავშირის გაწყვეტა სოციალ-შოვინიზმთან და «ცენტრთან». თავდადებული რევოლუციური ბრძოლა თ ა ვ ი ს ი იმპერიალისტური მთავრობისა და თ ა ვ ი ს ი იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მისი პრინციპია: «მთავარი მტერი საკუთარ ქვეყანაშია». დაუნდობელი ბრძოლა მოთაფლული სოციალ-პაციფისტური (სოციალ-პაციფისტი — ეს არის სოციალისტი სიტყვიერად, ბურჟუაზიული პაციფისტი საქმით; ბურჟუაზიული პაციფისტები ოცნებობენ მარადიულ მშვიდობაზე კაპიტალის უღლისა და ბატონობის დ ა უ მ ხ ო ბ ლ ა დ) ფრაზისა და ყოველგვარი მ ო მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს წინააღმდეგ, რომლებიც კი უარყოფს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა და პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას, შესაფერისობას ან დროულობას ამ ომთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ.

ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: გერმანიაში — «სპარტაკის ჯგუფი», ანუ «ინტერნაციონალის ჯგუფი» [32], რომლის წევრიც არის კარლ

ლიბკნეხტი. კარლ ლიბკნეხტი ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელია ამ მიმდინარეობისა და ახალი, ნამდვილი, პროლეტარული ინტერნაციონალისა.

კარლ ლიბკნეხტმა მოუწოდა გერმანიის მუშებსა და ჯარისკაცებს მიმართონ იარაღი თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ. კარლ ლიბკნეხტი ამას აკეთებდა აშკარად პარლამენტის (რეიხსტაგის) ტრიბუნიდან. შემდეგ კი ის წავიდა პოტსდამის მოედანზე, ბერლინის ერთ-ერთ უდიდეს მოედანზე გამართულ დემონსტრაციაზე და თან წაიღო არალეგალურად დაბეჭდილი პროკლამაციები მოწოდებით: «ძირს მთავრობა». იგი დააპატიმრეს და კატორღა მიუსაჯეს. ახლა იგი გერმანიის საკატორღო საპყრობილეში ზის, ისევე როგორც საერთოდ სხვადან საპყრობილეებში გერმანიის ასობით, თუ ათასობით არა, ჭეშმარიტი სოციალისტები ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კარლ ლიბკნეხტი დაუნდობლად ებრძოდა სიტყვებსა და წერილებში არა მარტო თავის პლეხანოვებს, პოტრესოვებს (შეიდემანებს, ლეგინებს, დავიდებს და კომპ.), არამედ თავის ხალხსაც ცენტრიდან, თავის ჩხეიძეებს, წერეთლებს (კაუცკის, ჰააზეს, ლედებურს და კომპ.).

კარლ ლიბკნეხტმა და მისმა მეგობარმა ოტო რიულემ, მხოლოდ ამ ორმა ას ათი დეპუტატიდან, დაარღვიეს დისციპლინა, ჩაშალეს «ერთიანობა» «ცენტრთან» და შოვინისტებთან და ყველას წინააღმდეგ გაილაშქრეს. მარტო ლიბკნეხტი წარმოადგენს სოციალიზმს, პროლეტარულ საქმეს, პროლეტარულ რევოლუციას. გერმანიის მთელი დანარჩენი სოციალ-დემოკრატია, როზა ლუქსემბურგის (ისიც «სპარტაკის ჯგუფის» წევრი და ერთ-ერთი ბელადია) სწორი თქმით, აყროლებულ ლეშს წარმოადგენს.

მეორე ჯგუფი საქმით ინტერნაციონალისტებისა გერმანიაში — ეს არის ბრემენის გაზეთი «მუშათა პოლიტიკა».

საფრანგეთში საქმით ინტერნაციონალისტებს ყველაზე უფრო უახლოვდებიან ლორიო და მისი მეგობრები (ბურდერონი და მერჰეიმი სოციალ-პაციფიზმისაკენ დაქანდნენ),

აგრეთვე ფრანგი ანრი გილბო, რომელიც ჟენევაში სცემს ჟურნალს «ხვალ»; ინგლისში — გაზეთი «ტრედ-უნიონისტი» და ბრიტანეთის სოციალისტური პარტიისა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრთა ნაწილი (მაგალითად, ვილიამს როსელი, რომელიც აშკარად მოუწოდებდა სოციალიზმის მოღალატე ბელადებთან გათიშვისაკენ), შოტლანდიელი სახალხო მასწავლებელი სოციალისტი მაკლინი, რომელსაც ინგლისის ბურჟუაზიულმა მთავრობამ კატორღა მიუსაჯა ომის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის; ინგლისის ასობით სოციალისტები საპყრობილეებში სხედან ამავე დანაშაულისათვის. ისინი და მხოლოდ ისინი არიან საქმით ინტერნაციონალისტები; ამერიკაში — «მუშათა სოციალისტური პარტია» [33] და ის ელემენტები ოპორტუნისტული «სოციალისტური პარტიის» [34] შიგნით, რომლებმაც 1917 წლის იანვრიდან დაიწყეს გაზეთ «ინტერნაციონალისტის» გამოცემა; ჰოლანდიაში — «ტრიბუნისტების» [35] პარტია, რომლებიც სცემენ გაზეთ «ტრიბუნას» (პანეკუკი, გერმან ჰორტერი, ვაინკოპი, ჰენრიეტა როლანდ-ჰოლსტი, რომელიც ციმერვალდში ცენტრს წარმოადგენდა და ახლა კი ჩვენსკენ გადმოვიდა); შვეიცარიაში — ახალგაზრდათა ანუ მემარცხენეთა [36] პარტია ისეთი ბელადებითურთ, როგორიც არიან ლინდჰაგენი, ტურე ნერმანი, კარლსონი, შტრემი, ზ. ხეგლუნდი, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას ციმერვალდში «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის» დაარსებაში და რომელსაც ამჟამად საპყრობილე აქვს მისჯილი ომის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის; დანიაში — ტრირი და მისი მეგობრები, რომლებიც გავიდნენ დანიის «სოციალ-დემოკრატიული» პარტიიდან, რომელიც მთლად ბურჟუაზიულ პარტიად გადაიქცა და რომელსაც მინისტრი სტაუნინგი მეთაურობს; ბულგარეთში — «ტესნიაკები» [37]; იტალიაში — ყველაზე უფრო ახლო დგანან პარტიის მდივანი კონსტანტინე ლაძარი და ცენტრალური ორგანოს — «წინ» [38] — რედაქტორი სერატი; პოლონეთში — რადეკი, განეცკი და სხვა ბელადები «სამხარეო გამგეობით» გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიისა;

როზა ლუქსემბურგი, ტიშკო და «მთავარი გამგეობით» გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიის სხვა ბელადები; შვეიცარიაში — ის მემარცხენენი, რომლებმაც შეადგინეს «რეფერენდუმის» დასაბუთება (1917 წლის იანვარში) ს ა კ უ თ ა რ ი ქვეყნის სოციალ-შოვინისტებისა და «ცენტრის» წინააღმდეგ საბრძოლველად და რომლებმაც ციურიხის საკანტონო სოციალისტურ ყრილობაზე ტესში, 1917 წლის 11 თებერვალს, შეიტანეს ომის წინააღმდეგ პრინციპულად-რევოლუციური რეზოლუცია[39]; ავსტრიაში — ფრიდრიხ ადლერის ახალგაზრდა მემარცხენე მეგობრები, რომლებიც ნაწილობრივ მოქმედებდნენ ვენის «კარლ მარქსის» კლუბში, ახლა რომ დახურა ავსტრიის ურეაქციურესმა მთავრობამ, რომელიც ღუპავს ფრ. ადლერს მისი გმირული, თუმცა საკმაოდ მოუფიქრებელი, საქციელისთვის — მინისტრისადმი სროლისთვის, და სხვ. და სხვ.

საქმე ის სხვადასხვა ელფერი როდია, რომელიც არსებობს მემარცხენეებს შორისაც. საქმე მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ა. მთელი არსი ისაა, რომ ადვილი არ არის საქმით ინტერნაციონალისტობა საშინელი იმპერიალისტური ომის ეპოქაში. ასეთი ხალხი ცოტაა, მაგრამ მ ხ ო ლ ო დ მათზეა დამოკიდებული სოციალიზმის მთელი მომავალი, მ ხ ო ლ ო დ ისინი არიან მ ა ს ე ბ ი ს ბ ე ლ ა დ ე ბ ი და არა მასების გამრყვნელნი.

განსხვავებას რეფორმისტებსა და რევოლუციონერებს შორის, სოციალ-დემოკრატებს შორის, საერთოდ სოციალისტებს შორის, ობიექტური აუცილებლობით უნდა განეცადა ცვლილება იმპერიალისტური ომის პირობებში. ვინც სჯერდება ბურჟუაზიული მთავრობისადმი «მოთხოვნების» წაყენებას ზავის დადების შესახებ ანდა «ზავისადმი ხალხის ნებასურვილის გამომჟღავნების» შესახებ და სხვ., ის ს ა ქ მ ი თ რეფორმებისაკენ ეშვება. რ ა დ გ ა ნ ო მ ი ს ს ა კ ი თ ხ ი, ობიექტურად, მხოლოდ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ დგას.

არ არის გამოსავალი ომიდან დემოკრატიული, არა ძალდატანებითი ზავისაკენ, «ომით» გამდიდრებული ბატონი კაპიტალისტების მ ი ლ ი ა რ დ ი ა ნ ი პროცენტების უღლისაგან.

ხალხთა განთავისუფლებისაკენ, — არ არის გამოსავალი პროლეტარიატის რევოლუციის გარეშე.

ბურჟუაზიულ მთავრობებს შეიძლება და კიდეც უნდა მოვთხოვოთ სრულიად სხვადასხვაგვარი რეფორმა, მაგრამ შეუძლებელია, თუ არ გვსურს გადავვარდეთ მანილოვობაში, რეფორმიზმში, მოვთხოვოთ იმპერიალისტური კაპიტალის ათასნაირი ძაფებით შებოჭილ ამ ადამიანებსა და კლასებს ამ ძაფების გაწყვეტა, ხოლო მათი გაწყვეტის გარეშე ყოველგვარი ლაპარაკი ომზე ომის წინააღმდეგ ცარიელი, მატყუარა ფრაზებია.

«კაუცკელები», «ცენტრი» — სიტყვიერად რევოლუციონერები, საქმით კი რეფორმისტები, — სიტყვიერად ინტერნაციონალისტები, საქმით კი სოციალ-შოვინიზმის ხელისშემწყობნი არიან.

ციმერვალდის ინტერნაციონალის კრახი. — საჭიროა მესამე ინტერნაციონალის დაარსება

17. ციმერვალდის ინტერნაციონალი თავიდანვე მერყევ, «კაუცკურ», «ცენტრისტულ» პოზიციას დაადგა, რამაც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი აიძულა დაუყოვნებლივ გამიჯნულიყო, განცალკევებულიყო და გამოსულიყო თავისი მანიფესტით (რომელიც დაიბეჭდა შვეიცარიაში რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე).

ციმერვალდის ინტერნაციონალის მთავარი ნაკლი — მისი კრახის მიზეზია (რადგან მან უკვე განიცადა იდეურ-პოლიტიკური კრახი) — ყოყმანი და გაუბედაობა უმნიშვნელოვანეს, პრაქტიკულად ყოვლისგანმსაზღვრელ საკითხში სოციალ-შოვინიზმთან და სოციალ-შოვინისტურ ძველ ინტერნაციონალთან, რომელსაც მეთაურობენ ვანდერველდე, ჰიუისმანსი ჰააგაში (ჰოლანდია) და სხვ., კავშირის სავსებით გაწყვეტის შესახებ.

ჩვენში ჯერ კიდევ არ იციან, რომ ციმერვალდის უმრავლესობა სწორედ კაუცკელები არიან. ეს კი ძირი-

თადი ფაქტია, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს და რომელიც ახლა დასავლეთ ევროპაში საყოველთაოდ ცნობილია. ისეთი შოვინისტიც კი, უკიდურესი გერმანელი შოვინისტი, როგორიც არის არქიშოვინისტური «ხემნიცის გაზეთის» რედაქტორი და პარვუსის არქიშოვინისტური «ზარის»[40] თანამშრომელი ჰეილმანი — (რასაკვირველია, «სოციალ-დემოკრატი» და სოციალ-დემოკრატიის «ერთიანობის» თავგამოდებული მომხრე) — იძულებული იყო პრესაში ეღიარებინა, რომ ცენტრი ანუ «კაუცკელობა» და ციმერვალდის უმრავლესობა ერთი და იგივეაო.

1916 წლის დამლევმა და 1917 წლის დამდეგმა კი საბოლოოდ დაადგინა ეს ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ კინტალის მანიფესტმა[41] დაგმო სოციალ-პაციფიზმი, ციმერვალდის მთელი მემარჯვენე ჯგუფი, ციმერვალდის მთელი უმრავლესობა სოციალ-პაციფიზმისკენ დაქანდა: კაუცკი და კომპანია 1917 წლის იანვრისა და თებერვლის მთელ რიგ გამოსვლებში; საფრანგეთში ბურდერონი და მერჰეიმი, რომლებმაც სოციალ-შოვინისტებთან ერთად ერთსულოვნად მისცეს ხმა სოციალისტური პარტიისა (1916 წლის დეკემბერი) და «შრომის გენერალური კონფედერაციის» (ე. ი. საფრანგეთის პროფესიული კავშირების საერთო-ნაციონალური ორგანიზაციის, 1916 წ. დეკემბერშივე) პაციფისტურ რეზოლუციებს; ტურატი და კომპანია იტალიაში, სადაც მთელმა პარტიამ სოციალ-პაციფისტური პოზიცია დაიკავა, ხოლო პირადად ტურატი 1916 წლის 17 დეკემბრის სიტყვაში «დაცურდა» (რა თქმა უნდა, არა შემთხვევით) ნაციონალისტურ, იმპერიალისტური ომის შემლამაზებელ ფრაზებამდე.

ციმერვალდისა და კინტალის თავმჯდომარე რობერტ გრიმი 1917 წლის იანვარში დაუკავშირდა თავისი პარტიის სოციალ-შოვინისტებს (გრეილიხს, პფლიუგერს, გუსტავ მიულერს და სხვებს) საქმით ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ.

სხვადასხვა ქვეყნის ციმერვალდელთა ორ თათბირზე, 1917 წლის იანვარსა და თებერვალში ციმერვალდის

უმრავლესობის ეს ორჭოფი და ორპირი საქციელი ფორმალურად დაგმეს რამდენიმე ქვეყნის მემარცხენე ინტერნაციონალისტებმა: ახალგაზრდათა საერთაშორისო ორგანიზაციის მდივანმა და საუცხოო ინტერნაციონალისტური გაზეთის «ახალგაზრდობის ინტერნაციონალის»[42] რედაქტორმა მიუნცენბერგმა; ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ზინოვიევმა; პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის («სამხარეო გამგეობა») წარმომადგენელმა კ. რადეკმა; გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა, «სპარტაკის ჯგუფის» წევრმა ჰარტშტეინმა.

რუსეთის პროლეტარიატს ბევრი აქვს მინიჭებული; მუშათა კლასს ჯერ კიდევ ვერსად ქვეყნად ვერ მოუხერხებია ისეთი რევოლუციური ენერგიის გაშლა, როგორც რუსეთში. მაგრამ ვისაც ბევრი აქვს მინიჭებული, მას ბევრიც მოეთხოვება.

შეუძლებელია ციმერვალდის ჭაობის მეტი მოთმენა. შეუძლებელია ციმერვალდელი «კაუცკელების» გულისთვის პლეხანოვებისა და შეიდემანების შოვინისტურ ინტერნაციონალთან სანახევრო კავშირში დარჩენა. დაუყოვნებლივ უნდა გავწყვიტოთ კავშირი ამ ინტერნაციონალთან. ციმერვალდში მ ხ ო ლ ო დ ინფორმაციისთვის უნდა დავრჩეთ.

დაუყოვნებლივ უნდა დავაარსოთ სწორედ ჩვენ, სწორედ ამჟამად, ა ხ ა ლ ი, რევოლუციური, პროლეტარული ინტერნაციონალი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ უნდა შევუშინდეთ საქვეყნოდ ვაღიაროთ, რომ ი გ ი უ კ ვ ე ა რ ს ებ ო ბ ს და მოქმედებს.

ეს არის ინტერნაციონალი იმ «საქმით ინტერნაციონალისტებისა», რომლებიც ზემოთ ზუსტად ჩამოვთვალე. ისინი და მხოლოდ ისინი არიან რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური მასების წარმომადგენლები და არა მასების გამრყვნელნი.

თუ ა ს ე თ ი სოციალისტები ცოტანი არიან, დაე შეეკითხოს თავის თავს ყოველი რუსი მუშა, განა ბევრი იყო შეგნებული რევოლუციონერი რუსეთში 1917 წ. თებერვლისა და მარტის რევოლუციის წ ი ნ ა დ ღ ე ე ბ შ ი?

საქმე რიცხვი კი არ არის, არამედ ის, რომ სწორად გამოხატო ნამდვილი რევოლუციური პროლეტარიატის იდეები და პოლიტიკა. არსი ინტერნაციონალიზმის «აღიარება» კი არ არის, არამედ ის, რომ თვით უმძიმეს ხანაშიც კი საქმით ინტერნაციონალისტად დარჩენა შეგეძლოს.

ნუ მოვიტყუებთ თავს შეთანხმებებისა და საერთაშორისო კონგრესების იმედით. ვიდრე იმპერიალისტური ომი გრძელდება, საერთაშორისო კავშირურთიერთობა შებოჭილია იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული სამხედრო დიქტატურის რკინის მუხრუჭებით. თუკი «რესპუბლიკელმა» მილიუკოვმაც კი, რომელიც იძულებულია მოითმინოს მუშათა დეპუტატების საბჭოს სახით გვერდით მდგომი მთავრობა, 1917 წლის აპრილში რუსეთში ა რ შ ე მ ო უ შ ვ ა შვეიცარიელი სოციალისტი, პარტიის მდივანი, ინტერნაციონალისტი, ციმერვალდისა და კინტალის მონაწილე ფ რ ი ც პ ლ ა ტ ე ნ ი, თუმცა მას ცოლად რუსი ქალი ჰყავს და ცოლის ნათესავებთან მოდიოდა, თუმცა იგი რიგაში მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციაში, რისთვისაც რუსეთის საპყრობილეში იჯდა, და მეფის მთავრობის ხაზინაში შეიტანა გირაო, რომ გაეთავისუფლებინათ, ხოლო ახლა ამ გირაოს დაბრუნება უნდოდა, — თუ «რესპუბლიკელ» მილიუკოვს შეეძლო ამის ჩ ა დ ე ნ ა რუსეთში 1917 წლის აპრილში, შეიძლება განვსაჯოთ, რა ფასი უნდა ჰქონდეს ბურჟუაზიის მხრივ აღთქმებსა და დაპირებებს, ფრაზებსა და დეკლარაციებს უანექსიო ზავისა და სხვ. შესახებ.

რაღა არის ტროცკის დაპატიმრება ინგლისის მთავრობის მიერ? ანდა ის გარემოება, რომ შვეიცარიიდან მარტოვი არ გამოუშვეს, ანდა იმედი მარტოვის შეტყუებისა ინგლისში, სადაც მას ტროცკის ბედი მოელის?

ნუ მივეცემით ილუზიებს. ნუ მოვიტყუებთ თავს.

საერთაშორისო კონგრესების ან თათბირების «ლოდინი» ნიშნავს ინტერნაციონალიზმის მ ო ღ ა ლ ა ტ ე იყო, რაკი დამტკიცებულია, რომ ჩვენკენ სტოკჰოლმიდანაც კი არ უშვებენ არც ინტერნაციონალიზმის ერთგულ სოციალისტებს და

არც მათ წერილებს, მიუხედავად სრული შესაძლებლობისა და სამხედრო ცენზურის სრული მძვინვარებისა.

ჩვენმა პარტიამ კი არ უნდა «უცადოს», არამედ ახლავე უნდა დააარსოს მესამე ინტერნაციონალი, — და მაშინ თავისუფლად ამოისუნთქავენ გერმანიისა და ინგლისის საპყრობილეებში ასობით ჩამწყვდეული სოციალისტები; მრავალი ათასი გერმანელი მუშა, რომლებიც ახლა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს აწყობენ და ამით ძილს უფრთხობენ არამზადა და ყაჩაღ ვილჰელმს, არალეგალურ ფურცლებში წაიკითხავენ ჩვენს გადაწყვეტილებას, გაეცნობიან ჩვენს ძმურ ნდობას კარლ ლიბკნეხტისადმი და მხოლოდ მისდამი, წაიკითხავენ ჩვენს გადაწყვეტილებას, რომ ახლაც მზადა ვართ ვიბრძოლოთ «რევოლუციური ობორონცობის» წინააღმდეგ, — წაიკითხავენ ამას და უფრო გაკაჟდება მათი რევოლუციური ინტერნაციონალიზმი.

ვისაც მეტი აქვს მინიჭებული, მას მეტიც მოეთხოვება. მთელ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამჟამად ისეთი თავისუფლება იყოს, როგორიც რუსეთშია. ვისარგებლოთ ამ თავისუფლებით არა იმისთვის, რომ ვიქადავოთ ბურჟუაზიისა ან ბურჟუაზიული «რევოლუციური ობორონცობისთვის» მხარის დაჭერა, არამედ იმისთვის, რომ დაარსოთ გაბედული და პატიოსანი, პროლეტარული და ლიბკნეხტისებური მესამე ინტერნაციონალი, ინტერნაციონალი, რომელიც შეურიგებელი მტერი იქნება როგორც მოღალატე სოციალ-შოვინისტებისა, ისე «ცენტრის» მერყევი ხალხისა.

18. ზემონათქვამის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი რუსეთის სოციალ-დემოკრატების გაერთიანებაზე, ამიტომ ბევრ სიტყვას აღარ დავხარჯავ ამაზე.

უმჯობესია ორად ორი დარჩე, როგორც ლიბკნეხტი, — და ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლუციურ პროლეტარიატთან რჩები, — ვიდრე ერთი წუთითაც გაიფიქრო გაერთიანება ორგანიზაციული კომიტეტის

პარტიასთან, ჩხეიძესთან და წერეთელთან, რომლებიც იწყნარებენ ბლოკს პოტრესოვთან «რაბოჩაია გაზეტაში», სესხის სასარგებლოდ ხმას აძლევენ მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში[43] და დაქანდნენ «ობორონცობისაკენ».

დაე მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მიცვალებულნი.

ვისაც სურს უშველოს მერყევთ, იმით უნდა დაიწყოს, რომ თვითონ დაანებოს თავი მერყეობას.

როგორი უნდა იყოს მეცნიერულად სწორი და პოლიტიკურად პროლეტარიატის შეგნების გაცნობიერების ხელისშემწყობი სახელწოდება ჩვენი პარტიისა?

19. გადავდივარ უკანასკნელ საკითხზე, ჩვენი პარტიის სახელწოდებაზე. ჩვენ უნდა დავირქვათ კომუნისტური პარტია, — როგორც მარქსი და ენგელსი უწოდებდნენ თავიანთ თავს.

ჩვენ უნდა გავიმეოროთ, რომ მარქსისტები ვართ და საფუძვლად ვიღებთ «კომუნისტურ მანიფესტს», რომელიც შერყვნა და გასცა სოციალ-დემოკრატიამ ორ მთავარ მუხლში: 1) მუშებს არა აქვთ სამშობლო: «სამშობლოს დაცვა» იმპერიალისტურ ომში სოციალიზმის ღალატია; 2) მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ დამახინჯებულია II ინტერნაციონალის მიერ.

სახელწოდება «სოციალ-დემოკრატია» მეცნიერულად სწორი არ არის, როგორც ეს მარქსმა არა ერთხელ დაგვანახვა, სხვათა შორის, 1875 წლის «გოთას პროგრამის კრიტიკაში», ხოლო უფრო პოპულარულად გაიმეორა ენგელსმა 1894 წელს[44]. კაპიტალიზმიდან კაცობრიობას შეუძლია უშუალოდ გადავიდეს მხოლოდ სოციალიზმზე, ე. ი. წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობაზე და პროდუქტების განაწილებაზე თვითეულის მუშაობისდა მიხედვით. ჩვენი პარტია უფრო შორს იხედება: სოციალიზმი თანდათანობით აუცილებლად უნდა გადაიზარდოს კომუნიზმში, რომლის დროშაზე

წერია: «თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით».

ასეთია ჩემი პირველი საბუთი.

მეორე: მეცნიერულად სწორი არ არის ჩვენი პარტიის სახელწოდების მეორე ნაწილიც (სოციალ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი). დემოკრატია არის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ერთ-ერთი ფორმა. ჩვენ კი, მარქსისტები, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი ვართ.

II ინტერნაციონალის (1889 — 1914) ბელადებმა, ბბ. პლეხანოვმა, კაუცკიმ და მათთა მსგავსთა, გააათახსირეს და დაამახინჯეს მარქსიზმი.

მარქსიზმი იმით განირჩევა ანარქიზმისაგან, რომ აღიარებს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს სოციალიზმზე გადასასვლელად, — მაგრამ (და სწორედ ამაშია განსხვავება კაუცკისა და კომპანიისაგან) ა რ ა ი ს ე თ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს აუცილებლობას, როგორიცაა ჩვეულებრივი პარლამენტური ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ ისეთისას, როგორიცაა 1871 წლის პარიზის კომუნა, როგორიცაა 1905 და 1917 წლების მუშათა დეპუტატების საბჭოები.

ჩემი მესამე საბუთი: ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ შექმნა, რევოლუციამ ს ა ქ მ ი თ უ კ ვ ე შექმნა ჩვენში, თუმცა სუსტი, ჩანასახური ფორმით, სწორედ ეს, ახალი «სახელმწიფო», რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოს ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

ეს უ კ ვ ე მასების პრაქტიკის საკითხია, და არა მარტო ბელადების თეორია.

სახელმწიფო, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, არის მასებზე მბრძანებლობა ხალხისაგან გამოყოფილ შეიარაღებულ ადამიანთა რაზმების მხრივ.

ჩვენი ახალი სახელმწიფოც, რომელიც ა მ ჟ ა მ ა დ ი ბ ა დ ე ბ ა, აგრეთვე სახელმწიფოა, რადგან ჩვენთვის საჭიროა შეიარაღებულ ადამიანთა რაზმები, საჭიროა უ მ კ ა ც რ ე ს ი წესრიგი, საჭიროა დ ა უ ნ დ ო ბ ე ლ ი ძალდატანებითი ჩა-

ხშობა კონტრრევოლუციის ყოველგვარი ცდისა, ცარისტული იქნება იგი თუ გუჩკოვურ-ბურჟუაზიული.

მაგრამ ჩვენი ახალი სახელმწიფო, რომელიც ამჟამად იბადება, უკვე აღარ არის სახელმწიფო ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, რადგან რუსეთის მრავალ ადგილას შეიარაღებულ ადამიანთა ეს რაზმები თვით მასაა, მთელი ხალხია და არა სხვა ვინმე ამ ხალხზე მაღლა დაყენებული, მისგან გამოყოფილი, პრივილეგიური, პრაქტიკულად შეუცვლელი.

უნდა ვიცქირებოდეთ არა უკან, არამედ წინ, არა იმ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ტიპის დემოკრატიისაკენ, რომელიც განამტკიცებდა ბურჟუაზიის ბატონობას მართვა-გამგეობის ძველი, მონარქისტული, ორგანოების — პოლიციის, ჯარისა და მოხელეების საშუალებით.

უნდა ვიცქირებოდეთ წინ იმ დემოკრატიისაკენ, რომელიც ახლა იბადება, რომელიც უკვე აღარ არის დემოკრატია, რადგან დემოკრატია არის ხალხის ბატონობა, თვით შეიარაღებულ ხალხს კი არ შეუძლია თავის თავზე იბატონოს.

სიტყვა დემოკრატია კომუნისტური პარტიისადმი მიყენებით სწორი არ არის არა მარტო მეცნიერულად. ეს სიტყვა ახლა, 1917 წლის მარტის შემდეგ, მხოლოდ თვალსაფარია, რომელსაც უკეთებენ რევოლუციურ ხალხს და რომელიც ხელს უშლის მას თავისუფლად, გაბედულად, თვითნებურად აშენოს ახალი: მუშათა, გლეხთა და ყოველგვარი სხვა დეპუტატების საბჭოები, როგორც ერთადერთი ხელისუფლება «სახელმწიფოში», როგორც წინასწარმაუწყებელი ყოველგვარი სახელმწიფოს «კვდომისა».

ჩემი მეოთხე საბუთი: ანგარიში უნდა გავუწიოთ სოციალიზმის ობიექტურ მსოფლიო მდგომარეობას.

ეს მდგომარეობა ისეთი არ არის, როგორიც იყო 1871 — 1914 წლებში, როცა მარქსი და ენგელსი შეგნებულად ურიგდებოდნენ არასწორ, ოპორტუნისტულ ტერმინს: «სოციალ-დემოკრატია». ვინაიდან მაშინ, პარიზის კომუნის

დამარცხების შემდეგ, ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა: ნელი ორგანიზაციულ-საგანმანათლებლო მუშაობა. სხვანაირი მუშაობა არ იყო. ანარქისტები არამცთუ თეორიულად იყვნენ (და ახლაც არიან) ძირფესვიანად შემცდარნი, არამედ ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც. ანარქისტებმა სწორად ვერ შეაფასეს მომენტი, რადგან ვერ გაიგეს მსოფლიო სიტუაცია: იმპერიალისტური მოგებით გარყვნილი ინგლისელი მუშა, პარიზის დამარცხებული კომუნა, ახლად გამარჯვებული (1871 წ.) ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობა გერმანიაში, საუკუნეობრივი ძილით შეპყრობილი ნახევრადბატონყმური რუსეთი.

მარქსმა და ენგელსმა სწორად გაითვალისწინეს მომენტი, შეიგნეს საერთაშორისო სიტუაცია, შეიგნეს სოციალური რევოლუციის დასაწყისისადმი ნ ე ლ ი მიდგომის ამოცანები.

მაშ შევიგნოთ ჩვენც ახალი ეპოქის ამოცანები და თავისებურებანი. ნუ მივბაძავთ იმ სავალალო მარქსისტებს, რომელთა შესახებ მარქსი ამბობდა: «მე გველეშაპები დავთესე და რწყილები მოვიმკეო» [45].

იმპერიალიზმად გადაზრდილი კაპიტალიზმის ობიექტურმა აუცილებლობამ წარმოშვა იმპერიალისტური ომი. ომმა მთელი კაცობრიობა უ ფ ს კ რ უ ლ ი ს პ ი რ ა მ დ ე, მთელი კულტურის დაღუპვამდე, კიდევ მილიონობით, უთვალავ მილიონობით ადამიანის გაველურებამდე, განადგურებამდე მიიყვანა.

პროლეტარიატის რევოლუციის გარეშე გამოსავალი ა რ ა რ ი ს.

და ასეთ მომენტში, როცა ეს რევოლუცია იწყება, როცა ის თავის პირველ, გაუბედავ, სუსტ, შეუგნებელ, ბურჟუაზიისადმი მეტისმეტ მიმნდობ ნაბიჯებს დგამს, — ასეთ მომენტში «სოციალ-დემოკრატი» ბელადების, «სოციალ-დემოკრატი» პარლამენტარიების, «სოციალ-დემოკრატიული» გაზეთების უმრავლესობამ (ეს მართალია, ეს ფაქტია) — და მასებზე ზეგავლენის ო რ გ ა ნ ო ე ბ ი ც ხომ სწორედ ესენი არიან — მათმა უმრავლესობამ უ ღ ა ლ ა ტ ა სოციალიზმს, გ ა ს ც ა სოციალიზმი და «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა.

მასები შეშფოთებულნი, თავგზააბნეულნი, მოტყუებულნი არიან ამ ბელადების მიერ.

და ჩვენც ხელს შევუწყობთ ამ მოტყუებას, გავაადვილებთ მას, თუ ჩავეჭიდებით იმ ძველ და დრომოჭმულ სახელწოდებას, რომელიც ისევე დალპა, როგორც დალპა II ინტერნაციონალი!

დაე «მრავალ» მუშას პატიოსნურად ესმოდეს სოციალ-დემოკრატია. დროა ვისწავლოთ სუბიექტურის გარჩევა ობიექტურისაგან.

სუბიექტურად ეს სოციალ-დემოკრატი მუშები — პროლეტარული მასების უერთგულესი ბელადები არიან.

ობიექტური, მსოფლიო მდგომარეობა კი ისეთია, რომ ჩვენი პარტიის ძველი სახელწოდება აადვილებს მასების მოტყუებას, აფერხებს წინსვლას, რადგან ყოველ ნაბიჯზე, ყოველ გაზეთში, ყოველ პარლამენტის ფრაქციაში მასა ხედავს ბელადებს, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომელთა სიტყვები უფრო შორს გაისმის, საქმეები უფრო შორიდან მოჩანს, — და ყველა ისინი «ვითომ-სოციალ-დემოკრატები» არიან, ყველა ისინი მხარს უჭერენ «ერთიანობას» სოციალიზმის მოღალატეებთან, სოციალ-შოვინისტებთან, ყველა ისინი გასანაღდებლად ადგენენ «სოციალ-დემოკრატიის» მიერ გაცემულ ძველ თამასუქებს...

საწინააღმდეგო საბუთები კი რაღაა? ... «ანარქისტ-კომუნისტებში აგვრევენო»...

რატომ იმის არ გვეშინია, რომ აგვრევენ სოციალ-ნაციონალებსა და სოციალ-ლიბერალებში, რადიკალ-სოციალისტებში, საფრანგეთის რესპუბლიკის უაღრესად მოწინავე და მასების ბურჟუაზიულ მოტყუებაში უაღრესად გაქნილ ბურჟუაზიულ პარტიაში? ... «მასები შეეჩვივნენ, მუშებმა «შეიყვარეს» თავიანთი სოციალ-დემოკრატიული პარტიაო»...

აი ერთადერთი საბუთი, მაგრამ ეს ხომ ისეთი საბუთია, რომელიც შორს უკუაგდებს მარქსიზმის მეცნიერებასაც, რევოლუციის სახვალიო ამოცანებსაც, მსოფლიო სოციალიზმის ობიექტურ მდგომარეობასაც, II ინტერნაციონალის სამარცხვინო კრახსაც და პროლეტარების გარშემო თავმოყრილი

«ვითომ-სოციალ-დემოკრატების» ხროვის მიერ პრაქტიკული საქმის გაფუჭებასაც.

ეს არის რუტინის, მცონარეობის, დახავსებულობის საბუთი.

ჩვენ კი ქვეყნიერების გარდაქმნა გვინდა. ჩვენ გვინდა ბოლო მოვუღოთ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს, რომელშიც ჩაბმულია ასეული მილიონობით ადამიანი, ერთმანეთში გადახლართულია მრავალი ასეული მილიარდი კაპიტალის ინტერესები, — რომელიც ვერ დამთავრდება ნამდვილი დემოკრატიული ზავით კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პროლეტარული რევოლუციის გარეშე.

და ჩვენც ჩვენივე თავის გვეშინია. ჩვენ ჩავჭიდებივართ «შეჩვეულ», «საყვარელ», ჭუჭყიან პერანგს...

დროა გავიძროთ ჭუჭყიანი პერანგი, დროა ჩავიცვათ სუფთა საცვლები.

პეტროგრადი. 1917 წლის 10 აპრილი.

ბოლოსიტყვაობა

ეკონომიური რღვევისა და პეტერბურგის სტამბების მუშაობის უუნარობის გამო ჩემი ბროშურა მოძველდა. ბროშურა დაწერილია 1917 წლის 10 აპრილს, დღეს კი 28 მაისია და ბროშურა ჯერაც არ გამოსულა!

ბროშურა დაწერილია როგორც პ რ ო ე ქ ტ ი პლატფორმისა ჩემი შეხედულებების საქადაგებლად ჩვენი პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის კონფერენციის წ ი ნ. ბროშურა, რამდენიმე ეგზემპლარად გადაბეჭდილი საწერ მანქანაზე, კონფერენციის წინ და კონფერენციაზე დაურიგდა პარტიის წევრებს და მან მაინც შეასრულა თავისი დანიშნულების მცირედი ნაწილი. მაგრამ ახლა 1917 წლის 24 — 29 აპრილს კონფერენცია უკვე შედგა, მისი რეზოლუციები დიდი ხანია გამოცემულია (იხ. «სოლდატსკაია პრავდას»[46] მე-13 ნომრის დამატებანი), და დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ჩემი ბროშურა ხშირად ამ რეზოლუციების პირველად პროექტს წარმოადგენს.

მე დამრჩენია მხოლოდ გამოვთქვა იმედი, რომ ამ რეზოლუციებთან დაკავშირებით, მათ განსამარტებლად ბროშურა მცირეოდენ სარგებლობას მაინც მოიტანს, შემდეგ კი შევჩერდე ორ მუხლზე.

27-ე გვერდზე მე წინადადებას ვიძლევი ციმერვალდში დავრჩეთ მხოლოდ ინფორმაციისათვის *. კონფერენცია ამ მუხლში არ დამეთანხმა და მე იძულებული გავხდი წინააღმდეგ მიმეცა ხმა რეზოლუციისათვის ინტერნაციონალის შესახებ. ახლა უკვე აშკარად ჩანს, რომ კონფერენციამ შეცდომა დაუშვა და რომ მოვლენათა მსვლელობა სწრაფად გამოასწორებს ამ შეცდომას. ციმერვალდში დარჩენით ჩვენ (თუნდაც ჩვენი ნების წინააღმდეგაც) მონაწილეობას ვიღებთ III ინტერნაციონალის შექმნის გაჭიანურებაში; ჩვენ არაპირდაპირ ვაფერხებთ მის შექმნას, რადგან შებოჭილი ვართ იდეურ-პოლიტიკურად უკვე მკვდარი ციმერვალდის მკვდარი ტვირთით.

ჩვენი პარტიის მდგომარეობა — მთელი მსოფლიოს ყველა მუშათა პარტიის თვალში — ახლა სწორედ ისეთია, რომ ჩვენ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ვართ დაუყოვნებლივ დ ა ვ ა ა რ ს ო თ III ინტერნაციონალი. ჩვენ გარდა ა ხ ლ ა ამას ვერავინ გააკეთებს, საქმის გაჭიანურება კი მავნებელია. ციმერვალდში მხოლოდ ინფორმაციისათვის დარჩენით ჩვენ ერთბაშად გავიხსნიდით ხელს III ინტერნაციონალის შექმნისათვის (და ამავე დროს შეგვეძლებოდა გ ა მ ო გ ვ ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა ციმერვალდი, თუ გარემოება შესაძლებელს გახდიდა ასეთ გამოყენებას).

ახლა კი, იმ შეცდომის გამო, რომელიც კონფერენციამ დაუშვა, ჩვენ იძულებული ვართ პასიურად ველოდოთ სულ ცოტა 1917 წლის 5 ივლისამდე (ციმერვალდის კონფერენციის მოწვევის ვადა; კიდევ კარგი, თუ მის მოწვევას კ ვ ლ ა ვ არ გადადებენ! ერთხელ ის უკვე გადადვეს...).

მაგრამ კონფერენციის შემდეგ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც «პრავდის» 55-ე ნომერში დაიბეჭდა 12 მაისს, საანახევროდ გამოასწორა შეცდომა: დადგენილია, რომ ჩვენ ვტოვებთ ციმერვალდს, თუ ის დათანხმდება მინისტრებ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 79. რ ე დ.

თან მოთათბირებას *. მე ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვთქვა იმედი, რომ შეცდომის მეორე ნახევარი მალე იქნება გამოსწორებული, როგორც კი მოვიწვევთ «მემარცხენეთა» პირველ საერთაშორისო თათბირს («მესამე მიმდინარეობა», «საქმით ინტერნაციონალისტებისა», იხ. ზემოთ, გვ. 23 — 25 **).

მეორე მუხლი, რომელზედაც უნდა შევჩერდეთ, ეს არის «კოალიციური სამინისტროს» შექმნა 1917 წლის 6 მაისს. ბროშურა ამ მუხლში განსაკუთრებით მოძველებული ჩანს.

ნამდვილად კი სწორედ ამ მუხლში ის სრულიად არ არის მოძველებული. ბროშურაში ყველაფერი აგებულია კლასობრივ ანალიზზე, რომლისაც, როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ მენშევიკებსა და ნაროდნიკებს, რომლებმაც 6 მინისტრი მისცეს მძევლად კაპიტალისტების 10 მინისტრს. და სწორედ იმიტომ, რომ ბროშურა ყველაფერს კლასობრივ ანალიზზე აგებს, ის არ მოძველებულა, რადგან წერეთლის, ჩერნოვისა და კომპანიის შესვლამ სამინისტროში უმნიშვნელოდ შეცვალა კაპიტალისტების მთავრობასთან პეტროგრადის საბჭოს შეთანხმების მხოლოდ ფორმა, მე კი განგებ ხაზგასმით აღვნიშნე ბროშურაში, მე-8 გვერდზე, რომ «მხედველობაში მაქვს არა იმდენად ფორმალური შეთანხმება, რამდენადაც ფაქტიური მხარის დაჭერა» ***.

დღითი დღე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ წერეთელი, ჩერნოვი და კომპანია სწორედ მხოლოდ მძევლები არიან კაპიტალისტებისა, რომ «განახლებულ» მთავრობას თავისი დიდებული დაპირებებიდან სრულიად არაფრის შესრულება არ სურს და არც შეუძლია არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკაში. ჩერნოვმა, წერეთელმა და კომპანიამ პოლიტიკურად მოიკლეს თავი, ისინი აღმოჩნდნენ კაპიტალისტების თანაშემწეები, რომლებიც საქმით ახშობენ რევოლუციას, კერენსკი იქამდე მივიდა, რომ ძალადობას ხმარობს მასების მიმართ (შდრ. ბროშურის მე-9 გვერდი: «გუჩკოვი ჯერ მხო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 465. რედ.
** იხ. ეს ტომი, გვ. 73 — 76. რედ.
*** იხ. ეს ტომი, გვ. 53. რედ.

ლოდ იმუქრება, ძალადობას მივმართავ მასების წინააღმდეგო» *, კერენსკის კი მ ო უ ხ დ ა ამ მუქარის განხორციელება...). ჩერნოვმა, წერეთელმა და კომპანიამ პოლიტიკურად მოიკლეს თავი და მოკლეს თავიანთი პარტიები, მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები. ხალხი ამას დღითი დღე სულ უფრო და უფრო ნათლად დაინახავს.

კოალიციური სამინისტრო — მხოლოდ გარდამავალი მომენტია ჩვენი რევოლუციის ძირითად, ჩემს ბროშურაში მოკლედ გაანალიზებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებაში. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ან უკან — კონტრრევოლუციისაკენ მთელი ხაზით, ან წინ — ძალაუფლების სხვა კლასთა ხელში გადასვლისაკენ. რევოლუციურ ხანაში, მსოფლიო იმპერიალისტური ომის ვითარებაში, ერთ ადგილას დგომა შეუძლებელია.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პეტერბურგი. 1917 წ. 28 მაისი.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 55. რ ე დ.

პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები[47]

დაიბეჭდა 1917 წ. 6, 9 და 10 მაისს (23, 25 და 27 აპრილს) გაზეთ «ვოლნაში» №№ 20, 22 და 23

1917 წ. ივლისში დაიბეჭდა ცალკე ბროშურად გამომცემლობაში «ქიზნ ი ზნანიე»

იბეჭდება 1917 წელს გამოცემული ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია 1918 წელს გამოცემული ბროშურის ტექსტთან

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

ეს ბროშურა დაწერილია 1917 წლის აპრილის დამდეგს, ვიდრე კოალიციური სამინისტრო შეიქმნებოდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მთავარი პოლიტიკური პარტიების ძირითადი თავისებურებები რევოლუციის ყველა შემდგომი ეტაპის განმავლობაში გამომჟღავნდა და დადასტურდა: «კოალიციური სამინისტროს» დროსაც, რომელიც წარმოიშვა 1917 წლის 6 მაისს, ბოლშევიკების წინააღმდეგ მენშევიკებისა და ესერების გაერთიანების დროსაც 1917 წლის ივნისში (და ივლისში), კორნილოველობის დროსაც, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დროსაც და მის შემდგომაც.

მთავარი პარტიების და მათი **კლასობრივი საფუძვლების** ამ დახასიათების სისწორე დადასტურებულია რუსეთის რევოლუციის მთელი მსვლელობით. ახლა რევოლუციის ზრდა დასავლეთ ევროპაში ცხადყოფს, რომ იქაც მთავარი პარტიების ძირითადი თანაფარდობა იგივეა. მენშევიკებისა და ესერების როლს ასრულებენ ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტები (სოციალისტები სიტყვიერად, შოვინისტები საქმით), აგრეთვე კაუცკელები — გერმანიაში, ლონგეტისტები — საფრანგეთში და სხვ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი. 1918 წლის 22 ოქტომბერი.

დაიბეჭდა 1918 წელს ბროშურაში:
ნ. ლენინი. «პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები». გამომცემლობა «კომმუნისტი», მოსკოვი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

ქვემოხსენებული წარმოადგენს ცდას — ჩამოვაყალიბოთ ჯერ ყველაზე უფრო არსებითი და შემდეგ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი კითხვები და პასუხები, რომელნიც ახასიათებენ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას და მის შეფასებას სხვადასხვა პარტიის მიერ.

კითხვები:

1) პოლიტიკური პარტიების რა მთავარი ჯგუფებია რუსეთში?

პასუხი:

ა, (კადეტებზე უფრო მემარჯვენეები). კადეტებზე უფრო მემარჯვენე პარტიები და ჯგუფები.

ბ, (კ.-დ.). კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (კადეტები, სახალხო თავისუფლების პარტია) და მასთან დაახლოებული ჯგუფები.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და მათთან დაახლოებული ჯგუფები.

დ, («ბოლშევიკები»). პარტია, რომელსაც უნდა ერქვას კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა და რომელსაც ახლა ჰქვია «ცენტრალური კომიტეტით გაერთიანებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია», ხალხში კი «ბოლ-შევიკები».

2) რომელი კლასის წარმომადგენლები არიან ეს პარტიები? რომელი კლასის თვალსაზრისს გამოხატავენ ისინი?

ა, (კადეტებზე უფრო მემარჯვენეები). მებატონე-მემამულეებისა და ბურჟუაზიის (კაპიტალისტების) ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენებისა.

ბ, (კ.-დ.). მთელი ბურჟუაზიის, ე. ი. კაპიტალისტების კლასისა და გაბურჟუებული, ე. ი. გაკაპიტალისტებული მემამულეებისა.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). წვრილი მეპატრონეების, წვრილი და საშუალო გლეხების, წვრილი ბურჟუაზიისა და აგრეთვე მუშების იმ ნაწილისა, რომელიც ბურჟუაზიის გავლენას განიცდის.

დ, («ბოლშევიკები»). შეგნებული პროლეტარების, დაქირავებული მუშებისა და მათი მომხრე გლეხების უღარიბესი ნაწილისა (ნახევრადპროლეტარებისა).

3) როგორ უყურებენ სოციალიზმს?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), ბ, (კ.-დ.). უთუოდ მტრულად, რადგან სოციალიზმი საფრთხეს უმზადებს კაპიტალისტებისა და მემამულეების მოგებას.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). სოციალიზმის მომხრე არიან, მაგრამ ნაადრევია მასზე ფიქრი და მის განსახორციელებლად დაუყოვნებლივ ნაბიჯების გადადგმაო.

დ, («ბოლშევიკები»). სოციალიზმის მომხრე არიან. აუცილებლად საჭიროა, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად მუშათა და სხვ. დეპუტატების საბჭოებმა ახლავე გადადგან პრაქტიკულად შესაძლებელი ნაბიჯებიო *.

4) როგორი სახელმწიფო წყობილება სურთ ამჟამად?

ა, (კადეტებზე უფრო მემარჯვენეები). კონსტიტუციური მონარქია, მოხელეთა და პოლიციის ყოვლისშემძლეობა.

* თუ როგორი უნდა იყოს ეს ნაბიჯები, იხ. კითხვები 20 და 22.

ბ, (კ.-დ.). ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკა, ე. ი. კაპიტალისტების ბატონობის განმტკიცება ძველი მოხელეობისა და პოლიციის შენარჩუნების პირობებში.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკა რეფორმებით მუშებისა და გლეხებისათვის.

დ, («ბოლშევიკები»). მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა. მუდმივი ჯარისა და პოლიციის გაუქმება; მათი შეცვლა საყოველთაოდ შეიარაღებული ხალხით; მოხელეთა არათუ არჩევითობა, არამედ შეცვლაც, მათი ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს კარგი მუშის ხელფასს.

5) როგორ უყურებენ რომანოვების მონარქიის აღდგენას?

ა, (კადეტებზე უფრო მემარჯვენეები). მომხრე არიან, მაგრამ ხალხის შიშით ფარულად და ფრთხილად მოქმედებენ.

ბ, (კ.-დ.). როდესაც გუჩკოვები მოჩანდნენ როგორც ძალა, კადეტები იმის მომხრე იყვნენ, რომ ტახტზე ნიკოლოზის ძმა ან შვილი დაესვათ; ხოლო როცა ხალხი გამოჩნდა როგორც ძალა, კადეტები წინააღმდეგი არიან.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.), **დ,** («ბოლშევიკები»). უთუოდ წინააღმდეგი არიან მონარქიის ყოველნაირი აღდგენისა.

6) როგორ უყურებენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას? რას უწოდებენ წესრიგს, რას ანარქიას?

ა, (კადეტებზე უფრო მემარჯვენეები). თუ მეფე ან ყოჩაღი გენერალი ხელში ჩაიგდებს ძალაუფლებას, ეს ღვთისაგანაა, ეს წესრიგია. სხვა ყოველივე — ანარქიაა.

ბ, (კ.-დ.). თუ კაპიტალისტები ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას, თუნდაც ძალადობით, ეს წესრიგია. ძალაუფლების ხელში ჩაგდება კაპიტალისტების. წინააღმდეგ ანარქია იქნებოდა.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). თუ მუშათა, ჯარისკაცთა და სხვ. დეპუტატების საბჭოები მარტოდმარტო ჩაიგდებენ ხელში მთელ

ძალაუფლებას, ეს ანარქიას გვიქადის. დაე ძალაუფლება ჯერ-ჯერობით კაპიტალისტებს ჰქონდეთ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს კი — «საკონტაქტო კომისია» [48].

დ, («ბოლშევიკები»). მთელი ძალაუფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა, მოჯამაგირეთა და სხვ. დეპუტატების საბჭოებს. მთელი პროპაგანდა, აგიტაცია და მრავალი მილიონი ხალხის ორგანიზაცია ახლავე ამ მიზნისკენ უნდა მ ი ვ მ ა რ თ ო თ *.

7) საჭიროა თუ არა დროებითი მთავრობის მხარის დაჭერა?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). უთუოდ საჭიროა, რადგან ამჟამად ეს არის ერთადერთი შესაძლებელი მთავრობა კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). საჭიროა, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს მთავრობა ასრულებდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან დადებულ შეთანხმებას და ესწრებოდეს «საკონტაქტო კომისიის» სხდომებს.

დ, («ბოლშევიკები»). არ არის საჭირო; დაე კაპიტალისტებმა დაუჭირონ მას მხარი. ჩვენ კი უნდა **მოვამზადოთ** მთელი ხალხი მუშათა, ჯარისკაცთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების სრული ძალაუფლებისა და ერთხელისუფლებიანობისათვის.

8) ერთხელისუფლებიანობას თუ ორხელისუფლებიანობას უჭერენ მხარს?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). კაპიტალისტებისა და მემამულეების ერთხელისუფლებიანობას.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ორხელისუფლებიანობას: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების «კონტროლი» დროებითი მთავრობისადმი. — იმაზე ფიქრი, ნამდვილი იქნება თუ არა ეს კონტროლი ძალაუფლების უქონლად, მავნებელია.

---

* ანარქია ეწოდება ყოველგვარი სახელმწიფო ხელისუფლების უარყოფას, ხოლო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც ხ ო მ სახელმწიფო ხელისუფლებაა.

დ, («ბოლშევიკები»). მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების ერთხელისუფლებიანობას, თავიდან ბოლომდე, მთელ ჩვენს ქვეყანაში.

9) საჭიროა თუ არა დამფუძნებელი კრების მოწვევა?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები). არ არის საჭირო, რადგან მას შეუძლია ზიანი მიაყენოს მემამულეებს. ერთიც ვნახოთ, გლეხებმა დამფუძნებელ კრებაში გადაწყვიტონ, მთელი მიწა ჩამოერთვას მემამულეებსო.

ბ, (კ.-დ.). საჭიროა, მაგრამ ვადა არ უნდა დაინიშნოს. რაც შეიძლება მეტხანს უნდა ვითათბიროთ პროფესორ-იურისტებთან, რადგან, ჯერ-ერთი, ჯერ კიდევ ბებელმა თქვა, იურისტები ყველაზე რეაქციონერები არიან მთელ ქვეყანაზეო; მეორეც, ყველა რევოლუციის გამოცდილება გვასწავლის, რომ ხალხის თავისუფლების საქმე იღუპება, როდესაც მას პროფესორებს ანდობენ.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). საჭიროა და რაც შეიძლება დაჩქარებით. უნდა დაინიშნოს ვადა, ჩვენ უკვე ორასჯერ ვილაპარაკეთ ამის შესახებ საკონტაქტო კომისიაში და ხვალ კიდევ ორას პირველჯერ ვილაპარაკებთ საბოლოოდ.

დ, («ბოლშევიკები»). საჭიროა და რაც შეიძლება დაჩქარებით. მაგრამ მისი წარმატებისა და მოწვევის გარანტია ერთია: მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების რიცხვის გადიდება და მათი **ძალის** განმტკიცება; მუშათა მასების ორგანიზაცია და **შეიარაღება** — აი ერთადერთი გარანტია.

10) ესაჭიროება თუ არა სახელმწიფოს ჩვეულებრივი ტიპის პოლიცია და მუდმივი ჯარი?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). აუცილებლად და უთუოდ ესაჭიროება, რადგან ეს ერთადერთი მტკიცე გარანტიაა კაპიტალისტების ბატონობისა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, როგორც ყველა ქვეყნის გამოცდილება გვასწავ-

ლის, ეს მეტად აადვილებს რესპუბლიკიდან უკანვე მონარქიაზე გადასვლას.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ერთი მხრივ, მგონი, არ არის საჭირო. მეორე მხრივ, ნაადრევი ხომ არ იქნება ძირითადი ცვლილებები? თუმცა, ამაზე საკონტაქტო კომისიაში მოვილაპარაკებთ.

დ, («ბოლშევიკები»). უცილობლად არ არის საჭირო. ახლავე და უთუოდ უნდა განვახორციელოთ ხალხის საყოველთაო შეიარაღება, მისი შერწყმა მილიციასთან და ჯართან: კაპიტალისტებმა მუშებს გასამრჯელო უნდა აძლიონ მილიციაში სამსახურის დღეებში.

11) ესაჭიროება თუ არა სახელმწიფოს ჩვეულებრივი ტიპის მოხელეობა?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). უთუოდ ესაჭიროება. მათი ცხრა მეათედი მემამულეებისა და კაპიტალისტების შვილები და ძმები არიან. ისინი კვლავ პრივილეგიურ, სინამდვილეში შეუცვლელ პირთა ჯგუფად უნდა დარჩნენ.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). არა გვგონია მართებული იყოს ასე ერთბაშად იმ საკითხის დასმა, რომელიც პრაქტიკულად დააყენა პარიზის კომუნამ.

დ, («ბოლშევიკები»). უცილობლად არ ესაჭიროება. აუცილებლად საჭიროა არა მარტო არჩევითობა, არამედ შეცვლაც ყველა მოხელისა და ყველა და ყოველგვარი დეპუტატისა ყოველ დროს. მათი ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს კარგი მუშის ხელფასს. მათი შეცვლა (თანდათანობით) სახალხო მილიციითა და მისი რაზმებით.

12) საჭიროა თუ არა ოფიცრებს ჯარისკაცები ირჩევდნენ?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). არ არის საჭირო. ეს საზიანოა მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის. თუ უამისოდ შეუძლებელია ჯარისკაცებთან მორიგება, საჭიროა დროებით აღვუთქვათ მათ ეს რეფორმა, შემდეგ კი რაც შეიძლება ჩქარა წავართვათ.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). საჭიროა.

დ, («ბოლშევიკები»). არათუ საჭიროა ირჩევდნენ, არამედ ოფიცრის და გენერლის ყოველ ნაბიჯს უნდა ამოწმებდნენ ჯარისკაცთა საგანგებო წარმომადგენლები.

13) სასარგებლოა თუ არა ჯარისკაცების მიერ უფროსების თვითთნებური გადაყენება?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). უთუოდ მავნებელია. გუჩკოვმა უკვე აკრძალა ეს. ის დაიმუქრა კიდეც ძალის ხმარებით. მხარი უნდა დავუჭიროთ გუჩკოვს.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). სასარგებლოა, მაგრამ გაურკვეველია, ჯერ უნდა გადააყენონ და მერე წავიდნენ საკონტაქტო კომისიაში, თუ პირიქით.

დ, («ბოლშევიკები»). ყოველმხრივ სასარგებლოა და საჭიროც. ჯარისკაცები მხოლოდ არჩეულ უფროსებს უჯერებენ, მხოლოდ მათ ეპყრობიან **პატივისცემით.**

14) მიმდინარე ომის მომხრე თუ წინააღმდეგი ხართ?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). უთუოდ მომხრე ვართ, რადგან ის გაუგონარ მოგებას აძლევს კაპიტალისტებს და იმედს იძლევა, რომ განამტკიცებს მათს ბატონობას მუშების გათიშვისა და მათი ერთმანეთზე წასისიანების მეოხებით. მუშებს მოვატყუებთ იმით, რომ ამ ომს დავარქმევთ თავდაცვითს ომს, მიმართულს მხოლოდ ვილჰელმის დასამხობად.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ჩვენ საერთოდ წინააღმდეგი ვართ იმპერიალისტური ომისა, მაგრამ მზადა ვართ თავი მოვატყუებინოთ და «რევოლუციური ობორონცობა» ვუწოდოთ იმპერიალისტური ომის მხარის დაჭერას, ომისა, რომელსაც გუჩკოვ-მილიუკოვის და კომპანიის იმპერიალისტური მთავრობა აწარმოებს.

დ, («ბოლშევიკები»). უთუოდ წინააღმდეგი ვართ იმპერიალისტური ომისა საერთოდ; წინააღმდეგი ვართ **ყველა** ბურ-

ჟუაზიული მთავრობისა, რომელიც ომს აწარმოებს; მათ შორის ჩვენი დროებითი მთავრობისაც; უთუოდ წინააღმდეგი ვართ «რევოლუციური ობორონცობისა» რუსეთში.

15) მომხრე თუ წინააღმდეგი ხართ მეფის მიერ ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვებთან დადებული მძარცველური საერთაშორისო ხელშეკრულებებისა (სპარსეთის ჩასახრჩობად, ჩინეთის, თურქეთის, ავსტრიისა და სხვათა გასაყოფად)?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). სავსებით და უთუოდ **მომხრე** ვართ. ამასთანავე ამ ხელშეკრულებების გამოქვეყნება შეუძლებლად მიგვაჩნია როგორც იმიტომ, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალი და მისი მთავრობები ამის ნებას არ მოგვცემენ, ისე იმიტომაც, რომ რუსეთის კაპიტალი ვერ გაუმჟღავნებს მთელ ხალხს თავის ბინძურ ოინებს.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ჯერ კიდევ ვიმედოვნებთ, რომ საკონტაქტო კომისიისა და მასებში მთელი რიგი «კამპანიების» მეოხებით «გავლენას მოვახდენთ» კაპიტალისტების მთავრობაზე.

დ, («ბოლშევიკები»). წინააღმდეგი ვართ. მთელი ამოცანა ისაა, რომ განვუმარტოთ მასებს, რომ ამ მხრივ სრულიად უიმედოა კაპიტალისტების მთავრობათაგან მოველოდეთ რამეს და აუცილებელია ძალაუფლება გადაეცეს პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხებს.

16) ანექსიების მომხრე ხართ თუ წინააღმდეგი?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). თუ ანექსიები მოახდინეს გერმანელმა კაპიტალისტებმა და მათმა ყაჩაღმა ბელადმა, ვილჰელმმა, წინააღმდეგი ვართ. თუ ინგლისელმა კაპიტალისტებმა, — წინააღმდეგი არა ვართ, რადგან ისინი «ჩვენი» მოკავშირეები არიან. თუ ჩვენებურმა კაპიტალისტებმა, რომლებიც ძალით აკავებენ რუსეთის ფარგლებში მეფის მიერ დამონებულ ერებს, მ ო მ ხ რ ე ვართ, ჩვენ ამას ანექსიებს ა რ ვუწოდებთ.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ანექსიების წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, რომ შეიძლება კაპიტალისტების მთავრობასაც მოვაცემინოთ «დაპირება» უარი თქვას ანექსიებზე.

დ, («ბოლშევიკები»). ანექსიების წინააღმდეგი ვართ. კაპიტალისტთა მთავრობების ყოველგვარი დაპირება ანექსიებზე უარის თქმისა — სულ მთლად მოტყუებაა. მთავრობის ზრახვების გამოსააშკარავებლად ერთადერთი საშუალება არსებობს: მოვითხოვოთ განთავისუფლება იმ ხალხებისა, რომელთაც თ ა ვ ი ა ნ თ ი კაპიტალისტები ჩაგრავენ.

17) «თავისუფლების სესხის» მომხრე ხართ თუ წინააღმდეგი?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). უთუოდ მომხრე ვართ, რადგან სესხი აადვილებს იმპერიალისტური ომის წარმოებას, ე. ი. ომისა ი მ ი ს გ ა მ ო, თუ კაპიტალისტთა რომელმა ჯგუფმა უნდა იბატონოს მთელ დედამიწაზე.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). მ ო მ ხ რ ე ვართ, რადგან «რევოლუციური ობორონცობის» უმართებულო პოზიცია გვიმზადებს ამ აშკარა გადახვევას ინტერნაციონალიზმისაგან.

დ, («ბოლშევიკები»). წინააღმდეგი ვართ, რადგან ომი იმპერიალისტურ ომად რჩება, მას აწარმოებენ კაპიტალისტები კაპიტალისტებთან კავშირში და კაპიტალისტთა ინტერესებისათვის.

18) მომხრე ხართ თუ წინააღმდეგი იმისა, რომ კაპიტალისტურმა მთავრობებმა გამოაცალინონ ხალხთა ნება ზავისადმი?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). მომხრე ვართ, რადგან საფრანგეთის რესპუბლიკელი სოციალ-შოვინისტების გამოცდილებამ ყველაზე უკეთ დაგვანახვა, რომ ამით შესაძლებელია ხალხის მოტყუება: თქმა შეიძლება ყველაფრისა, რაც გნებავთ, საქმით კი შევინარჩუნებთ ნადავლს, რაც გერმა-

ნელებს წავგლიჯეთ (მათ კოლონიებს), და თან წავართმევთ გერმანელებს იმ ნადავლს, რაც ამ ყაჩაღებმა ძარცვით შეიძინეს.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). მ ო მ ხ რ ე ვართ, რადგან საერთოდ ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს ბევრი უსაფუძვლო იმედი, რასაც წვრილი ბურჟუაზია კაპიტალისტებზე ამყარებს.

დ, («ბოლშევიკები»). წინააღმდეგი ვართ, რადგან შეგნებული მუშები ა რ ა ვ ი თ ა რ იმედს არ ამყარებენ კაპიტალისტებზე; ჩვენი ამოცანაა განვუმარტოთ მასებს ასეთი იმედების უსაფუძვლობა.

19) უნდა დავამხოთ თუ არა საერთოდ ყველა მონარქი?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ**, (კ.-დ.). არა, საჭირო არ არის ინგლისის, იტალიის და საერთოდ მოკავშირე მონარქების დამხობა, უნდა დავამხოთ მხოლოდ გერმანიის, ავსტრიის, თურქეთისა და ბულგარეთის მონარქები, რადგან მათი დამარცხება გააათკეცებს ჩვენს მოგებას.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). უნდა დავაწესოთ «რიგი» და დავიწყოთ უთუოდ ვილჰელმის დამხობით; მოკავშირე მონარქების დამხობა, შეიძლება, არ ვიჩქაროთ.

დ, («ბოლშევიკები»). რევოლუციის რიგის დაწესება შეუძლებელია. უნდა დავეხმაროთ მ ხ ო ლ ო დ ნ ა მ დ ვ ი ლ რევოლუციონერებს და გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში დავამხოთ ყ ვ ე ლ ა მონარქი.

20) ახლავე უნდა დაიტაცონ თუ არა გლეხებმა მემამულეთა მთელი მიწა?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ**, (კ.-დ.). არავითარ შემთხვევაში. უნდა დაუცადონ დამფუძნებელ კრებას. შინგარიოვმა უკვე განმარტა, რომ თუ კაპიტალისტები ართმევენ მეფეს ძალაუფლებას, ეს დიდი და სახელოვანი რევოლუციაა, ხოლო თუ გლეხები ართმევენ მიწას მემამულეებს, ეს თვითნებობაა[49]. საჭიროა მომრიგებელი კომისიები, სადაც მემამულეები და გლეხები თანაბარი რაოდენობით იქნებიან

წარმოდგენილნი, ხოლო თავმჯდომარეებად იქნებიან მოხელეები, ე. ი. იგივე კაპიტალისტები და მემამულეები.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). უმჯობესია გლეხებმა დამფუძნებელ კრებას დაუცადონ.

დ, («ბოლშევიკები»). ახლავე უნდა დაიტაცონ მთელი მიწა; გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა უნდა დააწესონ უმკაცრესი წესრიგი. პურისა და ხორცის წარმოება უნდა გადიდდეს: ჯარისკაცები უკეთესად უნდა იკვებებოდნენ. პირუტყვის, იარაღების და სხვ. დაზიანება ყოვლად დაუშვებელია.

21) შეიძლება თუ არა დავჯერდეთ მარტო გლეხთა დეპუტატების საბჭოებს მიწისა და საერთოდ სოფლის ყოველგვარი საქმის მოსაწესრიგებლად?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). მემამულეები და კაპიტალისტები საერთოდ წინააღმდეგი არიან გლეხთა დეპუტატების საბჭოების ერთხელისუფლებიანობისა და სრულხელისუფლებიანობისა სოფლად. მაგრამ თუ ასეთ საბჭოებს გვერდს ვერ ავუვლით, მაშინ, რა თქმა უნდა, უმჯობესია დავჯერდეთ მათ, რადგან მდიდარი გლეხები იგივე კაპიტალისტები არიან.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ჯერჯერობით შეიძლება დავჯერდეთ ამას, თუმცა სოციალ-დემოკრატები «პრინციპულად» არ უარყოფენ სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა ცალკე ორგანიზაციის საჭიროებას.

დ, («ბოლშევიკები»). არ შეიძლება დავჯერდეთ მარტო გლეხთა დეპუტატების საერთო საბჭოებს, რადგან მდიდარი გლეხები იგივე კაპიტალისტები არიან, რომელთაც ყოველთვის ექნებათ მიდრეკილება დაჩაგრონ ან მოატყუონ მოჯამაგირენი, დღიური მუშები და უღარიბესი გლეხები. აუცილებლად საჭიროა ახლავე შედგეს სოფლის მოსახლეობის ამ უკანასკნელი თანრიგის ცალკე ორგანიზაციები როგორც გლეხთა დეპუტატების საბჭოების შიგნით, ისე სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების ცალკე საბჭოების სახით.

22) ხელთ უნდა იგდოს თუ არა ხალხმა კაპიტალისტების ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი მონოპოლისტური ორგანიზაციები — ბანკები, მეჭარხნეთა სინდიკატები და სხვ.?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). არავითარ შემთხვევაში, რადგან ეს საზარალო იქნება მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ასეთი ორგანიზაციები მთელ ხალხს გადაეცეს, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი და ამის სამზადისი ნაადრევია.

დ, («ბოლშევიკები»). დაუყოვნებლივ უნდა **მოვამზადოთ** მუშათა დეპუტატების საბჭოები, ბანკების მოსამსახურეთა დეპუტატების საბჭოები და სხვ., რათა შეუდგნენ პრაქტიკულად შესაძლებელი და სავსებით განსახორციელებელი ნაბიჯების გადადგმას ჯერ ყველა ბანკის ერთ ნაციონალურ ბანკად შესაერთებლად, შემდგომ მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლის დასაწესებლად ბანკებისა და სინდიკატების მიმართ და შემდეგ კი მათი ნაციონალიზაციისათვის, ე. ი. მთელი ხალხის საკუთრებად გადასაცემად.

23) ყველა ქვეყნის მუშებს შორის ძმური კავშირის გამტარებელი და განმახორციელებელი როგორი სოციალისტური ინტერნაციონალი ესაჭიროება ახლა ხალხებს?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). საერთოდ რომ ვთქვათ, კაპიტალისტებისა და მემამულეებისთვის მავნებელი და საშიშია ყოველგვარი სოციალისტური ინტერნაციონალი, მაგრამ თუ გერმანელი პლეხანოვი, ე. ი. შეიდემანი, მოურიგდება და შეუთანხმდება რუს შეიდემანს, ე. ი. პლეხანოვს, თუ კი ისინი ერთმანეთში აღმოაჩენენ სოციალისტური სინდისის ნატამალს, მაშინ, ჩვენ, კაპიტალისტები, თითქოს უნდა მივესალმოთ **ისეთ** ინტერნაციონალს **ისეთი** სოციალისტებისას, რომლებიც **თავიანთი** მთავრობების მხარეზე გადადიან.

გ, (ს.-დ. **და** ს.-რ.). საჭიროა ისეთი სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც ყველას გააერთიანებს: შეიდემანებსაც და პლეხანოვებსაც, «ცენტრის» ხალხსაც, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომლებიც მერყეობენ სოციალ-შოვინიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის. რაც მეტი დომხალია, მით უფრო მეტი «ერთიანობაა»: გაუმარჯოს დიად სოციალისტურ ერთიანობას!

დ, («ბოლშევიკები»). ხალხებს ესაჭიროებათ მხოლოდ ისეთი ინტერნაციონალი, რომელიც აერთიანებს ნამდვილ რევოლუციურ მუშებს, რომელთაც უნარი შესწევთ ბოლო მოუღონ ხალხთა საშინელ და დანაშაულებრივ ჟლეტას და რომელსაც უნარი შესწევს გაათავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალის უღლისაგან. მხოლოდ ისეთ ადამიანებს (ჯგუფებს, პარტიებს და სხვ.), როგორიცაა საკატორღო საპყრობილეში გამომწყვდეული გერმანელი სოციალისტი კარლ ლიბკნეხტი, მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თავდადებით ებრძვიან **თავიანთ** მთავრობებსაც, **თავიანთ** ბურჟუაზიასაც, **თავიანთ** სოციალ-შოვინისტებსაც და **თავიანთ** «ცენტრსაც», შეუძლიათ და ვალდებულიც არიან დაუყოვნებლივ შეადგინონ ხალხთათვის აუცილებლად საჭირო ინტერნაციონალი.

24) საჭიროა თუ არა წავახალისოთ მეომარი ქვეყნების ჯარისკაცთა დაძმობილება ფრონტზე?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები), **ბ,** (კ.-დ.). არა. ეს მავნებელია მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებისათვის, რადგან ამას შეუძლია დააჩქაროს კაცობრიობის განთავისუფლება მათი ჩაგვრისაგან.

გ, (ს.-დ. **და** ს.-რ.). დიახ. ეს სასარგებლოა. მაგრამ ყველა ჩვენგანი არ არის მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ დაძმობილების ასეთ წახალისებას დაუყოვნებლივ უნდა მიჰყონ ხელი ყველა მეომარ ქვეყანაში.

დ, («ბოლშევიკები»). დიახ. ეს სასარგებლოა და აუცილებელიც. უეჭველად საჭიროა ყველა მეომარ ქვეყანაში დაუყოვნებლივ წავახალისოთ დაძმობილება **ორივე** მეომარი ჯგუფის ჯარისკაცებს შორის.

25) რა ფერის დროშა იქნებოდა შესაფერისი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის გუნებისა და ხასიათისათვის?

ა, (კადეტებზე მემარჯვენეები). შავი, რადგან ესენი ნამდვილი შავრაზმელები არიან.

ბ, (კ.-დ.). ყვითელი, რადგან ეს არის საერთაშორისო დროშა იმ მუშებისა, რომლებიც კაპიტალს ემსახურებიან არა შიშით, არამედ სინდისით.

გ, (ს.-დ. და ს.-რ.). ვარდისფერი, რადგან მთელი მათი პოლიტიკა ვარდის წყლის პოლიტიკაა.

დ, («ბოლშევიკები»). წითელი, რადგან ეს არის დროშა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა.

ეს ბროშურა დაწერილია 1917 წლის აპრილის დამდეგს. კითხვაზე, ხომ არ მოძველდა ახლა იგი, 1917 წლის 6 მაისის შემდეგ, «ახალი», კოალიციური, მთავრობის შედგენის შემდეგ, მე ვუპასუხებდი:

— არა, რადგან, საკონტაქტო კომისია არსებითად არ გამქრალა, არამედ მხოლოდ სხვა ოთახში გადავიდა, რომელიც ბბ. მინისტრებსაც ეკუთვნით. ჩერნოვებისა და წერეთლების სხვა ოთახში გადასვლით მათი პოლიტიკა და მათი პარტიების პოლიტიკა როდი შეცვლილა.

სიტყვა ჯარისკაცებისადმი იზმაილოვის პოლკის მიტინგზე 1917 წლის 10 (23) აპრილს

ამხანაგო ჯარისკაცებო! სახელმწიფოს მოწყობის საკითხი ახლა დღის წესრიგში დგას. კაპიტალისტებს, რომლებსაც ახლა ხელთ უპყრიათ სახელმწიფო ძალაუფლება, სურთ პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ე. ი. ისეთი სახელმწიფო წესწყობილება, როცა მეფე არ არის, მაგრამ ბატონობა რჩებათ კაპიტალისტებს, რომლებიც ქვეყანას განაგებენ ძველი დაწესებულებების საშუალებით, სახელდობრ: პოლიციის, მოხელეებისა და მუდმივი ჯარის საშუალებით.

ჩვენ გვინდა სხვაგვარი რესპუბლიკა, რომელიც უფრო შეეფერება ხალხის ინტერესებს და უფრო დემოკრატიულიც არის. პიტერის რევოლუციურმა მუშებმა და ჯარისკაცებმა დაამხვეს ცარიზმი და სავსებით გაწმინდეს დედაქალაქი პოლიციისაგან. მთელი მსოფლიოს მუშები აღფრთოვანებით და იმედით შეჰყურებენ რუსეთის რევოლუციურ მუშებსა და ჯარისკაცებს, როგორც მუშათა კლასის მსოფლიო განმათავისუფლებელი არმიის მოწინავე რაზმს. რაკი რევოლუცია დავიწყეთ, საჭიროა განვამტკიცოთ და განვაგრძოთ იგი. მაშ ნუ მივცემთ საშუალებას აღადგინონ პოლიცია! მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში, თავიდან ბოლომდე, სულ მივარდნილი სოფლიდან პიტერის ყოველ უბნამდე, უნდა ეკუთვნოდეს მუშათა, ჯარისკაცთა, მოჯამაგირეთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოებს. სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფ-

ლებას უნდა წარმოადგენდეს ამ ადგილობრივი საბჭოების გამაერთიანებელი დამფუძნებელი კრება ან სახალხო კრება ანდა საბჭოების საბჭო, — საქმე სახელწოდება როდია.

არა პოლიცია, არა ხალხზე გაბატონებული მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არ არიან ხალხის წინაშე, არა ხალხს მოწყვეტილი მუდმივი ჯარი, *არამედ თვით საყოველთაოდ შეიარაღებული* და საბჭოებად გაერთიანებული *ხალხი*, — *აი* ვინ უნდა განაგებდეს სახელმწიფოს. *აი* ვინ დაამყარებს საჭირო წესრიგს, *აი* რომელ ხელისუფლებას ჭრათუ დაემორჩილებიან მუშები და გლეხები, *არამედ პატივისცემითაც მოეპყრობიან*.

მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას, მხოლოდ თვით ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს შეუძლიათ, არა მემამულეთა სასარგებლოდ და არა ჩინოვნიკურად, გადაწყვიტონ მიწის დიდი საკითხი. მიწა არ უნდა ეკუთვნოდეთ მემამულეებს. გლეხთა კომიტეტებმა ახლავე უნდა ჩამოართვან მიწა მემამულეებს, ამასთანავე სასტიკად უნდა დაიცვან დაზიანებისგან ყოველგვარი ქონება, უნდა იზრუნონ პურის მოსავლის *გადიდებისათვის*, რათა ჯარისკაცები ფრონტზე უკეთ იქნენ უზრუნველყოფილი. მთელი მიწა უნდა ეკუთვნოდეს მთელ ხალხს, ხოლო უნდა განაგებდნენ მას გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. რათა მდიდარმა გლეხებმა, — იმავე კაპიტალისტებმა, — ვერ დაიბრიყვონ და ვერ მოატყუონ მოჯამაგირენი და უღარიბესი გლეხები, საჭიროა ან მოაწყონ თათბირები, დაირაზმონ, გაერთიანდნენ თვითონ, ცალკე, ანდა მოაწყონ მოჯამაგირეთა დეპუტატების საკუთარი საბჭოები.

ნუ აღადგენინებთ პოლიციას. ნუ ჩაუგდებთ ხელში ნურც სახელმწიფო ძალაუფლებას, ნურც სახელმწიფო მართვა-გამგეობას აურჩეველ, შეუცვლელ მოხელეებს, რომელთაც ბურჟუაზიულ ყაიდაზე უხდიან ჯამაგირს; გაერთიანდით, შემჭიდროვდით, დაირაზმეთ თვითონ, ნურავის ენდობით, დაენდეთ მხოლოდ საკუთარ ჭკუას, საკუთარ გამოცდილებას, — და მაშინ რუსეთი შეძლებს მტკიცე, მწყობრი, საიმედო

ნაბიჯებით წავიდეს წინ ჩვენი ქვეყნის და მთელი კაცობრიობის გასათავისუფლებლად როგორც ომის საშინელებათაგან, ისე კაპიტალის უღლისაგან.

ჩვენი მთავრობა, კაპიტალისტების მთავრობა, ომს განაგრძობს კაპიტალისტთა ინტერესების გულისთვის. როგორც გერმანელი კაპიტალისტები თავიანთი გვირგვინოსანი ყაჩაღის, ვილჰელმის, მეთაურობით, ისე ყველა სხვა ქვეყნის კაპიტალისტები ომს აწარმოებენ კაპიტალისტების მოგების გაყოფის გულისთვის, მთელ მსოფლიოში გაბატონების გულისთვის. მრავალი ასეული მილიონი ადამიანი, დედამიწის თითქმის ყველა ქვეყანა ჩათრეულია ამ დანაშაულებრივ ომში, მრავალი ასეული მილიარდი კაპიტალია დაბანდებული «შემოსავლიან» საწარმოებში, რომელთაც ხალხებისთვის მოაქვთ სიკვდილი, შიმშილი, გაჩანაგება და გაველურება, ხოლო კაპიტალისტებისათვის წარმოუდგენელი, სასკანდალოდ დიდი მოგება. ამ საშინელ ომს რომ თავი დავაღწიოთ და მართლაც დემოკრატიული და არა ძალდატანებითი ზავი დავდოთ, არსებობს მხოლოდ ერთი გზა: მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისთვის. მუშები და უღარიბესი გლეხები, რომლებიც დაინტერესებული არ არიან კაპიტალის მოგების დაცვით და სუსტი ხალხების ძარცვით, მართლაც შეძლებენ იმის განხორციელებას, რასაც კი კაპიტალისტები გვპირდებიან, სახელდობრ: ბოლო მოუღონ ომს ისეთი მტკიცე ზავით, რომელიც უზრუნველყოფს გამოუკლებლივ ყველა ხალხის თავისუფლებას.

«პრავდა» № 30, 1917 წ. 12 აპრილი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კაპიტალისტების ურცხვი სიცრუე

ეგ არაფერი, რომ კაპიტალისტების გაზეთები ცრუობენ და რბევითს აგიტაციას ეწევიან «პრავდის» წინააღმდეგ, რომ «რეჩი» ამ მხრივ ეჯიბრება სწორედ იმ «რუსსკაია ვოლიას», რომელსაც თვითონაც ზიზღით უყურებს.

ახლა კაპიტალისტების მთავრობის მინისტრებიც «რუსსკაია ვოლიას» ენით ალაპარაკდნენ. «რეჩს» დღეგანდელ ნომერში მოჰყავს სიტყვები მინისტრ ნეკრასოვისა, რომელმაც კადეტების პარტიის მოსკოვის კრებაზე 9 აპრილს განაცხადა:

«საზარელია ძალადობის ის ქადაგება, რომელიც ამჟამად კამენოსტროვის პროსპექტზე გაისმისო».

ბატონი მინისტრი, ბაძავს რა «რუსსკაია ვოლიას», უსინდისოდ ცრუობს, ატყუებს ხალხს, ეხმარება დამრბევებს, მათ ზურგს უკან იმალება და ვერ ბედავს პირდაპირ დაასახელოს ვერც ერთი სახელი, ვერც ერთი გაზეთი, ვერც ერთი ორატორი, ვერც ერთი პარტია.

ბატონი მინისტრი საეჭვო გადაკრულ ლაპარაკს ამჯობინებს, — იქნებ ვინმე ვერ მიმიხვდესო!

მაგრამ ყველა პოლიტიკურად გაგებული ადამიანი მიხვდება: ბ-ნი მინისტრი ლაპარაკობს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს «პრავდასა» და მის თანამოაზრეებზე.

თქვენ ცრუობთ, ბ-ნო მინისტრო, ბ-ნო «სახალხო თავისუფლების» პარტიის წევრო! ძალადობას ქადაგებს ბ-ნი გუჩ-

კოვი. დასჯით ემუქრება რა ჯარისკაცებს უფროსების გადაყენებისათვის. ძალადობას ქადაგებს თქვენი მეგობარი «რუსსკაია ვოლია», დამრბევი «რესპუბლიკელების» დამრბევი გაზეთი.

«პრავდა» და მისი თანამოაზრეები არათუ არ ქადაგებენ ძალადობას, არამედ, პირიქით, სრულიად ნათლად, ზუსტად და გარკვევით ამბობენ: ჩვენი მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრს ამჟამად შეადგენს ის, რომ პროლეტარულ მასებს, შოვინისტურ გაბრუებას აყოლილი წვრილი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, გ ა ნ ვ უ მ ა რ ტ ო თ მათი პროლეტარული ამოცანები.

ვიდრე თ ქ ვ ე ნ, ბბ. კაპიტალისტებო, გუჩკოვი და კომპანიავ, სჯერდებით მხოლოდ ძალადობის მუქარას, ვიდრე არ მიგიმართავთ ძალადობისთვის, ვიდრე არსებობენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, ვ ი დ რ ე თ ქ ვ ე ნ სინრულეში არ მოგიყვანიათ თქვენი მუქარა საბჭოების წინააღმდეგ (ასეთ მუქარას პირდაპირ ბეჭდავდა, მაგალითად, ბ-ნ მილიუკოვის თანამშრომელი, «Times»-ის[50] კორესპონდენტი, ბ-ნი ვილსონი), ვიდრე არ გიხმარიათ ძალადობა მასების წინააღმდეგ, მანამდე ჩვენ, პრავდისტები, ვაცხადებთ და ვიმეორებთ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს ვცნობთ მთავრობის ე რ თ ა დ ე რ თ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ფორმად.

ბრძოლა პროლეტარულ მასებში გავლენისათვის, ბრძოლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში გავლენისათვის, მათი ტაქტიკის შეცდომების ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა, ახსნა-განმარტება შოვინისტური (=«რევოლუციურ-ობორონცული») გაბრუების მთელი მაცდუნებლობა — აი ჩვენი, ყველა პრავდისტის, მთელი ჩვენი პარტიის ტაქტიკა ახლა და იმ დრომდე, ვიდრე თ ქ ვ ე ნ, ბბ. კაპიტალისტებო, თქვენ, ვის ხელთაც არის ჯარის მეთაურთა შემადგენლობა, ძ ა ლ ა დ ო ბ ა ა რ დ ა გ ი წ ყ ი ა თ.

ბ-მა მინისტრმა ნეკრასოვმა ჩინებულად იცის ეს, — თუნდაც იმ ციტატებიდან, რომლებიც ძალაუნებურად მოიყვანა

«რეჩმა». ბ-ნი მინისტრი «რუსსკაია ვოლიას» ბაძავს, მას სურს ტყუილით, ცილისწამებით, წასისიანებით, დარბევათა მუქარით ხელი შეუშალოს ჭეშმარიტების მშვიდად ახსნა-განმარტებას.

არ გაგივათ, ბბ. ნეკრასოვებო, არ გაგივათ!

მუშებსა და ჯარისკაცებს სურთ იცოდნენ სიმართლე, სურთ გაერკვნენ ომის, ზავის, სახელმწიფო წყობილების საკითხებში. და ისინი დაიწყებენ კიდეც მასში გარკვევას!

დაწერილია 1917 წ. 11 (24) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წ. 12 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 30

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ომი და დროებითი მთავრობა

... ჩვენ მაინც ვაიძულეთ დროებითი მთავრობა უარი ეთქვა ანექსიებზე.

ი. სტეკლოვის მიერ 4 აპრილს თავრიდის სასახლეში წარმოთქმული სიტყვიდან.

... როგორც უნდა ვუყურებდეთ «უანექსიო ზავის» ლოზუნგს, არ შეიძლება უგულებელვყოთ ყველა მოკავშირის მიერ აღიარებული პრინციპები...

პ. მილიუკოვის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან (11 აპრილის «რეჩი»).

დროებითი მთავრობის ბელადები თანდათან ააშკარავებენ თავიანთ ნამდვილ პოლიტიკას ომის მიმართ. ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის ყბადაღებულ დეკლარაციაში[51] ანექსიების სიტყვიერ «უარყოფასთან» ერთად ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან დადებული «ჩვენი» ხელშეკრულებანი ძალაში რჩებაო. გავიდა ორიოდე კვირა და გაზეთ «რეჩში», საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ მილიუკოვის ორგანოში, ვკითხულობთ:

მილიუკოვის განცხადება

მოსკოვში ყოფნისას საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ნ. მილიუკოვმა სახალხო თავისუფლების პარტიის წევრთა კრებაზე შემდეგი განაცხადა:

დროებითი მთავრობის დეკლარაცია ომის მიზნების შესახებ შეიცავს არა ზავის პირობებს, არამედ მხოლოდ ზოგად პრინციპებს, რომლებიც

წინათ არა ერთხელ განუცხადებიათ ჩვენი მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს. ზავის პირობები, ლონდონის კონვენციის მიხედვით, შეიძლება შემუშავდეს მხოლოდ ჩვენს მოკავშირეებთან თანხმობით. როგორც უნდა ვუყურებდეთ «უანექსიო ზავის» ლოზუნგს, არ შეიძლება უგულებელვყოთ ყველა მოკავშირის მიერ აღიარებული პრინციპები პოლონეთის, სომხეთის შემოერთებისა, ავსტრიელი სლავების ნაციონალურ მისწრაფებათა დაკმაყოფილება. («რ ე ჩ ი» № 83, 1917 წ ლ ი ს 11 (24) ა პ რ ი ლ ი.)

საგარეო საქმეთა მინისტრის მილიუკოვის ეს განცხადება, ეჭვი არ არის, მოედება მთელ საზღვარგარეთულ პრესას და გ ა ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს გერმანიაში საომარ სულისკვეთებას. მილიუკოვი ხელს უწყობს გერმანიის იმპერიალისტებს გააღვივონ გერმანიაში შოვინიზმი, მ ი ლ ი უ კ ო ვ ი ე ხ მ ა რ ე ბ ა ვ ი ლ ჰ ე ლ მ II-ს «ბ ო ლ ო მ დ ე» ა წ ა რ მ ო ო ს მ ძ ა რ ც ვ ე ლ უ რ ი ო მ ი.

გავარჩიოთ ბ-ნ მილიუკოვის განცხადება. დროებითი მთავრობის დეკლარაცია ომის მიზნების შესახებ (სწორედ ის დეკლარაცია, რომელსაც ი. სტეკლოვი სავალალო გაუგებრობის გამო ანექსიების უარყოფას უწოდებს) შეიცავს — ამბობს მილიუკოვი — არა ზავის პირობებს, არამედ «მხოლოდ ზ ო გ ა დ პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ს, რომლებიც წინათ არა ერთხელ განუცხადებიათ ჩვენი მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს». ეს რომ გასაგებ ენაზე გადმოვთარგმნოთ, შემდეგს ნიშნავს: ანექსიების უარყოფა არის მხოლოდ საპარადო ფრაზა, «ზოგადი პრინციპები», სიტყვები, სიტყვები, სიტყვები. ასეთი სიტყვები «ჩვენს» მოკავშირეებსაც მრავალი უთქვამთ. «ზავის» ნამდვილი პირობები კი სულ სხვა რამეა.

ერთმა სახელმწიფო მოღვაწემ, თუ არ ვცდებით, ბისმარკმა, თქვა: დიპლომატების ენაზე «პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ» მიღება — ს ა ქ მ ი თ უარყოფას ნიშნავსო. მილიუკოვსაც ასე გამოუდის. «პრინციპულად» ის ანექსიების წინააღმდეგია, საქმით კი ანექსიების მომხრეა და ამიტომაც მხარს უჭერს ომს «ბოლომდე».

საპარადო ფრაზები — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზავის პირობებსო, — აცხადებს ბ-ნი მილიუკოვი!

მაშ როგორია მისი ზავის პირობები?

ეს პირობები გათვალისწინებულია ლონდონის კონვენციით. და მილიუკოვიც მასზე მიგვითითებს.

მაგრამ ვინ დადო ეს კონვენცია (ხელშეკრულება)? მეფე ნიკოლოზ მეორემ ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან! მაშასადამე, მეფის ხროვის მიერ დადებული ხელშეკრულებები ძალაში რჩება. მაშასადამე, ჩვენ ვიბრძვით ამ მძარცველური ხელშეკრულებების გულისთვის, რომელნიც მეფის ხროვამ და «მოკავშირე» ბანკირებმა დადვეს.

პოლონეთის, სომხეთის ხელში ჩაგდება, ავსტრიის ნაწილების მიტაცება (კონსტანტინოპოლის შესახებ ბ-ნი მილიუკოვი ამჯერად დუმს) — აი რას წარმოადგენს ბ-ნ მილიუკოვის ზავის პროგრამა.

რას იტყვიან საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ მილიუკოვის ამ უკანასკნელი განცხადების გამო მუშათა დეპუტატების საბჭოს უმრავლესობის ბელადები? დასჯერდებიან იმას, რომ «საკონტაქტო» კომისიის სახელით ბ-ნ მილიუკოვს «შენიშვნას მისცემენ» ასეთი სიტყვებისათვის... სად გაქრა «დროებითი მთავრობის» მიერ «ანექსიებზე» ხელის აღება, რასაც ამ უკანასკნელისაგან «მაინც» მიაღწიეს ი. სტეკლოვმა და ნ. ჩხეიძემ?

რუსეთში არავითარი ორხელისუფლებიანობა არ არსებობს. მუშათა დეპუტატების საბჭო მხოლოდ კეთილისმყოფელ კონტროლს ახორციელებს დროებითი მთავრობის მიმართო. ასე ამბობდა, თუ გაზეთების ანგარიშებს დავუჯერებთ, ნ. ს. ჩხეიძე მინსკის სამხედრო ყრილობაზე [52].

აი სადამდე მიგვიყვანა ამ კეთილისმყოფელმა კონტროლმა! რუსეთის სახელით კვლავ ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც ომს აჩაღებენ. მუშებსა და ჯარისკაცებს უმასპინძლდებიან ზოგადი ფრაზებით უანექსიო ზავის შესახებ, ჩუმად კი ისეთ პოლიტიკას აწარმოებენ, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ომით ჯიბეგასქელებული ერთი მუჭა მილიონერებისათვის.

ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! ყველა კრებაზე წაიკითხეთ და განმარტეთ მილიუკოვის ზემოთ მოყვანილი

განცხადება! განაცხადეთ, რომ არა გსურთ დაიხოცოთ იმ საიდუმლო კონვენციების (ხელშეკრულებების) გულისთვის, რომელნიც დადო ნიკოლოზ მეორემ და რომელნიც მილიუკოვისთვის დღესაც წმიდათაწმიდად რჩებიან!

«პრავდა» № 31, 1917 წ. 13 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«რუსსკაია ვოლიას» კვალდაკვალ

«რუსსკაია ვოლიას» ფანდები, რომელსაც კადეტებიც კი ზიზღით ზურგს აქცევენ, თანდათან უფრო მეტ მიმბაძველს პოულობენ. შეხედეთ ბ-ნ პლეხანოვის «ედინსტვოს». «პრავდის» «სამხილებლად» ბ-ნი პლეხანოვი იღებს ლენინის პირველ თეზისს, მოჰყავს სიტყვები, რომ ომი რუსეთის მხრივ რჩება მძარცველურ, იმპერიალისტურ ომადო, და ძლევამოსილად კითხულობს:

«როგორღაა საქმე გერმანიის მხრივ? ამაზე ლენინი არაფერს ამბობს».

ასე, სიტყვასიტყვით ასე სწერია. კითხულობ და თვალებს არ უჯერი. ნუთუ ბ-ნი პლეხანოვი მართლაც მივიდა «ნოვოე ვრემიას» და «რუსსკაია ვოლიას» საზღვრამდე? დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი თვალწინ გვაქვს.

ბ-ნ პლეხანოვის უტიფრობა ყოველგვარ ფარგლებს სცილდება. ის ჩინებულად იცნობს ბოლშევიკების მიერ საზღვარგარეთ გამოცემულ ლიტერატურას. მან ჩინებულად იცის, რომ ბოლშევიკები, გამოუკლებლივ ყველანი, უამრავჯერ აცხადებდნენ თავიანთ სიტყვებში, სტატიებსა და რეზოლუციებში: ომი გერმანიის მხრივ ისეთივე მძარცველური, იმპერიალისტურია, როგორც ყველა დანარჩენი მეომარი «დიდი» სახელმწიფოს მხრივო. გერმანიის კაპიტალისტები,

მათი გვირგვინოსანი ყაჩაღი, მეთაური ვილჰელმი, ისეთივე იმპერიალისტური მტაცებლები არიან, როგორც სხვა ქვეყნების კაპიტალისტებიო.

ვიმეორებთ: არც ერთმა წიგნიერმა კაცმა, რომელსაც ცოტა რამ მაინც გაუგონია ბოლშევიკებზე, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ასეთია ჩვენი შეხედულება. ბ-მა პლეხანოვმაც ჩინებულად იცის ეს. მან იცის, რომ ზინოვიევისა და ლენინის ბროშურა «სოციალიზმი და ომი» *, რომელიც საზღვარგარეთ გამოვიდა, გერმანულ ენაზეც გამოიცა შვეიცარიაში და იგი ფარულად შეჰქონდათ გერმანიაში. ხოლო გერმანიის შესახებ ამ ბროშურაში ცხადზე უცხადესად არის ნათქვამი, რომ გერმანია აწარმოებს მძარცველურ ომს «მეტოქე ქვეყნების გასაძარცვავად», რომ გერმანია «ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა და ძ ლ ი ე რ ი ყ ა ჩ ა ღ ი ა», რომ «გ ე რ მ ა ნ ი ი ს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ ე ბ მ ა უ ს ი რ ც ხ ვ ი ლ ო დ დ ა ა რ ღ ვ ი ე ს ბ ე ლ გ ი ი ს ნ ე ი ტ რ ა ლ ი ტ ე ტ ი, როგორც ამას ყოველთვის და ყველგან სჩადიოდნენ მეომარი სახელმწიფოები, რომლებიც, როცა კი დასჭირდებოდათ, ფეხით თელავდნენ ყველა ხელშეკრულებასა და ვალდებულებას»; — რომ «კაუცკი უიდეოდ არიგებს სოციალ-შოვინიზმის ძირითად აზრს — მიმდინარე ომში საშობლოს დაცვის აღიარებას, მემარცხენეებისთვის მოჩვენებითს დათმობასთან»; — რომ «ოპორტუნისტ-შოვინისტები ა რ ს ა დ არ მისულან ისეთ დაცემამდე და რენეგატობამდე, როგორც გერმანიაში».

ბ-მა პლეხანოვმა ჩინებულად იცის ეს — და მაინც კადრულობს «ნოვოე ვრემიას» და «რუსსკაია ვოლიას» ფანდების ხმარებას, ცდილობს პრავდისტები გერმანოფილებად გამოიყვანოს.

დასცინის რა მარქსიზმს, ბ-ნი პლეხანოვი, შემდეგ, ებღაუჭება იმას, თუ ვინ ვის ` გ ა მ ო უ ც ხ ა დ ა ომი.

ბ-ნ პლეხანოვს დავიწყებია, რომ მარქსისტებისათვის ომი გ ა ნ გ რ ძ ო ბ ა ა ი მ პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა, რომელსაც აწარ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412. რ ე დ.

მოებდნენ განსაზღვრული კლასების წარმომადგენელი განსაზღვრული მთავრობები.

ფაქტია, რომ ნიკოლოზ II და ვილჰელმ II ორივენი თავიანთი ქვეყნების რეაქციული და კაპიტალისტური კლასების წარმომადგენლები არიან, რომ ორივენი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდნენ სხვა ქვეყნების ძარცვის პოლიტიკას, ჩინეთის ძარცვის, სპარსეთის ჩახრჩობის, თურქეთის დაქუცმაცებისა და გაყოფის პოლიტიკას. ბ-ნი პლეხანოვი რომ შეხებოდა — თუნდაც მხოლოდ შეხებოდა — უკანასკნელი ათეული წლების დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის ისტორიას, მას არ შეეძლო არ შეენიშნა ეს, იგი ვერ გაბედავდა ამის უარყოფას.

და სწორედ ამ მძარცველურ, იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ასე მჭიდრო კავშირი აქვს ორივე ქვეყნის საბანკო კაპიტალთან, გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ დ ნ ე ნ ამ ომით ნიკოლოზ მეორე და ვილჰელმ მეორე.

ხოლო თუ ომი წარმოებს მტაცებელთა და მჩაგვრელთა ორ ჯგუფს შორის ყაჩაღური ნადავლის გაყოფის გულისთვის, იმის გულისთვის, თუ ვ ი ნ უ ფ რ ო მ ე ტ ი ხალხი დაახრჩოს და ვ ი ნ უ ფ რ ო მ ე ტ ი გაძარცვოს, ა ს ე თ ი ომისთვის არავითარი მნიშვნელობა, არც ეკონომიური და არც პოლიტიკური, არა აქვს საკითხს, პირველმა ვინ დაიწყო, ვინ გამოაცხადა ომი და სხვ.

ბ-ნი პლეხანოვი, — სწორედ ისევე, როგორც გერმანელი პლეხანოვები, შეიდემანები და კომპანია, — დაქვეითდა ყველაზე ვულგარულ, ყველაზე ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ შოვინისტამდე, რომელსაც არ სურს იცოდეს (ან არასოდეს არა სცოდნია), რომ ომი არის პოლიტიკის განგრძობა, რომ ომი და პოლიტიკა დაკავშირებულია განსაზღვრული კლასების ინტერესებთან, რომ საჭიროა გავერკვეთ — რომელი კლასები და რისთვის ომობენ.

გაცოფებული, უტიფარი სიცრუე, ნიკოლოზ მეორის მძარცველური პოლიტიკის ხელის დაფარება, — იმ პოლიტი-

კისა, რომელიც არ შეუცვლიათ ლვოვსა და კომპანიას (მათ მეფის ხელშეკრულებებიც კი დაადასტურეს!) — აი ბ-ნ პლეხანოვის მთელი სიბრძნე.

ამ სიცრუეს არ გაჰყვებიან არც შეგნებული მუშები და არც შეგნებული ჯარისკაცები.

«პრავდა» № 31, 1917 წ. 13 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სიცრუის კავშირი

ბურჟუაზიული პრესის ერთი ოინი ყოველთვის და ყველა ქვეყანაში ყველაზე უფრო გასავლიანი და «უტყუარად» მოქმედია. იცრუე, იხმაურე, იყვირე, იმეორე სიცრუე — «ცოტა რამ მაინც დარჩება».

«ხმაურობს ლენინი ქშესინსკაიას სასახლეში, ხმაურობს რაც ძალა და ღონე აქვსო», — წერს «რეჩი». «ლენინი მოდერნში გამართულ მიტინგზე სახურავიდან ლაპარაკობდაო», — წერენ მთელი რიგი გაზეთები.

და ყოველივე ეს სიცრუეა. მოდერნში გამართულ მიტინგზე ლენინი არ ყოფილა. ლენინს არავითარი ხმაური არ აუტეხია, რადგან გამოვიდა ერთი მოხსენებით ბოლშევიკებისა და მენშევიკების წინაშე [53] და რამდენიმე არცთუ დიდი სტატიით პატარა გაზეთ «პრავდაში».

ხმაურობენ კაპიტალისტები და კაპიტალისტების პრესა, — აი ვინ «ხმაურობს რაც ძალა და ღონე აქვს», ვინ ცდილობს ყვირილით აჯობოს ყველას, არავის გააგონოს სიმართლე, წალეკოს ყველაფერი ლანძღვა-გინების ნიაღვრით, ხელი შეუშალოს საქმიან ახსნა-განმარტებას.

ამაშია ახლა კაპიტალისტების და, აგრეთვე, იმ ვაი-სოციალისტების ცდის არსი, რომლებიც სავსებით კაპიტალისტების მხარეზე გადავიდნენ ბ-ნ პლეხანოვის მსგავსად.

«რეჩი» დღევანდელ განსაკუთრებით «სახელმწიფოებრივად-მნიშვნელოვან» მოწინავე სტატიაში კვლავ გაჰყვირის

«ანარქიის ქადაგების» წინააღმდეგ და ამასთან მეტად აშკარად იმათრახებს თავს — ყველა იმათ თვალში, ვინც წაკითხულსა და გაგონილს უფიქრდება.

«... დიდმა რევოლუციამ წალეკა ხელისუფლების მთელი ძველი ორგანიზაციაო»... არ არის სწორი. ჯერ კიდევ სრულიადაც არა მთელი ორგანიზაცია. «მისი აღდგენა შეუძლია მხოლოდ ხალხის (ფართო მნიშვნელობით) ფსიქოლოგიის გარდატეხას, — უკეთ რომ ვთქვათ, იმ ახალ ფსიქოლოგიას, რომელიც აღიარებს ხელისუფლების აუცილებლობას და მისდამი დამორჩილების სავალდებულობას».

აი თვალნათლივი, აშკარა სიცრუე, ცხადი კავშირი კაპიტალისტების სიცრუისა ბბ. პლეხანოვებთან, ჩერევანინებთან და კომპანიასთან, რომლებიც ანარქიაზე გაჰკივიან.

როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ სალაპარაკო სიტყვათხმარებაში უდავოდ დადგენილია, რომ ანარქიზმი ეწოდება სახელმწიფოს უარყოფას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისთვის.

სოციალიზმი რომ სახელმწიფოს «კვდომას» იწვევს, ამას გვასწავლის მარქსიზმი, ეს არ შეიძლება არ იცოდნენ სიცრუის ნიადაგზე გაერთიანებულმა მილიუკოვებმა, პლეხანოვებმა, ჩერევანინებმა და სხვ.

უარყოფენ თუ არა პრავდისტები ან ლენინი სახელმწიფოს აუცილებლობას ახლა? — «ხელისუფლების ორგანიზაციის» აუცილებლობას? «მისდამი დამორჩილების სავალდებულობას»?

ყოველმა წიგნიერმა ადამიანმა, გარდა მატყუარათა კავშირისა, ჩინებულად იცის, რომ არა.

ცხადზე უცხადესად თქვეს და გაიმეორეს «პრავდამაც» და ლენინმაც, რომ ჩვენ ყველანი უთუოდ მომხრენი ვართ სახელმწიფოსი და ხელისუფლების ორგანიზაციის აუცილებლობისა არა მარტო ამჟამად, არამედ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის უფრო გვიანი ისტორიული მომენტისთვისაც.

მხოლოდ სიცრუის კავშირს შეუძლია უარყოს ან არ დაინახოს ეს.

საქმე ისაა, როგორ «ხელისუფლების ორგანიზაციას» ვურჩევთ ხალხს.

ხელისუფლების არა ძველ ორგანიზაციას, არა პოლიციას, არა მოხელეობას, არა მუდმივ ჯარს, არამედ ახალს — მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოებს.

ასეთი საბჭოები უკვე არსებობენ, ისინი უკვე წარმოშვა რევოლუციამ, მათ, როგორც ნახევარხელისუფლებას, უკვე აღიარებს ყველა — თვით კაპიტალისტთა მთავრობაც კი.

და ჩვენც ცხადზე უცხადესად ვთქვით, რომ ასეთი საბჭოები რევოლუციური მთავრობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა.

რა შეიძლება იყოს ამაზე არაორაზროვანი?

რაკი «ერთადერთი შესაძლებელი» ფორმაა, — მაშასადამე, უნდა ვიმოქმედოთ მხოლოდ ახსნა-განმარტების საშუალებით, ვიდრე ვინმე ძალადობაზე არ გადასულა მასების მიმართ.

«ხელისუფლების აუცილებლობა და მისდამი დამორჩილების სავალდებულობა» ყველა პრავდისტმა აღიარა და ხალხსაც ამას უქადაგებენ.

მილიუკოვები, პლეხანოვები, ჩერევანინები და კომპანია ცრუობენ, რათა ხალხს სიმართლე დაუმალონ; ცრუობენ, რათა მიაფუჩეჩონ უმთავრესი: ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანიზაციის კლასობრივი ხასიათის საკითხი.

ეს არის თავიდათავი.

კაპიტალისტი «ანარქიას» უწოდებს მუშათა და სხვ. დეპუტატების საბჭოებს, რადგან ხელისუფლების ასეთი ორგანიზაცია კი არ ბოჭავს ხალხს წინასწარ და უცილობლად კაპიტალისტების უღლით, არამედ ანიჭებს თავისუფლებასა და წესრიგს სოციალიზმზე მშვიდობიანი და თანდათანი გადასვლის შესაძლებლობასთან ერთად.

ამით და მხოლოდ ამით არიან კაპიტალისტები უკმაყოფილონი, აღშფოთებულნი, გაბოროტებულნი. აქედან წარმოიშვა სიცრუის კავშირი. აქედანაა ცილისწამების მორევი და გაბოროტებული ღმუილი.

აქედანვეა დაფარული, გადაკრულ სიტყვებში გახვეული რ ბ ე ვ ი თ ი აგიტაცია, რომელსაც ეწევა «რეჩი» დასახელებულ მოწინავე სტატიაში, როდესაც მოუწოდებს «წინააღმდეგობისაკენ», «გულგრილობის», «პასიურობისა» და სხვ. უარყოფისაკენ.

თუ ხალხის უმრავლესობა თქვენს მხარეზეა, ბატონებო, თუ მტკიცეა თქვენი კავშირი საბჭოსთან (სადაც უმრავლესობა ახლა ჩ ვ ე ნ ი ა რ ა რ ი ს: ჩვენ ნათლად განვაცხადეთ ეს), — მაშ რისი გეშინიათ, ბატონებო, რისთვისღა ცრუობთ?

ჩვენ გვინდა მხოლოდ გ ა ნ ვ უ მ ა რ ტ ო თ მუშებსა და უღარიბეს გლეხებს მათი ტაქტიკის შეცდომა. ჩვენ ს ა ბ ჭ ო ე ბ ი მიგვაჩნია ერთადერთ შესაძლებელ ხელისუფლებად. ჩვენ ვქადაგებთ ხელისუფლების აუცილებლობას და მისდამი დამორჩილების სავალდებულობას.

მაშ რისი გეშინიათ? რატომ ცრუობთ?

თქვენ სწორედ სიმართლისა გეშინიათ. თქვენ ცრუობთ, რათა დარბევებით, ცილისწამებით, ძალადობით, ტალახით მ ი ა ფ უ ჩ ე ჩ ო თ სიმართლის ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს შესაძლებლობა.

ამას უკვე ხედავს ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგეც. გადაიკითხეთ დღევანდელი «დელო ნაროდა»[54], სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის ორგანო, რომელშიც მონაწილეობას იღებს მინისტრი კერენსკი.

ეს ორგანო «რუსსკაია ვოლიას» და «რეჩის» უერთგულეს მოკავშირეზე, პლეხანოვზე, წერს: ...«ასეთი სიტყვების, ბრძოლის ასეთი მეთოდის დანახვას ჩვენ შევეჩვიეთ «რუსსკაია ვოლიას» ფურცლებზე. და სოციალისტების სტატიებში ამგვარი რამეების დანახვა, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, მძიმე და საწყენია»...

ასე წერენ ჩვენი მოწინააღმდეგეები.

ასე წერენ დემოკრატები, რომლებშიც დემოკრატის სინიდისმა გაიღვიძა.

მილიუკოვების, პლეხანოვებისა და ჩერევანინების სირცხვილში ჩაგდება უიმედო საქმეა, მაგრამ თუ ის გაზეთიც კი, რომელშიც თანამშრომლობს მინისტრი კერენსკი, ზიზღით ზურგს აქცევს პლეხანოვის გააფთრებულ შოვინისტურ, ცილისმწამებლურ ბინძურ ოინებს, რომელთაც რბევის სუნი უდის, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ:

ასეთი ოინების გმირები — მკვდარი ხალხია.

დაწერილია 1917 წ. 13 (26) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წ. 14 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 32

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ბანკები და მინისტრები

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის ახლანდელი ამხანაგი ნ. ნ. პოკროვსკი გახდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის საბჭოს წევრი. ბანკის საბჭოს წევრი გახდა აგრეთვე მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გრაფი ვ. ნ. კოკოვცოვი.

ასეთი ცნობა გვახარეს გუშინდელმა საღამოს გაზეთებმა.

დღეს მინისტრი — ხვალ ბანკირი; დღეს ბანკირი — ხვალ მინისტრი. «ომი ბოლომდე» — დღესაც და ხვალაც.

ასეთია საქმის ვითარება არა მარტო რუსეთში, არამედ ყველგან, სადაც კი კაპიტალი მეფობს. ომით ჯიბეს ისქელებენ ერთი მუჭა ბანკირები, რომელთაც მთელი ქვეყნიერება ხელში უჭირავთ.

— შეიძლება გვითხრან: პოკროვსკი და კოკოვცოვი ხომ მინისტრები იყვნენ ძველი რეჟიმის დროს, დღეს კი განახლებულ რუსეთში ვცხოვრობთო.

ვუპასუხებთ ამაზე კითხვითვე:

— რამდენ ბანკში იღებენ მონაწილეობას (დირექტორებად, მეპაიეებად, ფაქტიურ ბატონ-პატრონებად) ახლანდელი მინისტრები გუჩკოვი, ტერეშჩენკო, კონოვალოვი?

ბანკის მოსამსახურე ამხანაგები (რომლებიც ფრჩხილებში რომ ვთქვათ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაირაზმონ საკუთარ კავშირში) კარგს იზამენ, თუ ამ საგანზე შეაგროვებენ მასალას და გამოაქვეყნებენ მას მუშათა პრესაში.

«პრავდა» № 32,
1917 წ. 14 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დიდმნიშვნელოვანი მხილება

«დელო ნაროდას» დღევანდელ მოწინავე სტატიაში, იმ გაზეთისა, რომლის უახლოეს თანამშრომლადაც ითვლება მინისტრი კერენსკი, ვკითხულობთ პირდაპირ განცხადებას: «ჩვენ, «დელო ნაროდას» მიერ, იმ პირთაგან მიღებული ცნობების მიხედვით, რომლებიც ამ შემთხვევაში საკმაო კომპეტენტურ პირებად მიგვაჩნია, ხსენებული ნოტა» (სახელდობრ, ნოტა ანექსიათა და კონტრიბუციათა პოლიტიკაზე უარის თქმის შესახებ) «ჯერ არ გაუგზავნიათ».

ამრიგად, ცდებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ის წევრები და მომხრეები, რომლებიც ლაპარაკობენ და ფიქრობენ, რომ «ჩვენ ვაიძულეთ მთავრობა ხელი აეღო ანექსიებზე».

ამხანაგებო და მოქალაქენო! წაიკითხეთ და გადაიკითხეთ «დელო ნაროდას» ჩვენ მიერ მოყვანილი განცხადება, ჩაუკვირდით მის მნიშვნელობას!

შემდეგ მოწინავე სტატიაში ნათქვამია:

«აქ კი ბ-ნი გუჩკოვი, ბანს აძლევს რა სასახლისმოედნელ მებრძოლ კოლიციას, რომელსაც ჰშია და სწყურია კონსტანტინოპოლი და სრუტეები, მიმართვაში რუმინეთის ფრონტის არმიისადმი ისვრის ლოზუნგებს გერმანიისა და ავსტრიის სრული განადგურების აუცილებლობის შესახებ»...

თუ «დელო ნაროდამ» ი ც ი ს, რომ მილიუკოვს ჰშია და სწყურია ანექსიები, რატომ არ გვიამბობს ამაზე უფრო

დაწვრილებით? განა ხალხის საქმე არ მოითხოვს, რომ «დელო ნაროდამ» უფრო ნათლად და პირდაპირ ილაპარაკოს?

მოწინავე სტატია თავდება «ჩვენი დროებითი მთავრობის მებრძოლ ნ ა წ ი ლ ზ ე» მითითებით.

ერთხელ კიდევ: განა ხალხის საქმე არ მოითხოვს, რომ «დელო ნაროდამ» გამოაქვეყნოს ვინაობა და ფაქტები, ფაქტები და ვინაობა?

დაწერილია 1917 წ. 13 (26) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წ. 14 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 32

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი

ამხანაგო ჯარისკაცებო! ამხანაგო მატროსებო!

კაპიტალისტების გაზეთები, დაწყებული «რეჩით» და გათავებული «რუსსკაია ვოლიათი», აწარმოებენ სიცრუისა და ცილისწამების ყოვლად უსირცხვილო კამპანიას გერმანიაზე ჩემი და 30 სხვა ემიგრანტის გამოვლის გამო.

კაპიტალისტების გაზეთები უსირცხვილოდ ტყუიან, როდესაც ამტკიცებენ ან გადაკვრით ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენ გვესარგებლოს გერმანიის მთავრობის რაიმე შეუწყნარებელი თუ არაჩვეულებრივი მოწყალებით, იმ მთავრობისა, რომელიც ჩვენ ისეთივე ყაჩაღურ, ისეთივე დანაშაულებრივ მთავრობად მიგვაჩნია, როგორც ყველა კაპიტალისტური მთავრობა, რომელნიც დღევანდელ ომს აწარმოებენ.

მდიდარი ადამიანები, რომლებიც «დაკავშირებული» იყვნენ მეფის მონარქიის წარჩინებულ მოხელეებთან, მსგავსად მილიუკოვებისა და კომპანიის მეგობრის — ლიბერალი პროფესორის კოვალევსკისა, რუსეთის, მეფის, მთავრობის საშუალებით ხშირად მართავდნენ მოლაპარაკებას გერმანიის მთავრობასთან გერმანელთა მიერ ტყვედ წაყვანილი რუსების გადაცვლის შესახებ რუსთა მიერ ტყვედ წამოყვანილ გერმანელებზე.

მაშ რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება ემიგრანტებს, რომლებსაც მეფის წინააღმდეგ ბრძოლის გამო გული ელეოდათ

უცხოეთში, მთავრობის გ ა რ ე შ ე შეთანხმება დადონ გერმანელებზე რუსების გაცვლის შესახებ?

რატომ არ შემოუშვა მილიუკოვისა და კომპანიის მთავრობამ რუსეთში შვეიცარიელი სოციალისტი ფრიც პლატენი, რომელიც ჩვენთან ერთად მოდიოდა და რომელმაც შეთანხმება დადო გერმანიის მთავრობასთან გაცვლის შესახებ?

მთავრობა ტყუის, როდესაც ავრცელებს ხმას, თითქოს პლატენი გერმანელთა მეგობარი იყოს. ეს ცილისწამებაა. პლატენი მეგობარია **ყველა** ქვეყნის მუშებისა და მტერია **ყველა** ქვეყნის კაპიტალისტებისა.

კაპიტალისტები ტყუიან, როდესაც ხმას ავრცელებენ, თითქოს ჩვენ მომხრენი ვიყოთ გერმანელებთან ცალკე (სეპარატიული) ზავისა, თითქოს ჩვენ ვითათბირეთ ან გვინდოდა გვეთათბირა სტოკჰოლმში ისეთ გერმანელ სოციალისტებთან, რომლებიც თ ა ვ ი ა ნ თ მთავრობას ემხრობიან.

ეს სიცრუე და ცილისწამებაა. ამგვარ სოციალისტებთან არავითარ თათბირში მონაწილეობა არ მიგვიღია და არც მივიღებთ მონაწილეობას. ყველა ქვეყნის სოციალისტებს, რომლებიც ეხმარებიან **თავიანთ** კაპიტალისტებს ამ დანაშაულებრივი . ომის წარმოებაში, ჩვენ სოციალიზმის მოღალატეებად ვთვლით.

ჩვენი მეგობრები **მხოლოდ** ისეთი სოციალისტები არიან, რომლებიც, გერმანიის ავაზაკური მთავრობის მიერ კატორღამისჯილი კარლ ლიბკნეხტის მსგავსად, აჯანყებას აწყობენ **თავიანთი** კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ჩვენ გვსურს არა ცალკე, არა სეპარატიული ზავი გერმანიასთან, ჩვენ გვსურს ყ ვ ე ლ ა ხალხის ზავი, ჩვენ გვსურს ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მუშების გამარჯვება ყ ვ ე ლ ა ქვეყნის კაპიტალისტებზე.

რუსეთის კაპიტალისტები ტყუიან და ცილსა გვწამებენ, როგორც გერმანელი კაპიტალისტები ცილსა სწამებენ ლიბკნეხტს. კაპიტალისტები ტყუიან, თითქოს ჩვენ გვინდოდეს უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდეს მუშებსა და ჯარისკაცებს შორის.

ტყუილია! ჩვენ გვინდა მუშებისა და ჯარისკაცების ერთიანობა. ჩვენ გვინდა განვუმარტოთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების წევრებს, რომ ამ საბჭოების ხელში უნდა იყოს **მთელი** სახელმწიფო ძალაუფლება.

კაპიტალისტები ცილსა გვწამებენ და ისეთ უტიფრობამდეც კი მიდიან, რომ არც ერთ ბურჟუაზიულ გაზეთს არ გადაუბეჭდავს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიიდან» ჩვენი მოხსენება ჩვენი მოგზაურობის შესახებ და მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

ყოველი მუშა და ყოველი ჯარისკაცი იცნობს თავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. ამ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გავუკეთეთ მოხსენება ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღესვე. მოხსენება დაბეჭდილია «იზვესტიაში» *. რატომ კაპიტალისტების არც ერთმა გაზეთმა არ გადაბეჭდა ეს მოხსენება?

იმიტომ რომ ეს გაზეთები ავრცელებენ სიცრუესა და ცილისწამებას, მათ ეშინიათ, რომ ჩვენი მოხსენება აღმასრულებელი კომიტეტისადმი გამოააშკარავებს მატყუარებს.

რატომ არც ერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ჩვენი მოხსენების გამო, ის დადგენილება, რომელიც დაიბეჭდა «იზვესტიის» იმავე ნომერში?

იმიტომ რომ ეს დადგენილება ამხილებს კაპიტალისტებისა და მათი გაზეთების სიცრუეს, მოითხოვს რა მთავრობისაგან მიიღოს ზომები ემიგრანტების დასაბრუნებლად.

საბჭოს «იზვესტიაში» დაბეჭდილია პროტესტი ინგლისელების მიერ ტროცკის დაპატიმრების წინააღმდეგ; დაბეჭდილია ზურაბოვის წერილი, რომელიც ამხილებს მილიუკოვის სიცრუეს; დაბეჭდილია მარტოვის დეპეშა, რომელიც იმასვე ლაპარაკობს.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 10—12. რედ.

ჯარისკაცებო და მატროსებო! ნუ დაუჯერებთ კაპიტალისტების სიცრუეს და ცილისწამებას! ამხილეთ მატყუარები, რომლებიც ფარავენ «იზვესტიაში» გამოქვეყნებულ სიმართლეს!

დაწერილია 1917 წ. 11 და 14
(24 და 27) აპრილს შუა

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში IV

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

დამრბევთა წინააღმდეგ [55]

მუშებს, ჯარისკაცებსა და პეტროგრადის მთელ მოსახლეობას

მოქალაქენო! გაზეთი «რუსსკაია ვოლია», რომელიც დაარსებულია მეფის მინისტრის პროტოპოპოვის მიერ და რომელსაც კადეტებიც კი ზიზღით უყურებენ, რბევითს აგიტაციას ეწევა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, გაზეთ «პრავდის», ჩვენი ამხანაგების ლენინისა და ზინოვიევის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც მოთავსებულია ქშესინსკაიას სასახლეში. ჩვენ ხელთ არის მთელი რიგი ცნობები არა მარტო ზეპირი, არამედ წერილობითიც, რომ გვემუქრებიან ძალმომრეობით, ყუმბარითა და სხვ.

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კაპიტალისტები, რომლებიც «რესპუბლიკელების» ქურქში გამოეწყვნენ, ცდილობენ მტრობა ჩამოაგდონ მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. ჯერ ცილს სწამებდნენ მუშებს, თითქოს მათ სურდათ უპუროდ დაეტოვებინათ არმია. ახლა ცდილობენ მოაწყონ ლაშქრობა «პრავდის» წინააღმდეგ.

ჩვენ მივმართავთ პეტროგრადის რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების პატიოსნებას და ვაცხადებთ:

ჩვენ არათუ არც ერთხელ, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, არ დავმუქრებივართ ცალკეულ პირთ ძალმომრეობით, არამედ, პირიქით, ჩვენ მუდამ ვაცხადებდით, რომ ჩვენი ამოცანაა — გ ა ნ ვ უ მ ა რ ტ ო თ მთელ ხალხს ჩვენი შეხედულებები, რომ ჩვენ მ უ შ ა თ ა და ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო, არჩეული ყველა მუშისა და

ჯარისკაცის მიერ, ერთადერთ შესაძლებელ რევოლუციურ მთავრობად მიგვაჩნია.

ამხანაგებმა, რომლებმაც გერმანიაზე გამოიარეს და რომლებიც სხვადასხვა პარტიას ეკუთვნიან, ჩამოსვლის პირველ დღესვე გაუკეთეს მოხსენება ყველა მუშისა და ჯარისკაცის ნდობით აღჭურვილ პირებს, სახელდობრ: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. ამ აღმასრულებელ კომიტეტში იყვნენ ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი, სტეკლოვი და სხვ.

ამხანაგებო! მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ეს ბელადები ბევრ რამეში არ იზიარებენ ჩვენს შეხედულებებს სახელმწიფო წყობილების საკითხებზე. მათ არ შეეძლოთ ნათლიმამურად მოგვპყრობოდნენ.

მერე რა გააკეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა?

თავის «იზვესტიის» 32-ე ნომერში 1917 წლის 5 აპრილს მან მთლიანად დაბეჭდა მოხსენება გერმანიაზე გამოვლის შესახებ.

ამ მოხსენებაში ჩამოთვლილია ყველა ფაქტი და დასახელებულია ორი ნეიტრალური ქვეყნის, შვეიცარიისა და შვეციის, უცხოელი სოციალისტები, რომელთაც შეამოწმეს ჩვენი ოქმები.

მერე რა დაადგინა აღმასრულებელმა კომიტეტმა? დაგმო ან თუნდაც უკმაყოფილება გამოთქვა თუ არა მან გერმანიაზე ლენინისა და სხვათა გამოვლის გამო?

არა. «იზვესტიის» რედაქცია იმავე ნომერში აი როგორ გადმოგვცემს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას:

«აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ამხ. ზურაბოვისა და ზინოვიევის მოხსენება და დაადგინა დაუყოვნებლივ მიმართოს დროებით მთავრობას და მიიღოს ზომები დაუყოვნებლივ შემოუშვან რუსეთში ყველა ემიგრანტი, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა და ომისადმი დამოკიდებულებისა. მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგებს ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ. რედ.»

ყველა ხედავს, რომ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ლენინისა და მისი ამხანაგების წინააღმდეგ. აქ აფრთხილებენ დროებითს მთავრობას, აქ დადგენილია მიღებულ იქნეს ზომები, რომ მთავრობამ არ შეაფერხოს რუსეთში შემოშვება.

ამის შემდეგ კი მარტოვის დეპეშა და ტროცკის დაპატიმრება ინგლისში იმის დამამტკიცებელია, რომ მილიუკოვი უძლურია ინგლისისა და საფრანგეთის წინაშე, რომელთაც თავიანთი სოციალისტ-ინტერნაციონალისტები საპყრობილეში ჰყავთ გამომწყვდეულნი, ანდა მილიუკოვს არ სურს სერიოზული ზომები მიიღოს.

რუსებისა და გერმანელების გაცვლა ომის განმავლობაში ათეულჯერ მომხდარა. სახელმწიფო საბჭოს წევრი კოვალევსკი გაცვალეს ავსტრიელზე და სხვა. მდიდართათვის მთავრობებს არა ერთხელ მოუხდენიათ გაცვლა. მაშ რატომ არ უნდა ახლანდელ მთავრობას მოახდინოს ემიგრანტების გაცვლა? იმიტომ, რომ მას სურს მთელ რიგ მებრძოლებს წაართვას რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობის საშუალება.

როგორ იქცევიან «რუსსკაია ვოლია» და მის კვალდაკვალ მავალი გაზეთები — «რეჩი» და «ედინსტვო»?

ისინი განაგრძობენ დევნას და ამით აქეზებენ უმეცრებს ძალადობა იხმარონ ცალკეულ პირთა მიმართ, არ ბეჭდავენ არც მოხსენებას, არც აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას!..

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აცნობეს ვინაობა მთელი რიგი სოციალისტებისა, რომლებმაც შეამოწმეს და მოიწონეს ემიგრანტების თვითეული ნაბიჯი, დაკავშირებული გამომგზავრებასთან. ესენი არიან ფრანგი სოციალისტები ლორიო და გილბო, შვეიცარიელი სოციალისტი პლატენი, შვეციელი სოციალისტები ლინდჰაგენი (სტოკჰოლმის ქალაქის თავი), კარლსონი, შტრემი, ნერმანი, გერმანელი სოციალისტი კარლ ლიბკნეხტის ჯგუფიდან ჰარტშტეინი, პოლონელი სოციალისტი ბრონსკი.

«რუსსკაია ვოლიას». «რეჩის», «ედინსტვოს» ასეთი საქციელი, — ეს არის ხელის შეწყობა იმ ბნელი ძალებისათვის, რომლებიც ძალადობით, დარბევით, ყუმბარით იმუქრებიან.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მუშებო!

უფრთხილდით «რუსსკაია ვოლიას», «რეჩის», «ედინსტვოს» ვაჟბატონებს და ერთხელ კიდევ და კიდევ ვაცხადებთ: ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ხალხს განემარტოს ყველა პარტიის შეხედულებანი, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ პატივისცემით ეპყრობოდნენ ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს.

თუ დროებითი მთავრობა, თუ გაზეთი «რეჩი», თუ ბ-ნი პლეხანოვი უკმაყოფილონი არიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებით, რატომ არ აცხადებენ ამას ამკარად? რატომ არ მოითხოვენ გადასინჯვას? რატომ ეშინიათ მათ გადაბეჭდონ ის, რაც ნათქვამია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის» 32-ე ნომერში? რატომ? იმიტომ, რომ მათ უნდათ არევ-დარევა გამოიწვიონ!

თუ ამა თუ იმ სახით გამოყენებული იქნება ძალადობა, პასუხისმგებლობას ჩვენ ვაკისრებთ «რუსსკაია ვოლიას», «რეჩის», «ედინსტვოს» და სხვათა რედაქტორებსა და თანამშრომლებს, რომლებიც ბედავენ არ დაბეჭდონ მოხსენება და აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, აწარმოებენ მუხანათურ წასისიანებას.

გაზეთმა «დელო ნაროდამ», რომელშიც უახლოეს მონაწილეობას იღებს მინისტრი ა. თ. კერენსკი, უკვე აღნიშნა, რომ ხსენებული გაზეთების ოინები ხელს უწყობენ დამრბევებსო («დელო ნაროდა» № 23).

დაე იცოდნენ მილიუკოვებმა, ამფითეატროვებმა, პლეხანოვებმა და კომპანიამ, რომ თუ მათი წასისიანების გამო დაიწყება ძალადობის გამოყენება, იგი უწინარეს ყოვლისა მათვე მიუბრუნდება.

ძირს რბევითი აგიტაცია! ძირს წასისიანებისა და ტყუილის გმირები, რომლებიც მალავენ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებს!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მუშებო! თქვენ არავის დაანებებთ წაამწარონ ხალხს თავისუფლება დარბევებით! თქვენ მიაღწევთ იმას, რომ პ ა ტ ი ვ ი ს ც ე ნ თ ქ ვ ე ნ ი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებებს!

რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი
რ ს დ მ პ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი

დაწერილია 1917 წ. 14 (27) აპრილამდე

დაიბეჭდა 1917 წ. 15 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 33

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

მოქალაქენო! გაიგეთ, რა ოინებს მიმართავენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები!

დღეს «რეჩი» შემდეგი სიტყვებით ამთავრებს სარედაქციო სტატიას:

«გერმანიის მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს გერმანიაში შინაგანი ერთიანობა და გათიშოს შეთანხმების სახელმწიფოები. ჩვენი «პრავდისტები» კი ყოველნაირად ძირს უთხრიან რევოლუციური რუსეთის ერთიანობას და რუსეთის მთავრობას ამხედრებენ მოკავშირე ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების წინააღმდეგ. განა უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ ლენინის «ძმა-ბიჭები» ფონ-ბეტმან-ჰოლვეგის და ვილჰელმ მეორის სასარგებლოდ მუშაობენ?».

არა, ბბ. კაპიტალისტებო, თქვენ ამის თქმის უფლება არა გაქვთ. სწორედ ჩვენ, «პრავდისტები», და მხოლოდ ჩვენ, არათუ არ ვინარჩუნებთ გერმანიის შინაგან ერთიანობას, არამედ, პ ი რ ი ქ ი თ, ვ ა რ ღ ვ ე ვ თ მ ა ს.

ეს ფაქტია, რომელსაც ბბ. რუსი კაპიტალისტები ვერავითარი სიცრუით ვერ ამოშლიან ცხოვრებიდან.

ფაქტია ის, რომ ჩვენ, პრავდისტები, და მხოლოდ ჩვენ, მოვითხოვთ გერმანელი სოციალისტები აუცილებლად და დაუყოვნებლივ გამოეთიშონ გერმანელ პლეხანოვებს, ე. ი. შეიდემანებს, და გერმანულ «ცენტრს», ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომლებიც მერყეობენ, ვერ ბედავენ პრინციპულად და სამუდამოდ გამოეთიშონ შეიდემანებს.

ფაქტია ის, რომ ჩვენ, პრავდისტები, და მხოლოდ ჩვენ, ვიცავთ ერთიანობას გერმანელი სოციალისტების მ ხ ო ლ ო დ

და მხოლოდ ორ ჯგუფთან («სპარტაკი» და «მუშათა პოლიტიკა»), — ჯგუფებთან, რომლებიც იზიარებენ კარლ ლიბკნეხტის პოლიტიკას, ე. ი. გერმანიის შინაგანი ერთიანობის დარღვევის პოლიტიკას. კარლ ლიბკნეხტის პოლიტიკა წარმოადგენს საქმით, და არა სიტყვით, «შინაგანი ერთიანობის» დარღვევას გერმანიის კაპიტალისტებსა და მუშებს შორის.

კარლ ლიბკნეხტმა, რომელიც ცხადად გრძნობდა, რომ გერმანიის კაპიტალისტები და მათი ვილჰელმი იმპერიალისტები, ე. ი. ყაჩაღები არიან, ჯერ კიდევ ციმერვალდის კონფერენციაზე (1915 წლის სექტემბერი) გამოგზავნა წერილი, რომელიც არ დაბეჭდილა, რადგან მაშინ კარლ ლიბკნეხტი ჯერ კიდევ ლეგალურად ცხოვრობდა. მაგრამ ყველა, ვინც ციმერვალდში იყო, იცნობს ამ წერილს.

ეს წერილი შეიცავდა მოწოდებას: არა სამოქალაქო ზავი, არამედ სამოქალაქო ომი.

აი როგორ ქადაგებდა ჩვენი თანამოაზრე, კარლ ლიბკნეხტი, გერმანიის «შინაგან ერთიანობას». აი რას ვქადაგებდით ჩვენ (ზინოვიევი და ლენინი) გერმანულად ნათარგმნ ჩვენს პრავდისტულ ბროშურაში «სოციალიზმი და ომი» *.

და კარლ ლიბკნეხტიც არათუ ლაპარაკობდა ამას, არამედ მოქმედებდა კიდეც ასე. გერმანიის პარლამენტის ტრიბუნიდან მან მოუწოდა გერმანიის ჯარისკაცებს — იარაღი მიმართეთ საკუთარი, გერმანიის, მთავრობის წინააღმდეგო, ხოლო შემდეგ ქუჩის დემონსტრაციაზე წავიდა რევოლუციური პროკლამაციებით: «ძირს მთავრობა».

აი როგორ «ცდილობდა გერმანიის შინაგანი ერთიანობის შენარჩუნებას» ჩვენი, პრავდისტული პოლიტიკის მომხრე კარლ ლიბკნეხტი. აი რისთვის იტანჯება იგი ახლა საკატორღო საპყრობილეში.

და კარლ ლიბკნეხტს არათუ გერმანელი კაპიტალისტების მთელი პრესა პირდაპირ უწოდებს მოღალატესა და გამცემს, არამედ გერმანელი პლეხანოვების ყველა გაზეთიც ცოტად თუ

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 379 — 383. რედ.

ბევრად პირდაპირ აბრალებს მას მოღალატეობას თუ ანარქიზმს.

ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში კაპიტალისტები სიცრუისა და ცილისწამების, ლანძღვა-გინებისა და მოღალატეობის ბრალდებათა ნიაღვარს ანთხევენ თავს იმ სოციალისტებს, რომლებიც მოქმედებენ ისე, როგორც გერმანიაში კარლ ლიბკნეხტი, როგორც რუსეთში პრავდისტები, ე. ი. იმათ, ვინც ა რ ღ ვ ე ვ ს ყ ო ვ ე ლ ი ქვეყნის მუშების «შინაგან ერთიანობას» კაპიტალისტებთან, ყოველი ქვეყნის პლეხანოვებთან, ყოველი ქვეყნის «ცენტრისტებთან», და ქ მ ნ ი ს ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს მ უ შ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ყაჩაღური, მძარცველური, იმპერიალისტური ომის შესაწყვეტად, კაპიტალის უღლისაგან მთელი კაცობრიობის გასათავისუფლებლად.

გერმანიაში კაპიტალისტები დევნიან, როგორც მოღალატეს, კარლ ლიბკნეხტსა და მის მეგობრებს. გერმანიაში ჩვენს ამხანაგს კარლ ლიბკნეხტს არა ერთხელ დამუქრებიან, ბრბო ჩაგქოლავთო. ამის შესახებ გერმანელი პლეხანოვი — სოციალშოვინისტი დავიდიც კი ლაპარაკობდა. რუსეთში კი კაპიტალისტები დევნიან, როგორც მოღალატეებს, პრავდისტებს. ინგლისში კაპიტალისტები დევნიან, როგორც მოღალატეს, შოტლანდიელ სახალხო მასწავლებელს მაკლინს, რომელიც საკატორღო საპყრობილეში იტანჯება ი ს ე თ ი ვ ე დანაშაულისთვის, ისეთივე «ღალატისთვის», როგორსაც კარლ ლიბკნეხტსა და ჩვენ, პრავდისტებს, გვაბრალებენ.

საფრანგეთში კაპიტალისტ-რესპუბლიკელების მთავრობას საპყრობილეში გამომწყვდეული ჰყავს ფრანგი კ ო ნ ტ ა ნ ი და რუსი რაევი იმისთვის, რომ მათ გამოსცეს პროკლამაცია: «ძალით მოვიპოვებთ ზავს».

ბატონო «რეჩელებო», ბატონო მინისტრებო, ბატონო რევოლუციური მთავრობის წევრებო! ჩაგვსვით ჩვენ, პრავდისტები, საკატორღო საპყრობილეებში ან ურჩიეთ რუს ხალხს ჩაგვკეტონ საკატორღო საპყრობილეებში! აი მაშინ თქვენ საქმით მიბაძავთ «მოკავშირე» (მეფე ნიკოლოზ II-ისა, რადგან მ ა ნ დადო საკავშირო ხელშეკრულება!) კაპიტალისტურ

ინგლისს, რომელსაც კატორღაში ჰყავს ინგლისელი პრავდისტები.

ძირს მუშებისა და კაპიტალისტების «შინაგანი ერთიანობა» ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში, რადგან ამ «ერთიანობამ» კაცობრიობისათვის მოიტანა და მოაქვს ყაჩაღური, იმპერიალისტური ომის საშინელება კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის!

გაუმარჯოს ყ ვ ე ლ ა ქვეყნის ი ს ე თ ი სოციალისტებისა და მუშების ერთიანობას, რომლებიც არა მარტო სიტყვიერად თანაუგრძნობენ კარლ ლიბკნეხტს, არამედ საქმითაც აწარმოებენ ასეთსავე პოლიტიკას თ ა ვ ი ა ნ თ ი კაპიტალისტების წინააღმდეგ!

დაწერილია 1917 წ. 14 (27) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წ. 15 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 33

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

«ნებაყოფლობითი შეთანხმება» მემამულეებსა და გლეხებს შორის?

აი ტექსტი მინისტრ შინგარიოვის იმ დეპეშისა, რომელიც დღეს «დენში» იბეჭდება და გუშინ მოხსენიებული იყო ჩვენი გაზეთის მოწინავე სტატიაში [56]:

«გავეცანი რა რანენბურგის კომიტეტის დადგენილებას პურეულის თესვის შესახებ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ მიწის საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა საერთო სახელმწიფო კანონის გარეშე შეუწყნარებელია. თვითნებობა გამოიწვევს შუღლს, რაც სახელმწიფო უბედურებამდე მიგვიყვანს და საფრთხეში ჩააგდებს თავისუფლების საქმეს. მიწის საკითხის გადაჭრა კანონის მიხედვით — დამფუძნებელი კრების საქმეა. ამჟამად ადგილებზე ვოლოსტის სასურსათო კომიტეტებთან შეიქმნება სამიწათმოქმედო მომრიგებელი კამერები მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა ნებაყოფლობით შესათანხმებლად. ცარიელი მიწების იჯარის საკითხიც სასწრაფოდ მუშავდება. საერთო წესრიგის გულისთვის გთხოვთ იხელმძღვანელოთ დროებითი მთავრობის დადგენილებებით და ნუ შემოიღებთ თვითნებურად კანონის მსგავსს რასმე».

განა ჰგავს ეს «დემოკრატიას», «სახალხო თავისუფლებას», როცა გლეხებს, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის აშკარა, უეჭველ, უდიდეს უმრავლესობას, უფლება არა აქვთ მიიღონ და განახორციელონ თავიანთი გადაწყვეტილება, არამედ უნდა უცადონ მიწათმფლობელთა და მიწათმოქმედთა «ნებაყოფლობითს შეთანხმებას»?

ერთი მიწათმფლობელი, რომელსაც აქვს 2 000 დესეტინა მიწა, — და სამასი გლეხის ოჯახი, რომელთაც აქვთ 2 000 დესეტინა მიწა. ასეთია, დაახლოებით, საქმის ვითარება რუსეთში. სამასმა გლეხმა უნდა უცადოს ერთი მემამულის «ნებაყოფლობითს» თანხმობას!

განა მართებულია ეს, ამხანაგო ჯარისკაცებო?

დაწერილია 1917 წ. 14 (27) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წ. 15 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 33

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

პატიოსანი ხმა ცილისმწამებელთა გუნდში

«მალენკაია გაზეტა»[57] დღევანდელ ნომერში ბეჭდავს მეოთხე მოწინავე საავტომობილო სანიტარული რაზმის ჯარისკაცთა ჯგუფის მიმართვას ყველა არმიელი ამხანაგისადმი და მოითხოვს ლენინისა და სხვების გერმანიაზე გამოვლის გარემოებათა გამოძიებას.

აი ეს პატიოსანი ხმაა, რომელიც განსხვავდება ბინძური სიცრუის, ბუნდოვანი ცილისწამებისა და რბევითი აგიტაციის ნიაღვრისაგან. მართლაც, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს და ვალდებულიცაა მოითხოვოს გამორკვევა ყოველი ფაქტისა, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

აი ეს არის პატიოსანი გზა პატიოსანი ადამიანებისა და არა დამრბევებისა.

და სწორედ ამ გზას დაადგნენ ჩამოსვლის პირველი დღიდანვე ლენინი და მასთან ერთად დაბრუნებული სხვადასხვა პარტიის ყველა მომხრენი. მათ გერმანიაზე გამოვლის შესახებ მოხსენება გაუკეთეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს*; ამ მოხსენებაში მათ დაასახელეს ორი ნეიტრალური ქვეყნის — შვეიცარიისა და შვეციის — სოციალისტები, რომელთაც განიხილეს ყველა დოკუმენტი და ხელი მოაწერეს წამოსვლის ოქმს. აღმასრულებელ კომი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 10 — 12. რედ.

ტეტში იყვნენ ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი, სტეკლოვი და სხვები. მათ დაადგინეს დაბეჭდონ «იზვესტიაში» მოხსენებაც და აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაც.

მოხსენების შემდეგ დაადგინეს: «აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ამხ. ზურაბოვისა და ზინოვიევის მოხსენება და დაადგინა დაუყოვნებლივ მიმართოს დროებითს მთავრობას და მიიღოს ზომები დაუყოვნებლივ შემოუშვან რუსეთში ყველა ემიგრანტი, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა და ომისადმი დამოკიდებულებისა».

ერთიცა და მეორეც დაბეჭდილია საბჭოს «იზვესტიის» 32-ე ნომერში 1917 წლის 5 აპრილს.

განა პატიოსნებაა, განა გონივრულია არ გადაბეჭდო ეს მოხსენება და დადგენილება და რბევითი აგიტაცია გასწიო?

განა სწორად მოიქცნენ მეოთხე მოწინავე საავტომობილო სანიტარული რაზმის ამხანაგები, რომელთაც არც კი განუხილავთ ის, რაც «იზვესტიაშია» დაბეჭდილი და უკვე იჩქარიან «სამარცხვინო ბოძზე გააკრან» გერმანიაზე გამოვლით დაბრუნებულნი, «გამცემლებად» გამოაცხადონ ისინი, «წყევლა-კრულვა» უგზავნონ მათ და ათასი სხვა ლანძღვა-გინებით შეამკონ?

განა ეს სწორედ ანარქიზმი არ არის, განა ეს არ ნიშნავს სწორედ იმას, რომ მოუწოდო პატივი არა სცენ მუშებისა და ჯარისკაცების მიერ არჩეულ აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს?

დაწერილია 1917 წ. 14 (27) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წ. 15 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 33
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ჯარისკაცები და მიწა

ჯარისკაცების უმრავლესობა გლეხებია. ყოველმა გლეხმა იცის, როგორ ჩაგრავდნენ და ჩაგრავენ მემამულეები ხალხს. მერე რა აძლევს ძალას მემამულეს?

მიწა.

მემამულეებს ათეული მილიონობით დესეტინა მიწა აქვთ. ამიტომ მრავალ მილიონ გლეხის ოჯახს სხვა გზა არა აქვს, გარდა იმისა, რომ მემამულეების კაბალაში ჩავარდნენ.

ვერავითარი «თავისუფლებანი» ვერ უშველიან გლეხებს, ვიდრე მემამულეები ფლობენ ათეული მილიონობით დესეტინა მიწას.

საჭიროა, რომ მემამულეთა ყველა მიწა ხალხს გადაეცეს. საჭიროა, რომ ყველა მიწა სახელმწიფოში მთელი ხალხის საკუთრება გახდეს. მიწის საქმეს კი უნდა განაგებდნენ გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები.

როგორ შეიძლება ამის მიღწევა? მთელ რუსეთში, ყოველ სოფელში გამოუკლებლივ, დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები მსგავსად ქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა. თუ თ ვ ი თ ო ნ გლეხები და მოჯამაგირენი არ გაერთიანდებიან, თუ თ ვ ი თ ო ნ არ აიღებენ თავიანთ საკუთარ ბედიღბალს საკუთარ ხელში, მათ ქვეყნად არავინ დაეხმარება, არავინ გაათავისუფლებს მემამულეთა კაბალისაგან.

ხოლო იმისთვის, რომ თვითონ გლეხებმა ადგილობრივ დაუყოვნებლივ ჩამოართვან მთელი მიწა მემამულეებს და მართებულად განაგონ ის, დაიცვან სრული წესრიგი და დაიფარონ ყოველგვარი ქონება გაფუჭებისაგან, — ამისთვის საჭიროა, რომ გლეხებს ჯარისკაცები დაეხმარონ.

გლეხები, ჯარისკაცები, მუშები დიდ უმრავლესობას შეადგენენ სახელმწიფოში. ამ უმრავლესობას ს უ რ ს, რომ ყველა მიწა დაუყოვნებლივ გადაეცეს გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. ამაში ვერავინ შეუშლის ხელს უმრავლესობას, თ უ იგი კარგად არის დარაზმული (შემჭიდროებული, გაერთიანებული), თ უ იგი შეგნებულია, თ უ იგი შეიარაღებულია.

ჯარისკაცებო! დაეხმარეთ ყველა მუშისა და ყველა გლეხის გაერთიანებას და შეიარაღებას!

ჯარისკაცებო! გაერთიანდით თქვენ თვითონ უფრო მტკიცედ და უფრო მჭიდროდ შეუერთდით მუშებსა და გლეხებს! ნურავის დაანებებთ ხელიდან გამოგგლიჯონ შეიარაღებული ძალა!

მაშინ და მხოლოდ მაშინ მიიღებს ხალხი მთელ მიწას, მაშინ დააღწევს ხალხი თავს მემამულეთა კაბალას.

«სოლდატსკაია პრავდა» № 1,
1917 წ. 15 აპრილი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«სოლდატსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენცია [58]

1917 წ. 14 — 22 აპრილი (27 აპრილი — 5 მაისი)

1

მოხსენება მიმდინარე მომენტზე და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ 14 (27) აპრილს

ჩვენ სხვა პარტიებზე ბევრად უფრო ზუსტად წინასწარ განვსაზღვრეთ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც აღბეჭდილია რეზოლუციებში. ცხოვრებამ სრულიად ახალი სიტუაცია შეგვიქმნა. მთავარი შეცდომა, რასაც რევოლუციონერები სჩადიან, ეს ის არის, რომ ისინი უკან, ძველი რევოლუციებისკენ იცქირებიან. ცხოვრება კი მეტად ბევრ ახალ რამეს გვაწვდის, რაც საჭიროა შევიტანოთ მოვლენათა საერთო ჯაჭვში.

ჩვენ სავსებით სწორად განვსაზღვრეთ რევოლუციის მამოძრავებელი ძალები. მოვლენებმა გაამართლეს ჩვენი ძველი ბოლშევიკური დებულებანი, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ამხანაგებს სურდათ «ძველ» ბოლშევიკებად დარჩენილიყვნენ. მასების მოძრაობა იყო მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობაში. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ყოველთვის რევოლუციის წინააღმდეგი იყო. ასეთია მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ შევეჩვიეთ. გამოვიდა კი სხვა რამ. იმპერიალისტურმა ომმა გათიშა ევროპის ბურჟუაზია და ამან შექმნა ის, რომ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები იმპერიალისტური მიზნების გამო რუსეთის რევოლუციის მომხრენი გახდნენ. ინგლისის კაპიტალისტებმა პირდაპირ შეთქმულება

მოაწყვეს გუჩკოვთან, მილიუკოვთან და არმიის უფროსთა ზედაფენებთან ერთად. ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები რევოლუციის მხარეზე გადავიდნენ. ევროპის გაზეთები გადმოგვცემენ ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების მგზავრობათა მთელ რიგ შემთხვევებს ისეთ «რევოლუციონერებთან» მოსალაპარაკებლად, როგორიც გუჩკოვია. ეს რევოლუციის გაუთვალისწინებელი მოკავშირეა. ამან გამოიწვია ის, რომ რევოლუცია წარიმართა ისე, როგორც არავინ მოელოდა. ჩვენ მივიღეთ მოკავშირენი არა მარტო რუსეთის ბურჟუაზიის, არამედ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა სახითაც. როდესაც მე იგივე ვთქვი საზღვარგარეთ წაკითხულ რეფერატში *, ერთმა მენშევიკმა მითხრა: თქვენ არ იყავით მართალი, რადგან აღმოჩნდა, რომ ბურჟუაზია საჭირო იყო რევოლუციის წარმატებისათვისო. მე მას ვუპასუხე: ეს «საჭირო» იყო მხოლოდ იმისთვის, რომ რევოლუციას რვა დღეში გაემარჯვნა-მეთქი. მილიუკოვი ხომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე აცხადებდა: თუ გამარჯვებისათვის საჭიროა რევოლუცია, მე წინააღმდეგი ვარ გამარჯვებისაო. არ შეიძლება მილიუკოვის ამ სიტყვების დავიწყება.

ამრიგად, რევოლუცია პირველ ეტაპზე ვითარდებოდა ისე, როგორც არავინ მოელოდა. ბოლშევიკებმა პასუხი გასცეს «სამშობლოს დაცვის» შესაძლებლობის საკითხს: თუ გაიმარჯვებს ბურჟუაზიულ-შოვინისტური რევოლუცია («სოციალ-დემოკრატის»[59] № 47), ამ შემთხვევაში სამშობლოს დაცვა შეუძლებელია **. მდგომარეობის თავისებურებაა — ორხელისუფლებიანობა. საზღვარგარეთ, სადაც ვერც ერთი გაზეთი, რომელიც «რეჩზე» უფრო მემარცხენეა, ვერ აღწევს და სადაც ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ლაპარაკობენ სრულუფლებიან დროებითს მთავრობასა და «ქაოსზე» მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით, არავის არა აქვს სწორი წარმოდგენა ორხელისუფლებიანობაზე. მხოლოდ აქ, ადგილობრივ, გავიგეთ ჩვენ, რომ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 468 — 469. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 493. რ ე დ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელისუფ-ლება გადაუცია დროებითი მთავრობისთვის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო — პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა დიქტატურის განხორციელებაა; ჯარისკაცების უმრავლესობას კი გლეხები შეადგენენ. სწორედ ეს არის პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. მაგრამ ეს «დიქტატურა» შეუთანხმდა ბურჟუაზიას. სწორედ აქ არის საჭირო გადასინჯვა «ძველი» ბოლშევიზმისა. შექმნილი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ პროლეტარიატისა და გლეხების დიქტატურა გადაეხლართა ბურჟუაზიის ხელისუფლებას. მდგომარეობა საოცრად თავისებურია. არ გაგონილა ისეთი რევოლუციები, რომ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის წარმომადგენლებს, როცა ისინი შეიარაღებულნი არიან, კავშირი შეეკრათ ბურჟუაზიასთან, ძალაუფლება ჰქონოდეთ და ის ბურჟუაზიისთვის დაეთმოთ. ბურჟუაზიის ხელთაა კაპიტალისა და ორგანიზაციის ძალა. საკვირველიც კია, რომ მუშები მაინც საკმაოდ დარაზმული აღმოჩნდნენ. რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია დამთავრებულია, რამდენადაც ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა. აქ «ძველი ბოლშევიკები» გვეკამათებიან: «იგი არ დამთავრებულა,—არ არის პროლეტარიატისა და გლეხების დიქტატურაო». მაგრამ სწორედ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოა დიქტატურა.

აგრარული მოძრაობა შეიძლება ორი გზით წავიდეს. გლეხები მიწას ჩაიგდებენ ხელში, ხოლო ბრძოლა სოფლის პროლეტარიატსა და შეძლებულ გლეხს შორის არ ატყდება. მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან კლასთა ბრძოლა არ იცდის. ახლა რომ ის გავიმეოროთ, რასაც 1905 წელს ვამბობდით და არაფერი ვთქვათ სოფლად კლასთა ბრძოლის შესახებ, — ეს პროლეტარული საქმის ღალატი იქნება.

ჩვენ უკვე ახლა ვხედავთ მთელ რიგ გლეხთა ყრილობების გადაწყვეტილებებში იმ აზრს, რომ აგრარული საკითხის გადასაჭრელად დაველოდოთ დამფუძნებელ კრებას; ეს არის გამარჯვება შეძლებული გლეხობისა, რომელიც კადეტებისა-

�იხრება. გლეხები უკვე ეპატრონებიან მიწას. სოციალისტ-რევოლუციონერები აკავებენ მათ და წინადადებას აძლევენ დაუცადონ დამფუძნებელ კრებას. უნდა შევაერთოთ მიწის ახლავე ხელში ჩაგდების მოთხოვნა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოების შექმნის პროპაგანდა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დამთავრებულია. აგრარული პროგრამა უნდა განვახორციელოთ ახლებურად. ძალაუფლებისათვის ის ბრძოლა კი, რომელიც ამჟამად წარმოებს აქ მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის, იქნება სოფლადაც. მარტოოდენ მიწა გლეხებისათვის ცოტაა. უცხენოთა რიცხვი ძალიან გადიდდა. აგრარულ რევოლუციას ახლა მხოლოდ ჩვენ ვაღვიძებთ, როდესაც გლეხებს ვეუბნებით, რომ ახლავე იგდონ ხელთ მიწა. მიწა ხელთ უნდა ვიგდოთ ორგანიზებულად. ქონება არ უნდა გავაფუჭოთ. მაშასადამე, აგრარული მოძრაობა ჯერ მხოლოდ ვარაუდია და არა ფაქტი. მარქსისტების ამოცანაა— განუმარტონ გლეხებს აგრარული პროგრამის საკითხი; მისი სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოზე. მაგრამ უნდა მოველოდეთ, რომ გლეხობა შეიძლება ბურჟუაზიას შეუერთდეს, როგორც ეს ჩაიდინა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ. მაშასადამე, აგრარული მოძრაობა ჯერ კიდევ უნდა განვავითაროთ. შეძლებული გლეხობა ბუნებრივად შეეცდება ბურჟუაზიისაკენ, დროებითი მთავრობისაკენ გადაიხაროს. ის შეიძლება გუჩკოვზე უფრო მემარჯვენე აღმოჩნდეს.

ბურჟუაზიული ხელისუფლების გამარჯვება ჯერჯერობით განხორციელებულია. გლეხებს მემამულეთაგან ყოფს მათი ეკონომიური მდგომარეობა. გლეხებს ესაჭიროებათ არა მიწის ფლობის უფლება. მათ ესაჭიროებათ მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები. ისინი, ვინც გლეხებს ურჩევენ დაუცადონ დამფუძნებელ კრებას, ატყუებენ მათ.

ჩვენი ამოცანაა — წვრილბურჟუაზიული ჭაობიდან გამოვყოთ კლასობრივი ხაზი: ბურჟუაზია დიდებულად აკეთებს თავის საქმეს, როცა ყოველგვარ დაპირებებს იძლევა, მაგრამ ნამდვილად თავის კლასობრივ პოლიტიკას ახორციელებს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში ძალთა თანაფარდობა ისეთია, რომ ხელისუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადადის, თვითონ სოციალისტები კი «საკონტაქტო კომისიებს» სჯერდებიან. ეს მთავრობა, მართალია, თავისი კლასის ნდობით აღჭურვილი საუკეთესო ადამიანებისგან შედგება, მაგრამ იგი მაინც გარკვეულ კლასს წარმოადგენს. წვრილი ბურჟუაზია მთლიანად მათ დანებდა. თუ ჩვენ პროლეტარული ხაზი არ გამოვყავით, პროლეტარიატის საქმეს ვუღალატებთ. ბურჟუაზია ბატონობს ან მოტყუებით, ან ძალადობით. ამჟამად ბატონობს მლიქვნელობა და მოტყუება, და ეს ადუნებს რევოლუციას. ისინი მეორეხარისხოვან რამეებში გვითმობენ. უმთავრესში (აგრარულ გადატრიალებაში) ისინი არაფერს არ აკეთებენ. ვინც ვერ ხედავს იმას, რომ რუსეთში, გარდა ბოლშევიკებისა, მთლიანად რევოლუციური ობორონცობაა, რომ ობორონცობამ გაიმარჯვა ყველგან, იგი ვერ ხედავს ფაქტებს, ხოლო ასეთი რევოლუციური ობორონცობა კი — ეს არის მსხვილი კაპიტალის მძარცველური ინტერესების გულისათვის ყოველგვარ სოციალისტურ პრინციპებზე ხელის აღება, რაც იფარება ფრაზით «სამშობლოს დაცვის» შესახებ; ეს არის საკუთარი პოზიციის დათმობა წვრილი ბურჟუაზიისათვის. როდესაც მე ვლაპარაკობდი «კეთილსინდისიერ» რევოლუციურ-ობორონცულ მასაზე, მხედველობაში მქონდა არა მორალური კატეგორია, არამედ კლასობრივი განსაზღვრა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში წარმოდგენილი კლასები მძარცველური ომით დაინტერესებული არ არიან. ევროპაში კი ასე როდია. იქ ხალხს ჩაგრავენ, უაღრესად ოპორტუნისტულ პაციფისტებს ზოგჯერ ჩვენზე, პრავდისტებზე, უფრო მეტად დევნიან. ჩვენში კი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო თავის რევოლუციურ-ობორონცულ პოზიციას ახორციელებს არა ძალადობით, არამედ მასების ნდობის წყალობით. ევროპა სულ მთლად სამხედრო საპყრობილეა. კაპიტალი იქ სასტიკად განაგებს. მთელ ევროპაში საჭიროა ბურჟუაზიის დამხობა და არა მისი დარწმუნება. რუსეთში ჯარისკაცები შეიარაღებული არიან: მათ თვითონვე

მშვიდობიანად მოატყუებინეს თავი, როდესაც დათანხმდნენ ვითომ მხოლოდ «თავი დავიცვათ» ვილჰელმისაგანო. იქ, ევროპაში, არ არსებობს «ქეთილსინდისიერი» რევოლუციური ობორონცობა, როგორც ეს რუსეთშია, სადაც ხალხმა ბურჟუაზიას დაუთმო ხელისუფლება უმეცრების, დამყაყებულობის გამო. იმის გამო, რომ შეჩვეულია მათრახს, ემორჩილება ტრადიციას. სტეკლოვი, ჩხეიძე — სიტყვიერად ბელადები არიან, ნამდვილად კი ბურჟუაზიის მაჩანჩალებს წარმოადგენენ, მიუხედავად მათი სათნოებისა, მარქსიზმის ცოდნისა და სხვა, ისინი პოლიტიკურად მკვდარი არიან. ჩვენში ძალაუფლება ხელთ უპყრიათ ჯარისკაცებს, რომლებიც ობორონცულად არიან განწყობილი. კაპიტალისტების ობიექტური კლასობრივი მდგომარეობა — ერთია. ისინი იბრძვიან თავიანთი თავისთვის. ჯარისკაცები — ეს პროლეტარები და გლეხები არიან. ეს სხვაა. განა მათ აინტერესებთ კონსტანტინოპოლის დაპყრობა? არა, მათი კლასობრივი ინტერესები ეწინააღმდეგება ომს! აი რატომ არის შესაძლებელი მათი განათლება, დარწმუნება. ამჟამად პოლიტიკური სიტუაციის დედააზრია — უნარი გვქონდეს განვუმარტოთ მასებს ჭეშმარიტება. არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენ «ვეყრდნობით» რევოლუციურ მასას და სხვ., — არ შეიძლება, ვიდრე ჯარისკაცებს და შეუგნებელ მასებს არ განვუმარტავთ მნიშვნელობას ლოზუნგისას «ძირს ომი».

რა არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო? მისი კლასობრივი მნიშვნელობაა — პირდაპირი ხელისუფლება. ჩვენში სრული პოლიტიკური თავისუფლება, რა თქმა უნდა, არ არსებობს. მაგრამ ისეთი თავისუფლება, როგორც რუსეთშია, ამჟამად არსად არ არის. «ძირს ომი» — არ ნიშნავს თოფის გადაგდებას. ეს ნიშნავს ძალაუფლების გადასვლას სხვა კლასის ხელში. მთელი ახლანდელი პოზიციის სიმძიმის ცენტრი — ამის განმარტებაა. ბლანკიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ისწრაფოდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება უმცირესობაზე დაყრდნობით. ჩვენში კი სულ სხვაა. ჩვენ ჯერ კიდევ უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ შეგნე-

ბული გვაქვს უმრავლესობის მოპოვების აუცილებლობა. ჩვენ, ანარქისტებისაგან განსხვავებით, გვესაჭიროება სახელმწიფო სოციალიზმზე გადასასვლელად. პარიზის კომუნამ მოგვცა მუშათა დეპუტატების საბჭოს ტიპის სახელმწიფოს ნიმუში — დარაზმული და შეიარაღებული მუშების პირდაპირი ხელისუფლების, — მუშებისა და გლეხების დიქტატურის ნიმუში. საბჭოების როლი, ასეთი დიქტატურის მნიშვნელობა — ეს არის ორგანიზებული ძალადობა კონტრრევოლუციის მიმართ, რევოლუციის მონაპოვართა დაცვა უმრავლესობის ინტერესების სასარგებლოდ უმრავლესობაზე დაყრდნობით. სახელმწიფოში შეუძლებელია ორხელისუფლებიანობა არსებობდეს. დეპუტატთა საბჭო — ეს არის სახელმწიფოს ისეთი ტიპი, როდესაც პოლიციის არსებობა შეუძლებელია. აქ ხალხი თვითონ განაგებს თავის თავს, აქ შეუძლებელია მონარქიისკენ დაბრუნება. ჯარი და ხალხი ერთმანეთს უნდა შეედუღონ — აი თავისუფლების გამარჯვება! ყველას უნდა შეეძლოს იარაღის ხმარება. თავისუფლების შესანარჩუნებლად საჭიროა მთელი ხალხის შეიარაღება,—აი კომუნის არსი. ჩვენ ანარქისტები როდი ვართ, რომლებიც უარყოფენ სახელმწიფოს ორგანიზაციას, ე. ი. საერთოდ ძალადობას და განსაკუთრებით თვით ორგანიზებული და შეიარაღებული მუშების სახელმწიფოს ძალადობას, სახელმწიფოს ორგანიზაციას მუშათა საბჭოების საშუალებით. ცხოვრებამ გადააწნა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა ბურჟუაზიის დიქტატურას. შემდგომი საფეხურია — პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ პროლეტარიატი ჯერ კიდევ საკმაოდ დარაზმული და გათვითცნობიერებული არ არის, საჭიროა მისი გათვითცნობიერება. მთელ სახელმწიფოში საჭიროა მუშათა და სხვ. დეპუტატების ასეთი საბჭოები, ამას ცხოვრება მოითხოვს. სხვა გზა არ არსებობს. ეს არის სწორედ პარიზის კომუნა! მუშათა დეპუტატების საბჭო პროფესიული ორგანიზაცია როდია, როგორც ეს ბურჟუაზიას სურს. ხალხი მას სხვაგვარად და უფრო სწორად უყურებს: ხალხი მასში ხელისუფლებას ხედავს. იგი ხედავს, რომ ომიდან გამოსვლის გზა — მუშათა დეპუტატების საბჭოე-

ბის გამარჯვებაა. აი სწორედ ეს არის სახელმწიფოს ისეთი ტიპი, როცა შესაძლებელია სოციალიზმისკენ სვლა. როდესაც ძალაუფლებას ჯგუფი ჩაიგდებს ხელში — ეს ჯერ კიდევ ცოტაა. რუსეთის რევოლუცია უფრო მაღლა ავიდა: საბჭოს გარდა სხვა ხელისუფლება შეუძლებელია, და ბურჟუაზიასაც ამისი ეშინია. სანამ ძალაუფლება საბჭოებს არ დაუპყრიათ, მანამ ჩვენ მას ხელში ვერ ავიღებთ. საბჭოებს კი ხელისუფლებისაკენ უნდა უბიძგებდეს ცოცხალი ძალა. სხვა გზით ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ ომს, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ ხალხის მოტყუებით. ყველა ქვეყანა დაღუპვის პირას დგას; ეს უნდა შევიგნოთ; სხვა გამოსავალი, გარდა სოციალისტური რევოლუციისა, არ არსებობს. მთავრობა უნდა დავამხოთ, — მაგრამ ყველას სწორად როდი ესმის ეს. თუ დროებითი მთავრობის ძალაუფლება ეყრდნობა მუშათა დეპუტატების საბჭოს, მისი «უბრალოდ» დამხობა შეუძლებელია. მისი დამხობა შეიძლება და უნდა დავამხოთ კიდეც საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებით. ან წინ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრული ძალაუფლებისაკენ, ან უკან, იმპერიალისტური ომისაკენ, — სხვა გზა არ არსებობს. კაუცკი უარყოფდა რევოლუციის შესაძლებლობას ომის დროს. ცხოვრებამ უკვე უარყო მისი აზრი.

რაც შეეხება ბანკების გასახელმწიფოებრიობას და მათდამი კონტროლს, ეკონომიურად ეს შესაძლებელია, ეკონომიურად ამას ხელს ვერაფერი შეუშლის, რაკი ძალაუფლება მუშების ხელშია. ცხადია, პროლეტარიატის ამოცანებზე ასეთ შეხედულებათა არსებობის დროს «ობორონცებთან» გაერთიანებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

პარტიის ახალ სახელწოდებაზე: სიტყვა «სოციალ-დემოკრატი» არ არის სწორი, მეცნიერულად უმართებულოა. მარქსსა და ენგელსს არა ერთხელ აღუნიშნავთ ეს. თუ ისინი «ითმენდნენ» ამ სიტყვას, მხოლოდ იმიტომ, რომ 1871 წლის შემდეგ განსაკუთრებული სიტუაცია იყო: საჭირო იყო ხალხის მასების ნელი მზადება, რევოლუცია დღის წესრიგში არ იდგა. დემოკრატიაც სახელმწიფოა, პარიზის კომუნა კი უკვე

უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. და ახლა მთელი ქვეყნიერება დამდგარია პრაქტიკულად სოციალიზმზე გადასვლის საკითხის წინაშე. სოციალ-დემოკრატმა პლეხანოვმა და მთელი მსოფლიოს სხვა სოციალ-შოვინისტებმა უღალატეს სოციალიზმს. ჩვენ უნდა დავირქვათ «კომუნისტური პარტია».

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1917 წ. 8 მაისს (25 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 40

სრულად პირველად დაიბეჭდა
1925 წელს წიგნში: «რსდმპ(ბ)
პეტროგრადის საერთო საქალაქო
და სრულიად რუსეთის 1917 წლის
აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

2

საბოლოო სიტყვა მიმდინარე მომენტზე 14 (27) აპრილის მოხსენების გამო

აზრთა გაცვლა-გამოცვლამ უთანხმოება გამოააშკარავა. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია.

ძველი ბოლშევიზმის შესახებ. კალინინი იცავდა ძველ ბოლშევიზმს. თვითონვე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენი ახლანდელი ტაქტიკა სწორია. სხვა აზრი ის არის, რომ ყველაზე მეტად იჩინა თავი წვრილი ბურჟუაზიის ტაქტიკისაკენ გადახრამო.

ძველთაძველი ნათქვამია: ბოლომდე მივიყვანოთ რევოლუციაო; მაგრამ რომელი რევოლუცია? 1905 წელს ობიექტური მდგომარეობა ასეთი იყო: პროლეტარიატი და გლეხობა ერთადერთი რევოლუციური ელემენტი იყო, კადეტები კი მონარქიას უჭერდნენ მხარს. ახლა ობორონცობა ნიშნავს გლეხების გადასვლას წვრილბურჟუაზიულ ტაქტიკაზე. ამასთან რევოლუციის ბოლომდე მიყვანას აზრი ეკარგება. რევოლუციამ წვრილი ბურჟუაზია და სხვა რევოლუციური ელემენტები გააერთიანა ობორონცობაში.

პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის მომავალი. წვრილბურჟუაზიულმა გლეხობამ, რომელიც ობორონცულ თვალსაზრისზე დგას, შეიძლება მხარი დაუჭიროს მონარქიას.

ბოლშევიზმის ხაზიდან გამომდინარეობს ახალი ხაზი. წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია გაერთიანდა. ჩვენ გამოვდივართ კლასთა ინტერესების განსხვავებიდან. მოჯამაგირე-

გლეხები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგნი უნდა იყვნენ. მესაკუთრე-გლეხები — ობორონცობას დაუჭერენ მხარს.

ობორონცობამ ცხადყო, რომ წვრილი ბურჟუაზია ჩამოშორდა მუშათა კლასს და გადავიდა მსხვილი ბურჟუაზიის მხარეზე. ღარიბ გლეხს, რომელიც ნაწილობრივ ქალაქში შრომით ცხოვრობს, ეს ომი არ უნდა. ეს კლასი ომის წინააღმდეგი უნდა იყოს.

ძველი ბოლშევიზმი უნდა დავტოვოთო. საჭიროა წვრილი ბურჟუაზიისა და დაქირავებული პროლეტარიატის ხაზის ერთმანეთისაგან გარჩევა. ფრაზები რევოლუციური ხალხის შესახებ შეეფერება კერენსკის და არა რევოლუციურ პროლეტარიატს. რევოლუციონერობა, თუნდაც დემოკრატობა, როცა ნიკოლოზი თავიდან მოშორებულია — არც ისე დიდი დამსახურებაა. რევოლუციური დემოკრატია არაფრად არ ვარგა; ეს — ფრაზაა. იგი ფარავს, თორემ კი არ ააშკარავებს კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობას. ბოლშევიკმა თვალი უნდა აუხილოს მუშებსა და გლეხებს ამ წინააღმდეგობათა არსებობაზე, თორემ კი არ უნდა მიჩქმალოს ის. თუ იმპერიალისტური ომი პროლეტარიატს და გლეხებს თავს დაატყდება ეკონომიურად, ეს კლასები უნდა ამხედრდნენ ამ ომის წინააღმდეგ.

მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოების ქსელი — აი სადღეისო ამოცანა. მთელი რუსეთი უკვე იფინება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქსელით. კომუნა შეიძლება იყოს თვითმმართველობის ორგანოების სახითაც. პოლიციის, მუდმივი ჯარის გაუქმება, საყოველთაო შეიარაღება — ყველაფერი ამის განხორციელება შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობის შემწეობით. მუშათა დეპუტატების საბჭო მხოლოდ იმიტომ დავასახელე, რომ ის უკვე არსებობს.

ამბობენ, პროლეტარიატი უნდა «შევიქციოთო». ამას ჩხეიძე, დროებითი მთავრობა და სხვები აკეთებენ, როცა მაღალფარდოვან სიტყვებს ლაპარაკობენ რევოლუციური დემოკრატიის შესახებ. ბოლშევიკმა ერთმანეთისაგან უნდა

გაარჩიოს: პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზია, ხოლო სიტყვები: «რევოლუციური დემოკრატია» და «რევოლუციური ხალხი» კერენსკის დაუთმოს. დემოკრატია რუსეთში იმპერიალისტურია. გვეუბნებიან, თქვენ თქვენს მუშაობას კულტურული მუშაობით ფარგლავთო. ეს არ არის სწორი. რეზოლუციების მიღება დამფუძნებელი კრებისა და სხვ. შესახებ — ეს ნიშნავს: «გაართო» პროლეტარიატი.

სადღეისო საქმეა — მუდმივი ჯარის, მოხელეობისა და პოლიციის გაუქმება და საყოველთაო შეიარაღება.

დამფუძნებელი კრება ვერ ჩაახრჩობს რევოლუციას, იმიტომ რომ მასზე ახლა არაფერი ისმის და არც არავინ აპირებს მის მოწვევას. მისი მოწვევის «მოთხოვნა» ესერებს შეუძლიათ.

ომი მსოფლიოა. ომს აწარმოებენ განსაზღვრული კლასები და იგი წარმოშვა საბანკო კაპიტალმა. მისი შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმით, თუ ძალაუფლება სხვა კლასის ხელში გადავა. თუ ძალაუფლება გაბატონებულ კლასებს შერჩათ — ზავი ვერაფერს შეცვლის.

პროლეტარიატს უნდა მივუთითოთ, რა კონკრეტული ზომებით წაწიოს წინ რევოლუცია. წინ წასწიო რევოლუცია — ნიშნავს თვითნებურად განახორციელო თვითმმართველობა. დემოკრატიის ზრდა თვითმმართველობას ხელს არ უშლის, იგი ჩვენს ამოცანებს ახორციელებს. ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ძალაუფლება სხვა კლასის ხელში გადავა — და ამას ახლა რუსეთი ყველაზე მეტად მიუახლოვდა — და არა ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა შორის დროებითი ზავის ჩამოგდებით დაჩაგრულ ეროვნებათა გაცვლა-გამოცვლის გზით. კომუნა სავსებით შეეფერება გლეხობას. კომუნა ნიშნავს სრულ თვითმმართველობას, ზემოდან ყოველგვარი მეთვალყურეობის უქონლობას. გლეხობა ამას ცხრა მეათედით უნდა დათანხმდეს.

მიწის ნაციონალიზაციას ბურჟუაზია შეიძლება შეურიგდეს, თუ გლეხები მიწას ჩაიგდებენ ხელში. ჩვენ, როგორც პროლეტარულმა პარტიამ, უნდა ვთქვათ, რომ მარტო მიწა ვერ გამოგვკვებავს. მაშასადამე, მის დასამუშავებლად საჭირო

იქნება კომუნის მოწყობა. ჩვენ ცენტრალისტები უნდა ვიყოთ, მაგრამ არის ხოლმე მომენტები, როდესაც ეს ამოცანა გადადის ადგილებზე, ჩვენ უნდა დავუშვათ ადგილებზე ინიციატივის მაქსიმუმი. კადეტები უკვე მოქმედებენ, როგორც მოხელენი. ეუბნებიან გლეხობას: «უცადე დამფუძნებელ კრებასო». მხოლოდ ჩვენი პარტია აყენებს ისეთ ლოზუნგებს, რომლებიც ნამდვილად წინ წევენ რევოლუციას. მუშათა დეპუტატების საბჭოებს სავსებით შეუძლიათ ადგილობრივ მოაწყონ კომუნები. საკითხია, ეყოფა თუ არა პროლეტარიატს დარაზმულობა, მაგრამ ამის წინასწარ გარკვევა შეუძლებელია, საჭიროა საქმით ვისწავლოთ.

ტროცკიზმი — «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური». ეს სწორი არ არის. წვრილი ბურჟუაზია არსებობს, მისი გამორიცხვა შეუძლებელია. მაგრამ იგი ორი ნაწილისაგან შედგება. მისი უღარიბესი ნაწილი მუშათა კლასს მიჰყვება.

ომი. დავამთავროთ ომი პაციფისტურად — უტოპიაა. მისი დამთავრება შეიძლება იმპერიალისტური ზავით. მასებს ასეთი ზავი როდი სურთ. ომი არის კლასის პოლიტიკის განგრძობა, ომის ხასიათის შეცვლა — ეს ნიშნავს ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასის შეცვლას.

პარტიის სახელწოდება — კომუნისტური — თეორიულად სწორია. სხვა ქვეყნების მემარცხენე სოციალისტები მეტად სუსტნი არიან. ჩვენ უნდა ავიღოთ ინიციატივა.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში: «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

3

ორი რეპლიკა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ წარმოდგენილ რეზოლუციაზე კამათის დროს 15 (28) აპრილს

I

გუშინდელი კამათის შემდეგ მე შემიძლია მოკლე შენიშვნებს დავჯერდე. რეზოლუცია გვიჩვენებს, თუ რაშია გამოსავალი. მდგომარეობას განსაზღვრავს არა მარტო გარკვეულ კლასთა წარმომადგენლობა დროებითი მთავრობის შემადგენლობაში, არამედ ის, რომ იგი ეყრდნობა მუშათა დეპუტატების საბჭოს. აქედან გამომდინარეობს არა ის, რომ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ამ წვრილ ბურჟუაზიას, არამედ ის, რომ შევქმნათ ცალკეული ჯგუფები იმისათვის კი არა, რომ წვრილ ბურჟუაზიას გამოვეყოთ, არამედ წინ წავუბიძგოთ მას. მთელი მიწის ხელში ჩაგდება არის რევოლუციური ხალხის წინსვლა. მუდმივი ჯარის მილიციით შეცვლა — წინსვლაა.

II

ამხ. კამენევი ჩხეიძისა და სტეკლოვის პოლიტიკას ადგება. რა თქმა უნდა, არავინ იტყვის, რომ დროებითი მთავრობა აჭიანურებს დამფუძნებელი კრების მოწვევას, თუ ამას არ ვიტყვით ჩვენ. ომის წარმოება სურს ყველას. ლაპარაკია კონტრრევოლუციის მოწყობაზე. რევოლუციურ ხანაში კონტროლი მოტყუებაა. არჩევნების დანიშვნა სამ დღეში შეიძლე-

ბოდა. «ცოდვათა» ჩამოთვლით ჩვენ ვიძლევით სწორ ცნობებს სააგიტაციოდ. სიმართლის ძიება საკონტაქტო კომიტეტში — შეუძლებელია. უძალაუფლებოდ კონტროლის გაწევა — არ შეიძლება. რეზოლუციებით და სხვ. კონტროლის გაწევა — პირდაპირ სისულელეა. კონტროლი — წვრილბურჟუაზიული ილუზიის ნაშთია, ბურუსია.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში: «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

4

რეზოლუცია დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ

ვაღიარებთ რა:

1) რომ დროებითი მთავრობა თავისი კლასობრივი ხასიათით წარმოადგენს მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს;

2) რომ იგი და ის კლასები, რომლებსაც იგი წარმოადგენს, ეკონომიურად და პოლიტიკურად განუყრელად დაკავშირებული არიან რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან;

3) რომ მის მიერ გამოცხადებულ პროგრამასაც კი იგი მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს და მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატისა და, ნაწილობრივ, წვრილი ბურჟუაზიის ზეგავლენით;

4) რომ ბურჟუაზიული და მემამულური კონტრრევოლუციის ძალებმა, რომლებიც ირაზმებიან, ეფარებიან რა დროებითი მთავრობის დროშას, ამ მთავრობის მხრივ აშკარა თავმინებებით, უკვე დაიწყეს იერიშის მიტანა რევოლუციური დემოკრატიის წინააღმდეგ;

5) რომ დროებითი მთავრობა აჭიანურებს დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნას, ხელს უშლის ხალხის საყო-

ველთაო შეიარაღებას, ეწინააღმდეგება მთელი მიწის გადასვლას ხალხის ხელში, თავს ახვევს მას აგრარული საკითხის გადაჭრის მემამულურ წესს, აბრკოლებს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ყურადღებას არ აქცევს ჯარში (გუჩკოვისა და კომპანიის) კონტრრევოლუციურ აგიტაციას, რაზმავს ჯარის უფროსთა შემადგენლობის ზედაფენებს ჯარისკაცების წინააღმდეგ და სხვ.;

6) რომ ამავე დროს ეს მთავრობა ამჟამად ეყრდნობა ნდობას და, რამდენადმე, პირდაპირ შეთანხმებას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან, რომელიც ამჟამად აერთიანებს მუშათა და ჯარისკაცთა, ე. ი. გლეხობის აშკარა უმრაველესობას;

7) რომ დროებითი მთავრობის ყოველი ნაბიჯი როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის სფეროში თვალს აუხელს არა მარტო ქალაქისა და სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებსაც და დაანახვებს ამ მთავრობის ნამდვილ ხასიათს, —

კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ა დ გ ე ნ ს, რ ო მ:

1) მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასასვლელად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ან სხვა ორგანოების ხელში, რომლებიც უშუალოდ გამოხატავენ ხალხის ნებას, აუცილებელია ხანგრძლივი მუშაობა კლასობრივი პროლეტარული შეგნების გამოსაფხიზლებლად და ქალაქისა და სოფლის პროლეტარების დასარაზმავად წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ ასეთი მუშაობა წარმოადგენს მთელი რევოლუციური ხალხის წარმატებითი წინსვლის ნამდვილ საწინდარს;

2) რომ ასეთი მოღვაწეობისათვის საჭიროა ყოველმხრივი მუშაობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შიგნით, მათი რიცხვის გადიდება, მათი ძალის განმტკიცება,

მათ შიგნით ჩვენი პარტიის პროლეტარული ინტერნაციონალისტური ჯგუფების დარაზმვა;

3) საკუთარი სოციალ-დემოკრატიული ძალების გაძლიერებული დარაზმვა იმისათვის, რომ რევოლუციური მოძრაობის ახალი ტალღა ჩავატაროთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშით.

«პრავდა» № 35, 1917 წ.
1 მაისი (18 აპრილი)

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
გაზეთ «პრავდის» ტექსტთან

5

ოცი რეპლიკა კომუნალური არჩევნების საკითხზე კამათის დროს 22 აპრილს (5 მაისს)

I

რაკი ჩვენ გვაქვს პროპორციული არჩევნები, მაშასადამე, ბლოკი რაღა საჭიროა; უმცირესობა უზრუნველყოფილია. მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ ამხ. კალინინისა, ვინაიდან წარმოუდგენელია ბლოკი წვრილ ბურჟუაზიასთან, შოვინისტებთან. სოციალიზმის ღალატია ფიქრიც კი იმ წვრილ ბურჟუაზიასთან ბლოკის შესახებ, რომელსაც მხარს უჭერენ კაპიტალისტები. ვის უნდა შევეკრათ ბლოკით, «ინტერნაციონალის» გამომცემლებს? მაგრამ ეს გაზეთი ხომ ჯერ არ გამოსულა, მაშასადამე, ჩვენ მათ არ ვიცნობთ. ჩხეიძე ობორონცობის ყველაზე უარესი საფარია. ტროცკის, როცა იგი გაზეთს სცემდა პარიზში, საბოლოოდ არ უთქვამს, მომხრეა თუ მოწინააღმდეგე ჩხეიძისა. ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობდით ჩხეიძის წინააღმდეგ, რადგან იგი შოვინიზმის მარჯვე საფარია. ტროცკის ბოლომდე არც კი გამოუთქვამს თავისი აზრი. მაშ საიდან ვიცით, რომ ლარინი («ინტერნაციონალის» გამომცემელი) იმავე ტაქტიკას არ ადგას?

ჩვენ უნდა გამოვიდეთ გარკვეული პროგრამით. ახლა იბრძვის სამი პარტია: პირველი — ესაა პარტია მძარცველებისა, მკვლელებისა; მეორე — ისინი, ვინც ამ მძარცველებს

ხელს აფარებს ლამაზი სიტყვებით, და, ბოლოს, მესამე პარტია, რომელიც ამბობს: არავითარი მხარისდაჭერა მძარცველებს, ყველას შეცდომის განმარტება, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეცდომების ჩათვლით.

საბჭოს დანაშაული ის კი არ არის, რომ მან ძალაუფლება ხელთ არ იგდო, არამედ ის, რომ ცუდ რამეს ასწავლის ხალხს, გაჰყვირის მთავრობაზე გამარჯვების შესახებ.

II

მე გადაჭრით მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენს სიებში შევიტანოთ იმ მენშევიკების კანდიდატები, რომლებიც კავშირს წყვეტენ შოვინიზმთან. ეს ბლოკი როდია. რუსეთი პარტიულად ჩინებულად არის დარაზმული. პროგრამის შესახებ: ჯამაგირიანი მილიციის საკითხი, სასურსათო საკითხი, საგადასახადო საკითხი — ეს საკითხები დიდმნიშვნელოვანია.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში: «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

6

რეზოლუცია კომუნალურ საკითხზე

ყოვლად შეუძლებელია კომუნალური პლატფორმა, განსაკუთრებით ახლანდელ რევოლუციურ ხანაში, მხოლოდ კომუნალური საკითხებით შემოვფარგლოთ.

იგი უნდა შეიცავდეს აგრეთვე გარკვეულ პასუხს თანამედროვე პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხზე, განსაკუთრებით ომისა და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ პროლეტარიატის ამოცანების საკითხებზე.

კომუნალურ, მაგალითად, მილიციის, სასურსათო, საბინაო და საგადასახადო საკითხებზეც ჩვენ არ შეგვიძლია ვუცადოთ იმას, რომ წვრილბურჟუაზიული პარტიები თანხმობას განაცხადებენ იმ რევოლუციური ზომების მიღებაზე, რაც საჭიროა ომთან და მის შედეგებთან საბრძოლველად.

ყველა ამ მიზეზის გამო საჭიროა არჩევნებში გამოვიდეთ უბლოკოდ პროლეტარული პარტიის პრინციპული პროგრამის დროშით და განვუმარტოთ ხალხს ძირითადი განსხვავება პარტიათა სამ უმთავრეს ჯგუფს შორის: 1) კადეტებისა და მათზე უფრო მემარჯვენეებისა; 2) წვრილი ბურჟუაზიის (ნაროდნიკების) და ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოქცეულ მუშათა ნაწილის (მენშევიკ-ობორონცები) პარტიისა და 3) რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისა (ბოლშევიკები).

ტექნიკური პირობები არჩევნებისა, რომელიც ხდება პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით, ბლოკს ტექნიკურად ზედმეტად ხდის.

სასურველია ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ იმ მენშევიკებთან დაახლოებასა და ურთიერთგაცნობას პრაქტიკული მუშაობის ნიადაგზე, რომლებიც ნამდვილად შორდებიან რევოლუციურ ობორონცობას და დროებითი მთავრობისათვის მხარისდაჭერას; ნებადართულია ასეთ ამხანაგებთან საერთო სიების შედგენა იმ პირობით, თუ ძირითად საკითხებში საკმაო სოლიდარობა არსებობს. საჭიროა შევიმუშაოთ კონკრეტული წინადადება მუნიციპალური პროგრამისა, განსაკუთრებით პროლეტარული მილიციის საკითხზე, რომელსაც ჯამაგირი კაპიტალისტებმა უნდა აძლიონ.

«პრავდა» № 46, 1917 წ.
15 (2) მაისი

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
გაზეთ «პრავდის» ტექსტთან

7

პროექტი რეზოლუციისა სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიებისადმი, ეგრეთწოდებული «არაფრაქციული» სოციალ-დემოკრატების პარტიისა და სხვ. მონათესავე პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი დამოკიდებულების შესახებ

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა და სხვა პარტიათა დიდი უმრავლესობა გადავიდა «რევოლუციური ობორონცობისა» და სესხისთვის ხმისმიცემის, ე. ი. საქმით კაპიტალისტების იმპერიალისტური მთავრობის — გუჩკოვის, ლვოვისა და კომპანიის მიერ წარმოებული იმპერიალისტური ომის მხარისდაჭერის პოზიციაზე; 2) რომ ეს პარტიები მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ე ნ დროებითს მთავრობას, რომელიც კაპიტალის ინტერესებს გამოხატავს და კონტრრევოლუციურ პოზიციაზე დგას არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაშიც; 3) რომ ამ პარტიებმა თავი მოატყუებინეს კაპიტალისტებს და, თავის მხრივაც, ატყუებენ ხალხს ცრუ იმედით, რომ, თითქოს, თუ ძალაუფლება ხელთ არა გაქვს, დროებითი მთავრობისადმი «მოთხოვნების» წარდგენით, მის მიმართ «კონტროლის» დაწესებით და სხვ. შეიძლე-

ბოდეს კაპიტალისტების ამ მთავრობის კლასობრივი ბუნების შეცვლა და მისი ჩამოშორება კაპიტალისტებისთვის ამ მომენტში საჭირო იმპერიალისტური პოლიტიკისაგან და თავისუფლებაზე კონტრრევოლუციური ხელყოფისაგან; 4) რომ აქედან გამომდინარე პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების კლასობრივი შეგნების დაბნელება, რასაც ხსენებული პარტიები მხარს უჭერენ, წარმოადგენს, ამჟამად უმთავრესად ტყუილითა და თვალთმაქცობით მოქმედი კაპიტალისტებისადმი საერთოდ მასების მიმნდობი შეუგნებელი დამოკიდებულების ბაზისზე, რევოლუციის შეჩერების და მემამულური და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ძალებით მისი შესაძლებელი დამარცხების მთავარ მიზეზს, — კონფერენცია ადგენს:

1) სესხისთვის ხმისმიცემა, ისე როგორც საერთოდ რევოლუციური ობორონცობის პოზიციის დაცვა, აღიარებულ იქნეს სოციალიზმის, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა და ინტერნაციონალიზმის, ე. ი. ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ ყველა ქვეყნის მუშების ძმური კავშირის, პრინციპების სრულ და უეჭველ ღალატად;

2) ზემოდასახელებული პარტიები აღიარებულ იქნენ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებისა და თვალსაზრისის გამტარებლებად და ბურჟუაზიული გავლენით პროლეტარიატის გამრყვნელებად;

3) გაერთიანება იმ პარტიებთან, როგორც მთელთან, რომლებიც ატარებენ დროებითი მთავრობის, რევოლუციური ობორონცობისა და სხვ. მხარისდაჭერის პოლიტიკას, — აღიარებულ იქნეს უდავოდ შეუძლებლად, რადგან ეს პარტიები კლასობრივი პროლეტარული პოზიციიდან წვრილბურჟუაზიულ პოზიციაზე გადავიდნენ;

4) მუშების იმ ცალკეული ადგილობრივი ჯგუფების მიმართ, რომლებიც ემხრობიან მენშევიკებს და სხვ., მაგრამ ცდილობენ დაიცვან ინტერნაციონალიზმის პოზიცია «რევოლუციური ობორონცობის» წინააღმდეგ, სესხისთვის ხმისმიცემის წინა-

აღმდეგ და სხვ., ჩვენი პარტიის პოლიტიკა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ მხარი დავუჭიროთ ასეთ მუშებსა და ჯგუფებს, მათთან დაახლოებას, მხარი დავუჭიროთ მათთან გაერთიანებას სოციალიზმისადმი წვრილბურჟუაზიულ ღალატთან უეჭველად კავშირის გაწყვეტის საფუძვლებზე.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში: «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

8

პროექტი რეზოლუციისა ომის შესახებ

I

თანამედროვე ომი მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ იმპერიალისტური ომია, ე. ი. ისეთი ომი, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ მსოფლიოზე ბატონობის გულისთვის, კაპიტალისტების ნადავლის გაყოფის გულისთვის, ფინანსური, საბანკო კაპიტალისთვის ხელსაყრელი ბაზრების გულისთვის, სუსტ ეროვნებათა ჩახშობის გულისთვის.

რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლამ ნიკოლოზ II-სგან გუჩკოვის, ლვოვისა და სხვათა მთავრობის ხელში, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის ხელში, ვერ შეცვალა და მას არც შეეძლო შეეცვალა რუსეთის მხრივ ომის ასეთი კლასობრივი ხასიათი და მნიშვნელობა.

განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა ის ფაქტი, რომ ახალი მთავრობა აწარმოებს იმავე, იმგვარსავე იმპერიალისტურ, ე. ი. დაპყრობითს, ყაჩაღურ ომს შემდეგ ვითარებაში: ახალმა მთავრობამ არათუ არ გამოაქვეყნა ის საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლებიც ყოფილმა მეფემ, ნიკოლოზ მეორემ, დადო ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა კაპიტალისტურ მთავრობებთან, არამედ ფორმალურადაც დაადასტურა ეს ხელშეკრულებები. ეს მან ჩაიდინა ხალხის ნების დაუკითხავად და მისი მოტყუების აშკარა მიზნით, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოფილი მეფის ეს საიდუმლო

ხელშეკრულებები მთლად ყაჩაღური ხელშეკრულებებია და რუსეთის კაპიტალისტებს ჰპირდება ჩინეთის, სპარსეთის, თურქეთის, ავსტრიისა და სხვ. გაძარცვას.

ამიტომ პროლეტარული პარტია ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუჭერს მხარს ვერც ახლანდელ ომს, ვერც ახლანდელ მთავრობას, ვერც მის სესხებს, რა მაღალფარდოვანი სახელიც უნდა ერქვას ამ სესხებს, თუ არ უნდა სრულიად ჩამოშორდეს ინტერნაციონალიზმს, ე. ი. ყველა ქვეყნის მუშათა ძმურ სოლიდარობას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არავითარი ნდობის ღირსი არ არის აგრეთვე ახლანდელი მთავრობის დაპირება, რომ იგი ხელს აიღებს ანექსიებზე, ე. ი. უცხო ქვეყნების დაპყრობაზე, ან რუსეთის ფარგლებში რომელიმე ეროვნების ძალდატანებით დატოვებაზე. ვინაიდან, ჯერ-ერთი, კაპიტალისტები, რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის საბანკო კაპიტალის ათასგვარი ძაფებით გადახლართულნი, იცავენ რა კაპიტალის ინტერესებს, ხელს ვერ აიღებენ ანექსიებზე ამ ომში, თუ კაპიტალისტებად დარჩებიან, თუ ხელს არ აიღებენ იმ მილიარდების მოგებაზე, რაც მათ დაბანდებული აქვთ სესხებში, კონცესიებში, სამხედრო საწარმოებში და სხვა. მეორეც, ახალმა მთავრობამ, რომელმაც ანექსიებზე უარი თქვა ხალხის მოსატყუებლად, მილიუკოვის პირით განაცხადა მოსკოვში 1917 წლის 9 აპრილს, რომ მთავრობა ანექსიებზე ხელს არ იღებს. მესამეც, როგორც ეს გამოააშკარავა «დელო ნაროდამ», გაზეთმა, რომელშიც მონაწილეობს მინისტრი კერენსკი, მილიუკოვს არც კი გაუგზავნია საზღვარგარეთ თავისი განცხადება ანექსიებზე ხელის აღების შესახებ.

ამიტომ კონფერენცია, აფრთხილებს რა ხალხს არ დაუჯეროს კაპიტალისტთა ცარიელ დაპირებებს, აცხადებს, რომ სასტიკად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ანექსიებზე ხელის აღება სიტყვით და ანექსიებზე ხელის აღება საქმით, ე. ი. დაუყოვნებლივ გამოქვეყნება ყველა საიდუმლო, მძარცველური ხელშეკრულებისა, საგარეო პოლიტიკის ყველა აქტისა და დაუყოვნებლივ დაწყება ყველა იმ ეროვნების სრული

განთავისუფლებისა, რომლებსაც კაპიტალისტთა კლასი ჩაგრავს ან ძალით აჯაჭვავს რუსეთს ანდა ამყოფებს არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში, განაგრძობს რა ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის ჩვენი ხალხის შემარცხვენელ პოლიტიკას.

II

ეგრეთწოდებული «რევოლუციური ობორონცობა», რომელიც ახლა რუსეთში მოედო თითქმის ყველა ნაროდნიკულ პარტიას (სახალხო სოციალისტები, ტრუდოვიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები), სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ოპორტუნისტულ პარტიას (ორგანიზაციული კომიტეტი, ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.), აგრეთვე უპარტიო რევოლუციონერთა უმრავლესობას, თავისი კლასობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს, ერთი მხრივ, იმ წვრილი ბურჟუაზიის, წვრილ მეპატრონეთა, შეძლებულ გლეხთა ინტერესებსა და თვალსაზრისს, რომლებიც კაპიტალისტების მსგავსად მოგებას იძენენ სუსტი ხალხების მიმართ ძალადობის გამოყენებით, — ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის შედეგი კაპიტალისტების მიერ ხალხის მასების მოტყუებისა, კაპიტალისტებისა, რომლებიც არ აქვეყნებენ საიდუმლო ხელშეკრულებებს და თავს იძვრენენ დაპირებებითა და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით.

«რევოლუციური ობორონცების» მეტად ფართო მასები უთუოდ კეთილსინდისიერებად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. ისეთებად, რომელთაც მ ა რ თ ლ ა ც არ სურთ ანექსიები, დაპყრობანი, ძალადობა სუსტი ხალხების მიმართ, მ ა რ თ ლ ა ც მიისწრაფვიან ყ ვ ე ლ ა მეომარ ქვეყნებს შორის დემოკრატიული, არა ძალდატანებითი ზავისაკენ. ეს აუცილებლად უნდა ვაღიაროთ იმიტომ, რომ ქალაქისა და სოფლის პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა (ე. ი. იმ ადამიანთა, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ თავიანთი სამუშაო ძალის კაპიტალისტებისათვის მიყიდვით ცხოვრობენ) კლასობრივი მდგომარეობა ამ კლასებს არ უღვიძებს ინტერესს კაპიტალისტების მოგებისადმი.

ამიტომ, მიაჩნია რა უდავოდ შეუწყნარებლად და საქმით ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმისაგან სრულ ჩამოშორებად რაიმე დათმობა «რევოლუციური ობორონცობისათვის», კონფერენცია ამასთანავე აცხადებს, რომ მანამდე, ვიდრე რუსეთის კაპიტალისტები და მათი დროებითი მთავრობა სჯერდებიან მხოლოდ ძალადობის გამოყენების მუქარას ხალხის წინააღმდეგ (მაგალითად, გუჩკოვის სავალალოდ-ცნობილი ბრძანება, რომელიც სასჯელით ემუქრება ჯარისკაცებს უფროსთა თვითნებურად გადაყენებისათვის), მანამდე, ვიდრე კაპიტალისტები ა რ გადასულან ძალადობის გამოყენებაზე მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა, მოჯამაგირეთა და სხვათა დეპუტატების საბჭოების მიმართ, რომლებიც თავისუფლად ყალიბდებიან, თავისუფლად გადააყენებენ და ირჩევენ ხოლმე ყ ვ ე ლ ა და ყოველგვარ ხელისუფალთ, — მანამდე ჩვენი პარტია იქადაგებს საერთოდ ძალადობაზე ხელის აღებას, «რევოლუციური ობორონცობის» უდიდეს და საბედისწერო მცდარობას შეებრძოლება მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგური დარწმუნების საშუალებით, იმ ჭეშმარიტების განმარტებით, რომ ფართო მასების შეუგნებლად-მიმნდობი დამოკიდებულება კაპიტალისტების მთავრობისადმი, რომლებიც მშვიდობისა და სოციალიზმის უცუდესი მტრები არიან. ამჟამად რუსეთში ომის მალე დამთავრების უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია.

III

რაც შეეხება ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ დავამთავროთ რაც შეიძლება მალე და ამასთან არა ძალდატანებითი, არამედ ჭეშმარიტად დემოკრატიული ზავით კაპიტალისტების ეს დანაშაულებრივი, ყაჩაღური ომი, რომელმაც მთელი კაცობრიობა მიიყვანა გაჩანაგების, შიმშილის, დალუპვის პირას, კონფერენცია აღიარებს და ადგენს:

სრული უაზრობა იქნებოდა იმის ვარაუდი, თითქოს ამ ომის დამთავრება შეიძლებოდეს ე რ თ ი რ ო მ ე ლ ი მ ე ქვეყნის ჯარისკაცების მიერ ომის განგრძობაზე ცალმხრივი

უარის თქმით, საომარი მოქმედების ცალმხრივი შეწყვეტით, უბრალოდ «მიწაში ხიშტების ჩარჭობით».

ჩვენი პარტია მოთმინებით, მაგრამ დაჟინებით განუმარტავს ხალხს იმ ჭეშმარიტებას, რომ ომებს აწარმოებენ მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი, რომ ომები ყოველთვის განუყრელად დაკავშირებულია განსაზღვრული კლასების პოლიტიკასთან, რომ ამიტომ მართლაც დემოკრატიული და არა ძალდატანებითი ზავით დამთავრება იმ ომისა, რომელიც წამოიწყეს გვირგვინოსანმა ყაჩაღებმა — ნიკოლოზ II-ის მსგავსმა მონარქებმა და უგვირგვინო ყაჩაღებმა — კაპიტალისტებმა, შესაძლებელია მ ხ ო ლ ო დ იმ შემთხვევაში, თუ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება გადავა იმ კ ლ ა ს ი ს ხელში, რომელიც მართლაც არ არის დაინტერესებული კაპიტალისტების მოგებათა დაცვაში, იმ კლასის ხელში, რომელსაც მართლაც შესწევს უნარი ბოლო მოუღოს კაპიტალის მხრივ ჩაგვრას, სახელდობრ პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების კლასის ხელში.

მხოლოდ ამ კლასს შეუძლია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ აიღოს ხელი ანექსიებზე, თავი დააღწიოს ფინანსური, საბანკო კაპიტალის ქსელს, მძარცველური ომი განსაზღვრულ პირობებში გადააქციოს არა მარტო სიტყვით, არამედ ს ა ქ მ ი თ რევოლუციურ-პროლეტარულ ომად, ომად არა სუსტი ხალხების ჩასახრჩობად, არამედ კაპიტალის უღლისაგან მ თ ე ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ს მუშათა და გლეხთა განსათავისუფლებლად.

კონფერენცია კიდევ და კიდევ აცხადებს პროტესტს იმ მდაბალი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ავრცელებენ, სახელდობრ, ვითომც ჩვენ თანავუგრძნობდეთ გერმანიასთან სეპარატიულ (ცალკე) ზავს. გერმანიის კაპიტალისტებს ჩვენ ისეთივე ყაჩაღებად ვთვლით, როგორც რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვ. კაპიტალისტებს, ხოლო იმპერატორ ვილჰელმს ისეთივე გვირგვინოსან ავაზაკად, როგორც ნიკოლოზ მეორეს და ინგლისის, იტალიის, რუმინეთისა და ყველა სხვა მონარქს. ჩვენ ეს შეხედულება გამოვთქვით არა მარტო რუსულად, არა-

მედ გერმანულადაც, გერმანულ თარგმანში ზინოვიევისა და ლენინის ბროშურისა «სოციალიზმი და ომი» *.

ეგ კიდევ ცოტაა. ხსენებულმა ამხანაგებმა, როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორებმა, «სოციალ-დემოკრატის» 47-ე ნომერში, რომელიც ჟენევაში გამოვიდა 1915 წლის 13 ოქტომბერს, ჩვენი პარტიის სახელით განაცხადეს: რევოლუციას რომ ჩვენი პარტია დაეყენებინა ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ ომის დროს, ჩვენ მყისვე და აშკარად არა ძალდატანებითს, ე. ი. დემოკრატიულ ზავს შევთავაზებდით გერმანიას და მ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ ყ ვ ე ლ ა ხ ა ლ ხ ს, —

— და რომ ჩვენ, თუ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტები ასეთ ზავზე უარს განაცხადებდნენ, თვითონ დავიწყებდით რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო მ ს და მოვუწოდებდით ყველა ქვეყნის მუშებს კავშირი შეეკრათ ჩვენთან *.**

კონფერენცია სავსებით ადასტურებს ამ განცხადებას.

კონფერენცია აღიარებს, რომ მთელ მსოფლიოში ამჟამად არც ერთ მეომარ ქვეყანაში არ არსებობს არც ისეთი თავისუფლება, როგორიც რუსეთშია, არც ისეთი რევოლუციურ-მასობრივი ორგანიზაციები, როგორიცაა მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოები;

— რომ ამიტომ მთელ მსოფლიოში არსად არ შეიძლება ისე ადვილად და ი ს ე მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ხალხის ნ ა მ დ ვ ი ლ ი უმრავლესობის, ე. ი. მუშებისა და უღარიბესი გლეხების ხელში, როგორც რუსეთში.

კონფერენცია აცხადებს, რომ ჯარისკაცთა შესანახი ფული უნდა გროვდებოდეს არა სესხთა გზით, რაც კაპიტალისტებს ამდიდრებს, არამედ კაპიტალისტებზე განსაკუთრებით მაღალი საშემოსავლო და ქონებისკვალობითი გადასახადის დადების გზით.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 365 — 370. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 493. რ ე დ.

კონფერენცია აცხადებს, რომ ვიდრე ხალხის უმრავლესობას, აგიტაციისა და პროპაგანდის სრული თავისუფლების პირობებში, ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ახლანდელი ომის განუყრელი კავშირი კაპიტალისტების ინტერესებთან, — არსებობს მხოლოდ ერთი პრაქტიკული საშუალება ხალხთა ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტის დასაჩქარებლად.

ეს საშუალებაა — ჯარისკაცთა დაძმობილება ფრონტზე.

კონფერენცია აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ისეთი გაზეთიც კი, რომელიც უეჭველად იცავს კაპიტალისტების ინტერესებს, «ნოვოე ვრემია», კიევიდან 12 აპრილს გამოგზავნილი დეპეშით აღიარებს ფრონტზე დაძმობილების დაწყებას. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პიტერის საბჭოსადმი ჯარისკაცთა დელეგატების მიერ გადმოცემული მთელი რიგი ცნობები ადასტურებს ამ ფაქტს.

დაიწყეს რა დაძმობილება, რუსეთისა და გერმანიის ჯარისკაცებმა, ჯარისკაცთა ფარაჯებში გადაცმულმა ორივე ქვეყნის პროლეტარებმა და გლეხებმა მთელ ქვეყანას დაანახვეს, რომ კაპიტალისტების მიერ დაჩაგრული კლასების უტყუარმა ალღომ უკარნახა მათ ხალხთა ჟლეტის შეწყვეტის უტყუარი საშუალება.

დაძმობილებად ჩვენ ვგულისხმობთ, ჯერ-ერთი, მოწოდებათა გამოცემას რუსულ ენაზე და გერმანულ ენაზე მათ გადათარგმნას ფრონტზე გასავრცელებლად; მეორეც, გერმანელ და რუს ჯარისკაცთა მიტინგების მოწყობას ფრონტზე, თარჯიმნების შემწეობით ისე, რომ კაპიტალისტებმა და უმთავრესად კაპიტალისტთა კლასიდან გამოსულმა ორივე ქვეყნის გენერლებმა და ოფიცრებმა ვერ გაბედონ მიტინგების ხელის შეშლა, ვერ გაბედონ ამ მიტინგებზე დასწრებაც კი თვით ჯარისკაცების უშუალო და განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

ამგვარ მოწოდებებში და ასეთ მიტინგებზე განმარტებულ უნდა იქნეს ზემომოყვანილი შეხედულებანი ომსა და ზავზე, აღნიშნული უნდა იყოს, რომ თუ ორივე ქვეყანაში, გერმანიაშიც და რუსეთშიც, მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა

დეპუტატების საბჭოების ხელში გადავა, მთელი კაცობრიობა ერთბაშად თავისუფლად ამოისუნთქავს, რადგან მაშინ მართლაც უზრუნველყოფილი იქნება ომის ფრიად სწრაფად დამთავრება, ფრიად მტკიცე, ნამდვილად-დემოკრატიული ზავი ყველა ხალხს შორის და ამასთანავე უზრუნველყოფილი იქნება ყველა ქვეყნის გადასვლაც სოციალიზმზე.

დაწერილია 1917 წლის
15 და 22 აპრილს
(28 აპრილსა და 5 მაისს) შუ.

პირველად დაიბეჭდა
1927 წელს ვ. ი. ლენინის
ეიხზულებათა მე-2 — 3 გამოცემებში,
ტომი XX

იბეჭდება საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი და ვ. ი. ლენინის მიერ
შესწორებული ეგზემპლარის
მიხედვით

გლეხთა დეპუტატების ყრილობა [60]

13 აპრილიდან თავრიდის სასახლეში მიმდინარეობს გლეხთა ორგანიზაციებისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა, რომლებიც შეიკრიბნენ გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს მოწვევის დებულების შესამუშავებლად და ადგილებზე ასეთივე საბჭოების შესაქმნელად.

«დელო ნაროდას» სიტყვით, ყრილობაში მონაწილეობას იღებენ 20-ზე მეტი გუბერნიის წარმომადგენლები.

უკვე მიიღეს რეზოლუციები «გლეხობის» თავიდან «ბოლომდე» რაც შეიძლება ჩქარა დარაზმვის აუცილებლობის შესახებ. «გლეხობის დარაზმვის საუკეთესო ფორმად» აღიარებულია «მოქმედების სხვადასხვა რაიონის გლეხთა დეპუტატების საბჭოები».

მიმდინარე ყრილობის მომწვევ დროებითი ბიუროს წევრმა ბიხოვსკიმ აღნიშნა, რომ გლეხობის დარაზმვა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს შექმნის გზით გადაწყვიტა მოსკოვის კოოპერაციულმა ყრილობამ [61], რომელიც წარმოადგენს 12 მილიონ შეკავშირებულ წევრს ანუ 50 მილიონ მცხოვრებს.

ეს — უზარმაზარი მნიშვნელობის საქმეა, რომელსაც მთელი ძალ-ღონით უნდა დავუჭიროთ მხარი. თუ ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ განხორციელდება, თუ გლეხობა, შინგარიოვის ხმის წინააღმდეგ, უმრავლესობის გადაწყვეტილებით და არა მემამულეებთან მისი «ნებაყოფლობითი შეთანხმე-

ბით», ახლავე აიღებს ხელში მთელ მიწას, ამით მოიგებენ არა მარტო ჯარისკაცები, რომლებიც მეტ პურს და ხორცს მიიღებენ, — მოიგებს თავისუფლების საქმეც.

ვინაიდან თვითონ გლეხების დარაზმვა, უთუოდ ქვევიდან, უთუოდ მოხელეების ჩაურევლად, მემამულეთა და მათ მაჩანჩალათა მხრივ «კონტროლისა და ზედამხედველობის» გაუწევლად, არის ყველაზე სწორი და ერთადერთი თავდები რევოლუციის და თავისუფლების წარმატებისა, მემამულეთა უღლისა და კაბალისაგან რუსეთის განთავისუფლების საქმის წარმატებისა.

ეჭვი არ არის, ჩვენი პარტიის ყველა წევრი, ყველა შეგნებული მუშა მთელი ძალ-ღონით ხელს შეუწყობს გლეხთა დეპუტატების საბჭოების მოწყობას, იზრუნებს მათი რიცხვის გადიდებაზე, მათი ძალის განმტკიცებაზე, თავის მხრივ მთელ ძალ-ღონეს დაძაბავს, რომ ამ საბჭოების შიგნით აწარმოონ მუშაობა თანამიმდევრული და მკაცრად-პროლეტარული კლასობრივი მიმართულებით.

ასეთი მუშაობისათვის საჭიროა გლეხთა საერთო საბჭოების შ ი გ ნ ი თ ცალკე დარაზმვა პროლეტარული (მოჯამაგირეთა, დღიური მუშების და სხვ.) ელემენტებისა ან (ზოგჯერ კი დ ა) მოწყობა მოჯამაგირეთა დეპუტატების ცალკე საბჭოებისა.

ამით ჩვენ მიზნად ვისახავთ არა ძალთა დაქსაქსვას; პირიქით, იმისათვის, რომ გავაძლიეროთ და გავაფართოოთ მოძრაობა, უნდა ავამოძრაოთ. მემამულეებისა და კაპიტალისტების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ყ ვ ე ლ ა ზ ე «დ ა ბ ა ლ ი» ფენა, ან, უფრო სწორად, კლასი.

იმისათვის, რომ წინ წავწიოთ მოძრაობა, უნდა გავათავისუფლოთ იგი ბურჟუაზიის გავლენისაგან, უნდა ვეცადოთ გავწმინდოთ ეს მოძრაობა წვრილი ბურჟუაზიის გარდუვალი სისუსტისა, მერყეობისა და შეცდომებისაგან.

ეს მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ამხანაგური დარწმუნებით, არ უნდა გავუსწროთ წინ ამბებს, არ უნდა ვიჩქაროთ ორგანიზაციულად იმის «განმტკიცება», რაც ჯერ კიდევ საკმაოდ

შეგნებული, მოფიქრებული, გაგებული, შეგრძნობილი არ არის თ ვ ი თ პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების წარმომადგენელთა მიერ სოფლად. მაგრამ ეს მუშაობა უნდა ვაწარმოოთ, უნდა შევუდგეთ მას დაუყოვნებლივ და ყველგან.

პრაქტიკულ მოთხოვნებად, ლოზუნგებად, — უფრო სწორად რომ ვთქვათ, წინადადებებად, რომლებიც უნდა წამოვაყენოთ და რომლებზედაც გლეხების ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა უნდა მივაქციოთ, უნდა დავისახოთ მორიგი, თვით ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები.

პირველი საკითხია — მიწის საკითხი. სოფლის პროლეტარები მხარს დაუჭერენ გამოუკლებლივ მ თ ე ლ ი მიწის სრულ და დაუყოვნებლივ მთელი ხალხის ხელში გადასვლასა და მიწის დაუყოვნებლივ აღებას ადგილობრივი კომიტეტების მიერ თავის განკარგულებაში. მაგრამ მიწა ხომ არ იჭმება. მრავალი მილიონი კომლი, რომელთაც არ გააჩნიათ არც ცხენი, არც იარაღები, არც თესლი, ვერაფერს მოიგებს «ხალხის» ხელში მიწის გადასვლით.

დაუყოვნებლივ უნდა დაისვას განსახილველად საკითხი იმის შესახებ და მიღებულ იქნეს პრაქტიკული ზომები იმისათვის, რომ მსხვილი მეურნეობები, თუ ამის მცირედი შესაძლებლობა მაინც იქნება, დარჩეს მსხვილ მეურნეობებადვე, აგრონომებისა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოების ხელმძღვანელობით, საუკეთესო მანქანებით, თესლით, სამიწათმოქმედო ტექნიკის საუკეთესო წესების გამოყენებით.

ჩვენ ვერ დავუფარავთ ვერც გლეხებს, მით უმეტეს ვერც სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს, რომ წვრილ მეურნეობას, სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის არსებობის პირობებში, ა რ ძ ა ლ უ ძ ს იხსნას კაცობრიობა მასების სიღატაკისაგან, — რომ უნდა ვ ი ფ ი ქ რ ო თ მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ და ა მ ს ა ქ მ ე ს ა ხ ლ ა ვ ე უ ნ დ ა მ ო ვ ი კ ი დ ო თ ხ ე ლ ი, უნდა ვასწავლოთ მასებს და ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ მ ა ს ე ბ ი ს ა გ ა ნ პრაქტიკულად ასეთი გადასვლის მიზანშეწონილი ღონისძიებანი.

მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი და უაღრესად საჭირ-ბოროტო საკითხი — ეს არის სახელმწიფო წყობილებისა და მართვა-გამგეობის საკითხი. საკმაო არ არის დემოკრატიის ქადაგება, საკმაო არ არის მისი აღიარება და დადგენა, საკმაო არ არის მისი განხორციელება მიანდო ხალხის «წარმომად-გენლებს» წარმომადგენლობითს დაწესებულებებში. დემო-კრატია უნდა ვ ა შ ე ნ ო თ ახლავე, ქვევიდან, თვით მასების თაოსნობით, მათი ქმედითი მონაწილეობით მ თ ე ლ სახელ-მწიფო ცხოვრებაში ზემოდან «მეთვალყურეობის» გარეშე, უმოხელეებოდ.

პოლიციის, მოხელეობისა და მუდმივი ჯარის შეცვლა უკლებლივ მთელი ხალხის საყოველთაო შეიარაღებით, უთუოდ ქალების მონაწილეობით, მ ი ლ ი ც ი ი ს შემოღე-ბით — აი ის პრაქტიკული საქმე, რომელსაც დაუყოვნებლივ შეიძლება და უნდა მოვკიდოთ ხელი. რაც უფრო მეტ თაოს-ნობას, მრავალმხრივობას, გამბედაობას, შემოქმედებას გამო-იჩენენ ამ საქმეში მასები, მით უკეთესი იქნება. არათუ სოფ-ლის პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, — მთელი გლეხობის ცხრა მეათედი უეჭველად გამოგვყვება, თუ შევძ-ლებთ ნათლად, უბრალოდ, გასაგებად, ცოცხალი ცხოვრების ცოცხალი მაგალითებითა და გაკვეთილებით ჩვენი წინადადე-ბის განმარტებას:

— არავის დავანებოთ პოლიციის აღდგენა;

— არავის დავანებოთ მოხელეების ყოვლისშემძლეობის აღდგენა, მოხელეებისა, რომლებიც ნამდვილად უცვლელნი არიან და მემამულეთა ან კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნიან;

— არავის დავანებოთ ხალხისაგან განცალკევებული მუდ-მივი ჯარის აღდგენა, ჯარისა, რომელიც თავისუფლების წართმევის და მონარქიის აღდგენის ყოველგვარი ცდის ფრიად საიმედო საწინდარია;

— ვასწავლოთ ხალხს, სულ ქვედა ფენამდე, სახელმწი-ფოს მართვა-გამგეობის ხელოვნება არა მარტო წიგნით, არა-მედ დაუყოვნებლივ ყველგან პრაქტიკაზე გადასვლით, მასე-ბის გამოცდილების გამოყენებით.

დემოკრატია ქვევიდან, დემოკრატია უმოხელეებოდ, უპოლიციოდ, მუდმივი ჯარის უყოლელად. საზოგადოებრივი სამსახურის შესრულება საყოველთაოდ შვიარადებული, მთელი ხალხისაგან შემდგარი მ ი ლ ი ც ი ი ს მ ი ე რ — ი ი საწინდარი ისეთი თავისუფლებისა, რომლის წართმევასაც ვერ შეძლებენ ვერც მეფეები, ვერც რიხიანი გენერლები, ვერც კაპიტალისტები.

«პრავდა» № 34, 1917 წ. 16 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ემიგრანტების დაბრუნებისათვის

დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ პ. ბ. აქსელროდი, ლ. მარტოვი, რიაზანოვი, ლუნაჩარსკი, ნატანსონი, სადაც ნათქვამია: «ა ღ ვ ნ ი შ ნ ა ვ თ, რ ო მ რ უ ს ე თ შ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა ი ნ გ ლ ი ს ზ ე გ ა-მ ო ვ ლ ი თ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა».

მეორე დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერენ II სათათბიროს წევრი მანდელბერგი, პროფ. რეიხესბერგი, ფელიქს კონი, ესტინოვი, ბალაბანოვა, ანდრონიკოვი და სხვები, ნათქვამია:

«გამოსავალს ჩვენ ვხედავთ რუსეთისა და გერმანიის მთავრობათა შეთანხმებაში... ინტერნირებულთა გ ა ც ვ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ... რუსეთში ინტერნირებული გ ე რ მ ა ნ ე ლ ი სამოქალაქო ტ ყ ვ ე ე ბ ი ს სათანადო რიცხვის განთავისუფლების სანაცვლოდ».

რატომ არ აცხადებენ «რუსსკაიავოლიელი» და «ედინსტვოელი» ვაჟბატონები ამ ემიგრანტებსაც გერმანიის აგენტებად?

«პრავდა» № 34, 1917 წ. 16 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ჩვენი შეხედულებანი

ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომისიის რეზოლუციის პასუხად

16 აპრილის გაზეთები ბეჭდავენ შემდეგ რეზოლუციას:

«გინიხილა რა ამხანაგების ცნობა იმ დეზორგანიზატორული პროპაგანდის გავრცელების შესახებ, რომელიც რევოლუციურ, ხშირად სოციალ-დემოკრატიულ დროშას ეფარება, კერძოდ იმ პროპაგანდის შესახებ, რომელსაც ეგრეთწოდებული ლენინელები ეწევიან, და, თვლის რა ამ პროპაგანდას არა ნაკლებ მავნებლად, ვიდრე ყოველგვარ კონტრრევოლუციურ პროპაგანდას მარჯვნიდან; ამავე დროს შეუძლებლად ცნობს რა რეპრესიული ზომების მიღებას პროპაგანდის წინააღმდეგ, ვიდრე ის მხოლოდ პროპაგანდად რჩება, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომისიას მეტად საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რომ ამ პროპაგანდას დავუპირისპიროთ ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია. უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ორგანიზაციები საკმაოდ ძლიერი იყვნენ იმისთვის, რომ ყოველ მომენტში ყოველგვარ კონტრრევოლუციურ მოქმედებას, საიდანაც უნდა გამოდიოდეს იგი, დავუპირისპიროთ ჩვენი მოქმედება. ჩვენი დაბეჯითებითი სურვილია, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა დეზორგანიზაციული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გააჩაღოს გეგმაშეწონილი აგიტაცია როგორც პრესაში, ისე განსაკუთრებით ჯარის ნაწილებში».

თუ ამ რეზოლუციას დავუპირისპირებთ «იზვესტიის» რედაქციის (17 აპრილის) მოწინავე სტატიის ჩვენ მიერ მოყვანილ განცხადებას «უპატიოსნო და საზიზღარი დევნის»

წინააღმდეგ, ერთბაშად დავინახავთ, როგორი პოლიტიკური დაყოფა დამყარდა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ში ამ საკითხზე:

«რუსსკაია ვოლია», როგორც დევნის ორგანო, ბ-ნ პლეხანოვის «ედინსტვო», როგორც «ბრძოლის ასეთი მეთოდის» განმმეორებელი, «დელო ნაროდას» მიერ გამოცხადებული არიან მ ო წ მ ე ე ბ ად.

ს ხ ვ ა პოზიცია უჭირავს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომისიას, რომელიც პირდაპირ აცხადებს «რეპრესიული ზომების მიღება შეუძლებელია, ვიდრე პროპაგანდა მხოლოდ პროპაგანდად რჩებაო».

აი რატომ გადმოვბეჭდეთ ჩვენ მთლიანად აღმასრულებელი კომისიის რეზოლუცია და რატომ მიგვაჩნია სასარგებლოდ მისი არსებითად გარჩევა.

რეზოლუცია ლენინის პროპაგანდას აცხადებს «არა ნაკლებ მავნებლად, ვიდრე ყოველგვარ კონტრრევოლუციურ პროპაგანდას მარჯვნიდან».

მაშ განვიხილოთ, რაშია განსხვავების არსი 1) კონტრრევოლუციურ პროპაგანდასა მარჯვნიდან, შემდეგ 2) დროებითი მთავრობის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო და მისთვის მხარისდაჭერის სასარგებლო პროპაგანდას და 3) ჩვენს პროპაგანდას შორის.

მემარჯვენეებს სურთ დროებითი მთავრობის დამხობა და მონარქიის აღდგენა.

დროებითი მთავრობა შ ე გ ვ პ ი რ დ ა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებით ვიმოქმედებო.

ჩვენი პროპაგანდაა: სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება უნდა გადავიდეს მ ხ ო ლ ო დ მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების ხელში, რადგან ეს საბჭოები აშკარად წარმოადგენენ ხალხის დიდ უმრავლესობას. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ «განმარტებით» (როგორც ლენინმა პირველ დღესვე ზუსტად და ნათლად განაცხადა თავის თეზისებში) * მივაღწიოთ იმას, რომ ხალხის უმრავლესობამ შეიგნოს ძალაუფლების ასეთი გადასვლის აუცილებლობა.

* იხ. ეს ტომი, გვ. 5—6. რ ე დ.

ამრიგად, მემარჯვენეები მონარქის ძალაუფლებას უჭერენ მხარს. კაპიტალისტები — კაპიტალისტების ძალაუფლებას (რადგან დროებითი მთავრობა კაპიტალისტების მთავრობაა); ისინი გვპირდებიან, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებით ვიმოქმედებთო.

ჩვენ გვინდა დავარწმუნოთ ხალხის უმრავლესობა, რომ ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს მ ხ ო ლ ო დ მუშათა, ჯარისკაცთა და სხვ. დეპუტატების საბჭოებს.

ცხადზე უცხადესია, რომ შეუძლებელია ჩვენი პროპაგანდა გამოცხადდეს — «არა ნაკლებ მავნებლად, ვიდრე ყოველგვარი კონტრრევოლუციური პროპაგანდა მარჯვნიდან» დროებითს მთავრობასთან შეთანხმების მომხრეების თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ა ც კ ი. ვინაიდან შეთანხმების მომხრეები ამჟამად ხალხის უმრავლესობას ეყრდნობიან! მაშ როგორ შეუძლიათ მათ ჩვენს პროპაგანდას, რომელიც უმრავლესობას ა რ წ მ უ ნ ე ბ ს აიღოს მთელი ძალაუფლება, უწოდონ «იმდენადვე მავნე, როგორც მემარჯვენეთა პროპაგანდაა».

ეს აშკარა შეუსაბამობაა.

არა გვგონია ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დიდხანს შეძლოს თავისი აღმასრულებელი კომისიის ასეთი შეხედულების დაცვა.

გავყვეთ ქვევით.

არსებითად რა იწვევს ჩვენს უთანხმოებას?

უმთავრესად სამი მუხლი:

1) მიწის საკითხი. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ გლეხებმა, თვით გლეხების უმრავლესობის საკუთარი გადაწყვეტილებით ადგილობრივ, აიღოს ახლავე მ თ ე ლ ი მიწა და ამრიგად გაადიდოს პურისა და ხორცის წარმოება ჯარისკაცებისთვის.

დროებითი მთავრობა მომხრეა გლეხების «შეთანხმებისა» მემამულეებთან, ე. ი. მომხრეა სამასი გლეხის «შეთანხმებისა» ერთ მემამულესთან.

ვნახოთ, ამ საკითხზე ხალხის უმრავლესობა ჩვენ დაგვიჭერს მხარს თუ დროებითს მთავრობას.

2) ჩვენ მომხრე ვართ ისეთი რესპუბლიკისა, სადაც სრულიად არ უნდა იყოს არც პოლიცია, არც მუდმივი ჯარი (მის ნაცვლად, ჩვენი რწმენით, უნდა მოხდეს მთელი ხალხის საყოველთაო შეიარაღება), არც მოხელეობა, რომელიც ნამდვილად უცვლელია და შრომისთვის ღებულობს პრივილეგიურ, ბურჟუაზიულ ხელფასს. ჩვენ მომხრე ვართ ყველა მოხელის სრული არჩევითობისა, მათი ყოველ დროს შეცვლისა და მათთვის პროლეტარული ხელფასის დანიშვნისა.

დროებითი მთავრობა მომხრეა ჩვეულებრივი ტიპის პოლიციის აღდგენისა, მუდმივი ჯარისა და ჩვეულებრივი მოხელეობისა.

3) დროებითი მთავრობა მომხრეა ი მ და ი მ გ ვ ა რ ი ომის განგრძობისა, რომელიც ნიკოლოზ სისხლისმსმელმა დაიწყო. დროებითი მთავრობა მომხრეა მ ე ფ ი ს მიერ დადებული საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებების დადასტურებისა ხ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ი ს უ კ ი თ ხ ა ვ ა დ და ამ ხელშეკრულებების გამოუქვეყნებლადაც კი.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი ომისა, წინააღმდეგი ვართ ხელშეკრულებების დადასტურებისა, წინააღმდეგი ვართ მათი გამოუქვეყნებლობისა.

ჩვენ ვურჩევთ ხალხებს, გამოუკლებლივ ყველას, დაამთავრონ ეს ომი არა ძალდატანებითი, ე. ი. ნამდვილი დემოკრატიული, ზავით, რომელიც თავისუფლებას ანიჭებს გამოუკლებლივ ყველა ერს და ეროვნებას. ჩვენ გვინდა დავუმტკიცოთ ხალხს, რომ ომის დასამთავრებლად მართლაც არა ძალდატანებითი ზავით საჭიროა სახელმწიფო ძალაუფლება მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდეს.

ვინაიდან, ვიდრე ძალაუფლება კაპიტალისტებისა და მემამულეების (გუჩკოვის, ლვოვისა და მილიუკოვის) ხელშია, ომის ხელმძღვანელობა სინამდვილეში კაპიტალისტების ხელში რჩება, ყოველგვარი დაპირება უანექსიო ზავის შესახებ დაპირებადვე რჩება, მთელი მსოფლიოს მუშათა მასების უნდობლობა კაპიტალისტების მთავრობისადმი გარდუვალია; მაშასადამე, ომი უფრო და უფრო გაჭიანურდება.

კითხვა: როგორ მოვიქცეთ, თუ რუსეთში ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავა, გერმანიაში კი არ მოხდება ისეთი რევოლუცია, რომელიც დაამხობდა არა მარტო ვილჰელმ მეორეს, არამედ გერმანელ გუჩკოვებსაც და მილიუკოვებსაც (რადგან თუ გერმანელ ნიკოლოზ მეორეს გერმანელი გუჩკოვები და მილიუკოვები შეცვლიან, ომის მხრივ სრულიად არაფერი არ შეიცვლება)?

ჩვენი პასუხი: ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში — ხალხის უმრავლესობის ძალაუფლება იქნება, უმრავლესობას კი — მუშები და უღარიბესი გლეხები შეადგენენ. ისინი მართლაც არ არიან დაინტერესებული ანექსიებით, ისინი სიტყვით კი არა, არამედ საქმით უარს იტყვიან ანექსიებზე, ისინი საქმით ალარ იქნებიან კაპიტალისტების მოგების დარაჯნი.

ასეთ პირობებში ჩვენც თანახმა ვართ რევოლუციური ომისა ყოველი ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ, რადგან საქმით ეს იქნება ომი ყოველგვარი კაპიტალის ინტერესების წინააღმდეგ და არა ერთი ქვეყნის კაპიტალისტების ინტერესების სასარგებლოდ.

კითხვა: თუ ომის დამთავრება შეუძლებელია ხიშტების მიწაში უბრალო ჩარჭობით, პრაქტიკულად, ახლავე, დაუყოვნებლივ, როგორ დავაჩქაროთ ზავის საქმე?

ჩვენი პასუხი: ომის დამთავრება არ შეიძლება არც მიწაში ხიშტების უბრალო ჩარჭობით და არც საერთოდ იმით, რომ ერთ-ერთმა მეომარმა მხარემ ცალმხრივად უარი განაცხადოს ომზე. პრაქტიკული, დაუყოვნებელი საშუალება ზავის დასაჩქარებლად არის და შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი (გარდა მუშათა რევოლუციის გამარჯვებისა კაპიტალისტებზე), სახელდობრ: ჯარისკაცების დაძმობილება ფრონტზე.

დაუყოვნებლივი, უაღრესად ენერგიული, ყოველმხრივი და უეჭველი დახმარება ჩვენი მხრივ ორივე მეომარი ჯგუფის ჯარისკაცთა დაძმობილებას ფრონტზე.

ასეთი დაძმობილება უკვე დაიწყო. მაშ დავეხმაროთ ამ საქმეს.

აი ჩვენი შეხედულებები. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ხალხის უმრავლესობა ა რ ჩათვლის ამას «არა ნაკლებ მავნებლად, ვიდრე ყოველგვარი კონტრრევოლუციური პროპაგანდაა მარჯვნიდან».

«პრავდა» № 35, 1917 წ.
1 მაისი (18 აპრილი)
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

როგორ გამოებნენ ისინი კაპიტალისტებს

მსხვილი კაპიტალისტებისა და ბანკების გაზეთი «ფინანსოვაია გაზეტა»[62] 17 აპრილის მოწინავე სტატიაში კარგად ააშკარავებს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს, სახელდობრ: სოციალისტ-რევოლუციონერების, მენშევიკ სოციალ-დემოკრატების და სხვ. პარტიებმა დროებითს მთავრობასთან ყბადაღებული «შეთანხმებით» როგორ შეიბოჭეს ხელ-ფეხი, როგორ გამოებნენ კაპიტალისტებს.

აი ეს მოწინავე სტატია მთლიანად:

მემარცხენეები და სესხი

დროებითი მთავრობის მიერ გამოშვებულმა თავისუფლების სესხმა ვერ გამოიწვია მემარცხენე წრეებში ის აღფრთოვანება, რომლითაც გამოეხმაურა ამ სესხს მოსახლეობის უმრავლესობა.

მემარცხენე პრესა სამ ჯგუფად გაიყო. ლენინური «პრავდა» გარკვევით გამოვიდა სესხის წინააღმდეგ: ამით მან ბოლშევიკების თვალსაზრისი გამოხატა. პლეხანოვის «ედინსტვო» გადაჭრით მხარს უჭერს სესხს. დასასრულ, სოციალისტური პრესის დანარჩენმა ორგანოებმა — «რაბოჩაია გაზეტამ», «ზემლია ი ვოლიამ», «ვოლია ნაროდამ» — «საშუალო» პოზიცია დიკავეს: არც აქეთ, არც იქით; ის კი არა, რომ სესხს მხარს უჭერდნენ, მაგრამ არც წინააღმდეგი არიან. ასეთია პოზიცია ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოსიც, რომელმაც პრინციპულად თითქოს დაადგინა მხარი დაუჭიროს სესხს, მაგრამ ამჟამად კვლავ ეჭვი აღეძრა და ყოყმანობს. მართალი იყო «დენი», როცა ამას წინათ ამ ცენტრალურ, ყველაზე უფრო ძლიერ ჯგუფს, რომელშიც მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები შედიან, უსაყვედურებდა გაურკვეველი და ორჭოფული პოზიციის გამო.

თითქოს იმისთვის, რომ მეტი საბუთი მოეცა ასეთი საყვედურის სამართლიანობისა, გუშინ ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭო კვლავ დაუბრუნდა სესხის ერთხელ უკვე გადაწყვეტილ საკითხს და მსჯელობა იქონია მასზე. ნ. ს. ჩხეიძემ განაცხადა, უახლოეს დღეებში მოსალოდნელია მთავრობის ახალი აქტი, რომელიც ამომწურავად გააშუქებს მთავრობის პოზიციას საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზეო. ნ. ს. ჩხეიძემ წინადადება წამოაყენა მანამდე გადაედოთ სესხის მხარისდაჭერის საკითხის განხილვა.

მემარცხენეთა ეს პოზიცია გაოცებას იწვევს, მეტი რომ არა ვთქვათ. ვინმე ხომ უნდა განაგებდეს სახელმწიფოს და ახორციელებდეს იმ რეფორმებს, რომელნიც ასე სწყურია მრავალტანჯულ რუსეთს?

ორში ერთი: ან ახლანდელი მთავრობა სარგებლობს მემარცხენეთა ნდობით, ე. ი. დღემდე, წარსულში ამ მთავრობას არაფრით არ დაურღვევია ნაკისრი ვალდებულება; ანდა იგი ასეთი ნდობით არ სარგებლობს. უკანასკნელ შემთხვევაში მემარცხენეებმა, რაკი ისინი მხარს არ უჭერენ დროებითს მთავრობას, თვითონ უნდა იკისრონ არა მარტო მისი მოქმედების «კონტროლი», არამედ მართვა-გამგეობის მთელი ტვირთიც, და პასუხისმგებლობაც ხალხისა და ისტორიის წინაშე. ხოლო თუ ისინი დროებითს მთავრობას ვერაფერში ბრალს ვერ დასდებენ, თავისთავად ცხადია, მათ უფლება არა აქვთ უცადონ მის მომავალ აქტებს და მთელი ძალ-ღონით მხარი უნდა დაუჭირონ მას. ყოველ შემთხვევაში, შეუწყნარებელია ის ორჭოფობა, ის მიკიბულ-მოკიბული თავდაჭერილობა, ის გაურკვევლობა, რაც, ერთი მხრივ, იოტის ოდენადაც ვერ უმსუბუქებს პასუხისმგებლობას დროებითს მთავრობას, რომელსაც ისიც კი არ შეუძლია, რომ ისტორიის წინაშე თავის განმარტოებულობაზე მიუთითოს, ხოლო მეორე მხრივ — ფაქტიურად უსპობს მას ფართო დემოკრატიული მასების მხარისდაჭერას და მძიმე მდგომარეობაში აყენებს მას.

სოციალისტურ მიმართულებათა ღირსება ყოველთვის მათი პირდაპირობა იყო. სოციალისტურ პარტიათა პოლიტიკას არ ახასიათებდა მიკიბულ-მოკიბულობა, ობივატელური უნიათობა, ელასტიკური ოპორტუნიზმი. ახლა კი სესხის საკითხში რუსული სოციალიზმის ცენტრალურმა ჯგუფებმა უღალატეს ამ ტრადიციულ პრინციპებს და ოქტიაბრისტული ნახევრულობის გზას დაადგნენ. საზოგადოებრივ აზრს უფლება აქვს მიმართოს მათ მოწოდებით: მიუკიბ-მოუკიბავად გამოარკვიონ თავიანთი პოზიცია სესხის მიმართ, პატიოსნად და აშკარად განაცხადონ — იღებენ თუ არა მონაწილეობას ამ საქმეში და მით შეასრულონ თავიანთი ზნეობრივი მოვალეობა დროებითი მთავრობის წინაშე: ან საშუალება მისცენ მას დაეყრდნოს მემარცხენე მიმდინარეობებს, ანდა დაადასტურონ, რომ არ ეთანხმებიან მას.

ბანკის ავანჩავანნი — საქმის ხალხია. ისინი ფხიზლად უყურებენ პოლიტიკას: დაჰპირდი კაპიტალისტების მთავრო-

ბას (რომელიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებს) მხარისდაჭერას — მიეცი სესხი.

სწორია! სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების პარტიებმა ხელ-ფეხი შეიბოჭეს და უმწეოდ დანებდნენ კაპიტალისტებს. იმის აღთქმა, რომ «მთავრობა უახლოეს დღეებში» გამოსცემს «ახალ აქტს, რომელიც ამომწურავად (!!??) გააშუქებს», — რაც ისედაც საკმაოზე მეტად გაშუქებულია! — «მის პოზიციას საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე», ფუჭი დაპირებაა.

ვერავითარი «აქტით», რომელიც განცხადებებისა, დარწმუნებებისა, აღიარებებისაგან შედგება, საქმის არსს ვერ შეცვლი. ეს არსი კი ის არის, რომ კაპიტალისტების — ლვოვის, გუჩკოვის, მილიუკოვის და კომპანიის მთავრობა კაპიტალის ინტერესების წარმომადგენელია, შებოჭილია ამ ინტერესებით, მას არ შეუძლია თავი დააღწიოს (კიდეც რომ უნდოდეს) იმპერიალისტურ, დაპყრობითს, ანექსიონისტურ პოლიტიკას.

არაფრისმთქმელი და არაფრის დამავალდებულებელი ფრაზების შემწეობით «დ ა ე ყ რ დ ნ ო ს» «მემარცხენე» მიმდინარეობებს, ე. ი. განამტკიცოს თავისი იმპერიალისტური პოლიტიკა მემარცხენეთა ავტორიტეტით, საქმით კი არაფრით არ გადაუხვიოს ამ პოლიტიკას, — აი რის ჩადენას აპირებს ჩვენი იმპერიალისტური მთავრობა, აი — ობიექტურად — რის გაკეთებაში ეხმარებიან მას ჩხეიძე და მისი მეგობრები.

«ოქტიაბრისტული ნახევრულობა» — აი მოსწრებული სიტყვა — აი სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების ხაზის არა მარტო საქმიანი, არამედ სავსებით სწორი შეფასება იმ პოლიტიკოსების მხრივ, რომლებიც ცხადად ხედავენ საქმის არსს.

«პრავდა» № 36, 1917 წ.
3 მაისი (20 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

პროლეტარული მილიციის შესახებ

ჩვენი გაზეთი 14 აპრილს კორესპონდენციაში კანავინიდან, ნიჟნინოვგოროდის გუბერნიიდან, იუწყებოდა, რომ «თითქმის ყველა ქარხანაში შემოღებულია მუშათა მილიცია, რომელსაც ჯამაგირს ქარხნის სამმართველო აძლევს».

კანავინის რაიონში, როგორც კორესპონდენციის ავტორი იუწყება, შედის 16 ქარხანა, დაახლოებით 30 ათასი მუშა, გარდა რკინიგზელებისა, მაშასადამე, მუშათა მილიცია, რომელსაც ჯამაგირს კაპიტალისტები აძლევენ, ამ მხარეში შემოღებულია უკვე მრავალ მსხვილ საწარმოში.

მუშათა მილიციის შემოღება კაპიტალისტების ხარჯზე ისეთი ღონისძიებაა, რომელსაც უდიდესი — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: უზარმაზარი, გადამწყვეტი — მნიშვნელობა აქვს, როგორც პრაქტიკული, ისე პრინციპული. რევოლუცია არ შეიძლება გარანტირებული იყოს, მის მონაპოვართა წარმატება არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს, მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელია, თუ ეს ღონისძიება საყოველთაო არ გახდება, ბოლომდე არ იქნება მიყვანილი და მთელ რუსეთში არ გატარდება.

ბურჟუაზიული და მემამულური რესპუბლიკელები, რომლებიც რესპუბლიკელები გახდნენ მას შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ სხვაგვარად შეუძლებელია ხალხზე იბატონო, ცდილობენ დააარსონ რაც შეიძლება უფრო მონარქისტული რესპუბლიკა: რაღაც საფრანგეთის რესპუბლი-

კის მსგავსი, რომელსაც შჩედრინი უწოდებდა რესპუბლიკას ურესპუბლიკელებოდ [63].

ამჟამად მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, როცა ისინი დარწმუნდნენ რევოლუციური მასების ძლიერებაში, მთავარია ის, რომ შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ო ნ ძველი რეჟიმის ყველაზე უფრო არსებითი დაწესებულებები, შეინარჩუნონ ჩაგვრის ძველი იარაღები: პოლიცია, მოხელეობა, მუდმივი ჯარი. ისინი ცდილობენ «სამოქალაქო მილიცია» დაამსგავსონ ძველებურ, ესე იგი პატარ-პატარა, ხალხისაგან მოწყვეტილ და ბურჟუაზიასთან რაც შეიძლება ახლო მდგომ, შეიარაღებულ ადამიანთა რაზმებს ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ პირთა უფროსობით.

სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმი მოითხოვს მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით. მაგრამ ევროპის ოფიციალური სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ და ჩვენი მენშევიკების ბელადების უმრავლესობამ «დაივიწყა» ან განზე გადადო პარტიის პროგრამა და ინტერნაციონალიზმი შოვინიზმით («ობორონ(ობა») შეცვალა, ხოლო რევოლუციური ტაქტიკა — რეფორმიზმით.

ამავე დროს სწორედ ახლა, რევოლუციურ მომენტში, ხალხის საყოველთაო შეიარაღება განსაკუთრებით და ფრიად აუცილებელია. მოტყუება და ცრუ თვალთმაქცობა იქნებოდა იმის დამოწმება, თითქოს რევოლუციური ჯარის არსებობისას ზედმეტი იყოს პროლეტარიატის შეიარაღება, ან იმისა, რომ იარაღი «არ გვეყოფაო». საქმე ეხება იმას, რომ ახლავე დავიწყოთ საყოველთაო მილიციის მოწყობა, რომელიც ისწავლის იარაღის ხმარებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს იარაღი ყველას «არ ყოფნის»; ვინაიდან ხალხს აუცილებლად სულაც არ ესაჭიროება იმდენი იარაღი, რომ ყველას ყოველთვის ჰქონდეს ის. ხალხისათვის ის არის საჭირო, რომ ყველამ გამოუკლებლივ ისწავლოს იარაღის ხმარება და ყველა შედიოდეს მილიციაში, რომელიც პოლიციასა და მუდმივ ჯარს ცვლის.

მუშებს ის უნდათ, რომ არ არსებობდეს ხალხისაგან მოწყვეტილი ჯარი, რომ მუშები და ჯარისკაცები ერთიან

საყოველთაო-სახალხო მილიციად იყვნენ შ ე ე რ თ ე-ბ უ ლ ნ ი.

უამისოდ ძალაში რჩება ჩაგვრის აპარატი, რომელიც მზად არის დღეს ემსახუროს გუჩკოვსა და მის მეგობრებს, კონტრ-რევოლუციურ გენერლებს, ხვალ შეიძლება რადკო დმიტ-რიევს ან ტახტის რომელიმე პრეტენდენტსა და პლებისციტა-რული მონარქიის შექმნის მოსურნეს.

კაპიტალისტებს ახლა რესპუბლიკა ესაჭიროებათ, რადგან სხვა მხრივ ხალხთან «ვერას გააწყობენ». მაგრამ მათ ესაჭი-როებათ «პარლამენტური» რესპუბლიკა, ესე იგი ისეთი რეს-პუბლიკა, რომ დემოკრატიზმი დასჯერდეს დემოკრატიულ ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ს, პარლამენტში ისეთი ადამიანების გაგზავნის უფლებას, რომლებიც — მარქსის მოსწრებული და უაღრე-სად სწორი შენიშვნით — ხალხს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ და ხალხსვე თ რ გ უ ნ ა ვ ე ნ[64].

თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებმა, რომლებმაც მარქსი შეიდემანით შეცვალეს, გაიზეპირეს წესი, პარლამენტარიზმი «უნდა გამოვიყენოთო» (ეს უდავოა), მაგ-რამ დაივიწყეს მარქსის გაკვეთილები პროლეტარული დემო-კრატიის მნიშვნელობის შესახებ ბურჟუაზიული პარლამენტა-რიზმისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ.

ხალხს ესაჭიროება რესპუბლიკა, რათა მასები აღზარდოს დემოკრატიისათვის. საჭიროა ა რ ა მ ა რ ტ ო დემოკრა-ტიის ტიპის წარმომადგენლობა, არამედ ქვევიდან, თვითონ მასების მიერ, მთელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის აგება, ცხოვრების ყოველ ნაბიჯში მათი ქმედითი მონაწილეობა, მათი აქტიური როლი მართვა-გამგეობაში. ჩაგვრის ძველი ორგანოების — პოლიციის, მოხელეობის, მუდმივი ჯარის შ ე-ც ვ ლ ა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით, ნამდვილი სა-ყოველთაო მილიციით, — აი ის ერთადერთი გზა, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფს ქვეყანას მონარქიის აღ-დგენისაგან და შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს აძლევს მას გეგმა-შეწონილად, მტკიცედ და გაბედულად გასწიოს წინ სოცია-ლიზმისაკენ, ზევიდან კი არ «შემოიღოს» იგი, არამედ

შეასწავლოს პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების უდიდეს მასებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხელოვნება, მ თ ე ლ ი სახელმწიფო ხელისუფლების მართვა.

საზოგადოებრივი სამსახური ხალხზე გაბატონებული პოლიციის მეშვეობით, ბურჟუაზიის უერთგულეს მსახურთა, მოხელეების მეშვეობით, იმ მუდმივი ჯარის მეშვეობით, რომელსაც მემამულეები და კაპიტალისტები უფროსობენ, — ასეთია იდეალი ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკისა, რომელიც მიისწრაფვის გაამარადისოს კაპიტალის ბატონობა.

საზოგადოებრივი სამსახური საერთო სახალხო, ნამდვილად საყოველთაო, მამაკაცთა და ქალთა, მილიციის მეშვეობით, რომელიც შეძლებს ნაწილობრივ მაინც შეცვალოს მოხელეები, შეერთებული არა მარტო ყველა ხელისუფლის არჩევითობასთან, არა მარტო ამ მოხელეთა ყოველ დროს შეცვლასთან, არამედ მათი შრომის არა «ბატონკაცურად», არა ბურჟუაზიულად, არამედ მუშურად ანაზღაურებასთან, — ასეთია მუშათა კლასის იდეალი.

ეს იდეალი არათუ შევიდა ჩვენს პროგრამაში, არათუ დაიკავა თავისი ადგილი დასავლეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, სახელდობრ პარიზის კომუნის გამოცდილებაში, არათუ შეფასებული, ხაზგასმით აღნიშნული, განმარტებული და რეკომენდებულია მარქსის მიერ, — არამედ პრაქტიკულადაც იყო გამოყენებული უკვე რუსეთის მუშების მიერ 1905 და 1917 წლებში.

მუშათა დეპუტატების საბჭოები, თავიანთი მნიშვნელობით, მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების ტიპით, სწორედ ისეთი დემოკრატიის დაწესებულებებია, რომელიც აუქმებს ჩაგვრის ძველ ორგანოებს და ადგება საყოველთაო-სახალხო მილიციის გზას.

მაგრამ როგორ გავხადოთ მილიცია საერთო სახალხოდ, როდესაც პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები ფაბრიკებში არიან გამომწყვდეულნი, წელში არიან გაწყვეტილნი

კატორღული მუშაობით კაპიტალისტებისა და მემამულეებისთვის?

საშუალება ერთია: მუშათა მილიციას ჯამაგირს კაპიტალისტები უნდა აძლევდნენ.

კაპიტალისტები უნდა უნაზღაურებდნენ მუშებს იმ საათების ან იმ დღეების ხელფასს, რასაც პროლეტარები საზოგადოებრივ სამსახურს ანდომებენ.

ამ სწორ გზაზე მუშათა მასები თვითონ დგებიან. ნიჟნი-ნოვგოროდის მუშების მაგალითს მთელი რუსეთის მუშებმა უნდა მიბაძონ.

ამხანაგო მუშებო, დაარწმუნეთ გლეხები და მთელი ხალხი, რომ პოლიციისა და ძველი მოხელეობის ნაცვლად საჭიროა საყოველთაო მილიციის შექმნა! შემოიღეთ ასეთი და მხოლოდ ასეთი მილიცია. შემოიღეთ იგი მუშათა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, გლეხთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, მუშათა კლასის ხელში გადასული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით. ნურასგზით ნუ დასჯერდებით ბურჟუაზიულ მილიციას. მამაკაცებთან თანაბრად საზოგადოებრივ სამსახურში ჩააბით ქალებიც. აუცილებლად ეცადეთ, რომ კაპიტალისტებმა აუნაზღაურონ მუშებს იმ დღეების ხელფასი, რასაც მილიციაში საზოგადოებრივ სამსახურს ანდომებენ!

ისწავლეთ პრაქტიკულად დემოკრატობა, ახლავე, თვითონ, ქვევიდან, — მოამზადეთ ძასები მართვა-გამგეობის საქმეში ქმედითი, უშუალო, საყოველთაო მონაწილეობისათვის, — ეს და მხოლოდ ეს არის საწინდარი რევოლუციის სრული გამარჯვებისა და მისი მტკიცე, მოფიქრებული და გეგმაშეწონილი წინსვლისა.

«პრავდა» № 36, 1917 წ.
3 მაისი (20 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ᲥᲠᲐᲮᲘ?

ჩვენ ეს-არის გადმოგვცეს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიუღია ნოტა, რომელიც ჩვენს დროებითს მთავრობას უცნობებია საზღვარგარეთის ყველა წარმომადგენლისათვის.

ეს ნოტა, ალბათ, სწორედ ის «აქტია», რომელიც, როგორც ნ. ს. ჩხეიძე ფიქრობდა, უნდა გამოეცათ სამი დღის შემდეგ და რომელიც, ალბათ, წარმოადგენს გარკვეულ განცხადებებს ანექსიების წინააღმდეგ.

მერე რა გამოდგა?

ნოტა შეიცავს დროებითი მთავრობის პირდაპირ განცხადებას, რომ რუსეთი იომებს ბოლომდე, — რომ რუსეთი ერთგულად შეასრულებს თავის ვალდებულებებს მოკავშირეთა წინაშე.

ამ ნოტამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ყუმბარა გასკდაო.

აღმასრულებელი კომიტეტის უმეტესობა, ჩხეიძე, წერეთელი და სხვები, სულ დაიბნენ. «შეთანხმების» მთელი პოლიტიკის გაკოტრება აშკარაა და ეს გაცილებით უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მოველოდით.

საკონტაქტო კომისიაში ლაპარაკით იმპერიალისტურ ომს ვერ შესწყვეტ...

«პრავდა» № 36, 1917 წ.
3 მაისი (20 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 20 აპრილის (3 მაისის) რეზოლუცია დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის შესახებ

დროებითი მთავრობის ნოტამ ცხადყო სრული სისწორე იმ პოზიციისა, რომელიც ჩვენმა პარტიამ დაიკავა პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციის რეზოლუციაში. სახელდობრ, რომ: 1) დროებითი მთავრობა სულ ერთიანად იმპერიალისტური მთავრობაა, ხელფეხშებოჭილი ინგლისსაფრანგეთისა და რუსეთის კაპიტალის მიერ; 2) ყველა ის დაპირება, რაც კი მას მოუცია ან შეეძლო მოეცა («ზავისადმი ხალხის ნების გამოხატვის» შესახებ და სხვ.), შეიძლება მხოლოდ ტყუილს შეიცავდეს და მეტს არაფერს; 3) დროებითს მთავრობას **არ შეუძლია** ხელი აიღოს ანექსიებზე — დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იქნება მისი პირადი შემადგენლობა, იმიტომ რომ ახლანდელ ომში და განსაკუთრებით ამჟამად კაპიტალისტთა კლასი შებოჭილია საბანკო კაპიტალით; 4) წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებენ ნაროდნიკები, მენშევიკები, ახლანდელი მუშათა დეპუტატების საბჭოს ბელადების უმრავლესობა, და რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელს უწყობს ცრუ იმედებს, თითქოს შესაძლებელი იყოს «ზემოქმედების ღონისძიებებით» კაპიტალისტების (ე. ი. დროებითი მთავრობის) «გამოსწორება», კიდევ და კიდევ ერთხელ ააშკარავებს ეს ნოტა.

ამის გამო ცენტრალური კომიტეტი აღიარებს:

I. ყოველგვარი ცვლილება ახლანდელი მთავრობის პირად შემადგენლობაში (მილიუკოვის გადადგომა, კერენსკის გამოწვევა და სხვ.) იქნება ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკანიზმის უცუდესი ხერხების მიბაძვა, რესპუბლიკანიზმისა, რომელიც კლასთა ბრძოლას ცვლის ხროვათა შეჯიბრებით და პირადი გადაჯგუფებით.

II. ერთადერთ ხსნას წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის მასისთვის, მოსახლეობისა, რომელიც ქანაობს კაპიტალისტებსა და მუშათა კლასს შუა, წარმოადგენს ამ მასის უეჭველი გადასვლა რევოლუციური პროლეტარიატის მხარეზე, რომელსაც ერთადერთს შესწევს უნარი დაამსხვრიოს ფინანსური კაპიტალისა და ანექსიონისტური პოლიტიკის ბორკილები. მხოლოდ მაშინ, თუ რევოლუციური პროლეტარიატი — ხალხის უმრავლესობის მხარისდაჭერით — ხელთ იგდებს მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას, ის რევოლუციურ ჯარისკაცებთან ერთად, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით, შექმნის ისეთ მთავრობას, რომელსაც დაუჯერებენ ყველა ქვეყნის მუშები და მარტოოდენ რომელსაც შეეძლება ჩქარა დაამთავროს ომი ჭეშმარიტად-დემოკრატიული ზავით.

«პრავდა» № 37, 1917 წ.
4 მაისი (21 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მოწოდება
ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი

ძმებო-ჯარისკაცებო!

ჩვენ ყველანი გაწამებული ვართ საშინელი ომით, რომელმაც შეიწირა მილიონობით სიცოცხლე, მილიონობით ადამიანი ხეიბარი გახადა, თავს დაგვატეხა გაუგონარი უბედურება, გაჩანაგება და შიმშილი.

და სულ უფრო და უფრო მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ეკითხებიან თავიანთ თავს: რის გამო დაიწყო, რის გამო წარმოებს ეს ომი?

დღითი დღე უფრო ცხადი ხდება ჩვენთვის, მუშებისა და გლეხებისთვის, რომლებსაც გვაწევს ომის ყველაზე მეტი ტვირთი, რომ ის დაიწყეს ყველა ქვეყნის კაპიტალისტებმა და ისინივე განაგრძობენ მას კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის, მსოფლიოზე ბატონობის გულისთვის, ბაზრების მოსაპოვებლად მეფაბრიკეებისთვის, მექარხნეებისთვის, ბანკირებისთვის, სუსტ ეროვნებათა ძარცვის გულისთვის. ერთმანეთში იყოფენ კოლონიებს, იპყრობენ ბალკანეთისა და თურქეთის მიწა-წყალს — და ამის გამო უნდა ჩანაგდებოდეს ევროპის ხალხები, ამის გამო უნდა ვიღუპებოდეთ ჩვენ და ჩვენი თვალით, ვხედავდეთ ჩვენი ოჯახების გაპარტახებას, შიმშილს, დაღუპვას.

ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა კლასი გიგანტურ, გაუგონარ, სკანდალურად დიდ მოგებას იხვეჭს იჯარებით, სამხედრო მიწოდებებით, კონცესიებით ანექსირებულ ქვეყნებში, პროდუქტების გაძვირებით. კაპიტალისტთა კლასმა ყველა

ხალხს მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაადო ხარკი ომის საჭიროებათათვის აღებულ მილიარდობით სესხის მაღალი პროცენტების სახით. ჩვენ კი, მუშები და გლეხები, უნდა ვიღუპებოდეთ, ვჩანაგდებოდეთ, ვშიმშილობდეთ, მოთმინებით ვიტანდეთ ყოველივე ამას და ვამაგრებდეთ ჩვენს მჩაგვრელ კაპიტალისტებს იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნის მუშები ყლეტენ ერთმანეთს, სიძულვილით იმსჭვალებიან ერთმანეთისადმი.

ნუთუ კვლავ მორჩილად ვატარებთ ჩვენს უღელს, მოვითმენთ ომს კაპიტალისტთა კლასებს შორის? ნუთუ ჩვენ თვითონ გავაჭიანურებთ ამ ომს იმით, რომ დავდგებით ჩვენი ნაციონალური მთავრობების, ჩვენი ნაციონალური ბურჟუაზიის, ჩვენი ნაციონალური კაპიტალისტების მხარეზე და მით დავარღვევთ ყველა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მუშების საერთაშორისო ერთიანობას?

არა, ძმებო-ჯარისკაცებო, დროა გავახილოთ თვალი, დროა ჩვენ თვითონ ავიღოთ ხელთ ჩვენი ბედი. ყველა ქვეყანაში იზრდება, ფართოვდება და ძლიერდება ხალხის აღშფოთება კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ, რომელმაც ხალხი ჩაითრია ამ ომში. არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისშიც, რომელიც ომამდე განსაკუთრებით თავისუფალ ქვეყნად ითვლებოდა, მუშათა კლასის მრავალი ასეული ნამდვილი მეგობარი და წარმომადგენელი იტანჯება საპყრობილეებში ომისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ პატიოსანი და მართალი სიტყვის თქმისათვის. რუსეთის რევოლუცია — ეს პირველი რევოლუციის მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მას უნდა მოჰყვეს და კიდეც მოჰყვება სხვა რევოლუციები.

რუსეთის ახალი მთავრობა, — რომელმაც დაამხო ნიკოლოზ II, ისეთივე გვირგვინოსანი ყაჩაღი, როგორიცაა ვილჰელმ II, — არის კაპიტალისტების მთავრობა. ეს მთავრობა ისეთსავე ყაჩაღურ, იმპერიალისტურ ომს აწარმოებს, როგორც გერმანიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტები. მან დაადასტურა ყაჩაღური, საიდუმლო ხელშეკრულებები, დადებული ნიკოლოზ II მიერ ინგლისის, საფრანგეთისა

და სხვა კაპიტალისტებთან, იგი არ აქვეყნებს ამ ხელშეკრულებებს ყველასთვის გასაცნობად, ისე როგორც გერმანიის მთავრობაც არ აქვეყნებს თავის საიდუმლო, ასევე უაჩაღურ, ხელშეკრულებებს ავსტრიასთან, ბულგარეთთან და სხვ.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ 20 აპრილს გამოაქვეყნა ნოტა, რომლითაც იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს ძველ, მეფის მიერ დადებულ, მძარცველურ ხელშეკრულებებს და აცხადებს — მზადა ვარ ომი განვაგრძო სრულ გამარჯვებამდეო, რითაც იწვევს იმათ აღშფოთებასაც კი, ვინც მას დღემდე ენდობოდა და მხარს უჭერდა.

მაგრამ რუსეთის რევოლუციამ, გარდა კაპიტალისტების მთავრობისა, შექმნა თვითნებური რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ მუშებისა და გლეხების უდიდეს უმრავლესობას, სახელდობრ: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები პეტროგრადსა და რუსეთის უმეტეს ქალაქებში. დღემდე რუსეთის ჯარისკაცთა უმრავლესობა და მუშების ნაწილი — ისე როგორც გერმანიის მრავალი მუშა და ჯარისკაცი — შეუგნებელი მიმნდობლობით უყურებს კაპიტალისტების მთავრობას, მათ ლიტონ და ცრუ სიტყვებს უანექსიო ზავზე, თავდაცვითს ომზე და სხვა.

მაგრამ მუშები და უღარიბესი გლეხები, კაპიტალისტებისგან განსხვავებით, არ არიან დაინტერესებული არც ანექსიებით, არც კაპიტალისტთა მოგების დაცვით. ამიტომ ყოველი დღე, კაპიტალისტების მთავრობის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში, გამოააშკარავებს კაპიტალისტების ტყუილს, გამოააშკარავებს, რომ სანამ კაპიტალისტების ბატონობა გრძელდება, მანამ არ შეიძლება მივაღწიოთ ნამდვილ დემოკრატიულ, არა ძალდატანებითს ზავს, რომელიც დამყარებული იქნება ყოველგვარი ანექსიების ნამდვილად უარყოფაზე, ე. ი. გამოუკლებლივ ყველა კოლონიის, გამოუკლებლივ ყველა დაჩაგრული, ძალით შემოერთებული ან არასრულუფლებიანი ეროვნების განთავისუფლებაზე, — მანამ ომი, ალბათ, სულ უფრო და უფრო გამწვავდება და გაჭიანურდება.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ძალაუფლება ორივე ამჟამად მტრულ სახელმწიფოში, მაგალითად, რუსეთშიც და გერმანიაშიც, მთლიანად გადავა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების რევოლუციური საბჭოების ხელში, რომელთაც უნარი შესწევთ არა სიტყვით, არამედ საქმით დაწყვიტოს კაპიტალის ურთიერთობათა და ინტერესთა მთელი ქსელი, — მხოლოდ ამ შემთხვევაში ორივე მეომარი ქვეყნის მუშები განიმსჭვალებიან ურთიერთისადმი ნდობით და შეძლებენ ჩქარა მოუღონ ბოლო ომს ნამდვილად დემოკრატიული, ყველა ერისა და ეროვნების ნამდვილი განმათავისუფლებელი ზავის საფუძველზე.

ძმებო-ჯარისკაცებო!

გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა დავაჩქაროთ ეს, რათა მივაღწიოთ ამ მიზანს. ნუ შევუშინდებით მსხვერპლს — ყოველგვარი მსხვერპლი მუშათა რევოლუციის საკეთილდღეოდ უფრო ნაკლებ მძიმე იქნება, ვიდრე ომის მსხვერპლია. ყოველგვარი ძლევამოსილი ნაბიჯი რევოლუციისა სიკვდილისგან, გაჩანაგებისგან და შიმშილისგან დაიხსნის ასიათასობით და მილიონობით ადამიანს.

მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს! მშვიდობა ყველა ქვეყნის მუშებს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის რევოლუციური მუშების ძმურ ერთიანობას! გაუმარჯოს სოციალიზმს!

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი
რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი
«პრავდის» რედაქცია

«პრავდა» № 37, 1917 წ.
4 მაისი (21 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

დროებითი მთავრობის ნოტა

ყველაფერი ცხადი გახდა. სრული საფუძველი გვაქვს მადლობა გადავუხადოთ ბატონ გუჩკოვსა და მილიუკოვს მათი ნოტისათვის, რომელიც დღეს ყველა გაზეთშია დაბეჭდილი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობა, ნაროდნიკები, მენშევიკები, ყველა ისინი, ვინც დღემდე დროებითი მთავრობისაღმი ნდობისაკენ მოგვიწოდებდა, საკმაოდ დასჯილია. მათ იმედი ჰქონდათ, ელოდებოდნენ და სწამდათ, რომ დროებითი მთავრობა ჩხეიძესთან, სკობელევთან და სტეკლოვთან კეთილისმყოფელი «კონტაქტის» გავლენით სამუდამოდ უარს იტყოდა ანექსიებზე. მაგრამ საქმე ცოტა სხვანაირად დატრიალდა...

18 აპრილის ნოტაში დროებითი მთავრობა აცხადებს, «მთელი ხალხი (!) მიისწრაფვის მსოფლიო ომი გ ა დ ა მ წ უ ვ ე ტ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ დ ე მიიყვანოსო».

«თავისთავად ცხადია, — დასძენს ნოტა, — დროებითი მთავრობა... სავსებით დაიცავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ჩვენი მოკავშირეების მიმართ ვიკისრეთო».

მოკლედ და ნათლად არის ნათქვამი. ომი გადამწყვეტ გამარჯვებამდე. ინგლისისა და საფრანგეთის ბანკირებთან კავშირი წმიდათაწმიდაა...

ვ ი ნ შეკრა ეს კავშირი «ჩვენს» მოკავშირეებთან, ე. ი. ინგლის-საფრანგეთის მილიარდერებთან? რა თქმა უნდა,

მეფემ, რასპუტინმა, მეფის ხროვამ. მაგრამ მილიუკოვისა და კომპანიისთვის ეს ხელშეკრულება წმიდათაწმიდაა.

რატომ?

ზოგიერთები გვიპასუხებენ: იმიტომ, რომ მილიუკოვი გულწრფელი კაცი არ არის, რომ იგი ცბიერიაო და სხვ.

საქმე ამაში სულაც არ არის. საქმე ისაა, რომ გუჩკოვი, მილიუკოვი, ტერეშჩენკო, კონოვალოვი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე-ბ ი ს წარმომადგენლები არიან. კაპიტალისტებს კი სხვისი მიწა-წყლის დაპყრობა ესაჭიროებათ. ისინი შეიძენენ ახალ ბაზრებს, კაპიტალის გატანის ახალ ადგილებს, ახალ შესაძ-ლებლობას ათიათასობით მოაწყონ თავიანთი შვილები მომგებიან თანამდებობებზე და სხვა. საქმე ისაა, რომ რუსე-თის კაპიტალისტების ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ახლა ისეთივეა, როგორიც ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტების ინტერესები. ამიტომ და სწორედ ამიტომაა ასე ძვირფასი რუ-სეთის კაპიტალისტთა დროებითი მთავრობისთვის ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან მეფის მიერ დადებული ხელ-შეკრულებები.

დროებითი მთავრობის ახალი ნოტა ცეცხლზე ნავთს გადაასხამს. მას შეუძლია მხოლოდ უფრო გააღვივოს ომის სულისკვეთება გერმანიაში. იგი ხელს უწყობს ყაჩაღ ვილ-ჰელმს განაგრძოს «თავისი» მუშებისა და ჯარისკაცების მოტყუება და ჩაითრიოს ისინი ომში «ბოლომდე».

დროებითი მთავრობის ახალმა ნოტამ გადაჭრით დააყენა კითხვა: რაღა იქნება შემდეგ?

ჩვენი რევოლუციის პირველი დღიდანვე ინგლისისა და საფ-რანგეთის კაპიტალისტები ირწმუნებოდნენ, რუსეთის რევო-ლუცია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ომი «ბო-ლომდე» განვაგრძოთო. კაპიტალისტებს უნდათ გაძარცვონ თურქეთი, სპარსეთი, ჩინეთი. მერე რა უშავს, თუ ამისთვის საჭირო იქნება კიდევ ათიოდე მილიონი ვიღაც რუსი გლეხის გაჟლეტა? ოღონდ მიღწეულ იქნეს «გადამწყვეტი გამარჯვე-ბა»... და აი ახლა დროებითი მთავრობა სრული გულახდილო-ბით დაადგა იმავე გზას.

— იომეთ — იმიტომ, რომ ჩვენ ძარცვა-გლეჯა გვსურს.

— დაიხოცენით ყოველდღე ათიათასობით — იმიტომ, რომ «ჩვენ» ჯერ კიდევ ვერ დავამთავრეთ ბრძოლა, იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია ჩვენი წილი ნადავლი!..

არც ერთი შეგნებული მუშა, არც ერთი შეგნებული ჯარისკაცი ამიერიდან მხარს არ დაუჭერს დროებითი მთავრობისადმი «ნდობის» პოლიტიკას. ნდობის პოლიტიკა გაკოტრდა.

ჩვენმა საერთო საქალაქო სოციალ-დემოკრატიულმა კონფერენციამ თავის რეზოლუციაში თქვა, რომ ახლა ყოველი დღე ჩ ვ ე ნ ი პოზიციის სისწორეს დაადასტურებსო *. მაგრამ ამბები თუ ასე სწრაფად დატრიალდებოდა, ჩვენც კი არ მოველოდით.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ახლანდელი საბჭოს წინაშე დგას არჩევანი: ან გადაყლაპოს გუჩკოვისა და მილიუკოვის მიერ მიყენებული უსიამოვნება, რაც სამუდამოდ ააღებინებს მას ხელს დამოუკიდებელ პოლიტიკურ როლზე — ხვალ მილიუკოვი «ფეხებს მაგიდაზე» შეაწყობს და საბჭოს სრულ არარაობად აქცევს; ან წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მილიუკოვის ნოტას, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელი აიღოს ნდობის ძველ პოლიტიკაზე და დაადგეს «პრავდის» მიერ ნაჩვენებ გზას.

შეიძლება, რა თქმა უნდა, დამპალი საშუალო გზის გამონახვაც. მაგრამ — განა დიდი ხნით?..

მუშებო და ჯარისკაცებო. თქვით ახლა ყველას გასაგონად: ჩვენ მოვითხოვთ, რომ გვქონდეს ერთიანი ხელისუფლება — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. დროებითმა მთავრობამ, ერთი მუჭა კაპიტალისტების მთავრობამ, ადგილი უნდა დაუცალოს ხსენებულ საბჭოებს.

დაწერილია 1917 წ. 20 აპრილს (3 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 4 მაისს (21 აპრილს) გაზეთ «პრავდაში» № 37

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 168 — 170. რ ე დ.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი

(როგორ მსჯელობენ გურჟუაზიის მხარეზე გადასული სოციალისტები)

ბ-ნი პლეხანოვი ჩინებულად განმარტავს ამას. თავის «საპირველმაისო» წერილში «სოციალისტური სტუდენტობის არტელისადმი», რომელიც დღეს დაიბეჭდა «რეჩში», «დელო ნაროდასა» და «ედინსტვოში», იგი წერს:

...«მას (1889 წლის საერთაშორისო სოციალისტურ ყრილობას) ესმოდა, რომ სოციალური, უფრო სწორად: სოციალისტური რევოლუცია გულისხმობს ხანგრძლივ საგანმანათლებლო და ორგანიზაციულ მუშაობას მუშათა კლასის წიაღში. ამას ახლა ჩვენში ივიწყებენ ისინი, ვინც რუსეთის მშრომელ მასებს მოუწოდებს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ, რასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, რომ ნამდვილად არსებობდეს ის ობიექტური პირობები, რაც აუცილებელია სოციალური რევოლუციისათვის. ეს პირობები კი ჯერჯერობით არ არის»...

და სხვა ასეთები თვით მოწოდებამდე «ერთსულოვნად მხარი დავუჭიროთ» დროებით მთავრობასო.

ბ-ნი პლეხანოვის ასეთი მსჯელობა ტიპიური მსჯელობაა ერთი მუჭა «ყოფილი ადამიანებისა», რომლებიც თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ. და სწორედ იმიტომ, რომ ეს მსჯელობა ტიპიურია, ღირს მასზე დაწვრილებით შევჩერდეთ.

ჯერ-ერთი, განა გონიერი და კეთილსინდისიერია დავიმოწმოთ II ინტერნაციონალის პირველი ყრილობა და არა უკანასკნელი?

მეორე ინტერნაციონალის (1889 — 1914) პირველი ყრილობა მოხდა 1889 წელს, უკანასკნელი კი ბაზელში —

1912 წელს. ბაზელის მანიფესტში, რომელიც ერთხმად მიიღო ყველამ, ზუსტად, გარკვევით, პირდაპირ და ნათლად (ისე რომ ბბ. პლეხანოვებსაც კი არ შეუძლიათ მისი დამახინჯება) არის ლაპარაკი პროლეტარულ რევოლუციაზე და ამასთან სახელდობრ სწორედ იმ ომთან დაკავშირებით, რომელიც 1914 წელს დაიწყო.

ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომ სჭირდებათ ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ სოციალისტებს «დაივიწყონ» ბაზელის მთელი მანიფესტი ანდა მისი ეს, უაღრესად მნიშვნელოვანი, ადგილი.

მეორეც, «რუსეთის მშრომელი მასების მიერ» პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, — წერს ჩვენი ავტორი, — «მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, რომ ნამდვილად არსებობდეს ის პირობები, რაც აუცილებელია სოციალური რევოლუციისათვის».

ეს დომხალია აზრების ნაცვლად.

ვთქვათ თუ ნდაც, რომ «სოციალური» შეცდომით სწერია «სოციალისტურის» ნაცვლად. დომხალი მარტო ამაში როდია. რა კლასებისაგან შედგება რუსეთის მშრომელი მასა? ყველამ იცის, რომ მუშებისა და გლეხებისაგან. რომელი მათგანი შეადგენს უმრავლესობას? გლეხები. ვინ არიან ეს გლეხები თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით? წვრილი მეპატრონენი. იბადება კითხვა: თუ მოსახლეობის უმრავლესობას წვრილი მეპატრონენი შეადგენენ და თუ სოციალიზმისათვის ობიექტური პირობები არ არსებობს, როგორ შეუძლია მოსახლეობის უმრავლესობას სოციალიზმს უჭერდეს მხარს?! ვის შეუძლია თქვას და ვინ ლაპარაკობს სოციალიზმის შემოღების შესახებ უმრავლესობის ნების წინააღმდეგ?

ბ-ნი პლეხანოვი ერთბაშად და მეტად სასაცილოდ დაიბნა.

სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნა — უმცირესი სასჯელია იმისთვის, ვისაც კაპიტალისტების პრესის მსგავსად «მტერი» ელანდება იმის მაგიერ, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური მოწინააღმდეგის სიტყვები სისწორით დაიმოწმოს.

გავყვეთ ქვევით. ვის უნდა ეპყრას ხელთ «პოლიტიკური ძალაუფლება» თუ ნდაც «რეჩელი» ვულგარული ბურჟუაზიული დემოკრატის თვალსაზრისით? მოსახლეობის უმრავლესობას. შეადგენს თუ არა «რუსეთის მშრომელთა მასა», რომლის შესახებაც ასე უხეიროდ ჩამოაგდო ლაპარაკი გზააბნეულმა სოციალ-შოვინისტმა, რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას? უეჭველად შეადგენს, ამასთან დიდ უმრავლესობასაც!

მაშ როგორ შეიძლება, თუ არ ღალატობ დემოკრატიას, — მილიუკოვისებურად გაგებულ დემოკრატიასაც კი, — წინააღმდეგი იყო «რუსეთის მშრომელი მასების მიერ» «პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა»?

რაც უფრო ღრმად შესტოპავ, მით უფრო ჩაეფლობიო, ნათქვამია. ანალიზის ყოველი ნაბიჯი ცხადყოფს ბ-ნ პლეხანოვის ახალ-ახალ უამრავ გზააბნეულობას.

სოციალ-შოვინისტი წინააღმდეგია პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლისა რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის ხელში!

ბ-ნ პლეხანოვს გაუგონია ზარის რეკვა და ის კი არ იცის, რომელი სამრეკლოდანაა. მან ერთმანეთში აურია აგრეთვე, — თუმცა მარქსი ჯერ კიდევ 1875 წელს განსაკუთრებით აფრთხილებდა ყველას ასეთი არევისაგან, — «მშრომელი მასა» და პროლეტარების და ნახევრადპროლეტარების მასა[65]. განვუმარტოთ ეს განსხვავება ყოფილ მარქსისტს ბ-ნ პლეხანოვს.

შეუძლია თუ არა რუსეთის გლეხების უმრავლესობას მოითხოვოს და შემოიღოს მიწის ნაციონალიზაცია? უეჭველად შეუძლია. არის თუ არა ეს სოციალისტური რევოლუცია? არა. ეს ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რევოლუციაა, რადგან მიწის ნაციონალიზაცია ისეთი ღონისძიებაა, რომლის კაპიტალიზმთან შეთავსება შესაძლებელია. მაგრამ ამავე დროს ეს არის მახვილის ჩაცემა წარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალების კერძო საკუთრებისათვის. ასეთი მახვილის ჩაცემა აძლიერებს პროლეტარებსა და ნახევრად-

პროლეტარებს განუზომლად უფრო მეტად, ვიდრე ეს XVII, XVIII და XIX საუკუნეების რევოლუციებში ხდებოდა.

შემდეგ. შეუძლია თუ არა რუსეთის გლეხების უმრავლესობას მოითხოვოს ყველა ბანკის ერთ ბანკად შეერთება? რომ ყოველ პატარა სოფელშიც კი იყოს ერთი საერთო ნაციონალური სახელმწიფო ბანკის განყოფილება?

შეუძლია, რადგან ხალხისთვის ასეთი ღონისძიება უეჭველად სასარგებლო და მოხერხებული იქნება. თ ვ ი თ «ობორონცებიც» კი შეიძლებოდა მომხრენი ყოფილიყვნენ ამისა, რადგან ეს ღონისძიება ბევრად გაადიდებს რუსეთის «თავდაცვის» უნარს.

შეიძლება თუ არა ეკონომიურად დაუყოვნებლივ განხორციელდეს ყველა ბანკის ერთ ბანკად ასეთი შეერთება? უეჭველად, სავსებით შეიძლება.

არის თუ არა ეს სოციალისტური ღონისძიება? არა, ეს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა რ ი ს სოციალიზმი.

შემდეგ. შეუძლია თუ არა რუსეთის გლეხების უმრავლესობას მოითხოვოს, რომ შაქრის ქარხნების მეპატრონეთა სინდიკატი გადავიდეს სახელმწიფოს ხელში, დაექვემდებაროს მუშებისა და გლეხების კონტროლს და რომ შაქრის ფასმა დაიკლოს?

სავსებით შეუძლია, რადგან ეს ხალხის უმრავლესობისათვის ხელსაყრელია.

შესაძლებელია თუ არა ეს ეკონომიურად? სავსებით შესაძლებელია, რადგან შაქრის ქარხნების მეპატრონეთა სინდიკატი არათუ ნამდვილად შეერთდა უკვე მეორნეობრივად საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის ერთ საწარმოო ორგანიზმად, არამედ უ კ ვ ე ე ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ო დ ა «სახელმწიფოს» (ე. ი. იმ მოხელეების, რომლებიც კაპიტალისტებს ერთგულად ემსახურებიან) კონტროლს ჯერ კიდევ ცარიზმის დროს.

იქნება თუ არა სინდიკატის დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ, გლეხურ, სახელმწიფოს ხელში გადასვლა სოციალისტური ღონისძიება?

არა, ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი. ბ-ნ პლეხანოვს ადვილად შეეძლო დარწმუნებულიყო ამაში, თუ მოიგონებდა მარქსიზმის საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს.

იბადება კითხვა: ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ყველა ბანკის ერთ ბანკად შეერთება და შაქრის ქარხნების მეპატრონეთა სინდიკატის დემოკრატიულ, გლეხურ, სახელმწიფოს ხელში გადასვლა, გააძლიერებს თუ შეასუსტებს პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების მნიშვნელობას, როლს, გავლენას მთელი მოსახლეობის საერთო მასაში?

უთუოდ გააძლიერებს, რადგან ეს არ არის «წვრილმეპატრონული» ღონისძიებები, რადგან მისი შესაძლებლობა შექმნა სწორედ იმ «ობიექტურმა პირობებმა», რომლებიც 1889 წელს ჯერ კიდევ არ არსებობდა, ახლა კი უკვე არსებობს.

ასეთი ღონისძიებები აუცილებლად გააძლიერებს მნიშვნელობას, როლს, მთელ მოსახლეობაზე გავლენას, განსაკუთრებით ქალაქის მუშებისას, როგორც ქალაქისა და სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ავანგარდისას.

ასეთი ღონისძიებების შემდეგ სავსებით შესაძლებელი გახდება რუსეთში შემდგომი ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმისაკენ, ხოლო თუ ჩვენს მუშებს დაეხმარებიან უფრო შეგნებული და მომზადებული, მაგრამ დასავლეთევროპელ პლეხანოვებთან გათიშული დასავლეთ ევროპის მუშები, რუსეთის გადასვლა სოციალიზმზე მართლაც აუცილებელი იქნება, და ასეთი გადასვლის წარმატებაც უზრუნველყოფილია.

აი როგორ უნდა მსჯელობდეს ყოველი მარქსისტი და ყოველი სოციალისტი, რომელიც «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის მხარეზე არ გადასულა.

დაწერილია 1917 წ. 20 აპრილს (3 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 4 მაისს (21 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 37

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

ხატებით ზარბაზნების წინააღმდეგ, ფრაზებით კაპიტალის წინააღმდეგ

დროებითი მთავრობის ნოტამ ომის სრულ გამარჯვებამდე განგრძობის შესახებ აღშფოთება გამოიწვია იმათშიც კი, ვისაც ფუჭი იმედები ჰქონდა, რომ კაპიტალისტების მთავრობამ შესაძლებელია უარი თქვას ანექსიებზეო. ფუჭი იმედების ამ წვრილბურჟუაზიული პოლიტიკის გამომხატველი გაზეთები დღეს ან დაბნეულად ლუღლუღებენ, როგორც «რაბოჩაია გაზეტა», ანდა ცდილობენ თავიანთი აღშფოთება ცალკეული პირებისაკენ მიმართონ.

«ნოვაია ჟიზნი»[66] წერს: «საერთაშორისო კაპიტალის ინტერესთა მოსარჩლეს დემოკრატიული რუსეთის მთავრობის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს! დარწმუნებულნი ვართ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო არ დაეყოვნებს და უაღრესად ენერგიულ ზომებს მიიღებს ბ-ნ მილიუკოვის დაუყოვნებლივ გაუვნებლებისათვის». ხოლო «დელო ნაროდა» იმავე ფრიად მეშჩანურ სიბრძნეს ასე გამოხატავს: მილიუკოვის ნოტა «ცდილობს არარად აქციოს მთელი კაბინეტის მიერ მიღებული უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტი».

ხატებით ზარბაზნების წინააღმდეგ. ფრაზებით კაპიტალის წინააღმდეგ. მთავრობის «აქტი» ანექსიებზე ხელის აღების შესახებ სრულიად უმნიშვნელო დიპლომატიური ხრიკი იყო, რასაც შეეძლო უმეცარი გლეხი მოეტყუებინა, ხოლო

სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების წვრილბურჟუაზიულ პარტიათა ბელადების, «ნოვაია ჟიზნისა» და «დელო ნაროდას» მწერლების «შეშფოთება» მას შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოისურვებდნენ მოტყუებული ყოფილიყვნენ. რა ლიტონი ფრაზებია, თითქოს «საერთაშორისო კაპიტალის ინტერესთა მოსარჩლეს დემოკრატიული რუსეთის მთავრობის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს!». როგორ არ რცხვენიათ ამ განათლებულ ადამიანებს, ასეთ სისულელეს რომ წერენ?

მთელი დროებითი მთავრობა — კაპიტალისტთა კლასის მთავრობაა. საქმე კლასია და არა პიროვნებები. პირადად მილიუკოვზე თავდასხმა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მისი გადაყენების მოთხოვნა — უბრალო კომედიაა, რადგან პიროვნებათა ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი შეცვლა ვერაფერს შეცვლის, ვიდრე არ შეცვლილა ის კ ლ ა ს ე ბ ი, რომლებიც ხელისუფლების სათავეში დგანან.

რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა «დემოკრატიის» დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა კაპიტალის მოსარჩლეობისათვის — ეს ნიშნავს ვიღაც გაპონის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცოდნათა დონემდე ჩამოქვეითდე.

უმეცარ გლეხებს ეპატიებათ მოსთხოვონ კაპიტალისტს «დაპირებანი», რომ მან «ღვთისნიერად» და არა კაპიტალისტურად იცხოვროს, რომ იგი «კაპიტალის ინტერესთა მოსარჩლე» არ იყოს. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბელადების მხრივ, «ნოვაია ჟიზნის» და «დელო ნაროდას» მწერლების მხრივ ამნაირი პოლიტიკის წარმოება კი ნიშნავს ხელი შეუწყო თავისუფლების საქმისთვის, რევოლუციის საქმისთვის იმ ყველაზე მავნე, ყველაზე დამღუპველ ფუჭ იმედებს, რასაც ხალხი კაპიტალისტებზე ამყარებს.

«პრავდა» № 37, 1917 წ.
4 მაისი (21 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მოქალაქე ვ. ჩერნოვის ლოგიკა

მოქალაქე ვ. ჩერნოვი 16 აპრილის «დელო ნაროდაში» წერს:

«იგი (ლენინი) არც კი ჩაფიქრებია იმას, რომ, მისი თვალსაზრისითაც კი, მისი წამოსვლის ნებართვა ინგლისს რომ მოეცა, აჯობებდა უკვე თუნდაც იმით, რომ იგი გამოწვეული იქნებოდა რუსეთის რევოლუციის გავლენით, ხოლო გერმანიის ნებართვა თავისი მოტივებით შეიძლება უფრო საეჭვო იყოს».

დასკვნა: ლენინი რაღაც მანიაკის მსგავსია.

კარგი. მაგრამ რას უშვრებით 30 კაცს, რომლებიც ს ხ ვ ა-დ ა ს ხ ვ ა პარტიას ეკუთვნიან და ჩამოვიდნენ, მათ შორის ბუნდელებსაც? ყველანი მანიაკები არიან? ყველანი «არ ჩაფიქრებიან»?

შემდეგ. რას უშვრებით მარტოვის, ნ ა ტ ა ნ ს ო ნ ი ს (ს.-რ.-ების პარტიის ბელადის — დაიხსომეთ ეს), აქსელროდისა და სხვათა დეპეშას, რომელიც ამბობს: «აღვნიშნავთ, რომ რუსეთში დაბრუნება ინგლისზე გამოვლით ა ბ ს ო ლ უ-ტ უ რ ა დ შეუძლებელია»? (იხ. «რაბოჩაია გაზეტა» 15 აპრილის თარიღით).

ნიშნავს თუ არა ეს, რომ მარტოვიც და ნატანსონიც — მანიაკები არიან, რომ ისინიც «არ ჩაფიქრებიან»?

მაგრამ ისინი, ეს მოწმეები, ა რ ა ჩვენი პარტიის წევრები, — მაგრამ ის, ნატანსონი, ეს მოწმე ვ. ჩ ე რ ნ ო ვ ი ს პ ა რ ტ ი ი დ ა ნ, — ხომ ადასტურებენ, როგორც ფ ა ქ ტ ს,

რომ სხვანაირად წამოსვლა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ შეუძლებელი იყო!

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ორში ერთი: ან ვ. ჩერნოვი უცნაური ადამიანია, რომელიც ცდილობს ფრაზებით თავი დააღწიოს ფ ა ქ ტ ე ბ ს, ანდა იგი იმდენად შეუშინებია მეშჩანურ-შოვინისტურ ჭორსა და ცილისწამებას, რომ თავგზა აბნევია.

«პრავდა» № 37, 1917 წ.
4 მაისი (21 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბ-ნ პლეხანოვის უხეირო ცდები თავის დაძვრენისა

ბ-ნი პლეხანოვი «ედინსტვოს» მე-15 ნომერში ამ ლანძღვა-გინების მოყვარული გამოცემისთვისაც კი უჩვეულო უხვი გინებით თავს ესხმის «პრავდას» და ცდილობს მიჩქმალოს ორი სავსებით უდავოდ დადგენილი ფაქტი.

ვერ შეძლებთ მათ მიჩქმალვას, ბატონებო!

პირველი ფაქტი. ბ-ნ პლეხანოვს ა რ გ ა დ ა უ ბ ე ჭ-დ ა ვ ს არც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუ-ტატების საბჭოს «იზვესტიის» 32-ე ნომერში 1917 წლის 5 აპრილს დაბეჭდილი ჩვენი მოხსენება და ა რ ც აღმასრუ-ლებელი კომიტეტის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა.

ეს არის ჯარისკაცთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს მიერ არ-ჩეულთა მიმართ არა მარტო ანარქისტული უპატივცემულობა, არამედ დამრბევის უსინდისო ხრიკიც.

მეორე ფაქტი. ბ-ნ პლეხანოვის დევნამ გამოიწვია ა რ ა ჩვენი პროტესტი, არამედ «დელო ნაროდასი», სადაც გუჩკო-ვისა და მილიუკოვის კოლეგა კერენსკიც კი მონაწილეობს. 1917 წ. 13 აპრილის «დელო ნაროდა» ბ-ნ პლეხანოვის «ედინ-სტვოს» შესახებ თეთრზე შავით წერდა:

...«ასეთ სიტყვებს, ბრძოლის ასეთ მეთოდს ჩვენ ჩვეულებრივ ვხე-დავთ «რუსსკაია ვოლიას» ფურცლებზე. და მათი დანახვა სოციალისტების სტატიებში, სინდისის ქვეშ რომ ითქვას, სამძიმოა და გულსატკენი».

აი ჩვენება მოწმეებისა — ობორონცებისა, რომლებიც პოლიტიკურად ათასჯერ უფრო ახლო დგანან ბ-ნ პლეხანოვთან, ვიდრე ჩვენთან.

მერე რომელ მკითხველებზე ამყარებს იმედს ბ-ნი პლეხანოვი, როდესაც უნდა აიცილოს მოწმის ჩვენება სიტყვებით «დელო ნაროდას» «უხეირო შენიშვნის» შესახებ?

მოწმემ ამხილა ბ-ნ პლეხანოვის რბევითი ფანდები.

იყო დრო, როდესაც ბ-ნი პლეხანოვი სოციალისტი იყო, ახლა იგი «რუსსკაია ვოლიას» დონემდე ჩამოქვეითდა.

ვერავითარი ლანძღვა-გინება ვერ გააბათილებს იმ ფაქტს, რომ «დელო ნაროდამაც» კი ამხილა ბ-ნი პლეხანოვი.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის» (№ 43, 17 აპრილის თარიღით) მოწინავე სარედაქციო სტატიაში, რომელიც ჩვენ გადმოვბეჭდეთ 18 აპრილის ნომერში, ჩვენს დევნას «უსინდისოსა და საზიზღარს» უწოდებენ.

ეს მოწმე პირდაპირ ამბობს, რომ ბნელი ძალებისა და მათი გაზეთების მხრივ უსინდისო და საზიზღარი დევნა იყო და არისო. «რუსსკაია ვოლიამდე» ჩამოქვეითებული ბ-ნი პლეხანოვი ამით საკმაოდ მსჯავრდადებულია.

«პრავდა» № 37, 1917 წ.
4 მაისი (21 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, მიღებული 1917 წლის 21 აპრილს (4 მაისს)

განიხილა რა საქმის ვითარება, შექმნილი პეტროგრადში დროებითი მთავრობის 1917 წ. 18 აპრილის იმპერიალისტური, მტაცებლურ-მძარცველური ნოტის გამოქვეყნებისა და 20 აპრილს პეტროგრადის ქუჩებში ხალხის მთელი რიგი მიტინგებისა და მანიფესტაციების გამართვის შემდეგ, რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1) პარტიულმა აგიტატორებმა და ორატორებმა უნდა გააბათილონ კაპიტალისტებისა და მათი მომხრე გაზეთების საზიზღარი სიცრუე იმის შესახებ, თითქოს ჩვენ სამოქალაქო ომით ვიმუქრებოდეთ. ეს საზიზღარი სიცრუეა, რადგან მხოლოდ დღევანდელ მომენტში, როდესაც კაპიტალისტებსა და მათს მთავრობას არ ძალუძთ და ვერც ბედავენ ძალადობა გამოიყენონ მასების მიმართ, ვიდრე ჯარისკაცთა და მუშათა მასა თავისუფლად გამოხატავს თავის ნებას, თავისუფლად ირჩევს და გადააყენებს ხოლმე ყველა ხელისუფალთ, — ასეთ მომენტში გულუბრყვილობა, უაზრობა, ველურობა იქნება ყოველგვარი აზრი სამოქალაქო ომის შესახებ, — ასეთ მომენტში აუცილებელია მოსახლეობის უმრავლესობის ნებისადმი დამორჩილება და უკმაყოფილო უმცირესობის მიერ ამ ნების თავისუფალი კრიტიკა; თუ საქმე ძალადობამდე მივიდა, პასუხისმგებლობა დროებითს მთავრობასა და მის მომხრეებს დაეკისრებათ.

2) კაპიტალისტების მთავრობა და მისი გაზეთები სამოქალაქო ომის წინააღმდეგ ყვირილით მხოლოდ ჩქმალავენ იმას, რომ კაპიტალისტებს, რომლებიც ხალხის აშკარად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, არ სურთ დაემორჩილონ უმრავლესობის ნებას.

3) პეტროგრადის მოსახლეობის უმრავლესობის ნების გასაგებად, პეტროგრადისა, სადაც ახლა განსაკუთრებით ბევრია ისეთი ჯარისკაცები, რომლებიც იცნობენ გლეხობის სულისკვეთებას და სწორადაც გამოხატავენ მას, აუცილებელია ახლავე მოეწყოს სახალხო კენჭისყრა პეტროგრადის ყველა რაიონსა და მის მიდამოებში მთავრობის ნოტისადმი დამოკიდებულების, ამა თუ იმ პარტიისთვის მხარისდაჭერის, ამა თუ იმ დროებითი მთავრობის სასურველობის საკითხზე.

4) ყველა პარტიული აგიტატორი ქარხნებსა, პოლკებსა, ქუჩებში და სხვაგან უნდა გამოდიოდეს ამ შეხედულებათა და ამ წინადადების პროპაგანდით მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი დისკუსიისა და მშვიდობიანი დემონსტრაციების, აგრეთვე მიტინგების ყველგან მოწყობის გზით; უნდა ვეცადოთ ქარხნებსა და პოლკებში მოვაწყოთ გეგმაშეწონილი კენჭისყრა ისე, რომ სასტიკად დავიცვათ სრული წესრიგი და ამხანაგური დისციპლინა.

5) პარტიის აგიტატორებმა კიდევ და კიდევ პროტესტი უნდა განაცხადონ იმ საზიზღარი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ავრცელებენ, თითქოს ჩვენი პარტია გერმანიასთან სეპარატიული ზავის მომხრე იყოს; ვილჰელმ II ისეთივე გვირგვინოსანი ყაჩაღად და სიკვდილით დასჯის ღირსად მიგვაჩნია, როგორც ნიკოლოზ II, ხოლო გერმანელი გუჩკოვები, ე. ი. გერმანელი კაპიტალისტები, ისეთივე მტაცებლებად, მძარცველებად, იმპერიალისტებად, როგორიც რუსეთის, ინგლისისა და ყველა სხვა კაპიტალისტია; ჩვენ კაპიტალისტებთან მოლაპარაკების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვართ, ჩვენ მომხრე ვართ მოლაპარაკებისა და დაძმობილებისა ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ მ უ შ ე ბ თ ა ნ და ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ თ ა ნ; ჩვენ დარწმუნებული ვართ, გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა სწორედ იმიტომ ცდილობს გაამ-

წვავოს მდგომარეობა, რომ მან იცის: მუშათა რევოლუცია გერმანიაში იწყება და ეს რევოლუცია იქნება დარტყმა ყველა ქვეყნის კაპიტალისტების მიმართ.

6) რომ დროებითი მთავრობა, როდესაც იგი ავრცელებს ხმებს სრული და გარდუვალი რღვევის შესახებ, არათუ აშინებს ხალხს, რომ მან ძალაუფლება ამ დროებითი მთავრობის ხელში დატოვოს, არამედ ბუნდოვანად, გაურკვევლად, არეულ-დარეულად გამოხატავს იმ ღრმა და უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ მთელი მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა ხალხი მომწყვდეულია ჩიხში, კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის ატეხილი ომით უფსკრულის პირას არის მიყვანილი და მართლაც გამოსავალი არსადაა, გარდა იმისა, რომ ძალაუფლება გადავიდეს რევოლუციური კლასის, ე. ი. რევოლუციური პროლეტარიატის ხელში, რომელსაც რევოლუციური ზომების მიღების უნარი შესწევს.

თუ ჩვენს ქვეყანაში პურისა და სხვ. მარაგი მოიპოვება, მის მოხმარებას მუშათა და ჯარისკაცთა ახალი მთავრობაც შეძლებს. ხოლო თუ კაპიტალისტურმა ომმა რღვევა იქამდე მიიყვანა, რომ პური აღარ არის, — კაპიტალისტების მთავრობა კი არ გააუმჯობესებს, არამედ მხოლოდ გააუარესებს ხალხის მასების მდგომარეობას.

7) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბელადების ახლანდელი უმრავლესობის პოლიტიკა, ნაროდნიკებისა და მენშევიკების პარტიების პოლიტიკა, ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რადგან დროებითი მთავრობისადმი ნდობა, მასთან მორიგების ცდა, ვაჭრობა სხვადასხვა შესწორებისა და სხვ. გამო ნამდვილად უქმი ქაღალდების გამრავლების, საქმის ამაო გაჭიანურების მომასწავებელი იქნებოდა; გარდა ამისა ეს პოლიტიკა ქმნის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ნებასა და ფრონტისა და პიტერის რევოლუციურ ჯარისკაცთა უმრავლესობისა და მუშათა უმრავლესობის ნებას შორის გათიშვის საშიშროებას.

8) ჩვენ მოვუწოდებთ იმ მუშებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც აღიარებენ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატე-

ბის საბჭომ უნდა შეცვალოს თავისი პოლიტიკა და ხელი აიღოს კაპიტალისტების მთავრობისადმი ნდობისა და მასთან შემთანხმებლობის პოლიტიკაზე, — ხელახლა აირჩიონ თავიანთი დელეგატები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში და მხოლოდ ისეთი პირები გაგზავნონ იქ, რომლებიც მტკიცედ გაატარებენ სავსებით გარკვეულ აზრს, შეთანხმებულს უმრავლესობის ნამდვილ ნებასთან.

«პრავდა» № 38, 1917 წ.
5 მაისი (22 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კეთილსინდისიერმა ობორონცობამ თავი იჩინა

პეტროგრადის ამბებმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში, განსაკუთრებით გუშინ, ცხადყვეს, თუ რამდენად მართალი ვიყავით, როცა ბელადებისა და პარტიების ობორონცობისგან განსხვავებით მ ა ს ე ბ ი ს «კეთილსინდისიერ» ობორონცობაზე ვლაპარაკობდით.

მოსახლეობის მასა შედგება პროლეტარების, ნახევრად-პროლეტარებისა და უღარიბესი გლეხებისაგან. ეს არის ხალხის უდიდესი უმრავლესობა. ე ს კლასები ანექსიებით მართლაც არ არიან დაინტერესებული; იმპერიალისტური პოლიტიკით, საბანკო კაპიტალის მოგებით, სპარსეთის რკინიგზების შემოსავლით, გალიციისა თუ სომხეთის შემოსავლიანი ადგილებით, ფინეთის თავისუფლების შეზღუდვით, — ყოველივე ამით ისინი (ეს კლასები) ა რ ა რ ი ა ნ დაინტერესებული.

ხოლო ყოველივე ეს, ერთად აღებული, შეადგენს სწორედ იმას, რასაც მეცნიერება და გაზეთები იმპერიალისტურ, მტაცებლურ-მძარცველურ პოლიტიკას უწოდებენ.

საქმის არსი ის არის, რომ გუჩკოვები, მილიუკოვები და ლვოვები. — თუნდაც ისინი პირადად სათნოების, უანგაროშის და კაცთმოყვარეობის ანგელოზებიც იყვნენ, — კაპიტალისტთა კ ლ ა ს ი ს წარმომადგენლები, ბელადები, არჩეული კაცები არიან, ეს კლასი კი დაინტერესებულია მტაცებლურ-მძარცველური პოლიტიკით. ამ კლასმა მილიარდები დააბანდა «ომში» და ასეული მილიონობით იხვეჭს «ომით» და ანექსიე-

ბით (ე. ი. სხვა ეროვნებათა ძალით დამორჩილებით თუ ძალით შ ე მ ო ე რ თ ე ბ ი თ).

იმის იმედი, რომ კაპიტალისტთა კ ლ ა ს ი «გამოსწორდება», აღარ იქნება კაპიტალისტური კლასი, უარს იტყვის თავის მოგებაზე — ამაო იმედია, ცარიელი ოცნებაა, რაც საქმით ხალხის მოტყუებად იქცევა. მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, რომლებიც მერყეობენ კაპიტალისტურ და პროლეტარულ პოლიტიკას შუა, შეუძლიათ იქონიონ ან გააღვივონ ასეთი ფუჭი იმედები. სწორედ ეს არის ნაროდნიკული პარტიებისა და მენშევიკების ახლანდელი ბელადების, ჩხეიძის, წერეთლის, ჩერნოვის და სხვების შეცდომა.

ობორონცობის მასობრივი წარმომადგენლები პოლიტიკას სრულიად არ იცნობენ: ისინი ვერ ისწავლიდნენ პოლიტიკას ვერც წიგნებით, ვერც სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობით, ვერც იმ პირებზე ახლო დაკვირვებით, რომლებიც პოლიტიკას აწარმოებენ.

ობორონცობის მასობრივმა წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ ომებს მ თ ა ვ რ ობ ე ბ ი აწარმოებენ, რომ მთავრობები გამოხატავენ ამა თუ იმ კ ლ ა ს ი ს ინტერესებს, რომ დღევანდელ ომს მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ აწარმოებენ კაპიტალისტები კაპიტალისტების ყაჩაღური ინტერესებისა და მიზნების გამო.

არ იციან რა ეს, ობორონცობის მასობრივი წარმომადგენლები მარტივად მსჯელობენ: ჩვენ არ გვინდა ანექსიები, ჩვენ მოვითხოვთ დემოკრატიულ ზავს, ჩვენ არ გვინდა ვიომოთ კონსტანტინოპოლის გულისთვის, სპარსეთის ჩახრჩობის, თურქეთის გაძარცვის გულისთვის და სხვ., ჩვენ «მოვითხოვთ», რომ დროებითმა მთავრობამ ხელი აიღოს ანექსიებზეო.

ობორონცობის მასობრივ წარმომადგენლებს გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ სურთ ეს, არა პირადი, არამედ კლასობრივი აზრით, რადგან ისინი წარმოადგენენ იმ კლასებს, რომლებიც ა რ ა რ ი ა ნ დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ უ ლ ი ანექსიებით. მაგრამ ამ მასობრივმა წარმომადგენლებმა არ იციან, რომ კაპიტალისტებს და კაპიტალისტების მთავრობას შეუძლია სიტყვით

უარი თქვას ანექსიებზე, შეუძლია დაპირებებითა და ლამაზი ფრაზებით «დაიძვრინოს თავი», ს ა ქ მ ი თ კ ი ა რ შეუძლია ხელი აიღოს ანექსიებზე.

აი რატომ აღშფოთდნენ ასე ძლიერ და ასე კანონიერად ობორონცობის მასობრივი წარმომადგენლები დროებითი მთავრობის 18 აპრილის ნოტით.

პოლიტიკის მცოდნე ადამიანებს ვერ გააკვირვებდა ასეთი ნოტა, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ კაპიტალისტების მხრივ ყოველგვარი «უარის თქმა ანექსიებზე» ფუჭი სიტყვაა მხოლოდ, — დიპლომატების ჩვეულებრივი ფანდი და ფრაზაა და სხვა არაფერი.

მაგრამ ობორონცობის მასობრივი, «კეთილსინდისიერი» წარმომადგენლები განცვიფრებულნი, აღშფოთებულნი და გულისწყრომით აღსავსენი იყვნენ. მათ ი გ რ ძ ნ ე ს — სავსებით ნათლად ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს ეს, მაგრამ იგრძნეს, რომ მოტყუებულნი დარჩნენ.

აი რაშია ა რ ს ი კრიზისისა, რომელიც სასტიკად უნდა გავარჩიოთ ცალკეულ პირთა და პარტიათა აზრისა, მოლოდინისა და ვარაუდისაგან.

მცირე ხნით ამ კრიზისის «დაგმანვა» ახალი დეკლარაციით, ახალი ნოტით, ახალი უქმი ქაღალდით (სწორედ ეს არის ბ-ნ პლეხანოვის რჩევა «ედინსტვოში»; ეს არის, ერთი მხრივ, მილიუკოვისა და კომპანიის, ხოლო მეორე მხრივ, ჩხეიძის, წერეთლისა და სხვების მისწრაფება) — გაჩენილი ბზარის «დაგმანვა» «უქმი ქაღალდით», რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ აქედან ზიანის მეტი არაფერი გამოვა. ვინაიდან ახალი უქმი ქაღალდით მასები აუცილებლად მოტყუებული დარჩებიან; აუცილებელი გახდება ახალი აღშფოთების ტალღა, და თუ ეს აღშფოთება შეუგნებელი იქნება, იგი შეიძლება დიდად საზიანო აღმოჩნდეს.

მასებს სრული სიმართლე უნდა ვუთხრათ. კაპიტალისტების მთავრობას ა რ შეუძლია ხელი აიღოს ანექსიებზე; იგი დაიბნა, მას გამოსავალი აღარა აქვს. იგი გრძნობს, ხედავს, მას შეგნებული აქვს, რომ რევოლუციური ზომების (რის უნარიც

მხოლოდ რევოლუციურ კლასს შესწევს) მიუღებლად ხ ს ნ ა ა რ ა რ ი ს, ამიტომ ის აქეთ-იქით ეხეთქება, ცოფებსა ყრის, გვპირდება ერთს, ხოლო აკეთებს მეორეს, ხან ძალადობით ემუქრება მასებს (გუჩკოვი და შინგარიოვი), ხან წინადადებას იძლევა — გადაიბარონ ხელისუფლება.

რღვევა, კრიზისი, ომის საშინელებანი, გამოუვალი მდგომარეობა — აი სანამდე მიიყვანეს კაპიტალისტებმა ყ ვ ე ლ ა ხალხი.

გამოსავალი, მართლაც, არ არის — გ ა რ დ ა ძალაუფლების გადასვლისა რევოლუციური კლასის, რევოლუციური პროლეტარიატის ხელში; მხოლოდ მას შეუძლია, მოსახლეობის უმრავლესობის მხრივ მხარისდაჭერის პირობებში, ხელი შეუწყოს რევოლუციის წარმატებას ყ ვ ე ლ ა მეომარ ქვეყანაში და გაუძღვეს კაცობრიობას მტკიცე ზავისაკენ, კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისაკენ.

«პრავდა» № 38, 1917 წ.
5 მაისი (22 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

უგუნური კაპიტალისტები თუ სოციალ-დემოკრატიის ბრიყვები?

«რაბოჩაია გაზეტა» დღეს წერს:

«ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებდით ლენინის მიმდევრების მიერ სამოქალაქო ომის გაღვივების წინააღმდეგ. მაგრამ ახლა სამოქალაქო ომის დაწყების სიგნალს იძლევიან უკვე არა ლენინის მიმდევრები, არამედ დროებითი მთავრობა ისეთი აქტის გამოქვეყნებით, რომელიც დემოკრატიის მისწრაფებათა დაცინვას წარმოადგენს. ეს ჭეშმარიტად უგუნური ნაბიჯია, და მისი საშინელი შედეგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დაუყოვნებლივი გაბედული მოქმედება».

აბა რა შეიძლება იყოს ამ ზღაპარზე უფრო უაზრო და სასაცილო, თითქოს ჩვენ «ვაღვივებდით» სამოქალაქო ომს, როცა ფრიად ზუსტად, ფორმალურად, მიუკიბ-მოუკიბავად მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრად გამოვაცხადეთ პროლეტარული ხაზის მოთმინებით ახსნა-განმარტება, წინააღმდეგ კაპიტალისტებისადმი ნდობის წვრილბურჟუაზიული, ობორონცული თავბრუდახვევისა?

ნუთუ «რაბოჩაია გაზეტას» მართლა არ ესმის, რომ გოდება სამოქალაქო ომზე ახლა ატეხეს კაპიტალისტებმა, რომლებსაც სურთ ჩაშალონ ხალხის უმრავლესობის ნება?

მოიპოვება თუ არა მარქსიზმის თუნდაც ნატამალი იმაში, რომ «უგუნურობად» გამოაცხადო კაპიტალისტების საქციელი, როცა ისინი მოქცეული არიან რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალის რკინის მუხრუჭებში და არ შეუძლიათ სხვანაირად მოიქცნენ?

ბ-ნი პლეხანოვი დღეს «ედინსტვოში» უფრო პირდაპირ გამოხატავს მთელი წვრილბურჟუაზიულ-ობორონცული ბლოკის პოლიტიკას, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოუწოდებს «შ ე უ თ ა ნ ხ მ დ ე ს» დროებით მთავრობას. სასაცილო მოწოდებაა, რომელიც მოგვაგონებს მდოგვს ვახშმის შემდეგ!

შეთანხმება ხომ უკვე დიდი ხანია დაიდო! ის ხომ რევოლუციის დაწყების დღიდანვე არსებობს! ამ, დღევანდელი კრიზისის მთელი საკითხი სწორედ ის არის, რომ ეს შეთანხმება ფარატინა ქაღალდი ან ფუჭი დაპირება გამოდგა! ამ შეთანხმების კ რ ა ხ ი თ ხალხის წინაშე აშკარად, პირდაპირ დასმულ «წყეულ კითხვებზე» პასუხის გაცემა საერთოდ «შეთანხმებისაკენ» მოწოდებით, როცა ლაპარაკი არ არის არც მის პირობებზე, არც რ ე ა ლ უ რ გარანტიებზე, ანდა პასუხის გაცემა ოხვრა-ვიშით და წყევლა-კრულვით — «ოჰ, თქვე უგუნურებოო!» — განა ეს წვრილბურჟუაზიული ლუი ბლანების ტრაგიკომედია არ არის? (ლუი ბლანი სიტყვით მუშების ბელადი იყო, საქმით კი ბურჟუაზიის მაჩანჩალა).

«საჭიროა დაუყოვნებლივი გაბედული მოქმედებაო», — დიდმნიშვნელოვნად აცხადებს «რაბოჩაია გაზეტა». როგორი «მოქმედება», ძვირფასო თანამოქალაქენო? თქვენ თვითონ არ შეგიძლიათ თქვათ, თქვენ თვითონ არ იცით, თქვენი საქმე მხოლოდ დ ე კ ლ ა მ ა ც ი ა ა, რადგან თქვენ, სწორედ ისე, როგორც ლუი ბლანმა, საქმით დაივიწყეთ კლასობრივი ბრძოლა, საქმით კლასობრივი ბრძოლა შეცვალეთ წვრილბურჟუაზიული ფრაზეოლოგიით და დეკლამაციით.

დაწერილია 1917 წ. 21 აპრილს (4 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 5 მაისს (22 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 38

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

შინგარიოვის რჩევა ანუ ბრძანება და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ერთი ადგილობრივი საბჭოს რჩევა

პეტროგრადის «გაზეტა-კოპეიკას»[67] 14 აპრილის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

კერძომფლობელური მიწების რეკვიზიცია

კიშინიოვი, 13 აპრილი. ეისაიდან მაზრაში არის დაუთესავი მიწის უზარმაზარი ფართობი, რომელიც დიდი საიჯარო ფასის გამო იჯარით არ არის გაცემული, აკერმანის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ წინადადება მისცა სოფლისა და ვოლოსტის ყველა კომიტეტს: თუ შეუძლებელი გახდება ნებაყოფლობითი შეთანხმება, კომისრის შემწეობით ყველა თავისუფალი კერძომფლობელური მიწის რეკვიზიცია მოახდინონ დასათესად.

თუ ეს ცნობა სწორია, იგი ფრიად მნიშვნელოვანია. აკერმანის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ცხადია, პრაქტიკული მოსაზრებებით ხელმძღვანელობს; უეჭველია, იგი ახლო და უშუალოდ იცნობს ადგილობრივ პირობებს. იგი მართებულად ფიქრობს, რომ ნათესები უნდა გავადიდოთ რადაც უნდა დაჯდეს და რაც შეიძლება მეტადაც. ხოლო როგორ უნდა მოვახერხოთ ეს, როდესაც მემამულეებმა საიჯარო ფასი ასე საშინლად გაადიდეს?

ნებაყოფლობით შევუთანხმდეთ მემამულეებს?

მინისტრი შინგარიოვი გადაჭრით ურჩევს ამას პეტროგრადიდან და ემუქრება გლეხებს, მოთქვამს თვითნებობის წინააღმდეგ. შინგარიოვისთვის ადვილია პიტერიდან მსჯელობა. ადვილია მისთვის კაპიტალისტების მთავრობის სახელით მემამულეები «დაიცვას»!

მაგრამ რა ყოფაში არიან გლეხები ადგილობრივ? განა უფრო სწორად არ უწევს ანგარიშს მდგომარეობას აკერმანის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, როცა «ნებაყოფლობითი შეთანხმების შეუძლებლობაზე» ლაპარაკობს?

«პრავდა» № 38, 1917 წ.
5 მაისი (22 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, მიღებული 1917 წ. 22 აპრილს (5 მაისს) დილით

პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც 19 — 21 აპრილს ჰქონდა ადგილი, უნდა ჩაითვალოს — ყოველ შემთხვევაში მისი პირველი სტადია მაინც — დამთავრებულად.

წვრილბურჟუაზიული მასა კაპიტალისტებისაგან ჯერ მუშებისაკენ გადაქანდა, აღშფოთებული კაპიტალისტების საქციელით; ერთი დღის შემდეგ კი იგი კვლავ გაჰყვა მენშევიკების და ნაროდნიკების ბელადებს, რომლებიც კაპიტალისტებისადმი «ნდობასა» და მათთან «შემთანხმებლობას» ახორციელებდნენ.

ხსენებული ბელადები კომპრომისზე წავიდნენ და ყველა თავიანთი პოზიცია დათმეს, დასჯერდნენ რა კაპიტალისტების უშინაარსო, წმინდა სიტყვიერ განმარტებებს.

კრიზისის მიზეზები მოსპობილი არ არის და მსგავსი კრიზისების განმეორება აუცილებელია.

კრიზისის არსია: წვრილბურჟუაზიული მასა მერყეობს კაპიტალისტებისადმი ძველ, საუკუნეობრივ ნდობასა და მათ წინააღმდეგ გაბოროტებას, რევოლუციური პროლეტარიატისადმი მინდობის მისწრაფებას შორის.

კაპიტალისტები აჭიანურებენ ომს და ამას ფრაზებით ფარავენ. მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს მივყავართ და შეუძლია წაგვიყვანოს ომის დამთავრებისაკენ მსოფლიო მუშათა რევოლუციის გზით, რევოლუციისა, რომელიც ჩვენში

აშკარად იზრდება, იზრდება გერმანიაშიც და ახლოვდება მთელ რიგ სხვა ქვეყნებში.

ლოზუნგი: «ძირს დროებითი მთავრობა» ამჟამად იმიტომ არ არის სწორი, რომ თუ რევოლუციური პროლეტარიატის მხარეზე ხალხის მტკიცე (ე. ი. შეგნებული და დარაზმული) უმრავლესობა არ იქნა, ასეთი ლოზუნგი ან ფრაზაა, ანდა ობიექტურად ავანტიურისტული ხასიათის ცდაა.

ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ხელში ძალაუფლების გადასვლის მომხრე, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ჩვენს პოლიტიკას მიემხრობიან და მოისურვებენ ამ ძალაუფლების თავიანთ ხელში აღებას.

კრიზისის დღეებში ჩვენი პარტიის ორგანიზაცია, პროლეტარული ძალების შემჭიდროება აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა.

მომენტის ლოზუნგებია: 1) ომის დამთავრებისათვის პროლეტარული ხაზისა და პროლეტარული გზის განმარტება; 2) კაპიტალისტების მთავრობისადმი ნდობის და მასთან შემთანხმებლობის წვრილბურჟუაზიული პოლიტიკის კრიტიკა; 3) პროპაგანდა და აგიტაცია ჯგუფიდან ჯგუფში თვითეულ პოლკში, თვითეულ ქარხანაში, განსაკუთრებით ყველაზე ჩამორჩენილ მასაში, შინამოსამსახურეებში, შავ მუშებში და სხვ., რადგან კრიზისის დღეებში ბურჟუაზია განსაკუთრებით მათზე დაყრდნობას ცდილობდა; 4) ორგანიზაცია, ორგანიზაცია და კიდევ ორგანიზაცია პროლეტარიატისა: თვითეულ ქარხანაში, თვითეულ რაიონში, თვითეულ უბანში.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 21 აპრილის დადგენილება ორი დღის განმავლობაში ქუჩებში ყოველგვარი მიტინგებისა და მანიფესტაციების აკრძალვის შესახებ აუცილებლად უნდა შეასრულოს ჩვენი პარტიის ყველა წევრმა. ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ გუშინ დილიდანვე გაავრცელა და დღეს «პრავდაში» დაბეჭდა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ «ასეთ მომენტში

უაზრობა და ველურობაა ყოველგვარი აზრი სამოქალაქო ომის შესახებ», რომ დემონსტრაციები მხოლოდ მშვიდობიანი უნდა იყოს და რომ ძალადობის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა დროებითს მთავრობასა და მის მომხრეებს დაეკისრებათო *. ამიტომ ჩვენს პარტიას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მთელი ზემოხსენებული დადგენილება (განსაკუთრებით შეიარაღებული დემონსტრაციებისა და ჰაერში სროლის წინააღმდეგ) სავსებით სწორად მიაჩნია და იგი უ ე ჭ ვ ე ლ ა დ უ ნ დ ა შ ე ს რ უ ლ დ ე ს.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშასა და ჯარისკაცს გულდასმით განიხილონ უკანასკნელი ორი დღის კრიზისის შედეგები და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტში დელეგატებად გაგზავნონ მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომელნიც უმრავლესობის ნებას გამოხატავენ. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დელეგატი არ გამოხატავს უმრავლესობის აზრს, ფაბრიკებსა და ყაზარმებში საჭიროა ხელახალი არჩევნების ჩატარება.

«პრავდა» № 39, 1917 წ.
6 მაისი (23 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 227. რ ე დ.

კრიზისის გაკვეთილები

პეტროგრადმა და მთელმა რუსეთმა სერიოზული პოლიტიკური კრიზისი განიცადეს, პირველი პოლიტიკური კრიზისი რევოლუციის შემდეგ.

18 აპრილს დროებითმა მთავრობამ მიიღო თავისი სავალალოდ ცნობილი ნოტა, რომელიც საკმაო სიცხადით ადასტურებს ომის მტაცებლურ-მძარცველურ მიზნებს, რათა აღშფოთება გამოეწვია ფართო მასებისა, რომლებმაც კეთილსინდისიერად დაუჯერეს «ანექსიებზე ხელის აღების» კაპიტალისტების სურვილს (და უნარს). 20 და 21 აპრილს პიტერი ბობოქრობდა. ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი; ყველგან იკრიბებოდნენ გუნდები და ჯგუფები, დღე და ღამ იმართებოდა დიდი თუ პატარა მიტინგები; მასობრივი მანიფესტაციები და დემონსტრაციები განუწყვეტლივ გრძელდებოდა. გუშინ, 21 აპრილს, საღამოს, კრიზისი, როგორც ჩანს, დასრულდა ან, ყოველ შემთხვევაში, დასრულდა მისი პირველი საფეხური: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და შემდეგ საბჭომაც დამაკმაყოფილებლად ცნეს ნოტის «განმარტებანი», შესწორებანი, მთავრობის «განმარტებანი» (რაც მხოლოდ საერთოდ ფუჭი, სრულიად არაფრისმთქმელი ფრაზებია, რომლებიც არაფერს არ ცვლიან და არავის არაფერს ავალებენ) და «ინციდენტიც ამოწურულად» ჩათვალეს.

ცნობენ თუ არა ფართო მასები «ინციდენტს ამოწურულად», ამას მომავალი დაგვანახვებს. ახლა ჩვენს ამოცანას

შეადგენს დაკვირვებით შევისწავლოთ ის ძ ა ლ ე ბ ი, კლასები, რომელთაც თავი იჩინეს კრიზისში, და აქედან გაკვეთილი გამოვიტანოთ პროლეტარიატის პარტიისათვის. ვინაიდან ყოველგვარი კრიზისის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ ის ამქღავნებს დაფარულს, თავიდან იშორებს პირობითს, ზერელეს, წვრილმანს, უკუაგდებს პოლიტიკურ ნაგავს და ააშკარავებს ნამდვილად მიმდინარე კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ჭეშმარიტ მამოძრავებელ ძალებს.

18 აპრილს კაპიტალისტურმა მთავრობამ, არსებითად, მხოლოდ გაიმეორა თავისი წინანდელი ნოტები, რომლებიც იმპერიალისტურ ომს დიპლომატიური განმარტებებით მოსავდნენ. ჯარისკაცთა მასები აღშფოთდნენ, რადგან მათ კეთილსინდისიერად სწამდათ კაპიტალისტების გულწრფელობა და მშვიდობისმოყვარეობა. დემონსტრაციები დაიწყო, როგორც ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დემონსტრაციები, წინააღმდეგური, შეუგნებელი, ყოვლად უილაჯო ლოზუნგით: «ძირს მილიუკოვი» (თითქოს პიროვნებათა ან პატარა ჯგუფების შეცვლას შეეძლოს პოლიტიკის ა რ ს ი ს შეცვლა!).

ეს იმას ნიშნავს, რომ ფართო, არამტკიცე, მერყევი მასა, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას გლეხობასთან და მეცნიერულ-კლასობრივი დახასიათებით წვრილბურჟუაზიულია, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ რევოლუციური მ უ შ ე ბ ი ს ა კ ე ნ გადაქანდა. მასის სწორედ ამ ქანაობამ ანუ მოძრაობამ, მასისა, რომელსაც თავისი ძლიერებით ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა შეუძლია, შექმნა კრიზისი.

მაშინ იმწამსვე ამოძრავება, ქუჩაში გამოსვლა და დარაზმვა იწყეს ა რ ა საშუალო, არამედ უკიდურესმა ელემენტებმა, ა რ ა შუალედმა წვრილბურჟუაზიულმა მასამ, არამედ ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა.

ბურჟუაზიამ ხელთ იგდო ნევის — ერთი გაზეთის თქმით «მილიუკოვის» — პროსპექტი და მდიდარი პიტერის, კაპიტალისტებისა და მოხელეების პიტერის მეზობლად მდებარე ნაწილები. მანიფესტაციებს მართავენ ოფიცრები, სტუდენ-

ტები, «საშუალო კლასები» დროებითი მთავრობის **სასარგებლოდ**, ლოზუნგთაგან დროშებზე ხშირად ვხვდებით წარწერას: «ძირს ლენინი».

პროლეტარიატი დაიძრა **თავისი** ცენტრებიდან — მუშათა გარეუბნებიდან, დარაზმული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებისა და ლოზუნგების გარშემო. 20 და 21 აპრილს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუციები, რომლებიც იმწუთშივე ორგანიზაციის აპარატის საშუალებით პროლეტარიატის მასებს გადაეცა. მუშათა მანიფესტაციები მოედო არამდიდრულ, ქალაქის ნაკლებად ცენტრალურ რაიონებს, შემდეგ ნაწილ-ნაწილ ნევის პროსპექტზეც გამოდიან. ბურჟუაზიის დემონსტრაციებისაგან მკვეთრად განირჩევა პროლეტარების უფრო მასობრივი, უფრო მწყობრი დემონსტრაციები. დროშებზე სწერია: «მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს».

ნევის პროსპექტზე საქმე შეტაკებამდე მიდის. ხევენ «მოწინააღმდეგეთა» დემონსტრაციების დროშებს. რამდენიმე ადგილიდან აღმასრულებელ კომიტეტს ტელეფონით ატყობინებენ, რომ ორივე მხრიდან იყო სროლა, რომ იყვნენ მოკლულები და დაჭრილებიო; ეს ცნობები მეტისმეტად ურთიერთსაწინააღმდეგო და შეუმოწმებელია.

ბურჟუაზია თავის შიშს, რომ ნამდვილმა მასებმა, ხალხის ნამდვილმა უმრავლესობამ როგორმე არ ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება, გამოხატავს «სამოქალაქო ომის აჩრდილზე» ყვირილით. საბჭოს წვრილბურჟუაზიული ბელადები, მენშევიკები და ნაროდნიკები, — რომელთაც არც რევოლუციის შემდეგ საერთოდ, არც კრიზისის დღეებში განსაკუთრებით, არავითარი პარტიულად შემუშავებული ხაზი არ გააჩნდათ, — შეშინდნენ. აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც წინადღეს დროებითი მთავრობის მოწინააღმდეგეთა ხმების რაოდენობა თითქმის ნახევარს უდრიდა, ახლა 34 ხმა შეიკრიბა (19-ის წინააღმდეგ) კაპიტალისტებისადმი ნდობისა და მათთან შემთანხმებლობის პოლიტიკისაკენ დაბრუნების **სასარგებლოდ**.

«ინციდენტი» აღიარებულია «ამოწურულად».

რაში მდგომარეობს კლასობრივი ბრძოლის ა რ ს ი? კაპიტალისტები ომის გაჭიანურებისა და ამის ფრაზებითა და დაპირებებით დაფარვის მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან; ისინი რუსეთის, ინგლის-საფრანგეთისა და ა მ ე რ ი კ ი ს საბანკო კაპიტალის ქსელში გაებნენ. პროლეტარიატი, თავისი შეგნებული ავანგარდის სახით, მ ო მ ხ რ ე ა ძალაუფლების გადასვლისა რევოლუციური კლასის ხელში, მუშათა კლასის და ნახევრადპროლეტარების ხელში, მ ო მ ხ რ ე ა მსოფლიო მუშათა რევოლუციის განვითარებისა, რომელიც აშკარად იზრდება გერმანიაშიც, მ ო მ ხ რ ე ა ომის დამთავრებისა ა ს ე თ ი რევოლუციით.

ფართო მასა, უმთავრესად წვრილბურჟუაზიული, რომელიც ჯერ კიდევ უჯერის მენშევიკების და ნაროდნიკების ბელადებს, სულ ერთიან დაშინებულია ბურჟუაზიის მიერ და მ ი ს ხაზს ატარებს შენიშვნებით, ქანაობს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

ომი საშინელებაა; სწორედ ფართო მასა ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობს ამას; სწორედ მის რიგებში იზრდება, ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი, შეგნება, რომ ეს ომი დანაშაულებრივია, რომ იგი წარმოებს კაპიტალისტების მეტოქეობისა და შუღლის გამო, მ ა თ ი ნადავლის გაყოფის გამო. საერთაშორისო მდგომარეობა უფრო და უფრო იხლართება. გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ა რ ა რ ი ს, გარდა მსოფლიო მუშათა რევოლუციისა, რომელიც ა ხ ლ ა რუსეთში სხვა ქვეყნებზე წინ არის, მაგრამ აშკარად იზრდება (გაფიცვები, დაძმობილება) გერმანიაშიც. მასაც მერყეობს: ძველი ბატონებისადმი, კაპიტალისტებისადმი ნდობასა და მათ მიმართ გაბოროტებას შორის; ახალი, ყველა მშრომელისათვის ბრწყინვალე მომავლისაკენ გზის მაჩვენებელი, ერთადერთი თანაშიმდევრული რევოლუციური კლასისადმი — პროლეტარიატისადმი ნდობასა და მისი მსოფლიო-ისტორიული როლის გაურკვეველ შეგნებას შორის.

ეს არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი მერყეობა წვრილბურჟუაზიული და ნახევრადპროლეტარული მასისა!

გაკვეთილი ცხადია, ამხანაგო მუშებო! დრო არ ითმენს. პირველ კრიზისს სხვა კრიზისები მოჰყვება. მთელი ძალ-ღონე შესწირეთ ჩამორჩენილთა განათლებას, მასობრივ, ამხანაგურ, უშუალო (არა მარტო მიტინგებზე) დაახლოებას თვითეულ პოლკთან, მშრომელთა ჯერ კიდევ თვალგაუხ-ელელი ფენების თვითეულ ჯგუფთან! მთელი ძალ-ღონე მოახმარეთ საკუთარ შემჭიდროებას, მუშების დარაზმვას თა-ვიდან ბოლომდე, დედაქალაქის და მისი მიდამოების ყოველ რაიონში, ყოველ ქარხანაში, ყოველ უბანში! ნუ აჰყვებით ნურც კაპიტალისტებთან წვრილბურჟუაზიულ «შემთანხმებ-ლებს», ობორონცებს, «მხარისდაჭერის» მომხრეებს, ნურც იმ ერთეულებს, რომლებიც ცდილობენ იჩქარონ და, ვიდრე ხალხის უმრავლესობა მტკიცედ შემჭიდროვდებოდეს, შესძა-ხონ: «ძირს დროებითი მთავრობა!». კრიზისის აღმოფხვრა არ შეიძლება ცალკეულ პირთა ძალადობით სხვების მიმართ, შეიარაღებულ ადამიანთა მცირე ჯგუფების აქა-იქ გამო-სვლებით, «ძალაუფლების ხელში ჩაგდების» ბლანკისტური ცდით, დროებითი მთავრობის «დაპატიმრებით» და სხვ.

დღის ლოზუნგია: განმარტეთ უფრო ზუსტად, ცხადად, ფართოდ პროლეტარიატის ხაზი, მისი გზა ომის დამთავ-რებისაკენ. უფრო მტკიცედ, უფრო ფართოდ და ყველგან დაირაზმეთ პროლეტარულ რიგებად და კოლონებად! შე-მჭიდროვდით თქვენი საბჭოების ირგვლივ, მათ შიგნით ამხა-ნაგური დარწმუნებით და ცალკეულ წევრთა ხელახალი არ-ჩევნებით ეცადეთ შემოიკრიბოთ გარშემო უმრავლესობა!

დაწერილია 1917 წ. 22 აპრილს (5 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 6 მაისს (23 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 39

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

როგორ აბნევენ ნათელ საკითხს?

«დენი» წერს დღეს ცენტრალური კომიტეტის 20 აპრილის იმ რეზოლუციის შესახებ, რომელიც ლაპარაკობს, რომ აუცილებელია ძალაუფლების რევოლუციური პროლეტარიატის ხელში გადასვლა, თუკი მას «ხალხის უმრავლესობა მხარს დაუჭერსო»:

«ძალიან კარგი, მაგრამ თუ ასეა, რაღა აყოვნებს საქმეს? ნაცვლად რეზოლუციისა — მობრძანდით და აიღეთ ძალაუფლება».

აი ბურჟუაზიული პრესის ჩვეულებრივი ფანდების ტიპიური ნიმუში! თავს იკატუნებენ, ვითომ არ ესმით სრულიად ნათელი რამ და უზრუნველყოფენ თავისთვის — ქაღალდზე — იოლ გამარჯვებას. ვინც ამბობს: «აიღეთ ძალაუფლება», მას სულ ცოტა მოფიქრების შემდეგ შეუძლია მოისაზროს, რომ ძალაუფლების აღების ცდა, ვიდრე მას ხალხის უმრავლესობა მხარს არ უჭერს, ავანტიურა ან ბლანკიზმი იქნებოდა («პრავდა» განსაკუთრებით, სპეციალურად, ზუსტად და ცხადად, არაორჭოფულად აფრთხილებდა ყველას ამის წინააღმდეგ).

რუსეთში ახლა ისეთი თავისუფლებაა, რომ უმრავლესობის ნების გაგება შეიძლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შემადგენლობით; მაშასადამე, იმისთვის, რომ პროლეტარულმა პარტიამ სერიოზულად და არა ბლანკისტურად აიღოს ძალაუფლება, მან უნდა იბრძოლოს გავლენის მოსაპოვებლად საბჭოების შიგნით.

ყოველივე ეს ნათქვამი, განმეორებული და გადაღეჭილია «პრავდაში», და მხოლოდ ჭკუამოკლეობას ან ბოროტ ნებას

შეუძლია «არ ესმოდეს» ეს. დაე მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ამ ორ ნაკლებად საპატიო კატეგორიიდან რომელს ეკუთვნის «რაბოჩაია გაზეტა», რომელიც «წინადადებას» (საბჭოსადმი) «აიღოს ძალაუფლება თავის ხელში» უწოდებს «უპასუხისმგებლო წაქეზებას», «პოლიტიკური პასუხისმგებლობის ყოველგვარ გრძნობას მოკლებულ დემაგოგიას, რომელიც გულდამშვიდებით მოუწოდებს დემოკრატიას სამოქალაქო ბრძოლისაკენ, ომისაკენ და მუშებსა და ჯარისკაცებს ამხედრებს არა მარტო მთავრობის წინააღმდეგ, არამედ თვით საბჭოს წინააღმდეგაც» და სხვ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტი არევ-დარევა და საკუთარი ჭირის სხვის თავზე მოხვევა დემაგოგიის საკითხში?

მინისტრმა თავმჯდომარემ ლვოვმა, საღამოს გაზეთის — «ბირჟევიე ვედომოსტის» [68] 21 აპრილის ნომერში მოთავსებული ანგარიშის მიხედვით, სიტყვასიტყვით შემდეგი თქვა:

«აქამდე დროებითი მთავრობა მუდმივ მხარდაჭერას პოულობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოს მხრივ. ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ეს ურთიერთობა შეიცვალა. დროებითი მთავრობა საეჭვოდ არის გამოცხადებული. ასეთ პირობებში მას არავითარი შესაძლებლობა არა აქვს მართოს სახელმწიფო, რადგან უნდობლობისა და უკმაყოფილების ატმოსფეროში ძნელია რაიმე გააკეთო. ასეთ პირობებში უმჯობესია დროებითი მთავრობა გადადგეს. იგი ძალიან კარგად გრძნობს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე და მის სასიკეთოდ მზად არის, თუ კი ეს საჭიროა, ახლავე გადადგეს».

ნუთუ ეს ცხადი არ არის? ნუთუ გასაგები არ არის, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ასეთი სიტყვების შ ე მ დ ე გ რატომ იძლეოდა წინადადებას მომხდარიყო მოსახლეობის დაკითხვა?

რა შუაშია აქ «სამოქალაქო ომი», «წაქეზება», «დემაგოგია» და სხვა საშინელი სიტყვები, თუკი მინისტრი-თავმჯდომარე აცხადებს, მზადა ვარ «გადავდგეო»??? თუ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მან ცნო «ხელმძღვანელ ორგანოდ»???

ორში ერთი: ან «რაბოჩაია გაზეტა» ფიქრობს, რომ ლვოვი ხალხს ატყუებს ასეთი ან ამგვარი განცხადებებით — მაშინ ის უნდა მოუწოდებდეს არა ნდობისა და მხარისდაჭერისაკენ, „რამედ უნდობლობისა და მხარისდაჭერაზე უარის თქმისაკენ. ანდა «რაბოჩაია გაზეტა» ფიქრობს, რომ ლვოვი მართლაც «მზად არის გადადგეს», — მაშინ რაღა შუაშია გოდება სამოქალაქო ომზე?

თუ «რაბოჩაია გაზეტას» სწორად ესმის საქმის ვითარება, თუ მას ესმის, რომ კაპიტალისტები სამოქალაქო ომზე ყვირილით ფარავენ თავიანთ სურვილს — ძალადობით ჩაფუშონ უმრავლესობის ნება, მაშინ რას ნიშნავს ამ გაზეთის ეს ღრიანცელი?

ლვოვს უფლება აქვს შესთავაზოს საბჭოს — მოიწონოს, მიიღოს მისი, ლვოვის, პოლიტიკა. ჩვენს პარტიას უფლება აქვს შესთავაზოს საბჭოს — მოიწონოს, მიიღოს ჩვენი, პროლეტარული, პოლიტიკა. «წაქეზებაზე» და სხვა ამისთანებზე ლაპარაკი ნიშნავს გამოიჩინო საქმის სრული გაუგებლობა ანდა დაქვეითდე სწორედ მდაბალ დემაგოგიამდე. ჩვენ უფლება გვაქვს ვიბრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც საბჭოსა და საბჭოებში გავლენისა და უმრავლესობის მოსაპოვებლად. და ჩვენც ვიმეორებთ:

«ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ხელში ძალაუფლების გადასვლის მომხრე, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ჩვენს პოლიტიკას მიემხრობიან და მოისურვებენ ამ ძალაუფლების თავიანთ ხელში აღებას»*.

დაწერილია 1917 წ. 22 აპრილს (5 მაისს)
დაიბეჭდა 1917 წ. 6 მაისს (23 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 39

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 239 — 241. რედ.

რა მიაჩნიათ «სამარცხვინოდ» კაპიტალისტებს და რა — პროლეტარებს

დღევანდელი «ედინსტვო» პირველ ადგილზე მსხვილი ასოებით ბეჭდავს მოწოდებას, რომელსაც ხელს აწერენ ბბ. პლეხანოვი, დეიჩი, ზასულიჩი. ამ მოწოდებაში ვკითხულობთ:

...«ყოველ ხალხს უფლება აქვს თავისუფლად განაგებდეს თავის ბედს. ვილჰელმ გერმანელი და კარლოს ავსტრიელი ამას არასდროს არ დაეთანხმებიან. როცა მათთან ომს ვაწარმოებთ, ჩვენ ვიცავთ ჩვენსა და სხვის თავისუფლებას. რუსეთი ვერ უღალატებს თავის მოკავშირეებს. ეს სამარცხვინო დაღს დაასვამდა რუსეთს»...

ასე მსჯელობს ყველა კაპიტალისტი. მათ სამარცხვინოდ მიაჩნიათ კაპიტალისტებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა, ისე როგორც მონარქებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ მონარქებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა.

ხოლო მუშები? თვლიან თუ არა ისინი სამარცხვინოდ მონარქებისა და კაპიტალისტების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობას?

რა თქმა უნდა, არა! შეგნებული მუშები მხარს უჭერენ ყველა ასეთი ხელშეკრულების დარღვევას, მხარს უჭერენ აღიარებულ იქნეს მხოლოდ ის და ისეთი შეთანხმებები ყველა ქვეყნის მუშებსა და ჯარისკა-

ცებს შორის, რომლებიც ხელსაყრელია ხალხისათვის, ე. ი. არა კაპიტალისტებისათვის, არამედ მუშებისა და უღარიბესი გლეხებისათვის.

ყველა ქვეყნის მუშებს შორის არსებობს სხვა ხელშეკრულება, სახელდობრ ბაზელის 1912 წლის მანიფესტი (რომელსაც პლეხანოვმაც მოაწერა ხელი და... უღალატა). მუშების ამ «ხელშეკრულებას» «დანაშაულობად» მიაჩნია, თუ სხვადასხვა ქვეყნის მუშები კაპიტალისტების მოგების გულისათვის ერთმანეთს თოფის სროლას დაუწყებენ.

«ედინსტვოელი» მწერლები მსჯელობენ, როგორც კაპიტალისტები (ასევე მსჯელობენ «რეჩი» და სხვები) და არა როგორც მუშები.

სრული სიმართლეა, რომ არც გერმანიის მონარქი და არც ავსტრიის მონარქი არ დათანხმდებიან ყოველი ხალხის თავისუფლებას, რადგან ორივე ეს მონარქი — გვირგვინოსანი ყაჩაღები არიან, ისევე როგორც ნიკოლოზ II. მაგრამ, ჯერერთი, არც ინგლისის, არც იტალიის და არც სხვა მონარქები (ნიკოლოზ მეორის «მოკავშირეები») არაფრით უკეთესნი არ არიან. ამის დავიწყება იმას ნიშნავს, რომ მონარქისტი ან მონარქისტების დამცველი გახდე.

მეორეც, უგვირგვინო ყაჩაღები, ე. ი. კაპიტალისტები, ამ ომში სრულიადაც არ გამოდგნენ მონარქებზე უკეთესნი. განა ამერიკის «დემოკრატია», — ე. ი. დემოკრატიული კაპიტალისტები — არ ძარცვავდნენ ფილიპინებს და არ ძარცვავენ მექსიკას?

გერმანელმა გუჩკოვებმა და მილიუკოვებმა რომ ვილჰელმ II შეცვალონ, ისინიც ყაჩაღები იქნებოდნენ და არაფრით უკეთესი არ იქნებოდნენ ინგლისელ და რუს კაპიტალისტებზე.

მესამე, «დათანხმდებიან» თუ არა რუსეთის კაპიტალისტები მათ მიერ დაჩაგრული ხალხების — სომხეთის, ხივის, უკრაინის, ფინეთის ხალხთა «თავისუფლებას»?

როცა «ედინსტვოს» მწერლები ამ საკითხს გვერდს უვლიან, ისინი საქმით «თავიანთი» კაპიტალისტების დამცველნი ხდე-

ბიან მათ მძარცველურ ომში სხვა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს ინტერნაციონალისტი მუშები მხარს უჭერენ ყველა კაპიტალისტური მთავრობის დამხობას, წინააღმდეგი არიან შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების დადებისა რომელიმე კაპიტალისტებთან, მხარს უჭერენ საყოველთაო ზავს, რომელსაც დადებენ ყველა ქვეყნის რევოლუციური მუშები და რომელიც საქმით უზრუნველყოფს «ყოველი» ხალხის თავისუფლებას.

დაწერილია 1917 წ. 22 აპრილს (5 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 6 მაისს (23 აპრილს)
გაზეთ «პრავდაში» № 39

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

ინტერვიუ, მიცემული ე. ტორნიანინისათვის 1917 წ. 23 აპრილს (6 მაისს)[60]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ამჟამად წარმოადგენს მუშათა და ჯარისკაცთა უმრავლესობას. ჩვენი მხრივ ჩვენ (ბოლშევიკები) ვიბრძვით იმისათვის, რომ გავლენა და უმრავლესობა მოვიპოვოთ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში და ყველა ადგილობრივ საბჭოში. მუშებსა და ჯარისკაცებს ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მოახდინონ საბჭოების წევრთა ხელახალი არჩევნები იმ შემთხვევაში, როცა დეპუტატები სავსებით არ გამოხატავენ უმრავლესობის ნებას.

ამჯერად საბჭოს უმრავლესობა მიჰყვება ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბელადებს.

რამდენადაც საბჭოს მხარს დაუჭერს მუშათა და ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი და მტკიცე უმრავლესობა, იმდენად ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მას შეუძლია შეინარჩუნოს ხელისუფლება, მით უმეტეს, რომ ეს ხელისუფლება გამოიწვევდა არა ომის გაჭიანურებას, არამედ მის სწრაფად დამთავრებას ხალხის მასებისათვის ფრიად ხელსაყრელი პირობების საფუძველზე. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ საბჭოს, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა არჩეულ დაწესებულებას წარმოადგენს, უეჭველად შეუძლია მიიმხროს მუშათა და ჯარისკაცთა უდიდესი უმრავლესობა.

შეუძლია თუ არა კაპიტალისტების მთავრობას უარი თქვას დამფუძნებელი კრების მოწვევაზე, — ეს დამოკიდებუ-

ლია კონტრრევოლუციის განვითარებასა და მის ძალაზე, ხოლო ასეთი კონტრრევოლუციის ელემენტები უკვე უეჭველად მოიპოვება.

ომის დამთავრება ნამდვილად დემოკრატიული ზავით დამოკიდებულია მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციის მსვლელობაზე, რევოლუციისა, რომელსაც რუსეთში ახლა უკვე ხელსაყრელი პირობები აქვს და რომელიც უეჭველია იზრდება გერმანიაშიც (მასობრივი გაფიცვები, დაძმობილება).

«Työmies» № 122, 1917 წ. 8 მაისი

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XX, ნაწ. 2

იბეჭდება
გაზეთ «Työmies»-ის
ტექსტის მიხედვით

თარგმანი ფინურიდან

უჭკუო გესლიანობა

«რაბოჩაია გაზეტა» გესლს ანთხევს და ხარობს ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი რეზოლუციის გამო, რომელმაც გამოააშკარავა (სხვათა შორის, საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენელთა უკვე დაბეჭდილ განცხადებასთან დაკავშირებით) ზოგიერთი უთანხმოება ჩვენი პარტიის შიგნით.

დაე ანთხიონ გესლი და იხარონ მენშევიკებმა. ჩვენ ეს ვერ შეგვაშფოთებს. მენშევიკებს ხომ არავითარი ორგანიზაცია არ აბადიათ. ერთია ჩხეიძე და წერეთელი — ესენი უპორტფელო მინისტრები არიან; მეორეა ორგ. კომიტეტი — ესენი საკუთარ ხაზს მოკლებული სოციალ-დემოკრატები არიან; მესამეა — «ობორონცები», ესენი პლეხანოვს მისდევენ. მეოთხეა მარტოვი — ის სესხს მხარს არ დაუჭერს. და განა გასაკვირველია, რომ ადამიანები, რომელთაც არც ორგანიზაცია აბადიათ და არც პარტია, ასე ადვილად ხარობენ და თამაშობენ, როცა სხვისი ორგანიზაციის ნაკლს ხედავენ?

ჩვენ სიმართლის არ გვეშინია. დიახ, ამხანაგო მეშვებო, კრიზისმა გამოამჟღავნა ჩვენი ორგანიზაციის ნაკლოვანებანი. მაშ ვიმუშაოთ მის გამოსასწორებლად!

კრიზისმა გამოამჟღავნა, რომ იყო მეტად სუსტი ცდა აღებული ყოფილიყო გეზი ჩვენს ცენტრალურ კომიტეტზე «ოდნავ უფრო მარცხნივ»[70]. ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ამას არ დათანხმდა, და ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენს პარტიაში უკვე მყარდება თანხმობა, ამას-

თან ნებაყოფლობითი, შეგნებული და უაღრესად სრული თანხმობა.

ჩვენი ხაზის სიმართლე დღითი დღე მტკიცდება. იმისთვის, რომ იგი ერთსულოვნად გავატაროთ, საჭიროა გვქონდეს პროლეტარული მასების სამჯერ უკეთესი ორგანიზაცია, ვიდრე დღესა გვაქვს. ყოველ რაიონში, ყოველ უბანში, ყოველ ქარხანასა და ყოველ ასეულში უნდა არსებობდეს მტკიცე, ერთსულოვანი ორგანიზაცია, რომელიც ისე უნდა მოქმედებდეს, როგორც ერთი კაცი. ყოველ ასეთ ორგანიზაციას პირდაპირი ძაფები უნდა აკავშირებდეს ცენტრთან, ცენტრალურ კომიტეტთან, და ეს ძაფები მტკიცე უნდა იყოს, რომ მტერმა პირველი დაკვრით ვერ შეძლოს მათი გაწყვეტა, ეს ძაფები მუდმივი უნდა იყოს, მათ ყოველდღიურად, ყოველ საათში უნდა ვამაგრებდეთ და ვამოწმებდეთ, რომ მტერმა მოუმზადებელს არ მოგვისწროს.

ამხანაგო მუშებო! შევუდგეთ ახლავე, ძირიდან, ყველგან, მასობრივი, მტკიცე, პროლეტარული ორგანიზაციის აგებას როგორც მუშათა მასებში, ისე ჯარშიც. ნუ შეგვაშფოთებს მტრის გესლიანობა, ნუ შევუშინდებით კერძო შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. ჩვენ მათ გამოვასწორებთ. მომავალი ჩვენია!

«პრავდა» № 40, 1917 წ.
8 მაისი (25 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია [71]

1917 წ. 24 — 29 აპრილი (7 — 12 მაისი)

1

სიტყვა კონფერენციის გახსნისას 24 აპრილს (7 მაისს)

ამხანაგებო, ჩვენი კონფერენცია, როგორც პროლეტარული პარტიის პირველი კონფერენცია, იკრიბება არა მარტო რუსეთის, არამედ მზარდი საერთაშორისო რევოლუციის პირობებშიც. დგება დრო, როცა ყველგან მართლდება მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა მტკიცება, აგრეთვე ბაზელის კონგრესზე შეკრებილი სოციალისტების ერთხმივი წინასწარმეტყველება, რომ მსოფლიო ომი გარდუვალად გამოიწვევს რევოლუციასო.

XIX საუკუნეში მარქსს და ენგელსს, უკვირდებოდნენ რა სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარულ მოძრაობას და ითვალისწინებდნენ რა სოციალური რევოლუციის შესაძლებელ პერსპექტივებს, არა ერთხელ უთქვამთ, რომ ამ ქვეყნების როლები საერთოდ განაწილებული იქნება პროპორციულად, თვითეული მათგანის ნაციონალურ-ისტორიული თავისებურების მიხედვითო. ამ თავიანთ აზრს ისინი, თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ, ასე გამოხატავდნენ: ფრანგი მუშა დაიწყებს, გერმანელი მუშა დაამთავრებსო.

რუსეთის პროლეტარიატს წილად ხვდა დიდი პატივი — დაიწყოს, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი მოძრაობა და რევოლუცია შეადგენს მხოლოდ ნაწილს მსოფლიო რევოლუციური პროლეტარული მოძრაობისას, რომელიც, მაგალი-

თად, გერმანიაში დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ჩვენ მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები.

სრულიად რუსეთის თათბირს გახსნილად ვაცხადებ და გთხოვთ აირჩიოთ პრეზიდიუმი.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ. 12 მაისს (29 აპრილს) გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 43

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

2

მოხსენება მიმდინარე მომენტზე
24 აპრილს (7 მაისს)

ამხანაგებო, მიმდინარე მომენტისა და მისი შეფასების საკითხთან დაკავშირებით მე უნდა შევეხო ფრიად ფართო თემას, რომელიც, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, სამ ნაწილად იყოფა: ჯერ-ერთი, ჩვენში, რუსეთში, საკუთრივ პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება, დამოკიდებულება მთავრობისადმი და შექმნილი ორხელისუფლებიანობისადმი; მეორე, დამოკიდებულება ომისადმი და, მესამეც, მუშათა მოძრაობის შექმნილი საერთაშორისო ვითარება, რომელმაც ეს მოძრაობა, თუ მსოფლიო მასშტაბით ვილაპარაკებთ, უშუალოდ სოციალისტური რევოლუციის წინაშე დააყენა.

მე ვფიქრობ, ზოგიერთ პუნქტზე მხოლოდ მოკლედ მომიხდება შეჩერება. მეორე მხრივ, მე უნდა წარმოგიდგინოთ პროექტი რეზოლუციისა ყველა ამ საკითხზე, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ ჩვენი ძალების უკიდურესი ნაკლებობის გამო და აგრეთვე იმ პოლიტიკური კრიზისის გამო, რომელიც აქ, პეტერბურგში, შეიქმნა, ჩვენ არ შეგვეძლო არათუ გაგვეხილა ეს რეზოლუცია, არამედ დროზე გვეცნობებინა ის ადგილებისთვის. ამრიგად, ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ წინასწარი პროექტებია, რომლებიც გააადვილებენ კომისიის მუშაობას და საშუალებას მისცემენ მას მთავარი ყურადღება ზოგიერთ უფრო არსებითს საკითხს მიაპყროს.

ვიწყებ პირველი საკითხით. თუ არ ვცდები, მოსკოვის კონფერენციამაც იგივე რეზოლუცია მიიღო, რაც პეტროგრა-

დის საერთო საქალაქო კონფერენციამ. (ხმები ადგილებიდან: «შესწორებებით».) მე ეს შესწორებები არ მინახავს და ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ რადგან პეტროგრადის რეზოლუცია დაბეჭდილი იყო «პრავდაში», ამიტომ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, შემიძლია ვიგულისხმო, რომ მას ყველა იცნობს. ეს რეზოლუცია შემომაქვს, როგორც პროექტი, დღევანდელ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე.

პეტროგრადის საბჭოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული ბლოკის პარტიების უმრავლესობას ჩვენი პოლიტიკა, თავისი პოლიტიკისაგან განსხვავებით, წარმოუდგენია, როგორც სწრაფი ნაბიჯების პოლიტიკა. ჩვენი პოლიტიკა იმით განსხვავდება, რომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა მოვითხოვთ იმის ზუსტ კლასობრივ დახასიათებას, რაც ხდება. წვრილბურჟუაზიული ბლოკის ძირითადი ცოდვა ისაა, რომ იგი ხალხს ფრაზით უმალავს სიმართლეს მთავრობის კლასობრივი ხასიათის შესახებ.

თუ მოსკოველ ამხანაგებს შესწორებანი აქვთ, შეუძლიათ ახლავე წაიკითხონ.

(კითხულობს პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციის რეზოლუციას დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ.)

«ვაღიარებთ რა:

1) რომ დროებითი მთავრობა თავისი კლასობრივი ხასიათით წარმოადგენს მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს;

2) რომ იგი და ის კლასები, რომლებსაც იგი წარმოადგენს, ეკონომიურად და პოლიტიკურად განუყრელად დაკავშირებული არიან რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან;

3) რომ მის მიერ გამოცხადებულ პროგრამასაც კი იგი მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს და მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატისა და, ნაწილობრივ, წვრილი ბურჟუაზიის ზეგავლენით;

4) რომ ბურჟუაზიული და მემამულური კონტრრევოლუციის ძალებმა, რომლებიც ირაზმებიან, ეფარებიან რა დროებითი მთავრობის დროშას, ამ მთავრობის მხრივ აშკარა თავმინებებით, უკვე დაიწყეს იერიშის მიტანა რევოლუციური დემოკრატიის წინააღმდეგ;

5) რომ დროებითი მთავრობა აჭიანურებს დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნას, ხელს უშლის ხალხის საყოველთაო შეიარაღებას, ეწინააღმდეგება მთელი მიწის გადასვლას ხალხის ხელში, თავს ახვევს მას აგრარული საკითხის გადაჭრის მემამულურ წესს, აბრკოლებს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ყურადღებას არ აქცევს ჯარში (გუჩკოვისა და კომპანიის) კონტრრევოლუციურ აგიტაციას, რაზმავს ჯარის უფროსთა შემადგენლობის ზედაფენებს ჯარისკაცების წინააღმდეგ და სხვ. ...»

მე წავიკითხე რეზოლუციის პირველი ნაწილი, რომელიც დროებითი მთავრობის კლასობრივ დახასიათებას შეიცავს. განსხვავება მოსკოველთა რეზოლუციისაგან, რამდენადაც ეს რეზოლუციის მხოლოდ ტექსტით შეგვიძლია განვსაჯოთ, არცთუ არსებითი ხასიათისაა, მაგრამ ზოგადი დახასიათება მთავრობისა, როგორც კონტრრევოლუციურისა, სწორად არ მიმაჩნია. თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, უნდა გავარკვიოთ, რომელ რევოლუციაზე ვლაპარაკობთ. ბურჟუაზიული რევოლუციის თვალსაზრისით, ამის თქმა არ შეიძლება, რადგან იგი უკვე დამთავრდა. პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის თვალსაზრისით — ამისი თქმა ნაადრევია, რადგან არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ გლეხები უთუოდ ბურჟუაზიაზე შორს წავლენ; ამიტომ, ჩემი აზრით, უსაფუძვლოა დარწმუნებული ვიყოთ გლეხობის მიმართ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც მან პირი იბრუნა იმპერიალიზმისა და ობორონცობისაკენ, ე. ი. ომის მხარისდაჭერისაკენ. ხოლო ამჟამად იგი მთელ რიგ საკითხებში შეუთანხმდა კადეტებს. ამიტომ ამხანაგ მოსკოველების რეზოლუციის ამ მუხლს პოლიტიკურად უმართებულოდ ვთვლი. ჩვენ ის გვინდა, რომ გლეხობა ბურჟუაზიაზე შორს წავიდეს, რომ მან მემამულეებს მიწა ჩამოართვას,

მაგრამ ამჟამად გარკვევით რაიმეს თქმა, თუ როგორ მოიქცევა ის მომავალში, შეუძლებელია.

ჩვენ გულმოდგინედ ვერიდებით სიტყვებს: «რევოლუციური დემოკრატია». როცა ლაპარაკია მთავრობის თავდასხმაზე, მაშინ შეიძლება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ახლა ეს ფრაზა მაქსიმალურ მოტყუებას ფარავს, იმიტომ რომ ძალიან ძნელია დაყოფა იმ კლასებისა, რომლებიც შეერთებულან ამ ქაოსში. ჩვენი ამოცანაა გავათავისუფლოთ ისინი, ვინც კუდში მისჩანჩალებს. ჩვენთვის საბჭოებს მნიშვნელობა აქვთ არა როგორც ფორმას, ჩვენთვის იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ კლასებს წარმოადგენენ ეს საბჭოები. ამიტომ აუცილებელია ხანგრძლივი მუშაობა პროლეტარული შეგნების გამოსაფხიზლებლად...

(განაგრძობს რეზოლუციის კითხვას.)

«... 6) რომ ამავე დროს ეს მთავრობა ამჟამად ეყრდნობა ნდობას და, რამდენადმე, პირდაპირ შეთანხმებას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან, რომელიც ამჟამად აერთიანებს მუშათა და ჯარისკაცთა, ე. ი. გლეხობის აშკარა უმრავლესობას;

7) რომ დროებითი მთავრობის ყოველი ნაბიჯი, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის სფეროში, თვალს აუხელს არა მარტო ქალაქისა და სოფლის პროლეტარებსა და ნახევრად-პროლეტარებს, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებსაც და დაანახვებს ამ მთავრობის ნამდვილ ხასიათს;

კონფერენცია ადგენს, რომ:

1) მთელი სახელმწიფო ხელისუფლების გადასასვლელად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ან სხვა ორგანოების ხელში, რომლებიც უშუალოდ გამოხატავენ ხალხის ნებას, აუცილებელია ხანგრძლივი მუშაობა კლასობრივი პროლეტარული შეგნების გამოსაფხიზლებლად და ქალაქისა და სოფლის პროლეტარების დასარაზმავად წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ ასეთი მუშაობა

წარმოადგენს მთელი რევოლუციური ხალხის წარმატებითი წინსვლის ნამდვილ საწინდარს;

2) რომ ასეთი მოღვაწეობისათვის საჭიროა ყოველმხრივი მუშაობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შიგნით, მათი რიცხვის გადიდება, მათი ძალის განმტკიცება, მათ შიგნით ჩვენი პარტიის პროლეტარული ინტერნაციონალისტური ჯგუფების დარაზმვა;

3) საკუთარი სოციალ-დემოკრატიული ძალების გაძლიერებული დარაზმვა იმისთვის, რომ რევოლუციური მოძრაობის ახალი ტალღა ჩავატაროთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშით».

აქ არის მთელი ჩვენი პოლიტიკის დედააზრი. ამჟამად მთელი წვრილი ბურჟუაზია მერყეობს და თავის მერყეობას ფარავს ფრაზით რევოლუციური დემოკრატიის შესახებ, და ჩვენ ამ მერყეობას უნდა დავუპირისპიროთ პროლეტარული ხაზი. ამ ხაზის ჩაშლა სურთ კონტრრევოლუციონერებს ნაადრევი გამოსვლით. ჩვენი ამოცანაა საბჭოების რიცხვის გადიდება, მათი ძალების განმტკიცება, ჩვენი პარტიის შიგნით შემჭიდროება.

მოსკოველები მესამე მუხლში უმატებენ კონტროლს. ამ კონტროლს წარმოადგენენ ჩხეიძე, სტეკლოვი, წერეთელი და წვრილბურჟუაზიული ბლოკის სხვა ხელმძღვანელნი. კონტროლი უძალაუფლებოდ ცარიელი ფრაზაა. როგორ შემიძლია კონტროლი გავუწიო ინგლისს? მას რომ კონტროლი გაუწიო, ხელში უნდა ჩაიგდო მისი ფლოტი. მე მესმის, რომ მუშათა და ჯარისკაცთა განუვითარებელ მასას შეუძლია გულუბრყვილოდ და შეუგნებლად სწამდეს კონტროლი, მაგრამ საკმარისია ჩაუფიქრდე კონტროლის ძირითად მომენტებს, რათა გაიგო, რომ ეს რწმენა გადახვევაა კლასობრივი ბრძოლის ძირითადი პრინციპებიდან. რა არის კონტროლი? მე თუ დავწერ რაიმე ქაღალდს ან რეზოლუციას, ისინი დაწერენ კონტრრეზოლუციას. კონტროლისთვის საჭიროა ხელისუფლება გეპყრას. თუ ეს არ ესმის წვრილბურჟუაზიული ბლოკის ფართო მასას, უნდა ვიქონიოთ მოთმინება და განვუმარტოთ მას ეს, მაგრამ არა-

ვითარ შემთხვევაში ტყუილი არ უნდა ვუთხრათ. ხოლო თუ ამ ძირითად პირობას კონტროლით ვჩქმალავ, მაშინ მე მართალს არ ვამბობ და ხელს ვუწყობ კაპიტალისტებს და იმპერიალისტებს. — «ინებე, შენ კონტროლი გამიწიე, მე კი ზარბაზნები მექნება. შეექეცი მაგ კონტროლსო», — ამბობენ ისინი. მათ იციან, რომ ახლა ხალხს უარს ვერ ეტყვი. კონტროლი უძალაუფლებოდ — წვრილბურჟუაზიული ფრაზაა, რაც აფერხებს რუსეთის რევოლუციის მსვლელობასა და განვითარებას. აი ამიტომ ვარ მე წინააღმდეგი მოსკოველი ამხანაგების მესამე მუხლისა.

რაც შეეხება ორი ხელისუფლების ამ თავისებურ გადახლართვას, როცა დროებითი მთავრობა, მოკლებული ძალაუფლებას, ზარბაზნებს, ჯარისკაცებს, შეიარაღებულ ადამიანთა მასას, ეყრდნობა საბჭოებს, რომელნიც, ჯერჯერობით დაპირებებით დაიმედებულნი, ამ დაპირებათა მხარისდაჭერის პოლიტიკას აწარმოებენ, თუ თქვენ გსურთ ამ თამაშში მონაწილეობა მიიღოთ, იცოდეთ, რომ კრახი მოგელით. ჩვენი ამოცანაა — არ მივიღოთ მონაწილეობა ამ თამაშში, ჩვენ განვაგრძობთ პროლეტარიატისთვის ამ პოლიტიკის მთელი უსუსურობის ახსნა-განმარტებას, და სინამდვილის ყოველი ნაბიჯი დაგვანახვებს, რამდენად მართალნი ვართ. ჩვენ ამჟამად უმცირესობა ვართ, მასები ჯერჯერობით არ გვენდობიან. ჩვენ მოვიცდით: ისინი გადმოვლენ ჩვენს მხარეზე, როცა მთავრობა მათ დაანახვებს თავის თავს. მთავრობის მერყეობა ჩამოიშორებს მათ და მაშინ ისინი მოგვაწყდებიან; და მაშინ, გავითვალისწინებთ რა ძალთა თანაფარდობას, ვიტყვით: ჩვენი დრო დადგა.

ახლა გადავდივარ ომის საკითხზე, რომელმაც პრაქტიკულად ჩვენ გაგვაერთიანა, როცა სესხის წინააღმდეგ გავილაშქრეთ; სესხისადმი დამოკიდებულებამ ერთბაშად თვალნათლივ გამოააშკარავა, თუ როგორ იყოფიან პოლიტიკური ძალები. როგორც «რეჩი» წერდა, «ედინსტვოს» გარდა ყველა მერყეობს, მთელი წვრილბურჟუაზიული მასა მხარს უჭერს სესხს პირობით. კაპიტალისტები სახეს იჭმუხნიან, რეზოლუციას

ღიმილით ჯიბეში იდებენ და ამბობენ: «თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ, მოქმედებით კი მაინც ჩვენ ვიმოქმედებთო». მთელ ქვეყნიერებაზე ყველა მათ, ვინც ამჟამად სესხს აძლევს ხმას, სოციალ-შოვინისტები ეწოდებათ.

მე პირდაპირ გადავალ ომის შესახებ რეზოლუციის წაკითხვაზე. ის სამ ნაწილად იყოფა: 1) ომის დახასიათება მისი კლასობრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, 2) მასების რევოლუციური ობორონცობა, რაც არც ერთ ქვეყანაში არ არის, და 3) როგორ დავამთავროთ ომი.

ბევრი, მათ შორის პირადად მეც, გამოვსულვართ, განსაკუთრებით ჯარისკაცთა წინაშე, და ვფიქრობ: თუ ყველაფერს კლასობრივი თვალსაზრისით გავარკვევთ, მათთვის ყველაზე უფრო გაუგებარი ჩვენს პოზიციაში ისაა, თუ სახელდობრ როგორ გვინდა დავამთავროთ ომი, როგორ მიგვაჩნია ჩვენ შესაძლებლად მისი დამთავრება. ფართო მასებში მრავალი გაუგებრობაა, სრული გაუგებლობაა ჩვენი პოზიციისა, ამიტომ აქ რაც შეიძლება უფრო პოპულარული უნდა ვიყვნეთ.

(კითხულობს რეზოლუციის პროექტს ომის შესახებ.)

«თანამედროვე ომი მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ იმპერიალისტური ომია, ე. ი. ისეთი ომი, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ მსოფლიოზე ბატონობის გულისთვის, კაპიტალისტების ნადავლის გაყოფის გულისთვის, ფინანსური, საბანკო კაპიტალისთვის ხელსაყრელი ბაზრების გულისთვის, სუსტ ეროვნებათა ჩახშობის გულისთვის.

რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლამ ნიკოლოზ II-საგან გუჩკოვის, ლვოვისა და სხვათა მთავრობის ხელში, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის ხელში, ვერ შეცვალა და მას არც შეეძლო შეეცვალა რუსეთის მხრივ ომის ასეთი კლასობრივი ხასიათი და მნიშვნელობა.

განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა ის ფაქტი, რომ ახალი მთავრობა აწარმოებს იმავე, იმგვარსავე იმპერიალისტურ, ე. ი. დაპყრობითს, ყაჩაღურ ომს შემდეგ ვითარებაში: ახალმა მთავრობამ არათუ არ გამოაქვეყნა ის საიდუმლო ხელ-

შეკრულებები, რომლებიც ყოფილმა მეფემ, ნიკოლოზ მეორემ, დადო ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა კაპიტალისტურ მთავრობებთან, არამედ ფორმალურადაც დაადასტურა ეს ხელშეკრულებები. ეს მან ჩაიდინა ხალხის ნების დაუკითხავად და მისი მოტყუების აშკარა მიზნით, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოფილი მეფის ეს საიდუმლო ხელშეკრულებები მთლად ყაჩაღური ხელშეკრულებებია და რუსეთის კაპიტალისტებს ჰპირდება ჩინეთის, სპარსეთის, თურქეთის, ავსტრიისა და სხვ. გაძარცვას.

ამიტომ პროლეტარული პარტია ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუჭერს მხარს ვერც ახლანდელ ომს, ვერც ახლანდელ მთავრობას, ვერც მის სესხებს, რა მაღალფარდოვანი სახელიც უნდა ერქვას ამ სესხებს, თუ არ უნდა სრულიად ჩამოშორდეს ინტერნაციონალიზმს, ე. ი. ყველა ქვეყნის მუშათა ძმურ სოლიდარობას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არავითარი ნდობის ღირსი არ არის აგრეთვე ახლანდელი მთავრობის დაპირება, რომ იგი ხელს აიღებს ანექსიებზე, ე. ი. უცხო ქვეყნების დაპყრობაზე, ან რუსეთის ფარგლებში რომელიმე ეროვნების ძალდატანებით დატოვებაზე. ვინაიდან, ჯერ-ერთი, კაპიტალისტები, რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის საბანკო კაპიტალის ათასგვარი ძაფებით გადახლართულნი, იცავენ რა კაპიტალის ინტერესებს, ხელს ვერ აიღებენ ანექსიებზე ამ ომში, თუ კაპიტალისტებად დარჩებიან, თუ ხელს არ აიღებენ იმ მილიარდების მოგებაზე, რაც მათ დაბანდებული აქვთ სესხებში, კონცესიებში, სამხედრო საწარმოებში და სხვა. მეორეც, ახალმა მთავრობამ, რომელმაც ანექსიებზე უარი თქვა ხალხის მოსატყუებლად, მილიუკოვის პირით განაცხადა მოსკოვში 1917 წლის 9 აპრილს, რომ მთავრობა ანექსიებზე ხელს არ იღებსო. მესამეც, როგორც ეს გამოააშკარავა «დელო ნაროდამ», გაზეთმა, რომელშიც მონაწილეობს მინისტრი კერენსკი, მილიუკოვს არც კი გაუგზავნია საზღვარგარეთ თავისი განცხადება ანექსიებზე ხელის აღების შესახებ.

ამიტომ კონფერენცია, აფრთხილებს რა ხალხს არ დაუჯეროს კაპიტალისტთა ცარიელ დაპირებებს, აცხადებს, რომ

სასტიკად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ანექსიებზე ხელის აღება სიტყვით და ანექსიებზე ხელის აღება საქმით, ე. ი. დაუყოვნებლივ გამოქვეყნება ყველა საიდუმლო, მძარცველური ხელშეკრულებისა, საგარეო პოლიტიკის ყველა აქტისა და დაუყოვნებლივ დაწყება ყველა იმ ეროვნების სრული განთავისუფლებისა, რომლებსაც კაპიტალისტთა კლასი ჩაგრავს ან ძალით აჯაჭვავს რუსეთს ანდა ამყოფებს არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში, განაგრძობს რა ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის ჩვენი ხალხის შემარცხვენელ პოლიტიკას».

რეზოლუციის ამ ნაწილის მეორე ნახევარში ლაპარაკია იმ დაპირებებზე, რომლებსაც მთავრობა იძლევა. შეიძლება მარქსისტისთვის ეს ნაწილი ზედმეტი იყოს, მაგრამ ხალხისთვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ უნდა დავუმატოთ, რატომ არ გვჯერა ეს დაპირებები, რატომ არ უნდა ვენდოთ მთავრობას. არავითარი ნდობის ღირსი არ არის ახლანდელი მთავრობის დაპირებები — ხელს ვიღებთ იმპერიალისტურ პოლიტიკაზეო. ჩვენი ხაზი აქ იმის მითითებაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ჩვენ მთავრობისგან მოვითხოვთ ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას. ეს ილუზია იქნებოდა. ამის მოთხოვნა კაპიტალისტთა მთავრობისაგან — ეს იგივეა, რომ მოვითხოვოთ სავაჭრო თაღლითობათა გამოაშკარავება. თუ ვამბობთ, უნდა უარვყოთ ანექსიები და კონტრიბუციებიო, უნდა ვუჩვენოთ კიდეც, როგორ ვქნათ ეს; და თუ შეგვეკითხებიან, ვინ იზამს ამასო, ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ეს ნაბიჯი, არსებითად, რევოლუციურია, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება მხოლოდ ცარიელი დაპირება, სურვილები, რითაც კაპიტალისტები ხალხს იყოლიებენ.

(განაგრძობს რეზოლუციის პროექტის კითხვას.)

«ეგრეთწოდებული «რევოლუციური ობორონცობა», რომელიც ახლა რუსეთში მოედო თითქმის ყველა ნაროდნიკულ პარტიას (სახალხო სოციალისტები, ტრუდოვიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები), სოციალ-დემოკრატ მენშევიკების

ოპორტუნისტულ პარტიას (ორგანიზაციული კომიტეტი, ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.), აგრეთვე უპარტიო რევოლუციონერთა უმრავლესობას, თავისი კლასობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს, ერთი მხრივ, იმ წვრილი ბურჟუაზიის, წვრილ მეპატრონეთა, შეძლებულ გლეხთა ინტერესებსა და თვალსაზრისს, რომლებიც, კაპიტალისტების მსგავსად, მოგებას იძენენ სუსტი ხალხების მიმართ ძალადობის გამოყენებით, — ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის შედეგი კაპიტალისტების მიერ ხალხის მასების მოტყუებისა, კაპიტალისტებისა, რომლებიც არ აქვეყნებენ საიდუმლო ხელშეკრულებებს და თავს იძვრენენ დაპირებებითა და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით.

«რევოლუციური ობორონცების» მეტად ფართო მასები უთუოდ კეთილსინდისიერებად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. ისეთებად, რომელთაც მ ა რ თ ლ ა ც არ სურთ ანექსიები, დაპყრობანი, ძალადობა სუსტი ხალხების მიმართ, მ ა რ თ ლ ა ც მიისწრაფვიან უ ვ ე ლ ა მეომარ ქვეყნებს შორის დემოკრატიული, არა ძალდატანებითი ზავისაკენ. ეს აუცილებლად უნდა ვაღიაროთ იმიტომ, რომ ქალაქისა და სოფლის პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა (ე. ი. იმ ადამიანთა, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ თავიანთი სამუშაო ძალის კაპიტალისტებისათვის მიყიდვით ცხოვრობენ) კლასობრივი მდგომარეობა ამ კლასებს არ უღვიძებს ინტერესს კაპიტალისტების მოგებისადმი.

ამიტომ, მიაჩნია რა უდავოდ შეუწყნარებლად და საქმით ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმისაგან სრულ ჩამოშორებად რაიმე დათმობა «რევოლუციური ობორონცობისათვის», კონფერენცია ამასთანავე აცხადებს, რომ მანამდე, ვიდრე რუსეთის კაპიტალისტები და მათი დროებითი მთავრობა სჯერდებიან მხოლოდ ძალადობის გამოყენების მუქარას ხალხის წინააღმდეგ (მაგალითად, გუჩკოვის სავალალოდ-ცნობილი ბრძანება, რომელიც სასჯელით ემუქრება ჯარისკაცებს უფროსთა თვითნებურად გადაყენებისათვის), მანამდე, ვიდრე კაპიტალისტები არ გადასულან ძალადობის გამოყენებაზე მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა, მოჯამაგირეთა და სხვათა

დეპუტატების საბჭოების მიმართ, რომლებიც თავისუფლად ყალიბდებიან, თავისუფლად გადააყენებენ და ირჩევენ ხოლმე ყ ვ ე ლ ა და ყოველგვარ ხელისუფალთ, — მანამდე ჩვენი პარტია იქადაგებს საერთოდ ძალადობაზე ხელის აღებას, «რევოლუციური ობორონცობის» უდიდეს და საბედისწერო მცდარობას შეებრძოლება მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგური დარწმუნების საშუალებით, იმ ჭეშმარიტების განმარტებით, რომ ფართო მასების შეუგნებლად-მიმნდობი დამოკიდებულება კაპიტალისტების მთავრობისადმი, რომლებიც მშვიდობისა და სოციალიზმის უცუდესი მტრები არიან, ამჟამად რუსეთში ომის მალე დამთავრების უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია».

წვრილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი დაინტერესებულია კაპიტალისტების ასეთი პოლიტიკით, ამაში დაეჭვება არ შეიძლება; ამიტომაც პროლეტარულ პარტიას არ შეეფერება ახლა იმედი დაამყაროს იმაზე, რომ მისი და გლეხობის ინტერესები ერთი იყოს. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ გლეხობა ჩვენს მხარეზე გადმოვიდეს, მაგრამ იგი დგას, რამდენადმე, შეგნებულად კაპიტალისტების მხარეზე.

უეჭველია, რომ პროლეტარიატი და ნახევრადპროლეტარიატი, როგორც კლასი, არ არის დაინტერესებული ომით. ისინი მოქმედებენ ტრადიციისა და მოტყუების გავლენით. მათ ჯერ კიდევ არ აქვთ პოლიტიკური გამოცდილება. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა — ხანგრძლივი ახსნა-განმარტება. ჩვენ მათ პრინციპულად სრულიად არაფერს ვუთმობთ, მაგრამ მათ ვერ მივუდგებით, როგორც სოციალ-შოვინისტებს. მოსახლეობის ეს ელემენტები სოციალისტური არასოდეს არ ყოფილან, სოციალიზმზე მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, ისინი მხოლოდ ახლა იღვიძებენ პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მაგრამ მათი შეგნება არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება და ფართოვდება. უნდა იცოდე როგორ მიუდგე მათ ახსნა-განმარტებით, ეს კი უძნელესი ამოცანაა, განსაკუთრებით იმ პარტიისთვის, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იატაკქვეშ იმყოფებოდა.

ზოგიერთებს აზრი ებადებათ, ჩვენს თავს ხომ არ ვუღალატეთო: ჩვენ ხომ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას ვქადაგებდით, ახლა კი ჩვენივე თავის საწინააღმდეგოს ვლაპარაკობთო. მაგრამ რუსეთში პირველი სამოქალაქო ომი დამთავრდა, ჩვენ ახლა გადავდივართ მეორე ომზე — ომზე იმპერიალიზმსა და შეიარაღებულ ხალხს შორის და ამ გარდამავალ პერიოდში, ვიდრე შეიარაღებული ძალა ჯარისკაცების ხელშია, ვიდრე მილიუკოვსა და გუჩკოვს ძალადობა ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ, ეს სამოქალაქო ომი ჩვენთვის გადაიქცა მშვიდობიან, ხანგრძლივ და მოთმინებით კლასობრივ პროპაგანდად. თუ ჩვენ სამოქალაქო ომზე ვლაპარაკობთ უფრო ადრე, ვიდრე ხალხი მის აუცილებლობას შეიგნებდეს, მაშინ ჩვენ, უთუოდ, ბლანკიზმში ვვარდებით. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამოქალაქო ომს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მას შეგნებული კლასი აწარმოებს. დამხობა შეიძლება იმისი, ვინც ხალხისთვის ცნობილია, როგორც მოძალადე. ახლა კი არავითარი მოძალადენი არ ჩანან, ზარბაზნები და თოფები ჯარისკაცების ხელშია და არა კაპიტალისტების ხელში, კაპიტალისტები ახლა ძალადობით კი არა, მოტყუებით აღწევენ მიზანს, და ახლა ძალადობაზე ყვირილი შეუძლებელია, ეს უაზრობაა. უნდა შეგვეძლოს მარქსიზმის თვალსაზრისზე დგომა, რომელიც ამბობს, რომ იმპერიალისტური ომის ეს გადაქცევა სამოქალაქო ომად ეყრდნობა ობიექტურ და არა სუბიექტურ პირობებს. ჩვენ ჯერჯერობით ხელს ვიღებთ ამ ლოზუნგზე, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით. იარაღი ამჟამად ჯარისკაცებისა და მუშების ხელშია და არა კაპიტალისტების ხელში. ვიდრე მთავრობას ომი არ დაუწყია, ჩვენ მშვიდობიან ქადაგებას ვეწევით.

მთავრობისთვის ხელსაყრელი იყო, რომ პირველი მოუფიქრებელი ნაბიჯი გამოსვლისაკენ ჩვენ გადაგვედგა, მათთვის ეს ხელსაყრელია. ისინი გაბოროტებული არიან, იმიტომ რომ ჩვენმა პარტიამ მშვიდობიანი მანიფესტაციის ლოზუნგი წამოისროლა. წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც ახლა დროს უცდის, ჩვენი პრინციპებიდან იოტის ოდენაც კი არ უნდა დავუთმოთ. პროლეტარული პარტიისთვის იმაზე უფრო საშიში შეცდომა

არაა, ვიდრე საკუთარი ტაქტიკის სუბიექტურ სურვილებზე აგება იქ, სადაც ორგანიზებულობაა საჭირო. იმის თქმა, რომ უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა — არ შეიძლება; ამ შემთხვევაში საჭიროა უნდობლობა, უნდობლობა და უნდობლობა. პროლეტარული ტაქტიკის ამაზე დაყრდნობა — მის დასამარებას ნიშნავს.

მესამე მუხლი ეხება საკითხს, თუ როგორ დავამთავროთ ომი. მარქსისტების თვალსაზრისი ცნობილია, მაგრამ სიძნელე იმაშია, თუ როგორ გადავსცეთ იგი მასებს რაც შეიძლება უფრო ნათლად. ჩვენ პაციფისტები არა ვართ და არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ რევოლუციურ ომზე. რით განსხვავდება რევოლუციური ომი კაპიტალისტური ომისაგან? უწინარეს ყოვლისა იმით, თუ რომელი კლასია მასში დაინტერესებული და დაინტერესებული კლასი რა პოლიტიკას აწარმოებს ამ ომში... როცა მასების წინაშე გამოდიხარ, კონკრეტული პასუხი უნდა მისცე მათ. ამრიგად, პირველი საკითხია: როგორ გავარჩიოთ რევოლუციური ომი კაპიტალისტური ომისაგან? მასებში მომუშავეებს არ ესმით, რა განსხვავებაა აქ, რომ აქ ლაპარაკია კლასების განსხვავებაზე. ჩვენ მხოლოდ თეორიულად კი არ უნდა ვილაპარაკოთ, პრაქტიკულადაც უნდა ცხადვყოთ, რომ ჩვენ მაშინ გავაჩაღებთ მართლა რევოლუციურ ომს, როცა ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში იქნება. ჩემი აზრით, საკითხის ასეთი დაყენება უფრო თვალსაჩინო პასუხს იძლევა იმ კითხვაზე, თუ როგორია ეს ომი და ვინ აწარმოებს მას.

«პრავდაში» დაბეჭდილია პროექტი მოწოდებისა ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი *. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ფრონტზე ხდება დაძმობილება, მაგრამ ეს ჯერ ნახევრადსტიქიურია. ნათელი პოლიტიკური აზრი — აი რა აკლია ამ დაძმობილებას. ჯარისკაცებმა ინსტინქტურად იგრძნეს, რომ საჭიროა ქვემოდან ამოქმედება: რევოლუციურად განწყობილ ადამიანთა კლასობრივმა ინსტინქტმა უკარნახა მათ, რომ მხოლოდ აქ არის ნამდვილი გზა. მაგრამ რევოლუციისათვის ეს

* იხ. ეს ტომი, გვ. 209 — 212. რ ე დ.

როდი კმარა. ჩვენ გვინდა გავცეთ ნათელი პოლიტიკური პასუხი. იმისთვის, რომ ომი დამთავრდეს, ძალაუფლება უნდა გადავიდეს რევოლუციური კლასის ხელში. კონფერენციის სახელით წინადადებას შემოვიტანდი შევადგინოთ მიმართვა ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი და გამოვაქვეყნოთ ეს მოწოდება ყველა ენაზე. თუ ჩვენ ნაცვლად ყველა ამ მოარული ფრაზისა სამშვიდობო კონფერენციების შესახებ, რომელთა წევრების ნახევარი იმპერიალისტურ მთავრობათა ფარული თუ პირდაპირი აგენტები არიან, ამ მოწოდებას დავგზავნით, ეს ათასჯერ უფრო სწრაფად მიგვიყვანს მიზანთან, ვიდრე ყველა სამშვიდობო კონფერენცია. ჩვენ არ გვინდა საქმე ვიქონიოთ გერმანელ პლეხანოვებთან. როდესაც ჩვენ ვაგონით გერმანიაზე გამოვიარეთ, ბატონი სოციალ-შოვინისტები, გერმანელი პლეხანოვები, ცდილობდნენ ჩვენთან შემოსვლას ვაგონში, მაგრამ ჩვენ მათ ვუპასუხეთ, რომ ვერც ერთი სოციალისტი მათგან ჩვენთან ვერ შემოვა, ხოლო თუ შემოვა, უსკანდალოდ არ გამოვუშვებთო. ჩვენთან რომ შემოეშვათ, მაგალითად, კარლ ლიბკნეხტი, ჩვენ მას მოველაპარაკებოდით. როცა ჩვენ გამოვუშვებთ მოწოდებას ყველა ქვეყნის მშრომელთადმი და მასში ვუპასუხებთ იმ კითხვაზე, თუ როგორ დავამთავროთ ომი, და როცა ჯარისკაცები წაიკითხავენ ჩვენს პასუხს, რომელიც იძლევა პოლიტიკურ გამოსავალს ომიდან, მაშინ დაძმობილება გიგანტურ ნაბიჯს გადადგამს წინ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ დაძმობილება გასცილდეს ომის წინაშე ინსტინქტურ შიშის საფეხურს და გადაიქცეს იმ ნათელ პოლიტიკურ შეგნებად, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ამ ომს.

გადავალ მესამე საკითხზე, სახელდობრ მიმდინარე მომენტის შეფასებაზე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მდგომარეობისა და საერთაშორისო კაპიტალიზმის ვითარების თვალსაზრისით. მარქსიზმის თვალსაზრისით უაზრობა იქნება იმპერიალიზმზე ლაპარაკის დროს შევჩერდეთ მხოლოდ ერთი ქვეყნის მდგომარეობაზე, მაშინ როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები ასე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

ახლა კი, ომის დროს, ეს კავშირი განუზომლად უფრო ძლიერია. მთელი კაცობრიობა ერთ სისხლიან გუნდად არის არეული, და იქიდან გამოსვლა სათითაოდ შეუძლებელია. თუ არიან მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, ამ ომმა ყველა ისინი ისეთი ძაფებით გადააბა ერთმანეთს, რომ აქედან მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოსვლა წარმოუდგენელია და უაზრო.

ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, რომ ძალაუფლება ხელთ უნდა ეპყრათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. მაგრამ რა შეუძლიათ ან რა უნდა ქნან მათ, თუ ძალაუფლება გადაეცემათ, ე. ი. თუ ძალაუფლება პროლეტარების და ნახევრადპროლეტარების ხელში იქნება? იქმნება რთული და ძნელი მდგომარეობა. და თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ძალაუფლების გადასვლაზე, აქ ჩნდება საფრთხე, რომელიც წინანდელ რევოლუციებშიც დიდ როლს ასრულებდა, სახელდობრ: რევოლუციური კლასი თავის ხელში იღებს სახელმწიფო ხელისუფლებას და არ იცის, რა უყოს მას. რევოლუციების ისტორიაში არის ისეთი რევოლუციების მაგალითები, რომელნიც სწორედ ამაზე მარცხდებოდნენ. მთელი რევოლუციის ცენტრს ამჟამად შეადგენენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა ქსელითაც დაფარულია ახლა მთელი რუსეთი; მაგრამ, მე მგონია, ჩვენ საკმაოდ ვერ გავიგეთ და შევისწავლეთ ისინი. თუ ისინი აიღებენ ხელში ძალაუფლებას, ეს უკვე აღარ იქნება სახელმწიფო ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ასეთი სახელმწიფო ხელისუფლება დიდი ხნით არასოდეს ქვეყნად არ არსებულა, მაგრამ მისკენ მიემართებოდა მთელი მუშათა მოძრაობა დედამიწაზე. ეს იქნება სწორედ პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფო. ასეთი ხელისუფლება არის დიქტატურა, ე. ი. ეყრდნობა არა კანონს, არა უმრავლესობის ფორმალურ ნებას, არამედ პირდაპირ, უშუალოდ ძალადობას. ძალადობა — ძალაუფლების იარაღია. მერე როგორ მოიხმარენ საბჭოები ამ ძალაუფლებას? დაუბრუნდებიან თუ არა ისინი ძველებურ მართვა-გამგეობას პოლიციის მეშვეობით, გაუძღვებიან თუ არა მართვა-გამგეობას ხელისუფლების ძველი ორგანოების საშუალებით? ჩემი

აზრით, ისინი ამას ვერ იზამენ, ყოველ შემთხვევაში მათ წინაშე დგას არაბურჟუაზიული სახელმწიფოს მოწყობის უშუალო ამოცანა. ბოლშევიკთა შორის პარიზის კომუნასთან ამ სახელმწიფოს შედარება მე ვიხმარე იმ აზრით, რომ მან დაამსხვრია მართვა-გამგეობის ძველი ორგანოები და შეცვალა მუშათა სრულიად ახალი, პირდაპირი, უშუალო ორგანოებით. მე ბრალს მდებენ, რომ დღევანდელ მომენტში ვიხმარე ისეთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უფრო აფრთხობს კაპიტალისტებს, რადგან მათ ეს სიტყვა ისე განმარტეს, თითქოს მე მსურდეს სოციალიზმის უშუალო შემოღება. მაგრამ ეს სიტყვა მე ვიხმარე მხოლოდ ძველი ორგანოების ახალი, პროლეტარული ორგანოებით შეცვლის აზრით. მარქსი ამბობდა, რომ ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის უდიდესი ნაბიჯის გადადგმა წინ[72]. პროლეტარიატის სოციალური ამოცანების საკითხს ჩვენთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ჩვენ ამჟამად დაკავშირებული ვართ ყველა დანარჩენ ქვეყანასთან და ამ კვანძიდან გამოსვლა შეუძლებელია: ან მთელი პროლეტარიატი ერთიანად გამოვა, ან ცას ჩაახრჩობენ; მეორე მხრივ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ფაქტია. არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ საბჭოებით მოფენილია მთელი რუსეთი, ისინი წარმოადგენენ ხელისუფლებას და სხვა ხელისუფლება შეუძლებელია არსებობდეს. თუ ეს ასეა, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ მოიხმარენ ისინი ამ ხელისუფლებას. ამბობენ, ეს ხელისუფლება ისეთივეა, როგორიც საფრანგეთსა და ამერიკაშიაო, მაგრამ იქ ამის მსგავსი რამ არაფერია, ასეთი უშუალო ხელისუფლება იქ არ არსებობს.

რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ სამ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში დახასიათებულია იმპერიალისტური ომით შექმნილი ობიექტური მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიც ჩავარდა მსოფლიო კაპიტალიზმი; მეორეში — საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის პირობები, და მესამეში — რუსეთის მუშათა კლასის ამოცანები მის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემთხვევაში. პირველ ნაწილში მე ფორმულირე-

ბული მაქვს ის დასკვნა, რომ ომის დროს კაპიტალიზმი კიდევ უფრო მეტად განვითარდა, ვიდრე ომამდე. მან უკვე თავის ხელში აიღო წარმოების მთელი დარგები. ჯერ კიდევ 1891 წელს, 27 წლის წინათ, როცა გერმანელებმა თავიანთი ერფურტის პროგრამა მიიღეს, ენგელსი ამბობდა — შეუძლებელია ძველებურად გვესმოდეს კაპიტალიზმი, როგორც გეგმაზომიერების უქონლობაო [73]. ეს შეხედულება უკვე მოძველდა: როცა არსებობს ტრესტები, უკვე აღარაა გეგმაზომიერების უქონლობაც. განსაკუთრებით XX საუკუნეში კაპიტალიზმის განვითარება გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ, ხოლო ომმა ის გააკეთა, რაც არ გაკეთებულა 25 წლის განმავლობაში. მრეწველობის გასახელმწიფოებრიობა წინ წავიდა არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისშიც. საერთოდ მონოპოლიიდან გადავიდნენ სახელმწიფო მონოპოლიაზე. საქმის ობიექტურმა მდგომარეობამ ცხადყო, რომ ომმა დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება, და ეს განვითარება წინ მიდიოდა კაპიტალიზმიდან იმპერიალიზმისაკენ, მონოპოლიიდან გასახელმწიფოებრიობისაკენ. ყოველივე ამან მოაახლოვა სოციალისტური რევოლუცია და შექმნა ობიექტური პირობები მისთვის. ამრიგად, სოციალისტური რევოლუცია მოახლოებულია ომის მსვლელობით.

ომამდე ინგლისი მაქსიმალური თავისუფლების ქვეყანას წარმოადგენდა, რასაც ყოველთვის მიუთითებენ კადეტური პარტიის ტიპის პოლიტიკოსები. თავისუფლება იქ იმიტომ იყო, რომ იქ არ იყო რევოლუციური მოძრაობა. ომმა ყველაფერი ერთბაშად გარდაქმნა. იმ ქვეყანაში, სადაც ათეული წლების განმავლობაში არ ახსოვთ მაგალითი სოციალისტური ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ცდისა, ერთბაშად წმინდა წყლის ცარიზმის ცენზურა შემოიღეს და ყველა საპყრობილე სოციალისტებით აავსეს. კაპიტალისტები იქ მთელი საუკუნეების განმავლობაში ისე მართავდნენ ხალხს, რომ ძალადობისთვის არ მიუმართავთ, და თუკი იმათაც ძალადობას მიმართეს, მაშასადამე, იგრძნეს, რომ რევოლუციური მოძრაობა იზრდება, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლება. როცა ჩვენ ვამბობდით,

რომ ლიბკნეხტი მასის წარმომადგენელია, თუმცა ის ერთია და მის წინააღმდეგ ასი გერმანელი პლეხანოვია, — გვიპასუხებდნენ, ეს უტოპიაა, ილუზიაა. ნამდვილად კი, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა საზღვარგარეთ მუშათა კრებებზე, ის დაინახავდა, რომ მასების თანაგრძნობა ლიბკნეხტისადმი უეჭველი ფაქტია. მისი ყველაზე გააფთრებული მოწინააღმდეგენი იძულებული იყვნენ თვალთმაქცობისთვის მიემართათ მასის წინაშე; და თუ ლიბკნეხტის მომხრეებად თავს არ მოაჩვენებდნენ, ყოველ შემთხვევაში მის წინააღმდეგ გამოსვლას ვერავინ ბედავდა. ახლა კი საქმე უფრო შორს წავიდა. ახლა ჩვენ საქმე გვაქვს მასობრივ გაფიცვებთან და ვხედავთ დაძმობილებას ფრონტზე. ამ მხრივ წინასწარმეტყველების დაწყება უდიდესი შეცდომა იქნებოდა, მაგრამ ინტერნაციონალისადმი თანაგრძნობა რომ იზრდება და გერმანიის ჯარში რომ რევოლუციური მღელვარება იწყება, — ეს მაინც ფაქტია, რომელიც ცხადყოფს, რომ იქ რევოლუცია მწიფდება.

ახლა ვიკითხოთ, როგორია რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანები? მთავარი ნაკლი და მთავარი შეცდომა სოციალისტების მთელი მსჯელობისა ის არის, რომ საკითხი ისმება მეტად ზოგადად — გადასვლა სოციალიზმზე. ნამდვილად კი უნდა ვილაპარაკოთ კონკრეტულ ნაბიჯებსა და ზომებზე. ზოგი მათგანი მომწიფებულია, ზოგი ჯერ კიდევ არა. ამჟამად გარდამავალ მომენტს განვიცდით. ჩვენ აშკარად წამოვაყენეთ ისეთი ფორმები, რომლებიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფორმებს არა ჰგვანან: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები — ეს სახელმწიფოს ისეთი ფორმაა, როგორიც არც ერთ სახელმწიფოში არ არის და არც ყოფილა. ეს ისეთი ფორმაა, რომელიც წარმოადგენს პირველ ნაბიჯებს სოციალიზმისაკენ და აუცილებელია სოციალისტური საზოგადოების დასაწყისში. ეს გადამწყვეტი ფაქტია. რუსეთის რევოლუციამ შექმნა საბჭოები. მსოფლიოს არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ასეთი სახელმწიფო დაწესებულებები არ არის და არც შეიძლება იყოს, და არც ერთ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია დაემყაროს რომელიმე ხელის-

უფლებას, თუ არა ამ ხელისუფლებას. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა ძალაუფლება უნდა აიღონ არა ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკის შესაქმნელად ან უშუალოდ სოციალიზმზე გადასასვლელად. ეს შეუძლებელია. მაშ რისთვის? მათ ძალაუფლება უნდა აიღონ იმისათვის, რომ გადადგან პირველი კონკრეტული ნაბიჯები სოციალიზმზე გადასასვლელად; ეს ნაბიჯები შეიძლება გადადგან და უნდა გადადგან კიდეც. შიში ამ მხრივ უმთავრესი მტერია. მასას უნდა ვუქადაგოთ, რომ ეს ნაბიჯები ახლავე უნდა გადაიდგას, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლება უაზრო იქნება და არაფერს მისცემს ხალხს.

მე ვცდილობ ვუპასუხო კითხვაზე, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შეგვიძლია ვურჩიოთ ხალხს ისე, რომ ჩვენი მარქსისტული რწმენის საწინააღმდეგო არ გამოვიდეს.

რისთვის გვინდა ჩვენ, რომ ხელისუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს გადაეცეს?

პირველი ღონისძიება, რომელიც საბჭოებმა უნდა განახორციელონ, არის მიწის ნაციონალიზაცია. მასზე ლაპარაკობს ყველა ხალხი. ამბობენ, ეს ღონისძიება უაღრესად უტოპიურიაო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა მას აღიარებს, სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის მიწათმფლობელობა ისე აწეწილ-დაწეწილია, რომ თუ მთელ მიწაზე მიჯნები არ მოვშალეთ და იგი სახელმწიფო საკუთრებად არ გადავაქციეთ, სხვა გამოსავალი არ არის. უნდა გაუქმდეს მიწის კერძო საკუთრება. ეს ის ამოცანაა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, იმიტომ რომ ხალხის უმრავლესობა ამას უჭერს მხარს. ამისთვის გვესაჭიროება ჩვენ საბჭოები. ამ ღონისძიების განხორციელება ძველი სახელმწიფო მოხელეობის საშუალებით შეუძლებელია.

მეორე ღონისძიება. ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ სოციალიზმის «შემოღებას» — ეს უდიდესი უაზრობა იქნებოდა. ჩვენ სოციალიზმი უნდა ვიქადაგოთ. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ გლეხები, წვრილი მეპატრონენი, რომელთაც სოციალიზმზე ფიქრიც კი არ შეუძლიათ.

მაგრამ რა უნდა თქვან მათ იმის წინააღმდეგ, რომ ყოველ სოფელში იყოს ბანკი, რომელიც მათ მეურნეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემდა. ამის წინააღმდეგ ისინი ვერაფერს იტყვიან. ჩვენ უნდა ვუქადაგოთ გლეხებს ეს პრაქტიკული ზომები და განვამტკიცოთ მათი აუცილებლობის შეგნება.

სხვა საქმეა შაქრის მექარხნეთა სინდიკატი, ეს ფაქტია. აქ ჩვენი წინადადება პირდაპირ პრაქტიკული უნდა იყოს: აი ეს უკვე მომწიფებული სინდიკატები სახელმწიფოს უნდა გადაეცეს საკუთრებად. თუ საბჭოებს უნდათ ხელისუფლება აიღონ, მაშინ მხოლოდ ასეთი მიზნების განსახორციელებლად. სხვა მიზანი მათ მიერ ხელისუფლების ამ აღებას არა აქვს. საკითხი ასე დგას: ან ამ საბჭოების შემდგომი განვითარება, ან მათ მოელის უსახელო სიკვდილი, როგორც ეს პარიზის კომუნის დროს მოხდა. თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკაა საჭირო, ამას კადეტებიც შეძლებენ.

მე დავამთავრებ ერთი სიტყვის დამოწმებით, რომელმაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთმა მაღაროელმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელშიც მან, არ იხმარა რა არც ერთი მწიგნობრული სიტყვა, — გვიამბო, თუ როგორ მოახდინეს მათ რევოლუცია. მათ წინაშე იდგა არა ის საკითხი, ეყოლებათ თუ არა პრეზიდენტი, არამედ მას აინტერესებდა საკითხი: როცა ისინი მაღაროებს დაეპატრონენ, საჭირო გახდა ბაგირების დაცვა, რაოა წარმოება არ შეჩერებულიყო. შემდეგ საკითხი დადგა პურის შესახებ, რომელიც მათ არ ჰქონდათ, და ისინი შეთანხმდნენ, თუ როგორ ეშოვნათ იგი. აი ეს არის რევოლუციის ნამდვილი პროგრამა, არა წიგნიდან ამოკითხული. აი ეს არის ხელისუფლების ნამდვილი დაპყრობა ადგილობრივ!

ბურჟუაზია არსად არ ჩამოყალიბებულა ისე, როგორც პიტერში; კაპიტალისტებს აქ ხელთ უპყრიათ ძალაუფლება, ხოლო ადგილობრივ გლეხები არავითარ სოციალისტურ გეგმებს არ ისახავენ და წმინდა პრაქტიკულ ზომებს იღებენ. მე ვფიქრობ, რევოლუციური მოძრაობის მარტო ეს პროგრამა

სწორად გვიჩვენებს რევოლუციის ნამდვილ გზას. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ამ ზომებს უდიდესი წინდახედულობით და სიფრთხილით უნდა შევუდგეთ, მხოლოდ ისინი უნდა გავატაროთ, მხოლოდ ამ მიმართულებით უნდა ვიყურებოდეთ წინ, სხვა გამოსავალი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს გარეკავენ და მათ უსახელო სიკვდილი მოელით; ხოლო თუ ძალაუფლება მართლა რევოლუციური პროლეტარიატის ხელში იქნება, მხოლოდ იმისთვის, რომ წინ წავიდეს. წინსვლა კი ნიშნავს კონკრეტული ნაბიჯები გადადგა და არა მხოლოდ სიტყვით უზრუნველყო ომიდან გამოსვლა. ამ ნაბიჯებს სრული წარმატება შეიძლება ექნეს მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის დროს, თუ რევოლუცია ჩაახრჩობს ომს და თუ რევოლუციას მხარს დაუჭერენ ყველა ქვეყნის მუშები, ამიტომ ძალაუფლების აღება— ეს ერთადერთი კონკრეტული საშუალება, ერთადერთი გამოსავალია.

შოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წლის
8 მაისს (25 აპრილს) გაზეთ «პრავდაში» № 40

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა
კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო
ჩანაწერის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის
მიხედვით

3

საბოლოო სიტყვა მიმდინარე მომენტზე გაკეთებული მოხსენების გამო 24 აპრილს (7 მაისს)

ამხ. კამენევი მარჯვედ იყენებს ავანტიურიზმის ფანდს. აუცილებელია შევჩერდეთ ამაზე. ამხ. კამენევი დარწმუნებულია და ამტკიცებს, რომ, როცა ვილაშქრებდით ლოზუნგის წინააღმდეგ: «ძირს დროებითი მთავრობა», ჩვენ მერყეობა გამოვიჩინეთო. ვეთანხმები: გადახვევა რევოლუციური პოლიტიკის ხაზიდან, რა თქმა უნდა, იყო, და ასეთ მერყეობას უნდა ვერიდოთ. მე ვფიქრობ, უთანხმოება ჩვენსა და ამხ. კამენევს შორის ძალიან დიდი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ, როცა ჩვენ გვეთანხმება, იგი სხვა პოზიციაზე დგება. რა იყო ჩვენი ავანტიურიზმი? ეს იყო ძალდატანებითი ზომებისათვის მიმართვის ცდა. ჩვენ არ ვიცოდით, ამ მშფოთვარე დროს მასა ძლიერ გადმოიხარა თუ არა ჩვენკენ, და საქმე სხვანაირად იქნებოდა, ის რომ ძლიერ გადმოხრილიყო. ჩვენ წამოვაყენეთ მშვიდობიანი დემონსტრაციების ლოზუნგი, ხოლო პეტერბურგის კომიტეტის წევრმა ზოგიერთმა ამხანაგმა წამოაყენა სხვა ლოზუნგი, რომელიც ჩვენ გავაუქმეთ, მაგრამ შეჩერება ვერ მოვასწარით, მასა გაჰყვა პეტერბურგის კომიტეტის ლოზუნგს. ჩვენ ვამბობთ, რომ ლოზუნგი: «ძირს დროებითი მთავრობა» — ავანტიურისტულია, რომ ახლა მთავრობის დამხობა შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ წამოვაყენეთ მშვიდობიანი დემონსტრაციების ლოზუნგი. ჩვენ გვსურდა მოგვეხდინა მხოლოდ მშვი-

დობიანი დაზვერვა მტრის ძალებისა და არა ბრძოლის გამართვა, პეტერბურგის კომიტეტი კი ოდნავ მარცხნივ წავიდა, რაც ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უაღრესი დანაშაულია. ორგანიზაციული აპარატი მტკიცე არ აღმოჩნდა: ჩვენს დადგენილებებს ყველა როდი ასრულებს. სწორ ლოზუნგთან ერთად: «გაუმარჯოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს!» — წამოყენებულ იქნა მცდარი ლოზუნგი: «ძირს დროებითი მთავრობა». მოქმედების ჟამს «ოდნავ მარცხნივ» წასვლა უადგილო იყო. ამას ჩვენ ვთვლით უდიდეს დანაშაულად, დეზორგანიზაციად. ჩვენ ერთ წუთსაც აღარ დავრჩებოდით ცენტრალურ კომიტეტში, შეგნებულად რომ გადაგვეღგა ეს ნაბიჯი. ეს მოხდა ორგანიზაციული აპარატის მოუწყობლობის გამო. დიახ, ჩვენს ორგანიზაციას ნაკლი ჰქონდა. დასმულია საკითხი ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.

მენშევიკები და კომპანია ჯიჯგნიან სიტყვა «ავანტიურიზმს», მაგრამ აი სწორედ მათ არ ჰქონდათ არც ორგანიზაცია, არც რაიმე ხაზი. ჩვენ კი ორგანიზაციაც გვაქვს და ხაზიც.

იმ მომენტში ბურჟუაზიამ მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინა, ცენტრი იმალებოდა, ჩვენ კი მშვიდობიანი დემონსტრაცია მოვაწყვეთ. პოლიტიკური ხაზი მხოლოდ ჩვენ გვქონდა. იყო შეცდომები? დიახ, იყო. არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არ მოქმედებს. კარგად დარაზმვა კი — ძნელი საქმეა.

ახლა კონტროლის შესახებ.

მე და ამხ. კამენევი ყველაფერში ვეთანხმებით ერთმანეთს, გარდა კონტროლის საკითხისა. მას კონტროლი პოლიტიკურ აქტად მიაჩნია. მაგრამ მას სუბიექტურად ეს სიტყვა უკეთ ესმის, ვიდრე ჩხეიძეს და სხვებს. ჩვენ კონტროლს არ დავთანხმდებით. გვეუბნებიან: თქვენ თავი გაიმარტოვეთ, საშინელი რამეები ილაპარაკეთ კომუნიზმის შესახებ, ძალზე დააფრთხეთ ბურჟუებიო... დაე ასე იყოს!.. მაგრამ ამან როდი გაგვამარტოვა. ჩვენ გაგვამარტოვა სესხის საკითხმა, — აი რამ გამოიწვია ჩვენი იზოლაცია. აი რომელ საკითხში დავრჩით ჩვენ უმცირესობაში. დიახ, ჩვენ უმცირესობას წარმოვადგენთ. მერე რა! შოვინიზმით ამ თავბრუდახვევის მომენტში სოცია-

ლისტობა — უმცირესობაში ყოფნას ნიშნავს, ხოლო უმრავლესობაში ყოფნა — შოვინისტობას ნიშნავს. ამჟამად გლეხი მილიუკოვთან ერთად სესხით ამარცხებს სოციალიზმს, გლეხი მილიუკოვს და გუჩკოვს მიჰყვება. ეს ფაქტია. გლეხობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დიქტატურა — ძველი ფორმულაა.

გლეხობას რომ რევოლუციისაკენ წავუბიძგოთ, უნდა გამოვყოთ პროლეტარიატი, გამოვყოთ პროლეტარული პარტია, რადგან გლეხობა შოვინისტურია. ახლა გლეხის მიმხრობა ნიშნავს მილიუკოვს ჩაბარდე სამოწყალოდ.

დროებითი მთავრობა უნდა დავამხოთ, მაგრამ არა ახლა და არა ჩვეულებრივი გზით. ჩვენ ვეთანხმებით ამხ. კამენევს. მაგრამ საჭიროა განმარტება. აი ამ სიტყვას ჩასცემია ამხ. კამენევი. მიუხედავად ამისა, ეს ერთადერთი რამაა, რის გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია.

ამხ. რიკოვი ამბობს, რომ სოციალიზმი უნდა მოვიდეს სხვა ქვეყნებიდან, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულიაო. მაგრამ ეს ასე არ არის. არ შეიძლება ითქვას, ვინ დაიწყებს და ვინ გაათავებს. ეს მარქსიზმი კი არა, მარქსიზმის პაროდიაა.

მარქსმა თქვა, საფრანგეთი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დაამთავრებსო. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატმა ხომ მეტს მიაღწია, ვიდრე სხვა ვინმემ.

აი, ჩვენ რომ გვეთქვა: «უმეფოდ, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურაო», — მაშინ ეს წვრილ ბურჟუაზიაზე გადახტომა იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვამბობთ: დაეხმარე რევოლუციას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მეშვეობით. რეფორმიზმისკენ გადახრა არ შეიძლება. ჩვენ ბრძოლას იმიტომ კი არ ვაწარმოებთ, რომ დავმარცხდეთ, არამედ იმიტომ, რომ გავიმარჯვოთ, — უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივი წარმატების იმედი მაინც გვაქვს. თუ დავმარცხდებით, ნაწილობრივ წარმატებას მაინც მივაღწევთ. ეს იქნება რეფორმები. რეფორმები — დამხმარე საშუალებაა კლასობრივი ბრძოლისათვის.

შემდეგ ამხ. რიკოვი ამბობს: გარდამავალი პერიოდი კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არ არსებობსო. ეს ასე არ არის. ეს მარქსიზმზე ხელის აღებაა.

ჩვენ მიერ დასახული ხაზი სწორია, და მომავალში ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რათა ისეთი ორგანიზაცია შევქმნათ, რომ აღარ იყვნენ პეკისტები, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენ ვიზრდებით, როგორც ეს ნამდვილ პარტიას შეეფერის.

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა
კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

4

სიტყვა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის პროექტის შესახებ 25 აპრილს (8 მაისს) [74]

ვერ დავეთანხმები ამხ. ნოგინს. მე ვფიქრობ, აქ არის არაჩვეულებრივი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი, რომელიც გვავალებს დავიწყოთ ენერგიული კამპანია რუსეთის და ინგლის-საფრანგეთის შოვინისტების წინააღმდეგ, რომლებმაც არ მიიღეს ამ ბორგბიერგის წინადადება კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ მთელი ამ ისტორიის არსი და სარჩული. მე წაგიკითხავთ ზუსტად ბორგბიერგის მიერ «რაბოჩაია გაზეტაში» გამოქვეყნებულ წინადადებას და აღვნიშნავ, რომ ვითომ სოციალისტური ყრილობის მთელი ამ კომედიის უკან იმალება გერმანიის იმპერიალიზმის ფრიად რეალური პოლიტიკური ნაბიჯი. გერმანიის კაპიტალისტები გერმანელი სოციალ-შოვინისტების მეშვეობით წინადადებას აძლევენ ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტებს შეიკრიბონ კონფერენციაზე. აი რატომ უნდა გავაჩაღოთ დიდი კამპანია.

რატომ აკეთებენ ისინი ამას სოციალისტების მეშვეობით? იმიტომ რომ მათ უნდათ მოატყუონ მუშათა მასა. ბატონი დიპლომატები მოხერხებული ხალხია: პირდაპირ ამის თქმა არ შეიძლება, ამიტომ საჭიროა დანიელი პლეხანოვის მიგზავნა. ჩვენ ათასჯერ გვინახავს საზღვარგარეთ გერმანელი სოციალ-შოვინისტები, საჭიროა მათ ნიღაბი ჩამოვხადოთ.

(კითხულობს ამონაწერს «რაბოჩაია გაზეტას» 39-ე ნომრიდან 1917 წ. 8 მაისის (25 აპრილის) თარიღით.)

«დანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს «Social-demokraten»-ის * რედაქტორმა ბორგბიერგმა სკანდინავიის სამი მუშათა პარტიის (დანია, ნორვეგია, შვეცია) გაერთიანებული კომიტეტის სახელით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადასცა რუსეთის ყველა სოციალისტური პარტიისადმი მიმართული მიპატიჟება საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე. გერმანიასთან დანიის ახლო მეზობლობის გამო, შესაძლებლობა ჰქონდა რა ურთიერთობა გაება გერმანელ სოციალ-დემოკრატებთან, უმთავრესად, «უმრავლესობის» ფრაქციიდან, ამბ. ბორგბიერგმა კრებას გააცნო ის პირობები, რომელთა მიხედვით გერმანიის ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიას შესაძლებლად მიაჩნია ზავის ჩამოგდება და რომელთაც მისი წარმომადგენლები გააცნობენ კონფერენციას.

ეს პირობები ასეთია:

უწინარეს ყოვლისა ისინი ეთანხმებიან იმ დებულებებს, რომლებიც სკანდინავიისა და ჰოლანდიის სოციალისტებმა მიიღეს 1915 წლის კონფერენციაზე, ე. ი. ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და სავალდებულო საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს აღიარებას, თანდათანობითი განიარაღების მოთხოვნას. შემდეგ თავიანთი მხრივ ისინი უმატებენ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია გადაჭრით მოითხოვს, რომ:

1) გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ დაპყრობილი ყველა ტერიტორია უკანვე იქნეს დაბრუნებული;

2) რუსეთის პოლონეთს მიენიჭოს სრული თავისუფლება — დამოუკიდებლად გამოაცხადებს თავს თუ რუსეთს შეუერთდება;

3) ბელგია უნდა აღდგეს, როგორც სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო;

4) სრულიად ასევე უნდა აღდგეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი;

5) ბულგარეთმა უნდა მიიღოს მაკედონიის ბულგარული ოლქები, ხოლო სერბიამ — თავისუფალი გასავალი ადრიატიკის ზღვისაკენ.

რაც შეეხება ელზას-ლორენს, აქ შესაძლებელია მშვიდობიანი შეთანხმება ლორენის საზღვრის გასწორების შესახებ; პოზნანელი პოლონელების შესახებ გერმანელები შეეცდებიან მიეცეს მათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია».

---

* — «სოციალ-დემოკრატი». რ ე დ.

აქ ოდნავი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ ეს წინადადება გერმანიის მთავრობისაა, რომელიც ასეთ ნაბიჯებს პირდაპირ არ დგამს და რომელსაც ესაჭიროება დანიელი პლეხანოვების სამსახური, იმიტომ რომ ამგვარი სამსახურისთვის გერმანელი აგენტები არ გამოდგებიან. სოციალ-შოვინისტებიც იმიტომ გაჩენილან ქვეყნად, რომ ასეთი დავალებები იკისრონ. ჩვენი ამოცანაა გამოვააშკარაოთ ეს ფარული მიზეზი მთელი ქვეყნიერების წინაშე კონფერენციაზე თავმოყრილი პროლეტარული პარტიის 70 000 მუშის სახელით. აუცილებელია დაიბეჭდოს ვრცელი რეზოლუცია, გადაითარგმნოს ის უცხო ენებზე და გავცეთ ღირსეული პასუხი, რომ ამ ვაჟბატონებმა ვერ გაბედონ სოციალისტურ პარტიაში თავის შეყოფა. (კითხულობს რეზოლუციის პროექტს.)

სოციალისტური გაზეთები ამ დილით კრინტს არ ძრავენ. მათ მშვენივრად იციან, სად მარხია ძაღლის თავი. მათ იციან, რომ დუმილი — ოქროა. მხოლოდ «რაბოჩაია გაზეტა» ათავსებს სტატიას ისე, რომ არავითარ შეფასებას არ იძლევა: ერთი მხრივ, არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, მეორე მხრივ კი უნდა ვაღიაროთო...

რუსეთის მთავრობას ყველაზე მეტად არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ ეს, მართლაც, გერმანიის მთავრობის აგენტია.

თუ ჩვენ მუდამ დაგვძახიან ელზას-ლორენის განთავისუფლების შესახებ, ამ ვაჟბატონებს უნდა მოვაგონოთ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ ჯიბეზე, რადგან ელზას-ლორენში აურაცხელი სიმდიდრეა, ხოლო გერმანელი კაპიტალისტები ფრანგ კაპიტალისტებს ეჩხუბებიან იმის გულისთვის, თუ ვინ უფრო მეტ ნაძარცვს მიიღებს. მათთვის ხელსაყრელია, როცა პლეხანოვები ამბობენ, ელზას-ლორენის განთავისუფლება წმიდა საქმეაო. ამიტომ როცა გერმანელი სოციალ-შოვინისტები ლაპარაკობენ ელზას-ლორენის საზღვრების მშვიდობიანად გასწორებაზე, ასე უნდა გაიგო: მშვიდობიანი გაყოფა ნადავლისა ფრანგ და გერმანელ იმპერიალისტებს შორის.

მე კიდევ უნდა დავუმატო: დამავიწყდა აღმენიშნა ის ფაქტი, რომ «ცენტრის» გერმანელი წარმომადგენლები — კაუცკი, ჰააზე, ლედებური — ამ კონფერენციაზე წავიდნენ. ეს უაღრესად სამარცხვინო ფაქტია მათთვის. ინგლისის და საფრანგეთის სოციალისტები ამ კონფერენციაზე არ მიდიან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ინგლის-საფრანგეთის შოვინისტები, ვითომ-სოციალისტები, საქმით ბურჟუაზიული აგენტები არიან, იმიტომ რომ ხელს უწყობენ იმპერიალისტური ომის განგრძობას, მიუხედავად იმ უდიდესი ღონისძიებისა, რომელსაც მიმართავს ბორგბიერგის საშუალებით გერმანიის სოციალისტური უმრავლესობა, იმიტომ რომ გერმანიის მთავრობა, უეჭველია, ბორგბიერგის საშუალებით ამბობს: მდგომარეობა ისეთია, რომ უნდა დაგითმოთ თქვენი ნადავლი (გერმანიის კოლონიები აფრიკაში). ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ გერმანია სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია, ახლა ამ ომის წარმოება ყოვლად უიმედოა, ქვეყანა დაღუპვის კარამდეა მისული. აი რატომ ამბობენ ისინი, მზად ვართ დავთმოთ თითქმის მთელი ნადავლიო, რადგან მაინც ცდილობენ ცოტა რამ წაგლიჯონ. დიპლომატები მშვენივრად ახერხებენ ერთმანეთს შორის კავშირის გაბმას, ხოლო ბურჟუაზიული გაზეთები, როცა უცხოეთის საქმეებზე წერენ, ფრაზებით ასულელებენ ხალხს.

ეჭვი არ არის, რომ როცა ინგლისის და საფრანგეთის სოციალ-შოვინისტებმა თქვეს. არ წავალთ კონფერენციაზეო, — მათ უკვე ყველაფერი იცოდნენ; ისინი მივიდნენ თავიანთ საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მათ უთხრეს: აი ფარული მიზეზი, და არ გვსურს, რომ თქვენ კონფერენციაზე წახვიდეთო. ასე, და მხოლოდ ასე, იყო საქმე.

ვნახოთ, თუ რუს ჯარისკაცებს მიუვათ ეს რეზოლუცია, — ეს კი, მე მგონია, უნდა ვქნათ ჩვენი პარტიის 70 000 წევრის სახელით, — მაშინ ისინი, მართლაც, გაიგებენ მთელ ამ ოინებს, რასაც მათ უმალავდნენ. ისინი მიხვდებიან მაშინ, რომ გერმანიას აღარ შეუძლია დაპყრობითი ომის განგრძობა, და ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ გერმანია ჩაახრჩონ და

საბოლოოდ გაძარცვონ. იმის უარყოფა, რომ ბორგბიერგი გერმანიის მთავრობის აგენტია, შეუძლებელია.

აი, ამხანაგებო, რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენ სოციალისტური ყრილობის ეს კომედია უნდა გამოვამზეუროთ. მთელი ეს ყრილობები მხოლოდ კომედიებია, რაც ხალხთა მასების ზურგს უკან დიპლომატების გარიგებებს ფარავს. ერთხელ და სამუდამოდ ისე უნდა ითქვას სიმართლე, რომ გაიგონონ ფრონტზე ჯარისკაცებმა და ყველა ქვეყნის მუშებმა. ჩვენი კამპანიაც ასეთ წინადადებათა გამო იქნება, ერთი მხრივ, განმარტება ჩვენი პროლეტარული ხაზისა, ხოლო მეორე მხრივ, ისეთი მასობრივი გამოსვლა, როგორიც ჯერ არ ყოფილა. აი რატომ მინდა გთხოვოთ შეძლებისდაგვარად მივიღოთ ეს მანიფესტი, გადავსცეთ აღმასრულებელ კომიტეტს, გადავთარგმნოთ უცხო ენებზე და ხვალ დავბეჭდოთ «პრავდაში».

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ. 9 მაისს (26 აპრილს) გაზეთ «პრავდაში» № 41

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

5

რეზოლუცია ბორგბიერგის წინადადების გამო

დანიელი «სოციალისტის» ბორგბიერგის ჩამოსვლისა და მისი წინადადების გამო — მონაწილეობა მივიღოთ სოციალისტების ყრილობაში ზავის მხარდასაჭერად, რომელსაც შეიდემანისა და პლეხანოვის მიმართულების გერმანელი სოციალისტები აყენებენ იმ პირობით, რომ გერმანიამ ხელი აიღოს თავისი ანექსიების უმეტეს ნაწილზე, კონფერენცია ადგენს:

ბორგბიერგი გამოდის სკანდინავიის სამი პარტიის, ე. ი. შვეციის, დანიისა და ნორვეგიის პარტიების სახელით. ამასთან რწმუნება მისთვის მიუცია შვეციის იმ პარტიას, რომლის სათავეშიც დგას ბრანტინგი, ე. ი. სოციალისტი, რომელიც გადავიდა «თავისი» ბურჟუაზიის მხარეზე და უღალატა ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციურ კავშირს. შვეციის ამ პარტიას ვერ მივიჩნევთ სოციალისტურ პარტიად. შვეციის სოციალისტურ პარტიად ჩვენ ვთვლით მხოლოდ ახალგაზრდების იმ პარტიას, რომელსაც სათავეში უდგანან ჰეგლუნდი, ლინდჰაგენი, შტრემი, კარლსონი და სხვ.

სწორედ ასევე სოციალისტურ პარტიად არ ვთვლით ჩვენ დანიის იმ პარტიას, რომლის რწმუნებაც აქვს ბორგბიერგს, რადგან ამ პარტიას სათავეში უდგას სტაუნინგი, ბურჟუაზიული სამინისტროს წევრი. ბურჟუაზიულ სამინისტროში სტაუნინგის შესვლამ გამოიწვია პროტესტი და ამ პარტიიდან გასვლა ერთი ჯგუფისა ამხ. ტრირის მეთაურობით; ამ ჯგუფმა განაცხადა, დანიის სოციალისტური პარტია ბურჟუაზიული პარტია გახდაო.

ბორგბიერგი, როგორც თვითონვე აღიარებს, მოქმედებს შეიდემანთან და სხვა იმ გერმანელ სოციალისტებთან შეთანხმებით, რომლებიც გერმანიის მთავრობისა და გერმანიის ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ.

ამიტომ სრულიად ეჭვი არ არის, რომ ბორგბიერგი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არსებითად, გერმანიის იმპერიალისტური მთავრობის აგენტია.

ამის გამო ჩვენი პარტიის მონაწილეობა იმ კონფერენციაში, სადაც ბორგბიერგი და შეიდემანი მონაწილეობენ, კონფერენციას პრინციპულად შეუწყნარებლად მიაჩნია, რადგან ჩვენი ამოცანაა გავაერთიანოთ არა სხვადასხვა იმპერიალისტური მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი აგენტები, არამედ ყველა ქვეყნის მუშები, რომლებიც რევოლუციურად ებრძვიან უკვე ომის დროს თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს.

მხოლოდ ასეთ პარტიებთან და ჯგუფებთან თათბირს და დაახლოებას შეუძლია ნამდვილად წაწიოს წინ ზავის დადების საქმე.

ჩვენ ვაფრთხილებთ მუშებს ნუ ენდობიან ბორგბიერგის მიერ მოწყობილ კონფერენციას, რადგან სინამდვილეში ვითომ-სოციალისტების ეს კონფერენცია იქნება კომედია, რომელიც დაფარავს მის ზურგს უკან იმ დიპლომატების მიერ გარიგებათა მოჭახრაკებას, რომლებიც ერთი სახის ანექსიებს ცვლიან მეორე სახის ანექსიებით, რუსეთის კაპიტალისტებს, მაგალითად, «აძლევენ» სომხეთს, ინგლისს «აძლევენ» მის მიერ მიტაცებულ გერმანიის კოლონიებს, ამის სანაცვლოდ გერმანიის კაპიტალისტებს «უთმობენ», შესაძლოა, ლორენის მადნიანი მიწების ნაწილს, სადაც მოიპოვება ჩინებული რკინის მადნის გაუგონარი სიმდიდრენი და სხვ.

სოციალისტებს არ შეუძლიათ, თუ პროლეტარულ საქმეს არ უღალატებენ, არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ მიიღონ მონაწილეობა ამ ბინძურ და ანგარებიან ჩარჩულ გარიგებაში სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტებს შორის მათ მიერ მოხვეჭილი ნადავლის გასაყოფად.

ამასთანავე კონფერენცია აღიარებს, რომ გერმანიის კაპიტალისტები, ბორგბიერგის თქმითაც კი, არ იღებენ ხელს ყველა მათ ანექსიაზე, იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები მათ მიერ ძალმომრეობით დაპყრობილი ოლქებიდან. ვინაიდან გერმანიის დანიური ოლქები, მისი პოლონური ოლქები, მისი ფრანგული ნაწილები ელზასში სწორედ ისეთივე ანექსიაა გერმანიის კაპიტალისტებისა, როგორც კურლანდია, ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა და სხვა რუსეთის მეფეებისა და რუსეთის კაპიტალისტების ანექსიას წარმოადგენენ.

რაც შეეხება პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას, ეს მოტყუებაა როგორც გერმანია-ავსტრიის კაპიტალისტების, ისე რუსეთის დროებითი მთავრობის მხრივ, რომელიც თითქოს პოლონეთისა და რუსეთის «თავისუფალი» სამხედრო კავშირის შესახებ უნდა ლაპარაკობდეს. ვინაიდან ყველა ანექსირებული ოლქის ხალხთა ნების ნამდვილად გამორკვევისათვის აუცილებელია ჯარების გაყვანა და მოსახლეობის თავისუფალი დაკითხვა. მხოლოდ ასეთი ღონისძიების გამოყენება მთელი პოლონეთისადმი (ე. ი. არა მარტო რუსეთის მიერ დაპყრობილის, არამედ გერმანიისა და ავსტრიის მიერ დაპყრობილისადმიც) და მთელი სომხეთისადმი და სხვ. იქნებოდა ნაბიჯის გადადგმა მთავრობის დაპირებათა საქმედ გადაქცევისათვის.

კონფერენცია შემდგომ ადგენს იმ ფაქტს, რომ ინგლისელმა და ფრანგმა სოციალისტებმა, რომლებიც თავიანთი კაპიტალისტური მთავრობების მხარეზე გადავიდნენ, უარი განაცხადეს გაემგზავრონ ბორგბიერგის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომლის აგენტები არიან ეს ვითომ-სოციალისტები, სურს განაგრძოს, სურს გააჭიანუროს ეს იმპერიალისტური ომი, არ სურს ისიც კი, რომ განიხილოს საკითხი იმ დათმობათა შესახებ, რომლებიც იძულებულია აღუთქვას ბორგბიერგის მეშვეობით გერმანიის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ მზარდი დაუძლუ-

რების, შიმშილის, რღვევისა და — რაც მთავარია — გერმანიაში მოახლოებული მუშათა რევოლუციის გავლენით.

კონფერენცია ადგენს განსაკუთრებით ფართოდ გამოაქვეყნოს ყველა ეს ფაქტი და, კერძოდ, რაც შეიძლება გულმოდგინედ გააცნოს ისინი რუს ჯარისკაცებს ფრონტზე; დაე იცოდნენ რუსმა ჯარისკაცებმა, რომ ინგლის-საფრანგეთისა და მათ კვალდაკვალ რუსეთის კაპიტალისტები ა ჭ ი ა ნ უ რ ე ბ ე ნ ო მ ს და ისიც კი არ სურთ, რომ მოაწყონ ასეთი თათბირი ზავის პირობების შესახებ.

დაე იცოდნენ რუსმა ჯარისკაცებმა, რომ ახლა ლოზუნგით «ომი სრულ გამარჯვებამდე» იფარება ინგლისის მისწრაფება — განამტკიცოს თავისი ბატონობა ბაღდადში და აფრიკის გერმანულ კოლონიებში, რუსეთის კაპიტალისტების მისწრაფება — გაძარცვოს და ჩაახრჩოს სომხეთი და სპარსეთი და სხვა, მისწრაფება გერმანიის სრული განადგურებისადმი.

დაე რუსმა ჯარისკაცებმა ფრონტზე მოაწყონ კენჭისყრა ყოველ სამხედრო ნაწილში, ყოველ პოლკში, ყოველ ასეულში, სურთ მათ ომის ასეთი გაჭიანურება კაპიტალისტების მიერ, თუ სურთ, რომ ომის რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებისათვის მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში გადავიდეს მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

რუსეთის პროლეტარიატის პარტია მონაწილეობას მიიღებს თათბირში და ძმურ კავშირს დაამყარებს სხვა ქვეყნების მხოლოდ იმ მუშათა პარტიებთან, რომლებიც რევოლუციურად იბრძვიან თავიანთ ქვეყანაში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლისათვის.

«პრავდა» № 41, 1917 წ.
9 მაისი (26 აპრილი)

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

6

სიტყვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულების შესახებ 25 აპრილს (8 მაისს)

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის რევოლუციამ განვლო მუნიციპალური რევოლუციის პერიოდი, რომ იგი განმტკიცდა ადგილობრივ თვითმმართველობებში, რომლებიც მისი დასაყრდენი გახდნენ. რუსეთის რევოლუციაში შემჩნეულია ერთგვარი ბიუროკრატიზმი ცენტრებში, საბჭოების ხელთ არსებული ძალაუფლების უფრო სრულად გამოყენება ადგილებზე პროვინციაში. დედაქალაქთა საბჭოები პოლიტიკურად უფრო მეტად არიან დამოკიდებული ბურჟუაზიულ ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ვიდრე **პროვინციის საბჭოები.** ცენტრებში ისე ადვილი როდია იკისრო წარმოების გაძღოლა, პროვინციაში ეს ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია. აქედან გამომდინარეობს დასკვნა — საჭიროა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების განმტკიცება. ამ მხრივ წინსვლა, უწინარეს ყოვლისა, შესაძლებელია პროვინციიდან.

«პრავდა» № 42, 1917 წ.
10 მაისი (27 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

7

საბჭოების შესახებ რეზოლუციის თეზისების მონასახი

მთელ რიგ ადგილობრივ ცენტრებში, განსაკუთრებით მუშათა ცენტრებში, საბჭოების როლი განსაკუთრებით დიდი აღმოჩნდა. შეიქმნა ერთხელისუფლებიანობა; ბურჟუაზია მთლიანად განიარაღებული და სავსებით დამორჩილებულია; გადიდებულია ხელფასი, შემოკლებულია სამუშაო დღე წარმოების შეუმცირებლად; უზრუნველყოფილია სურსათით მომარაგება; დაიწყო წარმოებისა და განაწილების კონტროლი; გადაყენებულია ყველა ძველი ხელისუფალი; ხდება გლეხთა რევოლუციური თაოსნობის წახალისება როგორც ხელისუფლების საკითხში (ყველა ძველ ხელისუფალთა გადაყენება და ახალ ხელისუფალთა დანიშვნა), ისე მიწის საკითხში.

დედაქალაქში და ზოგიერთ დიდ ცენტრში შემჩნეულია საწინააღმდეგო მოვლენა: საბჭოების შემადგენლობა ნაკლებ პროლეტარულია; აღმასრულებელ კომიტეტებში გაცილებით უფრო დიდია წვრილბურჟუაზიული ელემენტების გავლენა, აგრეთვე — განსაკუთრებით კომისიებში — «ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა», რაც აყოვნებს მასების რევოლუციურ თაოსნობას, **ბიუროკრატიულს ხდის** მასების რევოლუციურ მოძრაობას და მათ რევოლუციურ ამოცანებს, აფერხებს ყოველგვარი რევოლუციური ზომების მიღებას, რომელთაც შეუძლიათ კაპიტალისტების ინტერესების «შელახვა».

სავსებით ბუნებრივი და გარდუვალია, რომ დედაქალაქში რევოლუციური ენერგიის ყველაზე მეტად განვითარების შემდეგ, დედაქალაქში, სადაც ხალხმა და განსაკუთრებით მუშებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ცარიზმის დასამხობად, სადაც ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება დამხობილი აღმოჩნდა და კაპიტალის ყველაზე უფრო ცენტრალიზებულმა ბატონობამ ძალაუფლების მაქსიმუმი მიანიჭა კაპიტალისტებს, — საბჭოების ძალაუფლება (და პროლეტარიატის ძალაუფლებაც) სუსტი აღმოჩნდა, რევოლუციის შემდგომი **განვითარების** ამოცანა განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა, რევოლუციის ახალ ეტაპზე გადასვლა განსაკუთრებით მძიმეა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობა ყველაზე ძლიერია.

აქედან: ვიდრე დედაქალაქებსა და უდიდეს ცენტრებში მთავარ ძალ-ღონეს ვანდომებთ ძალების მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს რევოლუციის მეორე ეტაპის **დასამთავრებლად,** — ადგილობრივ უ შ უ ა ლ ო დ შეიძლება და კიდევაც უნდა წავწიოთ წინ რევოლუცია, გავახორციელოთ მუშათა დეპუტატების საბჭოების ერთხელისუფლებიანობა, განვავითაროთ მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციური ენერგია, გადავიდეთ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების კონტროლზე და სხვ.

გამოისახა რევოლუციის განვითარების შემდეგი მსვლელობა: (1) ძველი ხელისუფლების გადაყენება ცენტრში; (2) ძალაუფლების ხელში ჩაგდება ბურჟუაზიის მიერ იმის გამო, რომ პროლეტარიატი მოუმზადებელია **გიგანტური** საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანებისათვის; (3) რევოლუციის გადასვლა ადგილებზე; (4) ადგილებზე ძალიან ხშირად, განსაკუთრებით პროლეტარულ ცენტრებში, კომუნები და მასების რევოლუციური ენერგიის განვითარება; (5) მიწა — იტაცებენ etc. *; (6) ქარხნები; მათი კონტროლი; (7) ერთხელისუფლებიანობა; (8) ადგილობრივი, მუნიციპალური რევოლუცია წინ მიდის; (9) გაბიუროკრატება, ბურჟუაზიისადმი დამორჩილება ცენტრში.

---

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

დასკვნები: (α) 1: მომზადება ცენტრში (ძალების მომზადება ახალი რევოლუციისათვის); (β) 2: რევოლუციის **წინ** წაწევა (ძალაუფლება? მიწა? ქარხნები?) ადგილებზე; (γ) 3: კომუნები ადგილებზე, ე. ი. (αα) ადგილების სრული ავტონომია; თვითნებურად; (ββ) უპოლიციოდ, უმოხელეებოდ, შეიარაღებული მუშათა და გლეხთა მასების სრულძალაუფლებიანობა; (δ) 4: ბრძოლა წვრილბურჟუაზიული ელემენტების გამაბიუროკრატებელ და ბურჟუაზიულ-დამამშვიდებელ გავლენასთან; (ε) 5: გამოცდილების მიღება ადგილებიდან ცენტრისთვის **ბიძგის მისაცემად: «ადგილები»** მაგალითის მიმცემი ხდებიან.

(ς) 6: მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებისათვის იმის განმარტება, რომ ადგილებზე რევოლუციის წარმატების მიზეზია პროლეტარიატის ერთხელისუფლებიანობა და დიქტატურა.

(η) 7: რა თქმა უნდა, ცენტრში **უფრო ძნელია**, მეტ დროს მოითხოვს.

+ (*i*) 8: რევოლუციის განვითარება დიდ ქალაქთა უბნებიდან და გარეუბნებიდან შექმნილი **კომუნების** მიხედვით...

(κ) 9: «ბურჟუაზიის დამქაშებად» გადაქცევა (დედაქალაქებში და სხვ.).

დაწერილია 1917 წ.
25 — 26 აპრილს (8 — 9 მაისს)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში IV

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

8

სიტყვა ომის შესახებ რეზოლუციის დასაცავად 27 აპრილს (10 მაისს)

ამხანაგებო, პირვანდელი პროექტი რეზოლუციისა ომის შესახებ მე წავიკითხე საერთო საქალაქო კონფერენციაზე. იმ კრიზისის გამო, რომელმაც პეტროგრადში ყველა ამხანაგის ყურადღება და ძალები მიიპყრო, ჩვენ ვერ შევძელით ამ პროექტის შესწორება. მაგრამ გუშინ და დღეს კომისია წარმატებით მუშაობდა, პროექტში მოხდა ცვლილებები, ის ძალზე შემოკლდა და, ჩვენი აზრით, გაუმჯობესდა.

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ რეზოლუციის აგების შესახებ. ის დაყოფილია სამ ნაწილად: პირველი ნაწილი ეხება ომის კლასობრივ ანალიზს, რომელსაც თან ერთვის ჩვენი პრინციპული დამოკიდებულების სახით ის, თუ რად აფრთხილებს პარტია მასას, რომ არავითარ შემთხვევაში არ ენდოს მთავრობის დაპირებებს და არასგზით მხარი არ დაუჭიროს დროებით მთავრობას. რეზოლუციის მეორე ნაწილი ეხება რევოლუციურ ობორონცობას, როგორც არაჩვეულებრივ ფართო მასობრივ მიმდინარეობას, რომელმაც ამჟამად ჩვენ წინააღმდეგ შეამჭიდროვა ხალხის დიდი უმრავლესობა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ განვსაზღვროთ ამ რევოლუციური ობორონცობის კლასობრივი მნიშვნელობა, რა არის მისი არსი, როგორია ძალთა რეალური თანაფარდობა და

როგორ ვებრძოლოთ ამ მიმდინარეობას. რეზოლუციის მესამე ნაწილი ეხება იმ საკითხს, თუ როგორ დავამთავროთ ომი. ამ პრაქტიკულ საკითხზე, რომელსაც პარტიისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, საჭირო იყო დაწვრილებით გაგვეცა პასუხი, და გვგონია, რომ ჩვენ შევძელით დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა ამ საკითხზე. «პრავდის» მთელ რიგ სტატიებსა და პროვინციულ გაზეთებში (რომელთაც წესიერად ვერ ვღებულობთ: ფოსტა არ მუშაობს და შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ, რომ ადგილობრივი ფურცლები წამოვიღოთ ცენტრალური კომიტეტისათვის), სადაც მრავალი სტატია იყო მოთავსებული ომის შესახებ, გამოირკვა უარყოფითი დამოკიდებულება ომისადმი და სესხის საკითხისადმი. მე ვფიქრობ, სესხის საწინააღმდეგოდ ხმისმიცემამ გადაჭრა რევოლუციური ობორონცობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების საკითხი. მე შესაძლებლობა არა მაქვს უფრო დაწვრილებით შევჩერდე ამაზე.

«თანამედროვე ომი მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ იმპერიალისტური ომია, ე. ი. ისეთი ომი, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ მსოფლიოზე ბატონობით მოპოვებული მოგების გასაყოფად, ფინანსური (საბანკო) კაპიტალისთვის ბაზრების მოსაპოვებლად, სუსტ ეროვნებათა დასაბორჩილებლად და სხვ.».

ძირითადი და უპირველესი დებულება ეს არის საკითხი ომის შინაარსის შესახებ, საკითხი ზოგადი და პოლიტიკური ხასიათისა, სადავო საკითხი, რომელსაც კაპიტალისტები და სოციალ-შოვინისტები გულმოდგინედ გვერდს უვლიან. ამიტომ ჩვენ ეს საკითხი პირველ ადგილას უნდა დავსვათ და დავუმატოთ შემდეგი:

«ომის ყოველი დღე ამდიდრებს ფინანსურ და სამრეწველო ბურჟუაზიას, აჩანაგებს და აუძლურებს ყველა მეომარი, ხოლო შემდეგ ნეიტრალური ქვეყნის პროლეტარიატისა და გლეხობის ძალებს. რუსეთში კი ომის გაჭიანურება, გარდა ამისა, უდიდეს საშიშროებას უქმნის რევოლუციის მონაპოვართ და მის შემდგომ **განვითარებას.**

რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლამ დროებითი მთავრობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის ხელში, ვერ შეცვალა და მას არც შეეძლო შეეცვალა რუსეთის მხრივ ომის ასეთი ხასიათი და მნიშვნელობა».

აი ამ, ჩემ მიერ ახლა წაკითხულ, ფრაზას დიდი მნიშვნელობა აქვს მთულ ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციაში. შეიცვალა თუ არა ახლა და შესაძლებელია თუ არა შეიცვალოს ომის კლასობრივი ხასიათი? ჩვენი პასუხი ემყარება იმას, რომ ძალაუფლება გადავიდა მემამულეებისა და კაპიტალისტების, იმავე მთავრობის ხელში, რომელმაც ეს ომი მოამზადა. შემდეგ გადავდივართ ერთ-ერთ იმ ფაქტზე, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად ააშკარავებს ომის ხასიათს. ერთია — კლასობრივი ხასიათი, გამოხატული მთელ პოლიტიკაში, რომელსაც განსაზღვრული კლასები მთელი ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდნენ, და სულ სხვაა ომის თვალსაჩინო კლასობრივი ხასიათი.

«ეს ფაქტი განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა იმით, რომ ახალმა მთავრობამ არათუ არ გამოაქვეყნა ის საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლებიც მეფე ნიკოლოზ მეორემ დადო ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა კაპიტალისტურ მთავრობებთან, არამედ ფორმალურადაც, ხალხის დაუკითხავად, დაადასტურა ეს საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლებიც რუსეთის კაპიტალისტებს ჰპირდება ჩინეთის, სპარსეთის, თურქეთის, ავსტრიისა და სხვ. გაძარცვას. ამ ხელშეკრულებათა დამალვით რუსი ხალხი ტყუვდება ომის ნამდვილი ხასიათის შესახებ».

ამრიგად, მე ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ მივუთითებთ იმაზე, რაც განსაკუთრებით თვალნათლივ ადასტურებს ომის ხასიათს. თუნდაც ხელშეკრულებები სულაც რომ არ ყოფილიყო, ომის ხასიათი სრულიადაც არ შეიცვლებოდა, იმიტომ რომ კაპიტალისტთა ჯგუფებს შორის შეთანხმება ძალიან ხშირად შეიძლება მიღწეულ იქნეს ყოველგვარ ხელშეკრულებათა გარეშეც. მაგრამ ხელშეკრულებები არსებობს, მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით აშკარაა,

და ჩვენც, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა მუშაობის გასაერთიანებლად, განსაკუთრებით საჭიროდ ვთვლით ხაზგასმით აღვნიშნოთ ეს ფაქტი და გადავწყვიტეთ გამოვყოთ ეს პუნქტი. ხალხის ყურადღება ამ ფაქტზეა მიპყრობილი, და კიდევაც უნდა იყოს მიპყრობილი, მით უფრო, რომ ეს ხელშეკრულებები ჩვენში დადებულია უკვე დამხობილი მეფის მიერ, ასე რომ ხალხის ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ ომს მთავრობები აწარმოებენ ძველი მთავრობების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით. მე ვფიქრობ, რომ აქ ყველაზე უფრო მკაფიოდ აშკარავდება წინააღმდეგობა კაპიტალისტთა ინტერესებსა და ხალხის ნებას შორის, და აგიტატორების ამოცანაა გამოააშკარაონ ეს წინააღმდეგობა და მიაპყრონ მას ხალხის ყურადღება, ეცადონ გაათვითცნობიერონ მასები, მიმართონ მათს კლასობრივ შეგნებას. ამ ხელშეკრულებათა შინაარსი კი ისეთია, რომ შეუძლებელია ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ისინი კაპიტალისტებს პირდებიან აურაცხელ მოგებას სხვა ქვეყნების გაძარცვით, რამდენადაც ეს ხელშეკრულებები ყველა ქვეყანაში მუდამ საიდუმლოდ რჩება. არ არსებობს ქვეყნად არც ერთი რესპუბლიკა, რომელიც საგარეო პოლიტიკას აშკარად აწარმოებდეს. ვიდრე კაპიტალისტური წყობილება არსებობს, იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ კაპიტალისტები თავიანთ სავაჭრო დავთრებს გაშლიან. რაკი არსებობს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, იგი შეიცავს აგრეთვე აქციების და ფინანსური ოპერაციების კერძო საკუთრებასაც. ახლანდელი დიპლომატიის მთავარი საფუძველი სწორედ ეს ფინანსური ოპერაციებია, რაც სუსტ ეროვნებათა გაძარცვასა და ჩახრჩობას ნიშნავს. აი, ჩვენი თვალსაზრისით, ის ძირითადი დებულებანი, რომლებიდანაც გამომდინარეობს ომის მთელი შეფასება. მათგან ჩვენ გამოგვყავს დასკვნა:

«ამიტომ პროლეტარული პარტია ვერ დაუჭერს მხარს ვერც ახლანდელ ომს, ვერც ახლანდელ მთავრობას, ვერც მის სესხებს, თუ არ უნდა სრულიად ჩამოშორდეს ინტერნა-

ციონალიზმს, ე. ი. ყველა ქვეყნის მუშათა ძმურ სოლიდარობას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში».

ეს არის ჩვენი მთავარი, ძირითადი დასკვნა, რომელიც განსაზღვრავს მთელ ჩვენს ტაქტიკას და გამოგვყოფს ჩვენ ყველა სხვა პარტიისაგან, რა სოციალისტურ სახელწოდებასაც უნდა ირქმევდნენ ისინი. ეს დებულება, რომელიც ყველა ჩვენთაგანისათვის უდავოა, წინასწარ წყვეტს ყველა სხვა პოლიტიკური პარტიისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხს.

შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენმა მთავრობამ განსაკუთრებით ფართოდ დააყენა დაპირებათა საკითხი. ამ დაპირებათა გარშემო წარმოებს ხანგრძლივი კამპანია საბჭოებისა, რომლებიც დაიბნენ ამ დაპირებათა გამო და გულს უწყალებენ ხალხს. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კლასობრივი მდგომარეობის წმინდა ობიექტურ ანალიზს დავურთოთ დაპირებათა შეფასება, იმ დაპირებათა, რომელთაც მარქსისტისთვის, რა თქმა უნდა, თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. მაგრამ ფართო მასებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, პოლიტიკისთვის კი კიდევ უფრო მეტი. პეტროგრადის საბჭო დაიბნა ამ დაპირებებში, წონას აძლევს მათ და მხარდაჭერას აღუთქვამს. აი რატომ ვუმატებთ ამ პუნქტს შემდეგ ფორმულირებას:

«არავითარი ნდობის ღირსი არ არიან ახლანდელი მთავრობის დაპირებანი, რომ იგი ხელს აიღებს ანექსიებზე, ე. ი. უცხო ქვეყნების დაპყრობაზე ან რუსეთის ფარგლებში რომელიმე ეროვნების ძალდატანებით დატოვებაზე».

რადგან სიტყვა «ანექსია» უცხო სიტყვაა, ამიტომ ჩვენ მას ვაძლევთ ზუსტ პოლიტიკურ განსაზღვრას, რის მოცემაც არ შეუძლიათ არც კადეტთა პარტიას, არც წვრილბურჟუაზიული დემოკრატების (ნაროდნიკების და მენშევიკების) პარტიებს. არ მოიპოვება სიტყვები, რომელთაც ასე უაზროდ და უშნოდ ხმარობდნენ.

«ვინაიდან, ჯერ-ერთი, კაპიტალისტები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საბანკო კაპიტალის ათასნაირი ძაფით, ხელს ვერ აიღებენ ანექსიებზე ამ ომში, თუ

ხელს არ აიღებენ იმ მილიარდების მოგებაზე, რაც მათ დაბანდებული- აქვთ სესხებში, კონცესიებში, სამხედრო საწარმოებში და სხვ.; მეორეც, ახალმა მთავრობამ, რომელმაც ანექსიებზე უარი თქვა ხალხის მოსატყუებლად, მილიუკოვის პირით განაცხადა მოსკოვში 1917 წლის 9 აპრილს, რომ მთავრობა ანექსიებზე ხელს არ იღებს, ხოლო 18 აპრილის ნოტით და მისი 22 აპრილის განმარტებით მან დაადასტურა თავისი პოლიტიკის მტაცებლური ხასიათი.

ამიტომ კონფერენცია, აფრთხილებს რა ხალხს არ დაუჯეროს კაპიტალისტთა ცარიელ დაპირებებს, აცხადებს, რომ სასტიკად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ანექსიებზე ხელის აღება სიტყვით და ანექსიებზე ხელის აღება საქმით, ე. ი. დაუყოვნებლივ გამოქვეყნება და გაუქმება ყველა საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებისა და დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს ყველა ეროვნებას უფლება თავისუფალი კენჭისყრით გადაწყვიტოს საკითხი: დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყოფნა სურთ მათ, თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა».

ამის აღნიშვნა საჭიროდ ვცანით, იმიტომ რომ უანექსიო ზავის საკითხი ძირითადი საკითხია ყველა ამ დისკუსიაში ზავის პირობების შესახებ. ყველა პარტია აღიარებს, რომ ზავი ალტერნატივა გახდება და ზავი ანექსიებით გაუგონარ კატასტროფად გადაიქცევა ყველა ქვეყნისთვის. და იმ ხალხის წინაშე, რომლის ქვეყანაშიც პოლიტიკური თავისუფლება არსებობს, მხოლოდ უანექსიო ზავის საკითხი შეიძლება დაისვას. ამიტომ იძულებული ხდებიან მიემხრონ უანექსიო ზავს, და მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ იცრუონ ანექსიის ცნების გაბუნდოვანებით ანდა გვერდი აუარონ ამ საკითხს. «რეჩი», მაგალითად, გაჰყვირის: კურლანდიის დაბრუნება სწორედ ანექსიებზე ხელის აღება�ა. როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წინაშე ვლაპარაკობდი, ერთი ჯარისკაცი წერილობით შემეკითხა: «ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კურლანდიის დასაბრუნებლად. ნუთუ კურლანდიის ბრძოლით დაბრუნება ანექსიის მომხრეობას ნიშნავსო?» მე იძულე-

ბული ვიყავი დადებითად მეპასუხნა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ გერმანიამ ძალით შეიერთოს კურლანდია, მაგრამ იმის წინააღმდეგიც ვართ, რომ რუსეთმა ძალით დააკავოს კურლანდია. მაგალითად, ჩვენმა მთავრობამ გამოსცა მანიფესტი პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ და ააავსო იგი არაფრისმთქმელი ფრაზებით. მათ დაწერეს, რომ პოლონეთს თავისუფალი სამხედრო კავშირი უნდა ჰქონდეს რუსეთთანო. ეს სამი სიტყვა შეიცავს მხოლოდ სიმართლეს. პატარა პოლონეთის თავისუფალი სამხედრო კავშირი უზარმაზარ რუსეთთან — ნამდვილად პოლონეთის სრული სამხედრო დამონება იქნება. პოლიტიკურად ასეთ კავშირს შეუძლია პოლონეთს თავისუფლება მიანიჭოს, მაგრამ მის საზღვრებს მაინც სამხედრო კავშირი დაადგენს.

თუ ჩვენ იმისათვის ვიბრძოლებთ, რომ რუსეთის კაპიტალისტები ძველ საზღვრებში დაეუფლონ კურლანდიას და პოლონეთს — მაშასადამე, გერმანიის კაპიტალისტებსაც უფლება აქვთ ძარცვონ კურლანდია. მათ შეუძლიათ გვიპასუხონ: ჩვენ ერთად ვძარცვავდით პოლონეთს. როცა ჩვენ XVIII საუკუნის დამლევს პოლონეთის დაქუცმაცება დავიწყეთ, პრუსია მაშინ ძალიან პატარა და სუსტი სახელმწიფო იყო, რუსეთი კი დიდი, ამიტომაც რუსეთმა უფრო მეტი ნადავლი ირგო. ახლა ჩვენ უფრო ძლიერი ვართ, ამიტომ ნება გვიბოძეთ მეტი წილი ჩვენ წავგლიჯოთო. ყოვლად შეუძლებელია კაპიტალისტების ამ ლოგიკის წინააღმდეგ რაიმე ითქვას. იაპონია 1863 წელს არაფერს არ წარმოადგენდა რუსეთთან შედარებით, 1905 წელს კი რუსეთს შავი დღე დააყენა. გერმანია 1863 — 1873 წლებში არაფერს არ წარმოადგენდა ინგლისთან შედარებით, ახლა კი მასზე უფრო ძლიერია: მათ შეუძლიათ თქვან: ჩვენ სუსტი ვიყავით, როცა კურლანდია წაგვართვით, ახლა თქვენზე უფრო გავძლიერდით და გვინდა იგი წაგართვათო. ანექსიებზე ხელის აუღებლობა ნიშნავს დაუსრულებელი ომების გამართლებას სუსტ ეროვნებათა დასაპყრობად. ანექსიებზე ხელის აღება იმას ნიშნავს, რომ ყოველ ხალხს უფლება მიენიჭოს თავისუფლად გადაწყვიტოს —

სურს მას ცალკე იცხოვროს თუ სხვებთან ერთად. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა ჯარის გამოყვანა. ანექსიების საკითხში მცირედი მერყეობის გამოჩენა ნიშნავს დაუსრულებელი ომების გამართლებას. მაშასადამე, ჩვენ ამ მხრივ არავითარი მერყეობა არ შეგვეძლო დაგვეშვა. ანექსიების მიმართ ჩვენი პასუხია — ხალხთა თავისუფალი გადაწყვეტილება. როგორ უნდა მოეწყოს საქმე, რომ ეს პოლიტიკური თავისუფლება აგრეთვე ეკონომიური თავისუფლებაც იყოს? ამისათვის საჭიროა ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში და კაპიტალის უღლის გადაგდება.

ახლა გადავდივარ რეზოლუციის მეორე ნაწილზე.

«ეგრეთწოდებული «რევოლუციური ობორონცობა», რომელიც ახლა რუსეთში მოედო ყველა ნაროდნიკულ პარტიას (სახალხო-სოციალისტებს, ტრუდოვიკებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს) და სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ოპორტუნისტულ პარტიას (ორგანიზაციულ კომიტეტს, ჩხეიძეს, წერეთელს და სხვებს), აგრეთვე უპარტიო რევოლუციონერთა უმრავლესობას, თავისი კლასობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს, ერთი მხრივ, იმ შეძლებულ გლეხთა და წვრილ მეპატრონეთა ერთი ნაწილის ინტერესებსა და თვალსაზრისს, რომლებიც, კაპიტალისტების მსგავსად, მოგებას იძენენ სუსტი ხალხების მიმართ ძალადობის გამოყენებით. მეორე მხრივ, «რევოლუციური ობორონცობა» შედეგია იმისი, რომ კაპიტალისტები ატყუებენ ქალაქისა და სოფლის პროლეტარების და ნახევრადპროლეტარების ერთ ნაწილს, რომლებიც თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით არ არიან დაინტერესებული კაპიტალისტთა მოგებით და იმპერიალისტური ომით».

მაშასადამე, აქ ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გავარკვიოთ. რომელი ფენებიდან შეიძლებოდა წარმოშობილიყო და კიდევაც წარმოიშვა ობორონცული განწყობილება. რუსეთი უაღრესად წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა და წვრილი ბურჟუაზიის ზედაფენები პირდაპირ დაინტერესებული არიან ამ ომის განგრძობით. შეძლებული გლეხობა, კაპიტალისტთა მსგავსად, აქედან მოგებას იღებს. მეორე მხრივ, პროლეტარიატის და

ნახევრადპროლეტარიატის მასა ანექსიებით დაინტერესებული არ არის, რადგან საბანკო კაპიტალის მოგებას ისინი არ ღებულობენ. როგორ მოხდა, რომ ეს კლასები რევოლუციური ობორონცობის თვალსაზრისზე დადგნენ? რევოლუციური ობორონცობისადმი ამ კლასთა ასეთი დამოკიდებულება შედეგია კაპიტალისტების იდეოლოგიის გავლენისა, რაც რეზოლუციაში გამოხატულია სიტყვით: «მოტყუება». ისინი ვერ არჩევენ კაპიტალისტთა ინტერესებს ქვეყნის ინტერესებისაგან. აქედან ჩვენთვის გამომდინარეობს დასკვნა:

«კონფერენციას უდავოდ შეუწყნარებლად და საქმით ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმისაგან სრულ ჩამოშორებად მიაჩნია რაიმე დათმობა რევოლუციური ობორონცობისათვის. რაც შეეხება ხალხის ფართო მასების ობორონცულ განწყობილებას, ჩვენი პარტია შეებრძოლება ამ. განწყობილებას იმ ჭეშმარიტების დაუღალავი ახსნა-განმარტებით, რომ კაპიტალისტთა მთავრობისადმი შეუგნებლად-მიმნდობი დამოკიდებულება ამჟამად ომის ჩქარა დამთავრების ერთერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია».

აი აქ უკანასკნელ სიტყვებში გამოხატულია ის თავისებურება, რომელიც მკვეთრად განასხვავებს რუსეთს დასავლეთის ყველა დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნისაგან და ყველა კაპიტალისტურ-დემოკრატიული რესპუბლიკისაგან. ვინაიდან იქ არ ითქმის, რომ შეუგნებელი მასების ნდობა ომის განგრძობის მთავარი მიზეზი იყოს. იქ მასები ამჟამად სამხედრო დისციპლინის რკინის მარწუხებშია მომწყვდეული, და მით უფრო მეტია დისციპლინა, რაც უფრო დემოკრატიულია რესპუბლიკა, რადგან ამ უკანასკნელში უფლება «ხალხის ნებას» ემყარება. რუსეთში რევოლუციის გამო ეს დისციპლინა აღარ არის. მასები თავისუფლად ირჩევენ წარმომადგენლებს საბჭოებში — ეს ისეთი მოვლენაა, რასაც დღეს მსოფლიოში ვერსად დაინახავ. მაგრამ ეს მასები შეუგნებლად მიმნდობია, და აქედან გამომდინარეობს მათი გარკვეული გამოყენება ბრძოლისათვის. ახსნა-განმარტების გარდა აქ

ვერაფერს გააწყობ. ახსნა-განმარტება აქ უნდა ეხებოდეს პირდაპირ რევოლუციურ ამოცანებს და მოქმედების წესებს. როცა მასები თავისუფალი არიან, მასებისათვის განუმარტებლად, უმცირესობის სახელით რაიმეს გაკეთების ცდა უაზრო ბლანკიზმი, — უბრალო ავანტიურისტული ცდა იქნებოდა. მხოლოდ მასის დაპყრობით — თუ მისი დაპყრობა შეიძლება — მხოლოდ ასე ვქმნით ჩვენ მტკიცე დასაყრდენს პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის გასამარჯვებლად.

გადავდივარ რეზოლუციის მესამე ნაწილზე:

«რაც შეეხება ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ დავამთავროთ რაც შეიძლება მალე და ამასთან არა ძალდატანებითი, არამედ ჭეშმარიტად დემოკრატიული ზავით კაპიტალისტების ეს ომი, კონფერენცია აღიარებს და ადგენს:

ეს ომი შეუძლებელია დამთავრდეს იმით, რომ მარტო ერთი მხარის ჯარისკაცებმა უარი თქვან ომის განგრძობაზე, რომ ერთ-ერთმა მეომარმა მხარემ უბრალოდ შეწყვიტოს საომარი მოქმედება».

ამ აზრს ომის ასე დამთავრების შესახებ ძალიან ხშირად გვახვევენ თავს ისინი, ვისაც უნდა გაიადვილოს ბრძოლა მოწინააღმდეგესთან, მის შეხედულებათა დამახინჯებით — ეს ჩვეულებრივი ხერხია კაპიტალისტებისა, რომლებიც გვაწერენ ჩვენ ომის უაზრო დამთავრების სურვილს ცალმხრივი უარის თქმით. ისინი გვიპასუხებენ: «ომის დამთავრება შეუძლებელია ხიშტების მიწაში ჩარჭობითო», როგორც გამოხატა ეს ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც ტიპიური რევოლუციური ობორონეცია. ეს არ არის პასუხი, ვამბობ მე. ეს ანარქისტული იდეაა, ვითომ შეიძლებოდეს ომის დამთავრება მმართველი კლასების შეუცვლელად; ეს იდეა ან ანარქისტულია, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფოებრივი აზრი, ან ბუნდოვან-პაციფისტურია, და სრულიად არ ესმის რა კავშირია პოლიტიკასა და მჩაგვრელ კლასს შორის. ომი ბოროტებაა, ხოლო ზავი სიკეთე... რა თქმა უნდა, ეს იდეა უნდა განემარტოს მასებს, უნდა გავრცელდეს მათში. და საერთოდაც რომ ვთქვათ, ყველა ჩვენი რეზოლუცია იწერება ხელმძღვა-

ნელი ფენებისთვის, მარქსისტებისთვის; ეს რეზოლუციები არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება მასების საკითხავად, არამედ მათ მთელი პოლიტიკის გამაერთიანებელი სახელმძღვანელო უნდა მისცენ ყოველ პროპაგანდისტსა და აგიტატორს. ამისათვის მიმატებულია კიდევ ერთი აბზაცი:

«კონფერენცია კიდევ და კიდევ აცხადებს პროტესტს იმ მდაბალი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ავრცელებენ, სახელდობრ, ვითომც ჩვენ თანავუგრძნობდეთ გერმანიასთან სეპარატიულ (ცალკე) ზავს. გერმანიის კაპიტალისტებს ჩვენ ისეთივე ყაჩაღებად ვთვლით, როგორც რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. კაპიტალისტებს, ხოლო იმპერატორ ვილჰელმს ისეთივე გვირგვინოსან ავაზაკად, როგორც ნიკოლოზ მეორეს და ინგლისის, იტალიის, რუმინეთისა და ყველა სხვა მონარქს».

ამ მუხლმა კომისიაში ერთგვარი კამათი გამოიწვია, ერთი მხრივ, იმის გამო, ვითომ ამ ადგილას ჩვენ მეტად პოპულარული ენით ვლაპარაკობთ, ხოლო, მეორე მხრივ — ვითომ ინგლისის, იტალიის და რუმინეთის მონარქებს არ დაუმსახურებიათ ისეთი პატივი, რომ აქ იყვნენ ჩართულნი. მაგრამ საფუძვლიანი კამათის შემდეგ ჩვენ ერთსულოვნად შევთანხმდით იმაზე, რომ ამჟამად, როცა მიზნად დავისახეთ უარვყოთ ის ცილისწამება, რომელსაც მიმართავს «ბირჟევკა» უმეტეს ნაწილად უხეშად, «რეჩი» მოხერხებულად, ხოლო «ედინსტვო» პირდაპირი გადაკვრით ჩვენი მისამართით, — ასეთ საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოვიდეთ ამ ცნებების რაც შეიძლება მკვეთრი და სასტიკი კრიტიკით, რადგან მხედველობაში გვყავს უაღრესად ფართო მასები. ხოლო რადგან გვეუბნებიან: თუ ვილჰელმს ყაჩაღად თვლით, დაგვეხმარეთ მის დამხობაშიო, ჩვენ ხომ შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ სხვებიც ყაჩაღები არიან, და მათაც უნდა ვებრძოლოთ, ასე რომ არ უნდა დავიწყოთ იტალიის და რუმინეთის მეფეებიც, ასეთები ჩვენი მოკავშირეების რიგებშიც მოინახებიან. ეს ორი აბზაცი შეიცავს იმ ცილისწამების უარყოფას, რომლის მიზანია საქმე მხოლოდ რბევითა და ლანძღვა-გინებით შემო-

ფარგლოს. აი ამიტომ ჩვენ შემდეგ უნდა გადავიდეთ სერიოზულ პრაქტიკულ საკითხზე, თუ როგორ დავამთავროთ ეს ომი.

«ჩვენი პარტია მოთმინებით, მაგრამ დაჟინებით განუმარტავს ხალხს იმ ჭეშმარიტებას, რომ ომებს აწარმოებენ მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი, რომ ომები ყოველთვის განუყრელად დაკავშირებულია განსაზღვრული კ ლ ა ს ე ბ ი ს პოლიტიკასთან, რომ ეს ომი შეიძლება დემოკრატიული ზავით დავამთავროთ მ ხ ო ლ ო დ მაშინ, თუ მთელი სახელმწიფო ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მეომარ ქვეყანაში, გადავა პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა კლასის ხელში, რომელსაც მართლაც შესწევს უნარი ბოლო მოუღოს კაპიტალის მხრივ ჩაგვრას».

მარქსისტისთვის ეს ჭეშმარიტებანი, რომ ომები კაპიტალისტთა მიერ წარმოებს და რომ ისინი კაპიტალისტთა კლასობრივ ინტერესებთან არის დაკავშირებული — აბსოლუტური ჭეშმარიტებანია. მარქსისტი ამაზე ვერ შეჩერდება. მაგრამ ფართო მასებს ყველა დახელოვნებულმა პროპაგანდისტმა და აგიტატორმა ეს ჭეშმარიტება უცხო სიტყვათა ხმარების გარეშე უნდა აუხსნას, იმიტომ რომ ჩვენში კამათი ჩვეულებრივ სრულიად უნაყოფო, ფუჭ ლანძღვა-გინებად იქცევა ხოლმე. და ამას ვუბრუნდებით რეზოლუციის ყველა ნაწილში. ჩვენ ვამბობთ: ომი რომ გავიგოთ, უნდა ვიკითხოთ, ვისთვის არის იგი ხელსაყრელი; იმის გასაგებად, თუ როგორ დავამთავროთ ომი, უნდა ვიკითხოთ, რომელი კლასებისთვის არ არის იგი ხელსაყრელი. აქ კავშირი ცხადია, და აქედან გამომდინარეობს დასკვნა:

«რევოლუციური კლასი, როგორც კი აიღებდა სახელმწიფო ხელისუფლებას რუსეთში, მიიღებდა მთელ რიგ ზომებს კაპიტალისტთა ეკონომიური ბატონობის ძირის გამოსათხრელად და მათი სრული პოლიტიკური გაუვნებლებისათვის; იგი დაუყოვნებლივ და აშკარად შესთავაზებდა ყველა ხალხს დემოკრატიულ ზავს ყოველგვარ ანექსიებზე სრულიად ხელის აღების საფუძველზე».

თუ ჩვენ რევოლუციური კლასის სახელით ვლაპარაკობთ, ხალხს უფლება აქვს შეგვეკითხოს: თქვენ რომ მათ ადგილას იყოთ, რას იზამდით ომის დასამთავრებლადო? ეს აუცილებელი შეკითხვაა. ახლა ხალხი ჩვენ გვირჩევს თავის წარმომადგენლებად და ჩვენც სავსებით ზუსტი პასუხი უნდა გავცეთ. რევოლუციური კლასი, როდესაც ხელისუფლებას დაეპატრონება, იმით დაიწყებდა, რომ ძირს გამოუთხრიდა კაპიტალისტების ბატონობას და ყველა ხალხს შესთავაზებდა ზავის ზუსტ პირობებს, იმიტომ რომ, კაპიტალისტების ეკონომიურ ბატონობას თუ ძირი არ გამოეთხარა, მარტო ქაღალდი შეგვრჩება ხელში. ამის გაკეთება მხოლოდ ძლევამოსილ კლასს შეუძლია, მხოლოდ მას შეუძლია პოლიტიკის შეცვლამდე მიგვიყვანოს.

კიდევ ვიმეორებ: ხალხის განუვითარებელი მასებისთვის ეს ჭეშმარიტება საჭიროებს შემაერთებელ რგოლებს, რომლებიც მოუმზადებელ ადამიანებს საკითხში ჩაახედებდა. ომის შესახებ არსებული პოპულარული ლიტერატურის მთელი შეცდომა და სიყალბე ის არის, რომ ამ საკითხს გვერდს უვლიან, ამაზე დუმან, საქმის ვითარებას ისე გვიხატავენ, თითქოს კლასთა ბრძოლა არ ყოფილიყოს, თითქოს ორი ქვეყანა მეგობრულად ცხოვრობდა, ერთი თავს დაესხა მეორეს, ის კი თავს იცავს. ეს ვულგარული მსჯელობაა, სადაც ობიექტურობის ნასახიც კი არ არის, ეს ხალხის შეგნებული მოტყუებაა განათლებულ ადამიანთა მხრივ. თუ კარგად მივუდგებით ამ საკითხს, ხალხის ყოველი წარმომადგენელი მისწვდება დედაარსს; ვინაიდან ერთი საქმეა გაბატონებულ კლასთა ინტერესები, მეორე საქმეა — დაჩაგრულ კლასთა ინტერესები.

რა იქნებოდა, რევოლუციურ კლასს რომ ხელისუფლება აეღო?

«ეს ზომები და ზავის ეს აშკარა შეთავაზება შექმნიდა მეომარი ქვეყნების მუშების სრულ ნდობას ერთმანეთისადმი...».

ახლა ეს ნდობა შეუძლებელია, მანიფესტების სიტყვებით ჩვენ ამ ნდობას ვერ შევქმნით. თუ ერთმა მოაზროვნემ თქვა,

ადამიანს ენა იმიტომ აქვს, რომ თავისი აზრები დაფაროსო, დიპლომატები მუდამ ამბობენ: «კონფერენციები იმიტომ იკრიბებიან, რომ ხალხის მასები მოატყუონო». ასე მსჯელობენ არა მარტო კაპიტალისტები, არამედ სოციალისტებიც. კერძოდ — ეს შეიძლება ითქვას იმ კონფერენციის შესახებ, რომელსაც ბორგბიერგი იწვევს.

«...და აუცილებლად გამოიწვევდა პროლეტარიატის აჯანყებებს იმ იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ შემოთავაზებულ ზავს».

როდესაც ახლა კაპიტალისტური მთავრობა ამბობს: «უანექსიო ზავის მომხრე ვართო», ეს არავის სჯერა. ხალხის მასებს დაჩაგრული კლასების ინსტინქტი აქვთ, რომელიც ეუბნება მათ, რომ არაფერი შეცვლილა. მხოლოდ მაშინ, თუ ერთ ქვეყანაში პოლიტიკა ნამდვილად შეიცვლებოდა, მყისვე გაჩნდებოდა ნდობა და აჯანყებათა ცდა. ჩვენ ვლაპარაკობთ «აჯანყებებზე», რადგან აქ ლაპარაკია ყველა ქვეყანაზე. «ერთ ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, ახლა ის გერმანიაში უნდა მოხდესო» — ეს ყალბი მსჯელობაა. ცდილობენ რიგი დააწესონ, მაგრამ ასე არ უნდა მოვიქცეთ. ჩვენ ყველამ განვიცადეთ 1905 წლის რევოლუცია, ჩვენ ყველას გვსმენია და გვინახავს, როგორ გამოიწვია მან რევოლუციური იდეების ზრდა მთელ მსოფლიოში, რაზედაც მარქსი მუდამ ლაპარაკობდა. რევოლუციის არც გაკეთება შეიძლება, არც რიგის დაწესება. რევოლუციის შეკვეთა შეუძლებელია, — რევოლუცია წარმოიშობა. ეს სულ მთლად თაღლითობაა, რასაც რუსეთში ახლა განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ. ხალხს ეუბნებიან: აი, თქვენ რუსეთში რევოლუცია მოახდინეთ, ახლა რიგი გერმანელზეაო. თუ ობიექტური პირობები შეიცვლება, მაშინ აჯანყება აუცილებელია. ხოლო რა რიგით, როდის და როგორი წარმატება ექნება, ეს ჩვენ არ ვიცით. გვეუბნებიან: რუსეთში რომ რევოლუციურმა კლასმა ხელისუფლება აიღოს, ხოლო სხვა ქვეყნებში აჯანყება არ არის, რა უნდა ქნას მაშინ რევოლუციურმა პარტიამ? როგორ

მოვიქცეთ მაშინ? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ჩვენი რეზოლუციის უკანასკნელი მუხლი.

«ხოლო ვიდრე რევოლუციურ კლასს რუსეთში მთელი სახელმწიფო ხელისუფლება არ აუღია, ჩვენი პარტია ყოველნაირად მხარს დაუჭერს საზღვარგარეთის იმ პროლეტარულ პარტიებსა და ჯგუფებს, რომლებიც ამ ომის დროს უკვე საქმით აწარმოებენ რევოლუციურ ბრძოლას თავიანთი იმპერიალისტური მთავრობებისა და თავიანთი ბურჟუაზიის წინააღმდეგ».

აი ყოველივე ის, რისი დაპირებაც ჩვენ დაუყოვნებლივ შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ კიდეც. რევოლუცია ყველა ქვეყანაში იზრდება, მაგრამ როდის და რამდენად იზრდება — ეს არავინ იცის. ყველა ქვეყანაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლას ეწევიან თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ. მათ და მხოლოდ მათ უნდა დავუჭიროთ მხარი. აი ეს საქმეა, სხვა ყოველივე კი მხოლოდ ტყუილია. და ჩვენც ვუმატებთ:

«განსაკუთრებით კი პარტია მხარს დაუჭერს ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცთა დაწყებულ მასობრივ დაძმობილებას ფრონტზე...».

ეს შენიშვნა ეხება პლეხანოვის შემოდავებას: «რა გამოვა აქედან? — ამბობს პლეხანოვი. — ვთქვათ, დაძმობილდებით, მერე? ეს ნიშნავს სწორედ სეპარატიული ზავის შესაძლებლობას ფრონტზეო». ეს ოინბაზობაა და არა სერიოზული არგუმენტი. ჩვენ გვინდა დაძმობილება ყველა ფრონტზე და ამაზე კიდეც ვზრუნავთ. როცა შვეიცარიაში ვმუშაობდით, ჩვენ გამოვეცით მოწოდების ტექსტი ორ ენაზე: ერთ მხარეზე ფრანგულად, მეორეზე — გერმანულად, და მოვუწოდებდით იმისაკენ, რისკენაც ახლა მიგვყავს რუსი ჯარისკაცები. ჩვენ არ ვჯერდებით დაძმობილებას მხოლოდ რუსეთსა და გერმანიას შორის, ჩვენ ყველას მოვუწოდებთ დაძმობილდნენ. მერე, როგორ უნდა გვესმოდეს დაძმობილება?

«... ისწრაფვის რა ეს სტიქიური გამოხატულება ჩაგრულთა სოლიდარობისა გადააქციოს შეგნებულ და რაც შეიძლება

უფრო ორგანიზებულ მოძრაობად იმისათვის, რომ ყველა მეომარ ქვეყანაში მთელი სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდეს რევოლუციური პროლეტარიატის ხელში».

ამჟამად დაძმობილება სტიქიურია და ამის შესახებ თავი არ უნდა მოვიტყუოთ. ეს უნდა ვაღიაროთ, რათა ხალხი შეცდომაში არ შევიყვანოთ. იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ძმობილდებიან, ნათელი პოლიტიკური აზრი არა აქვთ. მათ ამოქმედებთ ინსტინქტი დაჩაგრული ადამიანებისა, რომლებიც მოიქანცნენ, დაიტანჯნენ და აღარ სჯერათ კაპიტალისტებისა: «სანამ თქვენ იქ ზავზე ლაპარაკობთ, — ჩვენ ეს უკვე ორწელიწადნახევარია გვესმის, — ჩვენ თვითონ დავიწყებთ». აი ეს სწორი კლასობრივი ინსტინქტია. თუ არ ეს ინსტინქტი, რევოლუციის საქმე უიმედო იქნებოდა. ვინაიდან, თქვენ ეს იცით, მუშებს არავინ გაათავისუფლებდა, თვითონ რომ არ გაეთავისუფლებინათ თავი. მაგრამ საკმარისია განა ეს ინსტინქტი? მარტო ინსტინქტის ამარა შორს ვერ წახვალ. ამიტომაც საჭიროა, რომ ეს ინსტინქტი შეგნებად გადაიქცეს.

მოწოდებაში «ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი» ჩვენ ვუპასუხებთ კითხვაზე: რა უნდა მოჰყვეს ამ დაძმობილებას? — პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში *. რა თქმა უნდა, გერმანელი მუშები თავიანთ საბჭოებს სხვა სახელს დაარქმევენ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ არსი ის არის, რომ ჩვენ უთუოდ სწორად ვაღიარებთ, რომ ის სტიქიურია, რომ ჩვენ არ ვჯერდებით მის წაქეზებას და ამოცანად ვისახავთ ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეულ ყველა ქვეყნის მუშათა და გლეხთა ეს სტიქიური დაახლოება გადავაქციოთ შეგნებულ მოძრაობად, რომლის მიზანია — ყველა მეომარ ქვეყანაში ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური პროლეტარიატის ხელში. ეს ძალიან ძნელი ამოცანაა, მაგრამ ის მდგომარეობაც,

* იხ. ეს ტომი, გვ. 212. რედ.

რომელშიც ჩააყენა კაცობრიობა კაპიტალისტთა ბატონობამ, გაუგონრად ძნელია და პირდაპირ დაღუპვისაკენ მიჰყავს კაცობრიობა. ამიტომაც იგი გამოიწვევს იმ საშინელ აღშფოთებას, რომელიც პროლეტარული რევოლუციის საწინდარია.

აი ჩვენი რეზოლუცია, რომელიც კონფერენციის საყურადღებოდ შემოგვაქვს.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ. 12 მაისს (29 აპრილს) გაზეთ «პრავდაში» № 44

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ-ასლის მიხედვით

9

რეზოლუცია ომის შესახებ

I

თანამედროვე ომი მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ იმპერიალისტური ომია, ე. ი. ისეთი ომი, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ მსოფლიოზე ბატონობით მოპოვებული მოგების გასაყოფად, ფინანსური (საბანკო) კაპიტალისთვის ბაზრების მოსაპოვებლად, სუსტ ეროვნებათა დასამორჩილებლად და სხვა. ომის ყოველი დღე ამდიდრებს ფინანსურ და სამრეწველო ბურჟუაზიას, აჩანაგებს და აუძლურებს ყველა მეომარი, ხოლო შემდეგ ნეიტრალური ქვეყნის პროლეტარიატისა და გლეხობის ძალებს. რუსეთში კი ომის გაჭიანურება, გარდა ამისა, უდიდეს საშიშროებას უქმნის რევოლუციის მონაპოვართ და მის შემდგომ განვითარებას.

რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლამ დროებითი მთავრობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის ხელში, ვერ შეცვალა და მას არც შეეძლო შეეცვალა რუსეთის მხრივ ომის ასეთი ხასიათი და მნიშვნელობა.

ეს ფაქტი განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა იმით, რომ ახალმა მთავრობამ არათუ არ გამოაქვეყნა ის საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომლებიც მეფე ნიკოლოზ მეორემ დადო ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა კაპიტალისტურ მთავრობებთან, არამედ ფორმალურადაც, ხალხის დაუკითხა-

ვად, დაადასტურა ეს საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომლებიც რუსეთის კაპიტალისტებს ჰპირდება ჩინეთის, სპარსეთის, თურქეთის, ავსტრიისა და სხვ. გაძარცვას. ამ ხელშეკრულებათა დამალვით რუსი ხალხი ტყუვდება ომის ნამდვილი ხასიათის შესახებ.

ამიტომ პროლეტარული პარტია ვერ დაუჭერს მხარს ვერც ახლანდელ ომს, ვერც ახლანდელ მთავრობას, ვერც მის სესხებს, თუ არ უნდა სრულიად ჩამოშორდეს ინტერნაციონალიზმს, ე. ი. ყველა ქვეყნის მუშათა ძმურ სოლიდარობას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არავითარი ნდობის ღირსი არ არიან ახლანდელი მთავრობის დაპირებანი, რომ იგი ხელს აიღებს ანექსიებზე, ე. ი. უცხო ქვეყნების დაპყრობაზე ან რუსეთის ფარგლებში რომელიმე ეროვნების ძალდატანებით დატოვებაზე. ვინაიდან, ჯერ-ერთი, კაპიტალისტები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საბანკო კაპიტალის ათასნაირი ძაფით, ხელს ვერ აიღებენ ანექსიებზე ამ ომში, თუ ხელს არ აიღებენ იმ მილიარდების მოგებაზე, რაც მათ დაბანდებული აქვთ სესხებში, კონცესიებში, სამხედრო საწარმოებში და სხვ., მეორეც, ახალმა მთავრობამ, რომელმაც ანექსიებზე უარი თქვა ხალხის მოსატყუებლად, მილიუკოვის პირით განაცხადა მოსკოვში 1917 წლის 9 აპრილს, რომ მთავრობა ანექსიებზე ხელს არ იღებს, ხოლო 18 აპრილის ნოტით და მისი 22 აპრილის განმარტებით მან დაადასტურა თავისი პოლიტიკის მტაცებლური ხასიათი. ამიტომ კონფერენცია, აფრთხილებს რა ხალხს არ დაუჯეროს კაპიტალისტების ცარიელ დაპირებებს, აცხადებს, რომ სასტიკად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ანექსიებზე ხელის აღება სიტყვით და ანექსიებზე ხელის აღება საქმით, ე. ი. დაუყოვნებლივ გამოქვეყნება და გაუქმება ყველა საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებისა და დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს ყველა ეროვნებას უფლება თავისუფალი კენჭისყრით გადაწყვიტოს საკითხი: დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყოფნა სურთ მათ, თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა.

II

ეგრეთწოდებული «რევოლუციური ობორონცობა», რომელიც ახლა რუსეთში მოედო ყველა ნაროდნიკულ პარტიას (სახალხო სოციალისტებს, ტრუდოვიკებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს) და სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ოპორტუნისტულ პარტიას (ორგანიზაციულ კომიტეტს, ჩხეიძეს, წერეთელს და სხვებს), აგრეთვე უპარტიო რევოლუციონერთა უმრავლესობას, თავისი კლასობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს, ერთი მხრივ, იმ შეძლებულ გლეხთა და წვრილ მეპატრონეთა ერთი ნაწილის ინტერესებსა და თვალსაზრისს, რომლებიც, კაპიტალისტების მსგავსად, მოგებას იძენენ სუსტი ხალხების მიმართ ძალადობის გამოყენებით. მეორე მხრივ, «რევოლუციური ობორონცობა» შედეგია იმისი, რომ კაპიტალისტები ატყუებენ ქალაქისა და სოფლის პროლეტარების და ნახევრადპროლეტარების ერთ ნაწილს, რომლებიც თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით არ არიან დაინტერესებული კაპიტალისტთა მოგებით და იმპერიალისტური ომით.

კონფერენციას უდავოდ შეუწყნარებლად და საქმით ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმისაგან სრულ ჩამოშორებად მიაჩნია რაიმე დათმობა «რევოლუციური ობორონცობისათვის». რაც შეეხება ხალხის ფართო მასების ობორონცულ განწყობილებას, ჩვენი პარტია შეებრძოლება ამ განწყობილებას იმ ჭეშმარიტების დაუღალავი ახსნა-განმარტებით, რომ კაპიტალისტთა მთავრობისადმი შეუგნებლად-მიმნდობი დამოკიდებულება ამჟამად ომის ჩქარა დამთავრების ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია.

III

რაც შეეხება ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ დავამთავროთ რაც შეიძლება მალე და ამასთან არა ძალდატანებითი, არამედ ჭეშმარიტად დემოკრატიული ზავით კაპიტალისტების ეს ომი, კონფერენცია აღიარებს და ადგენს:

ეს ომი შეუძლებელია დამთავრდეს იმით, რომ მარტო ერთი მხარის ჯარისკაცებმა უარი თქვან ომის განგრძობაზე,

რომ ერთ-ერთმა მეომარმა მხარემ უბრალოდ შეწყვიტოს საომარი მოქმედება.

კონფერენცია კიდევ და კიდევ აცხადებს პროტესტს იმ მდაბალი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ავრცელებენ, სახელდობრ, ვითომც ჩვენ თანავუგრძნობდეთ გერმანიასთან სეპარატიულ (ცალკე) ზავს. გერმანიის კაპიტალისტებს ჩვენ ისეთივე ყაჩაღებად ვთვლით, როგორც რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტებს, ხოლო იმპერატორ ვილჰელმს ისეთივე გვირგვინოსან ავაზაკად, როგორც ნიკოლოზ მეორეს და ინგლისის, იტალიის, რუმინეთისა და ყველა სხვა მონარქს.

ჩვენი პარტია მოთმინებით, მაგრამ დაჟინებით განუმარტავს ხალხს იმ ჭეშმარიტებას, რომ ომებს აწარმოებენ მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი, რომ ომები ყოველთვის განუყრელად დაკავშირებულია განსაზღვრული კ ლ ა ს ე ბ ი ს პოლიტიკასთან, რომ ეს ომი შეიძლება დემოკრატიული ზავით დავამთავროთ მ ხ ო ლ ო დ მაშინ, თუ ყოველ შემთხვევაში რამდენიმე მეომარი ქვეყნის მთელი სახელმწიფო ხელისუფლება გადავა პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა კლასის ხელში, რომელსაც მართლაც შესწევს უნარი ბოლო მოუღოს კაპიტალის მხრივ ჩაგვრას.

რევოლუციური კლასი, როგორც კი აიღებდა სახელმწიფო ხელისუფლებას რუსეთში, მიიღებდა მთელ რიგ ზომებს კაპიტალისტთა ეკონომიური ბატონობის ძირის გამოსათხრელად და მათი სრული პოლიტიკური გაუვნებლებისათვის; იგი დაუყოვნებლივ და აშკარად შესთავაზებდა ყველა ხალხს დემოკრატიულ ზავს ყოველგვარ ანექსიებსა და კონტრიბუციებზე სრულიად ხელის აღების საფუძველზე. ეს ზომები და ზავის ეს აშკარა შეთავაზება შექმნიდა მეომარი ქვეყნების მუშების სრულ ნდობას ერთმანეთისადმი და აუცილებლად გამოიწვევდა პროლეტარიატის აჯანყებებს იმ იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ შემოთავაზებულ ზავს.

ხოლო ვიდრე რევოლუციურ კლასს რუსეთში მთელი სახელმწიფო ხელისუფლება არ აუღია, ჩვენი პარტია ყოველნაირად მხარს დაუჭერს საზღვარგარეთის იმ პროლეტარულ პარტიებსა და ჯგუფებს, რომლებიც ამ ომის დროს უკვე საქმით აწარმოებენ რევოლუციურ ბრძოლას თავიანთი იმპერიალისტური მთავრობებისა და თავიანთი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი პარტია მხარს დაუჭერს ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცთა დაწყებულ მასობრივ დაძმობილებას ფრონტზე, ისწრაფვის რა ეს სტიქიური გამოხატულება ჩაგრულთა სოლიდარობისა გადააქციოს შეგნებულ და რაც შეიძლება უფრო ორგანიზებულ მოძრაობად იმისათვის, რომ ყველა მეომარ ქვეყანაში მთელი სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდეს რევოლუციური პროლეტარიატის ხელში.

«პრავდა» № 44, 1917 წ.
12 მაისი (29 აპრილი)

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე გაკეთებული
ასლის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
გაზეთ «პრავდის» ტექსტთან

10

რეზოლუცია დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ

რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია აღიარებს:

1) დროებითი მთავრობა თავისი ხასიათით წარმოადგენს მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს;

2) იგი და ის კლასები, რომლებსაც იგი წარმოადგენს, ეკონომიურად და პოლიტიკურად განუყრელად დაკავშირებული არიან რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან;

3) მის მიერ გამოცხადებულ პროგრამასაც კი იგი მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს და მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატისა და ნაწილობრივ წვრილი ბურჟუაზიის ზეგავლენით;

4) ბურჟუაზიული და მემამულური კონტრრევოლუციის ძალებმა, რომლებიც ირაზმებიან, ეფარებიან რა დროებითი მთავრობის დროშას, ამ მთავრობის მხრივ აშკარა დახმარებით, უკვე დაიწყეს იერიშის მიტანა რევოლუციური დემოკრატიის წინააღმდეგ: ასე, მაგალითად, დროებითი მთავრობა აჭიანურებს დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნას, ხელს უშლის ხალხის საყოველთაო შეიარაღებას, ეწინააღმდეგება მთელი მიწის გადასვლას ხალხის ხელში, თავს ახვევს მას აგრარული საკითხის გადაჭრის მემამულურ წესს, აბრკოლებს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ყურადღებას არ აქცევს ჯარში (გუჩკოვისა და კომპანიის) კონტრრევოლუ-

ციურ აგიტაციას, რაზმავს ჯარის უფროსთა შემადგენლობის ზედაფენებს ჯარისკაცების წინააღმდეგ და სხვ.;

5) იცავს რა კაპიტალისტებისა და მემამულეების მოგებას, დროებითს მთავრობას უნარი არ შესწევს მიიღოს მთელი რიგი რევოლუციური ზომები სამეურნეო სფეროში (სურსათი და სხვ.), რომლებიც აუცილებლად და გადაუდებლად საჭიროა უშუალოდ მოახლოებული სამეურნეო კატასტროფის გამო;

6) ამავე დროს ეს მთავრობა ამჟამად ეყრდნობა ნდობას და პირდაპირ შეთანხმებას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან, რომელიც დღემდე წარმოადგენს ხელმძღვანელ ორგანიზაციას მუშებისა და ჯარისკაცების, ე. ი. გლეხობის უმრავლესობისათვის;

7) დროებითი მთავრობის ყოველი ნაბიჯი როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის სფეროში თვალს აუხელს ქალაქისა და სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს და აიძულებს წვრილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენას აირჩიოს ესა თუ ის პოლიტიკური პოზიცია.

გამოდის რა ზემომოყვანილი დებულებებიდან, კონფერენცია ადგენს:

1) აუცილებელია ხანგრძლივი მუშაობა ქალაქისა და სოფლის პროლეტარების კლასობრივი პროლეტარული შეგნების გასათვითცნობიერებლად და მათ დასარაზმავად წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ ასეთი მუშაობა უზრუნველყოფს მთელი სახელმწიფო ძალაუფლების წარმატებით გადასვლას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების, ან სხვა ორგანოების ხელში, რომლებიც უშუალოდ გამოხატავენ ხალხის უმრავლესობის ნებას (აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, დამფუძნებელი კრება და სხვ.).

2) ასეთი მოღვაწეობისათვის საჭირო ა ყოველმხრივი მუშაობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შიგნით, მათი რიცხვის გადიდება, მათი ძალის განმტკიცება, მათ

შიგნით ჩვენი პარტიის პროლეტარული, ინტერნაციონალისტური ჯგუფების დარაზმვა.

3) ადგილებზე რევოლუციის მონაპოვართა დაუყოვნებლივ განმტკიცებისა და გაფართოებისათვის აუცილებელია, ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე უმრავლესობაზე დაყრდნობით, ყოველმხრივ განვავითაროთ, დავრაზმოთ და გავაძლიეროთ თვითნებური მოქმედება, მიმართული თავისუფლებათა განხორციელებისაკენ, კონტრრევოლუციურ ხელისუფალთა გადაყენებისაკენ, ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა გატარებისაკენ — წარმოებისა და განაწილების კონტროლი და სხვ.

4) 19 — 21 აპრილის პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც შექმნა დროებითი მთავრობის ნოტამ, ცხადყო, რომ კადეტების მმართველი პარტია, რაზმავს რა საქმით კონტრრევოლუციურ ელემენტებს როგორც ჯარში, ისე ქუჩებში, გადადის მუშების დახვრეტის ცდაზე. იმ მერყევი მდგომარეობის გამო, რაც ორხელისუფლებიანობიდან გამომდინარეობს, ასეთი ცდის განმეორება აუცილებელია და პროლეტარიატის პარტია ვალდებულია მთელი ენერგიით უთხრას ხალხს, რომ საჭიროა პროლეტარიატის დარაზმვა და შეიარაღება, მისი ფრიად მჭიდრო კავშირი რევოლუციურ ჯართან, ხელის აღება დროებითი მთავრობისადმი ნდობის პოლიტიკაზე, რათა თავიდან ავიცილოთ პროლეტარიატის ისეთი მასობრივი დახვრეტის სერიოზულად მოახლოებული საშიშროება, როგორც ეს მოხდა პარიზში 1848 წლის ივნისის დღეებში.

«პრავდა» № 42, 1917 წ.
10 მაისი (27 აპრილი)

იბეჭდება
სოციალ-დემოკრატიის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

11

მოხსენება პარტიული პროგრამის გადასინჯვის საკითხზე 28 აპრილს (11 მაისს) [75]

ამხანაგებო, პარტიული პროგრამის გადასინჯვის საქმე ასეა: სექციაში შემოვიდა პროგრამის პრინციპული ნაწილის და პოლიტიკური ნაწილის ზოგიერთი ძირითადი მუხლის ცვლილებათა პირვანდელი პროექტი. პროგრამა მთლიანად უნდა გადაისინჯოს, რადგან მისი სრული მოძველება ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე აღინიშნა პარტიულ წრეებში. ბოლოს აღმოჩნდა, რომ არავითარი იმედი არ არის საერთოდ მთელი პროგრამის ცვლილებათა პროექტის განხილვისა. მეორე მხრივ, სექციაში ყველა აღიარებდა, რომ პროგრამის გადასინჯვა აბსოლუტურად აუცილებელია, და მთელ რიგ საკითხებში შეიძლება და კიდევაც უნდა მივუთითოთ, რა მიმართულებით უნდა მოხდეს ეს გადასინჯვა. ამიტომ ჩვენ დავსახეთ რეზოლუციის შემდეგი პროექტი, რომელსაც წაგიკითხავთ მცირეოდენი განმარტებით. ჩვენ უარს ვამბობთ ახლავე წამოვაყენოთ ზუსტად ჩამოყალიბებული თეზისები და მივუთითებთ მხოლოდ, რა მიმართულებით უნდა მოხდეს გადასინჯვა.

(კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ს.)

«კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია პარტიული პროგრამის გადასინჯვა შემდეგი მიმართულებით:

1) იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების ეპოქის შეფასება მოახლოებულ სოციალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით; ბრძოლა მარქსიზმის დამახინჯებასთან ეგრეთწოდებული ობორონცების მიერ, რომლებმაც დაივიწყეს მარქსის ლოზუნგი: «მუშებს სამშობლო არა აქვთ» [70]».

ეს იმდენად ცხადია, რომ კომენტარს არ საჭიროებს. მართლაც, ჩვენი პარტიის პოლიტიკა ძალიან შორს წავიდა წინ და პრაქტიკულად უკვე დაიკავა ის პოზიცია, რომელსაც ეს ფორმულირება გვირჩევს.

«2) სახელმწიფოს შესახებ დებულებებისა და პარაგრაფების შესწორება არა ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკის, არამედ დემოკრატიული პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკის (ე. ი. ისეთი ტიპის სახელმწიფოს, სადაც არ იქნება პოლიცია, მუდმივი ჯარი, პრივილეგიური მოხელეობა) მოთხოვნის მიხედვით».

წამოყენებული იყო ამ მუხლის სხვა ფორმულირებანიც. ერთი იმოწმებდა პარიზის კომუნის და 70 — 80-იანი წლების გამოცდილებას, მაგრამ ასეთი ფორმულირება დამაკმაყოფილებელი არ არის და მეტად ზოგადია; მეორე ფორმულირებაში ლაპარაკი იყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკაზე, მაგრამ ამხანაგების უმრავლესობამ ეს ფორმულირებაც არადამაკმაყოფილებლად ცნო. ფორმულირება კი აუცილებელია, რადგან საქმე ის კი არ არის, თუ რა ეწოდება დაწესებულებას, არამედ ის, თუ როგორია ამ დაწესებულებათა პოლიტიკური ხასიათი და წყობა. როცა პროლეტარულ-გლეხურ რესპუბლიკაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ აღვნიშნავთ მის სოციალურ შინაარსს და პოლიტიკურ ხასიათს.

«3) ამოღება ან შესწორება პოლიტიკური პროგრამის მოძველებული ნაწილებისა».

ჩვენი საერთო პოლიტიკური მოღვაწეობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში პრაქტიკულად უკვე ამ გზით მიმდინარეობს, ამიტომაც არა მგონია საეჭვო იყოს, რომ

პროგრამის ამ მუხლის შეცვლა და იმ მომენტის ზუსტი ფორმულირება, რომელშიც რევოლუციამ მოუსწრო ჩვენს პარტიას, არავითარ უთანხმოებას არ გამოიწვევს.

«4) გადაკეთება პოლიტიკური პროგრამა-მინიმუმის მთელი რიგი მუხლებისა იმ მხრივ, რომ უფრო ზუსტად იქნეს აღნიშნული უფრო თანმიმდევრული დემოკრატიული მოთხოვნები.

5) სრული გადაკეთება პროგრამა-მინიმუმის მეტად ბევრ ადგილას მოძველებული ეკონომიური ნაწილისა და იმ მუხლებისა, რომლებიც სახალხო განათლებას ეხება».

მთავარი ისაა, რომ ეს მუხლები მოძველდა: პროფესიულმა მოძრაობამ გაუსწრო მათ.

«6) აგრარული პროგრამის გადაკეთება აგრარულ საკითხზე მიღებული რეზოლუციის შესაბამისად.

7) ჩამატება მთელი რიგი სინდიკატებისა და სხვ. ნაციონალიზაციის მოთხოვნისა, რომლებიც საამისოდ უფრო მომზადებულია».

აქ შერჩეულია ფრთხილი ფორმულირება, რომლის შეკვეცა ან გაფართოება შეიძლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი პროექტები გამოქვეყნდება.

«8) დამატება თანამედროვე სოციალიზმის ძირითად მიმდინარეობათა დახასიათებისა».

კომუნისტურ მანიფესტში ასეთი დამატება არის.

«კონფერენცია ცენტრალურ კომიტეტს ანდობს ამ საფუძველზე შეადგინოს პარტიული პროგრამის პროექტი ორი თვის ვადაში და წარუდგინოს ეს პროექტი დასამტკიცებლად პარტიულ ყრილობას. კონფერენცია მოუწოდებს პარტიის ყველა ორგანიზაციასა და ყველა წევრს განიხილონ პროგრამის პროექტები. შეასწორონ ისინი და შეიმუშაონ კონტრპროექტები».

აქ აღინიშნა, რომ სასურველია შეიქმნას ამ საკითხზე ლიტერატურა და სამეცნიერო ორგანო, მაგრამ ამისთვის არც ძალებია და არც სახსრები. აი ის რეზოლუცია, რომელიც ხელს

შეუწყობს პროგრამის სწრაფად გადასინჯვას. იგი გადაიგზავნება საზღვარგარეთაც, რომ იქ ჩვენმა ამხანაგებმა ინტერნაციონალისტებმა მონაწილეობა მიიღონ პროგრამის გადასინჯვაში, რაც ჩვენმა პარტიამ წამოიწყო მსოფლიო ომის გამოცდილების საფუძველზე.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ. 13 მაისს (30 აპრილს) გაზეთ «პრავდაში» № 45

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

12

რეზოლუცია. პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ

კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია პარტიული პროგრამის გადასინჯვა შემდეგი მიმართულებით:

1) იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების ეპოქის შეფასება მოახლოებულ სოციალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით; ბრძოლა მარქსიზმის დამახინჯებასთან ეგრეთწოდებული «ობორონცების» მიერ, რომლებმაც დაივიწყეს მარქსის ლოზუნგი: «მუშებს სამშობლო არა აქვთ»;

2) სახელმწიფოს შესახებ დებულებებისა და პარაგრაფების შესწორება არა ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკის, არამედ დემოკრატიული პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკის (ე. ი. ისეთი ტიპის სახელმწიფოს, სადაც არ იქნება პოლიცია, მუდმივი ჯარი, პრივილეგიური მოხელეობა) მოთხოვნის მიხედვით;

3) ამოღება ან შესწორება პოლიტიკური პროგრამის მოძველებული ნაწილებისა;

4) გადაკეთება პოლიტიკური პროგრამა-მინიმუმის მთელი რიგი მუხლებისა იმ მხრივ, რომ უფრო ზუსტად იქნეს აღნიშნული უფრო თანმიმდევრული დემოკრატიული მოთხოვნები;

5) სრული გადაკეთება პროგრამა-მინიმუმის მეტად ბევრ ადგილას მოძველებული ეკონომიური ნაწილისა და იმ მუხლებისა, რომლებიც სახალხო განათლებას ეხება;

6) აგრარული პროგრამის გადაკეთება აგრარულ საკითხზე მიღებული რეზოლუციის შესაბამისად;

7) ჩამატება მთელი რიგი სინდიკატებისა და სხვ. ნაციონალიზაციის მოთხოვნისა, რომლებიც საამისოდ უფრო მომზადებულია;

8) დამატება თანამედროვე სოციალიზმის ძირითად მიმდინარეობათა დახასიათებისა.

კონფერენცია ცენტრალურ კომიტეტს ანდობს ამ საფუძველზე შეადგინოს პარტიული პროგრამის პროექტი ორი თვის ვადაში და წარუდგინოს ეს პროექტი დასამტკიცებლად პარტიულ ყრილობას. კონფერენცია მოუწოდებს პარტიის ყველა ორგანიზაციასა და ყველა წევრს განიხილონ პროგრამის პროექტები, შეასწორონ ისინი და შეიმუშაონ კონტრ-პროექტები.

გაზეთ «სოლდატსკაია პრავდას»
№ 13-ის დამატება,
1917 წ. 16 (3) მაისი

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

13

მოხსენება აგრარულ საკითხზე 28 აპრილს (11 მაისს)

ამხანაგებო, აგრარული საკითხი ისე საფუძვლიანად იხილებოდა ჩვენი პარტიის მიერ ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დროს, რომ დღეს, ვფიქრობ, მისთვის საკმაოდ მომზადებული ვართ; ამას არაპირდაპირ ისიც ამტკიცებს, რომ კონფერენციის სექცია, რომელიც შედგება ამ საკითხის კარგი მცოდნე და ამით დაინტერესებული ამხანაგებისგან, შეთანხმდა რეზოლუციის წარმოდგენილ პროექტზე ისე, რომ ძირითადი შესწორებანი არ შეუტანია. ამიტომ მე სულ მოკლე შენიშვნებს ვჯერდები. რადგან პროექტი საკორექტურო ანაბეჭდის სახით ყველა წევრს დაურიგდა, საჭირო აღარ არის მისი წაკითხვა მთლიანად.

აგრარული მოძრაობის ზრდა მთელ რუსეთში ამჟამად ყველასთვის უაღრესად თვალსაჩინო და უდავო ფაქტია. ჩვენი პარტიის პროგრამა, მიღებული სტოკჰოლმის ყრილობაზე 1906 წელს და წამოყენებული მენშევიკების მიერ, ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის მსვლელობამ უარყო. ამ ყრილობაზე მენშევიკებმა გაიყვანეს თავიანთი მუნიციპალიზაცია, რომლის აზრი შემდეგში მდგომარეობს: გლეხთა მიწები, სათემო და საკომლო, საკუთრებად რჩებათ გლეხებს. მემამულეთა მიწები მათი მფლობელების ხელიდან გადადის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელში. ერთ-ერთ მთავარ საბუთად ასეთი პროგრამის სასარგებლოდ მენშევიკებმა წამო-

აყენეს ის, რომ გლეხები ვერასოდეს ვერ გაიგებენ გლეხთა მიწის სხვა ვინმეს ხელში გადასვლას, თუ არ გლეხობის ხელშიო. ვისაც სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები შეუსწავლია, ის მოიგონებს, რომ ამ საბუთს განსაკუთრებით იცავდნენ მომხსენებელი მასლოვიც და კოსტროვიც. არ უნდა დავივიწყოთ, — ახლა ამას ხშირად ივიწყებენ, — რომ ეს იყო პირველი სათათბიროს წინ, როცა ობიექტური ფაქტები გლეხთა მოძრაობის ხასიათისა და მისი სიძლიერის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო. ყველამ იცოდა, რომ რუსეთი აგრარული რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული, მაგრამ როგორ მოეწყობოდა აგრარული მოძრაობა, როგორ წარიმართებოდა გლეხური რევოლუცია, ეს არავინ იცოდა. შეუძლებელი იყო შემოწმება იმისა, თუ რამდენად გამოხატავდა ეს ყრილობა თვით გლეხების სერიოზულ, საქმიან აზრს; აი რატომ ასრულებდნენ ასეთ როლს მენშევიკების ეს საბუთები. სტოკჰოლმის ჩვენი ყრილობის შემდეგ მალე მივიღეთ სულ პირველი საგულისხმო დადასტურება იმისა, თუ როგორ უყურებს ამ საკითხს გლეხთა მასა. როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროში თვით გლეხებმა წამოაყენეს «104-ის» შრომითი «პროექტი». მე სპეციალურად შევისწავლე ამ პროექტის ხელმოწერები, დაწვრილებით ვეცნობოდი დეპუტატების აზრს და ინახავ, თუ რომელ კლასს ეკუთვნიან ისინი, რამდენად შეიძლება მათ გლეხები ვუწოდოთ. იმ წიგნში, რომელიც მეფის ცენზურამ დაწვა და რომელსაც მაინც გამოვიტანეთ ხელმეორედ[77], მე სრულიად გადაჭრით ვამტკიცებდი, რომ ამ 104 ხელმოწერიდან დიდი უმრავლესობა თვით გლეხებს ეკუთვნოდა. ეს პროექტი მოითხოვდა მიწის ნაციონალიზაციას. გლეხები ამბობდნენ, მთელი მიწა სახელმწიფოს ხელში გადავაო.

ამრიგად, საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ავხსნათ, რომ ორივერ მოწვეულ სათათბიროში მთელი რუსეთის გლეხთა წარმომადგენლებმა ნაციონალიზაცია ამაობინეს იმ ლონისძიებას, რომელიც მენშევიკებმა გლეხთა ინტერესების თვალსაზრისით ორივე სათათბიროში წამოაყენეს? მენშევიკები წინადადებას იძლეოდნენ, რომ გლეხებს თავიანთი მიწები

თავიანთ საკუთრებაში დაეტოვებინათ და მხოლოდ მემამულეთა მიწები გადასულიყო ხალხის ხელში, გლეხებმა კი განაცხადეს, რომ ისინი მთელ მიწას ხალხს გადასცემენ. როგორ ავხსნათ ეს? სოციალისტ-რევოლუციონერები ამას იმით ხსნიან, რომ რუსი გლეხები თემობრივი განწყობის გამო თანაუგრძნობენ სოციალიზაციას, შრომითს საწყისს. მთელ ამ ფრაზეოლოგიაში არავითარი საღი აზრი არ არის, ეს მხოლოდ ფრაზებია. მაგრამ როგორ ავხსნათ ეს? ჩემი აზრით, გლეხები ინიტომ მივიდნენ ამ დასკვნამდე, რომ რუსეთის მთელი მიწათმფლობელობა, როგორც გლეხური, ისე მემამულური, როგორც სათემო, ისე საკომლო, ერთიანად გაჟღენთილია ძველი ნახევრადბატონყმური ვითარებით, და გლეხებს, ბაზრის პირობების თვალსაზრისით, უნდა მოეთხოვათ მიწის გადასვლა მთელი ხალხის ხელში. გლეხები ამბობენ, ძველი აგრარული ცხოვრების არეულ-დარეულ მდგომარეობას მხოლოდ ნაციონალიზაცია თუ მოაგვარებსო. მათი შეხედულება ბურჟუაზიულია: გათანაბრებითი მიწათსარგებლობა მათ ესმით როგორც მემამულეებისათვის მიწის ჩამორთმევა და არა როგორც ცალკეულ მეურნეთა გათანაბრება. ნაციონალიზაცია იმას ნიშნავს, რომ მთელი მიწა გლეხებს შორის უნდა განაწილდესო. ეს უდიდესი ბურჟუაზიული პროექტია. არც ერთ გლეხს არ უთქვამს რამე გათანაბრებასა და სოციალიზაციაზე, ყველა იმას ამბობდა, კიდევ ლოდინი შეუძლებელია, მთელ მიწაზე მიჯნები სულ უნდა მოიშალოსო, ე. ი. XX საუკუნის ვითარებაში შეუძლებელია მეურნეობის ძველებურად წარმართვაო. სტოლიპინის რეფორმამ შემდეგ კიდევ უფრო მეტად არევ-დარია მიწის საკითხიო. აი რა უნდათ გლეხებს თქვან ნაციონალიზაციის მოთხოვნით. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ მთელი მიწები ხელახლა უნდა განაწილდესო. მიწათმფლობელობის არავითარი სხვადასხვაგვარი ფორმა არ უნდა არსებობდეს. აქ სრულიად არავითარი სოციალიზაცია არ არის. გლეხთა ამ მოთხოვნას იმიტომ ეწოდება გათანაბრებითი, რომ, როგორც ამას 1905 წლის მიწათმფლობელობის სტატისტიკის მოკლე შეჯამება გვიჩვენებს, — 300 გლეხის

ოჯახზე იმდენივე მიწა მოდის, რამდენიც ერთი მემამულის ოჯახზე — 2 000 დესეტინა; ამ აზრით მიწათმფლობელობა, რა თქმა უნდა, გათანაბრებითია, მაგრამ აქედან ის როდი გამომდინარეობს, რომ ყველა წვრილი მეურნეობა ერთმანეთთან გავათანაბროთ. 104-ის პროექტი საწინააღმდეგოს ამბობს.

აი ძირითადი, რაც უნდა ითქვას, რათა მეცნიერულად დავასაბუთოთ ის აზრი, რომ რუსეთში ნაციონალიზაცია, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისით, აუცილებელია. მაგრამ ის აუცილებელია იმიტომაც, რომ ეს უდიდესი ლახვრის ჩაცემაა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის. იმის ფიქრი, თითქოს მიწის კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ რუსეთში ყველაფერი ძველებურად დარჩება, პირდაპირ უაზრობაა.

შემდეგ რეზოლუციის პროექტში მოყვანილია პრაქტიკული დასკვნები და მოთხოვნები. წვრილმან შესწორებათაგან აღვნიშნავ შემდეგს: პირველ მუხლში ნათქვამია: «პროლეტარიატის პარტია მთელი ძალ-ღონით მხარს უჭერს მემამულეთა მთელი მიწების... დაუყოვნებლივ და სრულ კონფისკაციას»— ნაცვლად «მხარს უჭერს» — უნდა დაიწეროს «იბრძვის... კონფისკაციისათვის». ჩვენ ისე არ ვფიქრობთ, რომ გლეხებს ცოტა მიწა აქვთ და მათ მეტი მიწა უნდა მიეცეთ. ეს გაცვეთილი შეხედულებაა; ჩვენ ვამბობთ, რომ მემამულეთა მიწათმფლობელობა საფუძველია ჩაგვრისა, რომელიც ახრჩობს გლეხობას და ხელს უწყობს მის ჩამორჩენილობას. საქმე ის კი არ არის, ცოტა მიწა აქვთ გლეხებს თუ არა; ძირს ბატონყმობა — აი როგორ უნდა დაისვას საკითხი რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით, და არა იმ მოხელეთა თვალსაზრისით, რომლებიც მსჯელობენ, რამდენი მიწა აქვთ გლეხებს და რა ნორმებით უნდა მოხდეს ახალი დაყოფა. წინადადებას ვიძლევი მე-2 და მე-3 მუხლები გადაისვას, იმიტომ რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია რევოლუციური თაოსნობა, კანონი კი მისი შედეგი უნდა იყოს. თუ თქვენ კანონის დაწერას დაუცდით და თვითონ კ

არ გამოიჩენთ რევოლუციურ ენერგიას, არც კანონი გექნებათ და არც მიწა.

ძალიან ხშირად ილაშქრებენ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და ამბობენ, იგი მოხელეთა უზარმაზარ აპარატს გულისხმობსო. ეს სწორია, მაგრამ სახელმწიფოს საკუთრება ხომ იმას ნიშნავს, რომ ყოველი გლეხი სახელმწიფო მიწის მოიჯარეა. იჯარის გადაცემა აკრძალულია. მაგრამ რამდენს იღებს იჯარით გლეხი, რომელ მიწას იღებს — ამას მთლიანად წყვეტს სათანადო დემოკრატიული და არა ბიუროკრატიული ორგანო.

«მოჯამაგირეთა» ნაცვლად დაიწერება «სოფლის მეურნეობის მუშათა». რამდენიმე ამხანაგმა განაცხადა, სიტყვა «მოჯამაგირე» შეურაცხმყოფელიაო; წინააღმდეგი იყვნენ ამ სიტყვისა. იგი უნდა ამოვიღოთ.

გადაწყვეტილებაში მიწის საკითხის შესახებ ახლა ლაპარაკი პროლეტარულ-გლეხურ კომიტეტებზე ანდა საბჭოებზე არ ვარგა, რადგან, როგორც ვხედავთ, გლეხებმა შექმნეს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და, ამრიგად, უკვე მოხდა პროლეტარიატისა და გლეხობის დაყოფა.

როგორც ცნობილია, წვრილბურჟუაზიული ობორონცული პარტიები მხარს უჭერენ იმას, რომ მიწის საკითხის გადაჭრა გადავდოთ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მიწის დაუყოვნებლივ გადასვლას გლეხების ხელში მაქსიმალური ორგანიზებულობით. ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ ანარქისტული დატაცებისა. თქვენ წინადადებას აძლევთ გლეხებს შეუთანხმდნენ მემამულეებს. ჩვენ ვამბობთ, მიწა ახლავე უნდა აიღონ გლეხებმა და დაიწყონ თესვა უპურობასთან საბრძოლველად, რათა ჩვენი ქვეყანა გადავარჩინოთ ის კრახს, რომელიც მას უდიდესი სისწრაფით უახლოვდება. შეუძლებელია ახლა მივიღოთ რეცეპტები შინგარიოვისა და კადეტებისა, რომლებიც მოითხოვენ დავუცადოთ დამფუძნებელ კრებას, რომლის მოწვევის ვადა გამოურკვეველია, ანდა შევუთანხმდეთ მემამულეებს იჯარის

შესახებო. გლეხები უკვე იტაცებენ მიწას უსასყიდლოდ ანდა იჯარის მეოთხედს იხდიან.

ერთმა ამხანაგმა ადგილიდან, პენზის გუბერნიიდან, ჩამოიტანა რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ გლეხებს მიაქვთ მემამულეთა ინვენტარი, მაგრამ კი არ იყოფენ კომლობრივად, არამედ საზოგადოებრივ საკუთრებად აქცევენო. ისინი ადგენენ ერთგვარ რიგს, წესს, რათა ამ ინვენტარით დაამუშაონ მიწა. ამ ზომებს რომ მიმართავენ, ისინი ხელმძღვანელობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ინტერესებით. ამ ფაქტს უზარმაზარი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, წინააღმდეგ მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომლებიც გაჰკივიან — ეს ანარქიაა. აი, თუ თქვენ ილაყბებთ და იყვირებთ, ეს ანარქიაა, ხოლო გლეხები ცდას დაიწყებენ, სწორედ მაშინ იქნება ნამდვილი ანარქია. გლეხები გვიჩვენებენ, რომ მათ სამეურნეო პირობები და საზოგადოებრივი კონტროლი უკეთ ესმით, ვიდრე მოხელეებს, და ასწილ უკეთ იყენებენ მას. ასეთი ღონისძიება, რომელიც, რა თქმა უნდა, პატარა სოფლისთვის ადვილი განსახორციელებელია, აუცილებლად იწვევს უფრო ფართო ზომებზე გადასვლას. თუ გლეხმა ეს ისწავლა, ამის სწავლა კი მან დაიწყო, აქ საჭირო არ არის ბურჟუაზიული პროფესორების უნარი, გლეხები თვითონ მივლენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ინვენტარი გამოიყენონ არა მარტო წვრილი მეურნეობისათვის, არამედ მთელი მიწის დასამუშავებლად. დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ აკეთებენ ისინი ამას: აერთებენ თუ არა ნაკვეთებს საერთო ძალით დასახნავად და დასათესად, — ეს ჩვენ არ ვიცით, და არც აქვს ამას დიდი მნიშვნელობა, თუ ისინი ამას სხვადასხვანაირად აკეთებენ. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ მათ, საბედნიეროდ, არა ჰყავთ მრავლად ის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებიც თავიანთ თავს მარქსისტებს, სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ და მედიდურად ასწავლიან ხალხს, რომ სოციალისტური რევოლუციის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა და ამიტომ ახლა არ შეიძლება გლეხებმა მიწა წაიღონო. საბედნიეროდ, რუსეთის სოფლებში ასეთი ვაჟბა-

ტონები ცოტაა. გლეხები რომ დასჯერებოდნენ იმას, რომ მიწა წაეღოთ მემამულეებთან შეთანხმებით, ხოლო თავიანთი გამოცდილება კოლექტიურად არ გამოეყენებინათ, მაშინ კრახი გარდუვალი იქნებოდა, და მაშინ გლეხთა კომიტეტები ტიკინებად გადაიქცეოდნენ, არაფრის მაქნისი გახდებოდნენ. აი ამიტომ ვიძლევით წინადადებას რეზოლუციის პროექტს დაემატოს მე-8 მუხლი *.

რაკი ვიცით, რომ თვით ადგილობრივმა გლეხებმა ასეთი თაოსნობა გამოიჩინეს, ჩვენი ვალდებულება, ჩვენი მოვალეობაა ვთქვათ, რომ ამ თაოსნობას მხარს ვუჭერთ და საჭიროდ ვთვლით. მხოლოდ ეს არის იმის საწინდარი, რომ რევოლუცია არ დასჯერდება ფორმალური ხასიათის ზომებს, კრიზისთან ბრძოლა არ დარჩება შინგარიოვის კანცელარიების და მჯღაბნელთა განხილვის საგნად და რომ ისინი მართლაც დარაზმული გასწევენ წინ უპურობის წინააღმდეგ და წარმოების გადიდებისათვის საბრძოლველად.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ.
13 მაისს (30 აპრილს) გაზეთ «პრავდაში» № 45

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 342. რედ.

14

რეპლიკა ნ. ს. ანგარსკის აგრარულ საკითხზე კამათის დროს 28 აპრილს (11 მაისს)

ამხანაგებო, მე მგონია, ამხანაგ ანგარსკის სიტყვაში მთელი რიგი წინააღმდეგობაა. მე ვლაპარაკობ ნაციონალიზაციისადმი მისწრაფების მატერიალურ საფუძველზე. გლეხებს ნაციონალიზაციის არავითარი იდეა არ გააჩნიათ. მე ვამბობ, რომ არსებობს სრულიად რუსეთის და საერთაშორისო ბაზრის პირობები, და ეს გამოიხატება იმაში, რომ პური ძვირად ფასობს. ამ ფასების მერყეობა ყოველმა გლეხმა იცის, ამას ყოველი გლეხი ხედავს და გრძნობს. და ამ პირობებს, ამ ფასებს უნდა შევუფარდოთ მეურნეობა. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ ძველი მიწათმფლობელობა და ახალი სამეურნეო წყობილება აბსოლუტურად დაშორდნენ ერთმანეთს და ამ დაშორებით აიხსნება ის გარემოება, თუ რატომ მიისწრაფვიან წინ გლეხები. გლეხი — მესაკუთრეაო, ამბობს ამხანაგი ანგარსკი. ის საკვლევით მართალია. ამაზე უნდოდა აეგო სტოლიპინს საადგილმამულო ურთიერთობის შეცვლა, ის არაფერს ზოგავდა, რაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ ვერაფერს გახდა, იმიტომ რომ ამ ურთიერთობის შეცვლა რევოლუციური მსხვრევის მოუხდენლად შეუძლებელია. აი მატერიალური საფუძველი გლეხების მისწრაფებისა მიწის ნაციონალიზაციისადმი, თუმცა მათ სრულიად არაფერი გაეგებათ ნაციონალიზაციისა. გლეხი-მესაკუთრე ინსტინქტურად ამბობს,

მიწა ღვთისაა, იმიტომ რომ მიწათმფლობელობის ძველ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია. ის, რასაც ამბ. ანგარსკი გვირჩევს, სრული გაუგებრობაა. მეორე აბზაცი ამბობს, რომ გლეხური მიწათმფლობელობა თავიდან ბოლომდე, მთელი სიგრძე-სიგანით ძველებური ნახევრადბატონყმური კავშირურთიერთობითაა შებოჭილიო. მაგრამ განა ის მემამულეთა მიწებზე ლაპარაკობს? არა. ამბ. ანგარსკის შესწორება გაუგებრობაზეა დამყარებული. მან მომაწერა ის, რაც აქ არაა, ისეთი რამეები, რაზედაც გლეხებს წარმოდგენაც კი არა აქვთ. გლეხებმა მსოფლიო მდგომარეობა პურის და მასობრივი მოხმარების პროდუქტთა ფასების მიხედვით იციან, და თუ სოფლად რკინიგზა გადის, ამას გლეხი შეიცნობს თავისი საკუთარი მეურნეობის საშუალებით. ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია, აი რას გრძნობს ის, და ამ გრძნობას იგი გამოხატავს რადიკალური მოთხოვნით: ძირს მთელი ძველი მიწათმფლობელობაო. გლეხს სურს მესაკუთრე იყოს, მაგრამ იმ მიწაზე, რომელიც ახლებურად იქნება დაყოფილი, რათა მან მეურნეობა მოაწყოს იმ მიწაზე, რომლის მფლობელობას განსაზღვრავენ მისი ახლანდელი მოთხოვნილებანი, და არა ის მოთხოვნილებანი, რომელთაც უკარნახებს მას ესა თუ ის მოხელე. ეს გლეხმა კარგად იცის, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვანაირად გამოხატავს, — და ეს შეადგენს სწორედ მიწის ნაციონალიზაციისადმი მისწრაფების მატერიალურ საფუძველს.

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა
კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
სწერ მანქანაზე გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

15

რეზოლუცია აგრარულ საკითხზე

რუსეთში მემამულური მიწათმფლობელობის არსებობა არის მებატონე-მემამულეთა ხელისუფლების მატერიალური დასაყრდენი და მონარქიის შესაძლო აღდგენის საწინდარი. ეს მიწათმფლობელობა გარდუვალად უმზადებს რუსეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, გლეხობას, სიღატაკეს, კაბალასა და სიბეჩავეს, მთელ ჩვენს ქვეყანას კი ჩამორჩენილობას ცხოვრების ყველა სფეროში.

რუსეთის გლეხური მიწათმფლობელობა, როგორც სანადელო (სათემო და საკომლო), ისე კერძო (იჯარით აღებული და ნაყიდი მიწა), თავიდან ბოლომდე, მთელი სიგრძე-სიგანით შებოჭილია ძველი, ნახევრადბატონყმური კავშირურთიერთობით, გლეხების თანრიგებად დაყოფით, რაც მემკვიდრეობად დაგვიტოვა ბატონყმობის ხანამ, მიწის დაქსაქსულობით და სხვ. და ა. შ.. სახელმწიფოს მ თ ე ლ ი მიწების ნაციონალიზაციისადმი გლეხობის მისწრაფების მატერიალურ საფუძველს შეადგენს ყველა ამ მოძველებული და მავნე ზღუდის აუცილებლად დამსხვრევა, მიწის მიჯნების აუცილებლად «მოშლა», მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების მთელი ურთიერთობის ახლად გარდაქმნა მთელი რუსეთის და მთელი მსოფლიო მეურნეობის ახალი პირობების შესაბამისად.

როგორიც უნდა იყოს ის წვრილბურჟუაზიული უტოპიები, რომლებშიც ყველა ნაროდნიკული პარტია და ჯგუფი ახვევს გლეხთა მასების ბრძოლას ბატონყმური მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და საერთოდ რუსეთის მთელი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ყოველგვარი ბატონყმური ბორკილების წინააღმდეგ, — თვით ეს ბრძოლა გამოხატავს სავსებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, უეჭველად პროგრესულ და ეკონომიურად აუცილებელ მისწრაფებას ყველა ამ ბორკილის გადაჭრით დამსხვრევისაკენ.

მიწის ნაციონალიზაცია, როგორც ბურჟუაზიული ღონისძიება, ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის კაპიტალისტურ საზოგადოებაში შესაძლებელ და წარმოსადგენ უდიდეს თავისუფლებას და მიწათსარგებლობის თავისუფლებას ყველა არაბურჟუაზიული დანამატისაგან. გარდა ამისა მიწის ნაციონალიზაცია, როგორც მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, პრაქტიკულად ისეთი მძლავრი ლახვარის ჩაცემა იქნებოდა საერთოდ წარმოების ყოველგვარი საშუალებების კერძო საკუთრებისთვის, რომ პროლეტარიატის პარტიამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ასეთ გარდაქმნას.

მეორე მხრივ, რუსეთის შეძლებულმა გლეხობამ უკვე დიდი ხანია შექმნა გლეხური ბურჟუაზიის ელემენტები, და სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამაც, უთუოდ, გააძლიერა, გაამრავლა, განამტკიცა ეს ელემენტები. სოფლის მეორე პოლუსზე ასევე გაძლიერდნენ, გამრავლდნენ სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშები, პროლეტარები და მათთან ახლოს მდგომი ნახევრადპროლეტარული გლეხობის მასა.

რაც უფრო გადაჭრით და თანმიმდევრულად მოხდება მემამულური მიწათმფლობელობის მსხვრევა და მოსპობა, რაც უფრო გადაჭრით და თანმიმდევრულად მოხდება საერთოდ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აგრარული გარდაქმნა, მით უფრო მეტი ძალით და სისწრაფით განვითარდება სოფლის მეურნეობის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა შეძლებული გლეხობის (გლეხური ბურჟუაზიის) წინააღმდეგ.

იმისდა მიხედვით, შეძლებს თუ არა ქალაქის პროლეტარიატი გაიყოლიოს სოფლის პროლეტარიატი და შეუერთოს მას სოფლის ნახევრადპროლეტარების მასა, თუ ეს მასა გაჰყვება გლეხურ ბურჟუაზიას, რომელიც იქითკენ იხრება, რომ დაუკავშირდეს გუჩკოვს, მილიუკოვს, კაპიტალისტებს და მემამულეებს და საერთოდ კონტრრევოლუციას, — ამისდა მიხედვით გამოირკვევა რუსეთის რევოლუციის ბედი და შედეგი, რამდენადაც ევროპაში დაწყებული პროლეტარული რევოლუცია ვერ მოახდენს ჩვენს ქვეყანაზე უშუალო, ძლიერ გავლენას.

გამოდის რა ასეთი კლასობრივი მდგომარეობიდან და ძალთა თანაფარდობიდან, კონფერენცია ადგენს:

1) პროლეტარიატის პარტია მთელი ძალ-ღონით იბრძვის მემამულეთა მთელი მიწების (აგრეთვე საუფლისწულო, საეკლესიო, საკაბინეტო და სხვ. და სხვ. მიწების) დაუყოვნებლივი და სრული კონფისკაციისათვის.

2) პარტია გადაჭრით მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაეცეს მთელი მიწები გლეხთა დეპუტატების საბჭოების ანდა სხვა, ნამდვილად სავსებით დემოკრატიულად არჩეულ და მემამულეებისა და მოხელეებისგან სავსებით დამოუკიდებელ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახით დარაზმულ გლეხობას.

3) პროლეტარიატის პარტია მოითხოვს სახელმწიფოს მთელი მიწის ნაციონალიზაციას; ნაციონალიზაცია, რომელიც ნიშნავს მთელი მიწის საკუთრების უფლების სახელმწიფოს ხელში გადაცემას, მიწის გამგებლობის უფლებას ანიჭებს ადგილობრივ დემოკრატიულ დაწესებულებებს.

4) პარტიამ გადაჭრით უნდა იბრძოლოს როგორც დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც შინგარიოვის პირითაც და თავისი კოლექტიური გამოსვლებითაც თავს ახვევს გლეხებს «ნებაყოფლობითს შეთანხმებას მემამულეებთან», ე. ი. საქმით რეფორმის მემამულურ ხასიათს, და დასჯით ემუქრება გლეხებს «თვითნებობისათვის», ე. ი. ძალადობაზე

გადასვლით მოსახლეობის უმცირესობის (მემამულეებისა და კაპიტალისტების) მხრივ უმრავლესობის წინააღმდეგ, — ისე იმ ნაროდნიკებისა და მენშევიკ სოციალ-დემოკრატების უმრავლესობის წვრილბურჟუაზიული მერყეობის წინააღმდეგ, რომლებიც ურჩევენ გლეხებს არ აიღონ მთელი მიწა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

5) პარტია ურჩევს გლეხებს მიწა აიღონ ორგანიზებულად, არ დაუშვან ქონების არავითარი გაფუჭება და იზრუნონ წარმოების გადიდებაზე.

6) საერთოდ მთელ აგრარულ გარდაქმნას შეიძლება წარმატება ექნეს და მტკიცე იყოს მხოლოდ მთელი სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაციის პირობებში, ე. ი., ერთი მხრივ, პოლიციის, მუდმივი ჯარის და ფაქტიურად პრივილეგიური მოხელეობის მოსპობის, ხოლო მეორე მხრივ, ფრიად ფართო, ზემოდან მეთვალყურეობისა და მეურვეობისაგან სავსებით თავისუფალი, ადგილობრივი თვითმმართველობის პირობებში.

7) საჭიროა დაუყოვნებლივ და ყველგან შევუდგეთ სოფლის მეურნეობის პროლეტარიატის ცალკე და დამოუკიდებლად დარაზმვას როგორც სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოების (აგრეთვე ნახევრადპროლეტარული გლეხობის დეპუტატების ცალკე საბჭოების) სახით, ისე გლეხთა დეპუტატების საერთო საბჭოებში, ადგილობრივი და საერთო საქალაქო სამმართველოს და სხვ. და ა. შ. ყველა ორგანოში პროლეტარულ ჯგუფთა ან ფრაქციათა მოწყობის სახით.

8) პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს გლეხთა იმ კომიტეტების თაოსნობას, რომლებიც რუსეთის მთელ რიგ ადგილებზე მემამულეთა ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს გადასცემენ ამ კომიტეტების სახით დარაზმულ გლეხობას იმისათვის, რომ საზოგადოებრივ-მოწესრიგებულად გამოიყენონ ისინი მთელი მიწის დასამუშავებლად.

9) პროლეტარიატის პარტიამ სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს უნდა ურჩიოს, რომ ეცადონ მემამუ-

ლის ყოველი მამული გადააქციონ საკმაოდ მსხვილ სანიმუშო მეურნეობად, რომელსაც წარმართავდნენ საზოგადოებრივ საფუძველზე სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოები აგრონომების ხელმძღვანელობითა და საუკეთესო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

«პრავდა» № 45, 1917 წ.
13 მაისი (30 აპრილი)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის
მიერ შესწორებული
საკორექტურო ანაბეჭდის
ტექსტის მიხედვით

16

რეზოლუცია წვრილბურჟუაზიული ოპორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანების შესახებ

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატ მენშევიკების და სხვათა პარტიები უმეტეს შემთხვევაში გადავიდნენ «რევოლუციური ობორონცობის», ე. ი. იმპერიალისტური ომის მხარდაჭერის პოზიციაზე (ხმისმიცემა სესხისათვის და მხარისდაჭერა დროებითი მთავრობისა, რომელიც კაპიტალის ინტერესების წარმომადგენელია);

2) რომ ეს პარტიები მთელი თავიანთი პოლიტიკით ახორციელებენ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებსა და თვალსაზრისს და ბურჟუაზიული გავლენით რყვნიან პროლეტარიატს, შთააგონებენ რა მას, თითქოს შეთანხმებათა, «კონტროლის», სამინისტროში შესვლისა და სხვ. საშუალებით შესაძლებელი იყოს მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის შეცვლა და თავისუფლების მიმართ კონტრრევოლუციური ხელყოფის გზიდან მისი ჩამოშორება;

3) რომ ეს პოლიტიკა ასაზრდოებს და აძლიერებს კაპიტალისტებისადმი მასების შეუგნებლად-მიმნდობ დამოკიდებულებას; ამავე დროს ასეთი დამოკიდებულება წარმოადგენს რევოლუციის შემდგომი განვითარების მთავარ დაბრკოლებას და ქმნის მისი დამარცხების შესაძლებლობას მემამულური და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ძალებით, —

— კონფერენცია ადგენს:

1) ყოვლად შეუძლებლად იქნეს ცნობილი ასეთი პოლიტიკის გამტარებელ პარტიებთან და ჯგუფებთან გაერთიანება;

2) აუცილებლად იქნეს ცნობილი საქმით ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე მდგარ ჯგუფებთან და მიმდინარეობებთან დაახლოება და გაერთიანება სოციალიზმისადმი წვრილბურჟუაზიული ღალატის პოლიტიკაზე ხელის აღების პირობით.

«პრავდა» № 46, 1917 წ.
15 (2) მაისი

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

17

რევოლუცია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ

განიხილა რა რუსეთის სხვადასხვა ადგილის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში მომუშავე ამხანაგთა მოხსენებები და ცნობები, კონფერენცია ადგენს:

მთელ რიგ პროვინციულ ადგილებში რევოლუცია წინ მიდის პროლეტარიატისა და გლეხობის თვითნებური დარაზმვით საბჭოებად, ძველ ხელისუფალთა თვითნებური გადაყენებით, პროლეტარული და გლეხური მილიციის შექმნით, მთელი მიწების გლეხობის ხელში გადასვლით, ფაბრიკების მიმართ მუშათა კონტროლის შემოღებით, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებით, ხელფასის გადიდებით, წარმოების შეუმცირებლობის უზრუნველყოფით, სურსათის განაწილებაზე მუშათა მეთვალყურეობის დაწესებით და სხვ.

პროვინციაში რევოლუციის ეს გაფართოება და გაღრმავება, ერთი მხრივ, წარმოადგენს მოძრაობის ზრდას მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისაკენ და წარმოების მიმართ თვით მუშებისა და გლეხების კონტროლის შემოღებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, საწინდარია სრულიად რუსეთის მასშტაბით ძალების მომზადებისა რევოლუციის მეორე ეტაპისათვის, რომელმაც მთელი სახელმწიფო ხელისუფლება უნდა გადასცეს საბჭოებს ან სხვა ორგანოებს, რომელნიც უშუალოდ გამოხატავენ ხალხის უმრავლესობის ნებას (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, დამფუძნებელი კრება და სხვ.).

დედაქალაქებსა და ზოგიერთ დიდ ქალაქში სახელმწიფო ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლის ამოცანა განსაკუთრებით დიდ სიძნელეს წარმოადგენს და მოითხოვს პროლეტარიატის ძალების განსაკუთრებით ხანგრძლივ მომზადებას. აქ არის თავმოყრილი ბურჟუაზიის ყველაზე მეტი ძალები. აქ უფრო მკვეთრად ჩანს ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკა, რომელიც ხშირად აფერხებს მასების რევოლუციურ თაოსნობას და ასუსტებს მათს დამოუკიდებლობას, რაც პროვინციისათვის ამ საბჭოების ხელმძღვანელი მნიშვნელობის გამო განსაკუთრებით საშიშია.

ამიტომ პროლეტარული პარტიის ამოცანას შეადგენს, ერთი მხრივ, ადგილებზე რევოლუციის აღნიშნული განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობა, — მეორე მხრივ, სისტემატური ბრძოლა საბჭოების შიგნით (პროპაგანდისა და მათი გადარჩევის გზით) პროლეტარული ხაზის გამარჯვებისათვის; მთელი ძალ-ღონისა და მთელი ყურადღების მიმართვა მუშათა და ჯარისკაცთა მასებისადმი, წვრილბურჟუაზიული ხაზიდან პროლეტარული ხაზის, ობორონცული ხაზიდან ინტერნაციონალისტური ხაზის, ოპორტუნისტული ხაზიდან რევოლუციური ხაზის გამოყოფისადმი, მუშების დარაზმვისა და შეიარაღებისადმი, რევოლუციის შემდგომი ეტაპისათვის მათი ძალების მომზადებისადმი.

კონფერენცია ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ საჭიროა ყოველმხრივი მუშაობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შიგნით, საბჭოების რიცხვის გადიდება, მათი ძალის განმტკიცება, მათ შიგნით ჩვენი პარტიის პროლეტარული, ინტერნაციონალისტური ჯგუფების შემჭიდროება.

«პრავდა» № 46, 1917 წ.
15 (2) მაისი

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

18

სიტყვა ნაციონალურ საკითხზე
29 აპრილს (12 მაისს)

1903 წლიდან დაწყებული, როცა ჩვენმა პარტიამ პროგრამა მიიღო, ჩვენ ყოველთვის სასტიკ ოპოზიციას ვხვდებოდით პოლონელი ამხანაგების მხრივ. თუ შეისწავლით მეორე ყრილობის ოქმებს, დაინახავთ, რომ პოლონელებს უკვე მაშინაც ის საბუთები მოჰყავდათ, რასაც ახლა ვხვდებით; პოლონეთის სოციალ-დემოკრატებმა დატოვეს ეს ყრილობა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება მათთვის მიუღებელი იყო. ამ დროიდან ჩვენ მუდამ ერთსა და იმავე საკითხს ვაწყდებით. 1903 წელს იმპერიალიზმი უკვე იყო, მაგრამ მაშინ საბუთთა შორის იმპერიალიზმი არ იყო მოხსენებული; მაშინაც და ახლაც პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის პოზიცია რჩება უცნაურ, საშინელ შეცდომად: ამ ადამიანებს სურთ ჩვენი პარტიის პოზიცია შოვინისტების პოზიციად გამოაცხადონ.

პოლონეთის პოლიტიკა, რუსეთის მხრივ ხანგრძლივი ჩაგვრის წყალობით, სავსებით ნაციონალურია და მთელი პოლონელი ხალხიც სრულიად გამსჭვალულია ერთი აზრით — შური იძიონ მოსკალებზე. არავინ ისე არ ჩაგრავდა პოლონელებს, როგორც რუსი ხალხი. რუსი ხალხი მეფეების ხელში პოლონეთის თავისუფლების ჯალათად იყო გადაქცეული. არ მოიპოვება ხალხი, რომელიც ისე იყოს გამსჭვალული რუსეთისადმი სიძულვილით, როგორც პოლონელებია, არ

მოიპოვება ხალხი, რომელსაც ისე საშინლად არ უყვარდეს რუსეთი, როგორც პოლონელებს, — და აქედან გამომდინარეობს უცნაური მოვლენა. პოლონეთი აბრკოლებს სოციალისტურ მოძრაობას პოლონეთის ბურჟუაზიის გულისთვის. მთელ ქვეყანას ცეცხლი წაეკიდოს, — ოღონდ პოლონეთი იყოს თავისუფალი. რა თქმა უნდა, საკითხის ასე დაყენება ინტერნაციონალიზმის სასაცილოდ აგდებაა. რა თქმა უნდა, ახლა პოლონეთში ძალადობაა გაბატონებული, მაგრამ პოლონელი ნაციონალისტები რომ რუსეთისაგან მოელოდნენ განთავისუფლებას — ეს ინტერნაციონალის ღალატია. ხოლო პოლონელმა ნაციონალისტებმა ისე გამსჭვალეს თავიანთი შეხედულებებით პოლონელი ხალხი, რომ იქ სწორედ ასე უყურებენ საქმეს.

ამხანაგ პოლონელი სოციალ-დემოკრატების უდიდესი, ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მათ წამოაყენეს ინტერნაციონალიზმის ლოზუნგი და თქვეს: ჩვენთვის ყველაფერზე უფრო დიდმნიშვნელოვანია ძმური კავშირი ყველა დანარჩენი ქვეყნის პროლეტარიატთან, და ჩვენ პოლონეთის გასათავისუფლებლად ომს არასოდეს არ დავთანხმდებითო. ესაა მათი დამსახურება, ამიტომაც ჩვენ ყოველთვის მხოლოდ ამ პოლონელ ამხანაგ სოციალ-დემოკრატებს ვთვლიდით სოციალისტებად. სხვები — პატრიოტები, პოლონელი პლეხანოვები არიან. მაგრამ ამ ორიგინალური პოზიციის გამო, როცა ადამიანებს სოციალიზმის გადასარჩენად გაცოფებული, ავადმყოფური ნაციონალიზმის წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა, წარმოიშვა უცნაური მოვლენა: ამხანაგები მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან: ჩვენ უარი უნდა ვთქვათ პოლონეთის თავისუფლებაზე, მის გამოყოფაზეო.

ჩვენ, ველიკოროსებმა, რომლებიც უფრო მეტ ერს ვჩაგრავთ, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხი, რატომ არ უნდა ვაღიაროთ პოლონეთის, უკრაინის, ფინეთის გამოყოფის უფლება? ჩვენგან მოითხოვენ შოვინისტები გავხდეთ, რომ ამით პოზიცია შევუმსუბუქოთ სოციალ-დემოკრატებს პოლონეთში. ჩვენ პოლონეთის განთავისუფლების პრეტენზიას არ ვაცხა-

დებთ, იმიტომ რომ პოლონელი ხალხი ორ ბრძოლისუნარიან სახელმწიფოს შორის ცხოვრობს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თქვან, პოლონელმა მუშებმა ასე უხდა იმსჯელონო: მხოლოდ ის სოციალ-დემოკრატები რჩებიან დემოკრატებად, რომლებიც თვლიან, რომ პოლონელი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, რადგან შოვინისტებს ადგილი არა აქვთ სოციალისტურ პარტიაშიო, — პოლონელი სოციალ-დემოკრატები ამბობენ: სწორედ იმიტომ, რომ ჩვენთვის ხელსაყრელია რუსეთის მუშებთან კავშირი, წინააღმდეგი ვართ პოლონეთის გამოყოფისაო. ეს მათი სრული უფლებაა. მაგრამ ამ ადამიანებს არ სურთ გაიგონ, რომ ინტერნაციონალიზმის გასაძლიერებლად საჭირო არ არის ერთისა და იმავე სიტყვების განმეორება, არამედ საჭიროა რუსეთში დაჟინებით მოვითხოვოთ დაჩაგრულ ერთა გამოყოფის თავისუფლება, ხოლო პოლონეთში ხაზგასმით ვიქადაგოთ შეერთების თავისუფლება. შეერთების თავისუფლება გულისხმობს გამოყოფის თავისუფლებას. ჩვენ, რუსებმა, ხაზგასმით უნდა მოვითხოვოთ გამოყოფის თავისუფლება, ხოლო პოლონეთში — შეერთების თავისუფლება.

აქ ჩვენ წინაშე მთელი რიგი სოფიზმებია, რაც მარქსიზმის სრულ უარყოფას ნიშნავს. ამხ. პიატაკოვის თვალსაზრისი განმეორებაა როზა ლუქსემბურგის თვალსაზრისისა... * (ჰოლანდიის მაგალითი). ასე მსჯელობს ამხ. პიატაკოვი, და ასე იმათრახებს ის თავს, რადგან თეორიაში ის უარყოფს გამოყოფის თავისუფლებას, ხალხს კი ეუბნება: ის სოციალისტი არ არის, ვინც გამოყოფის თავისუფლებას უარყოფსო. ის, რასაც აქ ამხ. პიატაკოვი ამბობდა, წარმოუდგენელი დომხალია. დასავლეთ ევროპის მეტ წილ ქვეყნებში ნაციონალური საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია. როცა ამბობენ, ნაციონალური საკითხი გადაწყვეტილიაო, მხედველობაში აქვთ დასავლეთი ევროპა. ამხ. პიატაკოვს კი ეს გადააქვს იმ ქვეყნებში, რომელთაც ეს არ ეხება, აღმოსავლეთ ევროპაში, და ჩვენც სასაცილო მდგომარეობაში ვვარდებით.

* გამოტოვებულია საოქმო ჩანაწერში. რ ე დ.

აბა დაუფიქრდით, რა საშინელი დომხალი გამოდის! ფინეთი ხომ ჩვენი ახლო მეზობელია. ამხ. პიატაკოვი მის შესახებ კონკრეტულ პასუხს არ იძლევა, ის სრულიად დაიბნა. «რაბოჩაია გაზეტაში» თქვენ გუშინ წაიკითხეთ, რომ ფინეთში იზრდება სეპარატიზმი. ფინელები ჩამოდიან და ამბობენ: ჩვენში სეპარატიზმი ძლიერდება, რადგან კადეტები არ აძლევენ ფინეთს სრულ ავტონომიასო. იქ ძლიერდება კრიზისი, უკმაყოფილება გენერალ-გუბერნატორ როდიჩევით, «რაბოჩაია გაზეტა» კი წერს: ფინელებმა უნდა დაუცადონ დამფუძნებელი კრების მოწვევას, რადგან იქ იქნება მიღწეული შეთანხმება ფინეთსა და რუსეთს შორისო. რას ნიშნავს შეთანხმება? ფინელებმა უნდა თქვან, რომ მათ უფლება უნდა ჰქონდეთ ისე გადაწყვიტონ თავიანთი ბედი, როგორც მათ სურთ, და ის ველიკოროსი, რომელიც ამ უფლებას უარყოფდა, შოვინისტი იქნებოდა. სხვა საქმეა, ჩვენ რომ გვეთქვა ფინელი მუშისათვის: როგორ სჯობს შენთვის გადაწყდეს... *

ამხ. პიატაკოვი მხოლოდ უარყოფს ჩვენს ლოზუნგს, როცა ამბობს, რომ ეს ნიშნავს ლოზუნგის მიუცემლობას სოციალისტური რევოლუციისთვისო, — მაგრამ მას თვითონ არ მოუცია სათანადო ლოზუნგი. სოციალისტური რევოლუციის მეთოდი ლოზუნგით: «ძირს საზღვრები» სრული არევ-დარევაა. ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმ სტატიის დაბეჭდვა, სადაც ამ შეხედულებას მე «იმპერიალისტური ეკონომიზმი» ** ვუწოდე. რას ნიშნავს — სოციალისტური რევოლუციის «მეთოდი» ლოზუნგით «ძირს საზღვრები»? ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოს აუცილებლობას, სახელმწიფო კი საზღვრებს გულისხმობს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბურჟუაზიულ მთავრობასაც იტევს, ჩვენ კი საბჭოები გვინდა; მაგრამ საზღვრების საკითხი საბჭოებისათვისაც დგას. რას ნიშნავს «ძირს საზღვრები»? აქ იწყება ანარქია... სოციალისტური რევოლუციის «მეთოდი» ლოზუნგით «ძირს საზღვრები» — დომხალია და მეტი არა-

* გამოტოვებულია საოქმო ჩანაწერში. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 22 — 90. რ ე დ.

ფერი. როცა სოციალისტური რევოლუცია მომწიფდება, როცა ის მოხდება, სხვა ქვეყნებსაც მოედება, და ჩვენც მას დავეხმარებით, მაგრამ როგორ, — არ ვიცით. «სოციალისტური რევოლუციის მეთოდი» უშინაარსო ფრაზაა. რამდენადაც არსებობს ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ გადაუწყვეტელი საკითხების ნაშთები, ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ გადაწყვეტას. ჩვენ სეპარატისტულ მოძრაობას გულგრილად, ნეიტრალურად ვუყურებთ. თუ ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა გამოეყოფიან რუსეთს, ამაში ცუდი არაფერია. რა არის აქ ცუდი? ვინც ამას იტყვის, ის შოვინისტია. ჭკუაზე უნდა შეირყე, რომ ნიკოლოზ მეფის პოლიტიკა განაგრძო. ხომ ჩამოშორდა ნორვეგია შვეციას... ოდესღაც ალექსანდრე I და ნაპოლეონი ხალხებს უცვლიდნენ ერთმანეთს, ოდესღაც მეფეები პოლონეთს უცვლიდნენ ერთმანეთს. განა ჩვენც უნდა განვაგრძოთ მეფეების ეს ტაქტიკა? ეს ინტერნაციონალიზმის ტაქტიკაზე ხელის აღებაა, ეს უცუდესი სახის შოვინიზმია. თუ ფინეთი გამოიყოფა, რა არის აქ ცუდი? ორივე ხალხს, ნორვეგიისა და შვეციის პროლეტარიატს გამოყოფის შემდეგ განუმტკიცდათ ერთმანეთისადმი ნდობა. შვეციის მემამულეებს ომი უნდოდათ აეტეხათ, მაგრამ შვეციის მუშებმა ამას წინააღმდეგობა გაუწიეს და თქვეს: ჩვენ ეს ომი არ გვინდაო.

ფინელებს დღეს მხოლოდ ავტონომია სურთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ფინეთს სრული თავისუფლება მიეცეს, მაშინ ნდობა რუსეთის დემოკრატიისადმი გაძლიერდება, სწორედ მაშინ არ გამოიყოფიან ისინი, როცა ეს განხორციელდება. როცა მათთან მიდის ბ-ნი როდიჩევი და ევაჭრება ავტონომიის გამო, ჩვენთან ჩამოდიან ფინელი ამხანაგები და გვეუბნებიან: ჩვენ ავტონომია გვინდაო. მათ კი ყველა ზარბაზნიდან უტეხენ სროლას და ეუბნებიან: «დაუცადეთ დამფუძნებელ კრებასო». ჩვენ კი ვამბობთ: «რუსი სოციალისტი, რომელიც უარყოფს ფინეთის თავისუფლებას, შოვინისტია».

ჩვენ ვამბობთ, რომ საზღვრები ყალიბდება მოსახლეობის ნებით. რუსეთო, არ გაბედო ომი კურლანდიის გამო! გერმანიავ, გაიყვანე ჯარი კურლანდიიდან! აი როგორ ვწყვეტთ

ჩვენ გამოყოფის საკითხს. პროლეტარიატი ძალმომრეობას ვერ მიმართავს, რადგან ის ხელს ვერ შეუშლის ხალხთა თავისუფლებას. ლოზუნგი «ძირს საზღვრები» მაშინ იქნება სწორი, როცა სოციალისტური რევოლუცია რეალობა გახდება და არა მეთოდი, — და მაშინ ჩვენ ვიტყვით: ამხანაგებო, მიდით ჩვენთან...

სულ სხვა საქმეა ომის საკითხი. თუ საჭირო იქნება, რევოლუციურ ომზე უარს არ ვიტყვით. ჩვენ პაციფისტები როდი ვართ... როცა ჩვენში მილიუკოვი ზის და ფინეთში როდიჩევს გზავნის, რომელიც იქ უსირცხვილოდ ევაჭრება ფინელ ხალხს, ჩვენ ვამბობთ: არა, არ გაბედო, რუსო ხალხო, ძალა დაატანო ფინეთს: თავისუფალი ვერ გახდება ის ხალხი, რომელიც თვითონ ჩაგრავს სხვა ხალხებს. რეზოლუციაში ბორგბიერგის შესახებ ჩვენ ვამბობთ: გამოიყვანეთ ჯარი და მიეცით ერს ნება დამოუკიდებლად გადაჭრას საკითხი. აი, თუ ხვალ საბჭო ძალაუფლებას აიღებს, ეს არ იქნება «სოციალისტური რევოლუციის მეთოდი», ჩვენ მაშინ ვიტყვით: გერმანიავ, გაიყვანე ჯარი პოლონეთიდან; რუსეთო, გამოიყვანე ჯარი სომხეთიდან, — წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება მოტყუება.

თავის ჩაგრულ პოლონეთზე ამბ. ძერჟინსკი გვეუბნება, იქ ყველა შოვინისტიაო. მაგრამ რატომ არც ერთმა პოლონელმა სიტყვაც არ დაძრა, რა ვუყოთ ფინეთს, რა ვუყოთ უკრაინას? ჩვენ 1903 წლიდან იმდენს ვკამათობთ ამ საკითხზე, რომ ამაზე ლაპარაკიც კი გვიძნელდება. სადაც გინდა, იქ წაბრძანდი... ვინც ამ თვალსაზრისზე არ დგას, ის ანექსიონისტია, ის შოვინისტია. ჩვენ გვინდა ყველა ხალხის ძმური კავშირი. თუ იქნება უკრაინის რესპუბლიკა და რუსეთის რესპუბლიკა, მათ შორის მეტი კავშირი, მეტი ნდობა დამყარდება. თუ უკრაინელები დაინახავენ, რომ ჩვენში საბჭოების რესპუბლიკაა, აღარ გამოგვეყოფიან, ხოლო თუ ჩვენში მილიუკოვის რესპუბლიკა იქნება, გამოგვეყოფიან. როცა ამბ. პიატაკოვმა, თავის შეხედულებათა წინააღმდეგ, თქვა: ჩვენ წინააღმდეგი ვართ ჩვენს საზღვრებში ძალით დავაკავოთ

ვინმეო, — ეს არის სწორედ ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარება. ჩვენ სრულებით არ გვინდა, რომ ხიველი გლეხი ხივის ხანის ბატონობის ქვეშ ცხოვრობდეს. ჩვენი რევოლუციის განვითარებით ჩვენ გავლენას მოვახდენთ დაჩაგრულ მასებზე. მხოლოდ ასე უნდა დავაყენოთ აგიტაცია დაჩაგრული მასის შიგნით.

მაგრამ ყოველი რუსი სოციალისტი, რომელიც არ ცნობს ფინეთის და უკრაინის თავისუფლებას, შოვინიზმისკენ დაქანდება. და ვერავითარი სოფიზმებით და თავისი «მეთოდის» დამოწმებით ვერასდროს ვერ გაიმართლებს თავს.

შოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ.
15 (2) მაისს გაზეთ «პრავდაში» № 46

პირველად სრულად დაიბეჭდა 1921 წელს
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა
კრებულში, ტომი XIV, ნაწ. 2

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საშერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

19

რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე

ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას, როგორც თვითმპყრობელობისა და მონარქიის მემკვიდრეობას, მხარს უჭერენ მემამულეები, კაპიტალისტები და წვრილი ბურჟუაზია მათი კლასობრივი პრივილეგიების დაცვისა და სხვადასხვა ეროვნების მუშების გათიშვის გულისთვის. თანამედროვე იმპერიალიზმი აძლიერებს სუსტ ხალხთა დამორჩილების მისწრაფებებს და ნაციონალური ჩაგვრის გამწვავების ახალ ფაქტორს წარმოადგენს.

რამდენადაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოსახერხებელია ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა, ეს შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს თანმიმდევრულ-დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილების და მართვა-გამგეობის პირობებში, რაც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ენის სრულ თანასწორუფლებიანობას.

რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერს უნდა მიენიჭოს თავისუფალი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. ასეთი უფლების უარყოფა და იმ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ განხორციელებას, უდრის დაპყრობათა ანუ ანექსიების პოლიტიკის მხარდაჭერას. პროლეტარიატის მიერ ერთა გამოყოფის უფლების აღიარება უზრუნველყოფს მხოლოდ სხვადასხვა ერის მუშათა სრულ სოლიდარობას და ხელს უწყობს ერთა ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებას.

ამჟამად ფინეთსა და რუსეთის დროებით მთავრობას შორის წარმოშობილი კონფლიქტი განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყოფს, რომ თავისუფალი გამოყოფის უფლების უარყოფა იწვევს ცარიზმის პოლიტიკის პირდაპირ განგრძობას.

შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების საკითხი და ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი.

ეს უკანასკნელი საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

პარტია მოითხოვს ფართო საოლქო ავტონომიას, ზევიდან მეთვალყურეობის გაუქმებას, სავალდებულო სახელმწიფო ენის გაუქმებას და თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრების გარკვევას თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობისა და სხვათა მხედველობაში მიღებით.

პროლეტარიატის პარტია გადაჭრით უარყოფს ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას», ე. ი. სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის და სხვათა ამოღებას და მის გადაცემას თავისებური ნაციონალური სეიმების ხელში. ერთ ადგილას მცხოვრებ და თვით ერთ და იმავე საწარმოებში მომუშავე მუშებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომია * ხელოვნურად მიჯნავს იმისდა მიხედვით, თუ რომელ «ნაციონალურ კულტურას» მიეკუთვნებიან, ე. ი. აძლიერებს მუშების კავშირს ცალკეულ ერთა ბურჟუაზიულ კულტურასთან, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატიის ამოცანას შეადგენს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალური კულტურის გაძლიერება.

---

* სიტყვები «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ჩასმულია ი. ბ. სტალინის მიერ ნაცვლად სიტყვებისა: «ეს გეგმა». რ ე დ.

პარტია მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს ძირითადი კანონი, რომელიც ძალადაკარგულად გამოაცხადებს ერთ-ერთი ერის ყოველგვარ პრივილეგიებს, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარ დარღვევას.

მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნების მუშების გაერთიანებას პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვა ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში. სხვადასხვა ეროვნებათა მუშების მხოლოდ ასეთი გაერთიანება ერთიან ორგანიზაციებში საშუალებას მისცემს პროლეტარიატს აწარმოოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ვაზეთ «სოლდატსკაია პრავდას»
1917 წ. 16 (3) მაისის
№ 13-ის დამატება

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

20

სიტყვა ინტერნაციონალში არსებული მდგომარეობისა და რსდმპ(ბ) ამოცანების შესახებ 29 აპრილს (12 მაისს)

ამხ. ზინოვიევმა თვითონვე აღიარა, რომ ჩვენი ვიზიტი სტოკჰოლმში უკანასკნელი იქნება და რომ ჩვენ იქ ვიქნებით ინფორმაციის მიზნითო [78].

როდესაც გრიმი კონფერენციაზე გვიწვევდა, მე არ წავედი, რადგან ვხედავდი, რომ შეუძლებელია ლაპარაკი იმ ადამიანებთან, რომლებიც მხარს უჭერენ სოციალ-შოვინიზმს. ჩვენ ვამბობთ: «არავითარი თანამშრომლობა სოციალ-შოვინისტებთან». ჩვენ მივდივართ და მივმართავთ ციმერვალდის მემარცხენე ნაწილს. გრიმს ჰქონდა როგორც მორალური, ისე ფორმალური უფლება დაეწერა დღევანდელი რეზოლუცია. მისი უფლება ემყარებოდა გერმანიაში კაუცკის, საფრანგეთში — ლონგეს. ფორმალურად საქმის ვითარება ასეთია: გრიმმა განაცხადა პრესაში: «ჩვენ დავშლით ჩვენს ბიუროს, როგორც კი ბიუროს მოიწვევს ჰიუისმანსიო». როდესაც ჩვენ ვუთხარით, რომ ციმერვალდში ასეთ გადაწყვეტილებას არ ღებულობენ-თქო, იგი დაგვეთანხმა, მაგრამ განაცხადა: «უმრავლესობა ამ აზრისააო» — და ეს მართალიც იყო.

ვიზიტის შესახებ: «ინფორმაცია იქნება, ჩვენ დავუკავშირდებით ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს». იმის იმედი, რომ ჩვენ ოდესმე მეტს მივიმხრობთ, ნაკლებად უნდა გვქონ-

დეს. ნუ მოვიტყუებთ თავს ილუზიით: ჯერ-ერთი, ვიზიტი არ შედგება; ძეორეც, იგი უკანასკნელი იქნება; მესამე, ჩვენ ტექნიკურად არ შეგვიძლია მივიზიდოთ ის ელემენტები, რომელთაც სურთ კავშირი გაწყვიტონ სოციალ-შოვინისტებთან. მაგრამ დაე ამხ. ნოგინმა მოახდინოს სტოკჰოლმში პირველი, ხოლო ამხ. ზინოვიევმა უკანასკნელი ვიზიტი. ჩემი მხრიც კანონიერი სურვილია, რომ უკანასკნელი ვიზიტის ცდა მოხდეს რაც შეიძლება უფრო მალე და უფრო წარმატებით.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1917 წ.
15 (2) მაისს გაზეთ «პრავდაში» № 46

პირველად სრულად დაიბეჭდა 1925 წელს
წიგნში «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო
საქალაქო და სრულიად რუსეთის
1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება
ხელნაწერის
ხელნაწერი ეგზემპლარის
მიხედვით

21

სიტყვა მიმდინარე მომენტის შესახებ წარმოდგენილი რეზოლუციის დასაცავად 29 აპრილს (12 მაისს)

რეზოლუციაში მიმდინარე მომენტის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ რუსეთის პირობების შესახებ — შეცდომაა. ომმა იმდენად განუყრელად დაგვაკავშირა ერთმანეთთან, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ უგულებელვყოფდით საერთაშორისო ურთიერთობის მთელ ერთობლიობას.

რა ამოცანები წამოიჭრება რუსეთის პროლეტარიატის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო მოძრაობამ სოციალური რევოლუციის წინაშე დაგვაყენა? — აი ის მთავარი საკითხი, რომელიც გარჩეულია ამ რეზოლუციაში.

«სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წანამძღვარნი, რომელნიც უეჭველად არსებობდნენ უკვე ომის წინ ყველაზე განვითარებულ მოწინავე ქვეყნებში, განაგრძობდნენ მომწიფებას და ომის გამო ახლაც მწიფდებიან უდიდესი სისწრაფით. წვრილ და საშუალო მეურნეობათა განდევნა და დაღუპვა კიდევ უფრო მეტი სიჩქარით ხდება. კაპიტალის კონცენტრაცია და ინტერნაციონალიზაცია გიგანტურად იზრდება. მონოპოლისტური კაპიტალიზმი სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად იქცევა, გარემოებათა ზეგავლენით მთელ რიგ ქვეყნებში შემოდის წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივი მოწესრიგება, ზოგიერთი მათგანი საყოველთაო შრომითს ბეგარაზე გადადის».

ომამდე არსებობდა ტრესტების, სინდიკატების მონოპოლია, ომის დროს — სახელმწიფო მონოპოლია. ხოლო შრომის

საყოველთაო ბეგარა, ეს არის ისეთი ახალი რამ, რაც შეადგენს სოციალისტური მთელის ნაწილს, — ეს ხშირად ავიწყდებათ იმათ, ვისაც ეშინია კონკრეტულად განიხილოს შექმნილი პირობები.

რეზოლუციის პირველი ნაწილის სიმძიმის ცენტრია — მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის პირობების დახასიათება. საინტერესოა ის, რომ ენგელსმა 27 წლის წინათ აღნიშნა კაპიტალიზმის საკითხის ასე დაყენების არადამაკმაყოფილებლობა, როცა ანგარიშს არ უწევენ ტრესტების როლს და ამბობენ: «კაპიტალიზმი განირჩევა გეგმაშეწონილობის უქონლობითო». ენგელსი ამის გამო შენიშნავს: «სადაც ტრესტია, იქ არ შეიძლება ლაპარაკი გეგმაშეწონილობის უქონლობაზე, იქ კაპიტალიზმია» [79]. ასეთი შენიშვნა მით უფრო საჭიროა გავაკეთოთ ახლა, როდესაც გვაქვს სამხედრო სახელმწიფო — სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. გეგმაშეწონილობის შემოღება ვერ იხსნის მუშებს მონობისაგან, კაპიტალისტები კი უფრო «გეგმაშეწონილად» იღებენ მოგებას. ახლა ჩვენ გვაქვს კაპიტალიზმის პირდაპირ გადაზრდა მის უმაღლეს გეგმაშეწონილ ფორმად.

რეზოლუციის მეორე ნაწილი არავითარ განმარტებას არ საჭიროებს.

საჭიროა უფრო ვრცლად შევჩერდეთ რეზოლუციის მესამე ნაწილზე (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ს).

«რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც მოქმედებს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში, წვრილი გლეხური მოსახლეობის მასაში, არ შეუძლია მიზნად დაისახოს სოციალისტური გარდაქმნის დაუყოვნებლივ განხორციელება.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ხოლო პრაქტიკულად ბურჟუაზიის მხარეზე სრული გადასვლაც კი, აქედან ის დასკვნა გამოგვეტანა, რომ აუცილებელია მუშათა კლასმა მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიას, ან აუცილებელია ჩვენი მოღვაწეობა შემოვზღუდოთ წვრილი ბურჟუაზიისათვის მისაღები ფარგლებით, ანდა ხელი ავიღოთ პროლეტარიატის ხელმძღვა-

ნელ როლზე ხალხისთვის იმის განმარტების საქმეში, რომ გადაუდებელია მთელი რიგი პრაქტიკულად მომწიფებული ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმისაკენ».

ჩვეულებრივ პირველი წანამძღვრებიდან ასეთი დასკვნა გამოჰყავთ: «რუსეთი ჩამორჩენილი, გლეხური, წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, ამიტომ სოციალურ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო», მაგრამ ავიწყდებათ, რომ ომმა ჩვენ არაჩვეულებრივ პირობებში ჩაგვაყენა და რომ წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად არის მსხვილი კაპიტალიც. რა უნდა ქნან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა, როდესაც ძალაუფლება მათ ხელში გადავა? ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ? მუშათა კლასი განაგრძობს თავის კლასობრივ ბრძოლას — აი პასუხი.

რა არის შესაძლებელი და რა არის აუცილებელი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლების დროს?

უწინარეს ყოვლისა, მიწის ნაციონალიზაცია. მიწის ნაციონალიზაცია — ბურჟუაზიული ღონისძიებაა, იგი არ გამორიცხავს კაპიტალიზმს, არც კაპიტალი გამორიცხავს მას, მაგრამ ეს დიდი ლახვარის ჩაცემაა კერძო საკუთრებისთვის. შემდეგ (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს):

«... სახელმწიფო კონტროლის დაწესება ყველა ბანკის მიმართ მათი ერთ ცენტრალურ ბანკად გაერთიანებით, აგრეთვე კონტროლის დაწესება დამზღვევი დაწესებულებებისა და კაპიტალისტთა უდიდესი სინდიკატების მიმართ (მაგალითად, შაქრის მექარხნეთა სინდიკატის, «პროდუგოლის», «პროდამეტის» და სხვ. მიმართ), შემოსავალთა და ქონებათა უფრო სამართლიან, პროგრესიულ დაბეგვრაზე თანდათანობითი გადასვლით. ასეთი ზომები ეკონომიურად სავსებით მომწიფებულია, ტექნიკურად უთუოდ შესაძლებელია მათი დაუყოვნებლივ განხორციელება, პოლიტიკურად მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ პოვონ მხარდაჭერა გლეხების უდიდესი უმრავლესობისა, რომელიც ამ გარდაქმნებით ყოველმხრივ მოგებული რჩება».

ამ მუხლმა დისკუსია გამოიწვია. მე ჯერ კიდევ «პრავდა-ში» მომიხდა მეთქვა პლეხანოვის სტატიების გამო: «როდესაც სოციალიზმის შეუძლებლობაზე ლაპარაკობენ, ცდილობენ იგი ისე წარმოგვიდგინონ, როგორც ეს მათთვის ხელსაყრელია: ბუნდოვნად, გაურკვევლად, ნახტომის სახით». თვით კაუცკი აბობს: «არც ერთი სოციალისტი არ ლაპარაკობს გლეხთა კერძო საკუთრების გაუქმებაზე». მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ არსებულმა მსხვილმა კაპიტალმა უნდა აგვაშოროს წარ-მოების, შაქრის მექარხნეთა სინდიკატებისა და სხვათა მიმართ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კონტრო-ლი? ეს ღონისძიება — სოციალიზმი როდია, — ეს არის გარ-დამავალი ღონისძიება, მაგრამ ამგვარ ღონისძიებათა განხორ-ციელება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არსებობასთან დაკავშირებით გამოიწვევს იმას, რომ რუსეთი ცალ ფეხს შედგამს სოციალიზმში, ცალს — იმიტომ, რომ გლეხობა, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს, უძღვება ჩვენი ქვეყნის მეორე სამეურნეო მხარეს. ცვლილება რომ ეკონომიურად მომწიფებულია — ამის უარყოფა შეუძლებე-ლია. ეს ღონისძიებები რომ პოლიტიკურად განვახორციე-ლოთ — საჭიროა უმრავლესობა გვყავდეს, უმრავლესობას კი შეადგენენ გლეხები, რომელნიც, ცხადია, დაინტერესებული არიან ამ გარდაქმნებით. ეყოფათ თუ არა მათ დარაზმულო-ბა — ეს სხვა საკითხია, მათ მაგიერ ჩვენ ვერას ვიტყვით.

ძველი გაცვეთილი თქმაა სოციალიზმის წინააღმდეგ, რომ ეს არის «მასობრივი ყაზარმა», «მასობრივი მოხელეობა». სოციალიზმის შესახებ საკითხი ახლა ჩვენ სხვანაირად უნდა დავაყენოთ, ვიდრე წინათ აყენებდნენ, ბუნდოვანი სფეროდან ჩვენ იგი უნდა გადავიტანოთ უაღრესად კონკრეტულ სფე-როში: მიწის ნაციონალიზაცია, კონტროლი სინდიკატების და სხვათა მიმართ (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ს).

«ყველა აღნიშნული და მათი მსგავსი ღონისძიებანი არა მარტო შეიძლება და უნდა განვიხილოთ და მოვამზადოთ საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით გასატარებლად იმ პირობით, რომ მთელი ძალაუფლება გადავა პროლეტარებისა

და ნახევრადპროლეტარების ხელში, არამედ განხორციელებულ უნდა იქნენ კიდეც საყოველთაო-სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი რევოლუციური ორგანოების მიერ, როდესაც საამისო შესაძლებლობა იქნება.

აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად აუცილებელია მეტისმეტი წინდახედულობა და სიფრთხილე, მოსახლეობის მტკიცე უმრავლესობის მიმხრობა და მისი შეგნებული დარწმუნება იმაში, რომ ესა თუ ის ღონისძიება პრაქტიკულად მომზადებულია; სწორედ აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მუშათა მასების შეგნებული ავანგარდის ყურადღება და ძალ-ღონე, მასებისა, რომლებიც ვალდებული არიან დაეხმარონ გლეხთა მასებს იპოვონ გამოსავალი შექმნილი ნგრევიდან».

მთელი რეზოლუციის დედააზრი უკანასკნელ სიტყვებშია: სოციალიზმს ჩვენ ვაყენებთ არა როგორც ნახტომს, არამედ როგორც პრაქტიკულ გამოსავალს შექმნილი ნგრევიდან.

«რევოლუცია ბურჟუაზიულია, ამიტომაც საჭირო არ არის სოციალიზმზე ლაპარაკიო», — ამბობენ მოწინააღმდეგენი. ჩვენ კი ვიტყვით, პირიქით: «რადგან ბურჟუაზიას არ შეუძლია თავი დაალწიოს შექმნილ მდგომარეობას, ამიტომაა, რომ რევოლუცია წინ მიდის». ჩვენ დემოკრატიულ ფრაზებს კი არ უნდა დავჯერდეთ, არამედ მასებს უნდა განვუმარტოთ მდგომარეობა და მივუთითოთ მათ მთელი რიგი პრაქტიკული ზომები: ხელთ იგდონ სინდიკატები — კონტროლი გაუწიონ მათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეოხებით და სხვა. და აი ყველა ამ ღონისძიების განხორციელება შეადგმევინებს რუსეთს ცალ ფეხს სოციალიზმში. ჩვენი სამეურნეო პროგრამა უნდა ამბობდეს, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ნგრევას — აი რით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენ.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
წიგნში «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო
საქალაქო და სრულიად რუსეთის
1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
ხელნაწერი ეგზემპლარის
მიხედვით

22

რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ

მსოფლიო ომმა, რომელიც მსოფლიო ტრესტებისა და საბანკო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ბატონობისათვის ბრძოლით წარმოიშვა, უკვე გამოიწვია მატერიალურ ფასეულობათა მასობრივი განადგურება, საწარმოო ძალთა გამოფიტვა, სამხედრო მრეწველობის ისეთი ზრდა, რომ შეუძლებელი ხდება მოხმარების საგნებისა და წარმოების საშუალებათა აუცილებლად საჭირო მინიმუმის წარმოებაც კი.

ამრიგად, ამ ომმა კაცობრიობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და დაღუპვის პირას მიიყვანა.

სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წანამძღვარნი, რომელნიც უეჭველად არსებობდნენ უკვე ომის წინ ყველაზე განვითარებულ მოწინავე ქვეყნებში, განაგრძობდნენ მომწიფებას და ომის გამო ახლაც მწიფდებიან უდიდესი სისწრაფით. წვრილ და საშუალო მეურნეობათა განდევნა და დაღუპვა კიდევ უფრო მეტი სიჩქარით ხდება. კაპიტალის კონცენტრაცია და ინტერნაციონალიზაცია გიგანტურად იზრდება. მონოპოლისტური კაპიტალიზმი სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად იქცევა, გარემოებათა ზეგავლენით მთელ რიგ ქვეყნებში შემოდის წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივი მოწესრიგება, ზოგიერთი მათგანი საყოველთაო შრომითს ბეგარაზე გადადის.

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში ყველა ამ ნაბიჯს წარმოების მეტი მონო-

პოლიზაციისა და მეტი გასახელმწიფოებრივობისაკენ აუცილებლად თან სდევს მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერება, ჩაგვრის გაძლიერება, ექსპლოატატორებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გაძნელება, რეაქციისა და სამხედრო დესპოტიზმის გაძლიერება და ამასთან ერთად გარდუვალად იწვევს მსხვილი კაპიტალისტების მოგების უზომო ზრდას მოსახლეობის ყველა დანარჩენი ფენის ხარჯზე, მშრომელი მასების მრავალი ათეული წლით დამონებას ხარკით კაპიტალისტებისათვის სესხებზე მილიარდიანი პროცენტების გადახდის სახით. მაგრამ იგივე პირობები წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმების პირობებში, სახელმწიფო ხელისუფლების მთლიანად პროლეტარიატის ხელში გადასვლისას წარმოადგენს საზოგადოების ისეთი გარდაქმნის წარმატების საწინდარს, რომელიც მოსპობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და უზრუნველყოფს ყველას და თვითეულის კეთილდღეობას.

* *
*

მეორე მხრივ, წინასწარხედვა მთელი მსოფლიოს სოციალისტებისა, რომლებმაც ერთსულოვნად განაცხადეს ბაზელის მანიფესტში 1912 წელს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს გარდუვალობა სწორედ მაშინ მოახლოებულ და ახლა კი მძვინვარე იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, — აშკარად მართლდება მოვლენათა მსვლელობით.

რუსეთის რევოლუცია მხოლოდ პირველი ეტაპია ერთ-ერთი იმ პირველი პროლეტარული რევოლუციისა, რომელსაც გარდუვალად წარმოშობს ომი.

ყველა ქვეყანაში იზრდება ხალხის ფართო მასების აღშფოთება კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ და პროლეტარიატის ის შეგნება, რომ მხოლოდ ძალაუფლების მის ხელში გადასვლა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობა იხსნის კაცობრიობას დაღუპვისაგან.

ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნებში, ინგლისსა და გერმანიაში, მრავალი ასეული სოციალისტი, რომელნიც არ გადასულან «თავიანთი» ნაციონალური ბურჟუაზიის მხარეზე, საპყრობილეებში ჩაყარეს კაპიტალისტთა მთავრობებმა, რომლებმაც ასეთი დევნით აშკარად გამოამჟღავნეს თავიანთი შიში ხალხის მასების სიღრმეში მზარდი პროლეტარული რევოლუციის წინაშე. გერმანიაში პროლეტარული რევოლუციის მომწიფება ჩანს მასობრივი გაფიცვებიდანაც, რომლებიც განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ კვირეებში, აგრეთვე გერმანელ და რუს ჯარისკაცთა დაძმობილების ზრდიდანაც ფრონტზე.

ძმური ნდობა და ძმური კავშირი სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის, — იმ მუშებს შორის, რომლებიც დღეს ერთმანეთს ჟლეტენ კაპიტალისტთა ინტერესების გულისთვის, ამრიგად თანდათან იწყებს აღდგენას, ეს კი, თავის მხრივ, ქმნის წანამძღვრებს სხვადასხვა ქვეყნის მუშების ერთსულოვანი რევოლუციური მოქმედებისათვის. მარტო ასეთ მოქმედებას შეუძლია უზრუნველყოს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის უდიდესი გეგმაშეწონილი განვითარება და რაც შეიძლება უფრო უტყუარი წარმატება.

* *
*

რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც მოქმედებს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში, წვრილი გლეხური მოსახლეობის მასაში, არ შეუძლია მიზნად დაისახოს სოციალისტური გარდაქმნის დაუყოვნებლივ განხორციელება.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ხოლო პრაქტიკულად ბურჟუაზიის მხარეზე სრული გადასვლაც კი, აქედან ის დასკვნა გამოგვეტანა, რომ აუცილებელია მუშათა კლასმა მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიას, ან აუცილებელია ჩვენი მოღვაწეობა შემოვზოუდოთ წვრილი ბურჟუაზიისათვის მისაღები ფარგლებით, ანდა ხელი ავიღოთ პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლზე ხალხისთვის იმის განმარტების საქმეში, რომ

გადაუდებელია მთელი რიგი პრაქტიკულად მომწიფებული ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმისაკენ.

ასეთ ნაბიჯებს წარმოადგენს, ჯერ-ერთი, მიწის ნაციონალიზაცია. ასეთი ღონისძიება, რაც უშუალოდ არ სცილდება ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებს, ამავე დროს ძლიერი ლახვარის ჩაცემა იქნებოდა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისთვის და ამდენადვე გააძლიერებდა სოციალისტური პროლეტარიატის გავლენას სოფლის ნახევრადპროლეტარებზე.

შემდეგ, ასეთ ზომებს წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის დაწესება ყველა ბანკის მიმართ მათი ერთ ცენტრალურ ბანკად გაერთიანებით, აგრეთვე კონტროლის დაწესება დამზღვევი დაწესებულებებისა და კაპიტალისტთა უდიდესი სინდიკატების მიმართ (მაგალითად, შაქრის მექარხნეთა სინდიკატის, «პროდუგოლის», «პროდამეტის» და სხვ. მიმართ), შემოსავალთა და ქონებათა უფრო სამართლიან, პროგრესიულ დაბეგვრაზე თანდათანობითი გადასვლით. ასეთი ზომები ეკონომიურად სავსებით მომწიფებულია, ტექნიკურად უთუოდ შესაძლებელია მათი დაუყოვნებლივ განხორციელება, პოლიტიკურად მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ პოვონ მხარდაჭერა გლეხების უდიდესი უმრავლესობისა, რომელიც ამ გარდაქმნებით ყოველმხრივ მოგებული რჩება.

მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოებს, რომლებიც ამჟამად სულ უფრო მეტად სქელი ქსელით ფარავენ რუსეთს, აღნიშნულ ზომებთან ერთად შეეძლოთ გადასულიყვნენ საყოველთაო შრომითი ბეგრის განხორციელებაზე, რადგან ამ დაწესებულებათა ხასიათი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ყველა ამ ახალ გარდაქმნაზე გადასვლას მხოლოდ იმისდა მიხედვით, რაც უფრო შეგნებულად, მტკიცედ შეითვისებს ხალხის უდიდესი უმრავლესობა მათ პრაქტიკულ საჭიროებას, ხოლო მეორე მხრივ, ამ დაწესებულებათა ხასიათი უზრუნველყოფს გარდაქმნათა არა პოლიციურ-მოხელურ განხორციელებას, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დარაზმული და შეიარაღებული მასების ნებაყოფ-

ლობითს მონაწილეობას საკუთარი მეურნეობის მოწესრიგებაში.

ყველა აღნიშნული და მათი მსგავსი ღონისძიებანი არა მარტო შეიძლება და უნდა განვიხილოთ და მოვამზადოთ საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით გასატარებლად იმ პირობით, რომ მთელი ძალაუფლება გადავა პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ხელში, არამედ განხორციელებულ უნდა იქნენ კიდეც საყოველთაო-სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი რევოლუციური ორგანოების მიერ, როდესაც საამისო შესაძლებლობა იქნება.

აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად აუცილებელია მეტისმეტი წინდახედულობა და სიფრთხილე, მოსახლეობის მტკიცე უმრავლესობის მიმხრობა და მისი შეგნებული დარწმუნება იმაში, რომ ესა თუ ის ღონისძიება პრაქტიკულად მომზადებულია; სწორედ აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მუშათა მასების შეგნებული ავანგარდის ყურადღება და ძალ-ღონე, მასებისა, რომლებიც ვალდებული არიან დაეხმარონ გლეხთა მასებს იპოვონ გამოსავალი შექმნილი ნგრევიდან.

გაზეთ «სოლდატსკაია პრავდას»
1917 წ. 16 (3) მაისის
№ 13-ის დამატება

იბეჭდება დამატების ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებულ
საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ეგზემპლარის ტექსტთან

23

საბოლოო სიტყვა კონფერენციის დახურვისას 29 აპრილს (12 მაისს)

დროის უქონლობის გამო ლენინი უარს ამბობს სიტყვაზე პარტიის სახელწოდების შეცვლის დასაცავად, მაგრამ ამ საკითხის შესახებ იგი მიუთითებს თავის ახლად დაწერილ ბროშურაზე «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში» *, რომელიც გამოდგება მასალად ადგილებზე დისკუსიის გასამართავად.

რამდენიმე სიტყვა კონფერენციის შესახებ.

დრო ცოტა გვქონდა, სამუშაო კი ბევრი. პირობები, რომლებშიაც ჩაყენებულია ჩვენი პარტია, — მძიმეა. ობორონცული პარტია ბევრია, მაგრამ პროლეტარული მასები უარყოფითად უყურებენ ობორონცობასა და იმპერიალისტურ ომს. ჩვენი რეზოლუციები ფართო მასებისათვის არ არის დაწერილი, მაგრამ ისინი გააერთიანებენ ჩვენი აგიტატორებისა და პროპაგანდისტების მუშაობას, ხოლო მკითხველები მათში იპოვიან სახელმძღვანელოს თავიანთი მუშაობისთვის. ჩვენ გვიხდება ლაპარაკი მილიონების წინაშე; საჭიროა მასაში გამოვავლინოთ ახალი ძალები, მოვითხოვოთ უფრო განვითარებული და შეგნებული მუშები, რომლებიც ჩვენს თეზისებს განმარტავდნენ მასების დონესთან შეფარდებით. ჩვენ ძალ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 82 — 87. რ ე დ.

ლონეს მივმართავთ იქითკენ, რომ ჩვენს ბროშურებში უფრო გასაგებად გადმოვცეთ ჩვენი რეზოლუციები, და იმედი გვაქვს, რომ ამხანაგებიც ასევე მოიქცევიან ადგილებზე. პროლეტარიატი ჩვენს რეზოლუციებში იპოვის სახელმძღვანელო მასალას ჩვენი რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასასვლელად.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში «რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენცია»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

შესავალი რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებისა

ამხანაგო მუშებო!

სრულიად რუსეთის კონფერენცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი აერთიანებს და ხალხურ ენაზე «ბოლშევიკების» პარტია ეწოდება, დამთავრდა.

კონფერენციამ რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო; ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ამ გადაწყვეტილებების სრულ ტექსტს.

რევოლუცია კრიზისს განიცდის. ეს ჩანდა პეტროგრადისა და მოსკოვის ქუჩებში 19 — 21 აპრილს. ეს აღიარა დროებითმა მთავრობამ. ეს აღიარა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. ეს კიდევ და კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ სტრიქონების დაწერის დროს გუჩკოვის გადადგომით.

ხელისუფლების კრიზისი, რევოლუციის კრიზისი — შემთხვევითი მოვლენა როდია. დროებითი მთავრობა ეს არის მთავრობა მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომელნიც ხელფეხშეკრული არიან რუსეთის და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის მიერ და იძულებული არიან განაგრძონ იმპერიალისტური ომი. მაგრამ ჯარისკაცები დაიტანჯნენ ომით, ისინი სულ უფრო და უფრო ნათლად გრძნობენ, რომ ომი წარმოებს

კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის, მათ არ სურთ ომი. ამასთან ერთად რუსეთს, ისე როგორც სხვა ქვეყნებს, უახლოვდება საშინელი კრახის, უპურობის, სრული სამეურნეო ნგრევის მრისხანე აჩრდილი.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც, რომელიც შეუთანხმდა დროებითს მთავრობას და მხარს უჭერს მას, მხარს უჭერს სესხს და, მაშასადამე, ომსაც, აგრეთვე ჩიხში მოემწყვდა. საბჭო პასუხისმგებელია დროებითი მთავრობის მოქმედებისათვის და, ხედავს რა უიმედო მდგომარეობას, ისიც დაიბნა კაპიტალისტების მთავრობასთან ამ თავისი შეთანხმების გამო.

ამ დიდ ისტორიულ მომენტში, როცა რევოლუციის მთელი მომავალი სასწორზეა შეგდებული, როცა კაპიტალისტები ხან სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, ხან კი მუშების დახვრეტაზე ფიქრობენ, ჩვენი პარტია ხალხის წინაშე გამოდის და, თავისი კონფერენციის გადაწყვეტილებებში, ეუბნება მას:

უნდა შევიგნოთ, რომელი **კლასები** ამოძრავებენ რევოლუციას. ფხიზლად უნდა გავითვალისწინოთ მათი სხვადასხვაგვარი მისწრაფებანი. კაპიტალისტი იმავე გზით ვერ ივლის, რომელსაც მუშა ადგას. წვრილი მეპატრონეები ვერც სავსებით მიენდობიან კაპიტალისტებს, ვერც ერობაშად და ყველანი გაბედავენ ძმური მჭიდრო კავშირის გაბმას მუშასთან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიგებთ რით განსხვავდებიან ეს კლასები, შეიძლება ვიპოვოთ სწორი გზა რევოლუციისათვის.

ჩვენი კონფერენციის გადაწყვეტილებები ხალხის ცხოვრების ყველა ძირითად საკითხზე ზუსტად განასხვავებენ ერთმანეთისაგან სხვადასხვა კლასის ინტერესებს, ცხადყოფენ, რომ კაპიტალისტების მთავრობისადმი ნდობის პოლიტიკის ან მისი მხარდაჭერის პირობებში სრულიად შეუძლებელია თავი დავაღწიოთ ამ ჩიხს.

მდგომარეობა გაუგონრად ძნელია. გამოსავალი ერთია და მხოლოდ ერთი: მთელ რუსეთში, თავიდან ბოლომდე, მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვათა დეპუტატების საბჭოების ხელში. მხოლოდ

იმ პირობით, თუ ძალაუფლება გადავა მუშათა კლასის ხელში, თუ მას მხარს დაუჭერს გლეხთა უმრავლესობა, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სწრაფად აღდგება სხვა ქვეყნების მუშების ნდობა, ევროპაში მოხდება მძლავრი რევოლუცია, რომელიც დაამხობს კაპიტალის უღელს და დაამსხვრევს ხალხთა დანაშაულებრივი ხოცვა-ჟლეტის რკინის მუხრუჭებს. მხოლოდ იმ პირობით, თუ ხელისუფლება გადავა მუშათა კლასის ხელში, თუ მას მხარს დაუჭერს გლეხთა უმრავლესობა, შეიძლება ვიქონიოთ მტკიცე იმედი, რომ მთელი მშრომელი მასები სრული ნდობით მოეკიდებიან ამ ხელისუფლებას და ყველანი ერთსულოვნად, როგორც ერთი კაცი, თავდადებით ჩაებმებიან მუშაობაში მთელი სახალხო ცხოვრების გარდასაქმნელად მშრომელი მასების ინტერესების და არა კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესების გულისთვის. თუ ასე თავდადებით არ ვიმუშავეთ, თუ გიგანტურად არ დავძაბეთ ძალ-ღონე ყველამ და თვითეულმა, თუ მტკიცედ არ გადავწყვიტეთ ცხოვრების ახლებურად გარდაქმნა, თუ ყველა მუშა და ყველა უღარიბესი გლეხი უმკაცრესად არ დაირაზმა და ამხანაგური დისციპლინა არ შემოიღო, ისე გამოსავალი არ არის.

ომმა მთელი კაცობრიობა დაღუპვის პირამდე მიიყვანა. კაპიტალისტები ჩაებნენ ომში და აღარ ძალუძთ თავი დააღწიონ მას. მთელი მსოფლიო კატასტროფის წინაშე დგას.

ამხანაგო მუშებო! ახლოვდება ის დრო, როცა მოვლენები მოგთხოვთ თქვენ ახალ და კიდევ უფრო მეტ გმირობას, — ამასთან მილიონთა და ათეულ მილიონთა გმირობას, — ვიდრე თებერვლისა და მარტის რევოლუციის სახელოვან დღეებში. ემზადეთ.

ემზადეთ და გახსოვდეთ, რომ თუ თქვენ კაპიტალისტებთან ერთად რამდენიმე დღეში გაიმარჯვეთ, ხალხის აღშფოთების უბრალო აზვირთებით, კაპიტალისტების წინააღმდეგ და მათზე გამარჯვებისათვის მარტო ეს როდი კმარა. ასეთი გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ მუშებმა და უღარიბესმა გლეხებმა ხელთ იგდონ ძალაუფლება, შეინარჩუნონ, მარჯვედ

გამოიყენონ იგი, აუცილებელია ორგანიზაცია, ორგანიზაცია და ორგანიზაცია.

ჩვენი პარტია გეხმარებათ რითაც შეუძლია და, უწინარეს ყოვლისა, თქვენი გათვითცნობიერებით იმის შესახებ, რომ სხვადასხვა კლასს სხვადასხვა მდგომარეობა უჭირავს და მათი ძალაც სხვადასხვანაირია. ამას ეხება ჩვენი კონფერენციის გადაწყვეტილებანი. თუ ასეთი ნათელი შეგნება არ არის, ორგანიზაცია არარაა. ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია მილიონთა მოქმედება, შეუძლებელია რაიმე წარმატების მოპოვება.

ნუ დაუჯერებთ სიტყვებს. ნუ გაგიტაცებთ ცარიელი დაპირებები. ნუ გააზვიადებთ საკუთარ ძალებს. დაირაზმენით თვითეული ქარხნის, თვითეული პოლკის, თვითეული ასეულის, თვითეული უბნის მიხედვით. ყოველდღე და ყოველ საათს იმუშავეთ დარაზმვის საქმეზე, იმუშავეთ თვითონ, ამ მუშაობის სხვებისთვის მინდობა შეუძლებელია. ასეთი მუშაობით მიაღწიეთ იმას, რომ მასების სრული ნდობა მოწინავე მუშებისადმი ჩამოყალიბდეს თანდათან, მტკიცედ და ურღვევად. აი ჩვენი კონფერენციის ყველა გადაწყვეტილების ძირითადი შინაარსი. აი რევოლუციის მთელი მსვლელობის მთავარი გაკვეთილი. აი წარმატების ერთადერთი საწინდარი.

ამხანაგო მუშებო! ჩვენ მოგიწოდებთ მძიმე, სერიოზული, დაუღალავი მუშაობისაკენ, რაც ამჭიდროებს ყველა ქვეყნის შეგნებულ, რევოლუციურ პროლეტარიატს. ამ და მხოლოდ ამ გზას მივყავართ გამოსავლისაკენ, ომის საშინელებათაგან, კაპიტალის უღლისაგან კაცობრიობის ხსნისაკენ.

გაზეთ «სოლდატსკაია პრავდას»
1917 წ. 16 (3) მაისს
№ 13-ის დამატება

იბეჭდება დამატების
ტექსტის მიხედვით

დაძმობილების მნიშვნელობა

კაპიტალისტები ან დასცინიან ფრონტზე ჯარისკაცების დაძმობილებას, ანდა გაშმაგებული გულისწყრომით ილაშქრებენ მის წინააღმდეგ, ცრუობენ და ცილისწამებას მიმართავენ, ყველაფერი ეს გამოჰყავთ როგორც გერმანელების მიერ რუსების «მოტყუება», თ ა ვ ი ა ნ თ ი გენერლებისა და ოფიცრების პირით დაძმობილებისათვის სასჯელით იმუქრებიან.

კაპიტალისა და კაპიტალის მოგების «წმიდათა წმიდა საკუთრების» დაცვის თვალსაზრისით კაპიტალისტების ასეთი პოლიტიკა სრულიად სწორია: მართლაც, პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის ჩანასახშივე ჩ ა ს ა ხ შ ო ბ ა დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა დაძმობილებას მოექცე სწორედ ისე, როგორც კაპიტალისტები ექცევიან.

შეგნებული მუშები, და მათთან ერთად ნახევრადპროლეტარების მასაც, უღარიბესი გლეხების მასა, ჩაგრული კლასების სწორი ინსტინქტის მეოხებით, უღრმესი თანაგრძნობით ეკიდებიან დაძმობილებას. ცხადია, დაძმობილება ზავისაკენ მიმავალი გზაა. ცხადია, ეს გზა კაპიტალისტების მთავრობებზე გავლით კი არ მიემართება, მათთან კავშირში კი არ არის, არამედ მათი ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ა. ცხადია, ეს გზა ავითარებს, აძლიერებს, განამტკიცებს ძმურ ნდობას სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის. ცხადია, ეს გზა ყაზარმა-საპყრობილის

წყეული დისციპლინის, ჯარისკაცების მხრივ «თავიანთი» ოფიცრებისა და გენერლებისადმი, თავიანთი კაპიტალისტებისადმი უსიტყვო მორჩილების დისციპლინის (ვინაიდან ოფიცრები და გენერლები მეტ წილად ან კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნიან ან ამ კლასის ინტერესებს იცავენ) მ ს ხ ვ რ ე ვ ა ს ი წ ყ ე ბ ს. ცხადია, დაძმობილება მ ა ს ე ბ ი ს რევოლუციური ინიციატივაა, დაჩაგრული კლასების სინდისის, გონების, გამბედაობის გამოღვიძებაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ერთ-ერთი რგოლი სოციალისტური, პროლეტარული რევოლუციისკენ გადადგმული ნაბიჯების ჯაჭვში.

გაუმარჯოს დაძმობილებას! გაუმარჯოს პროლეტარიატის მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც ახლა ი წ ყ ე ბ ა!

რათა დაძმობილებამ რაც შეიძლება უფრო ადვილად, უტყუარად, სწრაფად მიაღწიოს ჩვენს მიზანს, ჩვენ მოვალენი ვართ ვიზრუნოთ მის რაც შეიძლება მეტ ორგანიზებულობასა და გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამაზე.

რაც უნდა ცილი დაგვწამოს კაპიტალისტებისა და მათი მეგობრების გაბოროტებულმა პრესამ და ანარქისტები გვიწოდოს, ჩვენ დაუღალავად გავიმეორებთ: ჩვენ ანარქისტები არ ვართ, ჩვენ მხურვალე მომხრენი ვართ მასების საუკეთესოდ დარაზმვისა და უაღრესად მტკიცე «სახელმწიფო» ხელისუფლებისა, — ოღონდ ჩვენ გვინდა არა ისეთი სახელმწიფო, როგორიც არის ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკა, არამედ ისეთი, როგორიც არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა.

ჩვენ მუდამ რჩევას ვიძლეოდით და ვიძლევით დაძმობილება წარმოებდეს რაც შეიძლება უფრო დარაზმულად, ხდებოდეს მისი შემოწმება თვით ჯარისკაცთა გონებით, გამოცდილებით, დაკვირვებით, რომ მოტყუებას ადგილი არ ექნეს, ეცადონ გააძევონ მიტინგებიდან ოფიცრები და გენერლები, რომლებიც მეტ წილად გაბოროტებით ცილს სწამებენ დაძმობილებას.

ჩვენ ვცდილობთ, რომ დაძმობილება საერთოდ ზავზე ლაპარაკით კი არ განისაზღვრებოდეს, არამედ იქცეოდეს მსჯე-

ლობად ნ ა თ ე ლ პოლიტიკურ პროგრამაზე, მსჯელობად იმ საკითხზე, თუ რ ო გ ო რ დავამთავროთ ომი, რ ო გ ო რ დავამხოთ კაპიტალისტების ბატონობა, რომელთაც დაიწყეს ომი და რომელნიც ახლა აჭიანურებენ მას.

ამიტომ ჩვენმა პარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი (ამ მიმართვის ტექსტი იხ. «პრავდის» 37-ე ნომერში) *, სადაც გადმოცემული იყო ჩვენი გარკვეული, ზუსტი პასუხი ამ კითხვებზე და მოცემული იყო ნათელი პოლიტიკური პროგრამა.

კარგია, რომ ჯარისკაცები წყევლიან ომს. კარგია, რომ ისინი მოითხოვენ ზავს. კარგია, რომ ისინი ოანდათან გრძნობენ, რომ ომი კაპიტალისტებისათვის არის ხელსაყრელი. კარგია, რომ ჯარისკაცები ამსხვრევენ აუტანელ დისციპლინას და თვითონ იწყებენ დაძმობილებას ყველა ფრონტზე. ყოველივე ეს კარგია.

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა.

საჭიროა, რომ ჯარისკაცები ახლა ისეთ დაძმობილებაზე გადავიდნენ, როცა შესაძლებელი გახდება ნათელი პოლიტიკური პროგრამის განხილვა. ჩვენ ანარქისტები როდი ვართ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ომის დამთავრება შეიძლებოდეს უბრალო «უარის თქმით», ამა თუ იმ პირების, ჯგუფების ან შემთხვევითი «ხალხის» უარის თქმით. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ომი უნდა დამთავრდეს და დამთავრდება კიდეც რ ე ვ ო ლ უ ც ი ი თ მთელ რიგ ქვეყნებში, ე. ი. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ძალაუფლების დაპყრობით ახალი კლასის მიერ, სახელდობრ: არა კაპიტალისტების, არა წვრილი მეპატრონეების (სანახევროდ მუდამ კაპიტალისტებზე რომ არიან დამოკიდებულნი), არამედ პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების მიერ.

ჩვენს მოწოდებაში ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი ჩვენ გადმოვეცით ჩვენი პროგრამა მუშათა რევოლუციისა ყველა ქვეყანაში: მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

* იხ. ეს ტომი, გვ. 209—212. რ ე დ.

ამხანაგო ჯარისკაცებო! განიხილეთ ეს პროგრამა თქვენს წრეში და გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად! ასეთი განხილვა დაგეხმარებათ გამონახოთ სწორი, რაც შეიძლება უფრო ორგანიზებული, უფრო მოკლე გზა ომის შესაწყვეტად და კაპიტალის უღლის დასამხობად.

* *
*

ორიოდე სიტყვა კაპიტალის ერთ-ერთ მსახურზე, პლეხანოვზე. სიბრალულსა გრძნობ, როცა ხედავ, როგორ დაეცა ეს ყოფილი სოციალისტი! იგი ერთმანეთს ადარებს დაძმობილებას და «ღალატს»!! ის მსჯელობს: განა დაძმობილება, თუ მას წარმატება ექნა, სეპარატიულ ზავამდე არ მიგვიყვანსო?

არა, ბატონო ყოფილო სოციალისტო, დაძმობილებას, რომელსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ ყ ვ ე ლ ა ფრონტზე, მივყავართ არა «სეპარატიული» ზავისკენ რამდენიმე ქვეყნის კაპიტალისტებს შორის, არამედ საყოველთაო ზავისკენ ყველა ქვეყნის რევოლუციურ მუშებს შორის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ყველა ქვეყნის კაპიტალისტების ნება-სურვილისა და წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ კაპიტალისტებისა, მათი უღლის დასამხობად.

«პრავდა» № 43, 1917 წ.
11 მაისი (28 აპრილი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საით მივუავართ დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ ნაბიჯებს

ჩვენ შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

«ენისეისკი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოისმინა მინისტრ ლვოვის დეპეშა ენისეისკის გუბერნიის კომისრად დანიშნულ კრუტოვსკის სახელზე, გამოგზავნილი ენისეისკში სახელმძღვანელოდ.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მოხელეობის კვლავ შემოღების სურვილის წინააღმდეგ და ვაცხადებთ, რომ, ჯერ-ერთი, ნებას არ მივცემთ დანიშნულ მოხელეებს ჩვენი საქმეები განავონ; მეორე, გაძევებული გლეხთა უფროსების უკან დაბრუნება არ შეიძლება; მესამე, ჩვენ მხოლოდ ისეთ ორგანოებს ვცნობთ, რომლებიც ენისეისკის მაზრაში თვით ხალხის მიერ არის შექმნილი; მეოთხე, ვიდრე ცოცხალნი ვართ, დანიშნულ მოხელეებს ნებას არ მივცემთ ჩვენზე იბატონონ.

ენისეისკის დეპუტატების საბჭო».

ამრიგად, დროებითი მთავრობა პეტროგრადიდან ნიშნავს «კომისრებს» ენისეისკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ანუ საერთოდ ენისეისკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის «ხელმძღვანელობის» გასაწევად. ამასთან ეს დანიშვნა დროებითმა მთავრობამ ისეთი ფორმით მოახდინა, რომ ენისეისკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო პროტესტს აცხადებს «მოხელეობის კვლავ შემოღების სურვილის წინააღმდეგ».

ეგ კიდევ არაფერი. ენისეისკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო აცხადებს, რომ «ვიდრე ცოცხალნი ვართ, დანიშნულ მოხელეებს ნებას არ მივცემთ ჩვენზე იბატონონონ».

დროებითი მთავრობის საქციელმა შორეული ციმბირის მაზრა, ხალხის მიერ საყოველთაოდ არჩეული ხელმძღვანელი დაწესებულების სახით, იქამდე მიიყვანა, რომ მთავრობის მიმართ გაისმის შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს პირდაპირი მუქარა.

აი სადამდე მივიდნენ თავიანთი საქმიანობით ვაჟბატონები დროებითი მთავრობიდან!

მერე თვით ისინივე ატეხენ ყვირილს — როგორც აქამდე ყვიროდნენ — იმ მავნე ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც «სამოქალაქო ომს» «ქადაგებენ»!

რა საჭირო იყო პეტროგრადიდან ან სხვა რომელიმე ცენტრიდან «კომისრების» დანიშვნა ადგილობრივი ა რ ჩ ე უ ლ ი დაწესებულებისათვის «ხელმძღვანელობის» გასაწევად? ნუთუ მოსულ კაცს უნარი შესწევს უკეთ იცოდეს ადგილობრივი საჭიროებანი, უნარი შესწევს «უხელმძღვანელოს» ადგილობრივ მოსახლეობას? რა საბაბი მისცეს ენისეისკელებმა ასეთი უაზრო ღონისძიებისათვის? თუ ენისეისკელებმა რითიმე მაინც დაარღვიეს სხვა ადგილების მოქალაქეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებები, რატომ არ შეეცადა დროებითი მთავრობა ჯერ გ ა ე გ ო საქმის ვითარება და ამით დაკმაყოფილებულიყო ისე, რომ საბაბი არ მიეცა «მოხელეობაზე» ელაპარაკნათ, არ გამოეწვია ადგილობრივი მოსახლეობის კანონიერი გულისწყრომა და აღშფოთება?

ყველა ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება იყოს: მემამულეთა და კაპიტალისტთა ბბ. წარმომადგენლებს, რომლებიც დროებითს მთავრობაში არიან მოკალათებული, უთუოდ უნდათ შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ო ნ მართვა-გამგეობის ძველი, ცარისტული ა პ ა რ ა ტ ი: ზემოდან «დანიშნული» მოხელეობა. ასე იქცეოდა ყველა ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკა ქვეყნად თითქმის მუდამ, ზოგიერთ ქვეყანაში რევოლუციების ხანმოკლე პერიოდების გამოკლებით. ასე იქცეოდნენ, — და ამით აადვილებდნენ და ამზადებდნენ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი დ ა ნ მონარქიისაკენ, ნაპოლეონებისაკენ, სამხედრო დიქტატორებისაკენ დაბრუნებას. ასე იქცეოდნენ — და

ბატონ კადეტებსაც უთუოდ სურთ გაიმეორონ ეს სავალალო მაგალითები.

საკითხი მეტისმეტად სერიოზულია. თავის მოტყუება საჭირო არ არის. დროებითი მთავრობა ასეთი ნაბიჯებით, სწორედ ასეთი ნაბიჯებით ამზადებს — სულ ერთია, შეგნებულად თუ შეუგნებლად — მონარქიის აღდგენას რუსეთში.

მთელი პასუხისმგებლობა რუსეთში მონარქიის აღდგენის შესაძლებელი — და რამდენადმე აუცილებელი — ცდისათვის ეკისრება დროებით მთავრობას, რომელიც ასეთ კონტრრევოლუციურ ნაბიჯებს დგამს. ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის «ხელმძღვანელობის» გასაწევად ზემოდან «დანიშნული» მოხელეობა, ისევე როგორც მუდმივი ჯარი და პოლიცია, მუდამ იყო და მუდამ იქნება მონარქიის აღდგენის უტყუარი საწინდარი.

ენისეისკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ითასჯერ მართალია პრაქტიკულადაც და პრინციპულადაც. გაძევებული გლეხთა უფროსების უკან დაბრუნება დაუშვებელია. «დანიშნული» მოხელეობის შემოღება მოსათმენი არ არის. უნდა ვცნოთ ამა თუ იმ ადგილას «მხოლოდ თვით ხალხის მიერ შექმნილი ორგანოები».

ზემოდან «დანიშნულ» მოხელეთა მეშვეობით «ხელმძღვანელობის» აუცილებლობის იდეა ძირიანფესვიანად ყალბი, არადემოკრატიული, ცეზარისტული ანუ ბლანკისტური ავანტიურაა. სავსებით მართალი იყო ენგელსი, როდესაც 1891 წელს აკრიტიკებდა ბიუროკრატიზმით საკმაოდ შეპყრობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტს და დაჟინებით მოითხოვდა: არავითარი მეთვალყურეობა ზემოდან ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართო; ენგელსი მართალი იყო, როცა იგონებდა საფრანგეთის გამოცდილებას, საფრანგეთისა, რომელსაც 1792 წლიდან 1798 წლამდე ყოველგვარი ასეთი მეთვალყურეობის გარეშე განაგებდნენ ადგილობრივი არჩეული ორგანოები და არავითარი «ნგრევა» არ განუცდია, სრულიადაც არ «დაშლილა», პირიქით, მაგრდებოდა, დემოკრატიულად მჭიდროვდებოდა და ირაზმებოდა [80].

მოხელეთა სულელური ცრურწმენა, მეფისდროინდელი დახავსებული ზნე-ჩვეულებანი, რეაქციულ-პროფესორული იდეები ბიუროკრატიზმის აუცილებლობის შესახებ, მემამულეთა და კაპიტალისტთა კონტრრევოლუციური ზნე და ზრახვები — აი რა ნიადაგზე აღმოცენდა და იზრდება დროებითი მთავრობის ის ნაბიჯები, რომელთა მსგავსიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

საღი დემოკრატიული გრძნობა მუშებისა და გლეხების, რომლებიც აღშფოთებული არიან აბუჩად ამგდები ცდით — მოზრდილ ადგილობრივ ხალხს, ამ დიდ უმრავლესობას, რომელსაც თავისი არჩეული კაცები ჰყავს, ზემოდან «დაუნიშნონ» «ხელმძღვანელობის» გასაწევად მოხელეები, — აი რა გამოააშკარავა ენისეისკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ.

ხალხს ესაჭიროება ნამდვილად დემოკრატიული, მუშურ-გლეხური რესპუბლიკა, რომელიც არ ცნობს არავითარ სხვა ხელისუფალთ, გარდა იმ ხელისუფალთა, რომლებიც არჩეულია და რომელთა გადაყენებაც მოსახლეობას ყოველ დროს შეუძლია სურვილისამებრ. ა ს ე თ ი რესპუბლიკისათვის ყველა მუშამ და გლეხმა უნდა იბრძოლოს დროებითი მთავრობის ზრახვების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ — აღადგინოს მართვა-გამგეობის მონარქისტული, ცარისტული ხერხები და აპარატები.

«პრავდა» № 43, 1917 წ.
11 მაისი (28 აპრილი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სოციალ-შოვინისტები და ინტერნაციონალისტები

სოციალ-შოვინისტები, უღალატეს რა სოციალიზმს და გადავიდნენ რა «თავიანთი» კაპიტალისტების მხარეზე, ბუნებრივად გაითიშნენ ომში კაპიტალისტების დაჯგუფების შესაბამისად. ასევე ბუნებრივია, რომ ეს გათიშვა დროებითია. პლეხანოვს არ სურს ეთათბიროს შეიდემანს, მაგრამ იგივე პლეხანოვი იცავს სოციალ-შოვინისტების «ინტერნაციონალს», რომელმაც უღალატა სოციალიზმს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: პლეხანოვი მხარს უჭერს შეიდემანებთან გათიშვას ი მ ხ ნ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი, ვიდრე ის კაპიტალისტები, რომელთა აგენტები არიან პლეხანოვიც და შეიდემანიც, გათიშული არიან ერთმანეთთან. პლეხანოვი მხარს უჭერს შეიდემანებთან ერთიანობას, როცა «ბატონნი» (ე. ი. ორივე ქვეყნის კაპიტალისტები) შერიგდებიან. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პლეხანოვის პოზიციაში თანამიმდევრობაა — თანამიმდევრობა სოციალიზმის ღ ა ლ ა ტ ი ს ა, თანამიმდევრობა კაპიტალისტებისთვის სამსახურის გაწევისა სინდისით და არა შიშით.

არც ის არის გასაკვირი, რომ «ცენტრის» საერთაშორისო სოციალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები (კაუცკი და სხვ.), რომელნიც საერთოდ მხარს უჭერენ სოციალ-შოვინისტებთან «ერთიანობას», თანხმდებიან კონფერენციის მოწვევას, რომელსაც აწყობს შეიდემანის აგენტი ბორგბიერგი, ანდა თვითონვე აწყობენ (როგორც პეტროგრადის მუშათა

და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი) საერთაშორისო «სოციალისტურ» კონფერენციას შეიდემანებთან და პლეხანოვებთან ერთად[81]. რაღა გასაკვირია, რომ «ცენტრის» ჩვენი რუსი წარმომადგენლები «რაბოჩაია გაზეტას» სახით ძალიან გაურისხდნენ ჩვენს პარტიას იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა ბორგბიერგის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

გუშინ საღამოს ჩვენი სტოკჰოლმელი კორესპონდენტისაგან ასეთი დეპეშა მივიღეთ:

«ჰააზე, ლონგე მონაწილეობას იღებენ კონფერენციაში. «სპარტაკმა» უარი განაცხადა».

«სპარტაკის» ჯგუფს ანუ «ინტერნაციონალის» ჯგუფს გერმანიაში უწოდებენ იმ ჯგუფს, რომელსაც კარლ ლიბკნეხტი ეკუთვნის. უკანასკნელ ხანებში ცოტას როდი ხმაურობდნენ, განსაკუთრებით საქმის არევ-დარევით დაინტერესებული ადამიანები, — აი ლიბკნეხტის ჯგუფი გაერთიანდა კაუცკელებთან ახალ «გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიადო». ნამდვილად კი ლიბკნეხტის ჯგუფი საკვლევით კი არ გაერთიანებულა კაუცკელებთან, არამედ შეინარჩუნა ორგანიზაციული დამოუკიდებლობა და მხოლოდ დროებითი და პირობითი ბლოკით შეეკრა მას სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ.

ზემომოყვანილი დეპეშა კიდევ და კიდევ ადასტურებს ამას. როდესაც პრაქტიკული საქმის რიგი დადგა, როდესაც საჭირო გახდა დაუყოვნებლივ ზუსტი და ნათელი პასუხის გაცემა, გავიგეთ თუ არა შეიდემანებს და მათ აგენტებსო, — კ. ლიბკნეხტის და მისი ჯგუფის კავშირი კაუცკისთან და კომპანიასთან ერთბაშად დაიშალა.

ჩვენი რეზოლუცია ბორგბიერგის შესახებ ჩვენ «გაგვაცალკევებსო», — შიშობდა ზოგიერთი ამხანაგი.

არა, ამხანაგებო! ეს რეზოლუცია ჩვენ გავიცალკევებს მერყევთაგან. მერყევთა დახმარება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ თავი დავანებოთ მერყეობას.

ბორგბიერგის წინააღმდეგ ჩვენი რეზოლუციის სისწორე შესანიშნავი სისრულით და შესანიშნავი სისწრაფით დაადასტურა მომხდარმა ამბებმა. გერმანელი (ჰააზე) და ფრანგი (ლონგე) კაუცკელები კიდევ განაგრძობენ მერყეობას, მონაწილეობას იღებენ რა თათბირში სოციალ-შოვინისტებთან, ვერ ბედავენ რა საბოლოოდ გაემიჯნონ მათ.

ჩვენმა პარტიამ იკისრა ასეთი საბოლოო გამიჯვნის თაოსნობა და მან უკვე დაიწყო III ინტერნაციონალის ელემენტების შემჭიდროება. ჩვენი ტაქტიკისა და კ. ლიბკნეხტის ჯგუფის ტაქტიკის დამთხვევა შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ ერთ-ერთი ნაბიჯია წარმოშობის პროცესში მყოფი III ინტერნაციონალის გზაზე.

«პრავდა» № 44, 1917 წ.
12 მაისი (29 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ი. გ. წერეთელი და კლასობრივი ბრძოლა

ყველა გაზეთმა მთლიანად ან შემოკლებით გადაბეჭდა ი. გ. წერეთლის სიტყვა, წარმოთქმული 27 აპრილს ყველა მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების საზეიმო სხდომაზე.

თქმა არ უნდა, ეს მინისტრის შესაფერისი სიტყვა იყო. ლაპარაკობდა უპორტფელო მინისტრი. მაგრამ მაინც, ჩვენი აზრით, მ ა შ ი ნ ა ც კ ი, როცა უპორტფელო მინისტრები წარმოთქვამენ მინისტრის შესაფერისს სიტყვებს, ცოდვა არ იქნება გაიხსენონ სოციალიზმი, მარქსიზმი, კლასობრივი ბრძოლა. ყველა თავის შესაფერისად იქცევა: ბურჟუაზიას შეშვენის თავი აარიდოს ლაპარაკს კლასობრივ ბრძოლაზე, მის ანალიზს, მის შესწავლას, ამ ბრძოლის თვალსაზრისით პოლიტიკის დასაბუთებას. ბურჟუაზიას შეშვენის გვერდი აუაროს ამ «არასასიამოვნო», «უტაქტო», როგორც სალონებში ამბობენ, თემებს და ქება-დიდება შეასხას «თავისუფლების ყველა მეგობრის» «ერთობას». პროლეტარულ პარტიას კი შეშვენის არ დაივიწყოს კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

ყველა თავის შესაფერისად იქცევა.

ი. გ. წერეთლის სიტყვას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი პოლიტიკური აზრი: პირველი — თითქოს შესაძლებელია და კიდევაც უნდა გავარჩიოთ ბურჟუაზიის ორი «ნაწილი». ერთი ნაწილი «დაადგა დემოკრატიასთან შეთანხმების გზას»;

ამ ბურჟუაზიის მდგომარეობა «მტკიცეა». მეორე ნაწილია — «ბურჟუაზიის უპასუხისმგებლო წრეები, რომლებიც სამოქალაქო ომის პროვოკაციას ეწევიან»; სხვანაირად ამ ნაწილს წერეთელმა უწოდა: «მრავალი ეგრეთწოდებულ ცენზიან ზომიერ ელემენტთაგანი».

ორატორის მეორე პოლიტიკური აზრი: «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ახლავე გამოცხადების (!!?) ცდა» «თავგანწირული» ცდა იქნებოდა, და ის, წერეთელი, მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდებოდა ასეთ თავგანწირულ ცდას, თუ ერთი წუთით მაინც დაიჯერებდა, რომ შულგინის იდეები «მთელი ცენზიანი ბურჟუაზიის იდეებია».

განვიხილოთ ორივე პოლიტიკური აზრი ი. გ. წერეთლისა, რომელმაც, როგორც უპორტფელო მინისტრს ან მინისტრობის კანდიდატს შეჰფერის, «ცენტრის» პოზიცია დაიკავა: არც რეაქცია, არც რევოლუცია! არც შულგინთან, არც «თავგანწირული ცდის» მომხრეებთან.

რა კლასობრივი განსხვავებანი აღნიშნა წერეთელმა მის მიერ დასახელებულ ბურჟუაზიის ორ ნაწილს შორის? სრულიად არავითარი. წერეთელს არც კი უფიქრია იმაზე, რომ ცოდვა არ იქნებოდა პოლიტიკა კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით დაესაბუთებინა. ბურჟუაზიის ორივე «ნაწილი» — თავისი კლასობრივი საფუძვლით მემამულეები და კაპიტალისტები არიან. რომ შულგინი ა რ ა იმ კლასების ან კლასთა ქვეჯგუფების წარმომადგენელი იყოს, რომელთა წარმომადგენელიც გუჩკოვია (დროებითი მთავრობის წევრი და ისიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი...), ამაზე წერეთელს კრინტიც არ დაუძრავს. წერეთელმა შულგინის იდეები გამოყო «მთელი» ცენზიანი ბურჟუაზიის იდეებიდან, მაგრამ ა რ ა ვ ი თ ა რ ი საფუძველი არ მოიყვანა. და არც შეეძლო მოეყვანა. შულგინის «იდეები» მხარს უჭერს დროებითი მთავრობის ერთხელისუფლებიანობას და წინააღმდეგია მისდამი შეიარაღებული ჯარისკაცების კონტროლისა, წინააღმდეგია «ინგლისის საწინააღმდეგო პროპაგანდისა», წინააღმდეგია «ოთიცრების წოდებაზე» ჯარისკაცების «წასისიანებისა», წინააღმდეგია «პეტრო-

გრადის მხარის პროპაგანდისა» [82] და სხვ., — ამ იდეებს მკითხველი ყოველდღე ხვდება «რეჩის» ფურცლებზე, პორტფელიანი მინისტრების სიტყვებსა და მანიფესტებში და სხვ.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შულგინი «უფრო რიხიანად» ლაპარაკობს, დროებითი მთავრობა კი, როგორც მთავრობა, ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს უფრო მორიდებულად; შულგინი ლაპარაკობს ბოხი ხმით, მილიუკოვი კი გამყივანი ხმით. მილიუკოვი მომხრეა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებისა, შულგინიც ა რ ა რ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი შეთანხმებისა. შულგინიც და მილიუკოვიც ორივენი «კონტროლის სხვა წესების» მომხრენი არიან (ისე კი არა, რომ შეიარაღებული ჯარისკაცი წევდეს კონტროლს).

წერეთელმა უკუაგდო კლასობრივი ბრძოლის ყველა და ყოველგვარი იდეა! არც კლასობრივი განსხვავება ბურჟუაზიის «ორ ნაწილს» შორის, არც ცოტად თუ ბევრად სერიოზული პოლიტიკური განსხვავება მას ა რ აღუნიშნავს და არც უფიქრია აღენიშნა!

თავისი სიტყვის ერთ ნაწილში წერეთელი «დემოკრატიად» გულისხმობდა «პროლეტარიატს და რევოლუციურ გლეხობას». ავიღოთ ეს კლასობრივი განსაზღვრა. ბურჟუაზია დაადგა ამ დემოკრატიასთან შეთანხმების გზას. იბადება კითხვა, რ ა ს ემყარება ეს შეთანხმება? რა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ინტერესს?

წერეთელი ამაზე კრინტსაც არ ძრავს! ის ლაპარაკობს მხოლოდ «საერთო დემოკრატიულ პლატფორმაზე, რომელიც ამჟამად მისაღები აღმოჩნდა მთელი ქვეყნისთვის», ე. ი., როგორც ჩანს, პროლეტარებისა და გლეხებისათვის, რადგან «ქვეყანას», «ცენზიანების» გამოკლებით, სწორედ მუშები და გლეხები შეადგენენ.

გამორიცხავს თუ არა ეს პლატფორმა, ვთქვათ, მიწის საკითხს? არა. პლატფორმა ამაზე დუმს. ქრება თუ არა კლასობრივი ინტერესები და მათ შორის არსებული უთანხმოება იმით, რომ მათზე არაფერია ნათქვამი დიპლომატიურ დოკუმენტებში, «შეთანხმების» აქტებში, მინისტრების სიტყვებსა და განცხადებებში?

წერეთელს «დაავიწყდა» დაეყენებინა ეს საკითხი, დაავიწყდა «წვრილმანი»: დაავიწყდა «მხოლოდ» კლასობრივი ინტერესები და კლასობრივი ბრძოლა...

«რუსეთის რევოლუციის მთელი ამოცანა, — ბულბულივით ჭიკჭიკებდა ი. გ. წერეთელი, — მთელი მისი არსი (!!??) იმაზეა დამოკიდებული, შეიგნებენ თუ არა შეძლებული ცენზიანი კლასები» (ე. ი. მემამულეები და კაპიტალისტები), «რომ ეს საყოველთაო-სახალხო პლატფორმა სპეციალურად პროლეტარული პლატფორმა როდია»...

საბრალო მემამულეები და კაპიტალისტები! რა «მიუხვედრელი» არიან. მათ «არაფერი გაეგებათ». საჭიროა განსაკუთრებული მინისტრი დემოკრატიიდან, რომ მათ ჭკუა ასწავლოს...

ან იქნებ «დემოკრატიის» ამ წარმომადგენელს დაავიწყდა კლასობრივი ბრძოლა, იგი ლუი ბლანის პოზიციაზე გადავიდა და ცდილობს ფრაზებით დაიძვრინოს თავი კლასობრივი ინტერესების* უთანხმოებიდან?

განა შულგინსა და გუჩკოვს მილიუკოვთან ერთად «არ ესმით», რომ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გლეხისა და მემამულის მორიგება ისეთ პლატფორმაზე, სადაც მიწა არ იქნება მოხსენებული? თუ ი. გ. წერეთელს «არ ესმის», რომ ამის მიღწევა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა?

მუშებო და გლეხებო, დასჯერდით იმას, რაც «მისაღებია» მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, — აი ნამდვილი ა რ ს ი (კლასობრივი და არა სიტყვიერი) შულგინ — მილიუკოვ — პლეხანოვის პოზიციისა. და მათ უკეთ «ესმით» ეს, ვიდრე ი. გ. წერეთელს.

აქ ჩვენ მივადექით წერეთლის მეორე პოლიტიკურ აზრს: პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა (დიქტატურას კი არ «აცხადებენ», არამედ ბრძოლით მოიპოვებენ ხოლმე, შევნიშნავთ, რაკი სიტყვამ მოიტანა...) თავგანწირული ცდა იქნებოდა. ჯერ-ერთი, ამ დიქტატურაზე ახლა ასე უბრალოდ ლაპარაკი არ შეიძლება: ხომ არ უნდა ი. გ. წერეთელს «ძველი ბოლშევიკების» არქივში მოექცეს *... მეო-

* იხ. ჩემი «წერილები ტაქტიკაზე». (იხ. ეს ტომი, გვ. 30 — 32. რ ე დ.)

რეც, და ეს მთავარია, განა მუშები და გლეხები მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ შეადგენენ? განა «დემოკრატია» არ ეწოდება უმრავლესობის ნების განხორციელებას?

მაშ როგორ შეიძლება დემოკრატად დარჩე და «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო? როგორ შეიძლება გეშინოდეს, რომ ის «სამოქალაქო ომს» წარმოშობს? (რომელ სამოქალაქო ომს? ერთი მუჭა მემამულეებისას და კაპიტალისტებისას მუშებისა და გლეხების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ? უმნიშვნელო უმცირესობისას უდიდესი უმრავლესობის წინააღმდეგ?).

ი. გ. წერეთელი საბოლოოდ დაიბნა, მას ისიც კი დაავიწყდა, რომ თუ ლეოვი და კომპანია თავიანთ დაპირებას შეასრულებენ დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, სწორედ ეს დამფუძნებელი კრება გახდება უმრავლესობის «დიქტატურა»! ან იქნებ დამფუძნებელ კრებაშიც მუშები და გლეხები უნდა დასჯერდნენ იმას, რაც «მისაღებია» მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის?

მუშები და გლეხები — უდიდესი უმრავლესობაა. მთელი ძალაუფლება ამ უმრავლესობას — ეს, თურმე ნუ იტყვით, «თავგანწირული ცდა» ყოფილა...

წერეთელი დაიბნა, რადგან სავსებით დაავიწყდა კლასობრივი ბრძოლა. მარქსიზმის თვალსაზრისიდან ის სულ ერთიანად ლუი ბლანის თვალსაზრისზე გადავიდა, ლუი ბლანისა, რომელიც ფრაზით «აფუჩეჩებდა» კლასობრივ ბრძოლას.

პროლეტარული ბელადის ამოცანაა: განმარტოს კლასობრივი ინტერესების განსხვავება და დაარწმუნოს წვრილი ბურჟუაზიის განსაზღვრული ფენები (სახელდობრ: უღარიბესი გლეხები) — არჩევანი მოახდინონ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის და მიემხრონ მუშებს.

წვრილბურჟუაზიული ლუი ბლანების ამოცანაა: მიჩქმალონ კლასობრივი ინტერესების განსხვავებანი და დაარწმუნონ ბურჟუაზიის განსაზღვრული ფენები (უმთავრესად ინტელიგენტები და პარლამენტარიები) — «შეუთანხმდნენ» მუშებს,

დაარწმუნონ მუშები «შეუთანხმდნენ» კაპიტალისტებს, დაარწმუნონ გლეხები «შეუთანხმდნენ» მემამულეებს.

ლუი ბლანი გულმოდგინედ არწმუნებდა პარიზის ბურჟუაზიას და, როგორც ვიცით, კინალამ დაარწმუნა იგი ხელი აეღო მასობრივ დახვრეტაზე 1848 და 1871 წლებში...

«პრავდა» № 44, 1917 წ.
12 მაისი (29 აპრილი)
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წუხილი

იმის გამო, რომ ცნობა გავრცელდა, რამდენიმე ყოფილმა მინისტრმა დიდი ბანკების დირექტორთა თანამდებობა დაიკავესო, «პრავდამ» იკითხა:

« — რამდენ ბანკში იღებენ მონაწილეობას (დირექტორებად, მეპაიეებად, ფაქტიურ ბატონ-პატრონებად) ახლანდელი მინისტრები გუჩკოვი, ტერეშჩენკო, კონოვალოვი?»

და მანვე დასძინა:

«ბანკის მოსამსახურე ამხანაგები (რომლებიც, ფრჩხილებში რომ ვთქვათ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაირაზმონ საკუთარ კავშირში) კარგს იზამენ, თუ ამ საგანზე შეაგროვებენ მასალას და გამოაქვეყნებენ მას მუშათა პრესაში» *.

ამის გამო შეშფოთებული «ბირჟევიე ვედომოსტი», გაზეთი, რომელსაც, როგორც ვიცით, ბანკის საკმაოდ ძლიერი «სუნი უდის», წერს:

«ამხანაგ მოსამსახურეებს» წინადადება ეძლევათ მოაწყონ ძიება, გადაქექონ ბურჟუაზიულ მინისტრთა სალაროები და აღრიცხონ რაც იქ აღმოჩნდება. ასეთივე მოურიდებლობით ქექავენ ბოლშევიკები სხვათა რწმენასაც. ხომ არ ვნახავთ მალე «პრავდაში» იმასაც, რომ ამხანაგებს წინადადებას მისცემენ დააარსონ საკუთარი დამცველი განყოფილება? ქშესინსკაიას სასახლეში საამისო ადგილი მოიძებნება...».

რად შეშფოთდნენ ასე «ბირჟევიევედომოსტელი» ვაჟბატონები?

* იხ. ეს ტომი, გვ, 129. რედ.

რა შუაშია აქ «ძიება», ბატონებო?

ჩვენ სრულიად არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ბანკის მოსამსახურე ამხანაგებმა გამოაქვეყნონ ყველა პარტიის იმ წარმომადგენელთა სიები, რომლებიც ბანკების მესვეურები არიან. რატომ არ უნდა ჰქონდეს, ბატონებო, ხალხს უფლება იცოდეს, სახელდობრ ვინ არიან ისეთ დაწესებულებათა მთავარი ბატონ-პატრონნი, როგორიცაა ბანკები — უძლიერესი დაწესებულებანი, რომლებზეც დამოკიდებულია ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრება, რომლებზეც დამოკიდებულია ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტა?

რისი გეშინიათ, ბატონებო?

«პრავდა» № 44, 1917 წ.
12 მაისი (29 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«ხელისუფლების კრიზისი»

ჯერ კიდევ ახსოვს მთელ რუსეთს 19—21 აპრილის დღეები, როცა პეტროგრადის ქუჩებში კინაღამ გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

21 აპრილს დროებითმა მთავრობამ დაწერა ახალი ვითომ დამამშვიდებელი ქაღალდი[83], რომლითაც «განმარტა» 18 აპრილის თავისი მძარცველური ნოტა.

ამის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობამ გადაწყვიტა «ინციდენტი ამოწურულად» ეცნო.

გავიდა კიდევ ორიოდე დღე, და ამოტივტივდა კოალიციური სამინისტროს საკითხი. აღმასრულებელი კომიტეტი თითქმის ორ თანასწორ ნაწილად გაიყო: 23 წევრი კოალიციური სამინისტროს წინააღმდეგი იყო, 22 — მომხრე. ინციდენტი «ამოწურული» აღმოჩნდა მხოლოდ ქაღალდზე.

მაგრამ აი გავიდა კიდევ ორი დღე, და ახალი «ინციდენტი» გვაქვს. სამხედრო მინისტრმა, დროებითი მთავრობის ერთ-ერთმა მეთაურმა, გუჩკოვმა, გადადგომა ითხოვა. ამბობენ, ვითომ გადაწყვეტილია მთელი დროებითი მთავრობის გადადგომა (იმ დროს, როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, ჯერ კიდევ არ ვიცით, მართალია თუ არა, რომ მთელი დროებითი

მთავრობა გადადგა). კვლავ შეიქმნა «ინციდენტი», ამასთან ისეთი, რომლის წინაშეც ყველა წინანდელი «ინციდენტი» უფერულდება.

საიდან წარმოდგა ამდენი «ინციდენტი»? ხომ არ არის აქ რაიმე ძირითადი მიზეზი, რომელიც გარდუვალად ბადებს «ინციდენტს» «ინციდენტზე»?

ასეთი მიზეზი არის. ეს არის ევრეთწოდებული ორხელისუფლებიანობა, ეს არის ის მერყევი წონასწორობა, რომელიც შედეგად მოჰყვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და დროებითი მთავრობის შეთანხმებას.

დროებითი მთავრობა კაპიტალისტების მთავრობაა. მას არ შეუძლია ხელი აიღოს დაპყრობებისადმი (ანექსიებისადმი) მისწრაფებაზე, მას არ შეუძლია მძარცველური ომი დემოკრატიული ზავით დაამთავროს, არ შეუძლია არ დაიცვას თავისი კლასის (ე. ი. კაპიტალისტთა კლასის) მოგება, არ შეუძლია არ შეუნარჩუნოს მიწა მემამულეებს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სულ სხვა კლასების წარმომადგენელია. საბჭოში შემავალ მუშათა და ჯარისკაცთა უმრავლესობას არ სურს მძარცველური ომი, იგი არ არის დაინტერესებული კაპიტალისტთა მოგებით და მემამულეთა პრივილეგიების შენარჩუნებით. მაგრამ იგი ამავე დროს ჯერ კიდევ ენდობა კაპიტალისტების დროებით მთავრობას. სურს შეუთანხმდეს მას, სურს კონტაქტი ჰქონდეს მასთან.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები თვითონ წარმოადგენენ ხელისუფლების ჩანასახს. დროებითს მთავრობასთან ერთად საბჭოებიც ცდილობენ ზოგიერთ საკითხში განახორციელონ თავიანთი ხელისუფლება. გამოდის ხელისუფლების დაქუცმაცება ანუ ის, რასაც ახლა «ხელისუფლების კრიზისს» უწოდებენ.

დიდხანს ასე ვერ გაგრძელდება. ასეთ ვითარებაში ყოველი დღე ახალ-ახალ «ინციდენტს», ახალ-ახალ გართულებას მოგვიტანს. ინციდენტი ამოწურულიაო — ამგვარი ქაღალდის

დაწერა შეიძლება. მაგრამ სინამდვილეში ასეთი ინციდენტები არ გაქრება. არ გაქრება იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს სულაც არ არის «ინციდენტები», არ არის შემთხვევითი მოვლენები, არ არის წვრილმანი რამეები. ეს არის ღრმა შინაგანი კრიზისის გარეგანი გამოვლინება. ეს არის იმ გამოუვალი მდგომარეობის შედეგი, რომელშიც მთელი კაცობრიობა მოემწყვდა. ამ ყაჩაღური ომიდან გამოსავალი არ არის და არც შეიძლება იყოს, თუ მიღებული არ იქნება ის ზომები, რომელთაც სოციალისტ-ინტერნაციონალისტები აყენებენ.

რუს ხალხს ახლა სამ გზას ურჩევენ «ხელისუფლების კრიზისის» გადასაჭრელად. ერთნი ამბობენ: დატოვეთ ყველაფერი ძველებურად, კიდევ უფრო მეტად ენდეთ დროებით მთავრობასო. შესაძლებელია, გადადგომით სწორედ იმიტომ იმუქრებიან, რომ აიძულონ საბჭო თქვას: უფრო მეტად გენდობითო. დროებითი მთავრობა ცდილობს, რომ მას შეეხვეწონ: მობრძანდით და იბატონეთ; თუ არა თქვენ, ვინ უნდა გვიპატრონოსო...

მეორე გზა კოალიციური სამინისტროა. გავუნაწილოთ მინისტრთა პორტფელები მილიუკოვსა და კომპანიას, შევიყვანოთ სამინისტროში რამდენიმე ჩვენი კაცი, და მაშინ საქმეც სხვანაირად წარიმართება.

მესამე გზას ვურჩევთ ჩვენ: საბჭოების მთელი პოლიტიკის შეცვლა, კაპიტალისტებისადმი ნდობაზე უარის თქმა და მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ს ვ ლ ა მ უ შ ა თ ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ხ ე ლ შ ი. პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა შეცვლა ვერაფერს მოგვცემს, უნდა შეიცვალოს პ ო ლ ი ტ ი კ ა. საჭიროა, რომ ხელისუფლებას სათავეში სხვა კლასი ჩაუდგეს. მუშათა და ჯარისკაცთა მთავრობას მთელი ქვეყანა დაუჯერებს, რადგან ყველას ესმის, რომ მუშასა და უღარიბეს გლეხს არავისი გაძარცვა არა სურს. მხოლოდ ამას შეუძლია დააჩქაროს ომის დამთავრება, მხოლოდ ეს შეგვიმსუბუქებს ეკონომიური რღვევის გადატანას.

მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს! არავითარი ნდობა კაპიტალისტთა მთავრობას!

ყოველი «ინციდენტი», ყოველი დღე, ყოველი საათი დაადასტურებს ამ პაროლის სისწორეს.

«პრავდა» № 46,
1917 წ. 15 (2) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ფინეთი და რუსეთი

რუსეთისადმი ფინეთის დამოკიდებულების საკითხი საჭირბოროტო საკითხი გახდა. დროებითმა მთავრობამ ვერ შეძლო ფინელი ხალხის დაკმაყოფილება, თუმცა ის ჯერ კიდევ მოითხოვს არა გამოყოფას, არამედ მხოლოდ ფართო ავტონომიას.

დროებითი მთავრობის არადემოკრატიული, ანექსიონისტური პოლიტიკა ამ დღეებში ჩამოაყალიბა და «დაიცვა» «რაბოჩაია გაზეტამ». მან ეს ისე გააკეთა, რომ შეუძლებელია ვინმემ მეტი წარმატებით «ჩაუფუშოს» საქმე იმ კაცს, ვისაც იცავს. ეს საკითხი მართლაც ძირითადია, საერთო სახელმწიფოებრივი, ამიტომ საჭიროა მასზე მთელი ყურადღებით შევჩერდეთ.

«ორგანიზაციული კომიტეტი ფიქრობს, — წერს «რაბოჩაია გაზეტა», № 42, — რომ ფინეთისა და რუსეთის სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი საერთოდ შეიძლება და უნდა გადაწყდეს კიდეც მხოლოდ ფინეთის სეიმისა და დამფუძნებელი კრების შეთანხმებით. მანამდე კი ამხანაგ ფინელებს» (ორგანიზაციული კომიტეტი ესაუბრა ფინელ სოციალ-დემოკრატებს) «უნდა ახსოვდეთ, რომ თუ ფინეთში სეპარატიული ტენდენციები გაძლიერდა, ამას უეჭველად მოჰყვება რუსეთის ბურჟუაზიის ცენტრალისტური მისწრაფებების გაძლიერება».

ეს არის თვალსაზრისი კაპიტალისტებისა, ბურჟუაზიისა, კადეტებისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა პროლეტარიატისა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, სახელდობრ მისი მე-9 §, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას

ანიჭებს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ყველა ერს, სოც.-დემ. მენშევიკებმა უკუაგდეს. მათ საქმით უარყვეს ეს პროგრამა და ფაქტიურად ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ, ისევე როგორც საკითხში მუდმივი ჯარის ხალხის საყოველთაო შეიარაღებით შეცვლის შესახებ და სხვ.

კაპიტალისტები, ბურჟუაზია და მათ შორის კადეტების პარტიაც არასოდეს არ ცნობდნენ ერთა პოლიტიკურ თვითგამორკვევას, ე. ი. რუსეთისგან მათი გამოყოფის თავისუფლებას.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1903 წელს მიღებულ თავის პროგრამაში ეს უფლება აღიარა პროგრამის მე-9 §-ში.

თუ ორგანიზაციულმა კომიტეტმა ფინელ სოციალ-დემოკრატებს ფინეთის სეიმისა და დამფუძნებელი კრების «შეთანხმებაზე» «მიუთითა», სწორედ ესაა გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე ამ საკითხში. ამაში რომ სავსებით დავრწმუნდეთ, საკმარისია ნათლად დავუპირისპიროთ ერთმანეთს ყველა მთავარი კლასისა და პარტიის პოზიცია.

მეფე, მემარჯვენეები, მონარქისტები მომხრე არიან არა სეიმისა და დამფუძნებელი კრების შეთანხმებისა, არამედ რუსი ხალხისადმი ფინეთის პირდაპირი დამორჩილებისა. რესპუბლიკური ბურჟუაზია მომხრეა ფინეთის სეიმისა და დამფუძნებელი კრების შეთანხმებისა. შეგნებული პროლეტარიატი და სოციალ-დემოკრატია, რომლებიც თავიანთი პროგრამის ერთგული არიან, მომხრე არიან ფინეთის, ისევე როგორც ყველა არასრულუფლებიანი ერის, რუსეთისაგან გამოყოფის თავისუფლებისა. აი უდავო, ცხადი, ზუსტი სურათი. «შეთანხმების» ლოზუნგით, რომელიც სრულიად არაფერს არ წყვეტს, — რადგან თუ შეთანხმება არ მოხდა, მაშინ როგორღა მოვიქცეთ? — ბურჟუაზია ახორციელებს იმავე, ცარისტულ, მორჩილებას, ანექსიების იმავე პოლიტიკას.

რუსეთის მეფეებმა ფინეთი მიიტაცეს საფრანგეთის რევოლუციის ჩამხრჩობ ნაპოლეონთან გარიგებების მიხედვით

და სხვ.. თუ ჩვენ მართლაც ანექსიების წინააღმდეგი ვართ, უნდა ვთქვათ: გ ა მ ო ყ ო ფ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ფ ი ნ ე თ ს! როცა ჩვენ ამას ვიტყვით და განვახორციელებთ, ფინეთთან «შეთანხმება» მ ა შ ი ნ — და მხოლოდ მაშინ! — იქნება მართლაც ნებაყოფლობითი, თავისუფალი, ნამდვილი შეთანხმება და არა მოტყუება.

შეთანხმება შეუძლიათ მხოლოდ თანასწორთ. შეთანხმება რომ მართლაც შეთანხმება იყოს და არა დამორჩილების სიტყვიერი საფარი, ამისთვის საჭიროა ო რ ი ვ ე მხარის ნამდვილი სწორუფლებიანობა, ე. ი. რუსეთსაც უნდა ჰქონდეს უფლება ა რ დაეთანხმოს და ფ ი ნ ე თ ს ა ც. ეს დღესავით ნათელია.

მხოლოდ «გამოყოფის თავისუფლება» გამოხატავს ამას: მხოლოდ გამოყოფის თავისუფლების მქონე ფინეთს შეუძლია მართლაც «შეუთანხმდეს» რუსეთს იმის შესახებ, უნდა გამოეყოს თუ არა ის. ვინც ამ პირობის გ ა რ ე შ ე, გამოყოფის თავისუფლების აღიარების გარეშე, ლაყბობს «შეთანხმებაზე», ის ატყუებს თავის თავსაც და ხალხსაც.

ორგანიზაციულ კომიტეტს ნათლად უნდა ეთქვა ფინელებისთვის, აღიარებს თუ არა იგი გამოყოფის თავისუფლებას. მან კი კადეტურად მიაფუჩეჩა ეს საკითხი და მით უარყო გამოყოფის თავისუფლება. ის თავს უნდა დასხმოდა რუსეთის ბურჟუაზიას იმის გამო, რომ ის დაჩაგრულ ერებს უარს ეუბნება გამოყოფის თავისუფლებაზე, უარს, რომელიც ა ნ ე ქ ს ი ო ნ ი ზ მ ს უ დ რ ი ს. ორგანიზაციული კომიტეტი კი ამის ნაცვლად თავს ესხმის ფინელებს და აფრთხილებს მათ, რომ «სეპარატიული» (უნდა ეთქვა: სეპარატისტული) ტენდენციები გააძლიერებენ ცენტრალისტურ მისწრაფებებსო!! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციული კომიტეტი ემუქრება ფინელებს ველიკოროსების ანექსიონისტური ბურჟუაზიის გაძლიერებით, — სწორედ ასე იქცეოდნენ ყოველთვის კადეტები, სწორედ ამ დროშით გაჰყავთ თ ა ვ ი ა ნ თ ი ანექსიონიზმი როდიჩევებსა და კომპანიას.

აი თვალსაჩინო პრაქტიკული განმარტება ანექსიების საკითხთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ახლა «ყველა» ლაპარაკობს და ყველა გაურბის პირდაპირ და გარკვევით დააყენოს საკითხი. ვინც გამოყოფის თავისუფლების წინააღმდეგია, ის ანექსიების მომხრეა.

მეფეები ანექსიის პოლიტიკას უხეშად ატარებდნენ, სხვა მონარქებთან შეთანხმებით ერთ ხალხს ცვლიდნენ მეორეზე (პოლონეთის დაყოფა, ნაპოლეონთან შეთანხმება ფინეთის შესახებ და სხვ.), როგორც მებატონეები უცვლიდნენ ერთმანეთს ყმა გლეხებს. ბურჟუაზია, როდესაც იგი რესპუბლიკელი გახდა, უფრო მარჯვედ, უფრო ფარულად ატარებს ანექსიის იმავე პოლიტიკას: ჰპირდება «შეთანხმებას», მაგრამ ართმევს ნამდვილი თანასწორუფლებიანობის ერთადერთ რეალურ გარანტიას შეთანხმების დროს, სახელდობრ: გამოყოფის თავისუფლებას. ორგანიზაციული კომიტეტი კუდში მისჩანჩალებს ბურჟუაზიას და საქმით მის მხარეზე გადადის. (ამიტომ სავსებით მართალი იყო «ბირჟევკა», რომელმაც გადაბეჭდა ყველაფერი, რაც კი არსებითი იყო «რაბოჩაია გაზეტას» სტატიაში, და შეაქო ორგანიზაციული კომიტეტის პასუხი ფინელებისადმი, უწოდა რა ამ პასუხს «რუსეთის დემოკრატიის გაკვეთილი» ფინელებისთვის. «რაბოჩაია გაზეტამ» დაიმსახურა «ბირჟევკის» ასეთი ამბორი.)

პროლეტარიატის პარტიამ («ბოლშევიკებმა») თავის კონფერენციაზე, ნაციონალურ საკითხზე გამოტანილ რეზოლუციაში, ერთხელ კიდევ დაადასტურა გამოყოფის თავისუფლება.

კლასებისა და პარტიების დაჯგუფება ცხადია.

წვრილი ბურჟუები თავს იფრთხობენ დამფრთხალი ბურჟუაზიის აჩრდილით — ესაა სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკის მთელი არსი. მათ «ეშინიათ» გამოყოფისა. შეგნებულ პროლეტარებს ეს არ აშინებს. ნორვეგიამაც და შვეციამაც მოიგეს, როცა 1905 წელს ნორვეგია თავისუფლად გამოეყო შვეციას: მოიგო ნდობამ ორივე

ერს შორის, მოიგო ნებაყოფლობითმა დაახლოებამ მათ შორის, გაქრა უაზრო და მავნე შეხლა-შემოხლა, განმტკიცდა ეკონომიური და პოლიტიკური, კულტურული და საყოფაცხოვრებო მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა ურთიერთისადმი, გაძლიერდა ორივე ქვეყნის მუშების ძმური კავშირი.

ამხანაგო მუშებო და გლეხებო! ნუ აჰყვებით რუსეთის კაპიტალისტების, გუჩკოვის, მილიუკოვის, დროებითი მთავრობის ანექსიონისტურ პოლიტიკას ფინეთის, კურლანდიის, უკრაინისა და სხვათა მიმართ! ნუ შეუშინდებით ყველა ამ ერის გამოყოფის თავისუფლების აღიარებას. ძალადობით კი არ უნდა ვიზიდავდეთ სხვა ხალხებს ველიკოროსებთან დასაკავშირებლად, არამედ მხოლოდ ნამდვილად ნებაყოფლობითი, ნამდვილად თავისუფალი შეთანხმებით, რაც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, თუ გამოყოფის თავისუფლება არ არის.

რაც უფრო თავისუფალი იქნება რუსეთი, რაც უფრო გადაჭრით აღიარებს ჩვენი რესპუბლიკა არაველიკოროსი ერების გამოყოფის თავისუფლებას, მით უფრო ძლიერ მ ო ი წ ა დ ი ნ ე ბ ე ნ ჩვენთან კავშირს სხვა ერები, მით უფრო ნაკლები იქნება შეხლა-შემოხლა, მით უფრო იშვიათი იქნება ნამდვილი გამოყოფის შემთხვევები, მით უფრო მოკლე ხნით გამოგვეყოფა ზოგიერთი ერი, მით უფრო მჭიდრო და მტკიცე იქნება — საბოლოო ანგარიშით — რუსეთის პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკის ძმური კავშირი ყოველი სხვა ერის რესპუბლიკასთან.

«პრავდა» № 46,
1917 წ. 15 (2) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წერილი რედაქციის მიმართ

გუშინ ბურჟუაზიულმა გაზეთებმა კვლავ გამოაქვეყნეს არასწორი ცნობები, თითქოს ფრონტის დელეგატებს დავპირდი სიტყვით გამოვიდოდი მათ წინაშე კვირას 30 აპრილს. მე ასეთი დაპირება არავისთვის ა რ მიმიცია. ავადმყოფობის გამო მე ა რ შ ე მ ი ძ ლ ი ა გამოვიდე. გთხოვთ ერწმუნოთ მ ხ ო ლ ო დ «პრავდის» ცნობებს და მხოლოდ ჩემ მიერ ხელმოწერილ განცხადებებს: სხვანაირად მე ვერ შეეძლებ ვებრძოლო ტყუილს, უსწორობას და დაუდევრობას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 46,
1917 წ. 15 (2) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

იმპერიალიზმის დაცვა, დაფარული კეთილი ფრაზებით

სწორედ ასეთია დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილი მიმართვა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა ყველა ქვეყნის სოციალისტებისადმი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ უთვალავი სიტყვებია თქმული, მაგრამ ყველა ამ სიტყვას სულ ერთიანად აბათილებს ერთი პატარა ფრაზა, რომელიც ამბობს:

«რევოლუციური რუსეთის დროებითმა მთავრობამ შეითვისა ეს პლატფორმაო» (სახელდობრ: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პლატფორმა ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე).

აი ამ ფრაზაშია მთელი არსი. და ეს ფრაზა არის რ უ ს უ ლ ი იმპერიალიზმის დაცვა, მისი დაფარვა და შელამაზება. ვინაიდან საქმით ჩვენმა დროებითმა მთავრობამ არათუ ვერ «შეითვისა» უანექსიო ზავის პლატფორმა, არამედ იგი ყოველდღე და ყოველ საათს ფეხებით თელავს ამ პლატფორმას.

ჩვენმა დროებითმა მთავრობამ «დიპლომატიურად» განაცხადა უარი ანექსიებზე — სრულიად ისევე, როგორც გერმანელ კაპიტალისტთა მთავრობამ, ყაჩაღებმა ვილჰელმმა და ბეტმან-ჰოლვეგმა. სიტყვით ო რ ი ვ ე მთავრობამ უარი თქვა ანექსიებზე. საქმით ო რ ი ვ ე განაგრძობს ანექსიების პოლიტიკას, ძალით ინარჩუნებენ რა: გერმანიის კაპიტალისტური მთავრობა — ბელგიას, საფრანგეთის ნაწილს, სერბიას, ჩერნოგორიას, რუმინეთს, პოლონეთს, დანიის ოლქებს, ელზასს

და სხვ.; რუსეთის კაპიტალისტური მთავრობა — გალიციის ნაწილს, თურქეთის სომხეთს, ფინეთს, უკრაინას და სხვ.; ინგლისის კაპიტალისტური მთავრობა ყველაზე უფრო ანექსიონისტური მთავრობაა მთელ დედამიწაზე, რადგან ის ინგლისის იმპერიის შემადგენლობაში ძალით აკავებს ყველაზე მეტ ეროვნებებს: ინდოეთს (300 მილიონი), ირლანდიას და სხვ., თურქეთის მესოპოტამიას, გერმანიის კოლონიებს აფრიკაში და სხვ.

აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდებას უდიდესი ზიანი მოაქვს რევოლუციის საქმისა და პროლეტარიატის საქმისათვის, რადგან ამბობს ფრიად კეთილი სიტყვებით დაფარულ სიცრუეს ანექსიებზე. ჯერ-ერთი, მოწოდება ერთმანეთისაგან არ არჩევს ანექსიების სიტყვით უარყოფას (ამ აზრით გამოუკლებლივ ყველა ქვეყნის კაპიტალისტურმა მთავრობამ «შეითვისა» «უანექსიო ზავის პლატფორმა») ანექსიების საქმით უარყოფისაგან (ამ აზრით არც ერთ კაპიტალისტურ მთავრობას დედამიწაზე უარი არ უთქვამს ანექსიებზე). მეორეც, მოწოდება — უსამართლოდ, უსაფუძვლოდ, წინაალმდეგ ჭეშმარიტებისა — ალამაზებს რუსეთის კაპიტალისტთა დროებითს მთავრობას, მაშინ როცა იგი არაფრით არ სჯობია (და, ალბათ, არც ჩამოუვარდება) სხვა კაპიტალისტურ მთავრობებს.

არასასიამოვნო სიმართლის კეთილი სიტყვებით მიფუჩეჩება — უაღრესად მავნე, უაღრესად საშიში რამაა პროლეტარიატის საქმისათვის, მშრომელი მასების საქმისათვის. სიმართლეს, რაც უნდა მწარე იყოს იგი, პირდაპირ უნდა შეხედო თვალებში. ის პოლიტიკა, რომელიც ამ პირობას არ აკმაყოფილებს, დამღუპველი პოლიტიკაა.

ანექსიების საკითხში სიმართლე სწორედ ის არის, რომ ყველა კაპიტალისტური მთავრობა, მათ შორის რუსეთის დროებითი მთავრობაც, ატყუებს ხალხს ცარიელი დაპირებებით ანექსიებზე ხელს ვიღებთო, საქმით კი განაგრძობს ანექსიების პოლიტიკას. ყველა, ვინც კი წერა-კითხვაიცის, ადვილად დაინახავს ამ სიმართლეს, თუ მოისურვებს

თუნდაც სამი ქვეყნის — გერმანიის, რუსეთისა და ინგლისის ანექსიების სრული სიის შედგენას.

მაშ სცადეთ, ბატონებო!

ვინც ამას არ სჩადის, ვინც უმართებულოდ ამართლებს თავის მთავრობას და აძაგებს სხვა მთავრობებს, ის საქმით იმპერიალიზმის დამცველი ხდება.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მოწოდების ბოლოც შეიცავს ერთ «კოვზ კუპრს», სახელდობრ იმ განცხადებას, რომ, «როგორიც უნდა იყოს უთანხმოება, რომელიც ომის სამი წლის განმავლობაში ასე ღრღნის სოციალიზმს, პროლეტარიატის არც ერთმა ფრაქციამ უარი არ უნდა თქვას ზავისთვის საერთო ბრძოლაში მონაწილეობაზე».

ესეც, სამწუხაროდ, სრულიად ლიტონი, სრულიად უშინაარსო კეთილი სიტყვებია. პლეხანოვიც და შეიდემანიც გვარწმუნებენ — ორივენი «ზავისთვის ვიბრძვითო», ამასთან «უანექსიო ზავისთვისო». მაგრამ ვინ არ ხედავს, რომ საქმით ორივენი მხოლოდ თავ-თავიანთ კაპიტალისტთა იმპერიალისტურ მთავრობას იცავენ? რა სარგებლობას მოუტანს მუშათა კლასების საქმეს, თუ ჩვენ ამ კლასებს მოთაფლულ ტყუილს ვეტყვით და მივჩქმალავთ პლეხანოვებისა და შეიდემანების თავ-თავიანთი კაპიტალისტების მხარეზე ამ გადასვლას? ნუთუ ცხადი არ არის, რომ სიმართლის ასეთი მიჩქმალვა უდრის იმპერიალიზმისა და მისი დამცველების შელამაზებას?

«პრავდა» № 47,
1917 წ. 16 (3) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სავალალო დოკუმენტი

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება ჯარისადმი, დაბეჭდილი გუშინდელ გაზეთებში, ნიშნავს საბჭოს ბელადების, ნაროდნიკებისა და მენშევიკების, ახალ გადასვლას რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე.

აზრის არევ-დარევა ამ მოწოდებაში პირდაპირ განსაცვიფრებელია. ამას ვერ შეამჩნევენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელთაც თავი სულ მთლად «რევოლუციური» ფრაზებით აქვთ გამოტენილი.

...«მშრომელ ხალხს ომი არ ესაჭიროებოდა. მას არ დაუწყია იგი. იგი დაიწყეს ყველა ქვეყნის მეფეებმა და კაპიტალისტებმა»...

ჭეშმარიტებაა. სწორედ ასეა. და როცა მოწოდება «გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მუშებს და გლეხებს მოუხმობს აჯანყებისაკენ, რევოლუციისაკენ», ჩვენც ამას სულითა და გულით მივესალმებით, რადგან ეს სწორი ლოზუნგია.

მაგრამ როგორ შეიძლება, ასეთ უცილობელ სიმართლესთან ერთად, შემდეგი ა ღ მ ა შ ფ ო თ ე ბ ე ლ ი ს ი ც რ უ ი ს თქმა:

...«თქვენ (რუსო ჯარისკაცებო) მკერდით იცავთ არა მეფეს, არა პროტოპოპოვებს და რასპუტინებს, ა რ ა მ დ ი დ ა რ მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ს ა დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ს»...

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები აშკარა, აღმაშფოთებელი ტყუილია.

ვინაიდან თუ მშრომელ ხალხს ომი «არ ესაჭიროება», თუ ეს ომი წამოიწყეს ა რ ა მ ა რ ტ ო მეფეებმა, არამედ «ყ ვ ე ლ ა ქვეყნის კაპიტალისტებმაც» (როგორც სრულიად გარკვევით ადიარებს საბჭოს მოწოდება), მაშინ ცხადია, რომ, ვიდრე რომელიმე ხალხთაგანი ამ ომში ითმენს თავის ქვეყანაში კაპიტალისტების მთავრობას, ის «იცავს» ს წ ო რ ე დ კაპიტალისტებს.

ორში ერთი: ა ნ ამ ომის წამოწყებაში «დამნაშავენი» არიან მხოლოდ ავსტრია-გერმანიის კაპიტალისტები. თუ პეტროგრადის საბჭოს ნაროდნიკი და მენშევიკი ბელადები ასე ფიქრობენ, მაშასადამე, ისინი სავსებით გვერდში ამოსდგომიან პლეხანოვს, რუს შეიდემანს. მაშინ, როგორც ტყუილი, უნდა ამოიშალოს სიტყვები: ომი «წამოიწყეს» «ყველა ქვეყნის კაპიტალისტებმაო». მაშინ, როგორც ტყუილი, უნდა უკუვაგდოთ «უანექსიო ზავის» ლოზუნგი, რადგან მაშინ ასეთი პოლიტიკისათვის სწორი ლოზუნგი იქნება: გერმანელებს წაერთვას მათი, გერმანიის, ანექსიები, ხოლო ინგლისელებმა და რუსებმა შეინარჩუნონ (და გაადიდონ) მათი, ინგლის-რუსეთის, ანექსიები.

ა ნ ეს ომი მართლაც «ყველა ქვეყნის კაპიტალისტებმა» წამოიწყეს. თუ საბჭოს ნაროდნიკი და მენშევიკი ბელადები ა რ უარყოფენ ამ უეჭველ სიმართლეს, მაშინ შეუძლებელია ატანა იმ აღმაშფოთებელი სიცრუისა, ვითომ რუსი ჯარისკაცები, ვიდრე ისინი კაპიტალისტების მთავრობას ითმენენ, «არ» იცავენ კაპიტალისტებს.

მაშინ სიმართლე უნდა ვუთხრათ ა გ რ ე თ ვ ე რუს ჯარისკაცებსაც (და არა მარტო ავსტრია-გერმანიის ჯარისკაცებს): ამხანაგო ჯარისკაცებო, ვიდრე ჩვენ თქვენთან ერთად ჩვენს ქვეყანაში ვითმენთ კაპიტალისტების მთავრობას, ვიდრე მეფის საიდუმლო ხელშეკრულებანი წმიდათა წმიდად ითვლება, ჩვენ ვაწარმოებთ სწორედ იმპერიალისტურ, მტაცებლურ ომს, «ვ ი ც ა ვ თ» მძარცველურ ხელშეკრულებებს, რომელნიც ყოფილმა მეფემ ნიკოლოზმა დადო ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან.

ეს მწარე სიმართლეა. მაგრამ ეს სიმართლეა. ხალხს სიმართლე უნდა ვუთხრათ. მხოლოდ მაშინ აეხილება მას თვალი, და ის ისწავლის სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლას.

შეხედეთ საკითხს მეორე მხრიდან — და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რომ საბჭოს მოწოდება სრულიად მოკლებულია სიმართლეს. იგი «აჯანყებისაკენ» მოუწოდებს გერმანიის მუშებსა და გლეხებს. კეთილი. მაგრამ აჯანყებისაკენ ვის წინააღმდეგ? ნუთუ მხოლოდ ვილჰელმის წინააღმდეგ?

მაგრამ ვილჰელმი რომ გერმანელმა გუჩკოვებმა და მილიუკოვებმა, ე. ი. გერმანელ კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენლებმა შეცვალონ, განა ამით შეიცვლება ომის მტაცებლური ხასიათი გერმანიის მხრივ? ცხადია, რომ არა. ვინაიდან ყველამ იცის, — და საბჭოს მოწოდებაც აღიარებს, — რომ ომი «წამოიწყეს ყველა ქვეყნის მეფეებმა და კაპიტალისტებმა». მაშასადამე, თუ ძალაუფლება კაპიტალისტების ხელში გადადის, მეფის დამხობა სრულიად არაფერს ცვლის ომის ხასიათში. ბელგიის, სერბიის და სხვათა ანექსია ანექსიადვე დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუ ვილჰელმს შეცვლიან გერმანელი კადეტები, სწორედ ისევე, როგორც ხივის, ბუხარის, სომხეთის, ფინეთის, უკრაინისა და სხვათა ანექსიები ანექსიებადვე დარჩნენ, როდესაც ნიკოლოზი რუსმა კადეტებმა, რუსმა კაპიტალისტებმა შეცვალეს.

დავუშვათ სხვა და უკანასკნელი შესაძლებელი მოსაზრება, სახელდობრ ის, რომ საბჭო მოუწოდებს გერმანიის მუშებსა და გლეხებს აჯანყდნენ არა მარტო ვილჰელმის წინააღმდეგ, არამედ გერმანიის კაპიტალისტების წინააღმდეგაც. მაშინ ჩვენ ვუპასუხებთ: მართებული, სწორი მოწოდებაა. სავსებით თანავუგრძნობთ მას. ოღონდ — კეთილო მოქალაქენო, ჩერნოვ, ჩხეიძე, წერეთელო — განა სამართლიანია, განა გონიერია, განა საკადრისია ეს: მოუწოდოთ გერმანელებს აჯანყდნენ კაპიტალისტების წინააღმდეგ, თვითონ თქვენ კი საკუთარ ქვეყანაში მხარი დაუჭიროთ კაპიტალისტების მთავრობას?

ნუთუ არ გაშინებთ, კეთილო თანამოქალაქენო, რომ გერმანელი მუშები დაგწამებენ არაგულწრფელობას და, ასე გასინჯეთ (რაც ღმერთმა გაშოროთ!), თვალთმაქცობასაც კი?

ნუთუ არ გაშინებთ, რომ გერმანელი მუშები გეტყვიან: ჩვენში რევოლუციას ჯერ კიდევ არ უფეთქია, ჩვენ ჯერ კიდევ არ მივსულვართ იქამდე, რომ ჩვენი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები აშკარად მორიგებოდნენ კაპიტალისტებს ხელისუფლების შესახებ. თუ თქვენ, რუსო ძმებო, უკვე მიაღწიეთ ამას, რატომ გვიქადაგებთ «აჯანყებას» (რაც მძიმე, სისხლისმღვრელი, ძნელი საქმეა), თვითონ თქვენ კი მშვიდობიანად არ იღებთ ხელისუფლებას ლვოვისა და კომპანიისაგან, რომელნიც აცხადებენ — მზადა ვართ გადავდგეთო? თქვენ იმოწმებთ რუსეთის რევოლუციას, მაგრამ თქვენ ხომ, მოქალაქე ჩერნოვ, ჩხეიძე და წერეთელო, შეგისწავლიათ სოციალიზმი და კარგად იცით, რომ თქვენმა რევოლუციამ ხელისუფლების სათავეში ჯერ ჯერობით კაპიტალისტები დააყენა. განა სამშაგი ტყუილი არ გამოდის, როდესაც თქვენ რუსეთის რევოლუციის სახელით, რომელმაც ხელისუფლება რუსეთის კაპიტალისტ-იმპერიალისტებს გადასცა, მოითხოვთ ჩვენგან, გერმანელებისაგან, რევოლუციას კაპიტალისტ-იმპერიალისტების წინააღმდეგ? აქედან ის ხომ არ გამომდინარეობს, რომ თქვენ გინდათ «საზღვარგარეთ გასატანი ინტერნაციონალიზმი», «საზღვარგარეთ გასატანი რევოლუციურობა»? გერმანელისათვის რევოლუცია კაპიტალისტების წინააღმდეგ, რუსებისათვის კი (მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია რუსეთშიც ბობოქრობს) შეთანხმება კაპიტალისტებთან?

ჩერნოვი, ჩხეიძე, წერეთელი საბოლოოდ დაადგნენ რუსული იმპერიალიზმის დაცვის გზას.

ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ფაქტია.

«პრავდა» № 47,
1917 წ. 16 (3) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ხალხის დაფრთხობა ბურჟუაზიული შიშით

კაპიტალისტების გაზეთები, «რეჩის» მეთაურობით, წელებზე ფეხს იდგამენ, რათა ხალხი «ანარქიის» აჩრდილით დააფრთხონ. დღე ისე არ გავა, რომ «რეჩი» არ გაიძახოდეს ანარქიაზე, არ აზვიადებდეს ცნობებს და ხმებს წესრიგის დარღვევის სრულიად უმნიშვნელო შემთხვევების შესახებ, არ აშინებდეს ხალხს დამფრთხალი ბურჟუის აჩრდილით.

«რეჩს» და კაპიტალისტების სხვა გაზეთებს კუდში მისჩანჩალებენ ნაროდნიკებისა (მათ შორის სოციალისტ-რევოლუციონერების) და მენშევიკების უკვე დაშინებული გაზეთები. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია», რომლის მესვეურები ამჟამად ხსენებულ პარტიებს ეკუთვნიან, დღევანდელ მოწინავე სტატიაში საბოლოოდ გადადის «ბურჟუაზიული შიშის» გამავრცელებელთა მხარეზე და მივიდნენ ასეთ... როგორა ვთქვა უფრო რბილად?.. აშკარად გაზვიადებულ განცხადებამდე:

«ჯარი იხრწნება. ალაგ-ალაგ ხდება მიწების უწესრიგო დატაცება, პირუტყვისა და ინვენტარის განადგურება და დატაცება. ძლიერდება თვითნებობა»...

ნაროდნიკები და მენშევიკები, ე. ი. წვრილი ბურჟუაზიის პარტიები, სხვათა შორის, თვითნებობად თვლიან იმას, რომ გლეხები დამფუძნებელ კრებას არ უცდიან და ადგილობრივ მთელ მიწას ეპატრონებიან. სწორედ ეს საფრთხობელა («თვითნებობა») წამოაყენა, როგორც ვიცით, მინისტრმა შინ-

გარიოვმა თავის განთქმულ დეპეშაში, რომელიც თავის დროზე ყველა გაზეთში დაიბეჭდა (იხ. «პრავდა» № 33) *.

თვითნებობა, ანარქია... რა საშინელი სიტყვებია! მაგრამ დაე ნაროდნიკი თუ მენშევიკი, რომელსაც ფ ი ქ რ ი ს ხალისი აქვს, ცოტათი ჩაუფიქრდეს შემდეგ საკითხს:

რევოლუციამდე მიწა მემამულეების ხელში იყო. ამას ანარქია ა რ ერქვა. მერე რა მოჰყვა ა მ ა ს? სრული კრახი, «ანარქია» ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, ე. ი. ქვეყნის სრული გაპარტახება, მოსახლეობის უმრავლესობის გაჩანაგება და დაღუპვა.

შესაძლებელია თუ არა აქედან ს ხ ვ ა რ ა ი მ ე გამოსავალი წარმოვიდგინოთ, გარდა იმისა, რომ მოსახლეობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ გამოიჩინოს უდიდესი ენერგია, ინიციატივა, გაბედულება? ცხადია, რომ არა.

მერე რა გამოდის შედეგად?

1) მეფის მომხრენი მხარს უჭერენ მემამულეების ყოვლისშემძლეობას სოფლად და მთელი მიწის შენარჩუნებას მათ ხელში. მათ ა რ ეშინიათ აქედან ნამდვილად გამომდინარე «ანარქიისა».

2) კადეტი შინგარიოვი, როგორც მთელი კაპიტალისტებისა და მემამულეების (გარდა ერთი მუჭა ცარისტებისა) წარმომადგენელი, იმის მომხრეა, რომ შეიქმნეს «ვოლოსტის სასურსათო კომიტეტებთან სამიწათმფლობელო მომრიგებელი კამერები მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა ნებაყოფლობით შესათანხმებლად» (იხ. მისი დეპეშა). წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსები — ნაროდნიკები და მენშევიკები — საქმით შინგარიოვს მისდევენ, ურჩევენ რა გლეხებს «დაუცადონ» დამფუძნებელ კრებას და ადგილობრივ თვით გლეხების მიერ მიწების დაუყოვნებლივ კონფისკაციას «ანარქიას» უწოდებენ.

3) პროლეტარიატის პარტია («ბოლშევიკები») მხარს უჭერს გლეხების მიერ მიწების დაუყოვნებლივ ხელში ჩაგ-

* იხ. ეს ტომი. გვ. 145 — 146. რ ე დ.

დებას ადგილებზე, ურჩევს რა გლეხებს უდიდეს ორგანიზებულობას. ჩვენ აქ «ანარქიას» ვერ ვხედავთ, რადგან საკითხის სწორედ ასეთი გადაწყვეტა, და მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა, არის ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტა.

როდის აქეთ არის, რომ საკითხის უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტას «ანარქია» ეწოდება?? განა უფრო მართებული არ იქნება ანარქია ვუწოდოთ საკითხის უმცირესობის მიხედვით გადაწყვეტას, რასაც სხვადასხვა ფორმით გვთავაზობენ როგორც ცარისტები, ისე შინგარიოვიც?

ვინაიდან, თუ შინგარიოვს სურს აიძულოს გლეხები «ნებაყოფლობით» «შეუთანხმდნენ» მემამულეებს, — ეს არის გადაწყვეტა უმცირესობის მიხედვით, რადგან რუსეთში საშუალოდ ერთი მსხვილი მემამულის ოჯახზე 300 გლეხის ოჯახი მოდის. როცა მე 300 ოჯახს წინადადებას ვაძლევ «ნებაყოფლობით» «შეუთანხმდეს» მსხვილი ექსპლოატატორის ერთ ოჯახს, მაშასადამე, მე ვაყენებ უმცირესობის სასარგებლოდ გადაწყვეტას, ანარქისტულ გადაწყვეტას.

თქვენ, ბატონო კაპიტალისტებო, «ანარქიაზე» ყვირილით ფარავთ ერთის ინტერესების დაცვას სამასის წინააღმდეგ. აი რა არის თავიდათავი.

შემოგვედავებიან: თქვენ გინდათ საქმე გადაწყვიტოს მარტო ადგილობრივმა ხალხმა ისე, რომ არ დაველოდოთ დამფუძნებელ კრებას! აი რა არის ანარქიაო!

ვუპასუხებთ: შინგარიოვს რაღა სურს? მასაც ხომ ის სურს, რომ საქმე გადაწყვიტოს ადგილობრივმა ხალხმა (გლეხებისა და მემამულეების «ნებაყოფლობითი შეთანხმებით»), აგრეთვე ისე, რომ არ დაველოდოთ დამფუძნებელ კრებას!

ამ პუნქტში ჩვენსა და შინგარიოვს შორის განსხვავება არ არის: ჩვენ ორივენი იმის მომხრენი ვართ, რომ საქმე საბოლოოდ დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვიტოს, ხოლო წინასწარ გადაწყვიტოს — და ცხოვრებაში გაატაროს — ადგილობრივმა ხალხმა. შინგარიოვსა და ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ვამბობთ: 300-მა გადაწყვიტოს, ერთი

დაემორჩილოს; შინგარიოვი კი ამბობს: თუ 300 გადაწყვეტს, ეს «თვითნებობა» იქნება, დაე 300 «დაეთანხმოს» ერთსო.

რამდენად უნდა დაცემულიყვნენ ნაროდნიკები და მენშევიკები, რომ შინგარიოვსა და კომპანიას დახმარებოდნენ ბურჟუაზიული შიშის გავრცელებაში!

შიში ხალხის წინაშე — აი რა ამოქმედებს ამ საშინელებათა და საფრთხობელათა სულისჩამდგმელებს.

ხალხის არ უნდა გვეშინოდეს. მუშებისა და გლეხების უმრავლესობის გადაწყვეტილება არ არის ანარქია. ასეთი გადაწყვეტილება ერთადერთი შესაძლებელი საწინდარია საერთოდ დემოკრატიისა და კერძოდ ნგრევისაგან თავის დაღწევის საშუალებათა წარმატებით გამოძებნისა.

დაწერილია 1917 წ. 3 (16) მაისს

დაიბეჭდა 1917 წ. 17 (4) მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 48

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

წინადღე

«შემთანხმებლური» მანქანა მთელი დატვირთვით მუშაობს. ნაროდნიკები და მენშევიკები ოფლში იწურებიან მინისტრებისა სიის შესადგენად. «ახალი» სამინისტროს შექმნის წინადღეა...

მაგრამ ვაი რომ ახალი მასში ცოტა რამ იქნება! კაპიტალისტების მთავრობას მიემატებიან წვრილბურჟუაზიული მინისტრები — ნაროდნიკები და მენშევიკები, რომლებიც სხვების გავლენით მხარს უჭერენ იმპერიალისტურ ომს.

ბევრია ფრაზები, ახალი ზიზილ-პიპილები, მაღალფარდოვანი დაპირებები, ნაირ-ნაირი ხმაური «უანექსიო ზავის» შესახებ, — მაგრამ არ არის არავითარი მტკიცე სურვილი თუნდაც იმისა, რომ ზუსტად, პირდაპირ, გულწრფელად მაინც ჩამოთვალონ ნ ა მ დ ვ ი ლ ი ანექსიები, ვთქვათ, სამი ქვეყნისა: გერმანიის, რუსეთისა და ინგლისისა.

თავის მოტყუება უტოპიით, რომ გლეხობა მხარს დაუჭერს კაპიტალისტებს (შეძლებული გლეხები ჯერ კიდევ გლეხობა არ არის...), ფრონტზე «შეტევის» უტოპიით («უანექსიო ზავის» გულისთვის...) — განა დიდხანს გეყოფათ ეს, მოქალაქე ძველო მინისტრებო და მოქალაქე ახალო მინისტრებო?

«პრავდა» № 49,
1917 წ. 18 (5) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

უმთავრესი დაივიწყეს

(პროლეტარიატის პარტიის მუნიციპალური პლატფორმა)

რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნების მოახლოებამ გამოიწვია მრავალალმთქმელი პლატფორმების გამოქვეყნება ორივე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიების — ნაროდნიკებისა და მენშევიკების პარტიების მხრივ. ეს პლატფორმები სწორედ იმდაგვარია, როგორც პლატფორმები ევროპის ბურჟუაზიული პარტიებისა, რომლებიც გართული არიან იმით, რომ როგორმე მიიზიდონ მიმნდობი და განუვითარებელი ამომრჩევლების მასა წვრილ მეპატრონეთა და სხვათა წრიდან. ასეთია, მაგალითად, პლატფორმა საფრანგეთის «რადიკალური და რადიკალურ-სოციალისტური პარტიისა» [84]. ისეთივე მრავალალმთქმელი ფრაზები, ისეთივე მაღალფარდოვანი დაპირებები, ისეთივე ბუნდოვანი ფორმულირებანი, იგივე დუმილი უმთავრესის შესახებ ანდა დავიწყება უმთავრესისა, სახელდობრ: ამ დაპირებათა განხორციელების რ ე ა ლ უ რ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი ს ა.

ეს რეალური პირობები ამჟამად შემდეგია: 1) იმპერიალისტური ომი; 2) კაპიტალისტთა მთავრობის არსებობა; 3) მუშათა და მთელი მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სერიოზული ზომების მიღების შეუძლებ-

ლობა «კაპიტალისტების წმიდათა წმიდა კერძო საკუთრების» რევოლუციური ხელყოფის გარეშე; 4) ამ პარტიების მიერ დაპირებულ რეფორმათა სისტემის განხორციელების შეუძლებლობა მართვა-გამგეობის ძველი ორგანოს და აპარატის არსებობის დროს, პოლიციის არსებობის დროს, რომელსაც არ შეუძლია არ გამოექომაგოს კაპიტალისტებს და ათასნაირი დაბრკოლება არ შეუქმნას ამ რეფორმების განხორციელებას.

ავიღოთ მაგალითი: ...«ომის განმავლობაში შემოვიღოთ საცხოვრებელი ბინების ქირის ნორმირება»,... «მოვახდინოთ მარაგის» (სახელდობრ: როგორც სავაჭრო დაწესებულებების, ისე კერძო პირების სასურსათო პროდუქტების მარაგის) «რეკვიზიცია საზოგადოებრივი საჭიროებისათვის»,... «მოვაწყოთ საზოგადოებრივი დუქნები, პურის საცხობები, სასადილოები და სამზარეულოები», — წერენ მენშევიკები... «მივაქციოთ საჭირო ყურადღება სანიტარიასა და ჰიგიენას», — ბანს აძლევენ ნაროდნიკები (სოც.-რევ.).

ჩინებული სურვილებია, თქმა არ უნდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მათი განხორციელება შეუძლებელია, თ უ ხ ე ლ ი ა რ ა ი ღ ე იმპერიალისტური ომის მხარდაჭერაზე, (კაპიტალისტებისთვის ხელსაყრელი) სესხის მხარდაჭერაზე, კაპიტალისტების მთავრობის მხარდაჭერაზე, იმ მთავრობისა, რომელიც კაპიტალის მოგებას იცავს, თუ არ უარყავი პოლიცია, რომელიც ყოველ ასეთ რეფორმას შეაჩერებს, შეაფერხებს, არარამდე დაიყვანს, მაშინაც კი, თუნდაც რომ მთავრობამ და კაპიტალისტებმა რეფორმატორებს ულტიმატუმი არ წაუყენონ (ისინი კი ულტიმატუმს აუცილებლად წაუყენებენ, რაკი საქმე კაპიტალის მოგებას შეეხება).

საქმეც ის არის, რომ ყოველი ასეთი პლატფორმა, მრავალმთქმელი რეფორმების ყოველი ასეთი სია, თუ კი კაპიტალის ბატონობის მძიმე და მკაცრ პირობებს დავივიწყებთ, — ლიტონი სიტყვებია, რაც პრაქტიკულად ნიშნავს ან ფრიად უვნებელ «კეთილ სურვილებს», ანდა მასების უბრალო მოტყუებას ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პოლიტიკანების მიერ.

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. კი არ უნდა მივჩქმალოთ ეს სიმართლე, არამედ პირდაპირ უნდა ვუთხრათ იგი ხალხს. კლასობრივი ბრძოლა კი არ უნდა მივაფუჩეჩოთ, არამედ უნდა გავარკვიოთ მისი კავშირი ასე საამოდ მოსასმენ, წარმტაც და მომხიბვლელ «რადიკალურ» რეფორმებთან.

ამხანაგო მუშებო და მთელი პეტროგრადის მოქალაქენო! იმისთვის, რომ განვახორციელოთ ხალხისთვის აუცილებლად საჭირო, მომწიფებული, გადაუდებელი რეფორმები, რომლებზედაც ნაროდნიკები და მენშევიკები ლაპარაკობენ, ხელი უნდა ავიღოთ იმპერიალისტური ომისა და სესხის მხარდაჭერაზე, კაპიტალისტების მთავრობის მხარდაჭერაზე, კაპიტალის მოგების ხელუხლებლობის პრინციპზე. ამ რეფორმების გასახორციელებლად საჭიროა ა რ ა ვ ი ს დ ა ვ ა ნ ე ბ ო თ ა ღ ა დ გ ი ნ ო ს პ ო ლ ი ც ი ა, რომელსაც ამჟამად კადეტები აღადგენენ, და შევცვალოთ იგი საყოველთაო-სახალხო მილიციით. აი რა უნდა უთხრას ხალხს არჩევნების დროს პროლეტარიატის პარტიამ, რა უნდა თქვას მან ნაროდნიკებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. აი რაში მდგომარეობს ამ პარტიების მიერ მიჩქმალული პროლეტარული «მუნიციპალური პლატფორმის» არსი.

მთელ ამ პლატფორმას, რეფორმების სიას წინ უნდა უძღოდეს, როგორც მათი ნამდვილად განხორციელების ძირითადი პირობა, სამი უმთავრესი, ძირითადი მუხლი:

1) არავითარი მხარდაჭერა იმპერიალისტურ ომს (არც სესხის მხარდაჭერის სახით და არც საერთოდ რაიმე სახით).

2) არავითარი მხარდაჭერა კაპიტალისტების მთავრობას.

3) არავის მიეცეს ნება აღადგინოს პოლიცია. პოლიციის შეცვლა საყოველთაო-სახალხო მილიციით.

ამ ძირითად საკითხებზე მთავარი ყურადღების მიქცევის გარეშე, იმის გაურკვევლად, თუ როგორ აპირობებენ ისინი მთელ მუნიციპალურ რეფორმებს, — მუნიციპალური პროგრამა აუცილებლად გადაიქცევა (უკეთეს შემთხვევაში) უვნებელ სურვილად.

შევჩერდეთ მე-3 მუხლზე.

ყველა ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ყველაზე უფრო დემოკრატიულშიც კი, პოლიცია (ისევე როგორც მუდმივი ჯარი) მთავარი იარაღია მასების ჩაგვრისა, საწინდარია ყოველთვის შესაძლებელი მობრუნებისა უკან — მონარქიისაკენ. პოლიცია ცემს «უბრალო ხალხს» როგორც ნიუ-იორკის, ისე ჟენევის, პარიზის საპოლიციო უბნებში, კაპიტალისტებს კი თავზე ხელს უსვამს ან პირდაპირი მოსყიდვის საშუალებით (ამერიკა და სხვ.), ან მდიდართა «პროტექციების» და «ზრუნვის» სისტემის საშუალებით (შვეიცარია), ანდა ორივე სისტემის საშუალებით (საფრანგეთი). პოლიცია, რომელიც განცალკევებულია ხალხისგან, პროფესიულ კასტას წარმოადგენს და ისეთი ადამიანებისაგან შედგება, რომლებიც «დახელოვნებული» არიან ძალადობის ხმარებაში უღარიბესი მოსახლეობის მიმართ, რომლებიც რამდენადმე გადიდებულ ხელფასს იღებენ და «ხელისუფლების» პრივილეგიებით სარგებლობენ («უცოდველ შემოსავალზე» რომ არაფერი ვთქვათ), — ყოველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბურჟუაზიის ბატონობის დროს, აუცილებლად რჩება ბურჟუაზიის უერთგულეს იარაღად, ბურჯად, დამცველად. პოლიციის დახმარებით შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა სერიოზული, ძირითადი რეფორმების განხორციელება მშრომელი მასების სასარგებლოდ. ეს ობიექტურად შეუძლებელია.

პოლიციისა და მუდმივი ჯარის ნაცვლად საყოველთაო-სახალხო მილიცია — ა ი პ ი რ ო ბ ა მშრომელთა სასარგებლოდ მუნიციპალური რეფორმების წარმატებით გასატარებლად. რევოლუციურ ხანაში ამ პირობის განხორციელება შესაძლებელია. და ყველაზე მეტად ამაზე უნდა ავაგოთ მთელი მუნიციპალური პლატფორმა, რადგან ორი სხვა ძირითადი პირობა ეკუთვნის არა მარტო მუნიციპალურ, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ სფეროსაც.

სახელდობრ როგორ უნდა შევუდგეთ საყოველთაო-სახალხო მილიციის შემოღებას — ეს პრაქტიკის საქმეა. რომ მონაწილეობის მიღების საშუალება ჰქონდეთ პროლეტარებსა

და ნახევრადპროლეტარებს, უნდა ვაიძულოთ მეპატრონენი ხელფასი აძლიონ მათ ყველა იმ დღისა და საათისათვის, რასაც ისინი მილიციაში სამსახურს მოანდომებენ. ამის განხორციელება შესაძლებელია. შემდეგი საკითხია: თავდაპირველად მოვაწყოთ მუშათა მილიცია უდიდესი ქარხნების მუშებზე დაყრდნობით, ე. ი. მუშებზე, რომლებიც საუკეთესოდ არიან დარაზმული და შეუძლიათ მილიციონერების როლი შეასრულონ, თუ ერთბაშად შემოვიღოთ მილიციაში საყოველთაო სავალდებულო სამსახური ყველა მოზრდილი მამაკაცისა და ქალისა, რომლებიც ამ სამსახურს მოანდომებენ ერთ ან ორ კვირას წელიწადში და სხვ.; ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. თუ სხვადასხვა რაიონი სხვადასხვანაირად დაიწყებს, ამაში ცუდი არაფერია: ეს უფრო მეტ გამოცდილებას შეგვძენს, საქმე უფრო კარგად წარიმართება და უფრო ახლოს იქნება პრაქტიკის მოთხოვნებთან.

საყოველთაო-სახალხო მილიცია ნიშნავს მოსახლეობის ნამდვილი მასების დემოკრატიულად აღზრდას.

საყოველთაო-სახალხო მილიცია ნიშნავს ღარიბთა მართვა-გამგეობას არა მარტო მდიდრების მეშვეობით, არა მათი პოლიციის მეშვეობით, არამედ თვით ხალხის მიერ, სადაც ღარიბები ჭარბობენ.

საყოველთაო-სახალხო მილიცია ნიშნავს იმას, რომ მეთვალყურეობა (ფაბრიკების, ბინების, პროდუქტების განაწილების და სხვ. მიმართ) ქაღალდზე როდი დარჩება.

საყოველთაო-სახალხო მილიცია ნიშნავს იმას, რომ პურის განაწილება მოხდება «უკუდოდ», მდიდრებისათვის რაიმე პრივილეგიების მიუცემლად.

საყოველთაო-სახალხო მილიცია ნიშნავს იმას, რომ მთელი რიგი სერიოზული და რადიკალური რეფორმები, რომლებიც ჩამოთვლილი აქვთ ნაროდნიკებსაც და მენშევიკებსაც, უბრალო სურვილად არ დარჩება.

ამხანაგებო — პეტროგრადის მუშებო და მუშა-ქალებო! მიიღეთ ყველამ მონაწილეობა რაიონულ თვითმმართველო-

ბათა არჩევნებში. დაიცავით ღარიბი მოსახლეობის ინტერესები. გამოდით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, კაპიტალისტთა მთავრობის მხარისდაჭერის წინააღმდეგ, პოლიციის აღდგენის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირეთ საყოველთაო-სახალხო მილიციით მის დაუყოვნებლივ შეცვლას.

«პრავდა» № 49,
1917 წ. 18 (5) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

განაწესი იმ პირთათვის, რომლებსაც ქარხნებსა და პოლკებში ირჩევენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატებად

(1) ჩვენი დეპუტატი უეჭველი მოწინააღმდეგე უნდა იყოს ახლანდელი მტაცებლური, იმპერიალისტური, ომისა. ამ ომს აწარმოებენ ყველა ქვეყნის, — რუსეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვათა, — კაპიტალისტები თავიანთი მოგების, სუსტ ხალხთა ჩახრჩობის გულისთვის.

(2) ვიდრე რუსი ხალხის სათავეში კაპიტალისტთა მთავრობა დგას, — არავითარი მხარდაჭერა ამ მთავრობას, რომელიც მტაცებლურ ომს აწარმოებს, არც ერთი კაპიკი მას!

(3) ჩვენმა დეპუტატმა მხარი უნდა დაუჭიროს იმ საიდუმლო მძარცველურ ხელშეკრულებათა — (სპარსეთის ჩახრჩობის, თურქეთის, ავსტრიის და სხვათა დაყოფის შესახებ) — დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას, რომელნიც ყოფილმა მეფემ ნიკოლოზმა დადო ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. კაპიტალისტებთან.

(4) ჩვენმა დეპუტატმა მხარი უნდა დაუჭიროს ყველა ამ ხელშეკრულების დაუყოვნებლივ გაუქმებას. რუს ხალხს, მუშებსა და გლეხებს, არ სურთ დაჩაგრონ და არც დაჩაგრავენ არც ერთ ხალხს; — არ სურთ ძალით დააკავონ და არც დააკავებენ რუსეთის ფარგლებში არც ერთ არარუს (არაველიკორუს) ხალხს. თავისუფლება ყველა ხალხს, ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა ძმური კავშირი!

(5) ჩვენმა დეპუტატმა მხარი უნდა დაუჭიროს იმას, რომ რუსეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ და უეჭველად, ყოველ-

გვარი მომიზეზებისა და გაჭიანურების გარეშე, აშკარად შესთავაზოს ზავი **ყველა** მეომარ ქვეყანას **სრულიად გამოუკლებლივ ყველა** დაჩაგრული და არათანასწორუფლებიანი ეროვნების განთავისუფლების პირობით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ველიკოროსები ძალით არ დააკავებენ არც პოლონეთს, არც კურლანდიას, არც უკრაინას, არც ფინეთს, არც სომხეთს, საერთოდ არც ერთ ხალხს. ველიკოროსები თავაზობენ ძმურ კავშირს ყველა ხალხს და საერთო სახელმწიფოს შედგენას ყოველი ცალკეული ხალხის ნებაყოფლობითი თანხმობით და არა რაიმე, პირდაპირი ან არაპირდაპირი, ძალადობის ხმარებით. ასეთი ზავის პირობების მიხედვით, ველიკოროსები ვალდებულებას კისრულობენ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები გალიციიდანაც, სომხეთიდანაც, სპარსეთიდანაც, უფლებას აძლევენ რა როგორც ამ ხალხებს, ისე გამოუკლებლივ **ყველა** ხალხს სრულიად თავისუფლად გადაწყვიტონ, უნდათ მათ ცხოვრება ცალკე სახელმწიფოდ, თუ საკავშირო სახელმწიფოში ვისთანაც სურთ.

ასეთი ზავის პირობების მიხედვით, გერმანიამ ხელი უნდა აიღოს არა მარტო გამოუკლებლივ **ყველა** მის მიერ ომის შემდეგ ხელში ჩაგდებულ მიწა-წყალზე, არამედ მის მიერ გერმანიის საზღვრებში ძალით დატოვებულ ხალხებზეც: დანიელებზე (შლეზვიგის ჩრდილოეთი პროვინციები), ფრანგებზე (ელზასისა და ლორენის ნაწილი), პოლონელებზე (პოზნანი) და სხვ.. გერმანიამ უნდა იკისროს მყისვე, რუსეთთან ერთად გაიყვანოს ჯარები მის მიერ ყველა მიტაცებული და ყველა ზემოხსენებული ოლქიდან და უფლება მიანიჭოს ყოველ ხალხს თავისუფლად, საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით, გადაწყვიტოს, უნდა მას ცალკე სახელმწიფოდ ცხოვრება, თუ **საკავშირო** სახელმწიფოში **ვისთანაც სურს.** გერმანიამ უეჭველად და უსიტყვოდ ხელი უნდა აიღოს ყველა თავის კოლონიაზე, რადგან კოლონიები ჩაგრულ ხალხებს წარმოადგენენ.

ასეთი ზავის პირობების მიხედვით, ინგლისმა დაუყოვნებლივ და უეჭველად ხელი უნდა აიღოს არა მარტო ომის დაწყების შემდეგ მის მიერ მიტაცებულ მთელ სხვის მიწა-

წყალზე (გერმანიის კოლონიები აფრიკაში და სხვაგან; თურქეთის მიწა-წყალი, მესოპოტომია და სხვ.), არამედ **ყველა თავის კოლონიაზეც**. ინგლისმა — როგორც რუსეთმა, როგორც გერმანიამ — დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ყველა მის მიერ მიტაცებული მიწა-წყლიდან, ყველა თავისი კოლონიიდან და ირლანდიიდან, უფლება უნდა მიანიჭოს ყოველ ხალხს თავისუფალი კენჭისყრით გადაწყვიტოს, სურს მას ცალკე სახელმწიფოდ ცხოვრება, თუ საკავშირო სახელმწიფოში ვისთანაც სურს.

და ასე შემდეგ: გამოუკლებლივ ყველა მეომარმა ქვეყანამ უნდა მიიღოს წინადადება — დაუყოვნებლივ დადოს ზავი ასეთი, ზუსტად განსაზღვრული, პირობების საფუძველზე. ამიერიდან **ყველა** ქვეყნის კაპიტალისტებმა არ უნდა მოატყუონ ხალხი სიტყვიერად «უანექსიო» (ე. ი. დაპყრობათა გარეშე) «ზავის» დაპირებით, საქმით კი შეინარჩუნონ **თავიანთი** ანექსიები და განაგრძონ ომი, რათა მოწინააღმდეგეს წაართვან **«მისი»** ანექსიები.

(6) ჩვენმა დეპუტატმა არაფერში არ უნდა დაუჭიროს მხარი, არ უნდა მისცეს ხმა არც ერთ სესხს, ხალხის ფულის არც ერთი კაპიკი არ უნდა მისცეს **არც ერთ** მთავრობას, თუ ის საჯაროდ არ იკისრებს მყისვე შესთავაზოს ყველა ხალხს დაუყოვნებლივი ზავის ასეთი პირობები და **ორი დღის** ვადაში ყველას საყურადღებოდ არ გამოაქვეყნებს ასეთ წინადადებას.

დაწერილია 1917 წ. 7 (20) მაისამდე

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში, IV

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

კლასობრივი თანამშრომლობა კაპიტალთან თუ კლასობრივი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ?

სწორედ ასე დააყენა საკითხი ისტორიამ, და ისიც არა ისტორიამ საერთოდ, არამედ რუსეთის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ისტორიამ დ ღ ე ს.

ნაროდნიკებმა და მენშევიკებმა, ჩერნოვმა და წერეთელმა, საკონტაქტო კომისია მეზობელი ოთახიდან (იმ ოთახიდან, რომელიც მინისტრთა სხდომების მეზობლად იყო) თვით სამინისტრო ოთახში გადაიტანეს. ასეთია და მხოლოდ ასეთი წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა იმ მოვლენისა, რომელსაც ეწოდება: «ახალი» სამინისტრო.

მისი ეკონომიური ან კლასობრივი მნიშვნელობა: უკეთეს შემთხვევაში (სამინისტროს სიმტკიცისა და კაპიტალისტების ბატონობის შენარჩუნებისათვის) გლეხური ბურჟუაზიის ზედაფენებმა, ბურჟუაზიისა, რომელსაც 1906 წლიდან პეშეხონოვი მეთაურობს, და მენშევიკი მუშების წვრილბურჟუაზიულმა «ბელადებმა» თავიანთი კლასობრივი თანამშრომლობა ა ღ უ თ ქ ვ ე ს კაპიტალისტებს. (კაპიტალისტებისთვის უარეს შემთხვევაში, მთელ ცვლილებას მხოლოდ პირადი ან მხოლოდ წრეობრივი მნიშვნელობა აქვს და არავითარი კლასობრივი მნიშვნელობა არა აქვს.)

ვთქვათ, ეს უკეთესი შემთხვევა ფაქტია. მაშინაც კი შეუძლებელია სულ მცირედი დაეჭვება იმაში, რომ დამპირებლებს არ ძალუძთ შეასრულონ თავიანთი დაპირებანი. «ჩვენ — კაპიტალისტებთან კავშირში — დაგეხმარებით გამოვიყვანოთ

ქვეყანა კრიზისიდან, ვიხსნათ იგი კრახისაგან, გადავარჩინოთ ომს», — ასეთია წვრილი ბურჟუაზიის ბელადების, ჩერნოვეგისა და წერეთლების, სამინისტროში შესვლის რეალური აზრი. ჩვენი პასუხია: თქვენი დახმარება არ კმარა. კრიზისი განუზომლად უფრო შორს წავიდა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ქვეყნის ხსნა, და ისიც არა მარტო ჩვენი ქვეყნისა, შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ კლასს, რომელიც კაპიტალის წინააღმდეგ რევოლუციურ ზომებს მიიღებს.

კრიზისი იმდენად ღრმაა, ისე ფართოდაა განშტოებული, იმდენად დიდია მსოფლიო მასშტაბით, ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული კაპიტალთან, რომ. კლასობრივმა ბრძოლამ კაპიტალის წინააღმდეგ გარდუვალად უნდა მიიღოს პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარების პოლიტიკური ბატონობის ფორმა. სხვა გამოსავალი არ არის.

თქვენ, მოქალაქე ჩერნოვ და წერეთელო, გინდათ გამოიწვიოთ ჯარში რევოლუციური ენთუზიაზმი? თქვენ ამას ვერ შესძლებთ, რადგან ხალხის მასების რევოლუციურ ენთუზიაზმს ბადებს არა «ბელადების» ცვლა სამინისტროებში, არა დეკლარაციების მაღალფარდოვანი სიტყვები, არა დაპირებები — ნაბიჯებს გადავდგამთ ინგლისის კაპიტალისტებთან დადებული ხელშეკრულების გადასასინჯადო, არამედ კაპიტალის ყოველისშემძლეობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, კაპიტალის მიერ ომისაგან მოგების გამორჩენის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პოლიტიკის ყოველდღიური, ყოველ ადგილას ყველასათვის დასანახი ფაქტები, პოლიტიკისა, რომელიც საქმით რადიკალურად აუმჯობესებს ღარიბთა მასის ცხოვრების პირობებს.

კიდევაც რომ მისცეთ ხალხს დაუყოვნებლივ მთელი მიწა, ეს ჯერ კიდევ ვერ გამოგიყვანთ კრიზისიდან, თუ კაპიტალის წინააღმდეგ რევოლუციური ზომები არ იქნება მიღებული.

თქვენ გნებავთ შეტევაზე გადასვლა, მოქალაქე ჩერნოვ და წერეთელო? თქვენ ვერ შეაგულიანებთ ჯარს გადავიდეს შეტევაზე, რადგან ახლა ხ ა ლ ხ ი ს იძულება შეუძლებელია. ძალდაუტანებლად კი ხალხი შეტევითს ომს დათანხმდება მხო-

ლოდ ყველა ქვეყნის კაპიტალის წინააღმდეგ დიდი რევოლუციის დიადი ინტერესებისათვის, და ისიც არა მარტო დაპირებული, არა მარტო გამოცხადებული რევოლუციის ინტერესებისათვის, არამედ ისეთი რევოლუციის ინტერესებისათვის, რომელიც საქმით უკვე ხორციელდება, უკვე ტარდება ცხოვრებაში ისე, რომ ყველა და თვითეული ხედავს, ყველა და თვითეული გრძნობს ამას.

თქვენ გნებავთ მოაწყოთ მომარაგების საქმე, მოქალაქე პეშეხონოვებო და სკობელევებო, გინდათ მოამარაგოთ გლეხები პროდუქტებით, ჯარი — პურით და ხორცით, მრეწველობა — ნედლეულით და სხვ.? თქვენ გნებავთ კონტროლი დააწესოთ წარმოების მიმართ, ნაწილობრივ წარმოების მოწყობაც კი?

თქვენ ვერ შესძლებთ ამას პროლეტარულ და ნახევრად-პროლეტარულ მასებში რევოლუციური ენთუზიაზმის გაძოწვევის გარეშე, ენთუზიაზმისა, რომელსაც ბადებს მხოლოდ კაპიტალის პრივილეგიებისა და მოგების წინააღმდეგ რევოლუციური ზომების მიღება. უამისოდ თქვენ მიერ დაპირებული კონტროლი დარჩება მკვდარ, მოხელურ-კაპიტალისტურ ნახევარზომად.

კაპიტალთან კლასობრივი თანამშრომლობის ცდას ახდენენ ახლა მოქალაქე ჩერნოვები და წერეთლები, ახდენენ წვრილი ბურჟუაზიის განსაზღვრული ფენები ახალი, უდიდესი, სრულიად რუსეთის, საერთო-სახელმწიფო მასშტაბით.

მით უფრო სასარგებლო გაკვეთილი იქნება ხალხისათვის, როცა ის დარწმუნდება — ეს კი, ალბათ, მალე მოხდება — ასეთი თანამშრომლობის უილაჯობასა და უიმედობაში.

«პრავდა» № 50,
1917 წ. 19 (6) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მტკიცე რევოლუციური ხელისუფლების შესახებ

ჩვენ მხარს ვუჭერთ მტკიცე რევოლუციურ ხელისუფლებას. რაც უნდა ეცადონ კაპიტალისტები და მათი დამქაშები საწინააღმდეგო რამ გვიკიჟინონ, მათი სიცრუე მაინც სიცრუედ დარჩება.

საჭიროა მხოლოდ, რომ ფრაზა არ აბნელებდეს გონებას, არ ახშობდეს შეგნებას. როცა «რევოლუციაზე», «რევოლუციურ ხალხზე», «რევოლუციურ დემოკრატიაზე» და სხვ. ლაპარაკობენ, ათიდან ცხრა შემთხვევაში ეს ან სიცრუეა, ან თავის მოტყუება. უნდა ვიკითხოთ, რომელი კლასის რევოლუციაზეა ლაპარაკი? ვის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციაზე?

ცარიზმის წინააღმდეგ? ამ აზრით რუსეთში ახლა რევოლუციონერია როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტთა უმრავლესობა. როცა საქმე გაკეთებულია, მაშინ რეაქციონერებიც კი რევოლუციის მონაპოვართა ნიადაგზე დგებიან. არ არის იმაზე უფრო ხშირი, იმაზე უფრო საზიზღარი და იმაზე უფრო მავნე მოტყუება მასებისა ამჟამად, ვიდრე ამ აზრით რევოლუციის ქება-დიდებით მათი მოტყუებაა.

მემამულეთა წინააღმდეგ? ამ აზრით რევოლუციონერია გლეხების უმრავლესობა, თვით შეძლებული გლეხების უმრავლესობაც კი, ე. ი. საერთოდ, ალბათ, რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედი. შეიძლება, კაპიტალისტების ნაწილიც კი მზა-

დაა რევოლუციონერი გახდეს ასეთი ვარაუდის საფუძველზე: სულ ერთია, მემამულეებს ახლა მაინც ვერ ვიხსნით, უმჯობესია რევოლუციას მივემხროთ, რომ ამით კაპიტალის ხელშეუხებლობა დავიცვათო.

კაპიტალისტების წინააღმდეგ? აი ეს არის მთავარი საკითხი. აი ამაშია საქმის არსი, ვინაიდან, თუ არ მოხდა რევოლუცია კაპიტალისტების წინააღმდეგ, მთელი ეს ლაყბობა «უანექსიო ზავისა» და ომის ასეთი ზავით სწრაფი დამთავრების შესახებ — ან გულუბრყვილობა და უმეცრებაა, ანდა სიყეყეჩე და მოტყუება. ომი რომ არ ყოფილიყო, რუსეთს მთელი წლობით და ათეული წლობითაც შეეძლო ეცხოვრა ისე, რომ კაპიტალისტთა წინააღმდეგ რევოლუცია არ მოეხდინა. ომის დროს ეს ობიექტურად შეუძლებელია: ან დაღუპვა, ან რევოლუცია კაპიტალისტების წინააღმდეგ. ასე დგას საკითხი. ასე დააყენა იგი ცხოვრებამ.

ინსტინქტურად, გრძნობით, მიდრეკილებით რუსეთში რევოლუციას კაპიტალისტების წინააღმდეგ თანაუგრძნობს მოსახლეობის უმრავლესობა, სახელდობრ პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, ე. ი. მუშები და უღარიბესი გლეხები. მაგრამ ამის ნათელი შეგნება ჯერ კიდევ არ არის, ამასთან დაკავშირებით არ არის არც გამბედაობა. ამ შეგნებისა და გამბედაობის განვითარება — აი ჩვენი მთავარი ამოცანა.

წვრილი ბურჟუაზიის ბელადები — ინტელიგენცია, შეძლებული გლეხობა, ნაროდნიკების (მათ შორის ს.-რ.) და მენშევიკების ახლანდელი პარტიები ა რ ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ ახლა რევოლუციას კაპიტალისტების წინააღმდეგ, ნაწილობრივ ამ რევოლუციის მოწინააღმდეგენიც არიან, რაც ხალხისთვის უაღრესად მავნებელია. კოალიციური სამინისტრო ისეთ «ცდას» წარმოადგენს, რომელიც დაეხმარება მთელ ხალხს განსაკუთრებული სისწრაფით ა ღ მ ო ფ ხ ვ რ ა ს კაპიტალისტებთან წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლობის ილუზიები.

დასკვნა ცხადია: მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლებას, რომელსაც მხარს დაუჭერენ ნახევრადპროლეტარები, შეუძლია მისცეს ქვეყანას ნამდვილად მტკიცე და ნამდვილად

რევოლუციური ხელისუფლება. ეს ხელისუფლება ნამდვილად მტკიცე იქნება, რადგან მას მხარს დაუჭერს ხალხის მტკიცე და შეგნებული უმრავლესობა. იგი მტკიცე იქნება, რადგან მას საფუძვლად არ დაედება აუცილებლობის გამო მერყევი «შემთანხმებლობა» კაპიტალისტებისა წვრილ მეპატრონეებთან, მილიონერებისა წვრილ ბურჟუაზიასთან, კონოვალოვებისა და შინგარიოვებისა ჩერნოვებთან და წერეთლებთან.

მარტოოდენ ასეთი ხელისუფლება იქნება ნამდვილად რევოლუციური, რადგან მხოლოდ მას ძალუძს დაანახვოს ხალხს, რომ მასებისათვის მიყენებული უდიდესი ტანჯვის დროს ხელისუფლება გულის კანკალით არ შეჩერდება კაპიტალის მოგების წინაშე. იგი ნამდვილად რევოლუციური იქნება, რადგან მარტო ის წარმოშობს, წაახალისებს, გააათკეცებს მასების რევოლუციურ ენთუზიაზმს, თუკი ეს მასები დაინახავენ, იგრძნობენ ყოველდღე და ყოველ წუთს, რომ ხელისუფლება ნდობით უყურებს ხალხს და არ ეშინია მისი, დახმარებას უწევს ღარიბებს გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრების პირობები დაუყოვნებლივ, აიძულებს მდიდრებს თ ა ნ ა ბ რ ი ა დ მიიღონ მონაწილეობა ხალხის ტანჯვის მძიმე ტვირთის ზიდვაში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მტკიცე რევოლუციურ ხელისუფლებას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთადერთ შესაძლებელ და ერთადერთ საიმედო მტკიცე რევოლუციურ ხელისუფლებას.

«პრავდა» № 50,
1917 წ. 19 (6) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

საჩუქრად ახალშობილ...
«ახალ» მთავრობას

«რეჩი» სერიოზულ (ხალხურად სურიოზულ) მოწინავე სტატიაში წერს:

«იმედი ვიქონიოთ, რომ საჭირო არ იქნება დიდი გარდატეხა მოკავშირეებთან ჩვენს ურთიერთობაში, რათა დავუმტკიცოთ «უანექსიო და უკონტრიბუციო» ზავის ფორმულის მომხრეებს» (იგულისხმე: ახალ მთავრობას) «ამ ფორმულის პრაქტიკული გამოუყენებლობა».

და მართალი არიან კაპიტალისტები, რომლებიც «რეჩის» სიტყვებით მეტყველებენ. ეს ფორმულა, მართლაც, «პრაქტიკულად გამოუყენებელია»... თუ რევოლუცია პრაქტიკულად არ იქნება გამოყენებული კაპიტალის წინააღმდეგ!

* *
*

მილიუკოვის სიტყვიდან, მილიუკოვისა, რომელიც კი არ წასულა, არამედ წააბრძანეს:

«მეგობრობის რაც უნდა მშვენიერი ფორმულები ვწეროთ მოკავშირეებს, თუ ჯარი უმოქმედოდ დარჩება, ეს ფაქტიურად ჩვენი ვალდებულების ღალატი იქნება. და პირიქით, ლოიალობის ღალატის რაც უნდა საშინელი ფორმულები მივწეროთ, თუ ჯარი ფაქტიურად იომებს, ეს, რა თქმა უნდა, მოკავშირეებისადმი ჩვენი ვალდებულებების ფაქტიური შესრულება იქნება»...

სწორია! მას, ამ მოქალაქე მილიუკოვს, ხანდახან ესმის ხოლმე საქმის ვითარება... მოქალაქე ჩერნოვ და წერეთელო, ნუთუ არ გესმით, რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან იმპერიალისტური ომისადმი თქვენი ფ ა ქ ტ ი უ რ ი დაბოკიდებულების საკითხზე?

* *
*

შულგინის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა დარაზმვის პროცესში მყოფი კონტრრევოლუციის სხდომაზე [85]:

«ჩვენ გვირჩევნია მათხოვრები ვიყოთ, მაგრამ მათხოვრები. ჩვენს ქვეყანაში. თუ თქვენ შეგიძლიათ შეგვინარჩუნოთ ეს ქვეყანა და გადაარჩინოთ ის, გაგვხადეთ ტანსაცმელიც. ჩვენ ამის გამო ტირილს არ დავიწყებთ».

ნუ გვაშინებთ, ბ-ნო შულგინ! მაშინაც კი, როცა ხელისუფლების სათავეში ჩ ვ ე ნ ვიქნებით, არ «გაგხდით ტანსაცმელს», პირიქით, უზრუნველგყოფთ კარგი ტანსაცმლით და კარგი საჭმელ-სასმლით, ოღონდ იმ პირობით კი, თუ შეასრულებთ თქვენი ძალ-ღონის საკვებით შესაფერის და თქვენთვის ჩვეულ სამუშაოს! დაშინება ჩერნოვებისა და წერეთლების წინააღმდეგ გამოდგება, ჩვენ «ვერ შეგვაშინებთ»!

* *
*

(«სახელმწიფო სათათბიროს წევრთა») იმავე სხდომაზე მაკლაკოვის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

«რუსეთი არ გამოდგა ღირსი იმ თავისუფლებისა, რომელიც მან მოიპოვა».

იგულისხმე: გლეხებმა და მუშებმა ვერ დააკმაყოფილეს ბბ. მაკლაკოვები. მათ უნდათ, რომ ჩერნოვებმა და წერეთლებმა «შეარიგონ» მასები მაკლაკოვებთან. არაფერი გამოუვათ!

* *
*

იმავე სიტყვიდან:

«შეიძლება ბევრს ვუსაყვედუროთ, მაგრამ ჩვენ რუსეთში იოლად ვერ წავალთ ვერც ბურჟუაზიისა და ვერც პროლეტარიატის გარეშე, ვერც ცალკეულ მიმდინარეობათა და ვერც ცალკეულ პირთა გარეშე».

უკაცრავად, მოქალაქე მაკლაკოვ, მაგრამ «ჩვენ» (პროლეტარიატის პარტია) «ბურჟუაზიის გარეშე» «იოლად წავალთ რუსეთში». მომავალი დაგანახვებთ და დაგარწმუნებთ, რომ სხვანაირად იმპერიალისტური ომიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო.

* *
*

იმავე სიტყვიდან:

«ჩვენ ვხედავთ უამრავ ცუდ ინსტინქტს, რომლებმაც თავი იჩინეს: ჩვენ ვხედავთ, რომ არ სურთ იმუშაონ, არ სურთ შეიგნონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩვენ ვხედავთ, რომ სასტიკი ომის დროს ჩვენი ქვეყანა დღესასწაულთა, მიტინგებისა და ლაყბობის ქვეყნად გადაქცეულა, — ისეთ ქვეყნად, რომელიც უარყოფს ხელისუფლებას და რომელსაც არ სურს დაემორჩილოს მას».

სწორია! უამრავი «ცუდი ინსტინქტი» გამოაჩნდათ განსაკუთრებით მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ცუდი ინსტინქტები წვრილ ბურჟუებსაც აქვთ: მაგალითად, კაპიტალისტებთან ერთად კოალიციურ სამინისტროში შესვლის ინსტინქტი. ცუდი ინსტინქტები აქვთ პროლეტარებსაც და ნახევრადპროლეტარებსაც: მაგალითად, ნელ-ნელა განთავისუფლება წვრილბურჟუაზიული ხასიათის ილუზიებისაგან, ნელ-ნელა შეთვისება იმ რწმენისა, რომ მ თ ე ლ ი «ძალაუფლება» უნდა აიღოს სწორედ ამ კლასმა, და მხოლოდ ამ კლასმა.

* *
*

იმავე სიტყვიდან:

«სანამ ქვეყანა სულ უფრო და უფრო მემარჯვენდება, ხელისუფლებაც სულ უფრო და უფრო მეტად გამემარცხენდება».

«ქვეყანას» მაკლაკოვი კაპიტალისტებს უწოდებს. ამ აზრით იგი მართალია. მაგრამ, გარწმუნებთ, მოქალაქე, რომ მუშებისა და უღარიბესი გლეხების «ქვეყანა» 1 000-წილ უფრო მემარცხენეა ჩერნოვებსა და წერეთლებზე, 100-წილ უფრო მემარცხენეა ჩვენზე. ამას მომავალი დაგანახვებთ.

«პრავდა» № 50,
1917 წ. 19 (6) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«ახალი» მთავრობა უკვე ჩამორჩა არა მარტო რევოლუციურ მუშებს, არამედ გლეხობის მასასაც

ი ამის დამამტკიცებელი საბუთი:

საღამოს გაზეთი «რუსსკაია ვოლია» — «რუსეთის თავისუფლება»! — 4 მაისის ნომერში გვაუწყებს შეკრებილი გლეხთა ყრილობის დელეგატების განწყობილების შესახებ.

«დელეგატები უმთავრესად ნაწყენი არიან იმ შეურაცხყოფით, რომელიც ვითომ მიუყენებიათ გლეხებისთვის იმით, რომ ყველა კლასი უკვე იმკის რევოლუციის ნაყოფს, მხოლოდ გლეხებიღა ელოდებიან დღემდე თავიანთ წილს. მხოლოდ გლეხებს ურჩევენ — დაუცადეთ დამფუძნებელი კრების მოწვევას, ის გადაწყვეტს მიწის საკითხსო.

— არა, ეს არ მოხდება, არ გვსურს მოცდა ისევე, როგორც სხვებსაც არ მოუცდიათ. ახლავე, დაუყოვნებლივ გვინდა მიწა».

ეჭვი არ არის, რეპორტიორი «რუსსკაია ვოლიასი», იმ გაზეთისა, რომელიც ყველაზე უარეს კაპიტალისტებს ემსახურება, ამ შემთხვევაში ცილს კი არ სწამებს გლეხებს (არაფერი ანგარიშია იცრუოს), არამედ მართალს ამბობს და კაპიტალისტებს აფრთხილებს. ამ სიმართლეს ადასტურებს ყრილობიდან მოსული ყველა ცნობა.

შეადარეთ ამ სიმართლეს «ახალი» მთავრობის დეკლარაციის პროექტის § 5:

«ანდობს რა დამფუძნებელ კრებას მშრომელთა ხელში მიწის გადასვლის საკითხის გადაჭრას, დროებითი მთავრობა

მიიღებს... ზომებს» და სხვ. («ძველი» დროებითი მთავრობაც ყოველთვის «იღებდა ზომებს»...).

«ახალი» მთავრობა უკვე უიმედოდ ჩამორჩა გლეხთა ყრილობასაც კი!!

ბევრისთვის მოულოდნელი ფაქტია, მაგრამ ფაქტია.

ფაქტები კი — ჯიუტი რამაა, როგორც ინგლისური ანდაზა ამბობს.

«პრავდა» № 50,
1917 წ. 19 (6) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

გზას უჭრიან

გუშინ, 5 მაისს, დილის ორ დიდ გაზეთში, «დელო ნაროდასა» და «რეჩში», პირველ გვერდზე მოთავსებული იყო განცხადება, რომელიც საღამოთი გაიმეორა გუჩკოვ-სუვორინის «ვეჩერნეე ვრემიამ»[80] და რომელიც დიდი ყურადღების ღირსია.

ეს განცხადება გვაუწყებს, რომ «ინჟინერთა კავშირთან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შეთანხმებითა და დროებითი მთავრობის რწმუნებულებით» პეტროგრადში დაარსებულა «სამრეწველო საწარმოებში მუშაობის ნორმალური მსვლელობის აღდგენისა და შენარჩუნების ცენტრალური კომიტეტი».

«ცენტრალური კომიტეტი — ვკითხულობთ განცხადებაში — თავის უმთავრეს ამოცანებად ისახავს სამრეწველო საწარმოებში მუშაობის ნორმალური მსვლელობის აღდგენისა და შენარჩუნებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებათა შემუშავებასა და შეთანხმებას და ყველა სამრეწველო საწარმოს მიმართ მუდმივი საქმიანი საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობას».

ამ ორ უკანასკნელ სიტყვას განცხადებაში ხაზი აქვს გასმული.

ეს მოგვაგონებს «დალოცვილი ძველი», ცარიზმის დროის სენატისა და მოხელეთა სხვა კომისიებს. როგორც კი მეფის რომელიმე არამზადა მინისტრი, გუბერნატორი, თავადაზნაურთა

წინამძღოლი და სხვ. ქურდობას ჩაიდენდა, როგორც კი მეტისმეტად თავს შეირცხვენდა მთელ რუსეთსა და მთელ ევროპაში მეფის მთავრობისაგან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დამოკიდებული რომელიმე დაწესებულება, — უმალვე მოჰყვებოდა ამას «ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი აზრის დამშვიდება»: ინიშნებოდა კომისიები, რომლებშიც შედიოდნენ წარჩინებული და უწარჩინებულესი, მაღალი თანამდებობის და უმაღლესი თანამდებობის, მდიდარი და უმდიდრესი «პირები».

და ეს პირები მუდამ უდიდესი წარმატებით «ამშვიდებდნენ» საზოგადოებრივ აზრს. ისინი დიდის ამბით ასამარებდნენ ყოველგვარ «საზოგადოებრივ კონტროლს» და ამას სჩადიოდნენ მით უფრო საფუძვლიანად, რაც უფრო მაღალფარდოვანი იყო ხოლმე ფრაზები ჩვენი ბრძენი მეფის მიერ «საზოგადოებრივი სინდისის» დამშვიდების შესახებ...

ასე იყო, ასე იქნება — გინდა თქვა, როცა კითხულობ ამ მაღალფარდოვან განცხადებას ახალი ცენტრალური კომიტეტის შესახებ.

ბბ. კაპიტალისტები გზის გადაჭრას შეუდგნენ. მუშათა წრეებში იზრდება იმის შეგნება, რომ საჭიროა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი კონტროლის დაწესება ფაბრიკებისა და სინდიკატების მიმართ. და აი მინისტრებისა და მინისტრთა მახლობელი საქმიანი წრეების «გენიალურ» ავანჩავანებს «გენიალური» აზრი მოსვლიათ: მოდი, გზა გადავუჭრათო. გავიხადოთ მაჩანჩალად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო — ეს ხომ ადვილი საქმეა, ვიდრე საბჭოს ნაროდნიკები და მენშევიკები მეთაურობენ. მოვაწყოთ «საზოგადოებრივი კონტროლი»: ეს ისეთი ჩინებული სანახაობა იქნება, სახელმწიფოებრივადბრძნული, მინისტერიაბელური, ისეთი დარბაისლური... და ეს დაასამარებს ყოველგვარ კონტროლს საქმით, ყოველგვარ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ კონტროლს ისე საიმედოდ, ისე უაურზაუროდ... გენიალური აზრია! «საზოგადოებრივი სინდისის» სრული «დამშვიდებაა»!

— როგორ უნდა შედგეს ახალი «ცენტრალური კომიტეტი»?

ოჰ, რასაკვირველია, დემოკრატიულად! ჩვენ ხომ ყ ვ ე ლ ა ნ ი «რევოლუციური დემოკრატები» ვართ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ დემოკრატია მოითხოვს 200 000 მუშაზე 20 წარმომადგენლის გაგზავნას, ხოლო 10 000 ინჟინერსა, კაპიტალისტსა და სხვაზე ერთი წარმომადგენლისას, ეს, რასაკვირველია, «ანარქისტული» გზააბნეულობა იქნებოდა. არა, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი ის არის, რომ მივბაძოთ — როგორ შეადგინა «რევოლუციურმა დემოკრატიამ» თავისი «ახალი» მთავრობა: დაე მუშებსა და გლეხებს «წარმოადგენდეს» 6 მენშევიკი და ნაროდნიკი, ხოლო 8 კადეტი და ოქტიაბრისტი მემამულეებისა და კაპიტალისტების წარმომადგენელი იქნება: განა უახლესი სტატისტიკური გამოკვლევა, რომელსაც ახლა ამთავრებს შრომის ახალი სამინისტრო მრეწველობის ძველ სამინისტროსთან შეთანხმებით, არ ამტკიცებს, რომ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას მემამულეები და კაპიტალისტები შეადგენენ?

აი ინებეთ და მოისმინეთ ს რ უ ლ ი სია იმ დაწესებულებათა «წარმომადგენლებისა», რომლებიც მთავრობასთან «რევოლუციური დემოკრატიის» შემთანხმებელ ახალ ცენტრალურ კომიტეტში გაერთიანებულან:

ცენტრალურ კომიტეტში შედიან წარმომადგენლები: 1) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა; 2) სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისა; 3) ერობათა სრულიად რუსეთის კავშირისა; 4) ქალაქთა სრულიად რუსეთის კავშირისა; 5) პეტროგრადის ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობისა; 6) ინჟინერთა კავშირისა; 7) ოფიცერთა დეპუტატების საბჭოსი; 8) მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭოსი; 9) მექარხნეთა და მეფაბრიკეთა პეტროგრადის საზოგადოებისა; 10) ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისა; 11) ერობათა და ქალაქთა კავშირისა; 12) სამხედრო-ტექნიკური დახმარების კომიტეტისა; 13) თავისუფალი ეკონომიური საზოგადოებისა...

— ეს არის სულ?

— ეს არის.

განა ეს საკმაო არ არის საზოგადოებრივი სინდისის დარბაისლური დამშვიდებისათვის?

— კეთილი, მაგრამ თუ ერთი და იგივე დიდი ბანკი ან კაპიტალისტების ერთი და იგივე სინდიკატი თავისი აქციონერების მეშვეობით ხუთჯერ ან ათჯერ იქნება წარმოდგენილი ამ ათსა თუ თორმეტ დაწესებულებაში?

ოჰ, რა საჭიროა «წვრილმანებზე» გამოდავება, როდესაც საქმის არსი ის არის, რომ უზრუნველვყოთ «მუდმივი საქმიანი საზოგადოებრივი კონტროლი»!

დაწერილია 1917 წ. 6 (19) მაისს

დაიბეჭდა 1917 წ. 20 (7) მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 51

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ღია წერილი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებისადმი

ამხანაგო გლეხთა დეპუტატებო!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც პატივი მაქვს ვეკუთვნოდე, სურდა მოეცა ჩემთვის რწმუნება — ვყოფილიყავი ჩვენი პარტიის წარმომადგენლად გლეხთა ყრილობაზე. რადგან დღემდე, ავადმყოფობის გამო, არ შემეძლო ამ დავალების შესრულება, ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მოგმართოთ ამ ღია წერილით, რათა მივესალმო გლეხობის სრულიად რუსეთის გაერთიანებას და მოკლედ აღვნიშნო ის დიდი უთანხმოება, რომელიც ყოფს ჩვენს პარტიას «სოციალისტ-რევოლუციონერთა» და «სოციალ-დემოკრატ მენშევიკების» პარტიებისაგან.

ეს დიდი უთანხმოება ეხება სამ უმნიშვნელოვანეს საკითხს: მიწის, ომისა და სახელმწიფოს მოწყობის საკითხებს.

მთელი მიწა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. მემამულეთა მთელი მიწები გლეხებს უნდა გადაეცეს გამოუსყიდველად. ეს ცხადია. კამათს იწვევს ის გარემოება, საჭიროა თუ არა გლეხებმა ადგილებზე დაუყოვნებლივ აიღონ მთელი მიწა ისე, რომ არ აძლიონ მემამულეებს არავითარი საიჯარო ქირა და არ დაელოდონ დამფუძნებელ კრებას?

ჩვენი პარტია ფიქრობს, რომ ეს საჭიროა, და ურჩევს გლეხებს ადგილებზე ახლავე, რაც შეიძლება ორგანიზებულად,

დაეპატრონონ მთელ მიწას, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ქონების გაფუჭება და მთელი ძალ-ღონე მიმართონ იქითკენ, რომ პურისა და ხორცის წარმოება გადიდდეს, რადგან ფრონტზე ჯარისკაცები საშინელ გაჭირვებას განიცდიან. დამფუძნებელი კრება საბოლოოდ დაადგენს, ვის გამგებლობაში იქნება მიწა, ხოლო მისი წინასწარი გამგებლობა ახლავე, დაუყოვნებლივ, საგაზაფხულო თესვისათვის, სულ ერთია შეუძლებელია სხვანაირად, თუ არა ადგილობრივი დაწესებულებების მიერ, რადგან ჩვენი დროებითი მთავრობა, მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობა, აჭიანურებს დამფუძნებელი კრების მოწვევას და დღემდე არ დაუნიშნავს მისი მოწვევის ვადაც კი.

მიწის წინასწარი გამგებლობა შეუძლია მხოლოდ ადგილობრივ დაწესებულებებს. მინდვრების დათესვა აუცილებელია. გლეხების უმრავლესობა ადგილებზე სავსებით შეძლებს ორგანიზებულად განაგოს მიწის საქმე, მოხნას და დათესოს მთელი მიწა. ეს საჭიროა, რათა ფრონტზე ჯარისკაცების კვება გაუმჯობესდეს. ამიტომ დამფუძნებელი კრების ლოდინი შეუწყნარებელია. ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ იმას, რომ დამფუძნებელი კრების უფლებაა საბოლოოდ დაადგინოს მიწის საყოველთაო-სახალხო საკუთრება და მიწის გამგებლობის პირობები. მაგრამ წინასწარ, აწლავე, ამ გაზაფხულზე, მიწა უნდა განაგონ თვითონ ადგილობრივმა გლეხებმა. ჯარისკაცებს ფრონტიდან შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაგზავნონ დელეგატები სოფლად.

შემდეგ. მთელი მიწა რომ მშრომელებს ერგოთ, ამისთვის საჭიროა მჭიდრო კავშირი არსებობდეს ქალაქის მუშებსა და უღარიბეს გლეხებს (ნახევრადპროლეტარებს) შორის. ასეთი კავშირის გარეშე შეუძლებელია კაპიტალისტების დამარცხება. ხოლო თუ კაპიტალისტები ვერ დავამარცხეთ, მიწის ვერავითარი გადაცემა ხალხის ხელში ვერ იხსნის ხალხს სიღატაკისაგან. მიწა როდი იჭმება, ხოლო უფულოდ, უკაპიტალოდ ვერსაიდან იშოვნი იარაღს, პირუტყვს, თესლს. კაპიტალისტებსა და მდიდარ გლეხებს (ეს იგივე კაპიტალისტები არიან)

კი არ უნდა ენდონ გლეხები, არამედ მხოლოდ ქალაქის მუშებს. მხოლოდ მათთან კავშირით მიაღწევენ უღარიბესი გლეხები იმას, რომ მიწაც, რკინიგზებიც, ბანკებიც, ფაბრიკებიც ყველა მშრომელის საკუთრება გახდეს; უამისოდ, მარტო მიწის გადაცემით ხალხისთვის, გაჭირვებისა და სიღატაკის მოსპობა შეუძლებელია.

რუსეთის ზოგიერთ ადგილას მუშები უკვე გადადიან ფაბრიკების მიმართ მუშათა ზედამხედველობის (კონტროლის) დაწესებაზე. მუშათა ასეთი მეთვალყურეობა ხელსაყრელია გლეხებისათვის, იგი გაადიდებს წარმოებას და გააიაფებს პროდუქტებს. გლეხებმა მთელი ძალ-ღონით ხელი უნდა შეუწყონ მუშების ასეთ თაოსნობას და არ დაუჯერონ კაპიტალისტების ცილისწამებას მუშების მიმართ.

მეორე საკითხია — ომის საკითხი.

ეს ომი მტაცებლურია. მას აწარმოებენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები თავიანთი მტაცებლური მიზნებისათვის, თავიანთი მოგების გასადიდებლად. მშრომელი ხალხისთვის ამ ომს, გარდა დაღუპვისა, საშინელებისა, გაპარტახებისა, გაველურებისა არავითარ შემთხვევაში არაფერი მოაქვს და არც შეუძლია მოიტანოს. ამიტომ ჩვენი პარტია, შეგნებული მუშების პარტია, უღარიბესი გლეხების პარტია, გადაჭრით და უთუოდ გმობს ამ ომს, უარს აცხადებს გაამართლოს ერთი ქვეყნის კაპიტალისტები მეორე ქვეყნის კაპიტალისტების წინაშე, უარს აცხადებს მხარი დაუჭიროს რომელიმე ქვეყნის კაპიტალისტებს, ცდილობს ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებას ყველა ქვეყნის კაპიტალისტების დამხობის, ყველა ქვეყანაში მუშათა რევოლუციის გზით.

ჩვენს ახლანდელ, ახალ დროებითს მთავრობაში 10 მინისტრი მემამულეებისა და კაპიტალისტების პარტიებს ეკუთვნის, ხოლო 6 — «ნაროდნიკების» («სოციალისტ-რევოლუციონერების») და «მენშევიკ სოციალ-დემოკრატების» პარტიებს. ჩვენი რწმენით, ნაროდნიკები და მენშევიკები დიდ და საბედისწერო შეცდომას სჩადიან, როცა კაპიტალისტების მთავრობაში შედიან და საერთოდ თანხმდებიან მხარი დაუჭირონ

მას. ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან წერეთელი და ჩერნოვი, იმედი აქვთ შეაგულიანონ კაპიტალისტები ჩქარა და პატიოსნად დაამთავრონ ეს მტაცებლური ომი. მაგრამ ნაროდნიკებისა და მენშევიკების პარტიის ეს ბელადები ცდებიან: საქმით ისინი ეხმარებიან კაპიტალისტებს გერმანიის წინააღმდეგ რუსეთის ჯარების შეტევის მომზადებაში, ესე იგი ომის გაჭიანურებაში, იმ გაუგონრად მძიმე მსხვერპლის გადიდებაში, რომელიც რუსმა ხალხმა გაიღო ომისთვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ატყუებენ ხალხს, როცა პირდებიან დაუყოვნებელ და სამართლიან ზავს, საქმით კი აჭიანურებენ მტაცებლურ ომს. რუსეთის კაპიტალისტებმა, რომელთა ხელშიც იყო ძველი დროებითი მთავრობა და რომელთაც წინანდებურად ხელში უჭირავთ ახალი მთავრობაც, არც კი მოისურვეს იმ საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებების გამოქვეყნება, რომლებიც ყოფილმა მეფემ, ნიკოლოზ რომანოვმა, დადო ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებთან იმ მიზნით, რომ ბრძოლით წაერთმია თურქებისათვის კონსტანტინოპოლი, ჩამოერთმია ავსტრიისათვის — გალიცია, თურქებისთვის — სომხეთი და სხვა. დროებითმა მთავრობამ დაადასტურა და კვლავ ადასტურებს ამ ხელშეკრულებებს.

ჩვენი პარტიის აზრით, ეს ისეთივე დანაშაულებრივი, მძარცველური ხელშეკრულებებია, როგორიცაა ხელშეკრულებები ყაჩაღების — გერმანელი კაპიტალისტებისა და მათი ყაჩაღი იმპერატორის ვილჰელმისა მისი მოკავშირეებითურთ.

მუშებისა და გლეხების სისხლი არ უნდა იღვრებოდეს კაპიტალისტების ასეთი მძარცველური მიზნების მისაღწევად.

საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დამთავრდეს ეს დანაშაულებრივი ომი, ოღონდ ა რ ა სეპარატიული (ცალკე) ზავით გერმანიასთან, ა რ ა მ ე დ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ზ ა ვ ი თ, და არა კაპიტალისტების ზავით, არამედ მშრომელი მასების ზავით კაპიტალისტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამისკენ არსებობს ერთადერთი გზა: მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო-

ბის ხელში როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებში. მხოლოდ ასეთ საბჭოებს შეუძლიათ ნამდვილად შეუშალონ ხელი კაპიტალისტების მიერ ხალხის მოტყუებას, ხელი შეუშალონ კაპიტალისტების მხრივ ომის გაჭიანურებას.

აქ მე მივადექი ჩემ მიერ დასახულ მესამე და უკანასკნელ საკითხს: სახელმწიფოს მოწყობის საკითხს.

რუსეთი დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იყოს. ამაზე თანახმაა იმ მემამულეებისა და კაპიტალისტების უმრავლესობაც კი, რომლებიც ყოველთვის მონარქიის მომხრენი იყვნენ, მაგრამ ახლა დარწმუნდნენ, რომ რუსეთის ხალხი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მონარქიის აღდგენას. კაპიტალისტებმა ახლა მთელი ძალ-ღონე იქითკენ მიმართეს, რომ რუსეთის რესპუბლიკა რაც შეიძლება მეტად წააგავდეს მონარქიას და რაც შეიძლება უფრო ადვილად შეიძლებოდეს მისი კვლავ მონარქიად გადაქცევა (ამის მაგალითი არა ერთხელ ყოფილა მრავალ ქვეყანაში)... ამისათვის კაპიტალისტებს უნდათ შეინარჩუნონ ხალხზე გაბატონებული მოხელეობა, პოლიცია და ხალხს მოწყვეტილი მუდმივი ჯარი, რომელსაც უფროსობენ აურჩეველი გენერლები და ოფიცრები. გენერლები და ოფიცრები კი, თუ ისინი არჩეულნი არ არიან, თითქმის ყოველთვის მემამულეებისა და კაპიტალისტების წრიდან იქნებიან. ეს ცნობილია ქვეყნად არსებული ყველა რესპუბლიკის გამოცდილებიდანაც.

ამიტომ ჩვენი პარტია, შეგნებული მუშებისა და ულარიბესი გლეხების პარტია, ცდილობს შექმნას სხვაგვარი დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ გვინდა ისეთი რესპუბლიკა, სადაც არ უნდა იყოს ხალხის აბუჩად ამგდები პოლიცია; სადაც ყველა, დაბალიდან მაღალ მოხელემდე, უნდა იყოს მხოლოდ არჩეული და მათი გამოცვლა შეიძლებოდეს ყოველთვის, როცა ამას ხალხი მოითხოვს, სადაც მოხელის ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს კარგი მუშის ხელფასს; სადაც ჯარში უფროსები ასევე არჩეულნი უნდა იყვნენ და სადაც მუდმივი, ხალხისაგან განცალკევებული და ხალხისათვის უცხო კლასთა უფროსობის ქვეშ მყოფი ჯარი უნდა შეიცვალოს ხალხის

საყოველთაო შეიარაღებით, საყოველთაო-სახალხო მილიციით.

ჩვენ გვინდა ისეთი რესპუბლიკა, სადაც მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში, თავიდან ბოლომდე, მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვათა დეპუტატების საბჭოებს ეკუთვნოდეს.

მუშები და გლეხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ძალაუფლება მათ ხელში უნდა იყოს და არა მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელში.

მუშები და გლეხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ძალაუფლება და მართვა-გამგეობა მ ა თ ი ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ხელში უნდა იყოს და არა მოხელეების ხელში.

აი ჩვენი შეხედულებანი, ამხანაგო გლეხთა დეპუტატებო! ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ გამოცდილება მალე დაანახვებს ხალხის უაღრესად ფართო მასებს ნაროდნიკებისა და მენშევიკების პოლიტიკის მცდარობას. გამოცდილება მალე დაანახვებს მასებს, რომ ხსნა რუსეთისა, რომელიც, როგორც გერმანია, როგორც სხვა ქვეყნები, დაღუპვის კარამდეა მისული, ომით განაწამები ხალხების ხსნა კაპიტალისტებთან შემთანხმებლობის გზით შეუძლებელია. მთელი ხალხის ხსნა შეუძლია მხოლოდ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლას პირდაპირ მოსახლეობის უმრავლესობის ხელში.

პეტროგრადი, 1917 წლის 7 მაისი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1917 წ. 24 (11) მაისს
გაზეთ «სოლდატსკაია პრავდაში» № 19

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

«ფაქტიური დროებითი ზავი»

გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» 7 მაისის ნომერში დაბეჭდილია საუბარი «ახალი» მთავრობის მინისტრებთან. მინისტრ-თავმჯდომარეს ლვოვს განუცხადებია: «ქვეყანამ თავისი მბრძანებლური სიტყვა უნდა თქვას და თავისი ჯარი ბრძოლაში ჩააბასო».

აი ახალი მთავრობის «პროგრამის» არსი. შეტევა, შეტევა, შეტევა!

მინისტრი ლვოვი იცავს იმპერიალისტურ პროგრამას, რომელსაც ახლა ჩერნოვები და წერეთლებიც დაადგნენ, და უდიდესი ზნეობრივი აღშფოთების ელფერით აცამტვერებს «ფ რ ო ნ ტ ზ ე დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ფ ა ქ ტ ი უ რ დ რ ო ე ბ ი თ ს ზ ა ვ ს»!

ყოველი რუსი მუშა, ყოველი გლეხი კარგად უნდა ჩაუფიქრდეს შ ე ტ ე ვ ი ს ამ პროგრამას, მინისტრების ამ მქუხარე სიტყვებს «ფაქტიური დროებითი ზავის» წინააღმდეგ.

მილიონობით ადამიანი გაიჟლიტა და დასახიჩრდა ომში. უბედურება, რომელიც ომმა თავს დაატეხა კაცობრიობას, და განსაკუთრებით მშრომელ მასებს, გაუგონარია. კაპიტალისტები ომის მეოხებით სამარცხვინოდ დიდ მოგებას იხვეჭენ. ჯარისკაცები უკიდურესად გაწამებულნი და გატანჯულნი არიან.

მერე რით არის ცუდი ფაქტიური დროებითი ზავი? რითია ცუდი, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა შეწყდა? რითია ცუდი, რომ ჯარისკაცებმა ოდნავ მაინც სული მოითქვეს?

გვეუბნებიან, დროებითი ზავი მხოლოდ ერთ ფრონტზე დამყარდა და ეს სეპარატიული ზავის საფრთხეს ქმნისო. ასეთი პასუხი აშკარად უსაფუძვლოა. ვინაიდან, თუ არც რუსეთის მთავრობას, არც რუსეთის მუშებსა და გლეხებს არ სურთ სეპარატიული ზავი გერმანიის კაპიტალისტებთან — (ასეთი ზავის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, ჩვენს პარტიას არა ერთხელ განუცხადებია პროტესტი და არა მარტო «პრავდის» სტატიებში, არამედ ჩვენი კონფერენციის რეზოლუციაშიც *, კონფერენციისა, რომელიც მთელი პარტიის სახელით ლაპარაკობდა) — თუ რუსეთში არავის არა სურს სეპარატიულ კაპიტალისტებთან სეპარატიული ზავი, მაშინ როგორ, საიდან, რა სასწაულით უნდა მოვიდეს ასეთი ზავი?? ვის შეუძლია თავს მოგვახვიოს იგი??

ასეთი პასუხი აშკარად უსაფუძვლოა, აშკარა გამონაგონია, თვალის ახვევის ცდაა.

შემდეგ. ფაქტიური დროებითი ზავი ერთ ფრონტზე რატომ «ქმნის» სეპარატიული ზავის «საფრთხეს» ამ ფრონტზე და არ ქმნის ამ ფაქტიური დროებითი ზავის ყველა ფრონტზე გავრცელების საფრთხეს?

ფაქტიური დროებითი ზავი არა მკვიდრი, გარდამავალი მდგომარეობაა. ეს უდავოა. გარდამავალი რისკენ? სეპარატიული ზავი მას ვერ მოჰყვება, რაკი არ არის ორი მთავრობის ან ორი ხალხის საამისო თანხმობა. მაგრამ რატომ არ შეიძლება ასეთი დროებითი ზავი გადაიქცეს ფაქტიურ დროებით ზავზე გადასვლად ყველა ფრონტზე? ამის თანახმა ხომ, უთუოდ, ყველა ხალხია ყველა მთავრობის ან მათი უმრავლესობის წინააღმდეგ?

დაძმობილება ერთ ფრონტზე შეიძლება და უნდა გადაიქცეს კიდეც დაძმობილებად ყველა ფრონტზე. ფაქტიური დროებითი ზავი ერთ ფრონტზე შეიძლება და უნდა გადაიქცეს კიდეც ფაქტიურ დროებით ზავად ყველა ფრონტზე.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 319. რედ.

ხალხები შეისვენებდნენ ხოცვა-ჟლეტისაგან. ყ ვ ე ლ ა ქვეყნის რევოლუციური მუშები კიდევ უფრო გაიმართებოდნენ წელში, მათი გავლენა გაძლიერდებოდა, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა რევოლუციის შესაძლებლობისა და აუცილებლობის რწმენა განმტკიცდებოდა.

მაშ რითია ცუდი ასეთი გადასვლა? რატომ არ უნდა შევუწყოთ ხელი, შეძლებისდაგვარად, ა ს ე თ გადასვლას?

გვიპასუხებენ: ფაქტიური დროებითი ზავი ყველა ფრონტზე ახლა გერმანიის კაპიტალისტებისათვის იქნებოდა ხელსაყრელი, რადგან ახლა მათ მეტი ნადავლი აქვთ ჩაგდებული ხელშიო. ეს სწორი არ არის, რადგან ინგლისის კაპიტალისტებმა უფრო მეტი დავლა ჩაიგდეს ხელში (გერმანიის კოლონიები აფრიკაში, გერმანიის კუნძულები წყნარ ოკეანეში, შესოპოტამია, სირიის ნაწილი და სხვ.) და — გერმანიის კაპიტალისტთაგან განსხვავებით — სრულიად არაფერი არ დაუკარგავთ. ეს ერთი. მეორეც, გერმანიის კაპიტალისტებს რომ მეტი დაუთმობლობა გამოეჩინათ, ვიდრე ინგლისის კაპიტალისტებმა გამოიჩინეს, რევოლუცია გერმანიაში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდებოდა. რევოლუცია გერმანიაში აშკარად იზრდება. რუსეთის ჯარების შეტევა ხელს შეუშლის ამ ზრდას. «ფაქტიური დროებითი ზავი» აჩქარებს ამ რევოლუციის ზრდას.

მესამე, გერმანიის მდგომარეობა მზარდი შიმშილის, კრახის, ნგრევის თვალსაზრისით უაღრესად სასოწარკვეთილი და უაღრესად უიმედოა, უფრო უარესია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ომში ამერიკა ჩაერია. «ფაქტიური დროებითი ზავი» გერმანიის სისუსტის ა მ, ძირითად, წყაროს კი ვერ მოსპობს, არამედ, პირიქით, უფრო გააუმჯობესებს სხვა ქვეყნების მდგომარეობას (შეზიდვის თავისუფლება) და გააუარესებს გერმანიის კაპიტალისტების მდგომარეობას (ვერსაიდან შემოიტან, ხალხისთვის სიმართლის დამალვა გაძნელდება).

ორი პროგრამაა რუსი ხალხის წინაშე. ერთია კაპიტალისტების პროგრამა, რომელიც ჩერნოვებმა და წერეთლებმა

გადმოიღეს. ეს არის შეტევაზე გადასვლის პროგრამა, იმპერიალისტური ომის გაჭიანურების, ხოცვა-ჟლეტის გაგრძელების პროგრამა.

მეორე პროგრამა არის მთელი მსოფლიოს რევოლუციური მუშების პროგრამა, რომელსაც რუსეთში ჩვენი პარტია იცავს. ეს პროგრამაა: განვავითაროთ დაძმობილება (ისე, რომ გერმანელებმა რუსები ვერ მოატყუონ), დაძმობილება მოვახდინოთ მოწოდებათა გაცვლა-გამოცვლით, როგორც დაძმობილება, ისე ფაქტიური დროებითი ზავი გავავრცელოთ ყველა ფრონტზე, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ასეთ გავრცელებას, დავაჩქაროთ ამით მუშათა რევოლუციის ზრდა ყველა ქვეყანაში, გავუადვილოთ ამით ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებს თუნდაც დროებითი შესვენება, დავაჩქაროთ რუსეთში ძალაუფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლა, დავაჩქაროთ ამით ნამდვილად სამართლიანი, ნამდვილად საყოველთაო ზავის დადება მშრომელთა და არა კაპიტალისტთა სასარგებლოდ.

ჩვენი მთავრობა, ჩერნოვებთან და წერეთლებთან ერთად, ნაროდნიკებთან და მენშევიკებთან ერთად, პირველ პროგრამას უჭერს მხარს.

რუსი ხალხისა და რუსეთის (და არა მარტო რუსეთის) ყველა ხალხის უმრავლესობა, ე. ი. მუშებისა და უღარიბესი გლეხების უმრავლესობა, უეჭველად მეორე პროგრამას დაუჭერს მხარს.

ყოველი დღე მოაახლოებს მ ი ს გამარჯვებას.

«პრავდა» № 52,
1917 წ. 22 (9) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

საგარეო პოლიტიკის საიდუმლოებანი

რა სამწუხაროა, რომ ხალხის მასები ვერ წაიკითხავენ ვერც დიპლომატიის ისტორიის წიგნებს, ვერც კაპიტალისტური გაზეთების მოწინავე სტატიებს! და უფრო მეტად სამწუხაროა, — თუმცა ეს სიტყვა ამ შემთხვევაში ძალიან რბილია, — რომ სოციალისტ-რევოლუციონერების და სოციალ-დემოკრატ მენშევიკების პარტიათა წევრი მინისტრები და მათი მინისტერიაბელური კოლეგები დუმილით გვერდს უვლიან მათთვის კარგად ცნობილ ამ ისტორიის ფაქტებს და დიპლომატიური სამყაროს «დიდი ადამიანების» ზათთვის კარგად ცნობილ სტატიებს!

«რეჩს» მოჰყავს, სარწმუნო, მისი აზრით, ცნობა «ბირჟევკასი», რომლის ნამდვილი აზრი ისაა, რომ ინგლისი სრულიადაც არ არის წინააღმდეგი უარი თქვას «თურქეთის დანაწილებასა და ავსტრია-უნგრეთის გაყოფაზეო»; ე. ი. ინგლისი მზადაა დათანხმდეს, რომ რუსეთმა ვ ე რ მიიღოს წინანდელი ხელშეკრულებებით დაპირებული ანექსიები (კონსტანტინოპოლი, სომხეთი, გალიცია). ა მ აზრით — და მხოლოდ ამ აზრით — ინგლისი მზადაა გადასინჯოს ხელშეკრულებები.

და «რეჩი» აღშფოთებულია:

«ამრიგად, აი ახალი ლოზუნგის» (ე. ი. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ლოზუნგის) «გამარჯვების პირველი შედეგი. შეთანხმებათა გადასინჯვა, ალბათ, მოხდება: საამისო «მოსამზადებელი ნაბიჯები» ახლა იდგმება „კვე არა ჩვენ მიერ, არამედ ჩვენი მოკავშირეების მიერ, მაგრამ გადასინჯვის შედეგი იქნება არა თანაბრად» (უსმინეთ! უსმინეთ!) «უარის თქმა ყველა იმ სერიოზულ ამოცანებზე, რომლებიც დასახული

აქვთ მოკავშირეებს, არამედ ცალმხრივად» (აბა, განა ეს მარგალიტი არაა?) «უარის თქმა იმ ამოცანებზე, რომლებიც დასმული იყო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში» (იგულისხმე: ავსტრიასა და თურქეთში, ე. ი. სომხეთის, კონსტანტინოპოლის, გალიციის გაძარცვა), «იმ ამოცანების ხარჯზე, რომლებიც დასმულია უკვე არა ჩვენ მიერ, არამედ ჩვენი მოკავშირეების მიერ, სხვა ადგილებსა და კოლონიებში.

კერძოდ, პრესაში უკვე იყო მოხსენებული, შესაძლებელია ჩვენმა მოკავშირეებმა უარი თქვან მცირე აზიაში დასახულ ამოცანებზეო. მართალია, განცხადება ამის შესახებ, რომელიც ვითომ გაუკეთებია ალბერ ტომას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში და გადმოუცია მოსკოვის პრესას, დღემდე ოფიციალურად დადასტურებული არაა. მაგრამ რაც შეეხება ინგლისს, ძნელია ასეთი უარის მოლოდინი გვქონდეს. ინგლისი სწორ აზრს ადგას: ის, რის მიღებაც გინდა, წინასწარ უნდა დაიკავოო» (უსმინეთ! უსმინეთ!) — «და იგი უკვე ახლა იკავებს თავისი ჯარებით მესოპოტამიისა და პალესტინის ტერიტორიებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მისი სასიცოცხლო ინტერესებისთვის» (იგულისხმე: მისი კაპიტალისტებისათვის!). «ასეთ ვითარებაში მის უარის თქმას — იბრძოლოს ს ხ ვ ა (ხაზგასმა ჩრეჩისაა») მოკავშირეთა სასიცოცხლო ინტერესების დასაკმაყოფილებლად ამ სფეროში, რა თქმა უნდა, აგრეთვე ცალმხრივი, ჰხოლოდ მარტო მისთვის ხელსაყრელი ხასიათი ექნებოდა».

მართლაც, მილიუკოვს ან ამ სტრიქონების სხვა ავტორს სიცოცხლეშივე უნდა დაუდგან ძეგლი... გულახდილობისთვის. ვაშა, ვაშა, «რეჩელო» გულახდილო დიპლომატებო! (მერე რატომ არიან ისინი გულახდილი? იმიტომ რომ გაბოროტებული არიან მილიუკოვის მიერ პორტფელის დაკარგვით)...

ყველაფერი, რაც ზემოხსენებულ სტრიქონებშია ნათქვამი, ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ადასტურებს დიპლომატიის უკანასკნელი წლების მთელი ისტორია — დ ა ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ბ ა ნ დ ე ბ ი ს მ თ ე ლ ი ი ს ტ ო რ ი ა ც. ინგლისი ყოველ შემთხვევაში ხელს არ აიღებს პალესტინისა და მესოპოტამიის ძარცვაზე (ანექსიაზე), მაგრამ იგი თანახმაა რუსები დასაჯოს («ფაქტიური დროებითი ზავისათვის» გერმანია-რუსეთის ფრონტზე) გალიციის, კონსტანტინოპოლის, სომხეთისა და სხვათა წართმევით — აი «რეჩის» ზემომოყვანილი ადგილების უბრალო და ნათელი, არა დიპლომატიური, არამედ ჩვენებური ენით გამოთქმული აზრი.

და რუსეთის კაპიტალისტები, რომლებიც «რეჩის» სიტყვებით ლაპარაკობენ, ძლივს იკავებენ ბრაზს, წამოაყრანტალებენ ხოლმე საგარეო პოლიტიკის საიდუმლოებებს, სისინებენ და ცოფებს ყრიან, გესლიან სიტყვებს ეუბნებიან ინგლისის კაპიტალისტებს: ეს «ცალმხრივობაა», ეს თქვენთვის «ხელსაყრელია», ს ხ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს კ ი არაო.

ამხანაგო მუშებო, ამხანაგო ჯარისკაცებო! ჩაუფიქრდით **დიდ**ადმცოდნე დიპლომატებისა და ყოფილი «რეჩელი» მინისტრების ამ იშვიათად გულახდილ, იშვიათად გულმართალ განცხადებებს. ჩაუფიქრდით ომის ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ი ზ ნ ე ბ ი ს ამ ჩინებულ მხილებას არა მარტო რუსეთის, არამედ ინგლისის კაპიტალისტთა მხრივ.

ამხანაგო რუსო ჯარისკაცებო! გსურთ თუ არა იომოთ იმის გულისთვის, რომ ინგლისის კაპიტალისტებმა მიიტაცონ მესოპოტამია და პალესტინა? გსურთ თუ არა მხარი დაუჭიროთ რუსეთში ლვოვის, ჩერნოვის, ტერეშჩენკოს, წერეთლის მთავრობას, რომელიც ხელფეხშებორკილია კაპიტალისტების ინტერესებით და შ ი შ ო ბ ს აშკარად თქვას ის სიმართლე, რომელიც «რეჩმა» წამოაყრანტალა?

«პრავდა» № 53,
1917 წ. 23 (10) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ერთი საიდუმლო ხელშეკრულებათაგანი

როგორც ვიცით, დროებითი «რევოლუციური» მთავრობის პირველი სიტყვა საგარეო პოლიტიკის საკითხში იყო განცხადება: ყველა საიდუმლო ხელშეკრულება, რომელნიც ყოფილმა მეფემ ნიკოლოზ მეორემ «მოკავშირე» კაპიტალისტებთან დადო, ძალაში რჩება, და ახალი რუსეთი ამ ხელშეკრულებებს წმიდად და დაურღვევლად შეასრულებსო.

ცნობილია აგრეთვე, რომ ჩვენი «ობოროხცები» გააფთრებით იცავენ მილიუკოველებს, რომელნიც უარს ამბობენ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებაზე. ეს ვაი-სოციალისტები იქამდე დაეცნენ, რომ იცავენ საიდუმლო დიპლომატიას და ისიც ყოფილი მეფის საიდუმლო დიპლომატიას.

რატომ იცავენ იმპერიალისტური ომის დამცველები ასე ერთგულად ხელშეკრულებათა საიდუმლოებას?

გინდათ იცოდეთ ამის მიზეზი, ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო?

გაეცანით თუნდაც ერთ ასეთ კეთილშობილ ხელშეკრულებას: ჩვენ ვლაპარაკობთ «ჩვენს» ხელშეკრულებაზე იტალიასთან (ე. ი. იტალიის კაპიტალისტებთან), რომელიც დადებულია 1915 წლის დამდეგს.

ბურჟუაზიული დემოკრატი ბ-ნი ვ. ვოდოვოზოვი გაზეთ «დენში» (1917 წლის 6 მაისის ნომერში), «ნოვოე ვრემიას» მიერ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე, გადმოგვცემს ამ ხელშეკრულების შინაარსს:

«მოკავშირეები იტალიას შეპპირდნენ სამხრეთ ტიროლს ტრიენტითურთ, მთელ სანაპირო ადგილებს, დალმაციის ჩრდილოეთ ნაწილს ქალაქებით ზარათი და სპალატოთი, ალბანეთის შუა ნაწილს ვალონითურთ, ეგეოსის ზღვის კუნძულებს მცირე აზიის სანაპიროსთან; გარდა ამისა რკინიგზის ხელსაყრელ კონცესიას თურქეთის მცირე აზიაში — ასეთია იმ სისხლის

ფასი, რომელიც იტალიამ ირგო. ეს ტერიტორიული ნამატი ბევრად აღემატება იტალიის ყველა იმ ნაციონალურ მოთხოვნილებას, რაც კი მას ოდესმე წინათ წამოუყენებია. გარდა იტალიელებით დასახლებული ოლქებისა (სამხრეთი ტიროლი და ტრიესტი), დაახლოებით 600 000 სული მოსახლეობით, იტალია ამ ხელშეკრულებით მიიღებს ტერიტორიას ეთნოგრაფიულად და რელიგიურად მისთვის სრულიად უცხო ერთ მილიონზე მეტი მოსახლეობით. აქ შედის, მაგალითად, დალმაცია, რომლის მოსახლეობის 97% სერბიელთა ტომს ეკუთვნის, მაშინ როდესაც იტალიელები იქ 2 პროცენტზე ცოტა მეტია. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთმა ხელშეკრულებამ, რომელიც იტალიასთან დაიდო არათუ სერბიის თანხმობის გარეშე, არამედ მის დაუკითხავადაც, იქ უდიდესი გულისწყრომა და უკმაყოფილება გამოიწვია. პაშიჩი სკუპშჩინაში იმედს გამოთქვამდა, რომ ხმები ამ ხელშეკრულების შესახებ მართალი არ იქნება, რადგან თვით იტალია გაერთიანდა საციონალური პრინციპის მიხედვით და მას არ შეუძლია ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც ძირფესვიანად ამხობს ამ პრინციპსო. მაგრამ პაშიჩი შეცდა: ხელშეკრულება დადეს.

ეს ერთადერთი ხელშეკრულებაა, ახლანდელ ომს რომ ეხება, რომლის შინაარსიც ვიცით, და ეს ხელშეკრულებაც უზეშად მტაცებლურია. ჩანს თუ არა ასეთივე მტაცებლური ინსტინქტები სხვა ხელშეკრულებებში, — ეს ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში დემოკრატიისთვის, რომელიც თავის დროშაზე აწერს: «უანექსიო ზავიო», მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა გაეგო ეს».

«ჩვენ არ ვიცით», რამდენად მტაცებლურია სხვა საიდუმლო ხელშეკრულებანი? — არა, ბ-ნო ვოდოვოზოვ, ჩვენ ეს ჩინებულად ვიცით: საიდუმლო ხელშეკრულებანი სპარსეთის, თურქეთის დაყოფის, გალიციისა და სომხეთის მიტაცების შესახებ ისეთივე ბინძური მძარცველური ხელშეკრულებებია, როგორიცაა იტალიასთან დადებული მძარცველური ხელშეკრულება.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მუშებო! თქვენ გეუბნებიან, რომ «თავისუფლებას» და «რევოლუციას» იცავთო? ნამდვილად კი თქვენ იცავთ მეფის შავბნელ ხელშეკრულებებს, რომლებსაც გიმალავენ ისევე, როგორც მალავენ ფარულ სენს.

«პრავდა» № 53, 1917 წ.
23 (10) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მინისტრული კილო

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის» რედაქტორები ითვისებენ მინისტრულ კილოს. «პრავდა» მათ არ მოსწონთ; ისინი გმობენ მის «მკაცრ გამოხდომებს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ».

იმის გაკრიტიკება, რაც არ მოგწონს — ყოველი პუბლიცისტის წმიდათა წმიდა უფლებაა. მაგრამ რად უნდა გაიხადო თავი სასაცილოდ იმით, რომ მინისტრული კილოთი დაგმო «გამოხდომები» ისე, რომ არ იძლეოდე კრიტიკას არსებითად? განა უკეთესი არ იქნება ცადონ განხილვა ჩვენი საბუთებისა? თუნდაც ერთი ჩვენი რეზოლუციისა? თუნდაც ერთი ჩვენი მითითებისა კლასობრივ ბრძოლაზე?

«დ ღ ე ს ჩვენი ქვეყანა იღუპება» — წერს «იზვესტიის» მოწინავე სტატია. სწორია. და სწორედ ამიტომაც დღეს იმედების დამყარება კაპიტალისტებთან წვრილი ბურჟუაზიის, ნაროდნიკებისა და მენშევიკების შემთანხმებლობაზე — უგუნურობაა. ამ გზით ჩვენი ქვეყნის გადარჩენა დაღუპვისაგან შეუძლებელია.

«პრავდა» № 53,
1917 წ. 23 (10) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ეძებენ ნაპოლეონს

ყოფილი მინისტრის მილიუკოვის გაზეთი გაბრაზებით წერს მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებზე, რომლებმაც ზოგიერთი ვინმე გამოაგდეს სამინისტროდან, ამიტომაც იგი თავს ვერ იკავებს და არცთუ სავსებით... «მორიდებულ» განცხადებებს აკეთებს.

«შეიძლება განა მოვითმინოთ დანაშაულებრივი პროპაგანდა?..» — ვკითხულობთ 9 მაისის ხელმოუწერელ სტატიაში დაძმობილების შესახებ. — «ნუთუ ამას ბოლო არ მოეღება? ნუთუ უნაპოლეონოდ საქმეს არაფერი ეშველება? ნუთუ ჩვენ დავჯერდებით მხოლოდ ლაპარაკს რკინისებური დისციპლინის შესახებ?!!».

მოხერხებული, ძალიან მოხერხებული გადაკვრაა კერენსკის სავალალოდ ცნობილ სიტყვებზე რკინისებური დისციპლინის შესახებ.

«რეჩი» მკითხველებს უხატავს იმის მართალ, ზუსტ სურათს, თუ რა ხდება «ჩვენს» «ახალ» მთავრობაში. გულითად მადლობას ვუხდით «რეჩს» ამ, ასეთ გაზეთში განსაკუთრებით იშვიათი და განსაკუთრებული გარემოებით გამოწვეული, გულმართლობისათვის.

«ახალ» მთავრობაში კერენსკი, ეყრდნობა რა ჩერნოვსა და წერეთელს, აცხადებს «რკინისებური დისციპლინის» შემოღებას ჯარში (შეტევის იმპერიალისტური პროგრამის განსახორციელებლად).

მემამულეები და კაპიტალისტები კი, რომელთაც 16-დან 10 მინისტრის ადგილი უკავიათ, გაბრაზებით სისინებენ

კერენსკის წინააღმდეგ: «ნუთუ ჩვენ დავჯერდებით მხოლოდ ლაპარაკს რკინისებური დისციპლინის შესახებ?».

ნუთუ ცხადი არ არის, რომ ეს ფრაზა კერენსკის თუ «სათანადო» გენერლების შეგულიანებაა იმისათვის, რომ იკისრონ ნაპოლეონის როლი? თავისუფლების ჩამხშობის როლი? მუშების დამხვრეტის როლი?

«პრავდა» № 53,
1917 წ. 23 (10) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

არაფერი შეცვლილა

ახლა, როცა მთავრობაში «სოციალისტი» მინისტრები[87] შეეიდნენ, სულ სხვა ჰანგებს მოვისმენთო, — ასე გვარწმუნებდნენ და გვარწმუნებენ ობორონცები. რამდენიმე დღეც კი არ იყო გასული, რომ დაიწყო ამ სიტყვების სიყალბის გამოაშკარავება.

ცნობილია, რა აღშფოთება გამოიწვია ჯარისკაცებსა და მუშებში ყოფილი მინისტრის მილიუკოვის განცხადებამ, არ მსურს და არც გამოვაქვეყნებ საიდუმლო ხელშეკრულებებს, რომლებიც ყოფილმა მეფემ ნიკოლოზმა ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან დადო. მერე რა? რას ამბობს ახლა ამ საკითხზე საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ბ-ნი ტერეშჩენკო, სკობელევისა და წერეთლის ამხანაგი სამინისტროში?

ტერეშჩენკო აღიარებს, რომ «ეს საკითხი (საიდუმლო ხელშეკრულებათა საკითხი) ვნებათა ღელვას იწვევსო». მაგრამ რას აკეთებს იგი ამ ვნებათა ღელვის დასაშოშმინებლად? იგი პირდაპირ იმეორებს იმასვე, რასაც ახლახან დამხობილი მილიუკოვი ამბობდა:

— «ხელშეკრულებათა დაუყოვნებლივი გამოქვეყნება — ეს იგივე იქნება, რაც მოკავშირეებთან კავშირის გაწყვეტაო» — განაცხადა ტერეშჩენკომ ჟურნალისტებთან საუბარში.

«სოციალისტი» მინისტრები კი დუმან და ხელს აფარებენ საიდუმლო დიპლომატიის სისტემას.

კოალიციურ სამინისტროს არაფერი შეუცვლია. მეფის საიდუმლო ხელშეკრულებები მისთვის წმიდათა წმიდად რჩება.

და თქვენ გსურთ, ბატონებო, რომ ამან «ვნებათა ღელვა არ გამოიწვიოს»? მერე ვინა გგონიათ თქვენ შეგნებული მუშები და ჯარისკაცები? ან იქნებ მათ მართლაც «ამბოხებულ მონებად» თვლით?

«პრავდა» № 54,
1917 წ. 24 (11) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

საკვალიფიკაციო გადახვევა დემოკრატიზმიდან

დღეანდელ «იზვესტიაში» დაბეჭდილია ცნობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სხდომის შესახებ. ამ სხდომაზე, სხვათა შორის:

«განიხილეს საკითხი, შესაძლებელია თუ არა ჯარისკაცებმა მილიციონერთა მოვალეობა შეასრულონო. აღმასრულებელი კომისია სხდომას უდგენს შემდეგ რეზოლუციას:

ვინაიდან ჯარისკაცები თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას უნდა ასრულებდნენ, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომისია წინააღმდეგია მილიციაში ჯარისკაცების მონაწილეობისა და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ დაბრუნონ თავთავიანთ ნაწილებში ყველა ის ჯარისკაცი, რომელიც მილიციაში მსახურობს.

მცირე კამათის შემდეგ რეზოლუცია მიღებულ იქნა შესწორებით, რომელიც შესაძლებლად ცნობს მილიციონერის თანამდებობის შესრულებას იმ ჯარისკაცების მიერ, რომელნიც მოქმედი არმიიდან ევაკუირებული, ან დაჭრილი არიან».

ფრიად სამწუხაროა, რომ შესწორების და რეზოლუციის ზუსტი ტექსტი მოყვანილი არ არის. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ აღმასრულებელმა კომისიამ წარადგინა, ხოლო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც წარმოადგენს სრულ გადახვევას დემოკრატიზმის ძირითადი საფუძვლებიდან.

არა მგონია მოიპოვებოდეს რუსეთში ისეთი დემოკრატიული პარტია, რომელიც არ ცნობდეს ხალხის საყოველთაო შეიარაღებით მუდმივი ჯარის შეცვლის საპროგრამო მოთხოვნას. არა მგონია მოიპოვებოდეს ისეთი სოციალისტ-რევოლუციონერი ან მენშევიკი სოციალ-დემოკრატი, რომე-

ლიც გაილაშქრებდა ასეთი მოთხოვნის წინააღმდეგ. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ «ჩვენს დროში» «მიღებულია» — «რევოლუციურ დემოკრატიაზე» ფრაზების კორიანტელში — «პრინციპულად» აღიარო დემოკრატიული (სოციალიზმზე ლაპარაკიც ზედმეტია) პროგრამები, ხოლო საქმით უარყო ისინი.

მილიციაში ჯარისკაცების მონაწილეობის წინააღმდეგ გალაშქრება იმ მოსაზრებით, რომ «ჯარისკაცები თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას უნდა ასრულებდნენო», იმას ნიშნავს, რომ სრულიად დაივიწყო დემოკრატიის საწყისები და უნებლიეთ, შეიძლება, შეუგნებლადაც, გადახვიდე მუდმივი ჯარის საჭიროების თვალსაზრისზე. ჯარისკაცი პროფესიონალია; მისი პირდაპირი დანიშნულება საზოგადოებრივი სამსახური რ ო დ ი ა, — ასეთია მუდმივი ჯარის მომხრეთა შეხედულება. ეს არ არის დემოკრატიული შეხედულება. ეს ნაპოლეონების შეხედულებაა. ეს არის შეხედულება ძველი რეჟიმისა და კაპიტალისტების მომხრეებისა, რომლებიც ოცნებობენ ადვილად გადასვლაზე უკან, რესპუბლიკიდან კონსტიტუციურ მონარქიაზე.

დემოკრატი პრინციპულად წინააღმდეგია ასეთი შეხედულებისა. მილიციაში ჯარისკაცების მონაწილეობა — ეს არის ჯარსა და ხალხს შორის აღმართული კედლის დანგრევის საკითხი. ეს არის საკითხი კავშირის გაწყვეტისა «ყაზარმის» წყეულ წარსულთან, იმ ყაზარმისა, სადაც ხალხისაგან განცალკევებულად, ხალხის წინააღმდეგ «გეშავდნენ», წვრთნიდნენ და ავარჯიშებდნენ იმ მოქალაქეთა განსაკუთრებულ ფენას, რომელთა «პირდაპირი დანიშნულება» მხოლოდ სამხედრო სამსახური იყო. ჯარისკაცების მონაწილეობა მილიციაში — ეს არის ძირითადი საკითხი «ჯარისკაცთა» გარდაქმნისა მოქალაქე-მილიციონერებად, მოსახლეობის გარდაქმნისა ობივატელებიდან შეიარაღებულ მოქალაქეებად. დემოკრატია ფუჭ და ყალბ ფრაზად ან ნახევარზომად დარჩება, თუ მ თ ე ლ ხალხს დაუყოვნებლივ და უთუოდ არ მიეცემა იარაღის ხმარების შესწავლის შესაძლებლობა. ამის მიღწევა შეუძლებელია,

თუ ჯარისკაცები სისტემატურ, მუდმივ და ფართო მონაწილეობას არ მიიღებენ მილიციაში.

იქნებ გვიპასუხონ: არ შეიძლება ჩამოვაშორონ ჯარისკაცები მათ პირდაპირ მოვალეობასო. მაგრამ ამაზე ხომ ლაპარაკიც არ არის. სასაცილოა ამაზე საგანგებოდ ლაპარაკი, როგორც საგანგებოდ არ ლაპარაკობენ იმაზე, რომ ექიმს, რომელიც მძიმე ავადმყოფის სარეცელთან თავის საქმეს აკეთებს, უფლება არა აქვს მოშორდეს მას საარჩევნო ბიულეტენის ჩასაგდებად, ანდა მუშას, რომელიც ისეთ წარმოებაში მუშაობს, რომლის უწყვეტობა ყველას მიერ უცილობელ საჭიროებად არის მიჩნეული, უფლება არ აქვს, ვიდრე მას სხვა მუშა არ შეცვლის, წავიდეს თავის პოლიტიკურ უფლებათა გამოსაყენებლად. ასეთი მომიზეზებანი პირდაპირ არასერიოზული ანდა არაკეთილსინდისიერიც კი იქნებოდა.

მილიციაში მონაწილეობა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი მოთხოვნაა, თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი გარანტიაა. (დავუმატებთ ფრჩხილებში, რომ ჯარის წმინდა სამხედრო უნარისა და სამხედრო ძალის გადიდებისათვის არ არის იმაზე უფრო საიმედო გზა. როგორიცაა მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით, ხალხის გაწვრთნა ჯარისკაცების მიერ; ყოველ ნამდვილად რევოლუციურ ომში იყენებდნენ და კვლავაც გამოყენებული იქნება ეს წესი.) დაუყოვნებლივ, უთუოდ და ყველგან გადასვლა საყოველთაო-სახალხო მილიციის მოწყობაზე, მილიციაში ჯარისკაცების მონაწილეობის ყოველმხრივ განვითარება — აი უაღრესად საარსებო ინტერესი როგორც მუშების, ისე გლეხებისა და ჯარისკაცების, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა, რომელიც დაინტერესებული არ არის მემამულეებისა და კაპიტალისტების მოგების დაცვით.

დაწერილია 1917 წ. 10 (23) მაისს

დაიბეჭდა 1917 წ. 25 (12) მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 55

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ვითომდა სოციალისტური საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ სოციალ-შოვინისტების მონაწილეობით

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიაში» დღეს დაბეჭდილია აღმასრულებელი კომიტეტის «დებულება» საერთაშორისო კონფერენციის მოწვევი კომისიის მოწყობის შესახებ. ამ კომისიაში, სხვათა შორის, მიწვეულია ჩვენი პარტიის წარმომადგენელიც. თავისთავად ცხადია, ჩვენი პარტია არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს არც კომისიაში, არც საერთოდ იმ კონფერენციაში, რომელსაც იწვევენ თავ-თავიანთი ბურჟუაზიის მხარეზე გადასული ვითომდა სოციალისტი მინისტრების მონაწილეობით. ყველას, ვისაც აინტერესებდა ჩვენი პარტია და წაუკითხავს მისი რეზოლუცია ინტერნაციონალში არსებული საქმის ვითარების შესახებ, არ შეეძლო ეს არ სცოდნოდა.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე რამდენიმე დღის წინათ ერთხმად დაადგინა — გაგზავნოს დელეგატი ციმერვალდის კონფერენციაზე იმ დავალებით, რომ დაუყოვნებლივ დატოვოს ეს კონფერენცია და გამოვიდეს ციმერვალდის კავშირიდან, თუ კონფერენცია სოციალ-შოვინისტებთან რაიმე დაახლოების ანდა საქმეთა ერთად განხილვის სურვილს გამოთქვამს.

დაწერილია 1917 წ. 10 (23) მაისს

დაიბეჭდა 1917 წ. 25 (12) მაისს
გაზეთ «პრავდაში» № 55

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

სიტყვა პუტილოვის ქარხნის მუშების მიტინგზე 1917 წ. 12 (25) მაისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ლენინი გადმოსცემდა ომზე, ზავსა და კოალიციურ მთავრობაზე ბოლშევიკების შეხედულებათა საფუძვლებს.

სიტყვის პირველ ნახევარში ლენინმა მოკლედ ილაპარაკა, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია მისი გამოვლა გერმანიის ტერიტორიაზე, შემდეგ ის გადავიდა ომის საკითხზე და განმარტა მისი მძარცველური დედაარსი. შემდეგ შეჩერდა იმ საკითხზე, თუ როგორ დავამთავროთ ომი და განავითარა ის აზრი, რომ ერთადერთი საშუალებაა ყველა მეომარი ქვეყნის მუშების შეკავშირებაო.

შემდეგ ლენინი შეჩერდა საკითხზე, თუ რა უშლის ხელს ყველა ქვეყნის მუშების ამ შეკავშირებას და დასახა ის გზები, რომელთაც შეიძლება და უნდა დავადგეთ კიდეც ასეთი შეკავშირებისათვის.

ეს გზაა — არა მუშების შეთანხმება კაპიტალისტებთან და გლეხ-ჯარისკაცთა შეთანხმება მემამულეებთან, არამედ გზა მუშებისა და გლეხების ბრძოლისა თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

კოალიციური მთავრობა — ეს არის სოციალისტების შეთანხმება კაპიტალისტებთან, ეს არის რევოლუციის ჩახრჩობა.

მუშებისა და გლეხების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეუძლია გადაჭრას ჩვენი ქვეყნის გადაუდებელი საკითხები — მიწის საკითხი, გლეხების ხელში მისი გადაცემის საკითხი და ომთან დაკავშირებული სხვა საკითხები: სასურსათო, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა.

«სოლდატსკაია პრავდა» № 26,
1917 წ. 1 ივნისი (19 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «სოლდატსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

პროლეტარიატის პარტია რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში

ჩვენი პარტია არჩევნებში მონაწილეობას იღებს თავისი დამოუკიდებელი სიებით. იმ წინასწარი ცნობების მიხედვით, რაც შემოსულია ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში, 12 რაიონიდან 4-ში (მოსკოვის, როგოდესტვენსკის, კოლპინოს და პოროხოვის) ეს სიები შედგენილია ყოველგვარი ბლოკის გარეშე. ყველა დანარჩენ რაიონში ჩვენ ბლოკს ვკრავთ მ ხ ო ლ ო დ ინტერნაციონალისტებთან: სახელდობრ, 6 რაიონში (მეორე საქალაქო, ნარვის, პეტროგრადის მხარის, მოსკოვის, პირველ საქალაქო და ვასილიევის კუნძულის რაიონებში) «მეერაიონელებთან» [88] (რომელთაც, როგორც ვიცით, გადაჭრით დაგმეს კაპიტალისტების სამინისტროში ნაროდნიკებისა და მენშევიკების შესვლა); შემდეგ 4 რაიონში (ვიბორგის, ნევის, პირველ საქალაქო და ვასილიევის კუნძულის) მენშევიკ-ინტერნაციონალისტებთან, «სოციალისტური» მინისტერიალიზმის მოწინააღმდეგეებთან, და ერთ რაიონში (ნევის) სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ინტერნაციონალისტებთან, რომლებიც გმობენ თავიანთი პარტიის «მინისტერიალიზმს».

სხვა პარტიების ინტერნაციონალისტებთან ასეთი გაერთიანება სავსებით შეესაბამება როგორც ჩვენი კონფერენციების (პეტროგრადისა და სრულიად რუსეთის) გადაწყვეტილებებს, ისე პროლეტარული პარტიის პრინციპულ ხაზს მენშევიკების და ნაროდნიკების წვრილბურჟუაზიული ობორონცობისა და მინისტერიალიზმის წინააღმდეგ.

«მემარცხენე ბლოკის» პროპაგანდას, რომელსაც, სხვათა შორის, «ნოვაია ჟიზნიც» ეწეოდა, რასაკვირველია, არ შეეძლო ჩვენი პარტიის გადაწყვეტილების შერყევა. შემცდარია, სავსებით შემცდარია ის აზრი, თითქოს მუნიციპალურ არჩევნებს «არ ჰქონდეს იმდენად მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი» (როგორც დამფუძნებელი კრების არჩევნებს აქვს). ასევე მართალი არ არის, რომ თითქოს «ცალკეული სოციალისტური (??) პარტიების მუნიციპალური პროგრამები ერთმანეთისაგან ნაკლებად განირჩევიან». ვინც ასეთ უცნაურ სიტყვებს იმეორებს და «პრავდის» საბუთებს არსებითად არ უპასუხებს, იგი თავს არიდებს უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვას ანდა პირდაპირ ფარ-ხმალს ყრის.

რევოლუციის დროს დედაქალაქში არჩევნების დაყვანა წმინდა (ან თუნდაც უმთავრესად) «მუნიციპალურ» პროგრამამდე — ეს რაღაც საშინელი უაზრობაა. ეს ყველა რევოლუციის გამოცდილების სასაცილოდ აგდებაა. ეს არის დაცინვა იმ მუშების საღი მოსაზრებისა, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ პიტერის როლი — ხელმძღვანელი და ზოგჯერ გადამწყვეტი ცაა.

კადეტები აერთიანებენ ყველა მემარჯვენეს, მთელ კონტრრევოლუციას, ყველა მემამულესა და კაპიტალისტს. ისინი მხარს უჭერენ მთავრობას, მათ სურთ რევოლუციური პეტროგრადი გადააქციონ კაპიტალისტების მთავრობის დამქაშად, კაპიტალისტებისა, რომელთაც 10 მინისტრი ჰყავთ 6 ნაროდნიკისა და მენშევიკის წინააღმდეგ.

კადეტების, შოვინისტების, სრუტეებისათვის ომის მომხრეთა წინააღმდეგ ილაშქრებს პროლეტარიატის პარტია, იმპერიალიზმის უეჭველი მოწინააღმდეგე, ერთადერთი პარტია, რომელსაც შეუძლია გამოეთიშოს კაპიტალის ინტერესებს, მიმართოს სერიოზულ რევოლუციურ ზომებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დაეხმარო მშრომელ მასებს მოახლოებული და უკვე სავსებით კარსმომდგარი უსაზომო კატასტროფის დროს. რევოლუციური ზომების გარეშე ხსნა არ არის. თუ არ იქნა მუშათა მილიცია, როგორც საფეხური

საყოველთაო-სახალხო მილიციის დაუყოვნებლივ შესაქმნელად, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ძალიანაც რომ გვსურდეს შეუძლებელია ამგვარი ზომების გატარება, კერძოდ, შეუძლებელია «კუდებისა» და სასურსათო დეზორგანიზაციის თავიდან აცილება.

ხოლო «საშუალო ხაზი», ხაზი წვრილი ბურჟუაზიის, მენშევიკებისა და ნაროდნიკებისა, რომლებიც კეთილ სურვილებს გამოთქვამენ და თავს იუძლურებენ კაპიტალისტებთან შეთანხმებით და კაპიტალისტებისადმი დამორჩილებით (6 მინისტრი 10-ის წინაალმდეგ!!), — ეს ხაზი უსიცოცხლოა. მასები ამაში ჩქარა დარწმუნდებიან გამოცდილებით, თუნდაც დროებით რომ იწამონ კიდეც კაპიტალისტებთან «შემთანხმებლობა».

ვინც მშრომელი მასების ინტერესების ნამდვილი განხორციელების მომხრეა, ვინც მომხრეა პოლიციის თავიდან მოშორებისა, საყოველთაო-სახალხო მილიციით მისი შეცვლისა, ვინც მომხრეა სერიოზული, რევოლუციური ზომების მიღებისა ჩვენი ქვეყნის გამოსაყვანად გაუგონარი კრიზისიდან, გაუგონარი ნგრევიდან, მან ხმა უნდა მისცეს პროლეტარული პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) სიებს.

«პრავდა» № 56,
1917 წ. 26 (13) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რას აცხადებდა ჩვენი პარტია ომის შესახებ რევოლუციის წინ

განსაკუთრებით საინტერესოა ის განცხადებები, რომლებიც გულისხმობდნენ სწორედ შოვინისტური («ობორონცული») რევოლუციის გამარჯვებას. «სოციალ-დემოკრატის», რომელიც ჟენევაში გამოდიოდა ზინოვიევისა და ლენინის რედაქციით როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო, 1915 წლის 13 ოქტომბრის 47-ე ნომერში რედაქციის სახელით დაბეჭდილი იყო:

«...8) რევოლუციონერ-შოვინისტებად ჩვენ ვიგვაჩნია ისინი, ვისაც ცარიზმზე გამარჯვება სურს გერმანიის დასამარცხებლად, — სხვა ქვეყნების გასაძარცვავად, — რუსეთის სხვა ხალხებზე ველიკორუსების ბატონობის განსამტკიცებლად და ა. შ.. რევოლუციური შოვინიზმის საფუძველია წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობა. იგი ყოველთვის მერყეობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ახლა იგი მერყეობს შოვინიზმსა (რომელიც ხელს უშლის მას თანმიმდევრულად რევოლუციური იყოს დემოკრატიული რევოლუციის აზრითაც კი) და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს შორის. ამ წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური გამომხატველნი რუსეთში ამჟამად არიან ტრუდოვიკები, სოციალ-რევოლუ-

ციონერები, «ნაშა ზარია», ჩხეიძის ფრაქცია, ორგანიზაციული კომიტეტი, ბ-ნი პლეხანოვი და სხვა მისთანანი. 9) რუსეთში რომ რევოლუციონერ-შოვინისტებს გაემარჯვნათ, ჩვენ წინააღმდეგი ვიქნებოდით მ ა თ ი «სამშობლოს» დაცვისა ომში. ჩვენი ლოზუნგია — შოვინისტების წინააღმდეგ, თუნდაც ისინი რევოლუციონერები და რესპუბლიკელები იყვნენ, მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და სოციალისტური რევოლუციისათვის საერთაშორისო პროლეტარიატის კავშირის ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ. 10) კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა პროლეტარიატმა იკისროს ხელმძღვანელი როლი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, შესაძლებელია, თ უ წვრილი ბურჟუაზია გადამწყვეტ მომენტებში მარცხნივ გადაიხრება, მას კი მარცხნივ ეწევა არა მარტო ჩვენი პროპაგანდა, არამედ მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებიც, ეკონომიური, ფინანსური (ომის სიმძიმე), სამხედრო, პოლიტიკური და სხვ.. 11) კითხვაზე, როგორ მოიქცეოდა პროლეტარიატის პარტია, რევოლუციას რომ ამ ომში ის ხელისუფლების სათავეში ჩაეყენებინა, ჩვენ ვუპასუხებთ: ჩვენ ზავს შევთავაზებდით ყ ვ ე ლ ა მეომარ მხარეს კოლონიებისა და ყ ვ ე ლ ა დამოკიდებული, დაჩაგრული და არასრულუფლებიანი ხალხის განთავისუფლების პირობით. არც გერმანია, არც ინგლისი და საფრანგეთი, მათი ახლანდელი მთავრობების დროს, არ მიიღებდნენ ამ პირობას. მაშინ ჩვენ მოვამზადებდით და გავაჩაღებდით რევოლუციურ ომს, ე. ი. ფრიად გადამწყვეტი ზომების მიღებით არათუ მთლიანად გავატარებდით მთელ ჩვენს პროგრამა-მინიმუმს, არამედ აგრეთვე სისტემატურად ავაჯანყებდით ველიკორუსების მიერ ამჟამად დაჩაგრულ ყველა ხალხს, აზიის ყველა კოლონიას და დამოკიდებულ ქვეყანას (ინდოეთს, ჩინეთს, სპარსეთს და სხვ.), აგრეთვე — და პირველ რიგში — ავაჯანყებდით ევროპის სოციალისტურ პროლეტარიატს მის მთავრობათა წინააღმდეგ, მიუხედავად მისი სოციალ-შოვინისტების მხრივ წინააღმდეგობის გაწევისა. სრულიად უეჭველია, რომ პროლეტარიატის გამარჯვება რუსეთში არაჩვეულებრივად ხელ-

საყრელ პირობებს შეუქმნიდა რევოლუციის განვითარებას აზიაშიც და ევროპაშიც. ეს 1905 წელმაც კი დაამტკიცა. ხოლო რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა ფ ა ქ ტ ი ა, მიუხედავად ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის ჭუჭყიანი ქაფისა» *.

«პრავდა» № 56,
1917 წ. 26 (13) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 492 — 494. რ ე დ.

ნგრევა გვემუქრება

ცნობები, მოსაზრებები, შიში და ხმები მოახლოებული კატასტროფის შესახებ უფრო და უფრო ხშირდება. კაპიტალისტების გაზეთები იმუქრებიან, დორბლმორეული გაჰკივიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, ამაყობენ კუტლერის ანონიმური მითითებებით «ერთ» ქარხანაზე, «ზოგიერთ» ქარხანაზე, «ერთ» საწარმოზე და სხვა. საკვირველი ფანდებია, ახირებული «დამამტკიცებელი საბუთებია»... რატომ არ ასახელებენ გარკვეულ ქარხანას? რატომ არ აძლევენ საშუალებას საზოგადოებას და მუშებს შეამოწმონ ეს ხმები, რომლებიც გამიზნულია განგაშის ასატეხად?

ბატონ კაპიტალისტებისთვის ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რომ ისინი მხოლოდ თავიანთ თავს ამასხარავებენ, როცა არ მოჰყავთ ზუსტი ცნობები ზუსტად დასახელებული საწარმოების შესახებ. თქვენ ხომ მთავრობა ბრძანდებით, ბატონო კაპიტალისტებო, 16 მინისტრიდან 10 თქვენია, თქვენა ხართ პასუხისმგებელნი და განკარგულების გამცემნი. განა სასაცილო არ არის, როცა ის ადამიანები, რომელთაც მთავრობაში უმრავლესობა ჰყავთ, რომლებიც განმკარგულებელნი არიან, კუტლერის ანონიმურ მითითებებს სჯერდებიან, ვერ ბედავენ აშკარად და პირდაპირ გამოვიდნენ და ცდილობენ პასუხისმგებლობა გადააკისრონ სხვა პარტიებს, რომლებიც ხელისუფლების სათავეში არ დგანან?

წვრილბურჟუაზიული პარტიების, ნაროდნიკებისა და მენშევიკების გაზეთებიც ჩივიან, მაგრამ ცოტა უფრო სხვანაირი

კილოთი; ისინი იმდენად საშინელ ბოლშევიკებს არ ამტყუნებენ (თუმცა უამისოდ, რა თქმა უნდა, არ იქნება), რამდენადაც კეთილ სურვილებს ახვავებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია «იზვესტია», რომლის რედაქციაც ორი დასახელებული პარტიის ბლოკის ხელშია. ამ გაზეთის 11 მაისის 63-ე ნომერში დაბეჭდილია ორი სტატია სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლის თემაზე, ორივე ერთნაირი შინაარსისა. ერთ მათგანს აქვს მეტისმეტად... როგორა ვთქვა უფრო რბილად?.. მეტისმეტად წინდაუხედავი (როგორც საერთოდ «წინდაუხედავობაა» ნაროდნიკებისა და მენშევიკების შესვლა იმპერიალისტების სამინისტროში) სათაური: «რა სურს დროებითს მთავრობას»? უფრო სწორი კი იქნებოდა დაესათაურებინათ ასე: «რა ა რ სურს დროებითს მთავრობას და რას გვპირდება იგი»?

მეორე სტატია წარმოადგენს «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ეკონომიური განყოფილების რეზოლუციას». აი რამდენიმე ციტატი ამ სტატიიდან, რომელნიც ყველაზე უფრო ზუსტად გადმოგვცემენ მის შინაარსს:

«მრეწველობის ბევრ დარგში მომწიფდა დრო სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიისათვის (პური, ხორცი, მარილი, ტყავი), სხვა დარგებისთვის მომწიფდა პირობები სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებული ტრესტების შესაქმნელად (ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, ლითონის, შაქრის, ქაღალდის წარმოება) და, ბოლოს, მრეწველობის თითქმის ყველა დარგისთვის თანამედროვე პირობები მოითხოვს სახელმწიფოს მომწესრიგებელ მონაწილეობას ნედლეულისა და გამომუშავებული პროდუქტების განაწილების საქმეში, აგრეთვე ფასების ფიქსაციაში... ამავე დროს საჭიროა საზოგადოებრივ-სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლს დავუმორჩილოთ ყველა საკრედიტო დაწესებულება, რათა შევებრძოლოთ იმ საქონლით სპეკულაციას, რომელიც სახელმწიფოს მხრივ მოწესრიგებას ექვემდებარება... ამასთან ერთად საჭიროა... მივიღოთ უსასტიკესი ზომები მუქთახორობასთან საბრძოლველად, თვით შრომის ბეგრის შემოღებაც კი... ქვეყანა უკვე კატასტროფას განიცდის, და ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა შეუძლია მხოლოდ მთელი ხალხის შემოქმედებითს ღონისძიებას ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ე თ ა უ რ ო ბ ი თ, რომელმაც შეგნებულად იკისრა» (ჰმ!.. ჰმ...!?) «ომით და მეფის რეჟიმით დანგრეული ქვეყნის ხსნის გრანდიოზული ამოცანა».

გარდა უკანასკნელი ფრაზისა, რომელიც ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვებიდან იწყება, — ფრაზისა, რომელიც წმინდა მეშჩანური მიმნდობლობით «აკისრებს» კაპიტალისტებს ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც მათ არ შეუძლიათ, — გარდა ამ ფრაზისა პროგრამა დიდებულია. აქ არის კონტროლიც, ტრესტების გასახელმწიფოებრიობაც, სპეკულაციასთან ბრძოლაც, შრომის ბეგარაც — რას ბრძანებთ, რით განირჩევა ყოველივე ეს «საშინელი» ბოლშევიზმისაგან? ამაზე მეტი რა უნდოდათ ამ «საშინელ» ბოლშევიკებს?

საქმეც იმაშია, თავიდათავიც სწორედ ის არის, რომ სწორედ ამის გაგება დაჟინებით არ სურთ ყველა ჯურის მეშჩანებსა და ფილისტერებს. «საშინელი» ბოლშევიზმის პროგრამა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი არიან აღიარონ, რადგან მართლაც მოახლოებული, მართლაც საშინელი კრახიდან გამოსვლის სხვა პროგრამა შეუძლებელია არსებობდეს, მ ა გ რ ა მ... მაგრამ კაპიტალისტები ამ პროგრამას «აღიარებენ» (იხ. «ახალი» დროებითი მთავრობის დეკლარაციის განთქმული მესამე პარაგრაფი)[89] ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ა რ შ ე ა ს რ უ ლ ო ნ ი გ ი. ნაროდნიკები და მენშევიკები კი «ენდობიან» კაპიტალისტებს და ამ დამღუპველ ნდობას ხალხსაც ასწავლიან. აი ამაშია მთელი პოლიტიკური მდგომარეობის მთელი არსი.

კონტროლის შემოღება ტრესტების მიმართ — მათი სრული ანგარიშების გამოქვეყნებით, მათ მოსამსახურეთა ყრილობების დაუყოვნებლივ მოწვევით, კონტროლში თ ვ ი თ მ უ შ ე ბ ი ს აუცილებელი მონაწილეობით, დამოუკიდებელი კონტროლის გასაწევად ყოველი დიდი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა დაშვებით, — ამის შემოღება შეიძლება დეკრეტით, რომლის შესადგენად საკმაოა ე რ თ ი დ ღ ე.

მაშ რა აბრკოლებს საქმეს, მოქალაქე შინგარიოვებო, ტერეშჩენკოებო, კონოვალოვებო? რა აბრკოლებს საქმეს, მოქალაქენო, თითქმის-სოციალისტო მინისტრებო, ჩერნოვ, წერეთელო? რა აბრკოლებს საქმეს, მოქალაქენო — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნაროდნიკო და მენშევიკო ბელადებო?

სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ ასეთი კონტროლი დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ყოფილიყო შემოღებული ტრესტების, ბანკებისა და ვაჭრობის მიმართ, «მ უ ქ თ ა ხ ო რ ე ბ ი ს» (საუცხოო სიტყვა მოხვედრია — როგორც გამონაკლისი — «იზვესტიის» რედაქტორების კალმის წვერს...) მ ი მ ა რ თ, სასურსათო პროდუქტების მიმართ არც ჩვენ მოგვითხოვია და საერთოდ არც სხვა ვინმეს შეეძლო მოეთხოვა. და არც შეიძლება სხვა რამის გამოგონება, გარდა «მთელი ხალხის შემოქმედებითი ღონისძიებისა»...

ოღონდ არ უნდა დავუჯეროთ კაპიტალისტების სიტყვებს, არ უნდა დავუჯეროთ მენშევიკებისა და ნაროდნიკების გულუბრყვილო (უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილო) იმედებს, თითქოს კაპიტალისტებს შეეძლოთ ასეთი კონტროლის განხორციელება.

ნგრევა გვემუქრება. კატასტროფა გვიახლოვდება. კაპიტალისტებმა ყველა ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანეს და ახლაც მიჰყავთ. ხსნა ერთია: რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კ ლ ა ს ი ს, პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების რევოლუციური დისციპლინა, რევოლუციური ზომები, მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ამ კლასის ხელში, რომელიც შეძლებს სწორედ ასეთი კონტროლის ნამდვილად შემოღებას, ნამდვილად ძლევამოსილად დააგვირგვინებს «ბრძოლას მუქთახორობასთან».

«პრავდა» № 57,
1917 წ. 27 (14) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ომი და რევოლუცია

1917 წ. 14 (27) მაისის ლექცია

ომისა და რევოლუციის საკითხი უკანასკნელ დროს ისე ხშირად ისმება მთელ პრესაშიც და ყოველ სახალხო კრებაზეც, რომ, ალბათ, ბევრ თქვენგანს ამ საკითხის მრავალი მხარე არათუ კარგად აქვს გაცნობილი, არამედ უკვე მობეზრდა კიდეც. მე ჯერ კიდევ არც ერთხელ არ მქონია შესაძლებლობა გამოვსულიყავი ან თუნდაც დავსწრებოდი ამ რაიონის პარტიულ ან საერთოდ სახალხო კრებებს და ამიტომ, შესაძლოა, განმეორებანი დამირჩეს ან საკმაოდ ვრცლად ვერ შევჩერდე ამ საკითხის იმ მხარეებზე, რომელნიც თქვენ მეტად გაინტერესებთ.

ჩემი აზრით, მთავარი, რასაც ჩვეულებრივ ივიწყებენ ომის საკითხში, რასაც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ, მთავარი, რის გამოც წარმოებს ამდენი დავა და, შეიძლება, მე ვიტყოდი, ფუჭი, უიმედო, უმიზნო დავა, — ეს არის დავიწყება ძირითადი საკითხისა, რა კლასობრივი ხასიათი აქვს ომს, რისი გულისთვის ატყდა ეს ომი, რომელი კლასები აწარმოებენ მას, რა ისტორიულმა და ისტორიულ-ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვიეს ის. რამდენადაც მე მომიხდა მიტინგებსა და პარტიულ კრებებზე თვალყური მედევნებინა იმისათვის, თუ როგორ აყენებენ ჩვენში ომის საკითხს, მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ნიადაგზე მრავალი გაუგებრობა სწორედ იმიტომ ჩნდება, რომ მუდამ, როცა ომის საკითხს ვარჩევთ, ჩვენ სრულიად სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ.

მარქსიზმის, ე. ი. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის, თვალსაზრისით ძირითადი საკითხი, როცა სოციალისტები იხილავენ იმას, თუ როგორ უნდა შევაფასოთ ომი და როგორ უნდა ვუყურებდეთ მას, იმაში მდგომარეობს, თუ რის გულისთვის წარმოებს ეს ომი, რომელი კლასები ამზადებდნენ და წარმართავდნენ მას. ჩვენ, მარქსისტები, არ ვეკუთვნით იმათ რიცხვს, ვინც უცილობელი წინააღმდეგია ყოველგვარი ომისა. ჩვენ, ვამბობთ: ჩვენი მიზანია მივაღწიოთ სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც, მოსპობს რა კაცობრიობის დაყოფას კლასებად, •მოსპობს რა ადამიანის მიერ ადამიანისა და სხვა ერთა მიერ ერთი ერის ყოველგვარ ექსპლოატაციას, გარდუვალად მოსპობს საერთოდ ყოველგვარი ომის შესაძლებლობას. მაგრამ ომში ამ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილებისათვის ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ისეთ პირობებს, როცა კლასობრივი ბრძოლა ყოველი ცალკეული ერის შიგნით შეიძლება წააწყდეს მის მიერვე, ამ კლასობრივი ბრძოლის მიერვე, წარმოშობილ ომს სხვადასხვა ერებს შორის, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ რევოლუციური ომების შესაძლებლობა, ე. ი. ისეთი ომებისა, რომელნიც წარმოშვა კლასობრივმა ბრძოლამ, რომელთაც აწარმოებენ რევოლუციური კლასები და პირდაპირი, უშუალო რევოლუციური მნიშვნელობა აქვთ. მით უმეტეს არ შეგვიძლია ჩვენ უარვყოთ ეს, რომ ევროპის უკანასკნელი საუკუნის, 125 — 135 წლის მანძილზე მომხდარი რევოლუციების ისტორიაში უმეტესად რეაქციულ ომებთან ერთად იყო რევოლუციური ომებიც, მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციური ხალხის მასების ომი გაერთიანებული მონარქიული, ჩამორჩენილი, ფეოდალური და ნახევრადფეოდალური ევროპის წინააღმდეგ. ამჟამადაც დასავლეთ ევროპაში, ხოლო უკანასკნელ დროს ჩვენშიც, რუსეთში, ყველაზე უფრო გავრცელებულია მასების მოტყუება რევოლუციური ომების მაგალითის დამოწმებით. ომებიც არის და ომებიც. უნდა გავერკვეთ, რა ისტორიულმა პირობებმა წარმოშვა ესა თუ ის ომი, რომელი კლასები აწარმოებენ მას, რის გულისთვის. თუ ეს არ გავარკვიეთ,

მთელი ჩვენი მსჯელობა ომზე სრულიად ფუჭი იქნება, წმინდა სიტყვიერ და უნაყოფო დავად გადაიქცევა. აი ამიტომაც ჩემს თავს ნებას მივცემ, რაკი თემად დაისახეთ ომისა და რევოლუციის თანაფარდობის საკითხი, დაწვრილებით შევჩერდე საქმის ამ მხარეზე.

ცნობილია ომების ფილოსოფიისა და ომების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული მწერლის — კლაუზევიცის ნათქვამი: «ომი არის პოლიტიკის განგრძობა სხვა საშუალებებითო»[90]. ეს ნათქვამი ეკუთვნის მწერალს, რომელიც ომების ისტორიას ეცნობოდა და რომელსაც ამ ისტორიიდან ფილოსოფიური გაკვეთილები გამოჰყავდა — როცა ნაპოლეონის ომების ეპოქის შემდეგ ცოტა დრო იყო გასული. ეს მწერალი, რომლის ძირითადი აზრები ამჟამად ყოველი მოაზროვნე ადამიანის უეჭველი მონაპოვარი გახდა, უკვე დაახლოებით 80 წლის წინათ ებრძოდა ობივატელურ და უმეცარ ცრურწმენას, თითქოს შეიძლებოდეს ომის გამოყოფა სათანადო მთავრობების, სათანადო კლასების პოლიტიკისაგან, თითქოს ომი ოდესმე შეიძლება განვიხილოთ როგორც უბრალო თავდასხმა, რომელიც არღვევს მშვიდობას, და შემდეგ ამ დარღვეული მშვიდობის აღდგენა. წაიჩხუბნენ და შერიგდნენ! ეს ტლანქი და უმეცრული შეხედულებაა, რომელიც უარყოფილია ათეული წლების წინათ და რომელსაც ახლაც უარყოფს ყოველგვარი, ომების ყოველი ისტორიული ეპოქის რამდენადმე გულისყურიანი, ანალიზი.

ომი არის პოლიტიკის განგრძობა სხვა საშუალებებით. ყოველი ომი განუყრელად დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ წყობილებასთან, რომლიდანაც ის გამომდინარეობს. სწორედ იმ პოლიტიკას, რომელსაც განსაზღვრული სახელმწიფო, განსაზღვრული კლასი ამ სახელმწიფოს შიგნით ადგა დიდი ხნის განმავლობაში ომის წინ, აუცილებლად და გარდუვალად განაგრძობს სწორედ ეს კლასი ომის დროს, იცვლის რა მხოლოდ მოქმედების ფორმას.

ომი არის პოლიტიკის განგრძობა სხვა საშუალებებით. თუ საფრანგეთის ქალაქთა რევოლუციურმა მოსახლეობამ და

რევოლუციურმა გლეხებმა XVIII საუკუნის დამლევს თავიანთ ქვეყანაში რევოლუციური გზით დაამხვეს მონარქია და დემოკრატიული რესპუბლიკა დაამყარეს, — გაუსწორდნენ რა თავიანთ მონარქს, რევოლუციურად გაუსწორდნენ თავიანთ მემამულეებსაც, — რევოლუციური კლასის ამ პოლიტიკას არ შეეძლო ძირიანფესვიანად არ შეერყია მთელი დანარჩენი თვითმპყრობელური, მეფური, ნახევრადფეოდალური ევროპა. და საფრანგეთში გამარჯვებული რევოლუციური კლასის ამ პოლიტიკის აუცილებელი განგრძობა იყო ის ომები, რომლებიც რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ დაიწყეს ევროპის მონარქისტულმა ხალხებმა, შექმნეს რა თავიანთი განთქმული კოალიცია, და კონტრრევოლუციური ომით გაილაშქრეს საფრანგეთის წინააღმდეგ. როგორც თავისი ქვეყნის შიგნით საფრანგეთის რევოლუციურმა ხალხმა მაშინ პირველად გამოიჩინა საუკუნეების განმავლობაში უნახავი რევოლუციური ენერგიის მაქსიმუმი, ისე XVIII საუკუნის დამლევის ომში მან გამოიჩინა ასეთივე უზარმაზარი რევოლუციური შემოქმედება, გარდაქმნა სტრატეგიის მთელი სისტემა, უკუაგდო ომის ყველა ძველი კანონი და ჩვეულება'და ძველი ჯარის ნაცვლად შექმნა ახალი, რევოლუციური, სახალხო ჯარი და შემოიღო ომის ახლებურად წარმოება. ჩემი აზრით, ეს მაგალითი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, იმიტომ რომ იგი თვალხილულად გვიჩვენებს იმას, რასაც ყოველ ნაბიჯზე ივიწყებენ ახლა ბურჟუაზიული გაზეთების პუბლიცისტები, სარგებლობენ რა იმ სრულიად განუვითარებელი ხალხის მასების ცრურწმენით და ობივატელური უმეცრებით, რომელთაც არ ესმით ყოველი ომის ეს განუყრელი ეკონომიური და ისტორიული კავშირი ყოველი ქვეყნის, ყოველი კლასის ომამდელ პოლიტიკასთან, კლასისა, რომელიც გაბატონებული იყო ომის წინ და თავისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფდა ეგრეთწოდებული «მშვიდობიანი» საშუალებებით. ეგრეთწოდებულით, — რადგან ანგარიშის იმ გასწორებას, რაც, მაგალითად, საჭირო ხდება კოლონიებზე «მშვიდობიანი» ბატონობისათვის, საეჭვოა მშვიდობიანი ეწოდოს.

ევროპაში მშვიდობა სუფევდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ევროპის ხალხთა ბატონობა კოლონიების ასეული მილიონობით მცხოვრებლებზე ხორციელდებოდა მხოლოდ მუდმივი, განუწყვეტელი ომებით, რომელთაც ჩვენ, ევროპელები, ომებად არც კი ვთვლით, იმიტომ რომ ძალიან ხშირად ისინი გვანდნენ არა ომებს, არამედ უიარაღო ხალხთა უაღრესად მხეცურ ჟლეტას, ამოწყვეტას. საქმის ვითარება კი სწორედ ისეთია, რომ თანამედროვე ომის გასაგებად უწინარეს ყოვლისა თვალი უნდა გადავავლოთ საერთოდ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკას მთლიანად. უნდა ავიღოთ არა ცალკეული მაგალითები, არა ცალკეული შემთხვევები, რომელთა ამოგლეჯა საზოგადოებრივ მოვლენათა ერთობლიობიდან ყოველთვის იოლია და რომელთაც არავითარი ფასი არა აქვთ, იმიტომ რომ ასევე იოლია საწინააღმდეგო მაგალითის მოყვანაც. არა, საჭიროა ავიღოთ ევროპის სახელმწიფოთა მთელი სისტემის მთელი პოლიტიკა მათს ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში, რათა გავიგოთ, თუ ამ სისტემამ როგორ წარმოშვა განუხრელად და გარდუვალად ეს ომი.

ჩვენ მუდამ ვხედავთ ცდებს, განსაკუთრებით კაპიტალისტური გაზეთების მხრივ — სულ ერთია, მონარქისტულია ისინი თუ რესპუბლიკური — ახლანდელ ომს ჩაუდონ მისთვის უცხო ისტორიული შინაარსი. მაგალითად, საფრანგეთის რესპუბლიკაში სულ ჩვეულებრივი ხერხია იმის ცდა, რომ ეს ომი საფრანგეთის მხრივ წარმოგვიდგინონ როგორც საფრანგეთის 1792 წლის დიდი რევოლუციის ომების განგრძობა და მსგავსი. საფრანგეთის ხალხის მასების, საფრანგეთის მუშებისა და ყველა ქვეყნის მუშების მოტყუების ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხია ჩვენს ეპოქაზე იმ ეპოქის «ჟარგონის», მისი ცალკეული ლოზუნგების გადმოტანა, ცდა — ისე წარმოგვიდგინონ საქმე, რომ აი ახლაც რესპუბლიკური საფრანგეთი თავის თავისუფლებას იცავს მონარქიის წინააღმდეგო. ავიწყდებათ ის «მცირე» გარემოება, რომ მაშინ, 1792 წელს, საფრანგეთში ომს აწარმოებდა რევოლუციური კლასი, რო-

მელმაც ჯერ არნახული რევოლუცია მოახდინა, მასების გაუგონარი გმირობით ძირფესვიანად დაანგრია საფრანგეთის მონარქია და გაერთიანებული მონარქისტული ევროპის წინააღმდეგ აღსდგა მხოლოდ იმ მიზნით, რომ განეგრძო თავისი რევოლუციური ბრძოლა.

საფრანგეთის ომი განგრძობა იყო იმ რევოლუციური კლასის პოლიტიკისა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა, რესპუბლიკა მოიპოვა, მანამდე უნახავი ენერგიით გაუსწორდა საფრანგეთის კაპიტალისტებსა და მემამულეებს და ამ პოლიტიკის, მისი განგრძობის გულისთვის რევოლუციური ომი დაიწყო გაერთიანებული მონარქისტული ევროპის წინააღმდეგ.

ახლა კი ჩვენ წინაშეა უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ორი ჯგუფის კავშირი. ჩვენ წინაშეა მსოფლიოს ყველა უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფო — ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, გერმანია, — რომელთა მთელი პოლიტიკა მთელ რიგ ათწლეულთა განმავლობაში წარმოადგენდა განუწყვეტელ ეკონომიურ მეტოქეობას იმის გამო, თუ როგორ იბატონონ მთელ მსოფლიოზე, როგორ ჩაახრჩონ მცირე ეროვნებანი, როგორ უზრუნველყონ თავისთვის სამმაგი და ათმაგი მოგება საბანკო კაპიტალისა, რომელმაც მთელი მსოფლიო თავისი გავლენის რკალში მოაქცია. ეს არის ინგლისისა და გერმანიის ნამდვილი პოლიტიკა. მე ამას ხაზგასმით აღვნიშნავ. ეს მუდამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, იმიტომ რომ, თუ ეს დავივიწყეთ, ვერაფერს გავიგებთ ახლანდელი ომისას და მაშინ აღმოვჩნდებით უსუსურნი, ხელში ჩავუვარდებით ყოველ ბურჟუაზიულ პუბლიცისტს, რომელიც ტყუილ ფრაზებს გვაჩეჩებს.

ნამდვილი პოლიტიკა უდიდესი კაპიტალისტური გიგანტების ორი ჯგუფისა — ინგლისისა და გერმანიისა, რომელნიც თავიანთ მოკავშირეებთან ერთად დაიძრნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, — ომამდე მთელ რიგ ათწლეულთა მანძილზე წარმოებული ეს პოლიტიკა შესწავლილ და გაგებულ უნდა იქნეს მთლიანად აღებული. ჩვენ რომ ეს არ გვექნა, არათუ დავივიწყებდით მეცნიერული სოციალიზმისა და საერთოდ

ყოველგვარი საზოგადოებრივი მეცნიერების ძირითად მოთხოვნას, — ჩვენ შესაძლებლობას დავკარგავდით გაგვეგო რაიმე თანამედროვე ომისა. ჩვენ ხელში ჩავუვარდებოდით მილიუკოვს, მატყუარას, რომელიც აღვივებს შოვინიზმს და ერთი ხალხის სიძულვილს მეორისადმი ისეთი ხერხებით, რომელთაც სრულიად უგამონაკლისოდ იყენებენ ყველგან, ხერხებით, რომელთა გამო წერდა ჩემ მიერ თავდაპირველად დასახელებული კლაუზევიცი ოთხმოცი წლის წინათ და რომელმაც უკვე მაშინ სასაცილოდ აიგდო ის შეხედულება, რომ აი — ცხოვრობდნენ ხალხები მშვიდობიანად, შემდეგ კი წაიჩხუბნენო! თითქოს ეს მართალი იყოს! განა შეიძლება ომის წარმოშობა ახსნა ისე, თუ ის არ დაუკავშირე ამა თუ იმ სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ამა თუ იმ სისტემის, ამა თუ იმ კლასების ომამდელ პოლიტიკას? კიდევ ვიმეორებ: ეს არის ძირითადი საკითხი, რომელსაც მუდამ ივიწყებენ, რომლის გაუგებლობის გამო ომზე ლაპარაკის $^{9}/_{10}$ იქცევა ფუჭ კინკლაობად და ლაყბობად. ჩვენ ვამბობთ: თუ თქვენ არ შეისწავლეთ მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის პოლიტიკა ათწლეულთა მანძილზე, — რათა ადგილი არ ექნეს შემთხვევითობას, ხელს არ სჭიდებდეთ ცალკეულ მაგალითებს, — თუ თქვენ არ ცხადყავით ამ ომის კავშირი ომამდელ პოლიტიკასთან, თქვენ არაფერი გაგეგებათ ამ ომისა!

ეს პოლიტიკა კი გვიჩვენებს მუდამ ერთ რამეს: ორი უდიდესი მსოფლიო გიგანტის, კაპიტალისტური მეურნეობის განუწყვეტელ ეკონომიურ მეტოქეობას. ერთი მხრივ — ინგლისი, სახელმწიფო, რომელიც ფლობს დედამიწის უმეტეს ნაწილს, სახელმწიფო, რომელსაც სიმდიდრის მხრივ პირველი ადგილი უკავია, რომელმაც ეს სიმდიდრე შექმნა არა იმდენად თავისი მუშების შრომით, არამედ, უმთავრესად, განუსაზღვრელი რაოდენობის კოლონიების ექსპლოატაციით, ინგლისის ბანკების განუსაზღვრელი სიძლიერით, ბანკებისა, რომელნიც, როგორც ყველა დანარჩენი ბანკის სათავეში მდგომნი, ჩამოყალიბდნენ რიცხობრივად უმნიშვნელო — რაღაც სამ, ოთხ, ხუთ — გიგანტი ბანკების ჯგუფად, ბანკებისა, რომელნიც

განაგებენ ასეულ მილიარდ მანეთს და განაგებენ ისე, რომ სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება მიწის ისეთი ნაკვეთი, რომელიც ამ კაპიტალს ხელში არ ჩაეგდოს, არ მოიძებნება მიწის ისეთი ნაკვეთი, რომელიც გახლართული არ იყოს ინგლისის კაპიტალის ათასნაირ ქსელში. ეს კაპიტალი XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს იმდენად გაიზარდა, რომ თავისი საქმიანობა შორს გადაიტანა ცალკეულ სახელმწიფოთა საზღვრებიდან, შექმნა რა ჯგუფი გაუგონარი სიმდიდრის მქონე გიგანტი ბანკებისა. მან დააწინაურა ბანკების ეს მცირე რაოდენობა და ამ ქსელის მეშვეობით მრავალი ასეული მილიარდი მანეთით შებოჭა მთელი ქვეყნიერება. აი რა არის თავიდათავი ინგლისის ეკონომიურ პოლიტიკაში და საფრანგეთის ეკონომიურ პოლიტიკაში, საფრანგეთისა, რომლის შესახებ თვით ფრანგი მწერლები, თანამშრომლები, მაგალითად, «L' Humanité»-სი [91], გაზეთისა, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობენ ყოფილი სოციალისტები (მაგალითად, ცნობილი მწერალი ფინანსურ საკითხებზე, ლიზისი), რამდენიმე წლით ადრე ომის დაწყებამდე წერდნენ: «საფრანგეთი — ეს არის ფინანსური მონარქია, საფრანგეთი — ეს არის ფინანსური ოლიგარქია, საფრანგეთი — ეს არის მთელი ქვეყნის მევახშეო».

მეორე მხრივ, ამ ჯგუფს, უმთავრესად ინგლის-საფრანგეთის ჯგუფს, დაუპირისპირდა კაპიტალისტების მეორე ჯგუფი, კიდევ უფრო მტაცებლური, კიდევ უფრო ყაჩაღური — ჯგუფი კაპიტალისტებისა, რომლებიც კაპიტალისტური ხორაგით გაწყობილ მაგიდასთან მოვიდნენ მაშინ, როდესაც ადგილები უკვე დაკავებული იყო, მაგრამ რომლებმაც ბრძოლაში შეიტანეს კაპიტალისტური წარმოების განვითარების ახალი ხერხები, უკეთესი ტექნიკა, უბადლო ორგანიზაცია, რომელიც ძველ კაპიტალიზმს, თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმს აქცევს გიგანტური ტრესტების, სინდიკატების, კარტელების კაპიტალიზმად. ამ ჯგუფმა შემოიტანა საწყისები კაპიტალისტური წარმოების გასახელმწიფოებრიობისა, კაპიტალიზმის გიგანტური ძალის სახელმწიფოს გიგანტურ

ძალასთან ერთ მექანიზმად შეერთებისა, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს აყენებს სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთი ორგანიზაციის სამსახურში. აი ის ეკონომიური ისტორია, აი ის დიპლომატიური ისტორია მთელ რიგ ათწლეულთა წანძილზე, რომელსაც ვერავინ გაექცევა. მხოლოდ ის მიგითითებთ ომის საკითხის სწორად გადაწყვეტის გზას და იმ დასკვნამდე მიჰყავხართ, რომ ეს ომიც პროდუქტია იმ კლასთა პოლიტიკისა, რომელნიც ამ ომში ერთმანეთს შეებნენ, ორი უდიდესი ბუმბერაზისა, რომელთაც დიდი ხნით ადრე ომის დაწყებამდე მთელი ქვეყნიერება, ყველა ქვეყანა გახვიეს თავიანთი ფინანსური ექსპლოატაციის ქსელში და ეკონომიურად მთელი მსოფლიო გაიყვეს ერთმანეთს შორის ომამდე. ისინი ერთმანეთს უნდა შეეჯახებოდნენ იმიტომ, რომ კაპიტალიზმის თვალსაზრისით ამ ბატონობის ხელახალი გაყოფა აუცილებელი გახდა.

ძველი გაყოფა იმას ემყარებოდა, რომ ინგლისმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაანადგურა თავისი წინანდელი მეტოქეები. მისი წინანდელი მეტოქე იყო ჰოლანდია, რომელიც მთელ ქვეყანაზე ბატონობდა, მისი წინანდელი მეტოქე იყო საფრანგეთი, რომელიც დაახლოებით ასი წლის განმავლობაში აწარმოებდა ომებს ბატონობისათვის. ხანგრძლივი ომებით ინგლისმა, თავისი ეკონომიური ძლიერების, თავისი სავაჭრო კაპიტალის ძლიერების საფუძველზე, განამტკიცა თავისი ყოვლად უდავო ბატონობა მსოფლიოში. გაჩნდა ახალი მტაცებელი, 1871 წელს შეიქმნა ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც განუზომლად უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისი. ეს ძირითადი ფაქტია. ეკონომიურ ისტორიაში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ წიგნს, რომელიც არ აღიარებდეს ამ უდავო ფაქტს — გერმანიის უფრო სწრაფ განვითარებას. გერმანიის კაპიტალიზმის ეს სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მტაცებლისა, რომელიც გაჩნდა ევროპის სახელმწიფოთა კავშირში და რომელმაც განაცხადა: «თქვენ გაანადგურეთ ჰოლანდია, თქვენ დაამარცხეთ საფრანგეთი, თქვენ ხელში ჩაიგდეთ დედამიწის ნახევარი, —

გაისარჯეთ და მოგვეცით სათანადო წილიო». მერე რას ნიშნავს «სათანადო წილი»? როგორ უნდა განვსაზღვროთ ეს წილი კაპიტალისტურ სამყაროში, ბანკების სამყაროში? იქ ძალას განსაზღვრავს ბანკების რაოდენობა, იქ ძალას განსაზღვრავენ ისე, როგორც განსაზღვრავდა ამერიკელ მილიარდერთა ერთი ორგანო წმინდა ამერიკული გულახდილობით და წმინდა ამერიკული ცინიზმით. მან განაცხადა: «ევროპაში წარმოებს ომი მსოფლიოში ბატონობისათვის. მსოფლიოში რომ იბატონო, საჭიროა გქონდეს ორი რამ: დოლარები და ბანკები. დოლარები ჩვენ გვაქვს, ბანკებს შევქმნით და გავბატონდებით მსოფლიოშიო». ეს არის განცხადება ამერიკელ მილიარდერთა ხელმძღვანელი გაზეთისა. უნდა მოგახსენოთ, რომ თავგასული და გათავხედებული მილიარდერის ამ ამერიკულ ცინიკურ ფრაზაში ათასჯერ მეტი სიმართლეა, ვიდრე ბურჟუაზიულ მატყუარათა ათასობით სტატიაში, სადაც ეს ომი წარმოდგენილია როგორც ომი რაღაც ნაციონალური ინტერესებისთვის, ნაციონალური საკითხებისთვის და მოყვანილია სხვა ამგვარი, სრულიად აშკარა სიცრუე, რომელიც მთელ ისტორიას საერთოდ უკუაგდებს და იღებს ცალკეულ მაგალითს, როგორც იმ შემთხვევას, რომ გერმანელი მტაცებელი თავს დაესხა ბელგიასო. ეს შემთხვევა, უეჭველად, ნამდვილია. დიახ, მტაცებელთა ეს ჯგუფი გაუგონარი სიმხეცით დაესხა თავს ბელგიას, მაგრამ მან იგივე ჩაიდინა, რასაც მათი მეორე ჯგუფი სჩადიოდა გუშინ სხვა საშუალებებით და სჩადის დღეს სხვა ხალხთა მიმართ.

როდესაც ჩვენ ანექსიების საკითხზე ვკამათობთ, — ეს ხომ ის საკითხია, რომელიც შედის იმაში, რასაც მე ვცდილობდი მოკლედ გადმომეცა, როგორც ახლანდელი ომის გამომწვევი ეკონომიური და დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია, — როდესაც ჩვენ ანექსიების საკითხზე ვკამათობთ, ყოველთვის გვავიწყდება, რომ ჩვეულებრივ სწორედ ეს არის ის, რისი გულისთვისაც ეს ომი წარმოებს: მიტაცებულთა გაყოფის გულისთვის, ანუ, რაც უფრო პოპულარულია, ყაჩაღთა ორი გროვის მიერ მიტაცებული ნადავლის გაყოფის გულის-

თვის. და როდესაც ჩვენ ანექსიებზე ვკამათობთ, მუდამ საქმე გვაქვს ისეთ ხერხებთან, რომლებიც მეცნიერული თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ, ხოლო საზოგადოებრივ-პუბლიცისტური თვალსაზრისით ისეთ ხერხებთან, რომელთაც სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოთ, თუ არა უხეში ტყუილი. შეეკითხეთ რუს შოვინისტს ან სოციალ-შოვინისტს, და ის ჩინებულად აგიხსნით, თუ რა არის ანექსია გერმანიის მხრივ, — მას ეს მშვენივრად ესმის. მაგრამ ის არასოდეს არ გიპასუხებთ თხოვნაზე — მოგცეთ ანექსიის ისეთი ზოგადი განსაზღვრა, რომელიც მიუდგებოდეს გერმანიასაც, ინგლისსაც და რუსეთსაც. ის არასდროს არ მოგცემთ ასეთ განსაზღვრას! და როდესაც გაზეთმა «რეჩმა» (თეორიიდან პრაქტიკაზე გადასასვლელად) ჩვენი გაზეთის «პრავდის» დასაცინრად თქვა: «ეს პრავდისტები კურლანდიას ანექსიად თვლიან! რა უნდა ელაპარაკო ასეთ ადამიანებსო?». და როდესაც ჩვენ ვუპასუხებთ: «კეთილ ინებეთ და მოგვეცით ანექსიის ისეთი განსაზღვრა, რომ ის მიუდგებოდეს გერმანელებსაც, ინგლისელებსაც და რუსებსაცო, და თან ვუმატებთ: თუ თქვენ ამას თავს აარიდებთ, ახლავე გამხელთო» *, — «რეჩი» ჩაჩუმდა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არც ერთ გაზეთს, არც იმ შოვინისტებისას საერთოდ, რომელნიც ტყუილ-უბრალოდ ლაპარაკობენ, საომშობლო უნდა დავიცვათო, არც სოციალ-შოვინისტებისას, არასდროს არ მოუცია ანექსიის ისეთი განსაზღვრა, რომელიც მიუდგებოდეს გერმანიასაც და რუსეთსაც, ისეთი, რომ მისი გამოყენება შეიძლებოდეს ყოველი მხარის მიმართ. და არც შეუძლია მოგვცეს, იმიტომ რომ მთელი ეს ომი არის ანექსიების, ე. ი. ორივე მხარის, ომის მაწარმოებელი ორივე ჯგუფის მხრივ მიტაცების, კაპიტალისტური ძარცვა-გლეჯის პოლიტიკის განგრძობა. ამიტომაც გასაგებია, რომ იმ საკითხს, თუ ამ ორ მტაცებელთაგან ვინ იყო პირველი, რომელმაც ხმალი იშიშვლა, ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აიღეთ ორივე ჯგუფის საზღვაო და სამხედრო ხარჯების ისტო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 17 — 20. რ ე დ.

რია ათწლეულთა განმავლობაში, აიღეთ იმ პატარა ომების ისტორია, რომელთაც ისინი აწარმოებდნენ დიდი ომის წინ, — «პატარა» იმიტომ, რომ ევროპელები ამ ომებში ცოტა იღუპებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იღუპებოდნენ ასი ათასობით ის ხალხები, რომელთაც ახრჩობდნენ, რომელნიც მათი თვალსაზრისით ხალხებადაც კი არ ითვლებიან (ვიღაც აზიელები, აფრიკელები — განა ეს ხალხებია?); ამ ხალხების წინააღმდეგ ასეთნაირ ომებს აწარმოებდნენ: ისინი უიარაღონი იყვნენ, მათ კი ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ. განა ეს ომებია? ეს ხომ, კაცმა რომ თქვას, ომები არც კია, ეს შეიძლება დავივიწყოთო. აი როგორ უდგებიან ისინი ხალხთა მასების ამ ერთიან მოტყუებას.

ეს ომი განგრძობაა დაპყრობათა, მთელ ეროვნებათა გაჟლეტის, გაუგონარ მხეცობათა იმ პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდნენ გერმანელები და ინგლისელები აფრიკაში, ინგლისელები და რუსები სპარსეთში, — არ ვიცი, მათგან ვინ უფრო მეტად, — რის გამოც გერმანელი კაპიტალისტები მათ ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს. ჰო, თქვენ ძლიერნი ხართ იმით, რომ მდიდარი ხართ? მაგრამ ჩვენ თქვენზე უფრო ძლიერი ვართ, ამიტომ ჩვენც ასეთივე «წმიდათა წმიდა» უფლება გვაქვს ძარცვისაო. აი რას წარმოადგენს ინგლისისა და გერმანიის ფინანსური კაპიტალის ნამდვილი ისტორია მთელი რიგი ათწლეულების მანძილზე, რომლებიც ომს წინ უსწრებდნენ. აი რას წარმოადგენს რუსეთ-გერმანიის, რუსეთ-ინგლისისა და გერმანია-ინგლისის ურთიერთობის ისტორია. აი სად არის გასაღები იმის გასაგებად, თუ რის გულისთვის წარმოებს ომი. აი რატომ წარმოადგენს თვალთმაქცობასა და მოტყუებას გავრცელებული ისტორია იმის შესახებ, თუ რის გულისთვის გაჩაღდა ომი. ივიწყებენ რა ფინანსური კაპიტალის ისტორიას, იმის ისტორიას, თუ როგორ მწიფდებოდა ეს ომი გადაყოფის გულისთვის, საქმეს ასე წარმოგვიდგენენ: მშვიდობიანად ცხოვრობდა ორი ხალხი, შემდეგ ერთი თავს დაესხა, მეორემ თავდაცვა დაიწყო. დავიწყებულია მთელი მეცნიერება, დავიწყებულია ბანკები, ხალხებს მოუწოდებენ იარაღი აისხას,

მოუწოდებენ გლეხს, რომელმაც არ იცის რა არის პოლიტიკა, იარაღს მოჰკიდოს ხელი. უნდა დავიცვათ — ეს არის და ეს! თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ თანმიმდევრული იქნება ყველა გაზეთი დავხუროთ, ყველა წიგნი დავწვათ და პრესაში ავკრძალოთ ანექსიებზე ლაპარაკი, — ასეთი გზით შეიძლება მივიდეთ ანექსიებზე ასეთი თვალსაზრისის გამართლებამდე. მათ არ შეუძლიათ სიმართლე თქვან ანექსიებზე, იმიტომ რომ რუსეთის, ინგლისის, გერმანიის მთელი ისტორია — ეს არის ერთიანი, ულმობელი, სისხლისმღვრელი ომი ანექსიების გულისთვის. სპარსეთში, აფრიკაში ულმობელ ომებს აწარმოებდნენ ლიბერალები, რომლებიც ინდოეთში პოლიტიკურ დამნაშავეებს წკეპლავდნენ იმისთვის, რომ ისინი ბედავდნენ იმ მოთხოვნების წამოყენებას, რომლებისთვისაც იბრძოდნენ ჩვენში, რუსეთში. საფრანგეთის კოლონიური ჯარებიც ჩაგრავდნენ ხალხებს. აი ომამდელი ისტორია, აი გაუგონარი ძარცვა-გლეჯის ნამდვილი ისტორია! აი ამ კლასების რა პოლიტიკას განაგრძობს ეს ომი. აი რატომ არის, რომ ანექსიების საკითხში მათ არ შეუძლიათ მოგვცენ ის პასუხი, რომელსაც ჩვენ ვიძლევით, როცა ვამბობთ: ყოველი ხალხი, რომელიც მეორე ხალხთან არის შეერთებული არა თავისი უმრავლესობის ნებაყოფლობითი სურვილით, არამედ მეფის ან მთავრობის გადაწყვეტილებით, ანექსირებული, დაპყრობილი ხალხია. ანექსიებზე ხელის აღება არის ყოველი ხალხისთვის უფლების მინიჭება — შექმნას ცალკე სახელმწიფო, ან იცხოვროს იმასთან კავშირში, ვისთანაც მას სურს. ასეთი პასუხი სავსებით ნათელია ყოველი რამდენადმე შეგნებული მუშისთვის.

ყოველ რეზოლუციაში, რომლებიც ათობით გამოაქვთ და რომლებიც იბეჭდება თუნდაც გაზეთ «ზემლია ი ვოლიაში»[92], თქვენ იპოვით ცუდად გამოთქმულ პასუხს: ჩვენ არ გვსურს ომი სხვა ხალხებზე ბატონობის გულისთვის, ჩვენ ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისათვის, — ასე ამბობს ყველა მუშა და გლეხი, და ამით ისინი გამოხატავენ მუშის შეხედულებას, მშრომელი კაცის შეხედულებას იმაზე, თუ როგორ ესმით მათ ომი. ამით ისინი ამბობენ: ომი რომ წარმოებდეს მშრომელთა

ინტერესების გულისთვის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ჩვენ ომის მომხრენი ვიქნებოდით. ჩვენც მაშინ ომის მომხრენი ვიქ-ნებოდით, და არ არსებობს ისეთი რევოლუციური პარტია, რომელიც ასეთი ომის წინააღმდეგი იქნებოდა. ისინი, უამრავი რეზოლუციის ეს ავტორები, მართალი არ არიან, იმიტომ რომ საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ომს ისინი აწარმოებენ. ჩვენ, ჯარისკაცები, ჩვენ, მუშები, ჩვენ, გლეხები ვომობთ ჩვენი თავისუფლებისათვის. არასდროს არ დამავიწყდება ის შეკითხვა, რომელიც ერთი მიტინგის შემდეგ მომცა ერთმა დამსწრეთაგანმა: «რა არის რომ სულ მუდამ კაპიტალისტების წინააღმდეგ ლაპარაკობთ? განა მე კაპიტალისტი ვარ? ჩვენ — მუშები ვართ, ჩვენ ვიცავთ ჩვენს თავისუფლებას». ტყუი-ლია, — თქვენ ომობთ იმიტომ, რომ ემორჩილებით თქვენს კაპიტალისტების მთავრობას, ომს აწარმოებენ არა ხალხები, არამედ მთავრობები. მე არ მაკვირვებს, რომ მუშას ან გლეხს, რომელსაც პოლიტიკა არ შეუსწავლია, არ ჰქონია ბედნიერება თუ უბედურება შეესწავლა დიპლომატიის საიდუმლოებანი, ამ ფინანსური ძარცვის სურათი (სპარსეთის ეს ჩაგვრა, რუ-სეთის მიერ და თუნდათ ინგლისის მიერ), მე არ მაკვირვებს, რომ მას ეს ისტორია ავიწყდება, რომ ის გულუბრყვილოდ აყენებს კითხვას: რა საქმე მაქვს კაპიტალისტებთან, თუ ვომობ მე? მას არ ესმის რა კავშირი აქვს ომს მთავრობასთან, არ ესმის, რომ ომს აწარმოებს მთავრობა, ის კი წარმოადგენს იმ იარაღს, რომელსაც იყენებს მთავრობა. მას შეუძლია უწო-დოს თავს რევოლუციური ხალხი, წეროს მჭევრმეტყველური რეზოლუციები, — რუსებისთვის ეს ბევრიც კია, რადგან ეს მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ შემოვიდა ცხოვრებაში. ამას წინათ გამოვიდა დროებითი მთავრობის «რევოლუციური» დეკლარაცია. ამით საქმე არ იცვლება, და სხვა ხალხებმა, რო-მელთაც «რევოლუციური» მანიფესტების წერის მხრივ ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვთ კაპიტალისტების მიერ მასების მოტყუების ოსტატობაში, დიდი ხანია ყველა რეკორდი დაამ-ყარეს ამ ქვეყნად. თუ ავიღებთ საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის ისტორიას იმ დროიდან, რაც ის ცარიზმის მხა-

რისდამჭერი რესპუბლიკა გახდა, — ჩვენ მრავალი ათეული მაგალითი გვაქვს საფრანგეთის პარლამენტის ისტორიისა, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდება, როცა უაღრესად მჭევრმეტყველური სიტყვებით სავსე მანიფესტები ფარავდნენ ყველაზე ბინძური კოლონიური და ფინანსური ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მთელი ისტორია ამ ძარცვა-გლეჯის ისტორიაა. ამ წყაროებიდან წარმოიშვა ახლანდელი ომი. ეს არ არის კაპიტალისტების ბოროტი ნების შედეგი, არც მონარქების რაიმე შემცდარი პოლიტიკა. ასეთი შეხედულება სწორი არ იქნებოდა. არა, ეს ომი გარდუვალად გამოწვეულია გიგანტურად მსხვილი კაპიტალიზმის, განსაკუთრებით საბანკო კაპიტალიზმის, იმ განვითარებით, რომელმაც გამოიწვია ის, რომ ბერლინის რაღაც ოთხიოდე ბანკი და ლონდონის ხუთი თუ ექვსი ბანკი ბატონობს მთელ მსოფლიოში, ისინი ხელთ იგდებენ მთელ სახსრებს, თავიანთ ფინანსურ პოლიტიკას განამტკიცებენ მთელი შეიარაღებული ძალით და, ბოლოს, ეჯახებიან ერთმანეთს გაუგონრად მხეცურ ომში იმის გამო, რომ დატაცებისათვის თავისუფალი გასაქანი აღარ არის. ან ერთმა უნდა აიღოს ხელი თავისი კოლონიების ფლობაზე, ან მეორემ. ასეთი საკითხები კაპიტალისტების ამ სამყაროში ნებაყოფლობით არ წყდება. ამის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ომით. აი რატომ არის აქ სასაცილო, რომ ბრალი დავდოთ ამა თუ იმ გვირგვინოსან ყაჩაღს. ისინი ყველანი ერთნაირი არიან — ეს გვირგვინოსანი ყაჩაღები. აი ამიტომაც შეუსაბამოა აგრეთვე ბრალი დავდოთ ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალისტებს. ისინი დამნაშავენი არიან მხოლოდ იმაში, რომ ასეთი სისტემა შემოიღეს. მაგრამ ასე ხდება ყველა იმ კანონის მიხედვით, რომელთაც ცივილიზებული სახელმწიფოს მთელი ძალებით იცავენ. «მე აღჭურვილი ვარ მთელი ჩემი უფლებით, მე ვყიდულობ აქციებს. ყველა სასამართლო, მთელი პოლიცია, მთელი მუდმივი ჯარი და მთელი ფლოტი ქვეყნად იცავს აქციების ფლობის ამ ჩემს წმიდათა წმიდა უფლებას». თუ იქმნება ბანკები, რომლებიც ასეულ მილიონ მანეთს ატრიალებენ,

თუ მათ საბანკო ძარცვის ქსელში გახვიეს მთელი მსოფლიო, თუ ეს ბანკები ერთმანეთს შეეჯახნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ,— ვინ არის დამნაშავე? ეძიე დამნაშავე! ამაში დამნაშავეა კაპიტალიზმის მთელი განვითარება ნახევარი საუკუნის მანძილზე, და აქედან გამოსავალი არ არის, გარდა კაპიტალისტების ბატონობის დამხობისა და მუშათა რევოლუციისა. აი ის პასუხი, რომელიც გამოიტანა ჩვენმა პარტიამ ომის ანალიზიდან, აი რატომ ვამბობთ ჩვენ: ანექსიების უმარტივესი საკითხი იმდენად არეულ-დარეულია, ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები იმდენად გაცრუპენტელავდნენ, რომ მათ შეუძლიათ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს კურლანდია რუსეთის ანექსია არ იყოს. კურლანდიასა და პოლონეთს ისინი, ეს სამი გვირგვინოსანი ყაჩაღი, ერთად იყოფდნენ. ისინი ასი წლის განმავლობაში იყოფდნენ, ისინი გლეჯდნენ ცოცხალ ხორცს, და რუსმა ყაჩაღმა მეტი ირგო, იმიტომ რომ მაშინ უფრო ძლიერი იყო. ხოლო როდესაც მაშინ გაყოფაში მონაწილე ახალგაზრდა მტაცებელი გაიზარდა და ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფო — გერმანია გახდა, იგი ამბობს: მოდით, ხელახლა გავყოთო! თქვენ გინდათ ძველი მდგომარეობა შეინარჩუნოთ? თქვენა გგონიათ, რომ უფრო ძლიერი ხართ? ვცადოთ!

აი სადამდე მიდის ეს ომი. რა თქმა უნდა, ეს გამოწვევა — «ვცადოთო!» — არის მხოლოდ ძარცვის ათეული წლის პოლიტიკის, მსხვილი ბანკების პოლიტიკის გამოხატულება. აი რატომაა, რომ უბრალო, ყოველი მუშისა და გლეხისთვის გასაგები სიმართლე ანექსიების შესახებ არავის შეუძლია ისე თქვას, როგორც ჩვენ. აი რატომაა, რომ ხელშეკრულებების ასეთი უბრალო საკითხი ასე ურცხვადაა დახლართული მთელი პრესის მიერ. თქვენ ამბობთ, ჩვენ რევოლუციური მთავრობა გვყავს, რომ ამ რევოლუციურ მთავრობაში შევიდნენ მინისტრები — თითქმის სავსებით სოციალისტები, ნაროდნიკები და მენშევიკებიო. მაგრამ როდესაც ისინი აცხადებენ უანექსიო ზავს, მხოლოდ იმ პირობით, რომ არ განსაზღვრონ, რა არის უანექსიო ზავი (ეს ნიშნავს: — გერმანიას ანექსიები წაართვი, ხოლო საკუთარი ანექსიები შეინარჩუნე), — ჩვენ ვეუბნებით:

რა ფასი აქვს თქვენს «რევოლუციურ» სამინისტროს, თქვენს დეკლარაციებს, თქვენს განცხადებებს, იმას, რომ თქვენ არ გსურთ დაპყრობითი ომი, — თუ იმავე დროს ჯარს მოუწოდებთ შეტევაზე გადავიდეს? განა თქვენ არ იცით, რომ გაქვთ ხელშეკრულებები, რომ ისინი დადებულია ნიკოლოზ სისხლისმსმელის მიერ უაღრესად ყაჩაღური გზით? თქვენ ეს არ იცით? ამის არცოდნა ეპატიებათ მუშებს, გლეხებს, რომელთაც არ უძარცვავთ, რომელთაც ჭკუიანი წიგნები არ წაუკითხავთ, ხოლო როდესაც ამას განათლებული კადეტები ქადაგებენ, მათ მშვენივრად იციან, თუ რას შეიცავენ ეს ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები «საიდუმლოა», მაგრამ მათ შესახებ ყველა ქვეყნის მთელი დიპლომატიური პრესა ლაპარაკობს: «შენ მიიღებ სრუტეებს, შენ — სომხეთს, შენ — გალიციას, შენ — ელზას-ლორენს, შენ — ტრიესტს, ჩვენ კი საბოლოოდ გავინაწილებთ სპარსეთსო». ხოლო გერმანელი კაპიტალისტი ამბობს: «მე კი, თუ ჩემს კოლონიებს არ დამიბრუნებთ პროცენტებით, დავიპყრობ ეგვიპტეს, ჩავახრჩობ ევროპის ხალხებსო». აქცია ისეთი რამაა, რომ უპროცენტოდ შეუძლებელია. აი რატომაა, რომ ხელშეკრულებების ასეთმა უბრალო და ასეთმა ნათელმა საკითხმა გამოიწვია ამდენი აღმაშფოთებელი, გაუგონარი, უტიფარი სიცრუე, რაც გაისმის ყველა კაპიტალისტური გაზეთის ფურცლებიდან.

აიღეთ დღევანდელი გაზეთი «დენი». იქ ვოდოვოზოვი, ადამიანი, რომელსაც ბოლშევიზმს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავწამებთ, მაგრამ რომელიც პატიოსანი დემოკრატია, აცხადებს: მე წინააღმდეგი ვარ საიდუმლო ხელშეკრულებებისა, ნება მიბოძეთ ვილაპარაკო რუმინეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე. საიდუმლო ხელშეკრულება რუმინეთთან არსებობს და ეს ხელშეკრულება იმაში მდგომარეობს, რომ რუმინეთი მიიღებს მთელ რიგ სხვა ხალხებს, თუ მოკავშირეთა მხარეზე იომებს. სულ ერთიანად ასეთია სხვა მოკავშირეთა ყველა ხელშეკრულება. უხელშეკრულებოდ ისინი არ დასთანხმდებოდნენ ყველას ჩახრჩობას. ამ ხელშეკრულებათა შინაარსის გასაცნობად საჭირო არ არის სპეციალურ ჟურნალებში ქექვა.

მათ გასაცნობად საკმარისია მოვიგონოთ ეკონომიური და დიპ-ლომატიური ისტორიის ძირითადი ფაქტები. ავსტრია ხომ ათეული წლობით ილაშქრებდა ბალკანეთის წინააღმდეგ, — რომ იქ ჩაეხრჩო... და თუ ისინი ომში ერთმანეთს დაეჯახნენ, მათ არც შეეძლოთ არ დაჯახებოდნენ ერთიმეორეს. აი რა-ტომაა, რომ ხალხის მასების ყველა მოწოდებაზე — გამოაქვეყ-ნონ ხელშეკრულებები, მოწოდებაზე, რაც სულ უფრო და უფ-რო დაყინებით მეორდება, მინისტრები, ყოფილი — მილიუკო-ვი და ახლანდელი — ტერეშჩენკო (პირველი — იმ მთავრობა-ში, სადაც სოციალისტი მინისტრები არ ყოფილან, მეორე — მთავრობაში მთელი რიგი თითქმის-სოციალისტი მინისტრე-ბით), აცხადებენ: ხელშეკრულებების გამოქვეყნება ნიშნავს მოკავშირეებთან კავშირის გაწყვეტასო.

დიახ, ხელშეკრულებების გამოქვეყნება შეუძლებელია, იმიტომ რომ თქვენ ყველანი მონაწილენი ხართ ყაჩაღების ერთი და იმავე ბრბოსი. ჩვენ ვეთანხმებით მილიუკოვსა და ტერეშ-ჩენკოს, რომ ხელშეკრულებების გამოქვეყნება შეუძლებე-ლია. აქედან შეიძლება ორი სხვადასხვა დასკვნა გამოვიყვანოთ. თუ ჩვენ ვეთანხმებით მილიუკოვსა და ტერეშჩენკოს, რომ ხელ-შეკრულებების გამოქვეყნება შეუძლებელია, რა გამომდინა-რეობს აქედან? თუ ხელშეკრულებების გამოქვეყნება შეუძლე-ბელია, მაშინ უნდა დავეხმაროთ კაპიტალისტ-მინისტრებს ომის განგრძობაში. მეორე დასკვნა კი ასეთია: რადგან ხელშეკრუ-ლებების გამოქვეყნება თვით კაპიტალისტებს არ შეუძლიათ, საჭიროა დავამხოთ კაპიტალისტები. რომელი დასკვნა მიგაჩ-ნიათ თქვენ უფრო სწორად, გირჩევთ თქვენ თვითონ გა-დაწყვიტოთ, მაგრამ გირჩევთ უთუოდ ჩაუფიქრდეთ შედეგებს. თუ ისე ვიმსჯელებთ, როგორც ნაროდნიკი და მენშევიკი მინისტრები მსჯელობენ, გამოდის ასე: რაკი მთავრობა ამ-ბობს, რომ ხელშეკრულებების გამოქვეყნება შეუძლებელიაო, საჭიროა გამოვცეთ ახალი მანიფესტი. ქალალდი ჯერ კიდევ ისე არ გაძვირებულა, რომ არ შეიძლებოდეს ახალი მანიფეს-ტების დაწერა. დავწეროთ ახალი მანიფესტი და დავიწყოთ შეტევა. რისთვის? რა მიზნით? ვინ განაგებს ამ მიზნებს?

ჯარისკაცებს მოუწოდებენ განახორციელონ მძარცველური ხელშეკრულებები რუმინეთთან და საფრანგეთთან. გაგზავნეთ ვოდოვოზოვის ეს სტატია ფრონტზე და შემდეგ იწუწუნეთ: ყოველივე ეს ბოლშევიკების ბრალია, უეჭველია, ბოლშევიკებმა მოიგონეს ეს ხელშეკრულება რუმინეთთანო. მაგრამ მაშინ არათუ გაზეთ «პრავდის» აღგვა მოგვიხდება პირისაგან მიწისა, თვით ვოდოვოზოვიც კი უნდა განვდევნოთ იმის გამო, რომ მან ისტორია შეისწავლა, მაშინ უნდა დავწვათ მილიუკოვის წიგნებიც, საშინლად საშიში წიგნები. აბა სცადეთ და გადაშალეთ «სახალხო თავისუფლების» პარტიის ბელადის, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის რომელიმე წიგნი. კარგი წიგნებია. რაზეა იქ ლაპარაკი? იმაზე, რომ რუსეთს აქვს «უფლებები» სრუტეებზე, სომხეთზე, გალიციაზე, აღმოსავლეთ პრუსიაზე. მან ყველაფერი გაანაწილა, რუკაც კი დაურთო. არათუ ბოლშევიკებს და ვოდოვოზოვს უნდა ვუკრათ თავი ციმბირში იმისთვის, რომ ისინი ასეთ რევოლუციურ სტატიებს წერენ, — მილიუკოვის წიგნებიც უნდა დავწვათ, იმიტომ რომ, ახლა უბრალო ციტატები რომ შევკრიბოთ მილიუკოვის ამ წიგნებიდან და ფრონტზე გავგზავნოთ, ვერც ერთ მგზნებარე პროკლამაციას ვერ იპოვით, რომელიც ესოდენ ამაღელვებლად იმოქმედებდა.

იმ მოკლე გეგმის მიხედვით, რომელიც მე დავსახე დღევანდელი საუბრისთვის, ახლა დამრჩა შევეხო «რევოლუციური ობორონცობის» საკითხს. ჩემი აზრით, მას შემდეგ, რაც მე პატივი მქონდა მომეხსენებინა თქვენთვის, შემიძლია უკვე მოკლედ ვილაპარაკო ამ საკითხზე.

«რევოლუციური ობორონცობა» ეწოდება ომის ისეთ შენიღბვას, რომელსაც სჩადიან იმის დამოწმებით, რომ, ხომ ხედავთ, ჩვენ მოვახდინეთ რევოლუცია, ჩვენ ხომ რევოლუციური ხალხი ვართ, ჩვენ რევოლუციური დემოკრატია ვართო. მაგრამ ამ კითხვაზე რა პასუხს ვიძლევით ჩვენ? რა რევოლუცია მოვახდინეთ ჩვენ? ჩვენ ჩამოვაგდეთ ნიკოლოზი. რევოლუცია არცთუ ძალიან ძნელი იყო ისეთ რევოლუციასთან შედარებით, რომელიც დაამხობდა მემამულეებისა და კაპიტალისტების

მთელ კლასს. ვინ აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში ჩვენი რევოლუციის შემდეგ? — მემამულეები და კაპიტალისტები, — სწორედ ისინი, ვინც ევროპაში უკვე დიდი ხანია ხელისუფლების სათავეში დგას. იქ ასეთი რევოლუციები ასი წლის წინათ მოხდა, იქ დიდი ხანია ხელისუფლების სათავეში დგანან ტერეშჩენკოები, მილიუკოვები და კონოვალოვები, და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, უხდიან ისინი თავიანთ მეფეს თანხებს ცივილური ფურცლის[93] მიხედვით, თუ იოლად მიდიან ფუფუნების ამ ხარჯების გაუღებლადაც. ბანკი სულ ერთია ბანკად რჩება, მიუხედავად იმისა, უამრავ კაპიტალს აბანდებენ თუ არა კონცესიებში; მოგება მოგებად რჩება, სულ ერთია, რესპუბლიკაში იქნება ის თუ მონარქიაში. თუ რომელიმე ველური ქვეყანა ბედავს არ დაემორჩილოს ჩვენს ცივილიზებულ კაპიტალს, რომელიც ასეთ ჩინებულ ბანკებს აწყობს კოლონიებში, აფრიკაში, სპარსეთში, თუ რომელიმე ველური ხალხები არ ემორჩილებიან ჩვენს ცივილიზებულ ბანკს, ჩვენ ვგზავნით ჯარებს და ისინი ამყარებენ კულტურას, წესრიგსა და ცივილიზაციას, როგორც ამას შვრებოდა ლიახოვი სპარსეთში, როგორც ამას შვრებოდნენ საფრანგეთის «რესპუბლიკური» ჯარები, რომელნიც ასევე მხეცურად ჟლეტდნენ ხალხებს აფრიკაში. განა სულ ერთი არ არის: ესეც «რევოლუციური ობორონცობაა», მხოლოდ ამას იჩენენ შეუგნებელი ხალხის ფართო მასები, რომელნიც ვერ ხედავენ ომის კავშირს მთავრობასთან, რომელთაც არ იციან, რომ ეს პოლიტიკა განმტკიცებულია ხელშეკრულებებით. ხელშეკრულებები დარჩა, ბანკები დარჩა, კონცესიები დარჩა. რუსეთის მთავრობაში სხედან თავისი კლასის საუკეთესო ადამიანები, მაგრამ ამით მსოფლიო ომის ხასიათში სრულიად არაფერი შეცვლილა. ახალი «რევოლუციური ობორონცობა» მხოლოდ დაფარვაა რევოლუციის დიადი ცნებით ბინძური და სისხლისმღვრელი ომისა ბინძური და საზიზღარი ხელშეკრულებების გულისთვის.

რუსეთის რევოლუციას ომი არ შეუცვლია, მაგრამ მან შექმნა ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც არც ერთ ქვეყანაში

არ არის და არც ყოფილა დასავლეთის რევოლუციების უმრავ-ლესობაში. რევოლუციების უმრავლესობა იმას სჯერდებოდა, რომ იქმნებოდა ახალი მთავრობა მსგავსად ჩვენი ტერეშჩენ-კოებისა და კონოვალოვებისა, ქვეყანა კი პასიური და დეზ-ორგანიზებული რჩებოდა. რუსეთის რევოლუცია უფრო შორს წავიდა. ეს ფაქტი შეიცავს იმის ჩანასახს, რომ მას შეუძლია დაძლიოს ომი. ეს ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ გარდა «თითქმის-სოციალისტი» მინისტრების მთავრობისა, იმპერია-ლისტური ომის მთავრობისა, შეტევის მთავრობისა, მთავრო-ბისა, რომელიც დაკავშირებულია ინგლის-საფრანგეთის კა-პიტალთან, გარდა ამისა, ამისაგან დამოუკიდებლად, ჩვენ მთელ რუსეთში გვაქვს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტა-ტების საბჭოების ქსელი. აი ის რევოლუცია, რომელსაც ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. აი რევოლუ-ცია, რომელიც დასავლეთ ევროპაში ასეთ პირობებში არ ყო-ფილა. აი იმ კლასების ორგანიზაციები, რომელთაც ანექსიები მართლაც არ ესაჭიროებათ, რომელთაც ბანკებში მილიონები არ მოუთავსებიათ, რომელნიც, ვგონებ, დაინტერესებული არ არიან იმაში, სწორად გაიყვეს თუ არა სპარსეთი რუსმა პოლ-კოვნიკმა ლიახოვმა და ინგლისის ლიბერალურმა ელჩმა. აი რაშია იმის საწინდარი, რომ ამ რევოლუციას შეუძლია უფრო შორს წავიდეს. ის გარემოება, რომ კლასებმა, რომელნიც მართლაც არ არიან დაინტერესებული ანექსიებით, მიუხედა-ვად მთელი მათი მეტისმეტი ნდობისა კაპიტალისტების მთავ-რობისადმი, მიუხედავად ამ საშინელი არევ-დარევისა, საში-ნელი ტყუილისა, რომელსაც შეიცავს თვით ცნება «რევოლუ-ციური ობორონცობა», მიუხედავად იმისა, რომ ეს კლასები მხარს უჭერენ სესხს, მხარს უჭერენ იმპერიალისტური ომის მთავრობას, — მიუხედავად ყოველივე ამისა, მათ შეძლეს ისე-თი ორგანიზაციების შექმნა, რომლებშიც წარმოდგენილი არიან დაჩაგრულ კლასთა მასები. ეს არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც თავიანთ რევო-ლუციურ მუშაობაში რუსეთის ძალიან ბევრ ადგილას გაცი-ლებით უფრო შორს წავიდნენ, ვიდრე პეტროგრადში. ეს

საესებით ბუნებრივიცაა, იმიტომ რომ პეტროგრადში ჩვენ გვაქვს კაპიტალისტების ცენტრალური ორგანო.

და თუ გუშინ სკობელევმა თავის სიტყვაში თქვა: ჩვენ ავიღებთ მთელ მოგებას, 100 პროცენტს ავიღებთო, მან გადააჭარბა, მინისტრულად გადააჭარბა. თუ დღევანდელ გაზეთ «რეჩს» აიღებთ, დაინახავთ, როგორ შეხვდნენ სკობელევის სიტყვის ამ ადგილს. იქ წერენ: «ეს ხომ შიმშილს, სიკვდილს ნიშნავს, 100% — მაშასადამე — სულ მთლად!». მინისტრი სკობელევი ყველაზე უკიდურეს ბოლშევიკზე უფრო შორს მიდის. ეს ცილისწამებაა, თითქოს ბოლშევიკები ყველაზე უფრო ძემარცხენენი იყვნენ. მინისტრი სკობელევი ბევრად უფრო «მემარცხენეა». მე საძაგლად მაგინებდნენ — თითქოს იმასაც კი მოვითხოვდი, რომ ტანსაცმელი გაგვეხადა კაპიტალისტებისთვის. ყოველ შემთხვევაში შულგინი ამბობდა: «დაე ტანსაცმელიც გაგვხადონო!». წარმოიდგინეთ ბოლშევიკი, რომელიც მიდის მოქალაქე შულგინთან და აპირებს მისთვის ტანსაცმლის გახდას. მას შეეძლო მეტი წარმატებით დაებრალებინა ეს მინისტრ სკობელევისთვის. ჩვენ არასოდეს არ შეგვიტოპავს ასე შორს. არასოდეს არ მოგვითხოვია აგველო მოგების 100 პროცენტი. ასეთი დაპირება რაც უნდა იყოს მაინც საგულისხმოა. თუ თქვენ ჩვენი პარტიის რეზოლუციას აიღებთ, დაინახავთ, რომ მასში ჩვენ უფრო დასაბუთებულად მოვითხოვთ იმასვე, რასაც მე მოვითხოვდი. უნდა დაწესდეს კონტროლი ბანკების მიმართ, შემდეგ კი სამართლიანი საშემოსავლო გადასახადი *. ეს არის და ეს! სკობელევი გვირჩევს მანეთზე ასი კაპიკი ავიღოთ. ამის მსგავსი რამ ჩვენ არც მოგვითხოვია და არც მოვითხოვთ. და სკობელევმაც აქ მხოლოდ გადააჭარბა. ამის სერიოზულად განხორციელებას ის არ აპირებს, ხოლო თუკი აპირებს, ვერ შეძლებს იმ უბრალო მიზეზით, რომ ყოველივე ამის დაპირება ტერეშჩენკოსთან და კონოვალოვთან დამეგობრებით, — ცოტა არ იყოს სასაცილოა. მილიონერებისგან შემოსავლის 80 — 90 პროცენტის აღება შეიძლება, მაგრამ არა ასეთ მინისტრებთან დამეგობრებით.

* იხ. ეს ტომი, გვ. 368. რ ე დ.

ძალაუფლება რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში იყოს, ისინი მართლაც აიღებდნენ, მაგრამ ისიც არა მთლად, — მათ ეს არც ესაჭიროებათ. ისინი აიღებდნენ შემოსავლის მეტ ნაწილს. სხვა სახელმწიფო ხელისუფლებას ეს არ შეუძლია. მინისტრ სკობელევის მხრივ კი შეიძლება იყოს საუკეთესო სურვილები. მე რამდენიმე ათეული წელია ვხედავ ამ პარტიებს, უკვე 30 წელია ჩაბმული ვარ რევოლუციურ მოძრაობაში. ამიტომ ყველაზე უფრო ნაკლებ მეპარება ეჭვი მათს კეთილ განზრახვებში. მაგრამ საქმე ამაში როდია, საქმე კეთილ განზრახვებში როდია. კეთილი განზრახვებითაა მოკირწყლული ჯოჯოხეთი. ხოლო მოქალაქე მინისტრების მიერ ხელმოწერილი ქაღალდებით სავსეა ყველა კანცელარია, და ამით საქმე არ შეცვლილა. დაიწყეთ, თუ კონტროლის შემოღება გსურთ, დაიწყეთ! ჩვენი პროგრამა ისეთია, რომ, როცა სკობელევის სიტყვას ვკითხულობთ, შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ მეტს არც მოვითხოვთ. ჩვენ მინისტრ სკობელევზე ბევრად უფრო ზომიერნი ვართ. ის გვირჩევს კონტროლსაც და 100 პროცენტსაც. ჩვენ 100%-ის აღება არ გვინდა და ვამბობთ: «ვიდრე რაიმეს გაკეთება არ დაგიწყიათ, ჩვენ არ გიჯერით». აი რა განსხვავებაა ჩვენს შორის: ჩვენ არ გვჯერა სიტყვები და დაპირებები და არც სხვებს ვურჩევთ დაიჯერონ. პარლამენტური რესპუბლიკების გამოცდილება გვასწავლის, რომ ლიტონ განცხადებებს არ დაეჯერება. თუ კონტროლი გინდათ, იგი უნდა დაიწყოთ. საკმარისია ერთი დღე, რომ გამოიცეს კანონი ასეთი კონტროლის შესახებ. ყოველი ბანკის მოსამსახურეთა საბჭოს, ყოველი ფაბრიკის მუშათა საბჭოს, ყოველ პარტიას კონტროლის უფლება ეძლევა. ეს შეუძლებელიაო, გვეტყვიან, ეს კომერციული საიდუმლოებაა, ეს წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებაა! მაშინ, როგორც გენებოთ, აირჩიეთ ორში ერთი. თუ თქვენ გინდათ ტრესტების ყველა ეს დავთარი, ანგარიშები, ყველა ოპერაცია დაფაროთ, ნუღარ ლაყბობთ კონტროლზე, ნუღარ ლაპარაკობთ, ქვეყანა იღუპებაო.

გერმანიაში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. რუსეთში შეიძლება პურის შოვნა, გერმანიაში კი მას ვერ იშოვნი. რუსეთში ორგანიზაციის პირობებში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. გერმანიაში მეტს ვეღარაფერს გააკეთებ. პური მეტი აღარ არის და მთელი ხალხის დაღუპვა გარდუვალია. ახლა წერენ, რუსეთი დაღუპვის პირასაა. თუ ასეა, «წმიდათა წმიდა» კერძო საკუთრების დაცვა დანაშაულია. ამიტომაც რას ნიშნავს სიტყვები კონტროლის შესახებ? განა დაგავიწყდათ, რომ ნიკოლოზ რომანოვიც ბევრს წერდა კონტროლზე. მისგან თქვენ ათასჯერ გსმენიათ სიტყვები: სახელმწიფო კონტროლი, საზოგადოებრივი კონტროლი, სენატორების დანიშვნა. მრეწველებმა რევოლუციის შემდეგ ორი თვის განმავლობაში მთელი რუსეთი გაძარცვეს. კაპიტალი ასეულ პროცენტ მოგებას იხვეჭდა, ყოველი ანგარიში მეტყველებს ამაზე. ხოლო როდესაც მუშებმა რევოლუციის ორი თვის შემდეგ «კადნიერება» გამოიჩინეს და თქვეს, გვინდა ადამიანურად ვიცხოვროთო, ქვეყნის მთელმა კაპიტალისტურმა პრესამ ღრიალი **ატეხა.** «რეჩის» ყოველი ნომერი — მხეცური ღრიალია იმის შესახებ, რომ მუშები ძარცვავენ ქვეყანასო, ჩვენ კი მხოლოდ კონტროლს ვპირდებით კაპიტალისტების მიმართ. ხომ არ შეიძლება უფრო ნაკლები დაპირებები, ხომ არ შეიძლება უფრო მეტი საქმე? თუ თქვენ გინდათ მოხელური კონტროლი, კონტროლი ისეთივე ორგანოების მეშვეობით, როგორც წინათ იყო, ჩვენი პარტია ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ ამ საქმეში მხარს ვერ დაგიჭერთ, თუნდაც იქ, მთავრობაში, ექვსის ნაცვლად თორმეტი ნაროდნიკი და მენშევიკი მინისტრი იყოს. კონტროლის განხორციელება მხოლოდ თვით ხალხს შეუძლია. თქვენ უნდა მოაწყოთ კონტროლი — ბანკის მოსამსახურეთა საბჭოები, ინჟინერთა საბჭოები, მუშათა საბჭოები, და ხვალვე დაიწყოთ ეს კონტროლი. ყოველი მოხელე უნდა გავხადოთ პასუხისმგებელი იმის შიშით, რომ სისხლის სამართლის წესით დაისჯება იმ შემთხვევაში, თუ ის რომელიმე ამ დაწესებულებაში არასწორ ჩვენებას მისცემს. საქმე ქვეყნის დაღუპვას ეხება. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენი გვაქვს პური, რამ-

დენი ნედლეული, რამდენი მუშახელი, როგორ განვალაგოთ ისინი.

აქ მე გადავდივარ უკანასკნელ საკითხზე. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დავამთავროთ ომი. ჩვენ მოგვაწერენ უაზრო შეხედულებას, თითქოს სეპარატიული ზავი გვინდოდეს. გერმანელი ყაჩაღი კაპიტალისტები ნაბიჯს დგამენ ზავისაკენ და ამბობენ: მე შენ მოგცემ თურქეთისა და სომხეთის ნაწილს, თუ მადნიან მიწას მომცემო. დიპლომატები ხომ აი ამაზე ლაპარაკობენ ყოველ ნეიტრალურ ქალაქში! ეს ყველამ იცის. ეს დაფარულია მხოლოდ პირობითი დიპლომატიური ფრაზით. სწორედ იმიტომაც არიან ისინი დიპლომატები, რომ დიპლომატიური ენით ილაპარაკონ. რა უაზრობაა, თითქოს ჩვენ მომხრენი ვიყოთ სეპარატიული ზავით ომის დამთავრებისა! სამხედრო მოქმედებაზე ცალმხრივი უარის თქმით დამთავრება ომისა, რომელსაც აწარმოებენ ყველა უმდიდრესი სახელმწიფოს კაპიტალისტები, ომისა, რომელიც გამოწვეულია ეკონომიური განვითარების ათი წლის ისტორიით, — ეს ისეთი სისულელეა, რომ სასაცილოდაც კი მიგვაჩნია მისი უარყოფა. თუ ჩვენ სპეციალურად ვწერდით რეზოლუციას ამის უარსაყოფად, ეს იმიტომ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ფართო მასებთან, რომლებშიც ისვრიან ცილისწამებას ჩვენ მიმართ. მაგრამ ამაზე სერიოზულად ლაპარაკი არც კი ღირს. ომი, რომელსაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები აწარმოებენ, შეუძლებელია დამთავრდეს, თუ ამ კაპიტალისტების წინააღმდეგ არ მოვახდენთ მუშათა რევოლუციას. ვიდრე კონტროლი ფრაზის სფეროდან საქმის სფეროში არ გადასულა, ვიდრე კაპიტალისტების მთავრობის ადგილი რევოლუციური პროლეტარიატის მთავრობას არ დაუჭერია, მანამდე მთავრობას მხოლოდ ის უწერია, რომ ილაპარაკოს: ვიღუპებით, ვიღუპებით, ვიღუპებითო. ამჟამად «თავისუფალ» ინგლისში სოციალისტებს აპატიმრებენ იმისათვის, რომ ისინი იმასვე ლაპარაკობენ, რასაც მე ვლაპარაკობ. გერმანიაში საპყრობილეში ზის ლიბკნეხტი, რომელმაც იგივე თქვა, რასაც მე ვლაპარაკობ, ავსტრიაში საპყრობილეში ზის ფრიდრიხ ადლერი. რომელმაც იგივე თქვა რევოლვერით

(შესაძლოა, ის უკვე დასაჯეს სიკვდილით). ყველა ქვეყნის მუშათა მასების თანაგრძნობა ასეთი სოციალისტების მხარეზეა, და არა იმათ მხარეზე, ვინც თავიანთი კაპიტალისტების მხარეზე გადავიდა. მუშათა რევოლუცია მთელ მსოფლიოში იზრდება. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებში ის უფრო ძნელია. იქ არ არიან ისეთი ჭკუამოკლენი, როგორც ნიკოლოზი და რასპუტინი იყვნენ. იქ მართვა-გამგეობის სათავეში დგანან თავისი კლასის საუკეთესო ადამიანები. იქ არ არის პირობები რევოლუციისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, იქ უკვე არის კაპიტალისტური კლასის მთავრობა. იქ დიდი ხანია განაგებენ ამ კლასის უნიჭიერესი წარმომადგენლები. აი რატომაა, რომ იქ რევოლუცია თუმცა ჯერ კიდევ არ მომხდარა, მაგრამ ის გარდუვალია, რაგინდ ბევრი რევოლუციონერიც დაიღუპოს ისე, როგორც იღუპება ფრიდრიხ ადლერი, როგორც იღუპება კარლ ლიბკნეხტი. მომავალი მათია და ყველა ქვეყნის მუშებიც მათ მხარეზეა. და მუშებმაც ყველა ქვეყანაში უნდა გაიმარჯვონ.

ომში ამერიკის ჩაბმის შესახებ აი რას გეტყვით. იმოწმებენ იმას, რომ ამერიკაში დემოკრატიაა, იქ თეთრი სახლიაო. მე ვამბობ: მონობა ნახევარი საუკუნის წინათ დაამხვეს. ომი მონობის დასამხობად 1865 წელს დამთავრდა. ხოლო მას შემდეგ იქ მილიარდერები წარმოიშვნენ. მათ თავიანთ ფინანსურ მჯიღში უპყრიათ მთელი ამერიკა, ისინი ემზადებიან მექსიკის ჩასახრჩობად და აუცილებლად აუტეხენ ომს იაპონიას წყნარი ოკეანის გასაყოფად. ეს ომი უკვე რამდენიმე ათეული წელია მზადდება. მასზე ლაპარაკობს მთელი ლიტერატურა. და ომში ამერიკის ჩაბმის ნამდვილი მიზანიც — ესაა იაპონიასთან მომავალი ომისთვის მომზადება. ამერიკელი ხალხი მაინც მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობს და ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ის აიტანს იძულებითს სამხედრო ბეგარას, ჯარის შექმნას რაიმე დაპყრობითი მიზნებისათვის, მაგალითად, იაპონიასთან საომრად. ამერიკელები ევროპის მაგალითით ხედავენ რას იწვევს ეს. და აი ამერიკის კაპიტალისტებს დასჭირდათ ამ ომში ჩარევა. რათა საბაბი მიეცეთ

ამოეფარონ მცირე ეროვნებათა უფლებებისათვის ბრძოლის მაღალ იდეალებს და ძლიერი მუდმივი ჯარი შექმნან.

გლეხები ფულზე პურს აღარ იძლევიან და მოითხოვენ იარაღს, ფეხსაცმელს და ტანსაცმელს. ასეთი გადაწყვეტილება შეიცავს მეტისმეტად ღრმა ჭეშმარიტების უდიდეს ნაწილს. მართლაც, ჩვენი ქვეყანა ისეთ ნგრევამდე მივიდა, რომ რუსეთში ვხედავთ, თუმცა უფრო ნაკლები ძალით, იმასვე, რაც სხვა ქვეყნებში უკვე დიდი ხანია მოხდა: ფულმა დაკარგა თავისი ძალა. კაპიტალიზმის ბატონობას მოვლენათა მთელი მსვლელობა იმდენად უთხრის ძირს, რომ გლეხები, მაგალითად, ფულს აღარ იღებენ. ისინი ამბობენ: «რად გვინდა ფული?». და მართალიც არიან. კაპიტალიზმის ბატონობას ძირი ეთხრება არა იმიტომ, რომ ვიღაცას უნდა ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. ძალაუფლების «ხელში ჩაგდება» უაზრობა იქნებოდა. კაპიტალიზმის ბატონობის შეწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა, ამას რომ არ იწვევდეს კაპიტალისტური ქვეყნების მთელი ეკონომიური განვითარება. ომმა დააჩქარა ეს პროცესი, და ამან კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელი გახადა. კაპიტალიზმს ვერავითარი ძალა ვერ დაანგრევდა, რომ მისთვის ძირი არ გამოერეცხა და არ გამოეთხარა ისტორიას.

და აი ფრიად თვალსაჩინო მაგალითიც. გლეხი გადმოგვცემს იმას, რასაც ყველა ხედავს: ფულის ძალა შეირყა. აქ ერთადერთი გამოსავალია — მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შეთანხმება, რომ პურზე გაიცეს: იარაღები, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. აი სადამდე მიდის საქმე, აი რა პასუხს გვიკარნახებს ცხოვრება. აი ის, ურომლისოდაც ათეულ მილიონობით ადამიანს მოელის შიმშილი, სიტიტვლე. ათეული მილიონობით ადამიანი პირდაპირ დაღუპვის პირას დგას, და აქ ვიღას სცალია იმისთვის, რომ კაპიტალისტების ინტერესები დაიცვას. გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ მთელი ძალაუფლება გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. შესაძლოა, ამასთან შეცდომებიც იქნეს. არავინ ირწმუნება, რომ ასეთი ძნელი საქმის დაყენება

ერთბაშად შეიძლებოდეს. არაფერს ამის მსგავსს ჩვენ არ ვამბობთ. გვეუბნებიან: ჩვენ გვინდა ძალაუფლება საბჭოების ხელში იყოს, მაგრამ მათ არ უნდათო. ჩვენ ვამბობთ, ცხოვრების გამოცდილება მათ უკარნახებს და მთელი ხალხიც დაინახავს, რომ სხვა გამოსავალი არ არის. ძალაუფლების «ხელში ჩაგდება» ჩვენ არ გვინდა, რადგან რევოლუციის მთელი გამოცდილება გვასწავლის, რომ მტკიცეა მხოლოდ ის ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას ეყრდნობა. ამიტომ ძალაუფლების «ხელში ჩაგდება» ავანტიურა იქნება, და ჩვენი პარტია ამას არ დათანხმდება. თუ მთავრობა უმრავლესობის მთავრობა იქნება, ის, შესაძლოა, ისეთ პოლიტიკას დაადგება, რომელიც პირველ ხანებში შემცდარი აღმოჩნდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. მაშინ გვექნება პოლიტიკის მიმართულების მშვიდობიანი შეცვლა იმავე ორგანიზაციების შიგნით. სხვა ორგანიზაციებს ვერ გამოვიგონებთ. აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა.

როგორ დავამთავროთ ომი? ძალაუფლება რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აეღო, გერმანელებს კი ომი განეგრძოთ, — ჩვენ როგორ მოვიქცეოდით? ვისაც ჩვენი პარტიის შეხედულება აინტერესებს, მათ შეეძლოთ ამ დღეებში წაეკითხათ ჩვენს გაზეთ «პრავდაში», სადაც მოყვანილი იყო ზუსტი ციტატი იქიდან, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ვამბობდით 1915 წელს: თუ რუსეთის რევოლუციური კლასი, მუშათა კლასი, ხელისუფლების სათავეში მოექცევა, მან ზავის წინადადება უნდა წამოაყენოს. და თუ ჩვენს პირობებზე უარით გვიპასუხებენ გერმანიის ან სხვა რომელიმე ქვეყნის კაპიტალისტები, მაშინ მთელი მუშათა კლასი ომის მომხრე იქნება *. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ომი ერთი დაკვრით დავამთავროთ. ჩვენ ამას არავის ვპირდებით. ჩვენ აქ არ ვქადაგებთ ისეთ შეუძლებელ და შეუსრულებელ რამეს, როგორიცაა ომის დამთავრება ერთი მხარის ნებით. ასეთი დაპირებების გაცემა ადვილია, მაგრამ შესრულება

* იხ. ეს ტომი, გვ. 472. რ ე დ.

შეუძლებელია. ამ საშინელი ომიდან იოლად ვერ გამოხვალ. სამი წელია ომობენ. კიდევ ათ წელს იომებთ, ან დათანხმდით ძნელ, მძიმე რევოლუციას. სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენ ვამბობთ: კაპიტალისტთა მთავრობების მიერ დაწყებული ომის დამთავრება შეუძლია მხოლოდ მუშათა რევოლუციას. ვისაც სოციალისტური მოძრაობა აინტერესებს, წაიკითხოს ბაზელის 1912 წლის მანიფესტი, რომელიც ერთხმად მიიღო მთელი მსოფლიოს ყველა სოციალისტურმა პარტიამ, მანიფესტი, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ ჩვენს «პრავდაში», მანიფესტი, რომლის გამოქვეყნება ახლა არ შეიძლება არც ერთ მეომარ ქვეყანაში: არც «თავისუფალ» ინგლისში, არც რესპუბლიკურ საფრანგეთში, იმიტომ რომ იქ ჯერ კიდევ ომამდე ითქვა სიმართლე ომის შესახებ. იქ ნათქვამია: ინგლისსა და გერმანიას შორის ომი ატყდება კაპიტალისტების მეტოქეობის გამოო. იქ ნათქვამია: იმდენი თოფის წამალი დაგროვდა, რომ თოფები თვითონ გაისვრიანო. იქ სწერია, რის გამო ატყდება ომი, და ნათქვამია, რომ ომი პროლეტარულ რევოლუციას გამოიწვევსო. ამიტომ ჩვენ ვეუბნებით იმ სოციალისტებს, რომლებიც, ხელი მოაწერეს რა ამ მანიფესტს, თავიანთი კაპიტალისტური მთავრობების მხარეზე გადავიდნენ, რომ მათ ულალატეს სოციალიზმს. სოციალისტები მთელ მსოფლიოში გაითიშნენ. ზოგი მინისტრი გახდა, ზოგი — საპყრობილეშია. სოციალისტების ნაწილი მთელ მსოფლიოში ქადაგებს ომისათვის მომზადებას, ხოლო მეორე ნაწილი, როგორც, მაგალითად, ამერიკელი ბებელი — ევგ. დებსი, რომელიც ამერიკის მუშების უდიდესი პატივისცემით სარგებლობს, — ამბობს: «უმალ დამხვრიტონ, მაგრამ არც ერთ ცენტს არ გავიღებ ამ ომისთვის. მე მზად ვარ ვიომო მხოლოდ პროლეტარიატის ომისთვის მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების წინააღმდეგო». აი როგორ გაითიშნენ სოციალისტები მთელ მსოფლიოში. მთელი მსოფლიოს სოციალ-პატრიოტები ფიქრობენ, სამშობლოს ვიცავთო. ისინი ცდებიან, — ისინი იცავენ ერთი მუჭა კაპიტალისტების ინტერესებს მეორის წინააღმდეგ. ჩვენ ვქადაგებთ პროლეტარულ რევოლუციას — იმ ერთადერთ სამართ-

ლიან საქმეს, რომლის გულისთვის ათეულები ეშაფოტზე ავიდნენ, ასობით და ათასობით საპყრობილეებში სხედან. საპყრობილეებში გამომწყვდეული ეს სოციალისტები უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ მათ მხარეზეა მუშათა კლასი, მათ მხარეზეა მთელი ეკონომიური განვითარება. ყოველივე ეს იმას გვეუბნება, რომ სხვა გამოსავალი არ არის. ამ ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ მუშათა რევოლუციის საშუალებით რამდენიმე ქვეყანაში. ჯერჯერობით კი ჩვენ უნდა ვამზადოთ ეს რევოლუცია, უნდა დავეხმაროთ მას. რუსმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალიან სძულს ომი და დიდად სწყურია ზავი, ვერ შეძლო, ვიდრე ომს მეფე აწარმოებდა, გაეკეთებინა რამე ომის წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ მოემზადებინა რევოლუცია მეფის წინააღმდეგ და მეფის დასამხობად. და ეს ასეც იყო. ეს თქვენ გუშინ დაგიმტკიცათ ისტორიამ და იგი ამას დაგიმტკიცებთ ხვალ. ჩვენ დიდი ხანია რაც ვთქვით: უნდა დავეხმაროთ რუსეთის მზარდ რევოლუციას. ჩვენ ეს ვთქვით 1914 წლის დამლევს. ამისთვის სათათბიროს ჩვენი დეპუტატები ციმბირში გადაასახლეს, ჩვენ კი გვეუბნებოდნენ: «თქვენ არ იძლევით პასუხს. თქვენ ლაპარაკობთ რევოლუციაზე, როცა გაფიცვები შეწყვეტილია, როცა დეპუტატები კატორღაში არიან, როცა არ არის არც ერთი გაზეთიო!». და ჩვენ ბრალს გვდებდნენ იმაში, რომ პასუხს გაურბიხართო. ასეთი ბრალდებები, ამხანაგებო, ჩვენ გვესმოდა მთელი რიგი წლების განმავლობაში. ჩვენ ვუპასუხებდით: თქვენ შეგიძლიათ აღშფოთდეთ, მაგრამ, ვიდრე მეფე დამხობილი არ არის, ომის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობთო. და ჩვენი წინასწარმეტყველება დადასტურდა. მთლიანად ის ჯერ კიდევ არ დადასტურებულა, მაგრამ უკვე დაიწყო მისი დადასტურება. რევოლუცია იწყებს ომის ხასიათის შეცვლას რუსეთის მხრივ. კაპიტალისტები ჯერ კიდევ განაგრძობენ ომს, და ჩვენ ვამბობთ: ვიდრე არ დაიწყება მუშათა რევოლუცია რამდენიმე ქვეყანაში, ომი ვერ შეწყდება, იმიტომ რომ ხელისუფლების სათავეში რჩებიან ადამიანები, რომელთაც სურთ ეს ომი. გვეუბნებიან: «ყველაფერი მიძინებული ჩანს

მთელ რიგ ქვეყნებში. გერმანიაში ყველა სოციალისტი უკლებლივ ომის მომხრეა, მარტო ლიბკნეხტია წინააღმდეგიო». ამაზე მე ვუპასუხებ: ეს ერთი ლიბკნეხტი წარმოადგენს მუშათა კლასს, მხოლოდ ის, მისი მომხრეები, გერმანიის პროლეტარიატია ყველას იმედი. არ გჯერათ ეს? განაგრძეთ ომი! სხვა გზა არ არსებობს. თუ არ ენდობით ლიბკნეხტს, თუ არ ენდობით მუშათა რევოლუციას, რევოლუციას, რომელიც მწიფდება, თუ ამას არ ენდობით, ენდეთ კაპიტალისტებს!

ამ ომში მხოლოდ მუშათა რევოლუცია გაიმარჯვებს. რამდენიმე ქვეყანაში და მეტი არავინ. ომი სათამაშო საქმე როდია, ომი — გაუგონარი რამაა, ომი მილიონობით მსხვერპლის ფასად ჯდება და ასე ადვილი არ არის მისი დამთავრება.

ჯარისკაცებს ფრონტზე არ შეუძლიათ ფრონტი და სახელმწიფო ერთმანეთს დააშორონ და თავისებურად გადაწყვიტონ. ჯარისკაცები ფრონტზე — ეს ქვეყნის ნაწილია. ვიდრე სახელმწიფო ომობს, ფრონტიც გაჭირვებაში იქნება. აქ ვერაფერს გახდები. ომი გამოწვეულია გაბატონებული კლასების მიერ, მას მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუცია დაამთავრებს. მალე მიიღებთ თუ არა ზავს, ეს დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ განვითარდება რევოლუცია. რა გულისამაჩვილებელი რამეებიც უნდა ილაპარაკონ, როგორც უნდა გელაპარაკონ: მოდით, დაუყოვნებლივ მოვუღოთ ომს ბოლოო, ეს შეუძლებელია, თუ რევოლუცია არ განვითარდა. როდესაც ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავა, კაპიტალისტები ჩვენი წინააღმდეგი იქნებიან: იაპონია წინააღმდეგი იქნება, საფრანგეთი — წინააღმდეგი, ინგლისი — წინააღმდეგი; წინააღმდეგი იქნებიან ყველა ქვეყნის მთავრობები. ჩვენ წინააღმდეგ იქნებიან კაპიტალისტები, ჩვენს მხარეზე იქნებიან მუშები. მაშინ ბოლო მოეღება ომს, რომელიც კაპიტალისტებმა წამოიწყეს. აი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ დავამთავროთ ომი.

პირველად დაიბეჭდა 1929 წ. 23 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 93

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

საზიზღარი ფანდები

ფრონტის დელეგატების მთელმა ყრილობამ[94] 13 მაისის ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში დაგმო საზიზღარი ფანდები გაზეთ «რეჩისა», რომელმაც ცილი დასწამა ჩვენს ამხანაგს ზინოვიევს იმ მიზნით, რომ შუღლი ჩამოეგდო ჯარსა და ბოლშევიკებს შორის: «რეჩელ» ჯენტლმენებს, რა თქმა უნდა, არც კი უფიქრიათ დაებეჭდათ ფრონტელთა ყრილობის ეს რეზოლუცია, თუმცა ყრილობამ იგი გაზეთ «რეჩსაც» გაუგზავნა. სამაგიეროდ ეს ნაკლებ პატივცემული გაზეთი განაგრძობს თავის პროვოკატორულ ლაშქრობას ჩვენი გაზეთისა და ჩვენი ამხანაგის ზინოვიევის წინააღმდეგ და აშკარა რბევის გამოწვევას ლამობს.

— «პრავდა» გერმანიის შესახებ სისტემატურად იძლევა ისეთ ცნობებს, რომლებსაც ვერც ერთ გაზეთში ვერ ნახავთ. საიდან და როგორ ღებულობს «პრავდა» თავის სპეციალურ (!) ცნობებს — მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს «რეჩი» სტატიაში, რომელსაც აქვს მრავალმნიშვნელოვანი სათაური «ამბების უცნაური ცოდნა».

საიდან, ბატონო ცილისმწამებელნო?

— ჩვენი კორესპონდენტის, პოლონელი სოციალ-დემოკრატის, ამხანაგ რადეკის დეპეშებიდან და წერილებიდან, რადეკისა, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში იჯდა მეფის სხვადასხვა საპყრობილეში, 10 წელზე მეტია მუშაობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში, განდევნილია გერ-

მანიიდან ვილჰელმისა და ომის წინააღმდეგ რევოლუციური აგიტაციის გამო და სპეციალურად გადავიდა სტოკჰოლმში, რათა იქიდან მოგვაწოდოს ცნობები. იმ წერილებიდან და დეპეშებიდან, ბატონო კადეტებო, რომლების ხელში ჩაგდებას ყოველთვის ვერ ახერხებენ თქვენი მსახურნი, რუსეთ-შვეციის საზღვარზე რომ პარპაშებენ; გაზეთების ამონაჭრებიდან, გერმანული არალეგალური გაზეთებიდან და პროკლამაციებიდან, რომლებსაც ჩვენი მეგობრები, კარლ ლიბკნეხტის მომხრეები გვაწვდიან — სწორედ ისევე, როგორც საფრანგეთის შესახებ სათანადო მასალებს გვაწვდის ფ რ ა ნ გ ი სოციალისტ-ინტერნაციონალისტი ანრი ჰილბო, რომენ როლანის მეგობარი და ცნობილი ფრანგი ინტერნაციონალისტის, ამხ. ლორიოს თანამოაზრე.

— «გერმანიის გენერალურმა შტაბმა აკრძალა დაძმობილება», — ვწერდით ჩვენ «პრავდაში» იმ ცნობის მიხედვით, რომელიც ამ დღეებში ყველა რუსულ გაზეთში გამოქვეყნდა. «რეჩელი» ცილისმწამებელნი დიდად გაკვირვებული არიან ამის გამო და ჩვენს ცნობას «უპირისპირებენ» რუსეთის სამხედრო მინისტრის განცხადებას, «ფრონტის ყველა უბანი, სადაც დაძმობილება ხდებოდა, უკვე დაანგრია მტრის არტილერიამო».

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, სწორია თუ არა ეს ცნობა დანგრეული უბნების შესახებ. მაგრამ თ უ ეს სწორია, ეს კი არ უარყოფს, არამედ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს იმ ცნობას, რომ გერმანიის გენერალური შტაბი დაძმობილების წინააღმდეგია. ვინაიდან ყველამ იცის, რომ იმ უბნების დანგრევით, სადაც დაძმობილება ხდებოდა, გერმანიის გენერალური შტაბი ხ ე ლ ს ა ღ ე ბ ი ნ ე ბ ს დაძმობილებაზე როგორც რუსეთის ჯარისკაცებს, ისე გერმანიის იმ პატიოსან ჯარისკაცებს, რომლებსაც არ სურთ დაძმობილება ხაფანგად აქციონ.

რაღაც კარგად ვერ გამოგივიდათ, ბატონო კადეტო ყალბი ფულის მჭრელნო!

დასასრულ კიდევ ერთი სიცრუე: «როგორც ვიცით, გლეხთა ყრილობაზე ზინოვიევმა ვერ შეძლო თავისი სიტყვის დამთავ-

რებაო», — წერს მილიუკოვის ორგანო. «როგორც ვიცით», თქვენ ერთხელ კიდევ ცრუობთ, ბატონო კადეტებო — ისევე, როგორც იცრუეთ ფრონტელთა ყრილობის შესახებ. ცუდად ყოფილა თქვენი საქმე, ბატონებო, რაკი იძულებული ხართ მის დასაცავად მიმართოთ ასეთ ურცხვ, ასეთ საზიზღარ ფანდებს.

«პრავდა» № 58,
1917 წ. 29 (16) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის».
ტექსტის მიხედვით

გარდუვალი კატასტროფა და უსაზღვრო დაპირებები

(სტატია პირველი)

გარდუვალად მოახლოებული ნგრევისა და უმაგალითო მასშტაბის კატასტროფის საკითხი ისე დიდმნიშვნელოვანია, რომ სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა შევჩერდეთ მის სრულ გარკვევაზე. «პრავდის» წინა ნომერში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პ რ ო გ რ ა მ ა ახლა უკვე ა რ ა ფ რ ი თ განსხვავდება «საშინელი» ბოლშევიზმის პროგრამისაგან *.

დღეს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მენშევიკი მინისტრის სკობელევის პროგრამა ბოლშევიზმზე უფრო შ ო რ ს მიდის. აი ეს პროგრამა, როგორც მას გადმოგვცემს სამინისტროს გაზეთი «რეჩი»:

«მინისტრი (სკობელევი) აცხადებს... სახელმწიფო მეურნეობა უფსკრულის პირას არის მიყვანილი. საჭიროა ჩარევა სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში, რადგან ხაზინაში ფული აღარ არის. საჭიროა გავაუმჯობესოთ მშრომელი მასების მდგომარეობა, ამისათვის კი აუცილებელია წავიღოთ მოგება მეწარმეთა და ბანკების სალაროებიდან. (ხ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «რა წესით?») ქონებათა ულმობელი დაბეგვრით — უპასუხებს შრომის მინისტრი სკობელევი. — ფინანსური მეცნიერება იცნობს ამ წესს. საჭიროა გავადიდოთ შეძლებულ კლასთა დაბეგვრის განაკვეთები მოგების 100 პროცენტამდე. (ხ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «ეს ნიშნავს სულ მთლად».) სამწუხაროდ — აცხადებს სკობელევი — სხვადასხვა სააქციო საწარმოებმა

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 472 — 473. რ ე დ.

უკვე დაურიგეს დივიდენდი აქციონერებს, ამიტომ შეძლებული კლასები უნდა დავბეგროთ პროგრესიული ინდივიდუალური გადასახადით. ჩვენ უფრო შორსაც წავალთ, და თუ კაპიტალს სურს შეინარჩუნოს მეურნეობის წარმართვის ბურჟუაზიული წესი, იმუშაოს უპროცენტებოდ, თუ უნდა, რომ კლიენტები არ დაკარგოს... ჩვენ უნდა შემოვიღოთ შრომის ბეგარა ბბ. აქციონერებისთვის, ბანკირებისა და მექარხნეებისთვის, რომელთა განწყობილება მოდუნებულია იმის გამო, რომ აღარ არის ის სტიმული, რაც წინათ მათ მუშაობის ხალისს აძლევდა... ჩვენ უნდა ვაიძულოთ ბბ. აქციონერები დაემორჩილონ სახელმწიფოს, და მათთვისაც უნდა იყოს ბეგარა, შრომის ბეგარა».

ჩვენ ვურჩევთ მუშებს მრავალჯერ გადაიკითხონ ეს პროგრამა, განიხილონ და ჩაუკვირდნენ მისი განხორციელების პირობებს.

მთელი საქმე დამოკიდებულია მისი განხორციელების პირობებზე, იმაზე, რომ დაუყოვნებლივ შევუდგეთ მის განხორციელებას.

პროგრამა თავისთავად არათუ ჩინებულია და ემთხვევა ბოლშევიკურ პროგრამას, არამედ ერთ მუხლში ჩვენს პროგრამაზე უფრო შორსაც მიდის, სახელდობრ იმ მუხლში, სადაც გვპირდებიან «წავიღოთ მოგება ბანკების სალაროებიდან» «მოგების 100 პროცენტის» რაოდენობით.

ჩვენი პარტია ბევრად უფრო ზომიერია. თავის რეზოლუციაში ის უფრო ნაკლებს მოითხოვს, სახელდობრ: მხოლოდ კონტროლის დაწესებას ბანკების მიმართ და «თანდათანობით» (ისმინეთ! ისმინეთ! ბოლშევიკები თანდათანობის მომხრენი არიან!) «გადასვლას შემოსავლისა და ქონების უფრო სამართლიან პროგრესიულ დაბეგვრაზე».

ჩვენი პარტია სკობელევზე უფრო ზომიერია.

სკობელევი იძლევა არაზომიერ და თვით უსაზღვრო დაპირებებს, მას არ ესმის ის პირობები, როცა შესაძლებელია ამ დაპირებათა ნამდვილად განხორციელება.

ეს არის თავიდათავი.

სკობელევის პროგრამის არათუ შესრულება, არამედ საერთოდ რამდენადმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმაც კი

მისი განხორციელებისაკენ შეუძლებელია როგორც მემამულეებისა და კაპიტალისტების პარტიათა 10 მინისტრთან ხელიხელჩაკიდებით, ისე იმ ბიუროკრატული, მოხელური აპარატით, რომელსაც კაპიტალისტების მთავრობა (მენშევიკებისა და ნაროდნიკების დამატებით) იძულებულია დასჯერდეს.

რაც შეიძლება ნაკლები დაპირებები, მოქალაქე სკობელევ, რაც შეიძლება მეტი საქმიანობა! რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, რაც შეიძლება მეტი გაგება იმისა, თუ როგორ შევუდგეთ საქმეს.

გარდუვალი უსაშინელესი კატასტროფისაგან ქვეყნის ხსნის საქმეს შეიძლება და უნდა შევუდგეთ კიდეც დაუყოვნებლივ, არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე. საქმის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ «ახალ» დროებითს მთავრობას არ სურს შეუდგეს საქმეს, ხოლო კიდეც რომ მოენდომებინა, ვერ შეძლებდა, რადგან ხელფეხშებოჭილია კაპიტალის ინტერესების დაცვის ათასნაირი ჯაჭვით.

ერთ დღეში შეიძლება და კიდევაც უნდა მოვუწოდოთ მთელ ხალხს შეუდგეს საქმეს, ერთ დღეში შეიძლება გამოვცეთ ბრძანებულება, რომლის მიხედვით დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნება:

1) როგორც ცალკეული ბანკების, ისე სრულიად რუსეთის ბანკის მოსამსახურეთა საბჭოები და ყრილობები; დავალება: შეიმუშაონ დაუყოვნებლივ პრაქტიკული ზომები ყველა ბანკისა და საკრედიტო დაწესებულების გასაერთიანებლად ერთ საერთო-სახელმწიფო ბანკად და ბანკების მთელი ოპერაციების მიმართ ფრიად ზუსტი კონტროლის დასაწესებლად, კონტროლის შედეგები მაშინვე უნდა გამოაქვეყნონ;

2) ყველა სინდიკატისა და ტრესტის მოსამსახურეთა საბჭოები და ყრილობები; დავალება: შეიმუშაონ კონტროლისა და ანგარიშგების ზომები; დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ კონტროლის შედეგები;

3) ამ ბრძანებულებამ კონტროლის უფლება უნდა მიანიჭოს არა მარტო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოს, არამედ ყოველი დიდი ფაბრიკის მუშების

საბჭოებსაც, აგრეთვე ყოველი დიდი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებსაც (დიდ პარტიად მიჩნეულ უნდა იქნეს, მაგალითად, ისეთი პარტია, რომელმაც 12 მაისს პიტერში დამოუკიდებელი სიები წარადგინა ორ რაიონში მაინც); ასეთი კონტროლისთვის ღია უნდა იყოს ყველა სავაჭრო დავთარი, ყველა დოკუმენტი;

4) ბრძანებულება უნდა მოუწოდებდეს ყოველგვარ საზოგადოებათა ყველა აქციონერს, დირექტორს და გამგეობის წევრს გამოაქვეყნონ იმ პირთა სიები, რომელთაც აქვთ აქციები არა ნაკლებ 10 000 (ან 5 000) მანეთისა, იმ აქციებისა და საზოგადოებების ჩამოთვლით, რომლებითაც ხსენებული პირნი «დაინტერესებულნი» არიან; ყალბი ცნობების მიწოდების გამო (ბანკებისა და სხვ. მოსამსახურეთა კონტროლისთვის) — მთელი ქონების კონფისკაცია და საპყრობილე არა ნაკლებ 5 წლისა;

5) ბრძანებულება უნდა მოუწოდებდეს მთელ ხალხს დაუყოვნებლივ შემოიღონ შრომის საყოველთაო ბეგარა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით; ხოლო კონტროლისა და მისი განხორციელებისათვის — შემოღებულ იქნეს საერთო სახალხო, საყოველთაო მილიცია (ერთბაშად სოფლებში, მუშათა მილიციის მეშვეობით ქალაქებში და სხვ.).

შრომის საყოველთაო ბეგრის შემოუღებლად შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ჩვენი ქვეყნის ხ ს ნ ა დაღუპვისაგან. ხოლო საყოველთაო-სახალხო მილიციის შემოუღებლად შეუძლებელია შრომის საყოველთაო ბეგრის განხორციელება. ამას მიხვდება ყველა, ვისაც მინისტრივით გონება არ დაბნელებია ან ვინც მინისტრის მჭევრმეტყველებისადმი ნდობის ნიადაგზე ჯერ კიდევ არ გაგიქებულა.

ვისაც სურს ნამდვილად იხსნას ათეული მილიონობით ადამიანი კატასტროფისაგან, მან უ ნ დ ა დაიცვას ასეთი ზომების მიღება.

შემდგომ სტატიაში ჩვენ ვილაპარაკებთ უფრო სამართლიან დაბეგვრაზე თანდათანობითი გადასვლისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წამოვაყენოთ ხალხიდან და თანდათანობით

მინისტრების ადგილას დავსვათ ის მართლაც ნიჭიერი ორგანიზატორები (მუშებიდანაც და კაპიტალისტებიდანაც), რომლებიც უნარს გამოიჩენენ აღნიშნული ხასიათის სამუშაოზე.

(სტატია მეორე)

როცა სკობელევმა თავის სიტყვაში მინისტრული ხელგაშლილობა გამოიჩინა და თქვა, კაპიტალისტებს მოგების 100 პროცენტი უნდა ჩამოვართვათო, ჩვენ მოვისმინეთ მხოლოდ ეფექტისათვის გამიზნული სანიმუშო ფრაზა. ასეთი ფრაზებით მუდამ ატყუებენ ხოლმე ხალხს ბურჟუაზიულ პარლამენტურ რესპუბლიკებში.

მაგრამ აქ რაღაც ფრაზაზე უარესია. «თუ კაპიტალს სურს შეინარჩუნოს მეურნეობის წარმართვის ბურჟუაზიული წესი, იმუშაოს უპროცენტოდ, რათა კლიენტები არ დაკარგოსო». თქვა სკობელევმა. ეს გაისმის «საშინელ» მუქარად კაპიტალისტების მიმართ, საქმით კი ეს არის ცდა (ალბათ, შეუგნებელი — სკობელევის მხრივ და, უეჭველად, შეგნებული — კაპიტალისტების მხრივ) — გ ა დ ა ა რ ჩ ი ნ ო ნ კაპიტალის ყ ო ვ ლ ი ს შ ე მ ძ ლ ე ო ბ ა იმით, რომ მოკლე ხნით მსხვერპლად გაიღონ მოგება.

მუშებს «მეტად ბევრი» მიაქვთ, — მსჯელობენ კაპიტალისტები, — დავაკისროთ მათ პასუხისმგებლობა და ამავე დროს არ მივცეთ მათ არც ძალაუფლება და არც იმის შესაძლებლობა, რომ საქმით განაგონ მთელი წარმოება. დაე ჩვენ, კაპიტალისტებმა, დროებით ხელი ავიღოთ მოგებაზე, მაგრამ, «თუ შევინარჩუნებთ მეურნეობის წარმართვის ბურჟუაზიულ წესს და არ დავკარგავთ კლიენტებს», ჩვენ დავაჩქარებთ მრეწველობის ამ შუალედი მდგომარეობის კრახს, ყოველნაირად მოვშლით მას, ბრალს კი მუშებს მოვახვევთ თავსო!

კაპიტალისტების ვარაუდი რომ ასეთია, ამას ფაქტები ამტკიცებს. ქვანახშირის მრეწველები სამხრეთში სწორედ შლიან წარმოებას, «შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ თ ა ვ მ ი ნ ე ბ ი ბ უ ლ ი ა ქ ვ თ დ ა დ ე ზ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა შ ე ა ქ ვ თ მ ა ს შ ი» (იხ. 16 მაისის «ნოვაია ჟიზნ», მ უ შ ა თ ა დ ე ლ ე გ ა ც ი ი ს

განცხადებათა შინაარსის გადმოცემა). სურათი ნათელია: «რეჩი» საშინლად ტყუის, ბრალს მუშებს ახვევს თავზე. ქვანახშირის მრეწველებს «შეგნებულად შეაქვთ დეზორგანიზაცია წარმოებაში». სკობელევი ბულბულივით ჭიკჭიკებს: «თუ კაპიტალს სურს შეინარჩუნოს მეურნეობის წარმართვის ბურჟუაზიული წესი, იმუშაოს უპროცენტოდ». სურათი ნათელია!

კაპიტალისტებისა და მოხელეებისათვის ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა «უსაზღვრო დაპირებათა» აღთქმა, რათა ამით ხალხის ყურადღება ააშორონ მ თ ა ვ ა რ საქმეს, საჭელდობრ: ნამდვილი მუშების ხელში ნამდვილი კონტროლის გადასვლას.

მუშებმა შორს უნდა უკუაგდონ ლაყბობა, დაპირებები, დეკლარაციები, მოხელეთა პროექტერობა ცენტრში, რომლებიც მუდამ მზად არიან ჩაუჯდნენ უაღრესად ეფექტური გეგმების, დებულებების, წესდებებისა და ნორმების შეთხზვას. ძირს მთელი ეს სიცრუე! ძირს ბიუროკრატიული და ბურჟუაზიული პროექტერობის ეს აურზაური, რაც ყველგან სამარცხვინოდ ჩაფლავდა! ძირს საქმის მაუდქვეშ ამოდების ეს მანერა! მუშებმა უნდა მოითხოვონ კონტროლის დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ განხორციელება ს ა ქ მ ი თ და ამასთან უთუოდ თ ვ ი თ მ უ შ ე ბ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ.

ეს მთავარი რამ არის საქმის წარმატებისათვის, კატასტროფისაგან თავის დაღწევის საქმის წარმატებისათვის. რაკი ეს არ არის, ყოველივე დანარჩენი მოტყუებაა. თუკი ეს იქნება, ჩვენ სრულიადაც არ ავჩქარდებით «წავიღოთ მოგების 100 პროცენტი». ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ და კიდევაც უნდა ვიყოთ უფრო ზომიერნი, თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ უნდა გადავიღეთ უფრო სამართლიან დაბეგვრაზე, ჩვენ ერთმანეთისაგან გამოვყოფთ წვრილ აქციონერებს და მდიდარ აქციონერებს, პირველებისგან ჩვენ ძ ა ლ ი ა ნ ც ო ტ ა ს წავიღებთ, ჩვენ ძალიან ბევრს (მაგრამ ა რ ა უთუოდ ყველაფერს) წავიღებთ მ ხ ო ლ ო დ უკანასკნელებისაგან. მსხვილ აქციონერთა რიცხვი უმნიშვნელოა: მათი როლი, ისე როგორც მათი სიმდიდრის საერთო ჯამი, — უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი ა. შეუცდომლად შეიძ-

ლება ითქვას, რომ, თუ შევადგენთ რუსეთის ხუთი ან თუნდაც სამი ათასი (ან თუგინდ ერთი ათასი) ყველაზე მდიდარი ადამიანის სიას, ან თუ თვალს გავადევნებთ (ქვემოდან კონტროლის, ბანკების, სინდიკატებისა და სხვა მოსამსახურეთა კონტროლის შემწეობით) მათი ფინანსური კაპიტალის მთელ ქსელს და კავშირურთიერთობას, მათი ბანკების კავშირურთიერთობას, გამოაშკარავდება კაპიტალის ბატონობის მთელი კვანძი, სხვისი შრომით დაგროვილი სიმდიდრის მთელი მთავარი მასა, პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების მიმართ «კონტროლის» მთელი მართლაც დიდმნიშვნელოვანი ფესვები.

აი ეს კონტროლი უნდა გადაეცეს მუშებს. კაპიტალის ინტერესი მოითხოვს სწორედ აი ეს კვანძი, ეს ფესვები დაუმალოს ხალხს. უმჯობესია დავთანხმდეთ დროებით «მთელი» მოგების ან შემოსავლის 99%-ის მიცემას, ვიდრე გავუმჟღავნოთ ხალხს ჩვენი ძალაუფლების ეს ფესვებიო — მსჯელობს კაპიტალისტთა კლასი და მისი შეუგნებელი მსახური — მოხელე.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ავიღებთ ხელს ჩვენს უფლებასა და ჩვენს მოთხოვნაზე: გავუღოთ ხალხს ფინანსური კაპიტალის სწორედ ყველაზე მთავარი ციხე-სიმაგრე, სწორედ ის დავუქვემდებაროთ მუშათა კონტროლს — ასე მსჯელობს და ასე იმსჯელებს სწორედ შეგნებული მუშა. და ამ უკანასკნელი მსჯელობის სისწორეში ყოველი დღე დაარწმუნებს ღარიბთა სულ უფრო და უფრო მეტ მასას, ხალხის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან უმრავლესობას, საერთოდ იმ გულწრფელ ადამიანთა სულ უფრო და უფრო მეტ რიცხვს, რომლებიც კეთილსინდისიერად ეძებენ ხსნას კატასტროფისაგან.

უნდა ავიღოთ ფინანსური კაპიტალის სწორედ მთავარი ციხე-სიმაგრე, უამისოდ მთელი ლაპარაკი და კატასტროფისაგან თავის დაღწევის პროექტები — მხოლოდ მოტყუებაა. ხოლო რაც შეეხება ცალკეულ კაპიტალისტებს და თუგინდ კაპიტალისტთა უმრავლესობას, პროლეტარიატი არათუ არ

აპირებს მათთვის «ტანსაცმლის გახდას» (როგორც თავის თავს და თავისიანებს «აშინებდა» შულგინი), არათუ არ აპირებს «ყველაფრის» წართმევას მათთვის, არამედ, პირიქით, ფიქრობს ჩააბას ისინი სასარგებლო და საპატიო საქმეში — თვით მუშების კონტროლით.

გარდუვალი კატასტროფის მოახლოების ჟამს ხალხისთვის ყველაზე სასარგებლო და ყველაზე საჭირო საქმე ორგანიზატორული საქმეა. პროლეტარული ორგანიზებულობის სასწაულები — აი რა არის ჩვენი ლოზუნგი ახლა და აი კიდევ უფრო მეტად რა იქნება ჩვენი ლოზუნგი და მოთხოვნა მაშინ, როცა პროლეტარიატი ხელისუფლებას ჩაუდგება სათავეში. მასების დაურაზმავად პირდაპირ შეუძლებელია როგორც უეჭველად საჭირო საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღება, ისე ბანკების, სინდიკატების, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ რამდენადმე სერიოზული კონტროლის განხორციელება.

ამიტომ უნდა დავიწყოთ, — და ახლავე უნდა დავიწყოთ, — მუშათა მილიციის შემოღებით, რათა სათანადო თანდათანობით მტკიცედ და მოხერხებულად გადავიდეთ საყოველთაო-სახალხო მილიციის მოგვარებაზე, პოლიციისა და მუდმივი ჯარის — ხალხის საყოველთაო შეიარაღებით შეცვლაზე. ამიტომ ხალხის ყველა ფენიდან, ყველა კლასიდან, კაპიტალისტების სრულიად გამოუკლებლივ, კაპიტალისტებისა, რომლებსაც ამჟამად მეტი შესაფერისი გამოცდილება აქვთ, უნდა დავაწინაუროთ ნიჭიერი ორგანიზატორები. ხალხში ასეთი ნიჭიერნი მრავალია. გლეხობასა და პროლეტარიატში ასეთი ძალები ჯერ კიდევ თვლემენ, რადგან გამოყენებას ვერ პოულობენ. ისინი უნდა დავაწინაუროთ ქვემოდან, პრაქტიკით, ამა და ამ რაიონში «კუდების» მოხერხებულად მოსპობით, სახლის კომიტეტების ოსტატური მოწყობით, შინამოსამსახურეთა გაერთიანებით, სოფლად სანიმუშო მეურნეობის მოწყობით, მუშების ხელში გადასული ამა და ამ ქარხნის საქმის სწორად დაყენებით და სხვა და ასე შემდეგ. როცა მათ დავაწინაურებთ ქვემოდან, პრაქტიკით, როცა შევამოწმებთ მათ ნიჭს საქმით,

ყველა ისინი უნდა დავნიშნოთ «მინისტრებად» — არა ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, არა იმ აზრით, რომ პორტფელებით დავაჯილდოოთ, არამედ იმ აზრით, რომ დავაყენოთ ისინი საერთო სახალხო ინსტრუქტორებად, მიმომსვლელ ორგანიზატორებად, თანაშემწეებად ყველგან უსასტიკესი წესრიგის, ადამიანის შრომის უდიდესი დაზოგვის, უსასტიკესი ამხანაგური დისციპლინის მოგვარების საქმეში.

აი რა უნდა უქადაგოს ხალხს პროლეტარიატის პარტიამ კატასტროფის თავიდან ასაშორებლად. აი რა უნდა განახორციელოს მან ნაწილ-ნაწილ უკვე ახლავე ცალკეულ ადგილებში, სადაც კი იღებს ხელისუფლებას. აი რა უნდა განახორციელოს მან სრულად, როცა ის ხელისუფლებას დაეპატრონება სახელმწიფოში.

«პრავდა» №№ 58 და 59; 1917 წ.
29 და 30 (16 და 17) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ინტერნაციონალისტთა გაერთიანების საკითხისათვის

ჩვენი პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციამ დაადგინა: აუცილებლად იქნეს ცნობილი საქმით ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე მდგარ ჯგუფებთან და მიმდინარეობებთან დაახლოება და გაერთიანება სოციალიზმისადმი წვრილბურჟუაზიული ღალატის პოლიტიკაზე ხელის აღების პირობით *.

გაერთიანების საკითხი ირჩეოდა ამ დღეებში გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატთა რაიონთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციაზეც პეტროგრადში.

სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილების შესასრულებლად ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეტისმეტად სასურველად ცნო «მეჟრაიონელებთან» გაერთიანება და შემდეგი წინადადებანი წამოაყენა (ეს წინადადებანი მეჟრაიონელებს პირველად მიეცათ მხოლოდ ამხ. ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის სახელით, მაგრამ შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობამაც მოიწონა ეს წინადადებანი):

«გაერთიანება სასურველია დაუყოვნებლივ.

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცემა დაუყოვნებლივ შეიყვანოს ორივე გაზეთის (ახლანდელი «პრავდისა», რომელიც გადაკეთდება სრულიად რუსეთის პ ო პ უ ლ ა რ უ ლ გაზეთად, და იმ ცენტრალური ორგანოს,

* იხ ეს ტომი, გვ. 344. რ ე დ.

რომელიც უახლოეს მომავალში დაარსდება) შემადგენლობაში მეჟრაიონელების თითო წარმომადგენელი.

ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცემა შექმნას სპეციალური საორგანიზაციო კომისია პარტიული ყრილობის მოსაწვევად (1½ თვის შემდეგ). რაიონთაშორისო კონფერენციას უფლება მიეცემა ამ კომისიის შემადგენლობაში გაგზავნოს ორი დელეგატი. თუ მარტოვის მომხრე მენშევიკები კავშირს გაწყვეტენ «ობორონცებთან», დასახელებულ კომისიაში მათი დელეგატების შეყვანა სასურველი და აუცილებელია.

სადავო საკითხებზე დისკუსიის თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება «პრიბოის» მიერ სადისკუსიო ფურცლების გამოცემით და განახლებულ ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» («კომმუნისტი») თავისუფალი დისკუსიით [93]».

(მონასახი, რომელიც ნ. ლენინმა წაიკითხა პირადად თავისი და ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წევრის სახელით 1917 წლის 10 მაისს.)

მეჟრაიონელებმა, თავიანთი მხრივ, მიიღეს სხვა გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

«ერთიანობის შესახებ. ვაღიარებთ რა, რომ პროლეტარიატის მთელი რევოლუციური ძალების მხოლოდ უმჯიდროესი დარაზმვა:

1) გადააქცევს პროლეტარიატს სოციალიზმისაკენ გზის გამკაფველ მოწინავე მებრძოლად;

2) საშუალებას მისცემს მას გახდეს რუსეთის დემოკრატიის ბელადი ნახევრადბატონყმური რეჟიმის ყოველგვარი გადმონაშთისა და ცარიზმის მემკვიდრეობის წინააღმდეგ მის ბრძოლაში;

3) საშუალებას მისცემს გადამწყვეტ ბოლომდე მიიყვანოს რევოლუციის საქმე და სავსებით გადაჭრას ომისა და ზავის, მიწის კონფისკაციის, 8-საათიანი სამუშაო დღის და სხვა საკითხები

თათბირი საჭიროდ ცნობს:

ა) რომ პროლეტარიატისათვის ესოდენ საჭირო დარაზმვა ძალებისა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ციმერვალდისა და კინტალის, პარტიის პროგრამისა და 1908 და 1910, 1912 და 1913 წლების დადგენილებათა დროშით;

ბ) რომ არც ერთი მუშათა ორგანიზაცია, პროფესიული კავშირი იქნება იგი, საგანმანათლებლო კლუბი თუ სამომხმარებლო ამხანაგობა, არც ერთი მუშათა გაზეთი ან ჟურნალი არ უნდა დარჩეს ამ დროშის გარეთ;

ბ) ამასთან ერთად, თათბირი თავის თავს აცხადებს ერთიანობის უაღრესად თავგამოდებულ და მხურვალე მომხრედ აღნიშნულ დადგენილებათა ნიადაგზე».

ის საკითხი, თუ რომელ გადაწყვეტილებას უფრო ჩქარა მივყავართ ერთიანობისაკენ, — ახლა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა მუშა-ინტერნაციონალისტმა.

მეერაიონელების პოლიტიკურმა რეზოლუციებმა ძირითადად ობორონცებთან კავშირის გაწყვეტის სწორი ხაზი აიღო.

ასეთ პირობებში, ჩვენი თვალსაზრისით, ძალთა რაიმე დაქსაქსვა არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს.

«პრავდა» № 60,
1917 წ. 31 (18) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

დუმხალი

(კიდევ ანექსიებზე)

ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბლოკის ხელში მყოფი «იზვესტიის» რედაქტორებმა საქმის არევ-დარევაში ყველას გადააჭარბეს. 16 მაისის 67-ე ნომერში ისინი ცდილობენ «პრავდასთან» გამოკამათებას, რა თქმა უნდა, ისე, რომ, «მინისტრების» ცუდი ჩვეულების გამო, მას არც კი ასახელებენ. თურმე ნუ იტყვით, «პრავდას» ანექსიებზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია, რასაც ადამიანი შეცდომაში შეჰყავს.

უკაცრავად, მოქალაქე მინისტრებო და მინისტერიაბელურო რედაქტორებო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, სახელდობრ ის, რომ მხოლოდ ჩვენმა პარტიამ მოგვცა ზუსტ, ოფიციალურ რეზოლუციებში ანექსიების განსაზღვრა. ანექსია (დაპყრობა) არის ძალით დაკავება უცხო ხალხისა ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში. არც ერთ ადამიანს, რომელსაც კი რუსულად წაკითხვისა და გაგების უნარი აქვს, არ შეეძლო არ გაეგო ეს, როცა წაიკითხავდა «სოლდატსკაია პრავდას» მე-13 ნომრის დამატებას (სრულიად რუსეთის 1917 წლის 24 — 29 აპრილის კონფერენციის რეზოლუციები) *.

რაში მდგომარეობს «იზვესტიის» ნაროდნიკ და მენშევიკ რედაქტორთა პასუხი? მხოლოდ იმაში, რომ ჩვენი შეხედულების მიხედვით თითქოს იძულებული ვართ «ვიომოთ მანამდე, ვიდრე გერმანია ბრანდენბურგის საჰერცოგოდ არ გადაიქცევა... რუსეთი კი — მოსკოვის დიდ სამთავროდ»!! ანექსია, —

* იხ. ეს ტომი, გვ. 317. რედ.

ასწავლის თავის მკითხველებს რედაქცია, — «ნიშნავს იმ ტერიტორიის ძალით მიტაცებას, რომელიც ომის გამოცხადების დღეს სხვა სახელმწიფოს მფლობელობაში იყო» (მოკლედ: უანექსიო=status quo-ს, ე. ი. იმ მდგომარეობის აღდგენას, რომელიც ომამდე არსებობდა).

წინდაუხედაობაა აღმასრულებელი კომიტეტის ნაროდნიკი და მენშევიკი ბელადების მხრივ რედაქციის ჩაბარება ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც თავი ასეთი დომხალით აქვთ გამოტენილი, მართლაც რომ წინდაუხედაობაა.

მივუყენოთ მ ა თ განსაზღვრას მ ა თ ი ვ ე პასუხი ჩვენ წინააღმდეგ: «ვიომოთ მანამდე, ვიდრე რუსეთი დაიბრუნებდეს პოლონეთს, გერმანია — ტოგოსა და კოლონიებს აფრიკაში»?? აქ აშკარა უაზრობაა, და არა მარტო თეორიული უაზრობა, არამედ პრაქტიკულიც, ვინაიდან ყოველი ქვეყნის ჯარისკაცები გააგდებენ ისეთ რედაქტორებს, რომლებიც ამგვარად მსჯელობენ.

აი რაშია შემცდარი მათი მსჯელობა:

1) ანექსიის თეორიულ განსაზღვრაში შედის ცნება: «უცხო» ხალხი, ე. ი. ის ხალხი, რომელსაც შეუნარჩუნებია თვითმყოფობა, დამოუკიდებლად არსებობის ნება. ჩაუფიქრდით ამას, თანამოქალაქენო; წაიკითხეთ, თუ თქვენთვის ეს საქმე ჯერ კიდევ ნათელი არ არის, მარქსისა და ენგელსის მსჯელობა ირლანდიაზე, დანიის იმ ნაწილებზე, რომლებიც გერმანიის ხელშია, კოლონიებზე, — და დაინახავთ, თუ როგორ აგრევიათ გზა-კვალი. არც ბრანდენბურგის საჰერცოგო და არც მოსკოვის სამთავრო აქ სრულიად არაფერ შუაშია. 2) უაზრობაა არევა ანექსიის ც ნ ე ბ ი ს საკითხისა იმ საკითხთან, თუ «როდემდე უნდა ვიომოთ»; ეს იმას ნიშნავს, რომ არ გესმოდეს რა კავშირი აქვს ომს განსაზღვრული კლასების ინტერესებთან და ბატონობასთან; ეს იმას ნიშნავს, რომ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს თვალსაზრისიდან გადახვიდე მეშჩანურ, «გარეკლასობრივ» თვალსაზრისზე. ვ ი დ რ ე ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტთა კლასი დგას, ხალხები აუცილებლად იომებენ «მანამ, სანამ» ამ კლასს

ნებავს. აქედან თავის დაძვრენა სურვილებით, მოთხოვნებით და თათბირებით — წვრილი ბურჟუას ილუზიაა. 3) ვიდრე ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტთა კლასი დგას, მათი ზავი აუცილებლად «ანექსიების გაცვლა-გამოცვლა» იქნება: სომხეთისა ლორენზე, კოლონიებისა კოლონიებზე, გალიციისა კურლანდიაზე და ასე შემდეგ. ამაზე თვალის დახუჭვა შეუგნებელ ადამიანს მიეტევება, «იზვესტიის» რედაქტორებს კი არა. 4) როცა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი იქნება, რისკენაც მივყავართ და კიდევაც მიგვიყვანს ომი ყველგან, მაშინ მართლაც შესაძლებელი იქნება «უანექსიო ზავი»; უამისოდ კი იგი შეუძლებელია.

როცა ჩვენი პარტია ამბობს: «უანექსიო ზავიო», იგი ყოველთვის განმარტავს, — იმ ადამიანთა გასაფრთხილებლად, რომლებსაც თავში დომხალი აქვთ, — რომ ეს ლოზუნგი განუყრელად უნდა დავუკავშიროთ პროლეტარულ რევოლუციას. მხოლოდ ამ რევოლუციასთან დაკავშირებით არის იგი საჭირო და სწორი, მხოლოდ ამ რევოლუციის ხაზს ისახავს იგი, მხოლოდ მის განვითარებასა და ზრდას ეხმარება იგი. ვინც უმწეოდ მერყეობს კაპიტალისტებზე იმედის დამყარებასა და მუშათა რევოლუციაზე იმედის დამყარებას შორის, იგი თვითონვე უმზადებს თავის თავს უმწეობას და არევ-დარევას ანექსიების საკითხში საერთოდ.

P. S. * 17 მაისის «დელო ნაროდა» ეთანხმება «იზვესტიას», რომ ცნება «უანექსიო» «status quo»-ს ცნებას უდრისო. აბა სცადეთ, ბატონო ესერებო ან ბბ. მენშევიკებო, ამისი თქმა ნათლად, ზუსტად, პირდაპირ, თქვენი პარტიის სახელით, პეტროგრადის თქვენი კომიტეტის, თქვენი ყრილობის სახელით!

«პრავდა» № 60,
1917 წ. 31 (18) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რედ.

ნგრევასთან ბრძოლა კომისიათა გამრავლების საშუალებით

17 მაისის «იზვესტია» ბეჭდავს თავისი ეკონომიური განყოფილების ფრიად გრძელ, ფრიად მოსაწყენ, ფრიად უჭკუო რეზოლუციას ნგრევასთან ბრძოლის შესახებ.

ბრძოლაც ასეთი უნდა! დიდებულ აზრებს, ჩინებულ გეგმებს ახრჩობს ბიუროკრატიულად უსიცოცხლო დაწესებულებათა ქსელი. «ეკონომიური განყოფილება გარდაიქმნება»... უსმინეთ, უსმინეთ! — «სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის განყოფილებადო»...

ჩინებულია! ჩვენ სწორ გზას ვადგავართ! ქვეყანავ, დაწყნარდი! განყოფილებას ს ა-ხ ე ლ ს უ ც ვ-ლ ი-ა ნ!

მერე შეიძლება განა საერთოდ «სახალხო მეურნეობის მოწყობა» ისე, თუ ხელთ არა გაქვს სახელმწიფო ძალაუფლება? ამაზე დაფიქრება აღმასრულებელ კომიტეტში დაავიწყდათ.

... განყოფილება შეიცავს ე ქ ვ ს «ქვეგანყოფილებას»... ეს არის რეზოლუციის 1-ლი პარაგრაფი; მე-2: დამყარდეს «მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი»; მე-3: შემუშავდეს მოწესრიგების «ძირითადი პრინციპები»; მე-4: დამყარდეს მინისტრებთან «მჭიდრო ორგანიზაციული ურთიერთობა» (ღმერთმანი, ეს «მუქიკ ვრედნის» [96] არაკიდან კი არ არის, არამედ 17 მაისის «იზვესტიის» 68-ე ნომრიდან, გვ. 3, სვეტი მე-3,

§ 4...); მე-5: «მთავრობა შეადგენს კომისიებს»; მე-6: «უახლოეს დღეებში უნდა შემუშავდეს კანონპროექტი»; მე-7: დაუყოვნებლივ შევუდგეთ «კანონპროექტების ძირითად დებულებათა შემუშავებას» ხუთი ქვემუხლის მიხედვითო...

ოჰ, ბრძენნო! ოჰ, კანონმდებელნო! ოჰ, ლუი ბლანებო!

«პრავდა» № 60,
1917 წ. 31 (18) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კიდევ ერთი გადახვევა დემოკრატიზმიდან

ნაროდნიკებსა და მენშევიკებს, რომელნიც «იზვესტიას» რედაქტორობენ, უნდათ, რომ მათ სოციალისტებად თვლიდნენ, მაგრამ დემოკრატობაც კი ვერ მოუხერხებიათ. 17 მაისის 68-ე ნომერში ისინი «სიფრთხილეს» ქადაგებენ «ნაწილობრივი ხელახალი არჩევნების ლოზუნგისადმი». «დეპუტატებს, — ასწავლიან ისინი მუშებს, — უნდა ირჩევდნენ განსაზღვრული ვადით, მაგალითად, ორი-სამი თვით და არამც და არამც (!!) არა ერთი კვირით — მიტინგიდან მიტინგამდეო».

განა ეკადრება ოფიციალურ ორგანოს აღელდეს ხელახალი არჩევნების გამო და «სიფრთხილე» გვირჩიოს... რაში? ა ნ ო რ გ ა ნ ო ს ა დ მ ი მასების უნდობლობის გამოცხადებაში!

ეს არის პირველი საკითხი.

მეორე საკითხი: შეგნებული დემოკრატიზმი ხომ არ გვავალდებულებს ხელახალი არჩევნების დროს დაისვას სიფრთხილის საკითხი (თუ კი ასეთი საკითხი მაინც და მაინც უნდა დაისვას) მხოლოდ და მხოლოდ პ ა რ ტ ი ე ულ ო ბ ი ს თვალსაზრისით? ჩვენ, ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბლოკს, ჩვენი, ბლოკის, ხაზი მიგვაჩნია სწორად ამიტომ და ამიტომ, ხოლო ბოლშევიკების ხაზი — შემცდარად ამიტომ და ამიტომო. მაშ რატომ უხვევენ რედაქტორები დემოკრატიზმიდან და იმის ნაცვლად, რომ პარტიულობას მიმართონ, მიმართავენ იმ ახირებულ საბუთს, თითქოს არჩევნების დროს შეცდომა «გამონაკლისს» შეადგენდეს? ნუთუ შესაძლებელია მათ არ იცო-

დნენ, რომ კაპიტალისტების სამინისტროში სკობელევებისა და ჩერნოვების შესვლის «შეცდომის» შესახებ მუშები ყველგან ფიქრობენ და ლაპარაკობენ, რომ ეს სრულიადაც «გამონაკლისს» არ შეადგენსო?

მესამე საკითხი: სავალდებულოა თუ არა დემოკრატისთვის, თუ მას სურს ხელახალი არჩევნების საკითხი დასვას, აღიაროს და ხაზგასმით აღნიშნოს დემოკრატიის პრინციპი: მოსახლეობის უფლება — ყოველ დროს გაიწვიოს ყველა და ყოველი არჩეული, თანამდებობის პირი, წარმომადგენელი?

იქნებ «იზვესტიის» რედაქტორებმა გაიხსენონ, თუ კი ისინი ანგარიშს უწევენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების, მარქსისა და ენგელსის აზრს, — რას წერდნენ ეს ნამდვილი სოციალისტები ასეთი უფლების შესახებ?

«პრავდა» № 60,
1917 წ. 31 (18) მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

როგორ აშინებენ ხალხს კაპიტალისტები?

«ფინანსოვაია გაზეტა» 17 მაისის მოწინავეში წერს:

«ყველასათვის ესოდენ სასურველი და სანატრელი პოლიტიკური გადატრიალება სოციალური რევოლუციის ჯერ არსად ნახულ ფორმას იღებს. თავისუფალ ქვეყანაში კანონიერმა და ბუნებრივმა «კლასობრივმა ბრძოლამ» ჩვენ'ში კლასობრივი ომის ხასიათი მიიღო. ახლოვდება ფინანსური გაკოტრება. მრეწველობის კრახი გარდუვალია...

პოლიტიკური რევოლუციისათვის საკმაო იყო გვეიძულებინა ნიკოლოზ II უარი ეთქვა ტახტზე და დაგვეპატიმრებინა მისი ათიოდე მინისტრი. ამის გაკეთება ადვილი იყო ერთ დღეში. სოციალური რევოლუციისათვის კი საჭიროა უარი ვათქმევინოთ ათეულ მილიონობით მოქალაქეს მთელ თავიანთ ქონებრივ უფლებაზე და დავაპატიმროთ ყველა არასოციალისტი. ამას ვერ შეძლებ ათეული წლების განმავლობაშიც კი».

სიცრუეა, ფრიად პატივცემულო თანამოქალაქენო, აშკარა სიცრუეა! თქვენ გნებავთ «სოციალური რევოლუცია» უწოდოთ მრეწველობის მიმართ კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს გადასვლას მუშების ხელში. ამასთან თქვენ სამ საშინელ შეცდომას სჩადიხართ:

პირველი, სოციალური რევოლუცია იყო 27 თებერვლის რევოლუციაც. ყოველგვარი პოლიტიკური გადატრიალება, თუ ეს მხოლოდ ხროვათა შეცვლა არ არის, სოციალური რევოლუციაა, — საკითხი მხოლოდ ის არის, რ ო მ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს სოციალური რევოლუციაა? 1917 წლის 27 თებერვლის რევოლუციამ ძალაუფლება ჩამოართვა მებატონე-მემამულეებს, რომელთაც ნიკოლოზ მეორე მეთაურობდა, და გადასცა ბურჟუაზიას. ეს იყო ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს სოციალური რევოლუცია.

«ფინანსოვაია გაზეტა» ერთმანეთში ურევს «სოციალურ» და «სოციალისტურ» რევოლუციას და ამ უხეში, მეცნიერულად უმართებულო ტერმინოლოგიით სურს დაუმალოს ხალხს ის აშკარა ფაქტი, რომ მუშები და გლეხები ვერ დაკმაყოფილდებიან ბურჟუაზიის მიერ მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებით.

ბბ. კაპიტალისტები ჩქმალავენ ამ უბრალო და ნათელ ფაქტს და ამით თავიანთ თავსაც ატყუებენ და ხალხსაც.

მეორე, «ჯერ არსად ნახული» უნდა ეწოდოს აგრეთვე 1914 — 1917 წლების დიდ იმპერიალისტურ ომსაც. «ჯერ არსად ნახულა» ასეთი ნგრევა, ასეთი სისხლისმღვრელი საშინელებანი, ასეთი უბედურებანი, ასეთი კრახი მთელი კულტურისა. არა ვინმეს მოუთმენლობა, არა ვინმეს პროპაგანდა, არამედ ობიექტური პირობები, მთელი კულტურის ეს არნახული კრახი, — აი რა გვაიძულებს გადავიდეთ წარმოებისა და განაწილების მიმართ, ბანკებისა, ფაბრიკებისა და სხვათა მიმართ კონტროლზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უამისოდ ათეულ მილიონობით ადამიანს აუცილებელი დაღუპვა მოელის.

ხოლო იმ თავისუფლების დროს, რომელიც 27 თებერვლის «პოლიტიკურმა გადატრიალებამ» შექმნა, მუშათა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების არსებობის დროს, ასეთი კონტროლი შეუძლებელია, თუ არ ჭარბობენ მუშები და გლეხები, თუ მოსახლეობის უმცირესობა უმრავლესობას არ ემორჩილება. რამდენიც უნდა აღშფოთდე, ამას ვერ შეცვლი.

მესამე — და ეს უმთავრესია — თვით სოციალისტური რევოლუციისთვისაც კი არავითარ შემთხვევაში არ არის «საჭირო უარი ვათქმევინოთ ათეულ მილიონობით მოქალაქეს მთელ თავიანთ ქონებრივ უფლებაზე». თვით სოციალიზმისათვისაც კი (ხოლო ბანკებისა და ფაბრიკების კონტროლი კიდევ არ არის სოციალიზმი) არაფერი ამის მსგავსი რამ საჭირო არ არის.

ეს უდიდესი ცილისწამებაა სოციალიზმის მიმართ. არც ერთ სოციალისტს არასოდეს არ მოუთხოვია საკუთრება წაერთვას

(=«უარი ვათქმევინოთ მთელ თავიანთ ქონებრივ უფლებაზე») «ათეულ მილიონობით» მოქალაქეს, ე. ი. წვრილ და საშუალო გლეხებს.

არაფერი ამის მსგავსი!

ყველა სოციალისტი ყოველთვის უარყოფდა ასეთ სისულელეს.

სოციალისტებს სურთ მ ხ ო ლ ო დ მემამულეებსა და კაპიტალისტებს ათქმევინონ «უარი» საკუთრებაზე. იმისათვის, რომ გადაჭრით ბოლო მოეღოს ხალხის იმ აბუჩად აგდებას, რასაც ახლა სჩადიან, მაგალითად, ქვანახშირის მრეწველნი, რომელნიც წარმოების დეზორგანიზაციას ახდენენ და აფუჭებენ მას, საკმარისია საკუთრებაზე «უარი» ვათქმევინოთ რ ა მ დ ე ნ ი მ ე ა ს ე უ ლ, — დიდი-დიდი ერთ ან ორი ათას მილიონერს — ბანკებისა და ვაჭრობა-მრეწველობის ავანჩავანს.

ეს სრულიად საკმარისია, რომ კაპიტალის წინააღმდეგობა გავტეხოთ. ისიც კი არ არის საჭირო, რომ ამ ერთ მუჭა მდიდრებს წაერთვას «მ თ ე ლ ი» თავიანთი ქონებრივი უფლება, მათ შეიძლება დავუტოვოთ მოხმარების მთელი რიგი საგნების საკუთრებაც და განსაზღვრული, მცირე შემოსავლის საკუთრებაც.

რამდენიმე ასეული მილიონერის წინააღმდეგობის გატეხა — ეს და მხოლოდ ეს არის ჩვენი ამოცანა. ამ და მხოლოდ ამ პირობით შ ე ი ძ ლ ე ბ ა კრახის თავიდან აცილება.

«პრავდა» № 61,
1917 წ. 1 ივნისი (19 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კაპიტალისტების კიდევ ერთი დანაშაული

ამას წინათ პეტროგრადში დონეცის მუშათა დელეგაციამ თავისი მოხსენებით ამხილა დონეცის ქვანახშირის ბბ. მრეწველები, რომლებსაც ბოროტი განზრახვით დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაში, აფერხებენ მას, მუშებს უმზადებენ უმუშევრობას (იმის გულისთვის, რომ დაიცვან გაუგონარი მოგების თავიანთი «წმიდათა წმიდა» უფლება), ჩვენს ქვეყანას — შიმშილობას, მრეწველობას კი კრიზისს ქვანახშირის ნაკლებობის გამო.

დღეს ჩვენ მივიღეთ დეპეშა, რომ ქვანახშირის მრეწველები ასევე თავხედურად და დანაშაულებრივად იქცევიან რუსეთის მეორე კუთხეში. აი ეს დეპეშა, რომელიც გამოგზავნილია როგორც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, ისე სამი მინისტრის სახელზე (ფრჩხილებში მოთავსებულია ჩვენი შესწორებანი ტექსტში):

«ჯარისკაცთა დეპუტატების (საბჭომ) და მიხელსონის სუჯენის მაღაროთა მოსამსახურეების კავშირმა 29 აპრილს გადააყენეს მაღაროთა ადმინისტრაციის 9 კაცი იმის გამო, რომ დანაშაულებრივად და პროვოკაციულად უძღვებოდნენ საქმეს, რაც მაღაროების მუშაობის შეჩერების საფრთხეს ქმნიდა. მმართველობა დაეკისრა ინჟინერთა საბჭოს, ტექნიკური თათბირი დაექვემდებარა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უშუალო კონტროლს. ტომსკის ხელმძღვანელი ორგანიზაციების კომისიამ საქმე გამოიძია და ჩვენი გადაწყვეტილება დაადასტურა.

მიხელსონმა 11 მაისის დეპეშით უარი უთხრა მუშებს ანგარიშის გასწორებაზე; მოვითხოვთ სრულ რესტავრაციას. რესტავრაცია შეუძლებე-

ლია *; მაღაროებს ემუქრება ანარქია, მუშებს — გაჭირვება. სასწრაფოდ მიიღეთ ზომები და გამოგზავნეთ ნახევარი მილიონი მანეთი, გადაწყვიტეთ მაღაროთა ბედი, მოახდინეთ მათი კონფისკაცია. მაღაროები თავდაცვისათვის მუშაობენ, სადღეღამისო ამოღება უდრის 135 000 ფუთს, მუშაობის შეჩერება საფრთხეს უქმნის გზათა მოძრაობას, ქარხნების (მუშაობას). ჯერჯერობით მუშაობა ნორმალურია. მარტ — აპრილის ანგარიშის გასწორება დამთავრებული არ არის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, მოსამსახურეთა კავშირი».

შეუძლებელია იმაზე უფრო მართებული გამოთქმის გამონახვა, რაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მოსამსახურეთა კავშირის მიერ გამოგზავნილ ამ დეპეშაშია ნახმარი: კაპიტალისტების მხრივ «საქმის დანაშაულებრივი და პროვოკაციული გაძღოლა».

და ამ დანაშაულის თანამონაწილე იქნება დროებითი მთავრობის ყველა წევრი, ვითომდა სოციალისტი მინისტრების გამოუკლებლივ, თუ მათ მოახლოებული კრახის წინაღმდეგ «ბრძოლა» განაგრძეს მხოლოდ რეზოლუციებით, კომისიებით, მეწარმეებთან თათბირებით, თუ მათ განაგრძეს «ამაოდ სიტყვების ხარჯვა იქ, სადაც საჭიროა ძალაუფლების გამოყენება (კაპიტალისტების წინაღმდეგ)».

«პრავდა» № 61,
1917 წ. 1 ივნისი (19 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* აზრი გაუგებარია; ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მუშაობის შეჩერების შემთხვევაში მისი განახლება შემდეგ ძნელი ან თითქმის შეუძლებელი იქნება?

კიდევ და კიდევ სიცრუე

დღევანდელი «ედინსტვო» * (ერთობა ბურჟუაზიასთან) ამტკიცებს, თითქოს «ლენინელები ამტკიცებდნენ, კურლანდია გერმანული პროვინციაა».

ეს ტყუილია. ეს შეეფერება «რუსსკაია ვოლიას» და «რეჩს» და ეს ტყუილია.

«პრავდამ» გამოიწვია «რეჩი» და სხვა გაზეთები: მოგვეცით ანექსიის ისეთი განმარტება, რომ იგი მიუდგებოდეს როგორც გერმანიის და ინგლისის, ისე რუსეთის ანექსიებსო.

ბურჟუაზიულ გაზეთებს (მათ შორის «ედინსტვოსაც») არ ძალუძთ პასუხი გასცენ კითხვაზე და ამიტომ თავს იძვრენენ ტყუილის განმეორებით. გრცხვენოდეთ!

დაწერილია 1917 წ. 18 (31) მაისს

დაიბეჭდა 1917 წ. 1 ივნისს (19 მაისს)
გაზეთ «პრავდაში» № 61

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

---

* — «ერთობა».

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთებმა კვლავ გამოაქვეყნეს ტყუილი, თითქოს მე გამოურკვეველი მიზეზების გამო არ გამოვცხადდი გლეხთა ყრილობაზე, თავი ავარიდე და სხვა. ნამდვილად კი მე უნდა გამოვსულიყავი ოთხშაბათს და მზადაც ვიყავი გამოვცხადებულიყავი, როდესაც მივიღე ცნობა, ოთხშაბათს დასმულია ორგანიზაციული საკითხი, აგრარული კი დროებით გადადებულიაო; იგივე მოხდა დღესაც, ე. ი. ხუთშაბათს. კვლავ გთხოვთ, ნუ დაუჯერებთ გაზეთებს, გარდა «პრავდისა».

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 18 (31) მაისს

დაიბეჭდა 1917 წ. 1 ივნისს (19 მაისს)
გაზეთ «პრავდაში» № 61

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

გაჭრა თუ არა ორხელისუფლებიანობა?

არა. ორხელისუფლებიანობა დარჩა. ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხი, სახელმწიფო ხელისუფლების საკითხი, კვლავინდებურად გამოურკვეველ, მერყევ, აშკარად გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება.

შეადარეთ ერთმანეთს სამინისტროების გაზეთები, მაგალითად, «რეჩი» ერთი მხრივ, «იზვესტია», «დელო ნაროდა», «რაბოჩაია გაზეტა» — მეორე მხრივ. თვალი გადაავლეთ უბადრუკ, სამწუხაროდ, მეტისმეტად უბადრუკ, ოფიციალურ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხდება დროებითი მთავრობის სხდომებზე, თუ როგორ «გადადებს» ხოლმე იგი უაღრესად არსებითი საკითხების განხილვას, რადგან უძლურია რაიმე გარკვეული გეზი აიღოს. ჩაუკვირდით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 16 მაისის რეზოლუციას უაღრესად არსებითს, უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე იმის შესახებ, თუ რა ზომებით უნდა ვებრძოლოთ ნგრევას, გარდუვალად მოახლოებულ კატასტროფას — და თქვენ დარწმუნდებით, რომ ორხელისუფლებიანობა სრულიად ხელუხლებელია.

ყველა აღიარებს, რომ ქვეყანა უდიდესი სისწრაფით უახლოვდება კატასტროფას, — და მხოლოდ ფუჭი მიწერ-მოწერით კმაყოფილდებიან.

განა ეს ფუჭი მიწერ-მოწერა არ არის, როცა რეზოლუცია ისეთ საკითხზე, როგორიც არის კატასტროფა, ისეთ მომენტში,

როგორსაც ჩვენ განვიცდით, ახვავებს კომისიას კომისიაზე, განყოფილებას განყოფილებაზე, ქვეგანყოფილებას ქვეგანყოფილებაზე? როცა ისეთ გაუგონრად აღმაშფოთებელ საქმეზე დონეცის ქვანახშირის მრეწველებისა, რომლებიც ამხილეს როგორც წარმოებაში დეზორგანიზაციის შეგნებულად შემტანნი, იმავე აღმასრულებელ კომიტეტს გამოაქვს რეზოლუცია, რომელიც გარდა კეთილი სურვილებისა არაფერს შეიცავს? ფასების ფიქსაცია, მოგების მოწესრიგება, ხელფასის მინიმუმის დაწესება, დაარსება ტრესტებისა, რომლებსაც სახელმწიფო აწესრიგებს — ვისი მეშვეობით? როგორ? «დონეც-კრივოიროგის აუზის ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა მეშვეობით. ამ დაწესებულებებს დემოკრატიული ხასიათი უნდა ჰქონდეთ და მათ შედგენაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მუშათა, მეწარმეთა, მთავრობისა და დემოკრატიული რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენლები»!

ეს კომიკური იქნებოდა, ტრაგედიასთან რომ არ გვქონდეს საქმე.

ვინაიდან ყველამ აშკარად იცის, რომ ასეთი «დემოკრატიული» დაწესებულებები როგორც ადგილობრივ, ისე პიტერში (იგივე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი) არსებობდნენ და არსებობენ, მაგრამ მათ არაფრის გაკეთება არ ძალუძთ. მარტის — მარტის! — დამლევიდან მიმდინარეობს დონეცის მუშებისა და მრეწველების თათბირები. თვენახევარზე მეტი გავიდა. შედეგი კი ის არის, რომ დონეცის მუშები იძულებული არიან აღიარონ, რომ მრეწველებს შეგნებულად შეაქვთ წარმოებაში დეზორგანიზაცია!

ხალხს კი კვლავ უმასპინძლდებიან დაპირებებით, კომისიებით, მუშებისა და მრეწველების წარმომადგენელთა (თანაბარი რიცხვით ხომ არა?) კრებებით, ისევ და ისევ იწყებენ გაუთავებელ ამბავს!

ბოროტების დასაბამი ორხელისუფლებიანობაა. ნაროდნიკებისა და მენშევიკების შეცდომის დასაბამია გაუგებლობა

კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც მათ სურთ შეცვალონ ან მიაფუჩეჩონ, მოარიგონ ფრაზით, დაპირებებით, მიმოწერით, კომისიებით, რომლებშიც «მონაწილეობას მიიღებენ»... იმავე ორხელისუფლებიანი მთავრობის წარმომადგენლები!

ომის დროს კაპიტალისტებმა გაუგონარი, სამარცხვინოდ დიდი მოგება ჩაიჯიბეს. მათ მხარეზეა მთავრობის უმრავლესობა. მათ სურთ მთელი ძალაუფლების დასაკუთრება; მათ, თავიანთი კლასობრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, არ შეუძლიათ არ მიისწრაფოდნენ სრულძალაუფლებიანობისაკენ, არ დაიცვან იგი.

მუშათა მასებს, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, ხელში ჰყავთ რა საბჭოები, გრძნობენ რა თავიანთ ძალას, როგორც უმრავლესობის ძალას, ყველგან ესმით რა ცხოვრების «დემოკრატიზაციის» დაპირება, იციან რა, რომ დემოკრატია ნიშნავს უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე (და არა პირიქით, როგორც ეს კაპიტალისტებს სურთ), ცდილობენ რა თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებას არა ომის დაწყების დროიდან, არამედ მხოლოდ რევოლუციის დროიდან, და ისიც არა ყველგან, ამ მუშათა მასებს არ შეუძლიათ არ მიისწრაფოდნენ ხალხის, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობის სრულძალაუფლებიანობისაკენ, ე. ი. ისეთი მდგომარეობისაკენ, როდესაც საქმე წყდება მუშათა უმრავლესობის მიხედვით კაპიტალისტთა უმცირესობის წინააღმდეგ, და არა უმრავლესობის «შეთანხმებით» უმცირესობასთან.

ორხელისუფლებიანობა რჩება. კაპიტალისტების მთავრობა კაპიტალისტების მთავრობად რჩება, მიუხედავად მისი დანამატისა უმცირესობაში მყოფი ნაროდნიკებისა და მენშევიკების სახით. საბჭოები უმრავლესობის ორგანიზაციად რჩება. ნაროდნიკი და მენშევიკი ბელადები უმწეოდ აწყდებიან აქეთ-იქით, ცდილობენ რა ორ სკამს შუა დაჯდნენ.

კრიზისი კი იზრდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვანახშირის მრეწველი კაპიტალისტები წარმოუდგენლად თავხედურ დანაშაულს სჩადიან: აფუჭებენ და აჩერებენ

წარმოებას. უმუშევრობა იზრდება. ლაპარაკობენ ლოკაუტებზე. არსებითად ლოკაუტები უკვე იწყება, — სახელდობრ, კაპიტალისტების მიერ წარმოების დეზორგანიზაციის სახით (ქვანახშირი ხომ მრეწველობის პურია!!), სახელდობრ მზარდი უმუშევრობის სახით.

ამ კრიზისის, მოახლოებული კატასტროფის მთელი პასუხისმგებლობა ნაროდნიკ და მენშევიკ ბელადებს ეკისრებათ. ვინაიდან ამჟამად სწორედ ისინი არიან საბჭოების, ე. ი. უმრავლესობის ბელადები. უმცირესობის (კაპიტალისტების) მიერ უმრავლესობისათვის დამორჩილებაზე უარის თქმა აუცილებელია. ვისაც არ დავიწყნია ყოველივე ის, რასაც გვასწავლის მეცნიერებაც და ყველა ქვეყნის გამოცდილებაც, ვისაც არ დავიწყნია კლასობრივი ბრძოლა, ის გულმინდობით ვერ დაუცდის კაპიტალისტებთან «შეთანხმებას» ასეთ ძირითად, მწვავე საკითხში.

მოსახლეობის უმრავლესობას, ე. ი. საბჭოებს, ე. ი. მუშებსა და გლეხებს, სრული შესაძლებლობა ექნებოდათ ეხსნათ მდგომარეობა, ხელი შეეშალათ კაპიტალისტებისათვის წარმოების დეზორგანიზაციისა და მისი შეჩერების საქმეში, დაუყოვნებლივ, ნამდვილად დაექვემდებარებინათ იგი თავიანთი კონტროლისათვის, ნაროდნიკი და მენშევიკი ბელადების «შემთანხმებლური» პოლიტიკა რომ არ ყოფილიყო. კრიზისისა და კატასტროფის მთელი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ.

მაგრამ არ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა უმრავლესობის — მუშებისა და გლეხების გადაწყვეტილებისა უმცირესობის — კაპიტალისტების წინააღმდეგ. ვერავითარი გაჭიანურება საქმეს ვერ უშველის, იგი მხოლოდ გაამწვავებს ავადმყოფობას.

მარქსიზმის თვალსაზრისით, ნაროდნიკი და მენშევიკი ბელადების «შემთანხმებლობა» არის წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის გამოხატულება, წვრილი ბურჟუაზიისა, რომელსაც ეშინია დაენდოს მუშებს, ეშინია კავშირი გაწყვიტოს კაპიტალისტებთან. ასეთი მერყეობა გარდუვალია, — ისევე რო-

გორც გარდუვალია ჩვენი ბრძოლაც, პროლეტარული პარტიის ბრძოლაც, ამ მერყეობის დასაძლევად, ხალხისათვის იმის განსამარტებლად, რომ საჭიროა წარმოების აღდგენა, მოწყობა და გადიდება, მიუხედავად კაპიტალისტების წინააღმდეგობისა.

სხვა გამოსავალი არ არის. ან უკან, კაპიტალისტების სრულძალაუფლებიანობისაკენ, ან წინ, ნამდვილი დემოკრატიისაკენ, უმრავლესობის მიხედვით საკითხების გადაწყვეტისაკენ. ახლანდელი ორხელისუფლებიანობა დიდხანს ვერ იარსებებს.

«პრავდა» № 62,
1917 წ. 2 ივნისი (20 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მიწის «თვითნებურად დატაცების» შესახებ

(«სოციალისტ-რევოლუციონერების» უხეირო საბუთები)

სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის»[97] 19 მაისის მე-10 ნომერში დაბეჭდილია ს. მასლოვის მოხსენება, რომელშიც «მიწების დატაცებაზეა» მსჯელობა. «ზოგიერთ ადგილასო, — თქვა ს. მასლოვმა, — გლეხობა მიისწრაფვის განახორციელოს მიწის ფლობის თავისი უფლება მეზობელ მემამულეთა მიწების თვითნებურად დატაცების გზით. იბადება კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია ეს».

ს. მასლოვს ეს მიაჩნია მიზანშეუწონლად და ოთხი საბუთი მოჰყავს. გულდასმით განვიხილოთ ეს საბუთები.

პირველი საბუთი. რუსეთში მიწის მარაგი ოლქებისა და გუბერნიების მიხედვით უთანაბროდ არის განაწილებული. აღნიშნავს რა ამ უდავო ფაქტს, ს. მასლოვი ამბობს:

«ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, როგორ გართულდება მიწის საკითხის სწორი გადაჭრა, თუ თვითეული გუბერნია ან ოლქი პრეტენზიას განაცხადებს მხოლოდ თავის მიწებზე და დაიტაცებს მათ თავისთვის. ძნელი არ არის იმის გათვალისწინება, თუ ცალკეული სოფლების გლეხები დაიტაცებენ მეზობელ მემამულეთა მიწებს, დანარჩენ გლეხებს კი უმიწოდ დატოვებენ».

ასეთი მსჯელობა ცხადად, აშკარად ღალატობს ჭეშმარიტებას. ასეთი მსჯელობა შეიძლება იმათ წინააღმდეგ, ვინც გლეხებს ურჩევს მიწები დაიტაცოს ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ, და ისიც არაორგანიზებულად. დაიტაცეს, გაინაწილეს — მორჩა და გათავდა.

ეს, მართლაც, უდიდესი ანარქიზმი, უდიდესი უაზრობა იქნებოდა.

ვინ, რომელი პარტია ურჩევდა გლეხებს ასეთ უაზრობას, ჩვენ არ ვიცით. თუ ს. მასლოვს ეს ჰქონდა მხედველობაში, მაშინ ის ქარის წისქვილებს ებრძვის. ეს სასაცილოა.

ჩვენმა პარტიამ, რსდმ პარტიამ ბოლშევიკებისამ, ზუსტ რეზოლუციაში განაცხადა, რომ მიწის საკუთრება მთელი ხალხის ხელში უნდა იყოსო. მაშასადამე, ჩვენ უარვყოფთ მიწის ყოველგვარ დატაცებას საკუთრებად.

მაგრამ ლაპარაკი ამაზე როდია, და ს. მასლოვმა თვითონვე გასცა თავისი თავი, როცა თქვა უმთავრესი და არსებითი: მემამულეთა მიწების დატაცება. აი საქმე რაშია. აი რა არის თავიდათავი. აი რა საკითხზე ლაპარაკობს ს. მასლოვი ასე მიკიბულ-მოკიბულად.

მემამულეთა მიწების კონფისკაცია უნდა მოხდეს ახლავე, ე. ი. ახლავე უნდა გაუქმდეს ამ მიწების საკუთრება და ამასთან გამოუსყიდველად.

მერე, როგორ მოეწყოს ამ მიწების მფლობელობა? ვინ უნდა დაეუფლოს მათ ერთბაშად, ვინ უნდა დათესოს ეს მიწები? ადგილობრივმა გლეხებმა და ამასთან ორგანიზებულად, ე. ი. უმრავლესობის გადაწყვეტილებით. აი ჩვენი პარტიის რჩევა. მემამულეთა მიწების მფლობელობა ახლავე უნდა გადაეცეს ადგილობრივ გლეხებს, საკუთრება კი უნდა დარჩეს ხალხის ხელში. მფლობელობის საბოლოო უფლებას დააწესებს დამფუძნებელი კრება (ან საბჭოების სრულიად რუსეთის საბჭო, თუ ხალხი მას დამფუძნებელ კრებად გადააქცევს).

რა შუაშია აქ სხვადასხვა ოლქებში მიწის მარაგის უთანაბრობა? ცხადია, არაფერ შუაშია. ეს უთანაბრობა სულ ერთია მაინც დარჩება დამფუძნებელ კრებამდე — ვისი გეგმაც უნდა იყოს: მემამულეების, ს. მასლოვის თუ ჩვენი.

ს. მასლოვმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ გლეხების ყურადღება საქმეს ჩამოაშორა. საქმის დედაარსი მან

ძიაფუჩეჩა უშინაარსო სიტყვებით, რომელსაც საქმესთან საერთო არაფერი აქვს.

საქმის ეს დედაარსია — მემამულეთა მიწების საკითხი. მემამულეებს სურთ შეინარჩუნონ მიწები. ჩვენ კი გვინდა იგი ახლავე გადავცეთ გლეხებს გამოუსყიდველად, სრულიად უფასოდ. მასლოვს სურს საქმე გააჭიანუროს «მომრიგებელი კამერების» საშუალებით.

ეს მავნებელია. საქმის გაჭიანურება მავნებელია. უმრავლესობა (გლეხები) კი არ უნდა «მოვარიგოთ» უმცირესობასთან (მემამულეებთან), მემამულეები ერთბაშად უნდა დაემორჩილონ გლეხთა უმრავლესობის ნებას. ასეთი მორიგება უკანონო, უსამართლო, არადემოკრატიული შეღავათია მემამულეებისათვის.

მასლოვის მეორე საბუთი:

«გლეხები იმ იმედით ესწრაფვიან მიწის დატაცებას, რომ, რის მოხვნასაც მოასწრებენ, სულ მთლად მათ დარჩებათ. ეს შეუძლია მხოლოდ გლეხთა იმ კომლებს, ვისაც საკმაო მუშახელი და ცხენები ჰყავთ. უცხენო ოჯახები, ის ოჯახები, რომელთა მუშახელის უმეტესი ნაწილი ჯარშია წასული, ვერ ისარგებლებენ დატაცებით თავიანთი თავის მიწით უზრუნველსაყოფად. ამიტომ ცხადია, რომ დატაცება შეიძლება ხელსაყრელი იყოს უფრო ღონიერთა და უფრო მეტი მიწის მქონეთათვის და არა იმათთვის, ვისაც უფრო ესაჭიროება მიწა».

ეს საბუთიც აშკარა სიცრუეა. ს. მასლოვს საქმის არსიდან, მემამულეთა მიწების საკითხიდან, გლეხების ყურადღება კვლავ სხვა რამეზე გადააქვს. ვინაიდან, თუ გლეხები მემამულეთა მიწებს აიღებენ არა «დატაცების გზით» (ე. ი. უფასოდ, როგორც ჩვენ ვამბობთ), არამედ იჯარით, ე. ი. ფასით (როგორც მემამულეები და ს. მასლოვი გვირჩევენ), განა საქმე ამით შეიცვლება? განა მემამულეებისგან იჯარით აღებული მიწების მოსახვნელად ცხენები და მუშახელი საჭირო არ არის? განა ის ოჯახები, რომელთაც მუშაკები ჯარში გაუშვეს, დიდოჯახიანთა თანაბრად შეძლებენ მიწის იჯარით აღებას?

მთელი განსხვავება, ამ მუხლში, ჩვენს პარტიასა, ბოლშევიკებსა, და მასლოვს შორის — ის არის, რომ იგი გვირჩევს

მემამულეების მიწა ავიღოთ ფასით და «მორიგებითი» შეთანხმების შემდეგ, ჩვენ კი ვამბობთ — ავიღოთ ახლავე და უფასოდ.

საკითხი გლეხთა შორის მდიდრების შესახებ აქ არაფერ შუაშია. უფრო მეტიც: უფასოდ აღება უფრო ხელსაყრელია ღარიბებისათვის. ფასით აღება კი მდიდრებს უფრო ეადვილებათ.

რა ზომების მიღებაა შესაძლებელი და აუცილებელი იმისათვის, რომ მდიდარმა გლეხმა ღარიბი გლეხი არ დაჩაგროს?

1) საკითხის გადაწყვეტა უმრავლესობის მიხედვით (ღარიბები მეტია, ვიდრე მდიდრები); ჩვენც სწორედ ამას ვამბობთ;

2) უღარიბესი გლეხების ცალკე ორგანიზაცია, რათა მათ ცალკე იმსჯელონ თავიანთ განსაკუთრებულ ინტერესებზე. ჩვენც სწორედ ამას ვამბობთ;

3) მემამულეთა მიწების საერთო მოხვნა საერთო პირუტყვით, საერთო იარაღებით, სოფლის მუშათა დეპუტატების საბჭოების ხელმძღვანელობით. ჩვენც სწორედ ამას ვამბობთ.

სწორედ ამ ორ უკანასკნელ — ყველაზე მნიშვნელოვან — ღონისძიებას არ იცავს «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტია. ეს მეტად სამწუხაროა.

მესამე საბუთი:

«პირველ ხანებში, რევოლუციის პირველ დღეებში, როცა ჯარში ჯარისკაცებს შორის ხმა გავარდა, თითქოს იქ, სამშობლოში, მიწას ანაწილებენო, ბევრი იმის შიშით, ვაი თუ ხელცარიელი დავრჩეო, შინისკენ გაეშურა, რითაც დეზერტირობა გაძლიერდა».

ეს საბუთი ეხება მიწის დაუყოვნებლივ დაყოფას საკუთრებად. ეს არავის არ უთქვამს. ს. მასლოვი აქაც მიზანს აცილებს.

მეოთხე საბუთი:

«დასასრულ, მიწების დატაცება ნათესების შემცირების საფრთხეს ქმნის. არის შემთხვევები, როცა მემამულეთა დატაცებულ მიწებს გლეხები ცუდად თესავენ, თესლის მცირე რაოდენობით ან დაუთესავს ტოვებენ თავიანთ მიწებს. ახლა, როცა ჩვენს ქვეყანას ასე ესაჭიროება სურსათი, ასეთი მდგომარეობა პირდაპირ შეუწყნარებელია».

ეს კი სულ მთლად უვარგისი საბუთია, რომელიც ხალხს საბაცილოდ არ ეყოფა! ისე გამოდის, თითქოს გლეხები მემამულეთა მიწებს თუ ფასით აიღებენ, უკეთ დაამუშავებენ!!

ნუ ირცხვენთ თავს, პატივცემულო მოქალაქე ს. მასლოვ, ასეთი საბუთებით!

თუ გლეხები მიწას ცუდად თესავენ, უნდა დავეხმაროთ ამათ, ამასთან სწორედ უღარიბეს გლეხებს, რომ ისინი მსხვილ მეურნეობათა საერთო ძალ-ღონით დამუშავებაზე გადავიდნენ. უღარიბესი გლეხებისათვის დახმარების სხვა საშუალება არ არსებობს. და, სამწუხაროდ, სწორედ ამ საშუალებას არ ურჩევს მათ ს. მასლოვი...

სამართლიანობა მოითხოვს დავსძინოთ, რომ ს. მასლოვმა, ეტყობა, თვითონაც იგრძნო თავისი საბუთების სისუსტე და თავის ნათქვამს მაშინვე დაუმატა:

«ახლა, ზემოთ ნათქვამის შემდეგ, ვგრძნობ, რომ ზოგიერთი თქვენგანი ძნად არის შემეკამათოს და თქვას: როგორ გვირჩევთ ყველაფერი ძველებურად დავტოვოთ, როცა ჩვენ ამდენი გადავიტანეთ მემამულეთა საკუთრების წყალობითო. მე ვერავითარი რჩევის მოცემას ვერ ვიკისრებ».

ჭეშმარიტად! ს. მასლოვს ისე გამოუვიდა, თითქოს მას სურდეს ყველაფერი ძველებურად დარჩეს (თუმცა მას ეს არ სურს). მაშასადამე, მისი საბუთები მეტად უხეირო ყოფილა.

საქმე თვით გლეხებმა უნდა გადაწყვიტონ. რჩევა კი პარტიებმა უნდა მისცენ. ჩვენი პარტია იმ რჩევას იძლევა, რაც მე ზემოთ აღვნიშნე და რაც დაწვრილებით და ზედმიწევნით არის გამოთქმული ჩვენს რეზოლუციებში*: «სოლდატსკაია პრავდას» მე-13 ნომრის დამატება, ფასი 5 კაპ.

«პრავდა» № 62, 1917 წ.
2 ივნისი (20 მაისი)
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 340 — 343. რედ.

მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის

დაწერილია 1917 წ. აპრილ-მაისში.

დაიბეჭდა 1917 წ. ივნისში ბროშურაში «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». გამომცემლობა «პრიბოი». პეტროგრადი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

1

წინასიტყვაობა ბროშურისა «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის»

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის («ბოლშევიკების») ცენტრალურმა კომიტეტმა ქვემოთ ხელისმომწერს დაავალა დაუყოვნებლივ გამოსცეს ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში არსებული მასალა პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის.

ამ მასალას შეადგენს:

ა) პროგრამის თეორიული და პოლიტიკური ნაწილების ცვლილებათა პირვანდელი პროექტი, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა შეიტანა რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე 1917 წლის 24 — 29 აპრილს და განიხილა მხოლოდ სექციამ, რომელიც კონფერენციაზე შეიქმნა ამ საკითხის დასამუშავებლად.

ბ) სექციისა და მისი ცალკეული წევრების შენიშვნები, როგორც ამ პროექტის მიმართ, ისე მასთან დაკავშირებით.

გ) ჩემი პასუხი ამ შენიშვნებზე.

დ) ეკონომიური პროგრამა-მინიმუმის ცვლილების სრული პროექტი, რომელიც შეიმუშავა 1917 წლის 24 — 29 აპრილის კონფერენციაზე შრომის დაცვის ქვესექციამ.

ე) პარტიული პროგრამის იმ მუხლების ცვლილებათა პროექტი, რომლებიც სახალხო განათლებას ეხება; მას თან ერთვის მოკლე განმარტებები. ეს პროექტი უკვე კონფერენციის შემდეგ შეადგინა ნ. კ. კრუპსკაიამ.

ვცემ რა ამ მასალას, თან ვურთავ ფრიად მოკლე განმარტებებს; ამჟამად მთავარ პარტიულ ამოცანად მიმაჩნია მასალის გამოქვეყნებით რაც შეიძლება მეტი ამხანაგი მივიზიდო აქტიურ მუშაობაში პარტიული პროგრამის შესამუშავებლად.

რადგან ცვლილებათა ყველა ზემოდასახელებული პროექტი საერთოდ ახალი პროგრამის სრული ტექსტის პროექტს იძლევა, ამ ბროშურის ბოლოში ვბეჭდავ რ ო გ ო რ ც ძველ, ი ს ე ახალ ტექსტებს იმგვარად, რომ მკითხველებს თვალწინ ჰქონდეთ მთელი მასალა შედარებისა და შესწორებათა შეტანისათვის რაც შეიძლება უფრო მოხერხებული ფორმით.

ცენტრალური კომიტეტის დავალებით მივმართავ თხოვნით ყველა ამხანაგს — პარტიის წევრს, აგრეთვე ყველა მის თანამგრძნობს, რაც შეიძლება ფართოდ გადაბეჭდონ ეს მასალა პარტიულ გამოცემებში, გააცნონ იგი პარტიის წევრთა მ თ ე ლ შემადგენლობას და გამოუგზავნონ «პრავდის» რედაქციას (მოიკა, 32, პეტროგრადი, წარწერით: ცენტრალური კომიტეტისათვის, მასალები პროგრამის გადასინჯვისათვის) ყველა და ყოველგვარი შენიშვნა და პროექტი.

1917 წ. 20 მაისი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

2

პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტი

პროგრამის პრინციპული ნაწილის ბოლოში (ამ სიტყვების შემდეგ: «პროლეტარიატის თვალსაზრისზე») ჩაემატოს:

ამჟამად, დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისიდან, მსოფლიო კაპიტალიზმმა მიაღწია იმპერიალიზმის საფეხურს. იმპერიალიზმი, ანუ ფინანსური კაპიტალის ეპოქა, იმდენად დიდად განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობაა, როცა კაპიტალისტების მონოპოლისტურმა კავშირებმა — სინდიკატებმა, კარტელებმა, ტრესტებმა — გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს, უდიდესი კონცენტრაციის საბანკო კაპიტალი შეუერთდა სამრეწველო კაპიტალს, დიდად განვითარდა კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში, მთელი მსოფლიო ტერიტორიულად უკვე განაწილებულია უმდიდრეს ქვეყნებს შორის და დაიწყო მსოფლიოს ეკონომიური დაყოფა ინტერნაციონალურ ტრესტებს შორის.

იმპერიალისტური ომები — ე. ი. ომები მსოფლიოზე გასაბატონებლად, საბანკო კაპიტალისთვის ბაზრების მოსაპოვებლად, პატარა და სუსტ ეროვნებათა ჩასახრჩობად — აუცილებელია საქმის ამგვარ ვითარებაში. და სწორედ ასეთია 1914 — 1917 წლების პირველი დიდი იმპერიალისტური ომი.

საერთოდ მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების არაჩვეულებრივად მაღალი საფეხურიც; თავისუფალი კონკურენციის მონოპოლისტური კაპიტალიზმით შეცვლაც; ბანკებისა

და აგრეთვე კაპიტალისტთა კავშირების მიერ აპარატის მომზადებაც პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესის საზოგადოებრივი მოწესრიგებისათვის; კაპიტალისტური მონოპოლიების ზრდასთან დაკავშირებული სიძვირისა და სინდიკატების მხრივ მუშათა კლასის ჩაგვრის ზრდაც, ამ კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის უაღრესად გაძნელებაც; იმპერიალისტური ომით წარმოშობილი საშინელება, უბედურება, გალატაკება და გაველურებაც, — ყოველივე ეს კაპიტალიზმის განვითარების ამჟამად უკვე მიღწეული საფეხურისაგან ქმნის პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის ერას.

ეს ერა დაიწყო.

მხოლოდ პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შექმნა იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომებმა. როგორიც არ უნდა იყოს რევოლუციის სიძნელეები და მისი დროებითი შესაძლო წარუმატებლობა, ანდა კონტრრევოლუციის ტალღები, — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება გარდუვალია.

ამიტომ, ობიექტური პირობების ძალით, დღევანდელი ეპოქის დღის წესრიგში დგება პროლეტარიატის ყოველმხრივი და უშუალო მომზადება პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, რათა განახორციელოს ის ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებები, რაც სოციალისტური რევოლუციის შინაარსს შეადგენს.

ამ ამოცანის შესრულება, რაც ყველა მოწინავე ქვეყნის მუშათა კლასის სრულ ნდობას, უმჭიდროეს ძმურ კავშირს და რევოლუციურ მოქმედებათა უშუალო ერთიანობას მოითხოვს, შეუძლებელია, თუ დაუყოვნებლივ და პრინციპულად ხელი არ ავიღეთ სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებაზე, რომელიც გაბატონდა ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა დიდი უმრავლესობის ზედაფენებში. ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, სოციალ-შოვინიზმის,

სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი შოვინიზმის მიმდინარეობა, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგით «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვის დაფარვა, ხოლო მეორე მხრივ, ეგრეთწოდებული «ცენტრის» ასეთივე ფართო და საერთაშორისო მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერს სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობას, გაკოტრებული II ინტერნაციონალის შენარჩუნებას ან შესწორებას, — მიმდინარეობა, რომელიც მერყეობს სოციალ-შოვინიზმსა და სოციალისტური წყობილების განხორციელებისათვის პროლეტარიატის რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ბრძოლას შორის.

პროგრამა-მინიმუმში მთელი დასაწყისი (სიტყვებიდან: «თავიანთი საერთო საბოლოო მიზნის მიღწევის გზაზე», ვიდრე § 1-მდე) ამოგდებულ იქნეს და შეიცვალოს ასე:

რუსეთში დღეს, როცა დროებითმა მთავრობამ, რომელიც კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის და წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის ფართო მასების ნდობით — ცხადია, არამტკიცე ნდობით — სარგებლობს, დამფუძნებელი კრების მოწვევა იკისრა, პროლეტარიატის პარტიის წინაშე დგება უშუალო ამოცანა — იბრძოლოს ისეთი სახელმწიფო წყობილებისათვის, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს როგორც საერთოდ ხალხის ეკონომიურ განვითარებასა და უფლებებს, ისე განსაკუთრებით სოციალიზმზე რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ გადასვლის შესაძლებლობას.

პროლეტარიატის პარტიას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ბურჟუაზიულ-პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკით, რომელიც ყველგან მთელ მსოფლიოში ინარჩუნებს და ისწრაფვის გაამარადისოს მასების ჩაგვრის მონარქიული იარაღები, სახელდობრ: პოლიცია, მუდმივი ჯარი, პრივილეგიური მოხელეობა.

პარტია იბრძვის უფრო დემოკრატიული პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკისათვის, სადაც სრულიად არ იქნება პოლიცია და მუდმივი ჯარი და მათ შეცვლის ხალხის საყოველთაო შეიარაღება, საყოველთაო მილიცია; სადაც ხდება

ყველა თანამდებობის პირის არა მარტო არჩევა, არამედ გადაყენებაც ყოველ დროს, როცა ამას მათი ამომრჩევლების უმრავლესობა მოითხოვს; თანამდებობის პირთა ხელფასი, გამოუკლებლივ ყველასი, განისაზღვრება ისეთი რაოდენობით, რომელიც არ აღემატება კარგი მუშის საშუალო ხელფასს; პარლამენტურ-წარმომადგენლობითი დაწესებულებები თანდათან შეიცვლება ხალხის (სხვადასხვა კლასისა და პროფესიის ან სხვადასხვა ადგილის) წარმომადგენელთა საბჭოებით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს კანონმდებლებიც იქნებიან და თავიანთი კანონების გამტარებლებიც.

რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს:

§ 1. ხალხის თვითმპყრობელობა; სახელმწიფოში მთელი უმაღლესი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხის წარმომადგენლებს, რომელთაც ირჩევს და ყოველ დროს გადააყენებს ხოლმე ხალხი და რომლებიც შეადგენენ ერთ სახალხო კრებას, ერთ პალატას.

§ 2. — დაემატოს:

პროპორციული წარმომადგენლობა ყოველგვარ არჩევნებში; გამოუკლებლივ ყველა დელეგატისა და არჩეული პირის გადაყენება ყოველ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

§ 3. — დაემატოს:

გადაყენება სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ყველა ადგილობრივ და საოლქო ხელისუფალთა *.

§ 8-ში უკანასკნელი წინადადება გადმოიცეს ასე:

დედა ენის შემოღება ყველა ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში; სავალდებულო სახელმწიფო ენის გაუქმება.

---

* იხ. «პრავდა» № 68, 1917 წ. 28 მაისის თარიღით, ფ. ენგელსის მსჯელობანი იმის შესახებ, თუ რა თვალსაზრისს ადგას მარქსიზმი — და საერთოდ თანამიმდევარი დემოკრატია — ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეულ ხელისუფალთა დანიშვნის ან დამტკიცების საკითხში 98.

§ 9 შეიცვალოს ასე:

თავისუფალი გამოყოფისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება ყველა იმ ერისათვის, რომლებიც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან. რუსი ხალხის რესპუბლიკა სხვა ერებს თუ ეროვნებებს უნდა იზიდავდეს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით საერთო სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ყველა ქვეყნის მუშების ერთიანობა და ძმური კავშირი ვერ ურიგდება ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ ძალდატანებას სხვა ეროვნებათა მიმართ.

§ 11 შეიცვალოს ასე:

როგორც სამოქალაქო სამსახურში, ისე ჯარში მოსამართლეთა და თანამდებობის პირთა არჩევა ხალხის მიერ; ყველა ამ პირის გადაყენება ყოველ დროს მათი ამომრჩევლების უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

§ 12 შეიცვალოს ასე:

პოლიციისა და მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; მუშები და მოსამსახურეები ჩვეულებრივ ხელფასს უნდა ღებულობდნენ კაპიტალისტებისაგან იმ დროის განმავლობაში, რომელსაც ისინი საყოველთაო-სახალხო მილიციაში საზოგადოებრივ სამსახურს მოანდომებენ.

პროგრამის ფინანსური მუხლის შემდეგ (შემდეგ სიტყვებისა: «შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე») ჩაემატოს:

ერთი მხრივ, საბანკო საქმეში და მრეწველობის ტრესტირებულ დარგებში კაპიტალიზმის განვითარების უკვე მიღწეული მაღალი საფეხური, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიალისტური ომით გამოწვეული ნგრევა, რომელიც ყველგან იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების მოთხოვნას უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ, აიძულებს პარტიას მოითხოვოს ბანკების, სინდიკატების (ტრესტების) და სხვათა ნაციონალიზაცია.

აგრარული პროგრამა ჩამოყალიბდეს ასე:

დასაწყისი დარჩეს ძველი (სიტყვებიდან: «ბატონყმობის ნაშთების მოსასპობად» სიტყვებამდე: «პარტია მოითხოვს»), გაგრძელება კი შეიცვალოს შემდეგნაირად:

1) მთელი ძალ-ღონით იბრძვის რუსეთში მემამულეთა მთელი მიწების (აგრეთვე საუფლისწულო, საეკლესიო, საკაბინეტო და სხვ. და სხვ.) დაუყოვნებლივი და სრული კონფისკაციისათვის;

2) მხარს უჭერს მთელი მიწების დაუყოვნებლივ გადასვლას იმ გლეხობის ხელში, რომელიც ორგანიზებულია გლეხთა დეპუტატების საბჭოებში ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა, მართლაც სავსებით დემოკრატიულად არჩეულ და მემამულეთა და მოხელეთაგან სრულიად დამოუკიდებელ ორგანოებში;

3) მოითხოვს სახელმწიფოს მთელი მიწების ნაციონალიზაციას; ნაციონალიზაცია, რაც მთელი მიწების საკუთრების უფლების სახელმწიფოს ხელში გადაცემას ნიშნავს, ადგილობრივ დემოკრატიულ დაწესებულებებს გადასცემს მიწის გამგებლობის უფლებას;

4) მხარს უჭერს იმ გლეხთა კომიტეტების თაოსნობას, რომლებიც რუსეთის მთელ რიგ ადგილებში მემამულეთა ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს გადასცემენ ამ კომიტეტებში ორგანიზებულ გლეხობას, რათა საზოგადოებრივ-მოწესრიგებულად გამოიყენონ იგი მთელი მიწის დასამუშავებლად;

5) ურჩევს სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს, ეცადონ მემამულის ყოველი მამულიდან შექმნან საკმაოდ მსხვილი სანიმუშო მეურნეობა, რომელსაც საზოგადოების ხარჯზე წარმართავდნენ სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოები აგრონომების ხელმძღვანელობითა და საუკეთესო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

პარტია დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყველა შემთხვევასა და ყოველგვარ გარემოებაში და ა. შ. აბზაცის ბოლომდე («ექსპლოატაციის მოსასპობად»).

დასასრულ, აგრარული პროგრამის ბოლო, სიტყვებიდან: «პარტია დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყველა შემთხვევასა და ყოველგვარ გარემოებაში» სიტყვებამდე: «ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსასპობად» — დარჩეს ძველებურად.

პროგრამის მთელი ბოლო, ორი უკანასკნელი აბზაცი, სიტყვებიდან: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ისწრაფვის რა მიაღწიოს» და ბოლომდე, სრულიად ამოღებულ იქნეს.

3

მოსაზრებანი სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის სექციის შენიშვნების გამო

პროგრამის ზოგად ნაწილზე ამ შენიშვნების გამო შემდეგი უნდა აღვნიშნო:

პროგრამის მთელი ზოგადი ნაწილის გადამუშავება, ჩემი აზრით, აუცილებლობით არ არის გამოწვეული. სექციის მიერ დასახული ასეთი გადამუშავების გეგმა თეორიულად უმართებულოდ მიმაჩნია.

პროგრამის ზოგადი ნაწილის ახლანდელი რედაქცია შეიცავს კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების უმთავრეს და ყველაზე არსებით თავისებურებათა აღწერასა და ანალიზს. ეს თავისებურებანი ძირითადად არ შეუცვლია იმპერიალიზმს, ფინანსური კაპიტალის ეპოქას. იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების გაგრძელება, მისი უმაღლესი სტადია, რომელიც გარდამავალია — გარკვეული აზრით — სოციალიზმზე.

ამიტომ არ შემიძლია «მექანიკურად» ჩავთვალო საერთოდ კაპიტალიზმის ძირითად თავისებურებათა ანალიზისათვის იმპერიალიზმის ანალიზის დამატება. სინამდვილეში იმპერიალიზმი არ გარდაქმნის *დ ა ვ ე რ ც გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს* კაპიტალიზმს თავიდან ბოლომდე. იმპერიალიზმი ართულებს და ამწვავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, «ერთმანეთში ურევს» მონოპოლიებს და თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ

იმპერიალიზმს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მ ო ს პ ო ს გაცვლა-გამოცვლა, ბაზარი, კონკურენცია, კრიზისები და სხვ.

იმპერიალიზმი არის წარმავალი, მაგრამ არა დრომოჭმული კაპიტალიზმი, მომაკვდავი, მაგრამ არა მკვდარი კაპიტალიზმი. არა წმინდა წყლის მონოპოლიები, არამედ მონოპოლიები გაცვლა-გამოცვლის, ბაზრის, კონკურენციის, კრიზისების გვერდით, — აი ფრიად არსებითი თავისებურება იმპერიალიზმისა საერთოდ.

ამიტომ თეორიულად უმართებულო იქნება ამოვაგდოთ საერთოდ გაცვლა-გამოცვლის, სასაქონლო წარმოების, კრიზისებისა და სხვათა ანალიზი და ეს ანალიზი «შევცვალოთ» იმპერიალიზმის, რ ო გ ო რ ც მ თ ე ლ ი ს ანალიზით. ვინაიდან ასეთი მთელი არ არსებობს. არის გ ა დ ა ს ვ ლ ა კონკურენციიდან მონოპოლიაზე, ამიტომ გაცილებით უფრო სწორი იქნება, სინამდვილეს ბევრად უფრო ზედმიწევნით გამოხატავს ისეთი პროგრამა, რომელშიც დარჩება გაცვლა-გამოცვლის, სასაქონლო წარმოების, კრიზისების და სხვათა ანალიზი და რომელსაც დაემატება ზ რ დ ა დ ი მონოპოლიების დახასიათება. სწორედ ეს შეერთება ერთმანეთის საწინააღმდეგო «საწყისებისა»: კონკურენციისა და მონოპოლიებისა არსებითი მხარეა იმპერიალიზმისა, სწორედ ეს ამზადებს კრახს, ე. ი. სოციალისტურ რევოლუციას.

რუსეთში, გარდა ამისა, უმართებულო იქნებოდა იმპერიალიზმი წარმოგვედგინა როგორც შეკავშირებული მთელი რამ (საერთოდ იმპერიალიზმი შეუკავშირებელი მთელია) — იმიტომ, რომ რუსეთში ჯერ კიდევ ცოტა არ არის შრომის ისეთი სფეროები და დარგები, რომლებიც გადადიან ნატურალური და ნახევრადნატურალური მეურნეობიდან კაპიტალიზმზე. ეს ჩამორჩენილობაა, ეს სუსტი ადგილია, მაგრამ ეს მაინც არსებობს და განსაზღვრულ პირობებში მას შეუძლია კაპიტალიზმის კრახში გახანგრძლივების ელემენტი შეიტანოს.

პროგრამა მიემართება — და უნდა მიემართებოდეს კიდეც — კაპიტალიზმის უმარტივესი გამოხატულებიდან უფრო

რთული და «უმაღლესი» გამოხატულებისაკენ, გაცვლა-გამოცვლიდან სასაქონლო წარმოებისაკენ, მსხვილი საწარმოების მიერ წვრილი საწარმოების განდევნისაკენ, კრიზისებისაკენ და სხვა თვით იმპერიალიზმამდე, რომელიც წარმოიშვება და წარმოიშვა მხოლოდ ახლა ყველაზე მაღალი სტადიის მოწინავე ქვეყნებში. სწორედ ასეთია საქმის ვითარება სინამდვილეში. საერთოდ «გაცვლა-გამოცვლის» და კაპიტალის ექსპორტის დაპირისპირებით დაწყება არც ისტორიულად არის სწორი და არც თეორიულად.

ასეთია ჩემი პასუხი სექციის შენიშვნებზე.

4

პროგრამის გადამუშავების პროექტისათვის

პროგრამის ძველი და ახალი ტექსტები

მკითხველისათვის რომ უფრო ადვილი და მოსახერხებელი გავხადოთ პროგრამის ძველი და ახალი ტექსტის შედარება, ორივე ტექსტი ერთად იბეჭდება შემდეგნაირად:

ჩვეულებრივი შრიფტით აწყობილია ძველი პროგრამის ის ნაწილი, რომელიც უცვლელად რჩება ახალშიც;

ხაზგასმით აწყობილია პროგრამის ის ნაწილი, რომელიც სრულიად ამოღებულია ახალ პროგრამაში;

შავი შრიფტით აწყობილია პროგრამის ის ნაწილი, რომელიც სრულიად არ იყო ძველში.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა

გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ ისეთი მჭიდრო კავშირი დაამყარა ცივილიზებული სამყაროს ყველა ხალხს შორის, რომ პროლეტარიატის დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა გამხდარიყო — და დიდი ხანია გახდა კიდეც — საერთაშორისო მოძრაობად.

რუსეთის სოციალ-დემოკრატია, რომელიც თავს თვლის პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმად, ისახავს იმავე საბოლოო მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვიან ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები. ეს საბოლოო მიზანი

განისაზღვრება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ხასიათით და მისი განვითარების მსვლელობით. ასეთი საზოგადოების უმთავრეს თავისებურებას შეადგენს სასაქონლო წარმოება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე, როცა წარმოებისა და საქონლის მიმოქცევის საშუალებათა უმნიშვნელოვანესი და უმეტესი ნაწილი ეკუთვნის რიცხობრივად მცირე პირთა კლასს, მაშინ როდესაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შედგება პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარებისაგან, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით იძულებული არიან მუდამ ან პერიოდულად გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა, ე. ი. მიექირაონ კაპიტალისტებს, და თავიანთი შრომით შექმნან საზოგადოების მაღალი კლასების შემოსავალი.

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ბატონობის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმისდა მიხედვით, რამდენადაც ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება, ადიდებს რა მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობას, იწვევს წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა განდევნას და მათს ერთ ნაწილს აქცევს პროლეტარებად, ხოლო დანარჩენების როლს ზღუდავს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში და ალაგ-ალაგ აყენებს მათ მეტ-ნაკლებად სრულ, მეტ-ნაკლებად აშკარა, მეტ-ნაკლებად მძიმე დამოკიდებულებაში კაპიტალისაგან.

გარდა ამისა, იგივე ტექნიკური პროგრესი საშუალებას აძლევს მეწარმეებს უფრო და უფრო მეტი რაოდენობით გამოიყენონ ქალის და ბავშვის შრომა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში. ხოლო რადგან, მეორე მხრივ, ტექნიკური პროგრესი შედარებით ამცირებს მუშების ცოცხალი შრომის მოთხოვნილებას მეწარმეთა მხრივ, ამიტომ მუშახელის მოთხოვნილება აუცილებლად ჩამორჩება მიწოდებას, რის გამო იზრდება დაქირავებული შრომის დამოკიდებულება კაპიტალისაგან და მატულობს მისი ექსპლოატაციის დონე.

საქმის ასეთი ვითარება ბურჟუაზიული ქვეყნების შიგნით და მათი მუდმივი გამწვავებული ურთიერთ მეტოქეობა მსოფ-

ლიო ბაზარზე სულ უფრო და უფრო აძნელებს საქონლის გასაღებას, რომელიც თანდათან მზარდი რაოდენობით მზადდება. ჭარბი წარმოება, რაც თავს იჩენს მეტ-ნაკლებად გამწვავებულ სამრეწველო კრიზისებში, რომელთაც მოსდევთ სამრეწველო შეფერხების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, წარმოადგენს საწარმოო ძალთა განვითარების გარდუვალ შედეგს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. კრიზისები და სამრეწველო შეფერხების პერიოდები თავის მხრივ კიდევ უფრო აღატაკებს წვრილ მწარმოებლებს, კიდევ უფრო აძლიერებს დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალისაგან, კიდევ უფრო აჩქარებს მუშათა კლასის მდგომარეობის შედარებით, ხოლო ზოგჯერ აბსოლუტურ გაუარესებას.

ამრიგად, ტექნიკის გაუმჯობესება, რაც ნიშნავს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აპირობებს საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდას, მქონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას და არსებობის უზრუნველყოფის შემცირებას, უმუშევრობისა და მშრომელთა სულ უფრო და უფრო ფართო მასების სხვადასხვაგვარი გაჭირვების ზრდას.

მაგრამ იმისდა მიხედვით, რაც უფრო იზრდება და ვითარდება ყველა ეს წინააღმდეგობა, ბურჟუაზიულ საზოგადოებას რომ მოსდგამს, იზრდება აგრეთვე მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკმაყოფილებაც საქმის არსებული ვითარებით, იზრდება პროლეტართა რიცხვი და დარაზმულობა და მწვავდება მათი ბრძოლა მათს ექსპლოატატორებთან. ამავე დროს ტექნიკის გაუმჯობესება, ახდენს რა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კონცენტრაციას და შრომის პროცესის განსაზოგადოებას კაპიტალისტურ საწარმოებში, უფრო და უფრო სწრაფად ქმნის მატერიალურ შესაძლებლობას კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის შესაცვლელად სოციალისტურით, — ე. ი. იმ სოციალური რევოლუციის შესაძლებლობას, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის, როგორც კლასობრივი მოძრაობის შეგნებული გამომხატველის, მთელი მოღვაწეობის საბოლოო მიზანს.

პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია, შეცვლის რა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კერძო საკუთრებას საზოგადოებრივი საკუთრებით და შემოიღებს რა საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესის გეგმაშეწონილ ორგანიზაციას საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად, მოსპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და მით გაათავისუფლებს მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, რადგან ბოლოს მოუღებს საზოგადოების ერთი ნაწილის მეორე ნაწილის მიერ ყოველგვარ ექსპლოატაციას.

ამ სოციალური რევოლუციის აუცილებელ პირობას შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შემუსროს ექსპლოატატორთა ყოველგვარი წინააღმდეგობა. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ამოცანად ისახავს შესძინოს პროლეტარიატს იმის უნარი, რომ მან შეძლოს თავისი დიადი ისტორიული მისიის შესრულება, რისთვისაც რაზმავს მას ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი დაპირისპირებულ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, ხელმძღვანელობას უწევს მისი კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოვლინებას, ამხელს პროლეტარიატის წინაშე შეურიგებელ წინააღმდეგურობას ექსპლოატატორთა ინტერესებსა და ექსპლოატირებულთა ინტერესებს შორის და განუმარტავს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს. ამასთანავე იგი მთელი დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წინაშე ააშკარავებს მის უიმედო მდგომარეობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და სოციალური რევოლუციის აუცილებლობას კაპიტალის უღლისაგან მის გასათავისუფლებლად. მუშათა კლასის პარტია, სოციალ-დემოკრატია, თავის რიგებში მოუწოდებს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის ყველა ფენას, რამდენადაც ისინი დგებიან პროლეტარიატის თვალსაზრისზე.

ამჟამად — დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისიდან — მსოფლიო კაპიტალიზმმა მიაღწია იმპერიალიზმის საფეხურს. იმპერიალიზმი ანუ ფინანსური კაპიტალის ეპოქა იმდენად დიდად განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობაა, როცა კაპიტალისტების მონოპოლისტურმა კავშირებმა — სინდიკატებმა, კარტელებმა, ტრესტებმა — გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს, უდიდესი კონცენტრაციის საბანკო კაპიტალი შეუერთდა სამრეწველო კაპიტალს, დიდად განვითარდა კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში, მთელი მსოფლიო ტერიტორიულად უკვე განაწილებულია უმდიდრეს ქვეყნებს შორის და დაიწყო მსოფლიოს ეკონომიური დაყოფა ინტერნაციონალურ ტრესტებს შორის.

იმპერიალისტური ომები, ე. ი. ომები მსოფლიოზე გასაბატონებლად, საბანკო კაპიტალისთვის ბაზრების მოსაპოვებლად, პატარა და სუსტ ეროვნებათა ჩასახრჩობად, აუცილებელია საქმის ამგვარ ვითარებაში. და სწორედ ასეთია 1914 — 1917 წლების პირველი დიდი იმპერიალისტური ომი.

საერთოდ მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების არაჩვეულებრივად მაღალი საფეხურიც; თავისუფალი კონკურენციის მონოპოლისტური კაპიტალიზმით შეცვლაც; ბანკებისა და აგრეთვე კაპიტალისტთა კავშირების მიერ აპარატის მომზადებაც პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესის საზოგადოებრივი მოწესრიგებისათვის; კაპიტალისტური მონოპოლიების ზრდასთან დაკავშირებული სიძვირისა და სინდიკატების მხრივ მუშათა კლასის ჩაგვრის ზრდაც, ამ კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის უაღრესად გაძნელებაც; იმპერიალისტური ომით წარმოშობილი საშინელება, უბედურება, გაღატაკება და გაველურებაც, — ყოველივე ეს კაპიტალიზმის განვითარების ამჟამად უკვე მიღწეული საფეხურისაგან ქმნის პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის ერას.

ეს ერა დაიწყო.

მხოლოდ პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შე-

ქმნა იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომებმა. როგორიც უნდა იყოს რევოლუციის სიძნელეები და მისი დროებითი შესაძლო წარუმატებლობა, ანდა კონტრრევოლუციის ტალღები, — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება გარდუვალია.

ამიტომ, ობიექტური პირობების ძალით, დღევანდელი ეპოქის დღის წესრიგში დგება პროლეტარიატის ყოველმხრივი და უშუალო მომზადება პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, რათა განახორციელოს ის ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებები, რაც სოციალისტური რევოლუციის შინაარსს შეადგენს.

ამ ამოცანის შესრულება, რაც ყველა მოწინავე ქვეყნის მუშათა კლასის სრულ ნდობას, უმჭიდროეს ძმურ კავშირს და რევოლუციურ მოქმედებათა უშუალო ერთიანობას მოითხოვს, შეუძლებელია, თუ დაუყოვნებლივ და პრინციპულად ხელი არ ავიღეთ სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებაზე, რომელიც გაბატონდა ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა დიდი უმრავლესობის ზედაფენებში. ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, სოციალ-შოვინიზმის, სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი შოვინიზმის მიმდინარეობა, «საშშობლოს დაცვის» ლოზუნგით «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვის დაფარვა, ხოლო მეორე მხრივ, ეგრეთწოდებული «ცენტრის» ასეთივე ფართო და საერთაშორისო მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერს სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობას, გაკოტრებული II ინტერნაციონალის შენარჩუნებას ან შესწორებას, მიმდინარეობა, რომელიც მერყეობს სოციალ-შოვინიზმსა და სოციალისტური წყობილების განხორციელებისათვის პროლეტარიატის რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ბრძოლას შორის.

თავიანთი საერთო საბოლოო მიზნის მიღწევის გზაზე, მიზნისა, რომელიც შეპირობებულია მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში წარმოების კაპიტალისტური წესის გაბატონებით, სხვადასხვა ქვეყნის

სოციალ-დემოკრატები იძულებული არიან დაისახონ სხვადასხვა უახლოესი ამოცანები როგორც იმიტომ, რომ წარმოების ეს წესი ყველგან ერთნაირად არ არის განვითარებული, ისე იმიტომაც, რომ მისი განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში ხდება სხვადასხვანაირ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში.

რუსეთში, სადაც კაპიტალიზმი უკვე გადაიქცა წარმოების გაბატონებულ წესად, ჯერ კიდევ დარჩენილია მრავალი ნაშთი ჩვენი ძველი წინაკაპიტალისტური წესწყობილებისა, რომელიც ემყარებოდა მშრომელი მასების დამონებას მემამულეების, სახელმწიფოს თუ სახელმწიფოს მეთაურისადმი.

ეს ნაშთები, ძლიერ აფერხებენ რა ეკონომიურ პროგრესს, წინ ეღობებიან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყოველმხრივ განვითარებას და ხელს უწყობენ სახელმწიფოს და მქონებელი კლასების მიერ მრავალმილიონიანი გლეხობის ექსპლოატაციის უაღრესად ბარბაროსული ფორმების შენარჩუნებას და გაძლიერებას და უმეცრებისა და უუფლებობის პირობებში ამყოფებენ მთელ ხალხს.

ყველა ამ გადმონაშთში ყველაზე მნიშვნელოვანი და მთელი ამ ბარბაროსობის ყველაზე მძლავრი დასაყრდენია მეფის თვითმპყრობელობა. თვით თავისი ბუნებით ეს თვითმპყრობელობა მტერია ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობისა და მას არც შეუძლია არ იყოს პროლეტა-

რიატის განმათავისუფლებელ მისწრაფებათა უბოროტესი მტერი.

ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია უახლოეს ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით, რომლის კონსტიტუციაც უზრუნველყოფდა:

რუსეთში დღეს, როცა დროებითმა მთავრობამ, რომელიც კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის და წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის ფართო მასების ნდობით — ცხადია, არამტკიცე ნდობით — სარგებლობს, დამფუძნებელი კრების მოწვევა იკისრა, — პროლეტარიატის პარტიის წინაშე დგება უშუალო ამოცანა — იბრძოლოს ისეთი სახელმწიფო წყობილებისათვის, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს როგორც საერთოდ ხალხის ეკონომიურ განვითარებასა და უფლებებს, ისე განსაკუთრებით სოციალიზმზე რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ გადასვლის შესაძლებლობას.

პროლეტარიატის პარტიას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ბურჟუაზიულ-პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკით, რომელიც ყველგან მთელ მსოფლიოში ინარჩუნებს და ისწრაფვის გაამარადისოს მასების ჩაგვრის მონარქიული იარაღები, სახელდობრ: პოლიცია, მუდმივი ჯარი, პრივილეგიური მოხელეობა.

პარტია იბრძვის უფრო დემოკრატიული პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკისათვის, სადაც სრულიად არ იქნება პოლიცია და მუდმივი ჯარი და მათ შეცვლის ხალხის საყოველთაო შეიარაღება, საყოველთაო მილიცია; სადაც ხდება ყველა თანამდებობის პირის არა მარტო არჩევა, არამედ გადაყენებაც ყოველ დროს, როცა ამას მათი ამომრჩევლების უმრავლესობა მოითხოვს; თანამდებობის პირთა ხელფასი, გამოუკლებლივ ყველასი, განისაზღვრება ისეთი რაოდენობით, რომელიც არ აღემატება კარგი მუშის საშუალო ხელფასს; პარლამენტურ-წარმომადგენლობითი დაწესებულებები თანდათან შეიცვლება

ხალხის (სხვადასხვა კლასისა და პროფესიის ან სხვადასხვა ადგილის) წარმომადგენელთა საბჭოებით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს კანონმდებლებიც იქნებიან და თავიანთი კანონების გამტარებლებიც.

რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს:

1. ხალხის თვითმპყრობელობა; სახელმწიფოში მთელი უმაღლესი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხის წარმომადგენლებს, რომელთაც ირჩევს და ყოველ დროს გადააყენებს ხოლმე ხალხი და რომლებიც შეადგენენ ერთ სახალხო კრებას, ერთ პალატას.

1. ხალხის თვითმპყრობელობა, ე. ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრა ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი საკანონმდებლო კრების ხელში, საკანონმდებლო კრებისა, რომელიც ერთ პალატას შეადგენს.

2. საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება როგორც საკანონმდებლო კრების, ისე თვითმმართველობის ყველა ადგილობრივი ორგანოს არჩევნებში ორივე სქესის ყველა მოქალაქისათვის, ვინც ოცი წლის ასაკს მიაღწია; ფარული კენჭისყრა არჩევნებში; თვითეულ ამომრჩეველს უფლება აქვს არჩეულ იქნეს ყველა წარმომადგენლობითს დაწესებულებაში; ორწლიანი პარლამენტები; ჯამაგირი ხალხის წარმომადგენლებს; **პროპორციული წარმომადგენლობა ყოვლგვარ არჩევნებში; გამოუკლებლივ ყველა დელეგატისა და არჩეული პირის გადაყენება ყოველ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.**

3. ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებისთვის, რომლებიც განსხვავდებიან თავისებური საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით; **გადაყენება სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ყველა ადგილობრივ და საოლქო ხელისუფალთა.**

4. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა.

5. სინდისის, სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდველი თავისუფლება.

6. მიმოსვლისა და მოსაქმეობის თავისუფლება.

7. წოდებათა მოსპობა და ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, რასისა და ეროვნებისა.

8. მოსახლეობის უფლება დედა ენაზე განათლების მიღებისა, რაც უზრუნველყოფილი იქნება საამისოდ საჭირო სკოლების დაარსებით სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; უფლება თვითეული მოქალაქისა ილაპარაკოს დედა ენაზე კრებების დროს; დედა ენის შემოღება სახელმწიფო ენის თანაბრად ყველა ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში; **სავალდებულო სახელმწიფო ენის გაუქმება.**

9. თვითგამორკვევის უფლება ყველა იმ ერისათვის, რომლებიც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან.

9. თავისუფალი გამოყოფისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება ყველა იმ ერისათვის, რომლებიც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან. რუსი ხალხის რესპუბლიკა სხვა ერებს თუ ეროვნებებს უნდა იზიდავდეს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით საერთო სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ყველა ქვეყნის მუშების ერთიანობა და ძმური კავშირი ვერ ურიგდება ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ ძალდატანებას სხვა ეროვნებათა მიმართ.

10. ყოველ პირს უფლება აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე ჩვეულებრივი წესით პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე.

11. მოსამართლეთა არჩევა ხალხის მიერ.

11. როგორც სამოქალაქო სამსახურში, ისე ჯარში მოსამართლეთა და თანამდებობის პირთა არჩევა ხალხის მიერ; ყველა ამ პირის გადაყენება ყოველ დროს მათი ამომრჩევლების უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

12. მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

12. პოლიციისა და მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; მუშები და მოსამსახურეები ჩვეულებრივ ხელფასს უნდა ღებულობდნენ კაპიტალისტებისაგან იმ დროის განმავლობაში, რომელსაც ისინი საყოველთაო-სახალხო მილიციაში საზოგადოებრივ სამსახურს მოანდომებენ.

13. სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფა; **სრული საერო ხასიათი სკოლისა.**

14. უფასო და სავალდებულო საერთო და პროფესიული სწავლა-განათლება ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 16 წლამდე; ღარიბი ბავშვების მომარაგება საზრდოთი, ტანისამოსით და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

14. უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში წარმოების ყველა მთავარ დარგს აცნობს) სწავლა-განათლება ორივე სქესის ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე; სწავლების მჭიდრო კავშირის დამყარება ბავშვთა საზოგადოებრივ-ნაყოფიერ შრომასთან.

15. ყველა მოსწავლის მომარაგება საზრდოთი, ტანისამოსით და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

16. სახალხო განათლების საქმის გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანოების ხელში; ცენტრალური ხელისუფლების ჩამოშორება სასკოლო პროგრამების დადგენასა და მასწავლებელთა პერსონალის შერჩევის საქმეში ყოველგვარი ჩარევისაგან; მასწავლებელთა არჩევა უშუალოდ თვით მოსახლეობის მიერ და მოსახლეობის უფლება გადააყენოს არასასურველი მასწავლებლები.

ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის დემოკრატიზაციის ძირითად პირობად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს: ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას და პროგრესიული გადასახადის დაწესებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე.

ერთი მხრივ, საბანკო საქმეში და მრეწველობის ტრესტირებულ დარგებში კაპიტალიზმის განვითარების უკვე მიღწეული მაღალი საფეხური, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიალისტური ომით გამოწვეული ნგრევა, რომელიც ყველგან იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების მოთხოვნას უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ, აიძულებს პარტიას მოითხოვოს ბანკების, სინდიკატების (ტრესტების) და სხვათა ნაციონალიზაცია.

მუშათა კლასის ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენებისაგან დასაცავად, აგრეთვე მისი უნარის განსავითარებლად განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის პარტია მოითხოვს:

1. სამუშაო დღის რვა საათით შეზღუდვას დღე-ღამეში ყველა დაქირავებული მუშისათვის.

1. **სამუშაო დღის შეზღუდვას ყველა დაქირავებული მუშისათვის რვა საათით დღე-ღამეში; ამაში უნდა შედიოდეს განუწყვეტელი მუშაობისას ერთი საათის შესვენება მაინც საჭმლის მისაღებად. საშიშ და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებაში სამუშაო დღე უნდა შემცირდეს 4 — 6 საათამდე დღე-ღამეში.**

2. დაკანონდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ორივე სქესის დაქირავებული მუშებისათვის ყოველკვირეული, შეუწყვეტელი დასვენება არა ნაკლებ 42 საათისა.

3. სრულიად აიკრძალოს საზეგანაკვეთო მუშაობა.

4. აიკრძალოს ღამით მუშაობა (საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გარდა იმ დარგებისა, სადაც ღამით მუშაობა აუცილებლად საჭიროა ტექნიკური მოსაზრებებით, რაც მოწონებულია მუშათა ორგანიზაციების მიერ.

4. **აიკრძალოს ღამით მუშაობა (საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გარდა იმ**

დარგებისა, სადაც ღამით მუშაობა აუცილებლად საჭიროა ტექნიკური მოსაზრებებით, რაც მოწონებულია მუშათა ორგანიზაციების მიერ, — ამასთან ისე, რომ ღამით მუშაობა არ აღემატებოდეს 4 საათს.

5. აეკრძალოთ მეწარმეთ სასკოლო ასაკის ბავშვების (16 წლამდე) შრომით სარგებლობა და მოზარდთა (16—18 წლისა) სამუშაო დრო განისაზღვროს ექვსი საათით.

5. აეკრძალოთ მეწარმეთ სასკოლო ასაკის ბავშვების (16 წლამდე) შრომით სარგებლობა, განისაზღვროს ახალგაზრდების (16—20 წლისა) სამუშაო დრო ოთხი საათით და აიკრძალოს მათი ღამით მუშაობა ჯანმრთელობისათვის საშიშ წარმოებებსა და მაღაროებში.

6. აიკრძალოს ქალის შრომა იმ დარგებში, სადაც ეს მავნებელია ქალის ორგანიზმისთვის; განთავისუფლდნენ ქალები მუშაობისაგან ოთხი კვირით ადრე მშობიარობამდე და ექვსი კვირით მშობიარობის შემდეგ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვეულებრივი ხელფასის შენახვით.

6. აიკრძალოს ქალის შრომა იმ დარგებში, სადაც ეს მავნებელია ქალის ორგანიზმისათვის; აიკრძალოს ქალის ღამით მუშაობა; განთავისუფლდნენ ქალები მუშაობისაგან 8 კვირით ადრე მშობიარობამდე და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ სრული ხელფასის შენახვით მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამასთან უფასოდ გაეწიოს მათ საექიმო დახმარება და დახმარება წამლებით.

7. მოეწყოს ყველა ქარხანასთან, ფაბრიკასთან და სხვა საწარმოსთან, სადაც კი ქალები მუშაობენ, ბაგები ძუძუმწოვარი და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის; ძუძუმწოვარ ბავშვთა დედები განთავისუფლდნენ სამუშაოდან ყოველ სამ საათში მაინც, ნახევარ საათზე არანაკლები დროით.

7. მოეწყოს ყველა ქარხანასთან, ფაბრიკასთან და სხვა საწარმოსთან, სადაც კი ქალები მუშაობენ, ბაგები ძუძუმწოვარი და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და ოთახი ძუძუს მოსაწოვებლად; ძუძუმწოვარ ბავშვთა დედები განთავისუფლდნენ სამუშაოდან ყოველ სამ საათში მაინც, ნახევარ საათზე არანაკლები დროით; მიეცეთ დახმარება ძუძუს მაწოვებელ დედებს და შეუმცირდეთ მათ სამუშაო დღე 6 საათამდე.

8. მუშების დაზღვევას სახელმწიფოს მიერ მოხუცებულობისა და შრომის უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში იმ სპეციალური ფონდის ხარჯზე, რომელიც შედგება კაპიტალისტებზე დაწესებული საგანგებო გადასახადებისაგან.

8. მუშების სრულ სოციალურ დაზღვევას:

ა) ყველა სახის დაქირავებული შრომისათვის;

ბ) შრომისუნარიანობის დაკარგვის ყველა შემთხვევაში, სახელდობრ: ავადმყოფობის, დასახიჩრების, ინვალიდობის, მოხუცებულობის, პროფესიული ავადმყოფობის, დედობის, ქვრივობის და ობლობის, აგრეთვე უმუშევრობისა და სხვა შემთხვევაში;

გ) დაზღვეულთა სრულ თვითმმართველობას ყველა დაზღვევ დაწესებულებაში;

დ) დაზღვევის ხარჯების ანაზღაურებას კაპიტალისტების ხარჯზე;

ე) უფასო საექიმო დახმარებას და უფასო დახმარებას წამლით; საექიმო საქმის გადაცემას მუშების მიერ არჩეული თვითმმართველი საავადმყოფო სალაროებისთვის.

9. აიკრძალოს ხელფასის საქონლით გაცემა; დაწესდეს ყოველკვირეული ანგარიშის გასწორება ნაღდი ფულით მუშების დაქირავების გამოუკლებლივ ყველა

ხელშეკრულების მიხედვით და ხელფასის გაცემა სამუშაო დროს.

10. აეკრძალოს მეწარმეთ ხელფასიდან ფულადი გამორიცხვა, რა საბაბითაც და რა დანიშნულებისათვისაც უნდა ხდებოდეს ეს (ჯარიმები, დაწუნება და სხვ.).

11. დაინიშნოს საფაბრიკო ინსპექტორების საკმაო რაოდენობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობა გავრცელდეს ყველა იმ საწარმოზე, სადაც კი დაქირავებულ შრომას იყენებენ, სახაზინო საწარმოების გამოუკლებლივ (შინამოსამსახურეთა შრომაც ამ ზედამხედველობის სფეროში შედის); დაინიშნოს ინსპექტორი ქალები იმ დარგებში, სადაც ქალის შრომას იყენებენ; საფაბრიკო კანონების შესრულების, აგრეთვე შეფასებათა შედგენის, მასალისა და მუშაობის შედეგების მიღებადაწუნების მეთვალყურეობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მუშების მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფო ჯამაგირს იღებენ.

9. დაწესდეს მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეული შრომის ინსპექცია და გავრცელდეს იგი ყველა სახის საწარმოებზე, სადაც კი იყენებენ დაქირავებულ შრომას, შინამოსამსახურეთა გამოუკლებლივ; ინსპექტორ-ქალთა ინსტიტუტის შემოღებას იმ დარგებში, სადაც ქალის შრომას იყენებენ.

12. დაწესდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ზედამხედველობა მუშების წარმომადგენლების მონაწილეობით იმ საცხოვრებელი სახლების სანიტარულ მდგომარეობაზე, რომელთაც მეწარმენი

აძლევენ მუშებს, აგრეთვე ამ სადგომების შინაგან წესრიგსა და მათი გაქირავების პირობებზე, — რათა მეწარმენი არ ჩაერიონ დაქირავებული მუშების, როგორც კერძო პირთა და მოქალაქეთა, ცხოვრებასა და საქმიანობაში.

13. დაწესდეს წესიერად მოწყობილი სანიტარული ზედამხედველობა ყველა იმ საწარმოში, სადაც კი დაქირავებულ შრომას იყენებენ, მთელი საექიმო და სანიტარული საქმის ორგანიზაცია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს მეწარმეთაგან; უფასო საექიმო დახმარება მუშებისთვის მეწარმეთა ხარჯზე ავადმყოფობის დროს ჯამაგირის შენახვით.

14. შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის დაწესდეს დამქირავებელთა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით.

10. გამოიცეს სანიტარული კანონმდებლობა შრომის ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად და მუშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ყველა იმ საწარმოში, სადაც კი დაქირავებულ შრომას იყენებენ; სანიტარული საქმე გადაეცეს მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეულ სანიტარულ ინსპექციას.

11. გამოიცეს საბინაო კანონმდებლობა და დაწესდეს — საცხოვრებელი სახლების სანიტარული მდგომარეობის სამეთვალყურეოდ — მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეული საბინაო ინსპექციები. მაგრამ ბინის საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების მოსპობას და იაფი და ჰიგიენური ბინების მოწყობას.

12. დაარსდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო სასამართლოები.

15. დაარსდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო სასამართლოები, რომლებშიც თანაბარი რაოდენობით შევლენ მუშათა და მეწარმეთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

16. დაევალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დააარსონ წარმოების ყველა დარგისთვის ადგილობრივი და ჩამოსული მუშების დაქირავების საშუამავლო კანტორები (შრომის ბირჟები); ამ კანტორების მართვა-გამგეობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მუშათა და მეწარმეთა წარმომადგენლები.

13. უმუშევართათვის სამუშაოს შოვნის საქმის წესიერად დასაყენებლად არსდება შრომის ბირჟები. შრომის ბირჟები უნდა წარმოადგენდნენ კლასობრივ პროლეტარულ (და არა პარიტეტულ) ორგანიზაციებს, უახლოესი კავშირი უნდა ჰქონდეთ პროფესიულ კავშირებთან და მუშათა სხვა ორგანიზაციებთან და სახსრებს უნდა ღებულობდნენ საზოგადოებრივი თვითმმართველობებისაგან.

ბატონყმობის ნაშთების მოსასპობად, რაც მძიმე უღლად აწვება უშუალოდ გლეხებს, და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფლად განვითარებისათვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს:

1. გლეხთა პიროვნებისა და საკუთრების ყოველგვარი წოდებრივი შეზღუდვის გაუქმება.

2. ყოველგვარი გადასახადისა და ბეგრის გაუქმება, რაც კი დაკავშირებულია გლეხთა წოდებრივ განკერძოებულობასთან, და კაბალური ხასიათის სავალო ვალდებულებათა მოსპობა.

3. საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწების კონფისკაციას

და მათ (აგრეთვე სახელმწიფო მიწების) გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოებისთვის, რომლებიც აერთიანებენ საქალაქო და სასოფლო ოკრუგებს, ამასთან ის მიწები, რაც საჭიროა გადასახლება-დასახლების ფონდისთვის, აგრეთვე საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები და წყალი გადადის დემოკრატიულ სახელმწიფოს მფლობელობაში.

4. კერძომფლობელობითი მიწების კონფისკაციას, გარდა წვრილი მიწათმფლობელობისა, და მათ გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული წესით არჩეული მსხვილი ორგანოების გამგებლობაში; ამასთან საკონფისკაციო მიწის ნაკვეთების მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოები;

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მხარს უჭერს რა გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდე, მუდამ და ურყევად წინააღმდეგობას გაუწევს ეკონომიური განვითარების შეფერხების ყოველგვარ ცდას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ისწრაფვის რევოლუციის ძლევამოსილი მსვლელობის პირობებში კონფისკებული მიწები გადასცეს ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანოების მფლობელობაში, ხოლო თუ ვინიცობაა საამისო ხელსაყრელი პირობები არ დარჩა, მაშინ ის მხარს დაუჭერს მემამულეთა იმ მიწების გლეხთა შორის გაყოფას, რომლებზედაც

ფაქტიურად გამართულია წვრილი მეურნეობა, ანრომლებიც შეადგენს ამ წვრილი მეურნეობის შესავსებად საჭირო ადგილმამულს.

1. მთელი ძალ-ღონით იბრძვის რუსეთში მემამულეთა მთელი მიწების (აგრეთვე საუფლისწულო, საეკლესიო და სხვ. და სხვ.) დაუყოვნებლივი და სრული კონფისკაციისთვის.

2. მხარს უჭერს მთელი მიწების დაუყოვნებლივ გადასვლას იმ გლეხობის ხელში, რომელიც ორგანიზებულია გლეხთა დეპუტატების საბჭოებში ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა, მართლაც სავსებით დემოკრატიულად არჩეულ და მემამულეთა და მოხელეთაგან სრულიად დამოუკიდებელ ორგანოებში.

3. მოითხოვს სახელმწიფოს მთელი მიწების ნაციონალიზაციას; ნაციონალიზაცია, რაც მთელი მიწების საკუთრების უფლების სახელმწიფოს ხელში გადაცემას ნიშნავს, ადგილობრივ დემოკრატიულ დაწესებულებებს გადასცემს მიწის გამგებლობის უფლებას.

4. მხარს უჭერს იმ გლეხთა კომიტეტების თაოსნობას, რომლებიც რუსეთის მთელ რიგ ადგილებში მემამულეთა ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს გადასცემენ ამ კომიტეტებში ორგანიზებულ გლეხობას, რათა საზოგადოებრივ-მოწესრიგებულად გამოიყენონ იგი მთელი მიწის დასამუშავებლად.

5. ურჩევს სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს, ეცადონ მემამულის ყოველი მამულიდან შექმნან საკმაოდ მსხვილი სანიმუშო მეურნეობა, რომელსაც საზოგადოების ხარჯზე წარმართავდნენ სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოები აგრონომების ხელმძღვანელობითა და საუკეთესო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

ამასთან პარტია დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყველა შემთხვევასა და ყოველგვარ გარემოებაში ამოცანად ისახავს განუხრელად ისწრაფოს დამოუკიდებელ კლასობრივ ორგანიზაციად დარაზმოს სოფლის პროლეტარიატი, განუმარტოს მას შეურიგებელი წინააღმდეგურობა მის ინტერესებსა

და გლეხური ბურჟუაზიის ინტერესებს შორის, გააფრთხილოს იგი არ გაიტაცოს წვრილი მეურნეობის სისტემამ, რომელიც სასაქონლო წარმოების არსებობისას ვერასოდეს ვერ შეძლებს მოსპოს მასების სიღატაკე, და, ბოლოს, მიუთითოს, რომ აუცილებელია სრული სოციალისტური გადატრიალება, როგორც ერთადერთი საშუალება ყოველგვარი სიღატაკისა და ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსასპობად.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ისწრაფვის რა მიაღწიოს თავის უახლოეს მიზნებს, მხარს უჭერს ყოველგვარ ოპოზიციურ და რევოლუციურ მოძრაობას, მიმართულს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ, იმავე დროს გადაჭრით უარყოფს ყველა იმ რეფორმატორულ პროექტს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელი კლასების მიმართ პოლიციურ-მოხელეური მეურვეობის ყოველგვარ გაფართოებასა თუ განმტკიცებასთან.

თავის მხრივ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მტკიცედ დარწმუნებულია იმაში, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნათა სრული თანმიმდევრული და მტკიცე განხორციელება შეიძლება მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობით და მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევით.

გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობა[99]

1917 წ. 4 — 28 მაისი (17 მაისი — 10 ივნისი)

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა:
«პროექტი რეზოლუციისა
აგრარული საკითხის შესახებ».—
1917 წ. მაისი

I

პროექტი რეზოლუციისა აგრარულ საკითხზე

1. ყველა მემამულური და კერძომფლობელური მიწა, აგრეთვე საუფლისწულო, საეკლესიო და სხვა მიწები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ხალხს სრულიად უსასყიდლოდ.

2. გლეხობამ ორგანიზებულად, თავისი გლეხთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, დაუყოვნებლივ უნდა აიღოს ადგილებზე მთელი მიწა სამეურნეო მიზნით გამოსაყენებლად, ისე რომ იგი ამით სრულიად არ წყვეტს წინასწარ მიწის საკითხის საბოლოო მოწესრიგებას დამფუძნებელი კრების ან სრულიად რუსეთის საბჭოების საბჭოს მიერ, თუ ხალხი ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას ასეთ საბჭოების საბჭოს გადასცემს.

3. მიწის კერძო საკუთრება საერთოდ უნდა მოისპოს, ესე იგი მთელი მიწის საკუთრების უფლება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მთელ ხალხს; მიწას კი უნდა განაგებდნენ ადგილობრივი დემოკრატიული დაწესებულებები.

4. გლეხებმა უნდა უარყონ კაპიტალისტების, მემამულეებისა და მათი დროებითი მთავრობის რჩევა ადგილებზე მემამულეებთან «შეთანხმების» შესახებ მიწის გამგებლობის დაუყოვნებლივ დასაწესებლად; მთელი მიწის გამგებლობა უნდა განისაზღვროს ადგილობრივ გლეხთა უმრავლესობის ორგანიზებული გადაწყვეტილებით და არა შეთანხმებით უმრავლესობისა, ე. ი. გლეხებისა, უმცირესობასთან, და ისიც უმნიშვნელო უმცირესობასთან, ე. ი. მემამულეებთან.

5. მემამულეთა მთელი მიწის გლეხობის ხელში უსასყიდლოდ გადასვლის წინააღმდეგ იბრძვიან და ყოველგვარი საშუალებით იბრძოლებენ არა მარტო მემამულეები, არამედ კაპიტალისტებიც, რომლებიც მეტად დიდ ძალას წარმოადგენენ არა მარტო ფულით, არამედ ჯერ კიდევ შეუგნებელ მასებზე გავლენითაც გაზეთების საშუალებით, კაპიტალის ბატონობას მიჩვეული მრავალი მოხელის, მოსამსახურისა და სხვათა მეშვეობით. ამიტომ მემამულეთა მთელი მიწის უსასყიდლოდ გადასვლა გლეხობის ხელში ვერც ბოლომდე გატარდება და ვერც განმტკიცდება გლეხთა მასებში კაპიტალისტებისადმი ნდობის აღმოფხვრის, ქალაქის მუშებთან გლეხობის მჭიდრო კავშირის გარეშე, მთელი სახელმწიფო ხელისუფლების მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვათა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლის გარეშე. მხოლოდ ასეთი საბჭოების ხელში არსებულ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს არა პოლიციის, არა მოხელეების, არა ხალხისაგან მოწყვეტილი მუდმივი ჯარის საშუალებით, არამედ საერთოსახალხო, საყოველთაო, მუშათა და გლეხთა შეიარაღებული მილიციის საშუალებით, ძალუძს უზრუნველყოს ზემოთ დასახელებული მიწის რეფორმა, რასაც მთელი გლეხობა მოითხოვს.

6. სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშები და უღარიბესი გლეხები, ესე იგი ისინი, რომელთაც არა აქვთ საკმაო მიწა და სამეურნეო იარაღები, არა ჰყავთ საკმაო პირუტყვი და რომლებიც საარსებო სახსარს ნაწილობრივ შოულობენ დაქირავებული შრომით, მთელი ძალ-ღონით უნდა მიისწრაფოდნენ დამოუკიდებლად დაირაზმონ განსაკუთრებულ საბჭოებად, ან განსაკუთრებულ ჯგუფებად გლეხთა საერთო საბჭოების შიგნით, რათა დაიცვან თავიანთი ინტერესები მდიდარი გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც აუცილებლად მიისწრაფვიან კაპიტალისტებთან და მემამულეებთან კავშირისაკენ.

7. ომის გამო რუსეთს, ისე როგორც ყველა მეომარ და აგრეთვე მრავალ ნეიტრალურ (არა მეომარ) ქვეყანას, მუშა-

ხელის, ქვანახშირის, რკინის და სხვათა ნაკლებობის გამო მოელის ნგრევა, კატასტროფა, შიმშილი. ქვეყნის ხსნა შეუძლია მხოლოდ მუშათა და გლეხთა დეპუტატების მხრივ პროდუქტების მთელ წარმოებასა და განაწილებაზე მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის დაწესებას. ამიტომ საჭიროა ახლავე მომზადდეს შეთანხმება გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა მუშათა დეპუტატების საბჭოებთან პურისა და სოფლის სხვა პროდუქტების გადასაცვლელად სამეურნეო იარაღებზე, ფეხსაცმელზე, ტანსაცმელზე და სხვა, კაპიტალისტთა შუამავლობის გარეშე და ფაბრიკების გამგებლობის საქმიდან მათი გადაყენებით. იმავე მიზნით ხელი უნდა შეეწყოს მემამულეთა პირუტყვისა და სამეურნეო იარაღების გადასვლას გლეხთა კომიტეტების ხელში, რათა ერთად ისარგებლონ ამ იარაღებითა და პირუტყვით. ასევე ხელი უნდა შეეწყოს მემამულეთა ყოველ მსხვილ მამულში სანიმუშო მეურნეობის მოწყობას მიწის საერთო დასამუშავებლად საუკეთესო იარაღებით, აგრონომების ხელმძღვანელობით და სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოების გადაწყვეტილებით.

დაწერილია 1917 წ. 17 (30) მაისამდე

პირველად დაიბეჭდა 1917 წელს ბროშურაში: «მასალები აგრარულ საკითხზე». გამომცემლობა «პრიბოი»

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

სიტყვა აგრარულ საკითხზე
1917 წ. 22 მაისს (4 ივნისს)

ამხანაგებო, რეზოლუცია, რომელზედაც მე, გლეხთა საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, პატივი მაქვს შევაჩერო თქვენი ყურადღება, უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა დელეგატებს. თუ იგი ყველას არ მიუღია, მივიღებთ ზომებს, რომ ხვალვე დაიბეჭდოს დამატებითი რაოდენობა და დაურიგდეს ყველა მსურველს.

მოკლე მოხსენებაში, რა თქმა უნდა, შემიძლია შევჩერდე მხოლოდ მთავარ, ძირითად, გლეხობისა და მუშათა კლასისთვის ყველაზე უფრო საინტერესო საკითხებზე. ვისაც უფრო დაწვრილებით აინტერესებს ეს საკითხი, შემიძლია ვურჩიო ჩვენი პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) რეზოლუცია, რომელიც გამოცემულია გაზეთ «სოლდატსკაია პრავდას» მე-13 ნომრის დამატებად და რომელიც არა ერთხელ იყო განმარტებული ჩვენს გაზეთ «პრავდაში» *. ახლა კი უნდა დავჯერდე ჩემი რეზოლუციისა და აგრარულ საკითხში ჩვენი პარტიული პროგრამის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყველაზე უფრო სადავო ანდა გაუგებრობის გამომწვევი მუხლების განმარტებას. ასეთი სადავო ან გაუგებრობის გამომწვევი ერთ-ერთი პირველი მუხლია ის საკითხი, რომელსაც შეეხნენ გუშინ თუ გუშინწინ მთავარ საადგილმამულო კომიტეტის [100] იმ სხდომაზე, რომლის შესა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 339 — 343. რედ.

ხებაც, ალბათ, თქვენც გაიგონებდით ან წაიკითხავდით გუშინდელ თუ გუშინწინდელ გაზეთებში. მთავარი საადგილმამულო კომიტეტის სხდომას დაესწრო ჩვენი პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჩემი ამხანაგი ცენტრალური კომიტეტიდან, ამხანაგი სმილგა. მან იქ შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ მთავარ საადგილმამულო კომიტეტს მხარი დაეჭირა გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ ორგანიზებულად დატაცებისთვის, და ამ წინადადების გამო ამხანაგ სმილგას წინააღმდეგ ბევრმა გაილაშქრა. (ხმა: «აქაც».) ახლა მეუბნებიან, რომ აქაც აგრეთვე ბევრი ამხანაგი გაილაშქრებს ამ წინადადების წინააღმდეგო. მით უფრო მეტი საბუთი მაქვს შევჩერდე ჩვენი პროგრამის ამ მუხლის განმარტებაზე, რადგან, ჩემი აზრით, მგონია, ყველა საწინააღმდეგო მოსაზრების მეტი ნაწილი, რომელსაც აყენებენ ჩვენი პროგრამის წინააღმდეგ, ემყარება გაუგებრობას ან ჩვენ შეხედულებათა უმართებულო გაშუქებას.

რას გვეუბნება ჩვენი პარტიის ყველა რეზოლუცია, ჩვენი ორგანოს ყველა სტატია, ჩვენი გაზეთი «პრავდა»? ჩვენ ვამბობთ, რომ მთელი მიწა უკლებლივ უნდა გადავიდეს მთელი ხალხის საკუთრებად. ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა საქმის ვითარების შესწავლამ, განსაკუთრებით 1905 წლის გლეხთა მოძრაობის შესწავლამ, გლეხი დეპუტატების განცხადებებმა I და II სახელმწიფო სათათბიროში, სადაც შედარებით თავისუფლად, რა თქმა უნდა, შ ე დ ა რ ე ბ ი თ თავისუფლად შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოსულ გლეხთა ბევრ დეპუტატს.

მთელი მიწა მთელი ხალხის საკუთრებას უნდა შეადგენდეს აქედან უკვე გამომდინარეობს, რომ როცა ჩვენ ვიცავთ მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ და უფასოდ გადაცემას ადგილობრივი გლეხებისათვის, ჩვენ სრულიად არ ვიცავთ ამ მიწების დატაცებას საკუთრებად. ჩვენ სრულიად არ ვიცავთ ამ მიწების დაყოფას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიწა ერთხელ დასათესად უნდა აიღოს ადგილობრივმა გლეხობამ ადგილობრივ გლეხთა დელეგატების უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

ჩვენ სრულიად არ ვიცავთ იმას, რომ ეს მიწა საკუთრებად გადაეცეს იმ გლეხებს, რომლებიც ახლა მას იღებენ ერთხელ დასათესად. ყველა ასეთი პასუხი, რომელიც არა ერთხელ გამიგონია და შემხვედრია კაპიტალისტების გაზეთებში, ჩვენს წინადადებაზე, პირდაპირ ემყარება ჩვენ შეხედულებათა ყალბ გაგებას. რაკი ჩვენ ვამბობდით — ვიმეორებ: ჩვენ ამას ვამბობდით ყველა ჩვენს რეზოლუციაში, რომ მიწა მთელი ხალხის საკუთრებას უნდა შეადგენდეს და უფასოდ უნდა გადაეცეს ხალხსო, — ცხადია, ამ მიწის საბოლოო განაწილება, მისი საბოლოო მოწესრიგება, უნდა მოახდინოს მხოლოდ ცენტრალურმა სახელმწიფო ხელისუფლებამ, ე. ი. დამფუძნებელმა კრებამ ან სრულიად რუსეთის საბჭოების საბჭომ, თუ კი ასეთ ხელისუფლებას, საბჭოების საბჭოს, შექმნის გლეხთა და მუშათა მასა. ამ მხრივ არავითარი უთანხმოება არ არსებობს.

უთანხმოება იწყება შემდეგ, როცა გვედავებიან და გვეუბნებიან: «თუ ასეა, მემამულეთა მიწების გლეხობის ხელში ყოველგვარი დაუყოვნებლივი და უფასო გადასვლა თვითნებობა იქნებაო». აი ეს შეხედულება, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად, ყველაზე უფრო ავტორიტეტულად და დამაჯერებლად გამოთქვა მიწათმოქმედების მინისტრმა შინგარიოვმა თავის ცნობილ დეპეშაში, ეს შეხედულება მიგვაჩნია ჩვენ ყველაზე უფრო შემცდარად, გლეხობისთვის საზარალოდ, მიწათმოქმედთა საზარალოდ, ჩვენი ქვეყნის პურით უზრუნველყოფისთვის საზარალოდ და უსამართლოდ. ჩემს თავს ნებას მივცემ წაგიკითხოთ ეს დეპეშა, რათა ცხადვყო, რის წინააღმდეგ არის მიმართული ყველაზე მეტად ჩვენი მოსაზრება.

«მიწის საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა საერთო სახელმწიფო კანონის გარეშე შეუწყნარებელია. თვითნებობა სახელმწიფო უბედურებამდე მიგვიყვანს... მიწის საკითხის გადაჭრა კანონის მიხედვით — დამფუძნებელი კრების საქმეა. ამჟამად ადგილებზე ვოლოსტის სასურსათო კომიტეტებთან შექმნილია მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა მიერ სამიწათმოქმედო მომრიგებელი კამერები».

აი მთავარი ადგილი მთავრობის განცხადებისა ამ საკითხზე. თუ გაეცნობით მთავარი საადგილმამულო კომიტეტის გუშინ თუ გუშინწინ მიღებულ რეზოლუციას ამ საკითხზე, რეზოლუციას, რომელიც აგრეთვე ამ დღეებში მიიღო სახელმწიფო სათათბიროს წევრთა თათბირმა, დაინახავთ, რომ ორივე აღნიშნული რეზოლუცია იმავე შეხედულებიდან გამოდის. ეს რეზოლუციები, გამოდიან რა იმ შეხედულებიდან, თითქოს საერთო სახელმწიფოებრივ საჭიროებებსა და ინტერესებს შეეფერებოდეს მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმება გლეხებისა მიწათმფლობელებთან, მიწათმოქმედთა მიწათმფლობელებთან, თითქოს მხოლოდ ეს შეეფერებოდეს საერთო სახელმწიფოებრივ საჭიროებასა და ინტერესებს, თვითნებობას აბრალებენ იმ გლეხებს, რომლებსაც სურთ განახორციელონ მიწის დაუყოვნებლივი და უფასოდ გადაცემა გლეხებისთვის და ადგილობრივი გლეხთა კომიტეტების მიერ მისი განაწილება. აი ამას უარვყოფთ ჩვენ, სწორედ ამის წინააღმდეგ ვდავობთ.

განვიხილოთ ეს მოსაზრებანი, რომლებიც ჩვენი წინადადების წინააღმდეგ მოჰყავთ. ჩვეულებრივ ეს მოსაზრებანი იმაში მდგომარეობენ, რომ რუსეთში მიწა მეტისმეტად უთანაბროდ არის განაწილებული როგორც პატარა ცალკეულ ერთეულებს შორის, როგორიცაა სოფელი და ვოლოსტი, ისე დიდ ერთეულებს შორის, როგორიცაა გუბერნია და ოლქი. ამბობენ, ადგილობრივი მოსახლეობა რომ უმრავლესობის გადაწყვეტილებით მემამულეთა ნებისთვის ანგარიშგაუწევლად დაეპატრონოს მიწას და ისიც უფასოდ, უთანაბრობა მაინც დარჩებოდა ანდა შეიქმნებოდა ამ უთანაბრობის განმტკიცების საშიშროებაო. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ასეთი საბუთი გაუგებრობაზეა დამყარებული. მიწის უთანაბროდ განაწილება სულ ერთია დარჩება, ვიდრე დამფუძნებელი კრება, ანდა საერთოდ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება, საბოლოოდ არ დაამყარებს ახალ წესს. ვიდრე ეს წესი არ დამყარდება, — სულ ერთია გლეხურად გადაწყდება საქმე თუ მემამულურად, ისე, როგორც ჩვენ გვინდა, გლეხების ხელში მიწის დაუყოვ-

ნებლივ გადასვლით, თუ ისე, როგორც სურთ მემამულეებს, რომლებიც მზად არიან იჯარით გასცენ მიწა დიდ ფასად, იმ პირობით, რომ გლეხმა-მოიჯარემ და მემამულემ თავიანთი უფლებები შეინარჩუნონ, ასე იქნება ეს თუ ისე, — უთანაბროდ განაწილება მაინც რჩება. ეს მოსაზრება ჩვენს წინააღმდეგ აშკარად უმართებულო და უსამართლოა. ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შევქმნათ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს არა მარტო გლეხობის უმრავლესობის ნებას და გადაწყვეტილებას, არამედ პირდაპირაც უნდა გამოხატავდეს ამ უმრავლესობის აზრს. ამის შესახებ დავა არ არსებობს. თუ ჩვენ გვესმის ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოსაზრებები, მათ მიმართ კაპიტალისტური გაზეთების თავდასხმები, მტკიცებანი, თითქოს ჩვენ ანარქისტები ვიყოთ, ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ამას და ასეთ თავდასხმებს ვუყურებთ როგორც ბოროტი სიცრუისა და ცილისწამების გავრცელებას.

ანარქისტები ეწოდება იმათ, ვინც უარყოფს სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებლობას, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის უთუოდ საჭიროა და საჭიროა არა მარტო რუსეთისათვის ახლა, არამედ ყოველი სახელმწიფოსთვის, რომელიც თუნდაც პირდაპირ გადადიოდეს სოციალიზმზე. აუცილებლად საჭიროა უაღრესად მტკიცე ხელისუფლება. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ეს ხელისუფლება მთლიანად და მარტოოდენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების უმრავლესობას ეკუთვნოდეს. აი რითი განვსხვავდებით ჩვენ სხვა პარტიებისაგან. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უარვყოფთ მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების საჭიროებას, ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ მემამულეთა მთელი მიწა, გლეხთა ადგილობრივი კომიტეტების გადაწყვეტილებით, რომელიც უმრავლესობის მიერ იქნება მიღებული, უფასოდ უნდა გადაეცეს გლეხებს იმ პირობით, რომ არავითარი ზიანი ქონებას არ მოუვიდეს. ჩვენს რეზოლუციაში ეს სრულიად ზუსტად არის აღნიშნული. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ჩვენი შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრებას, თითქოს ეს თვითნებობა იყოს.

არა, ჩვენი აზრით, როცა მემამულეები იტოვებენ მიწას თავიანთ სასარგებლოდ ან ფასს იღებენ მასში, აი ეს არის თვითნებობა, ხოლო თუ გლეხობის უმრავლესობა ამბობს, მემამულის მიწა არ უნდა დარჩეს მემამულესო, რომ ამ მემამულეებისაგან, მიწათმფლობელებისაგან, მრავალი ათეული წლის, მრავალი საუკუნის მანძილზე გლეხობას ჩაგვრის გარდა არაფერი უნახავსო, ეს არ არის თვითნებობა, ეს არის უ ფ ლ ე ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა, ხოლო უფლების აღდგენის ლოდინი შეუძლებელია. უდავოა, რომ თუ გლეხებს ახლავე გადავცემთ მიწას, ამით ვერ მოვსპობთ უთანაბრობას ოლქებს შორის, — მაგრამ ამ უთანაბრობას ვერავინ მოსპობს, ვიდრე დამფუძნებელი კრება არ შეკრებილა. ამჟამად კი შინგარიოვს, რომელიც ჩვენ გვეკამათება და ოფიციალურ ქაღალდებში ჩვენი შეხედულებების მომხრეებს აგინებს «თვითნებობისათვის», მას რომ ვკითხოთ, რას გვირჩევს ის ამ უთანაბრობის მოსასპობად, პასუხს ვერ მოგვცემს, ვერაფერს გვირჩევს და არც შეუძლია რაიმე გვირჩიოს.

ის ამბობს — «გლეხების ნებაყოფლობითი შეთანხმება მემამულეებთანო». რას ნიშნავს ეს? მოვიყვან ორიოდე ძირითად ციფრს ევროპული რუსეთის მიწათმფლობელობის შესახებ. ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ რუსული სოფლის ერთ კიდეში დგანან უმდიდრესი მემამულეები, მათ შორის რომანოვებიც, ყველაზე მდიდარი და ყველაზე უარესი მემამულეები, ხოლო მეორე კიდეში — უღარიბესი გლეხები. მოვიყვან ორიოდე ციფრს, რათა დაინახოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შინგარიოვის ამ ქადაგებას, ყველა მემამულისა და კაპიტალისტის ქადაგებას. აი ეს ორი ციფრი: თუ ავიღებთ მთელი ევროპული რუსეთის ყველაზე მდიდარ მემამულეებს, დავინახავთ, რომ ყველაზე უფრო მსხვილ მემამულეებს, რიცხვით 30 000-ზე ნაკლებს, აქვთ 70 მილიონამდე დესეტინა მიწა. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ მათგანს აქვს 2 000 დესეტინაზე მეტი. თუ ავიღებთ რუსეთის მდიდარ მემამულეთა სულ ზედა ფენებს, წოდების განურჩევლად (უმეტესობა აქ თავადაზნაურებია, მაგრამ არიან სხვა მიწათმფლობელნიც),

მათი რიცხვი 30 000-ია, უჭირავთ კი 70 მილიონი დესეტინა! ხოლო თუ ავიღებთ უღარიბეს გლეხობას 1905 წლის იმავე აღწერის მიხედვით, რომელიც მთელ რუსეთში ერთნაირად შეკრებილ უკანასკნელ ცნობებს იძლევა, — ცნობებს, რომლებიც არსებითად მაინცდამაინც დიდი ნდობის ღირსი არ არის, როგორც საერთოდ მეფის დროს მეფის მოხელეების მიერ შეკრებილი ყოველგვარი სტატისტიკური ცნობები, მაგრამ მაინც იძლევა სინამდვილესთან ასე თუ ისე მიახლოებულ, შესადარებლად ასე თუ ისე გამოსადეგ მონაცემებს, — თუ ავიღებთ უღარიბეს გლეხობას, მივიღებთ 10 მილიონ კომლს და დავინახავთ, რომ მათ აქვთ დაახლოებით 70 — 75 მილიონი დესეტინა მიწა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთს 2 000 დესეტინაზე მეტი მიწა აქვს, მეორეს კი — კომლზე 7½ დესეტინა! და ამის შემდეგ გვეუბნებიან: თვითნებობა იქნება, თუ გლეხები ნებაყოფლობით შეთანხმებაზე არ წავლენო. რას ნიშნავს ეს «ნებაყოფლობითი შეთანხმება»? ეს იმას ნიშნავს, რომ მემამულეებმა, შეიძლება, დაუთმონ მიწა კარგი საიჯარო ფასით, მაგრამ უფასოდ კი არავის მისცემენ. მერე სამართლიანია ეს? არა, არ არის სამართლიანი. ხელსაყრელია ეს გლეხური მოსახლეობისათვის? არა, არ არის ხელსაყრელი. მომავალი ცენტრალური ხელისუფლების საქმეა, თუ საბოლოოდ მიწის როგორი საკუთრება დამყარდება, მაგრამ ახლა მემამულეთა მიწები დაუყოვნებლივ გამოუსყიდველად უნდა გადავიდეს გლეხობის ხელში ორგანიზებული დატაცების გზით. მთავარ საადგილმამულო კომიტეტში მინისტრმა ჩერნოვმა ჩემი ამხანაგის სმილგას საპასუხოდ თქვა: «ორგანიზებული დატაცება» — ეს ორი სიტყვა ერთიმეორის უარმყოფელიაო: თუ დატაცებაა, მაშასადამე, ორგანიზებული არ ყოფილაო, ხოლო თუ ორგანიზებულია, მაშასადამე, დატაცება არ ყოფილაო. ჩემი აზრით, ეს კრიტიკა უმართებულოა. მე ეოიქრობ, თუ გლეხობას ხმის უმიტესობით გამოაქვს გადაწყვეტილება სოფლად თუ ვოლოსტში, მაზრასა თუ გუბერნიაში — ხოლო ზოგიერთ გუბერნიაში, თუ ყველაში არა, გლეხთა ყრილობებმა ადგილობრივ შექმნეს ხელისუფლება,

რომელიც უმრავლესობის ინტერესებისა და ნების გამომხატველია, ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობის, ე. ი. მიწათმოქმედთა უმრავლესობის ნების გამომხატველია — რაკი ადგილობრივ ასეთი ხელისუფლება შეიქმნა, მისი გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება იმ ხელისუფლებისა, რომელსაც გლეხები იცნობენ. ეს ისეთი ხელისუფლებაა, რომლის მიმართაც ადგილობრივი გლეხური მოსახლეობა შეუძლებელია სრული პატივისცემით არ იყოს გამსჭვალული, რადგან ეჭვი არ არის, რომ ეს ხელისუფლება, თავისუფლად არჩეული ხელისუფლება, ადგენს, რომ მემამულეთა მიწა ახლავე უნდა გადაეცეს გლეხებსო. დაე გლეხმა იცოდეს, რომ ის იღებს მემამულის მიწას, დაე იცოდეს, რომ თუ ფულს იხდის, იხდის საგლეხო, სამაზრო სალაროში, დაე იცოდეს, რომ ეს ფული მოხმარდება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას, ხიდებს, გზებს და სხვას. დაე იცოდეს, რომ იღებს არა თავის მიწას, მ ა გ რ ა მ ა რ ც მ ე მ ა მ უ ლ ი ს მ ი წ ა ს, არამედ საერთო სახალხო მიწას, რომლის საკითხსაც დამფუძნებელი კრება საბოლოოდ მოაგვარებს. ამიტომ რევოლუციის პირველი დღიდანვე, პირველი საადგილმამულო კომიტეტის დაარსების მომენტიდანვე მემამულეს მიწის ფლობის არავითარი უფლება არ უნდა ჰქონდეს და არც არავითარი ფული არ უნდა გადახდეს ვინმეს ამ მიწაში.

ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის ძირითადი წინააღმდეგობაა იმის გაგებაში, თუ რა არის წესრიგი და რა არის კანონი. დღემდე ისე უყურებდნენ, რომ წესრიგი და კანონი არის ის, რაც ხელსაყრელია მემამულეებისა და მოხელეებისათვის, ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ წესრიგი და კანონი არის ის, რაც ხელსაყრელია გლეხობის უმრავლესობისათვის. და ვიდრე არ არის სრულიად რუსეთის საბჭოების საბჭო, ვიდრე არ არის დამფუძნებელი კრება, მანამდე ყოველგვარი ადგილობრივი ხელისუფლება — სამაზრო კომიტეტები, საგუბერნიო კომიტეტები — ეს არის უმაღლესი წესრიგი და კანონი! თვითნებობას ჩვენ ვუწოდებთ იმას, რომ ერთი მემამულე, ძველი საუკუნეობრივი უფლების ძალით, მოითხოვს

«ნებაყოფლობით» შეთანხმებას სამას გლეხურ ოჯახთან, რომლებსაც საშუალოდ ოჯახზე 7½ დესეტინა მიწა აქვთ! ჩვენ ვამბობთ: «დაე გადაწყვეტილება მიიღონ ხმის უმეტესობით; ჩვენ გვინდა გლეხებმა მიიღონ მემამულეთა მიწები ახლავე, ისე რომ არ დაიკარგოს არც ერთი თვე, არც ერთი კვირა, არც ერთი დღე!».

გვიპასუხებენ: «გლეხებმა რომ ახლავე დაიწყონ მიწის დატაცება, დაიტაცებენ უფრო მდიდრები, რომელთაც პირუტყვიც ჰყავთ, იარაღებიც აქვთ და სხვ.; ამიტომ საშიში ხომ არ იქნება ეს სწორედ უღარიბესი გლეხობის თვალსაზრისით?». ამხანაგებო, მე უნდა შევჩერდე ამ მოსაზრებაზე, იმიტომ რომ ჩვენი პარტია ყველა თავის გადაწყვეტილებაში, პროგრამასა და ხალხისადმი მიმართვაში აცხადებს: «ჩვენ დაქირავებული მუშებისა და უღარიბესი გლეხების პარტია ვართ; ჩვენ გვსურს მათი ინტერესები დავიცვათ; მათი და მხოლოდ მათი მეშვეობით, ამ კლასების მეშვეობით, შეუძლია კაცობრიობას თავი დააღწიოს იმ საშინელებას, რომელშიც ის კაპიტალისტების ამ ომმა ჩააგდო».

ამიტომ ისეთ პასუხს, თითქოს ჩვენი გადაწყვეტილებანი არ შეეფერებოდეს ღარიბი გლეხების ინტერესებს, ასეთ პასუხს ჩვენ უდიდესი ყურადღებით ვისმენთ და გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოთ მას, რადგან ეს პასუხი ეხება თვით საკითხის არსს, მის საფუძველს. საქმის არსი ხომ სწორედ ის არის, თუ როგორ დავიცვათ ქალაქისა და სოფლის დაქირავებული მუშების ინტერესები, უღარიბესი გლეხების ინტერესები მიმდინარე რევოლუციის დროს, რუსეთის მიმდინარე სახელმწიფოებრივი გარდაქმნის დროს, როგორ შეიძლება და როგორ უნდა დავიცვათ მათი ინტერესები მემამულეებისა და მდიდარი გლეხების — იმავე კაპიტალისტების — ინტერესების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს არის საკითხის დედააზრი, ეს არის მისი მთელი არსი! და აი გვეუბნებიან: თუ გლეხებს დაუყოვნებლივ დატაცება ვურჩიეთ, ყველაზე უწინ მიწას დაიტაცებს ის, ვისაც აქვს იარაღები, ჰყავს პირუტყვი, ღარიბები კი ხელცარიელი დარჩებიანო.

ვეკითხებით, განა მემამულეებთან ნებაყოფლობითი შეთანხმება უშველის საქმეს?

თქვენ მშვენივრად იცით, რომ მემამულეები ერიდებიან მიწის იჯარით მიცემას იმ გლეხებისთვის, რომლებსაც ჯიბე ცარიელი აქვთ; და, პირიქით, ეტანებიან «ნებაყოფლობით» შეთანხმებას იმასთან, ვინც მათ კარგ საიჯარო ქირას აღუთქვამს. მემამულეები დღემდე თავიანთ მიწას მუქთად როგორღაც არავის აძლევდნენ; თითქოს ჩვენში, რუსეთში, ამას არავინ ამჩნევდა.

მემამულეებთან ნებაყოფლობითს შეთანხმებაზე თუ ვილაპარაკებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრად უფრო გავაძლიეროთ, გავადიდოთ, განვამტკიცოთ ის პრივილეგიური, უპირატესობით აღჭურვილი მდგომარეობა, ის ხელსაყრელი პირობები, რითაც სარგებლობენ მდიდარი გლეხები, იმიტომ რომ მდიდარ გლეხებს უეჭველად შეუძლიათ გადაუხადონ მემამულეებს, ასეთი მდიდარი გლეხი ყოველი მემამულისთვის წარმოადგენს გადახდისუნარიან ადამიანს. მემამულემ იცის, რომ ასეთ გლეხს შეუძლია გადაიხადოს და მასაც შეუძლია გადაახდევინოს, ამიტომაც მემამულეებთან ასეთი «ნებაყოფლობითი» შეთანხმების დროს სწორედ მდიდარი გლეხები უფრო მოგებული რჩებიან, ვიდრე ღარიბნი. პირიქით, თუკი არის საშუალება ახლავე გაეწიოს დახმარება ღარიბ გლეხობას, მხოლოდ ისეთი ღონისძიებით, რომელსაც მე გირჩევთ, საჭელდობრ: მიწა ახლავე უფასოდ უნდა გადაეცეს გლეხებს.

მემამულური საკუთრება იყო და დარჩება უდიდეს უსამართლობად. გლეხების მიერ ამ მიწის უფასო მფლობელობა. თუკი ეს მფლობელობა უმრავლესობის გადაწყვეტილებით მოხდება, თვითნებობა კი არა, უფლების აღდგენაა. აი ჩვენი თვალსაზრისი, და აი რატომ ვთვლით უდიდეს უსამართლობად იმ მოსაზრებას, თითქოს ამით უღარიბესი გლეხობა წააგებს. «ნებაყოფლობით» შეთანხმებას უწოდებენ — მხოლოდ შინგარიოვს შეუძლია ამას «ნებაყოფლობითი» შეთანხმება უწოდოს, — როცა ერთ მემამულეს 2 000 დესეტინა მიწა აქვს, ხოლო 300 გლეხს — საშუალოდ კომლზე 7½ დესეტინა; ასეთი

შეთანხმების მონათვლა ნებაყოფლობით შეთანხმებად გლეხის მასხარად აგდებაა. ეს ნებაყოფლობითი შეთანხმება კი არ არის, არამედ იძულებითი შეთანხმებაა გლეხობისთვის და იძულებითი იქნება იმ დრომდე, ვიდრე ყოველი ვოლოსტის, მაზრის, გუბერნიის და სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭო არ გამოაცხადებს, რომ მემამულეთა საკუთრება უდიდესი უსამართლობაა და მისი გაუქმების დაყოვნება ერთი საათით, ერთი წუთითაც არ შეიძლებაო.

მიწის საკუთრება საყოველთაო-სახალხო უნდა იყოს, ხოლო იგი უნდა დააწესოს საერთო სახელმწიფოებრივმა ხელისუფლებამ. ვიდრე იგი არ შეკრებილა, ადგილობრივი ხელისუფლება, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, იღებს მემამულეთა მიწებს, და მან ეს უნდა გააკეთოს ორგანიზებული უმრავლესობის გადაწყვეტილებით. სიცრუეა, როცა გაზეთები გაიძახიან, თითქოს რუსეთში უწესოება იყოს! ტყუილია, სოფლად ახლა უფრო მეტი წესიერებაა, ვიდრე წინათ იყო, იმიტომ რომ გადაწყვეტილება უმრავლესობას გამოაქვს; ძალადობა მემამულეების მიმართ თითქმის არ ყოფილა; უსამართლობისა და ძალადობის შემთხვევები მემამულეების მიმართ სრულიად ერთეული მოვლენაა; ასეთი შემთხვევები უმნიშვნელოა და მთელ რუსეთს თუ ავიღებთ, მათი რიცხვი არ აღემატება ძალადობის შემთხვევათა იმ რიცხვს, რაც წინათაც ყოფილა.

ახლა შევეხები კიდევ ერთ მოსაზრებას, რომელიც არა ერთხელ მსმენია და გამირჩევია ჩვენს გაზეთ «პრავდაში» გლეხობის ხელში მიწების დაუყოვნებლივ გადასვლასთან დაკავშირებით *.

ეს მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ თუ გლეხებს ვურჩიეთ დაუყოვნებლივ აიღონ მემამულეთა მიწები უფასოდ, ეს გამოიწვევს ფრონტზე ჯარისკაცების უკმაყოფილებას, გაბოროტებას, შიშს და, შეიძლება, აღშფოთებასაც; ჯარისკაცებმა, შესაძლოა, თქვან: «თუ გლეხები ახლავე აიღებენ მიწას, ჩვენ კი ფრონტზე უნდა ვიდგეთ, უმიწოდ დავრჩებითო». შეიძლება, ჯარისკაცები ერთბაშად დაიძრან ფრონტიდან, და

* იხ. ეს ტომი, გვ. 543 — 547. **რედ.**

მაშინ ქაოსი და ანარქია შეიქმნებაო. ამაზე ჩვენ ამგვარად ვუპასუხებთ, რომ ეს მოსაზრება სრულიად არ ეხება ძირითად საკითხს: სულ ერთია, მიწას იღებენ ფასით, მემამულეებთან შეთანხმებით, თუ გლეხობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სულ ერთია, ვიდრე ომი გრძელდება, ჯარისკაცები მაინც ფრონტზე უნდა დარჩნენ, და, რა თქმა უნდა, ისინი დარჩებიან ფრონტზე და სოფელში ვერ დაბრუნდებიან. მაშ რატომ არ შეეშინდებათ ჯარისკაცებს ფრონტზე, რომ მემამულეები, ნებაყოფლობითი შეთანხმების სახით, არახელსაყრელ პირობებს წამოაყენებენ, რატომ უნდა შეეშინდეთ მათ, რომ გლეხობის უმრავლესობა მემამულეთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს? გაუგებარია! ფრონტელი ჯარისკაცი რად უნდა მოეკიდოს ნდობით მემამულეს და მასთან «ნებაყოფლობით» შეთანხმებას? მე მესმის, როცა ამას ამბობენ მემამულეთა და კაპიტალისტთა პარტიები, მაგრამ არ მჯერა, რომ ასე მსჯელობდეს რუსი ჯარისკაცი ფრონტზე. თუ არსებობს «ნებაყოფლობითი» შეთანხმება მემამულესთან, ჯარისკაცი ამას წესიერებას ვერ უწოდებს, ამას ნდობით ვერ მოეკიდება, უფრო მოსალოდნელია ამას ისე შეხედოს, რომ ძველი მემამულური უწესრიგობა გრძელდებაო.

ჯარისკაცი უფრო იმას მოეკიდება ნდობით, რომ უთხრა: მიწა ხალხის ხელში გადადის, ადგილობრივი გლეხები მიწას იჯარით იღებენ და საიჯარო ქირას უხდიან არა მემამულეს, არამედ თავიანთ კომიტეტს საერთო სასარგებლო მოთხოვნილებების, იმავე ჯარისკაცთა ფრონტისა და არა მემამულის საჭიროებისათვის. თუ ამას უმრავლესობა გადაწყვეტს, ჯარისკაცი ფრონტზე გაიგებს, რომ შეუძლებელია რაიმე «ნებაყოფლობითი» შეთანხმება მემამულეებთან, რომ მემამულენი იგივე თანასწორუფლებიანი მოქალაქენი არიან, რომელთა ღაჩაგვრა არავის უნდა. მიწა მთელი ხალხის კუთვნილებაა — მაშასადამე, ის მემამულესაც ეკუთვნის, მაგრამ არა თავადაზნაურული პრივილეგიების ძალით, არამედ როგორც ყოველ მოქალაქეს. არავითარი პრივილეგიები აღარ უნდა არსებობდეს იმ დღიდან, რაც დაემხო მეფის ხელისუფლება, მეფისა, რო-

მელიც ყველაზე დიდი მემამულე და მასების მჩაგვრელი იყო, არავითარი უპირატესობა აღარ უნდა ჰქონდეთ მიწათმფლობელ-მემამულეებს. თავისუფლების დამყარების დღიდან მემამულეთა ხელისუფლება ერთხელ და სამუდამოდ დამხობილად უნდა ჩაითვალოს. ამგვარი შეხედულებით ჯარისკაცი არაფერს დაკარგავს ფრონტზე, იგი, პირიქით, ბევრად უფრო მეტი ნდობით მოეკიდება სახელმწიფო ხელისუფლებას, ბევრად უფრო გულდამშვიდებული იქნება, რომ მისი ოჯახი არ დარჩება დაჩაგრული და უპატრონო.

დაგვრჩა კიდევ ერთი მოსაზრება, რომელსაც აყენებდნენ ჩვენი წინადადების საწინააღმდეგოდ. ეს მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ თუ გლეხები დაუყოვნებლივ დაიტაცებენ მემამულეთა მიწას, ასეთმა დაუყოვნებლივმა, მოუმზადებელმა დატაცებამ, შეიძლება, მიწის დამუშავების გაუარესება გამოიწვიოს, შეიძლება, ნათესი გააუარესოსო. უნდა მოგახსენოთ, რომ უმრავლესობის ხელისუფლება, საერთო სახელმწიფო ხელისუფლება, ჯერ კიდევ არ შექმნილა, გლეხებმა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს საკმაო ნდობა, მათ კიდევ არ დაუკარგავთ ნდობა მემამულეებისა და კაპიტალისტებისადმი; ვფიქრობ, რომ დღითი დღე ვუახლოვდებით ამას, რომ გლეხობა დღითი დღე კარგავს ნდობას ძველი სახელმწიფო ხელისუფლებისადმი და იგნებს, რომ რუსეთის მთავრობა უნდა იყოს გლეხების, ჯარისკაცების, მუშების და სხვ. მიერ არჩეული პირნი და სხვა არავინ; ვფიქრობ, რომ ყოველი დღე გვიახლოებს ამ დროს არა იმიტომ, რომ რომელიმე პარტია ამას გვირჩევდეს: მილიონობით ადამიანი არასოდეს არ შეისმენს პარტიების რჩევას, თუ ეს რჩევა არ ემთხვევა იმას, რასაც მათ საკუთარი ცხოვრების გამოცდილება ასწავლის. ჩვენ ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით იმ დროს, როცა რუსეთში არ იქნება არავითარი სხვა ხელისუფლება, გარდა გლეხებისა და მუშების მიერ არჩეულ პირთა ხელისუფლებისა. და როცა მეუბნებიან, რომ მიწების დაუყოვნებლივ დატაცებამ, შეიძლება, მიწების დამუშავების გაუარესება გამოიწვიოს, ნათესი ცუდი იქნესო, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი გლეხები, მათი დაბეჩავების გამო,

მემამულეების მიერ მათი საუკუნეობრივი ჩაგვრის გამო, მიწებს ძალზე ცუდად ამუშავებენ. რა თქმა უნდა, რუსეთში საშინელი კრიზისია, რომელიც მას, ისე როგორც ყველა სხვა მეომარ ქვეყანას, თავს დაატყდა, და რუსეთი ვერ დააღწევს თავს ამ კრიზისს, თუ არ გადავა მიწის უკეთ დამუშავებაზე, ადამიანის შრომის უდიდეს დაზოგვაზე. მაგრამ ახლა, ამ პირველი თესვისათვის, მემამულეებთან «ნებაყოფლობით» შეთანხმებას განა შეუძლია რაიმე შეცვალოს? როგორ? განა მემამულეები უკეთ ადევნებენ თვალყურს მიწის დამუშავებას, გლეხები უფრო ცუდად დათესენ მიწას, თუ ეცოდინებათ, რომ თესავენ არა მემამულის, არამედ საერთო სახალხო მიწას? რომ თუ ფულს იხდიან, მემამულეს კი არ უხდიან, არამედ თავიანთ საგლეხო სალაროში შეაქვთ? ეს ისეთი უაზრობაა, რომ მიკვირს, როცა ასეთ მოსაზრებას ვისმენ; ეს სრულიად დაუჯერებელი და მთლად მემამულეების ხრიკებია.

მემამულეებმა შეიგნეს, რომ ამიერიდან ჯოხით ბატონობა შეუძლებელია; ეს მათ კარგად შეიგნეს, და ისინიც გადადიან ბატონობის იმ წესზე, რომელიც რუსეთისათვის ახალი რამაა, ხოლო დასავლეთ ევროპაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დიდი ხანია არსებობს. ჯოხით ბატონობა რომ ამიერიდან აღარ შეიძლება, ჩვენში ეს დაგვანახვა ორმა რევოლუციამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი ეს დაგვანახვა ათეულობით რევოლუციამ. ეს რევოლუციები ასწავლიან მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ასწავლიან მათ, რომ ხალხი უნდა მართო თვალთმაქცობით, პირფერობით; უნდა შეეგუო, უნდა მიიკრა პიჯაკზე წითელი ნიშანი და, თუნდაც ქვეყნის მჭამელი იყო, იძახო: «ჩვენ რევოლუციური დემოკრატია ვართ, გეთაყვა, მხოლოდ დაიცადეთ და თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთო». ის მოსაზრება, თითქოს გლეხები ახლა უფრო ცუდად დათესენ მიწას, თუ დათესენ არა მემამულის, არამედ საერთო სახალხო მიწას, — ეს სწორედ გლეხების აბუჩად აგდებაა, ეს არის ცდა მოტყუებით შეინარჩუნონ ბატონობა მათ მიმართ.

ვიმეორებ, მემამულეთა საკუთრება სრულიად არ უნდა არსებობდეს; მფლობელობა კიდევ არ ნიშნავს საკუთრებას,

მფლობელობა დროებითი ღონისძიებაა და ის ყოველწლიურად იცვლება. გლეხი, რომელიც იჯარით იღებს მიწის პატარა ნაკვეთს, ფიქრადაც კი ვერ გაივლებს გულში, რომ მიწა მისია. მიწა არც მისია და არც მემამულის, ის სახალხოა. ვიმეორებ, ამით მინდვრების დათესვა ამ წელს, ამ ზაფხულს არ შეიძლება გაუარესდეს. ასეთი ვარაუდი იმდენად უცნაური და დაუჯერებელია, რომ მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით: უფრთხილდით მემამულეებს, ნუ ენდობით მათ, ნუ მოიტყუებთ თავს მოთაფლული სიტყვებით და დაპირებებით. უნდა გახსოვდეთ, რომ გლეხების უმრავლესობის გადაწყვეტილება, — გლეხები კი თავიანთ გადაწყვეტილებებში საკმაოდ ფრთხილნი არიან,— კანონიერი და საერთო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა. ამ მხრივ გლეხებს შეიძლება დავენდოთ. მაგალითად, მე ხელთა მაქვს პენზელი გლეხების გადაწყვეტილება, რომელიც პირველი მუხლიდან უკანასკნელამდე გამსჭვალულია უდიდესი სიფრთხილით: არავითარ დაუყოვნებლივ გარდაქმნას მთელი რუსეთის მასშტაბით გლეხები არ აპირებენ, მაგრამ მათ არა სურთ აუტანელ კაბალაში გაიბან თავი, და ამაში ისინი მართალნი არიან. ყველაზე დიდი კაბალა იყო და რჩება მემამულური კაბალა, მიწათმფლობელთა და მჩაგვრელთა კაბალა. ამიტომაც ამ კაბალის გაუქმების დაყოვნება არც ერთი კვირით, არც ერთი საათით არ შეიძლება, მაგრამ მიწის ყოველი დატაცება ორგანიზებული დატაცება უნდა იყოს, არა საკუთრებად, არა დასაყოფად, არამედ მხოლოდ საერთო სახალხო მიწის საერთო გამოსაყენებლად.

დატაცების საკითხი შემეძლო დამემთავრებინა შემდეგი პასუხით: ჩვენი ვარაუდის წინააღმდეგ კაპიტალისტებისა და მემამულეების მოსაზრებანი დამყარებულია სიცრუეზე, ხოლო მოსაზრებანი არამემამულეების, არაკაპიტალისტებისა, ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც სურთ მშრომელთა ინტერესები დაიცვან, დამყარებულია გაუგებრობაზე, გადაჭარბებულ ნდობაზე იმ სიცრუისადმი, რასაც ჩვენ წინააღმდეგ ამბობენ კაპიტალისტები და მემამულეები. თუ გავარჩევთ ჩვენს მოსაზრებებს, დავინახავთ, რომ მემამულეთა საკუთრების დაუ-

ყოვნებლივ მოსპობის სამართლიანი მოთხოვნა, ისე როგორც მიწის საკუთრების ხალხის ხელში გადასვლა, არ შეიძლება განხორციელდეს, ვიდრე არ შეიკრიბება ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება, ხოლო მიწის მფლობელობის გადასვლას იქვე, ადგილობრივ, თვით გლეხების ხელში, ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, იმ პირობით, რომ წესრიგის არავითარი დარღვევა არ იქნეს დაშვებული. ჩვენ ჩვენს რეზოლუციებში ამ რჩევას ვიძლევით, თუმცა, შესაძლოა, ეს რჩევა ზედმეტი იყოს, იმიტომ რომ გლეხები უამისოდაც ახორციელებენ ამას.

გადავდივარ მეორე საკითხზე, რომელსაც ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორაა სასურველი ჩვენთვის და როგორ მოითხოვს მიწის საკითხის მოგვარებას მშრომელი მასების ინტერესები, როცა მიწა საერთო სახალხო საკუთრება გახდება, როცა მოისპობა კერძო საკუთრება. ეს დრო რუსეთში სულ ახლოა. მართლაც, მემამულეთა ხელისუფლების ძლიერება თუ მოსპობილი არ არის. ძირგამოთხრილი მაინც არის. როცა მიწა მთელი გლეხობის მფლობელობაში იქნება, როცა აღარ იქნებიან მემამულეები, როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ გავანაწილოთ მიწა? მე მგონია, საჭიროა ამ საკითხზე შევიმუშავოთ ერთგვარი საერთო შეხედულება, ძირითადი შეხედულება, იმიტომ რომ, თავისთავად იგულისხმება, გამგებლობა ადგილებზე ყოველთვის გლეხობის ხელში რჩება. დემოკრატიულ სახელმწიფოში სხვანაირად შეუძლებელიცაა, ეს იმდენად ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ, როცა ისმის საკითხი, როგორ მოვიქცეთ, რომ მიწა მშრომელებს ერგოთ, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ გვინდა დავიცვათ დაქირავებული მუშებისა და უღარიბესი გლეხების ინტერესები. ამას ისახავს ამოცანად ჩვენი პარტია, რუსეთის ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატების პარტია. ვეკითხებით ჩვენს თავს: თუ ვიტყვით, მიწა ხალხის ხელში გადავაო, იგივეა თუ არა ეს, რომ ვთქვათ, მიწა მშრომელთა ხელში გადავა? ვუპასუხებთ: არა, ეს ერთი და იგივე არ არის! თუ ვიტყვით, მიწა ხალხის ხელში გადავაო, ეს იმას ნიშნავს, რომ მემამულეთა საკუთრება მოისპობა; ეს იმას ნიშნავს, რომ მთე-

ლი მიწა მთელ ხალხს ეკუთვნის; ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა, ვინც მიწას იღებს, იღებს მას იჯარით მთელი ხალხისაგან. თუ ასეთი წესი დამყარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მიწათმფლობელობაში არავითარი განსხვავება აღარ იქნება, მთელი მიწა ერთნაირი იქნება, როგორც ამას გლეხები ხშირად ამბობენ: «მიწის ყოველგვარი ძველი ღობე და მიჯნა მოისპობა, მიწა გაერთიანდება: იქნება თავისუფალი მიწა და თავისუფალი შრომა».

ნიშნავს თუ არა ეს, რომ მიწა ყველა მშრომელს გადაეცემა? არა, არ ნიშნავს. თავისუფალი შრომა თავისუფალ მიწაზე — ეს იმას ნიშნავს, რომ მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმა მოსპობილია, არავითარი სხვა მიწათმფლობელობა, გარდა საერთო სახელმწიფო მიწათმფლობელობისა არაა: მიწას ყველა იჯარით იღებს სახელმწიფოსაგან; არსებობს საერთო სახელმწიფო ხელისუფლება, ყველა მუშისა და გლეხის ხელისუფლება; ამ ხელისუფლებისაგან მიწას იღებს მხოლოდ გლეხი, როგორც მოიჯარე; სახელმწიფოსა და გლეხს შორის არავითარი შუამავალი არ არის; ყველა იღებს თანასწორ საფუძველზე; ეს არის თავისუფალი შრომა თავისუფალ მიწაზე.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ მიწა ყველა მშრომელს გადაეცემა? არა, არ ნიშნავს. მიწა როდი იჭმება, ხოლო მეურნეობის წარმართვისათვის საჭიროა იარაღები, პირუტყვი, მოწყობილობა, ფული; უფულოდ, უიარაღოდ მეურნეობის წარმართვა შეუძლებელია. ამიტომ, როცა დაამყარებთ ისეთ წესს, რომ თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომა იქნება, როცა არ იქნება არავითარი მემამულური მიწათმფლობელობა, არ იქნება მიწის არავითარი თანრიგი, არამედ იქნება მხოლოდ საერთო სახალხო საკუთრება და მთელ სახელმწიფოს ეყოლება მიწის თავისუფალი მოიჯარეები. როცა თქვენ ამას დააწესებთ, ეს არ არის მიწის გადასვლა ყველა მშრომელის ხელში, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ყოველ მეურნეს თავისუფლად შეეძლება მოიხმაროს მიწა; ვინც მოისურვებს, თავისუფლად მიიღებს საერთო სახელმწიფო მიწას. მეფის, მემამულეთა რუსეთთან შედარებით ეს იქნება დიდი ნაბიჯის გადადგმა წინ. ეს იქნება დიდი ნაბიჯის გადადგმა წინ. იმიტომ რომ მემამულეთა, მე-

ფის რუსეთი ისეთი რუსეთი იყო, სადაც 70 000 000 დესეტინა მიწა მიცემული ჰქონდა 30 000 მარკოვებს, რომანოვებს და სხვა ამგვარ მემამულეებს; ეს კი ისეთი რუსეთი იქნება, სადაც თავისუფალი შრომა იქნება თავისუფალ მიწაზე. მრავალ ადგილას ამჟამად ეს უკვე გაკეთდა. რუსეთმა ამჟამად უკვე გადადგა ნაბიჯი წინ მეფის, მემამულეთა რუსეთთან შედარებით, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მიწა მშრომელთა ხელში გადავიდა, ეს არის მიწის გადასვლა მეპატრონის ხელში, იმიტომ რომ, თუკი მიწა საერთო სახელმწიფო საკუთრებაა და მას იჯარით აიღებენ ისინი, ვისაც მასზე მეურნეობის გამართვა სურს, ეს არ კმარა, არ კმარა მარტო მეურნეობის გამართვის სურვილი, საჭიროა უნარიც, თუმცა უნარიც არ კმარა. უნარი ყოველ მოჯამაგირეს და დღიურად მომუშავე გლეხს აქვს, მაგრამ მას არ ჰყავს პირუტყვი, არა აქვს იარაღები, კაპიტალი, და ამიტომ, რამდენიც უნდა დავადგინოთ, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ამით ვერ დავამყარებთ თავისუფალ შრომას თავისუფალ მიწაზე. ჩვენ რომ ყოველ სავოლოსტო სამმართველოში განცხადებები გამოგვეკრა თავისუფალი მიწის შესახებ, ამით მშრომელთა საქმე არ გაუმჯობესდებოდა ისე, როგორც დასავლეთ ევროპის რესპუბლიკებში, სადაც საპყრობილეებს აწერია: «თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა», მაგრამ ამით საპყრობილეები საპყრობილეებადვე დარჩა. ფაბრიკასაც რომ წავაწეროთ სიტყვები: «თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა», როგორც ეს ამერიკაშია, ამით ფაბრიკა მაინც კატორღად დარჩება მუშებისთვის და სამოთხედ კაპიტალისტებისთვის.

მაშასადამე, ახლა უნდა ვიფიქროთ მომავალზე, იმაზე, თუ როგორ მივაღწიოთ, რომ იყოს არა მარტო თავისუფალი შრომა, — ეს წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს კიდევ არ არის მშრომელთა ინტერესების დაცვისაკენ გადადგმული ნაბიჯი; ეს არის ნაბიჯი მემამულური მტაცებლობისაგან, მემამულეთა მხრივ ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისაკენ, მარკოვებისაგან, პოლიციისა და სხვათაგან განთავისუფლებისაკენ, მაგრამ ეს არ არის მშრომელთა ინტერესების დაცვისა-

კენ გადადგმული ნაბიჯი, იმიტომ რომ უპირუტყვოდ, უიარაღოდ, უკაპიტალოდ ღარიბ, ხელმოკლე გლეხს არ შეუძლია მოუაროს მიწას. აი რატომ ვეპყრობი დიდი უნდობლობით ეგრეთწოდებულ ორი საზომის ანუ ორი ნორმის — შრომითი და სასურსათო ნორმის — საკითხს. ვიცი, რომ ნაროდნიკულ პარტიებში ამ ნორმებზე ყოველთვის ვხვდებით მსჯელობასა და განმარტებას. ვიცი, რომ ეს პარტიები დგანან ამ ორი ნორმის, ამ ორი საზომის დაწესების აუცილებლობის თვალსაზრისზე: შრომითი ნორმისა, მიწის იმ რაოდენობისა, რომლის მეტს ოჯახი ვერ დაამუშავებს, და სასურსათო ნორმისა, მიწის იმ რაოდენობისა, რომელზე ნაკლებიც უკვე შიმშილის მომასწავებელი იქნებოდა. მე ვამბობ, რომ ნორმების ანუ საზომის ამ საკითხს დიდი უნდობლობით ვუყურებ და ვფიქრობ, რომ ეს მოხელური გეგმაა, რომელიც სარგებლობას ვერ მოიტანს, რომელიც ვერ განხორციელდება, თუნდაც ეს გეგმა მიიღოთ აქ. ეს არის თავიდათავი! ეს გეგმა რამდენადმე შესამჩნევად ვერ შეუმსუბუქებს დაქირავებულ მუშებსა და უღარიბეს გლეხებს მათს მდგომარეობას, ეს გეგმა, თუ თქვენ ცნობთ კიდეც მას, ქაღალდზე დარჩება მანამდე, ვიდრე კაპიტალიზმი ბატონობს. ეს გეგმა ვერ დაგვეხმარება სწორი გზის გამონახვაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელად.

როცა ამ ორ საზომზე, ამ ორ ნორმაზე ლაპარაკობენ, საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქოს ამ ქვეყნად მხოლოდ მიწა და მოქალაქენი არსებობდეს და მეტი არაფერი. ეს რომ ასე იყოს, ეს გეგმა კარგი იქნებოდა. მაგრამ საქმე ასე როდია: არსებობს კაპიტალის ძალა, ფულის ძალა, უფულოდ სრულიად თავისუფალ მიწაზე, რაც უნდა «საზომი» არსებობდეს, მეურნეობას ვერ გამართავ, იმიტომ რომ, ვიდრე ფული არსებობს — არსებობს დაქირავებული შრომაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მდიდარი გლეხები, ისინი კი რუსეთში ერთ მილიონზე არანაკლები კომლია, ჩაგრავენ, ექსპლოატაციას უწევენ დაქირავებულ მუშებს და კვლავაც დაჩაგრავენ მათ «თავისუფალ» მიწაზეც. ეს მდიდარი გლეხები მუდამ, არა გამონაკლისის სახით, არამედ როგორც საერთო წესი, მიმართავენ ხოლმე

მუშების დაქირავებას — წლიურად, ვადით, დღიურად, ე. ი. მიმართავენ უღარიბესი გლეხების, პროლეტარების ექსპლოატაციას. და ამასთან ერთად არიან მილიონობით უცხენო გლეხები, რომლებიც ვერ იარსებებენ, თუ თავიანთ სამუშაო ძალას არ გაყიდიან, თუ გარესაშოვარზე არ წავლენ და სხვა. იმ დრომდე, ვიდრე ფულის ძალა რჩება, კაპიტალის ძალა რჩება, რანაირი «ნორმებიც» უნდა დააწესოთ, ეს ნორმები უკეთეს შემთხვევაში ცხოვრებაში გამოუსადეგარი იქნება იმიტომ, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ მთავარ ფაქტორს, რომ თანასწორად არ არის განაწილებული იარაღების, პირუტყვის, ფულის საკუთრება; ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ არსებობს დაქირავებული შრომა, რომელიც ექსპლოატაციის საგანს შეადგენს. ეს არის რუსეთის ახლანდელი ცხოვრების ძირითადი ფაქტი, მას გვერდს ვერ ავუხვევთ, და, თუ რაიმე «საზომს» დავაწესებთ, თვით ცხოვრება აუხვევს მას გვერდს, «საზომი» კი ქაღალდზე დარჩება. აი ამიტომაც, იმისათვის, რომ ხელმოკლე და უღარიბესი გლეხების ინტერესები დავიცვათ რუსეთის ამ უდიდეს გარდაქმნაში, რომელსაც თქვენ ახლა ახდენთ და რომელსაც უთუოდ მოახდენთ, როცა მიწის კერძო საკუთრება მოისპობა, როცა გადაიდგმება ნაბიჯი წინ უკეთესი, სოციალისტური, მომავლის მოსაახლოვებლად; იმისთვის, რომ ამ უდიდეს გარდაქმნაში, რომელსაც თქვენ ეს-არის ახლა იწყებთ, რომელიც დიდად შორს წავა და რომელიც, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, უეჭველად, მოხდება რუსეთში, იმიტომ რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მას ხელს შეუშლიდა; იმისათვის, რომ დავიცვათ მუშებისა და უღარიბესი გლეხების ინტერესები, — არ შეიძლება ნორმებისა და საზომების დაწესების გზას დავადგეთ, საჭიროა სხვა გზის გამონახვა.

მე და ჩემმა ამხანაგებმა — პარტიის წევრებმა, იმ პარტიისა, რომლის სახელითაც მაქვს პატივი აქ ვილაპარაკო, მხოლოდ ორი ასეთი გზა ვიცით სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშებისა და უღარიბესი გლეხების ინტერესების დასაცავად, და ჩვენც ამ ორ გზას ვურჩევთ გლეხთა საბჭოს.

პირველი გზა — ეს არის სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშებისა და უღარიბესი გლეხების დარაზმვა. ჩვენ გვინდა და რჩევას ვიძლევით, რომ ყოველ გლეხთა კომიტეტში, ყოველ ვოლოსტში, მაზრაში, გუბერნიაში, შეიქმნას ცალკე ფრაქცია ან ცალკე ჯგუფი სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშებისა და უღარიბესი გლეხებისა, ისეთებისა, რომლებიც უნდა შეეკითხონ თავიანთ თავს: თუ ხვალ მიწა საყოველთაო-სახალხო გახდება, — ის კი უთუოდ გახდება ასეთი, იმიტომ რომ ხალხს ასე სურს, — როგორ მოვიქცეთ? ჩვენ, რომლებსაც არა გვყავს პირუტყვი, არა გვაქვს იარაღები, საიდან უნდა მივიღოთ ყოველივე ეს? როგორ უნდა გავუძღვეთ მეურნეობას? როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი ინტერესები? როგორ ვიზრუნოთ იმაზე, რომ მიწა, რომელიც საყოველთაო-სახალხო იქნება, რომელიც მართლაც საყოველთაო-სახალხო იქნება, რომ ის ხელში არ ჩაუვარდეთ მ ხ ო ლ ო დ მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ს? განა ბევრს მოვიგებთ, თუ მიწა ხელში ჩაუვარდებათ იმათ, ვისაც საკმაო პირუტყვი ჰყავს და იარაღები აქვს? განა ამისთვის მოვახდინეთ ჩვენ ეს დიდი გადატრიალება? განა ეს გვინდოდა?

«ხალხს» მიწა ექნება, მაგრამ ეს ს ა კ მ ა ო ა რ ა რ ი ს სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების ინტერესების დასაცავად. ძირითადი გზა ის კი არ არის, რომ აქედან, ზემოდან, დააწესებ თუ გლეხთა კომიტეტი დააწესებს «საზომს» ცალ-ცალკე რამდენ მიწას უნდა ფლობდნენ. ასეთი ღონისძიება საქმეს ვერ უშველის, ვიდრე კაპიტალი ბატონობს, და ეს ზომები ვერ გვიხსნიან კაპიტალიზმის ბატონობისაგან. იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ კაპიტალიზმის უღელს, იმისათვის, რომ საყოველთაო-სახალხო მიწა მ შ რ ო მ ე ლ თ ა ხელში გადავიდეს. — არსებობს მხოლოდ ერთი მთავარი გზა: ეს არის გზა სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების დარაზმვისა, რომლებიც იხელმძღვანელებენ თავიანთი გამოცდილებით, თავიანთი დაკვირვებებით, თავიანთი ენდობლობით იმისადმი, რასაც მათ ბობოლები ეუბნებიან, თუმცა ისინი წითელი ბანტებით გამოდიან და თავიანთ თავს «რევოლუციურ დემოკრატიას» უწოდებენ.

მხოლოდ დამოუკიდებელი დარაზმვით ადგილებზე, მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით შეიძენენ ცოდნას ულარიბესი გლეხები. ამ გამოცდილების მიღება კი ადვილი როდი იქნება. ჩვენ ვერ შეგპირდებით და არც გპირდებით, რომ ქვეყანა დოვლათით აივსება. არა, მემამულეები დამხობილი იქნებიან იმიტომ, რომ ხალხს ასე სურს, მაგრამ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი რჩება. მისი დამხობა გაცილებით უფრო ძნელია, მისი დამხობისაკენ სხვა გზა მიდის. ეს გზა არის სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშებისა და ულარიბესი გლეხების დამოუკიდებელი, ცალკეული ორგანიზაციების მოწყობა. აი პირველ რიგში რას აყენებს ჩვენი პარტია.

მხოლოდ ამ გზით არის მოსალოდნელი მიწის თანდათანობითი, არა იოლი, მაგრამ ნამდვილი გადასვლა მართლაც მშრომელთა ხელში.

მეორე ნაბიჯი, რომელსაც ჩვენი პარტია გვირჩევს, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მსხვილი მეურნეობიდან, მაგალითად, მემამულის ყოველი მსხვილი ეკონომიიდან, რომელთა რაოდენობა რუსეთში 30 000-მდეა, რაც შეიძლება ჩქარა მოეწყოს სამაგალითო მეურნეობები მათ ს ა ე რ თ ო ძალ-ღონით დასამუშავებლად სოფლის მეურნეობის მუშებთან და სწავლულ აგრონომებთან ერთად, ამასთან ამ საქმეში მემამულის მუშა-პირუტყვის, იარაღებისა და სხვათა გამოყენებით. სოფლის მეურნეობის მუშების საბჭოების ხელმძღვანელობით მიწის ასეთი ს ა ე რ თ ო დამუშავების გარეშე არ გამოვა ისე, რომ მთელი მიწა მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ს ჰქონდეთ. რა თქმა უნდა, საერთო დამუშავება ძნელი საქმეა, რა თქმა უნდა, სიგიჟე იქნებოდა ვინმეს რომ წარმოედგინა, რომ მიწის ასეთი საერთო დამუშავება შეიძლება ზევიდან დავადგინოთ და თავს მოვახვიოთ ხალხს, იმიტომ რომ საუკუნეებით განმტკიცებული მიდრეკილება ცალკეული მეურნეობისადმი ერთბაშად ვერ გაქრება, იმიტომ რომ აქ საჭიროა ფული, საჭიროა ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუება. ეს რჩევა, ეს აზრი საერთო დამუშავების, საერთო ინვენტარის, საერთო მუშა-პირუტყვის შესახებ იარაღის საუკეთესო გამოყენებითა და აგრონომების

დახმარებით, — ეს რჩევა რომ ცალკეული პარტიების მონაგონი იყოს, საქმე ცუდად იქნებოდა, იმიტომ რომ რომელიმე პარტიის რჩევით ხალხის ცხოვრებაში რაიმე ცვლილება არ ხდება, იმიტომ რომ პარტიების რჩევით ათეული მილიონობით ადამიანი რევოლუციას არ ახდენს, ასეთი ცვლილება კი ბევრად უფრო დიდი რევოლუცია იქნება, ვიდრე ჭკუამოკლე ნიკოლოზ რომანოვის დამხობა. ვიმეორებ, ათეული მილიონობით ადამიანი შეკვეთით არ ახდენს რევოლუციას, რევოლუციას მხოლოდ მაშინ ახდენენ, როცა გამოუვალი გაჭირვება დგება, როცა ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა ათეული მილიონობით ადამიანის საერთო იერიში და გამბედაობა ამსხვრევს ყველა ძველ ზღუდეს და მას მართლაც ძალუძს ახალი ცხოვრების შექმნა. როცა ხალხს ასეთ ღონისძიებას ვურჩევთ, ვურჩევთ შეუდგეს მის გატარებას სიფრთხილით, როცა ასეთი ღონისძიების აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ, ასეთი დასკვნა გამოგვყავს არა მარტო ჩვენი პროგრამიდან, ჩვენი სოციალისტური მოძღვრებიდან, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ, სოციალისტები, ვუკვირდებით რა დასავლეთ ევროპის ხალხების ცხოვრებას, ასეთ დასკვნამდე მივედით. ჩვენ ვიცით, რომ იქ მრავალი რევოლუცია მომხდარა, რომლებიც დემოკრატიულ რესპუბლიკებს ქმნიდნენ; ვიცით, რომ ამერიკაში 1865 წელს დამარცხდნენ მონათმფლობელები და შემდეგ ასეული მილიონობით დესეტინა მიწა მუქთად ან თითქმის მუქთად დაურიგდათ გლეხებს, მაგრამ მიუხედავად ამისა იქ კაპიტალიზმი ბატონობს ისე, როგორც არსად, და მშრომელ მასებს ჩაგრავს ისევე, თუ უფრო ძლიერ არა, როგორც სხვა ქვეყნებში. აი ის სოციალისტური მოძღვრება, აი სხვა ხალხთა მიმართ ის დაკვირვება, რომელმაც იმის მტკიცე რწმენამდე მიგვიყვანა, რომ თუ მიწა საერთო ძალ-ღონით არ დამუშავდა სოფლის მეურნეობის მუშების მიერ საუკეთესო მანქანების გამოყენებით და მეცნიერულად განათლებული აგრონომების ხელმძღვანელობით, კაპიტალიზმის უღელს თავს ვერ დავაღწევთ. მაგრამ ჩვენ რომ მარტო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გამოცდილებას დავემყაროთ, ჩვენი საქმე

რუსეთში ცუდად იქნებოდა, იმიტომ რომ რუს ხალხს მასობრივად მხოლოდ მაშინ შეუძლია სერიოზული ნაბიჯის გადადგმა ამ ახალ გზაზე, როცა უკიდურესი გაჭირვება დაატყდება თავს. და ჩვენ ვამბობთ: დადგა სწორედ ის დრო, როცა ეს უკიდურესი გაჭირვება რუს ხალხს კარზე უკაკუნებს. ეს უკიდურესი გაჭირვება იმაში მდგომარეობს, რომ ძველებურად მეურნეობის წარმართვა შეუძლებელია. თუ ჩვენ ძველებურად წვრილ მეურნეობებში მოვკალათდებით, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაზე, სულ ერთია, ჩვენ მაინც გარდუვალი დაღუპვა მოგველის, იმიტომ რომ ნგრევა დღითი დღე, ყოველ საათობით გვიახლოვდება. ამაზე ყველა ლაპარაკობს; ეს ფაქტია, რომელიც გამოწვეულია არა ცალკეულ პირთა ბოროტი ნებით, არამედ გამოწვეულია მსოფლიო მტაცებლური ომით, გამოწვეულია კაპიტალიზმით.

ომმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე მოსპო, მთელი მსოფლიო სისხლით მოირწყო, ომმა მთელი მსოფლიო დაღუპვის პირამდე მიიყვანა; ეს გაზვიადებული არ არის, არავის შეუძლია ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდეს; ყველა ამაზე ლაპარაკობს. აიღეთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია» — იქ ყველა ლაპარაკობს: კაპიტალისტები იტალიურ გაფიცვას და ლოკაუტებს მიმართავენო. ეს კი ნიშნავს: სამუშაო არ არის და კაპიტალისტები მუშებს მასობრივად ითხოვენ. აი სადამდე მიიყვანა ამ დანაშაულებრივმა ომმა არა მარტო რუსეთი, არამედ ყველა ქვეყანა.

აი რატომ ვამბობთ: მეურნეობა მიწის ცალკეულ ნაკვეთებზე, თუნდაც ეს იყოს «თავისუფალი შრომა თავისუფალ მიწაზე» — ეს არ არის გამოსავალი საშინელი კრიზისიდან, საყოველთაო ნგრევიდან, ეს არ არის ხსნა. აუცილებელია საყოველთაო შრომის ბეგარა, აუცილებელია ადამიანის შრომის უდიდესი დაზოგვა, აუცილებელია არაჩვეულებრივად ძლიერი და მტკიცე ხელისუფლება, რომელიც შეძლებდა ამ საყოველთაო შრომის ბეგრის განხორციელებას; მას მოხელეები ვერ განახორციელებენ, მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტა-

ტების საბჭოებს, იმიტომ რომ ეს თვით ხალხია, თვით ხალხის მასებია, იმიტომ რომ ეს მოხელეთა ხელისუფლება არ არის, იმიტომ რომ საბჭოები იცნობენ გლეხების მთელ ცხოვრებას თავიდან ბოლომდე და შეუძლიათ დააწესონ შრომის ბეგარა, შეუძლიათ დააწესონ ადამიანის შრომის ისეთი დაცვა, როდესაც არ გაიფლანგება გლეხის შრომა, და ამრიგად, მიწის საერთო დამუშავებაზე გადასვლა თანდათანობით და წინდახედულად მოხდებოდა. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ საერთო დამუშავებაზე გადასვლა მსხვილ სამაგალითო მეურნეობებში აუცილებელია; უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ იმ ნგრევას, იმ პირდაპირ საშინელ მდგომარეობას, რომელშიც რუსეთი იმყოფება, და უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ ვინმე იფიქრებს, ხალხის ცხოვრებაში ასეთი უდიდესი გარდაქმნა თითქოს ერთი დაკვრით შეიძლება მოხდეს. არა, ეს მოითხოვს თვითეული გლეხისა და მუშის უდიდეს შრომას, მოითხოვს დაძაბულობას, გამბედაობასა და ენერგიას ადგილობრივ იმ საქმეში, რომელიც მან იცის, იმ წარმოებაში, რომელშიც იგი ათეული წლობით მუშაობს. ასეთი საქმის გაკეთება არ შეიძლება რაიმე განკარგულებით, მაგრამ მისი გაკეთება აუცილებელია, იმიტომ რომ მტაცებლურმა ომმა დაღუპვის პირამდე მიიყვანა მთელი კაცობრიობა, ათეული მილიონობით ადამიანი დაიღუპა და კიდევ უფრო მეტი დაიღუპება ამ საშინელ ომში, თუ არ დავძაბავთ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, თუ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყველა ორგანიზაცია ერთობლივად და გადაჭრით არ დაუჭერს მხარს მიწის საერთო დამუშავებას უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოხდეს მიწის ნამდვილი გადასვლა მშრომელთა ხელში.

დაიბეჭდა 1917 წ. 25 მაისს
გლეხთა დეპუტატების სრულიად
რუსეთის საბჭოს გაზეთ «იზვესტიაში» № 14;
1917 წ. დეკემბერში — ბროშურაში:
«მასალები აგრარულ საკითხზე».
გამომცემლობა «პრიბოი»

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
გაზეთის ტექსტთან

პარტიები პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში

გამოქვეყნებულია რაიონულ თვითმმართველობათა ხმოსნობის კანდიდატების სიები (17 მაისის «ვედომოსტი ობშჩესტვენნოგო გრადონოჩალსტვას» უფასო დამატება[101]). სამწუხაროდ, ცნობები გამოქვეყნებულია არა ყველა, არამედ მხოლოდ 10 რაიონის შესახებ. მაგრამ პ ა რ ტ ი უ ლ ო ბ ი ს საკითხის სურათი მაინც მეტისმეტად ცხადი და მკვეთრი გამოდის; ამ სურათის შესწავლაზე აუცილებელია გულმოდგინედ შევჩერდეთ როგორც საარჩევნო აგიტაციის მიზნით, ისე იმის გამოსარკვევად, თუ რა კავშირი აქვთ პარტიებს კ ლ ა ს ე ბ თ ა ნ.

ცნობილია, რომ პარტიულობა ერთ და იმავე დროს არის პოლიტიკური განვითარების პირობაც და მაჩვენებელიც. რაც უფრო მეტად არის პოლიტიკურად განვითარებული, განათლებული, შეგნებული ესა თუ ის მოსახლეობა ან ესა თუ ის კლასი, მით უფრო მაღლა დგას, საერთო წესით, მისი პარტიულობა. ამ საერთო წესს ადასტურებს ყველა ცივილიზებული ქვეყნის გამოცდილება. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით გასაგებიცაა, რომ ეს ასეც უნდა იყოს: უპარტიობა ანუ პარტიული გარკვეულობის, პარტიული ორგანიზებულობის ნაკლებობა ნიშნავს კლასობრივ მერყეობას (ეს უკეთეს შემთხვევაში; უარეს შემთხვევაში ეს ნაკლებობა ნიშნავს მასების მოტყუებას პოლიტიკური თაღლითების მიერ, რაც ასე ხშირი მოვლენაა პარლამენტურ ქვეყნებში).

რას გვიჩვენებს პეტროგრადში გამოქვეყნებული სიები პარტიულობის საკითხზე?

10 რაიონში სულ წამოყენებულია 71 სია. ერთბაშად თვალნათლივ იხატება ამ სიების დაყოფა ხ უ თ დიდ ჯგუფად:

1) რსდმ პარტია — ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი. სიები გამოქვეყნებულია ყველა 10 რაიონში. ჩვენი პარტია ბლოკშია ორ ჯგუფთან: მეჟრაიონელებთან და მენშევიკ-ინტერნაციონალისტებთან. ეს ბლოკი სასტიკად პრინციპულია, აშკარად აღიარებულია ჩვენი პარტიის პეტროგრადისა და სრულიად რუსეთის კონფერენციების რეზოლუციებში *. თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი საკითხი როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში არის ბრძოლა პროლეტართა ინტერნაციონალიზმისა მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის შოვინიზმის (ანუ «ობორონცობის») წინააღმდეგ. და ჩვენმა პარტიამ საქვეყნოდ განაცხადა — მზადა ვარ განვახორციელო ყველა ინტერნაციონალისტის «დაახლოება და გაერთიანება» (იხ. სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია წვრილ-ბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანების შესახებ).

პროლეტარიატის პარტია ცხადად, აშკარად, ერთსულოვნად გამოვიდა არჩევნებში.

2) არა ნაკლებ აშკარა კლასობრივი სახე გვიჩვენა «სახალხო თავისუფლების» პარტიამ, ე. ი. კადეტების პარტიამ, საქმით კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პარტიამ. მანაც 10 წმინდა პარტიული სია წამოაყენა ყველა 10 რაიონში. როგორც ვიცით, მემამულეებისა და კაპიტალისტების ყ ვ ე ლ ა პარტია ამჟამად კადეტებს უ ჰ ე რ ს მ ხ ა რ ს, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ამას მ ა ლ უ ლ ა დ სჩადიან.

3) მესამე ადგილი პარტიული გარკვეულობის მხრივ უჭირავს ახლადგამომცხვარ რადიკალურ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც თავისი სიები წამოაყენა 10-დან მხოლოდ 6 რაიონში. ეს, ყველასათვის უცნობი, პარტია — აგრეთვე აშკარად

* იხ. ეს ტომი, გვ. 175 — 177 და 344 — 345. რ ე დ.

Россійская Соціалъ-Демократическая Рабочая Партія.

ПРАВДА

ОРГАНЪ
Центральнаго Комитета
•
Петербургскаго Комитета
Р. С. Д. Р. П.

Среда, 6-го іюня (24 мая) 1917 г. ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА. Цѣна № 8 коп. № 64.

Цѣна отдѣльнаго № 8 коп.

Вниманію подписчиковъ.

Къ выборамъ.

НЕДѢЛЯ ВЫБОРОВЪ.

Партіи на выборахъ въ районныя Думы Петрограда

Муниципальное помощь.

კაპიტალისტური პარტია, რომელსაც იმედი აქვს არაფრის დამავალდებულებელი დაპირებებით «წაგლიჯოს» ობივატელთა ხმები, — რაღაც გადაცმული კადეტების მსგავსი პარტიაა.

4) მეოთხე ადგილი უჭირავს 17 სიის ჯგუფს 9 რაიონში; ამ ჯგუფში შედიან ნაროდნიკები (ტრუდოვიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სახალხო სოციალისტები) და მენშევიკები პლუს «ედინსტვოს»[102] სამარცხვინოდ ცნობილი ჯგუფი, ფრიად ჭრელი ფერებით შეხამებულნი ერთმანეთთან.

ესაა ნამდვილი ნიმუში წვრილბურჟუაზიული დომხალისა და წვრილბურჟუაზიული უპრინციპობისა! ვ ე რ ც ე რ თ მ ა მათგანმა ვერც ერთხელ ვერ გაბედა გამოსულიყო აშკარად, პრინციპულად დასაბუთებული, წინასწარ განცხადებული გადაწყვეტილებით ამ ჯგუფებისა და პარტიების დაახლოებისა და გაერთიანების შესახებ. ისინი მოვლენებს აჰყოლოდნენ, კუდში მისჩანჩალებდნენ შოვინისტურ ნიაღვარს. ისინი ერთ ჭაობში ჩაეფლნენ და წმინდა ობივატელურად ფართხალებენ შიგ, ცდილობენ ყოველ რაიონში სხვადასხვანაირად «გაძვრნენ», ვის როგორ ემარჯვება! ოღონდ კი გაძვრნენ და რა გზითაც მოხერხდება ეს, სულ ერთია — აი მათი დევიზი.

მათ რომ პრინციპულად აერთიანებდეს ობორონცობა ან კოალიციური სამინისტროს მხარისდაჭერა, რატომ არ უნდა შეერთებულიყვნენ ისინი ერთიან, ნამდვილად პრინციპულ, პოლიტიკურ ბლოკად, რომელიც აშკარად გამოვიდოდა ამ საარჩევნო კამპანიაში?

საქმეც ისაა, რომ წვრილ ბურჟუაზიას, ე. ი. ნაროდნიკებსა და მენშევიკებს, აკლიათ პრინციპულობაც და პარტიულობაც! ყველა ისინი ობორონცები და მინისტერიალისტები არიან. მაგრამ ერთმანეთს ისინი არ ენდობიან. ერთ რაიონში სოციალისტ-რევოლუციონერები ცალკე გამოდიან, მეორეში ბლოკი აქვთ სახალხო სოციალისტებთან და ტრუდოვიკებთან (იმ ადამიანებთან, რომლებიც მიწის გამოყიდვას იწყნარებენ!! იმ პარტიებთან, რომლებსაც ს.-რ. ვიხლიაევი, ჩერნოვი და კომპანია 1906 — 1907 წლებში ა შ კ ა რ ა დ სდებდნენ ბრალს მ ე ს ა კ უ თ რ უ ლ ი ინსტინქტების თაყვანისცემაში!!). უფრო

ხშირად ისინი ბლოკში არიან მენშევიკებთან, ზოგჯერ კი «ედინსტვოსთან», სწორედ იმ «ედინსტვოსთან», რომლის შესახებაც «დელო ნაროდა» ან მტრული კილოთი წერს, ან დამამცირებელი კილოთი.

არა უშავს რა! ობივატელი ყველაფერს გადაყლაპავს! წვრილ ბურჟუას პარტიულობისა და პრინციპულობისათვის არა სცალია! გაზეთში «ჩვენ» «ედინსტვოს» წინააღმდეგი ვართ, სათათბიროში გასასვლელად კი «ჩვენ» მ ხ ა რ ს ვ უ ჭ ე რ თ...

სწორედ ასევე ემართებათ მენშევიკებსაც. გაზეთში ისინი «ედინსტვოს» წინააღმდეგი არიან, მენშევიკების სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ყბადაღებულ დეიჩს უკმაყოფილების ხმაურით შეხვდნენ, ასე რომ «ედინსტვო» აშკარად ჩიოდა ამის გამო. არა უშავს რა, ობივატელი გულმავიწყია. ჩვენც ობივატელურად ვიქცევით! «პრინციპულად» ჩვენ დეიჩებისა და იორდანსკების წინააღმდეგი ვართ, მუშების წინაშე ჩვენ გვეთაკილება მათთან ყოფნა, ადგილების მისაღებად კი მზადა ვართ საერთო სიაში ვიყოთ ამ ვაჟბატონებთან!

დაე იცოდეს ყველა შეგნებულმა მუშამ, დაე მათ გააცნონ მთელ მუშათა მასას, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებისა და ნაროდნიკების ბლოკი მენშევიკებთან არის ბლოკი იმ ადამიანებისა, რომლებიც ლაჩრულად მიაპარებენ «ედინსტვოს» გმირებს, — იმ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ა, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ე თ ა კ ი ლ ე ბ ა თ თ ა ვ ი ა ნ თ მ ო კ ა ვ შ ი რ ე ე ბ თ ა ნ ყ ო ფ ნ ა!

ორ რაიონში, ყაზანისა და სპასკისა, სრულიად არ ჩანან არც მენშევიკები და არც სოციალისტ-რევოლუციონერები: ალბათ, მათ თ ა ვ ი შ ე ა ფ ა რ ე ს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სიებს, ე. ი. უ პ ა რ ტ ი ო თ ა სიებს (ორივე შემთხვევაში კანდიდატების რიცხვი ძალიან არასრულია: 38 და 28 კადეტების 54-ისა და 44-ის წინააღმდეგ და ჩვენი 43-ისა და 46-ის წინააღმდეგ). მაშასადამე, ორ რაიონში წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა თავიანთი ჭრელი ნახევრადპარტიულობაც კი ვერ დაძლიეს და საბო-

ლოოდ ჩაეფლნენ უპარტიობის ჭაობში: «ოღონდ კი აგვირჩიონ და რად გვინდა პარტიულობაო?». ასეთია ყველგან და ყოველთვის ბურჟუაზიული პარლამენტარიების დევიზი.

5) მეხუთე ჯგუფი — უპარტიობის სრული სამეფოა. 10 რაიონში — 28 სიაა, ამასთან ჯგუფების უმეტესობა მხოლოდ ერთ რაიონში არსებობს. ეს არის არა მარტო ობივატელობა, არამედ ვიწრო ადგილობრივი, რაიონული ობივატელობაც. ვინ გინდა რომ აქ არ იყოს! «სახლების ადმინისტრაციაც», «სააღმზრდელო დაწესებულებების მოსამსახურეთა ჯგუფიც», «პატიოსნების, ანგარიშგების, სამართლიანობის ჯგუფიც» (თუ არ მოგწონთ, ნუ მოუსმენთ...), «დემოკრატიულ-რესპუბლიკელი და სოციალისტი მოღვაწენიც, წამოყენებულნი სახლების კომიტეტებში მონაწილე უპარტიო მშრომელი დემოკრატი-რესპუბლიკელების მიერ»...

ამხანაგო მუშებო! ყველამ უკლებლივ მუშაობას მოჰკიდეთ ხელი, ჩამოიარეთ ღარიბთა ბინები, თვალი აუხილეთ და გაათვითცნობიერეთ შინამოსამსახურეები, უფრო ჩამორჩენილი მუშები და სხვ. და სხვ.! აგიტაცია გააჩაღეთ როგორც კადეტების, ისე «რადიკალ-დემოკრატების» სამოსელში გახვეული კადეტებისა და კადეტების ზურგს უკან ამოფარებულთა წინააღმდეგ! აგიტაცია გააჩაღეთ ნაროდნიკებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული ობორონცული ჭაობის წინააღმდეგ, მათი უპარტიობისა და უპრინციპობის ბლოკის წინააღმდეგ, მათ საერთო სიებში როგორც ტრუდოვიკების, გამოსყიდვის მომხრეების, ისე პლეხანოვის «ედინსტვოს» გმირების გაპარების წინააღმდეგ, «ედინსტვოსი», რომელთან ხელიხელგაყრილი სიარული მინისტრების გაზეთებს — «დელო ნაროდასა» და «რაბოჩაია გაზეტასაც» კი ეთაკილებათ!

«პრავდა» № 64, 1917 წ.
6 ივნისი (24 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ორი ნაკლი

როცა სხვა პარტიებს ვაკრიტიკებთ, ჩვენი თავიც უნდა ვავაკრიტიკოთ. პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა ხმოსნობის კანდიდატების გამოქვეყნებულმა სიებმა ჩვენი პარტიული ორგანიზაციისა და მუშაობის ორი ნაკლი გამოააშკარავეს.

პირველი ნაკლი. ლიტეინის რაიონში ჩვენს სიაში მხოლოდ 33 კანდიდატია წინააღმდეგ 63 კანდიდატისა, რომლებიც ეკუთვნიან კადეტებსა და მენშევიკების ბლოკს «ედინსტვოსთან» და ნაროდნიკებთან. ალბათ, მდიდართა რაიონში ჩვენმა პარტიულმა მუშაკებმა პროლეტარული პარტიის 33-ზე მეტი კანდიდატი ვერ იპოვეს. მაგრამ ეს ჩვენი მუშაობის აშკარა ნაკლია, აშკარა ნიშანია იმისა, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ ჩავსულვართ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა «ქვედა ფენებში». უნდა უკუვაგდოთ დამკვიდრებული ჩვეულებანი; მდიდართა უბნებში განსაკუთრებით ენერგიულად უნდა წავიდეთ «ხალხში», შეგნებული ცხოვრებისათვის უნდა გამოვაღვიძოთ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ახალი ფენები. საჭირო იყო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მიგვეზიდა უპარტიო პროლეტარული ელემენტები, — განსაკუთრებით, მაგალითად, **შინამოსამსახურეები** და მათგან ყველაზე უფრო საი-

მედონი უშიშრად შეგვეტანა პროლეტარულ სიაში. რატომ უნდა გვეშინოდეს უპარტიო პროლეტარული ელემენტების უმცირესობისა, როცა უმრავლესობა შეგნებულ პროლეტარ-ინტერნაციონალისტებს ეკუთვნის?... *

დაწერილია 1917 წ. 23 და 27 მაისს
(5 და 9 ივნისს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
ლენინის კრებულში, VII

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

რეზოლუცია ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ [103]

1. რუსეთის მთელი სამეურნეო ცხოვრების სრული მოშლა იქამდე მივიდა, რომ გაუგონარი ოდენობის კატასტროფა, როცა სრულიად ჩერდება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი წარმოებანი, როცა სოფლის მეურნეებს საშუალება აღარ აქვთ საჭირო მოცულობით წარმართონ თავიანთი მეურნეობა, როცა რკინიგზის მოძრაობა ჩერდება, მრავალმილიონიანი სამრეწველო მოსახლეობისა და ქალაქებისათვის პურის მიწოდების საშუალება აღარაა, ასეთი კატასტროფა გარდუვალი გახდა. კიდევ მეტი, ნგრევა უკვე დაიწყო და მთელ რიგ დარგებს მოედო. ნგრევასთან წარმატებით ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხი მთელ თავის ძალ-ღონეს დაძაბავს და დაუყოვნებლივ მიღებული იქნება მთელი რიგი რევოლუციური ზომები როგორც ადგილებზე, ისე სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრში.

2. კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ ვერც ბიუროკრატიული გზით, ე. ი. ისეთი დაწესებულებების შექმნით, სადაც უმეტესობა კაპიტალისტები და მოხელეები იქნებიან, ვერც კაპიტალისტების მოგებათა დაცვით, ვერც წარმოებაში მათი ყოვლისშემძლეობის, ფინანსურ კაპიტალზე მათი ბატონობის, საბანკო, სავაჭრო და სამრეწველო საქმეების მიმართ მათი კომერციული საიდუმლოების დაცვით. ეს სრული სიც-

ხადით დადგინდა წარმოების ცალკეულ დარგებში კრიზისის მთელ რიგ ნაწილობრივ გამოვლინებათა გამოცდილებით.

3. კატასტროფის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მუშათა ნამდვილი კონტროლის დაწესებით პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ. ამგვარი კონტროლისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, ის, რომ ყველა გადამწყვეტ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყოს მუშების უმრავლესობა, მათ უნდა ეკუთვნოდეს ყველა ხმის არა ნაკლებ სამი მეოთხედისა, თან ამ დაწესებულებებში უთუოდ მონაწილეობას უნდა იღებდნენ როგორც ის მეწარმეები, რომლებიც საქმეს არ ჩამოშორებიან, ისე ტექნიკური მხრივ მეცნიერულად განსწავლული პერსონალი; მეორეც, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოებს, აგრეთვე პროფესიულ კავშირებს, კონტროლში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ, მათთვის გადაშლილი უნდა იყოს ყველა სავაჭრო და საბანკო დავთარი, ამასთანავე სავალდებულო უნდა იყოს ყოველგვარი მონაცემების მიწოდება მათთვის; მესამე, ასეთივე უფლება უნდა მიენიჭოს ყველა დიდი დემოკრატიული და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებს.

4. მუშათა კონტროლი, რომელიც კონფლიქტის მთელ რიგ შემთხვევაში კაპიტალისტებმა უკვე ცნეს, დაუყოვნებლივ უნდა გადაიქცეს, მთელი რიგი გულმოდგინედ მოფიქრებული და თანდათანობით, მაგრამ სრულიად გადაუდებლად განხორციელებული ზომების საშუალებით, მუშების მიერ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების სრულ მოწესრიგებად.

5. მუშათა კონტროლი ასეთივე უფლებებით უნდა გავრცელდეს აგრეთვე ყველა ფინანსურ და საბანკო ოპერაციაზე საქმის მთელი ფინანსური მდგომარეობის გარკვევითა და ბანკების, სინდიკატებისა და სხვა მოსამსახურეების დაუყოვნებლივ შექმნილი საბჭოებისა და ყრილობების მონაწილეობით.

6. კატასტროფისაგან ქვეყნის ხსნა მოითხოვს, რომ უწინარეს ყოვლისა მუშათა და გლეხთა მოსახლეობას არა სიტყვით,

არამედ საქმით, ჩავაგონოთ უაღრესად სრული და უეჭველი ნდობა იმისადმი, რომ ხელმძღვანელი და სრულუფლებიანი დაწესებულებები, როგორც ადგილებზე, ისე სახელმწიფოს ცენტრში, არ შეჩერდებიან იმის წინაშე, რომ ხალხის ხელში გადავიდეს კაპიტალისტური მეურნეობის უმსხვილესი და მსხვილი საბანკო, ფინანსური, სავაჭრო და სამრეწველო მაგნატების მოგების, შემოსავლისა და ქონების მეტი ნაწილი. თუ ეს ღონისძიება არ განვახორციელეთ საქმით, შეუძლებელია მოვითხოვოთ, ან მოველოდეთ, რომ გატარდება ნამდვილად რევოლუციური ღონისძიებები და მოსახლეობის მუშათა და გლეხთა მასა ნამდვილად რევოლუციურად დაძაბავს ენერგიას.

7. ვინაიდან საესებით მოშლილია მთელი ფინანსური სისტემა და ფულის საქმე, ვინაიდან შეუძლებელია მისი გაჯანსაღება, ვიდრე ომი გრძელდება, — საერთო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მიზანი უნდა იყოს ფართო, საოლქო და შემდგომ საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით მოწყობა სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა პროდუქტების გადაცვლისა პურზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ქალაქისა და სოფლის კოოპერატივების ფართოდ მიზიდვა ამ საქმეში.

8. მხოლოდ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ არის შესაძლებელი და აუცილებელი საყოველთაო შრომის ბეგრის განხორციელება. ეს ღონისძიება, თავის მხრივ, მოითხოვს მუშათა მილიციის შემოღებას, სადაც მუშები უფასოდ იმსახურებენ რვასაათიანი სამუშაო დღის დამატებით, რათა შემდეგ გადავიდეთ საყოველთაო-სახალხო მილიციაზე, სადაც მუშათა და მოსამსახურეთა გასამრჯელოს კაპიტალისტები გადაიხდიან. მხოლოდ ასეთი მუშათა მილიცია და მისგან წარმოშობილი საყოველთაო-სახალხო მილიცია შეძლებს და კიდევაც უნდა განახორციელოს საყოველთაო შრომის ბეგარა არა ბიუროკრატულად და არა კაპიტალისტების სასარგებლოდ, არამედ კატასტროფისაგან ხალხის ნამდვილად ხსნისათვის. და მხოლოდ ასეთ მილიციას შეუძლია და კიდევაც უნდა შემოიღოს ნამდვილი რევოლუციური დისციპლინა და მიაღწიოს

იმას, რომ კატასტროფისაგან თავის გადასარჩენად მთელმა ხალხმა უკიდურესად დაძაბოს თავისი ძალები. მხოლოდ საყოველთაო შრომის ბეგარას შეუძლია განახორციელოს ხალხის შრომის უდიდესი დაზოგვა.

9. კატასტროფისაგან ქვეყნის ხსნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს დიდძალი მუშახელის გადაყვანა ქვანახშირის, ნედლეულის წარმოებაში და ტრანსპორტზე. ასევე საჭიროა მუშახელის თანდათან გადაყვანა სამხედრო საჭურველის წარმოებიდან მეურნეობის აღდგენისათვის საჭირო პროდუქტების წარმოებაზე.

10. ყველა აღნიშნული ღონისძიების გეგმაშეწონილად და წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ხელში გადავა.

«სოციალ-დემოკრატი» № 64, 1917 წ.
25 მაისი (7 ივნისი)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

კაპიტალისტებთან მორიგება თუ კაპიტალისტების დამხობა?

(როგორ დავამთავროთ ომი)

ყველა იმაზე ფიქრობს და ლაპარაკობს, თუ როგორ დავამთავროთ ომი.

თითქმის ყველა მუშა და გლეხი აღიარებს იმას, რომ ომი კაპიტალისტებმა დაიწყეს, რომ ომი ესაჭიროებათ ყ ვ ე ლ ა ქვეყნის კაპიტალისტებს. სწორედ ამაზე მეტყველებენ მუშათა, ჯარისკაცთა და გ ლ ე ხ თ ა დეპუტატების საბჭოების რეზოლუციები.

და ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა!

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მხოლოდ ის საკითხი, თუ რა გზას დ ა ვ ა დ გ ე თ ომის დასამთავრებლად (ვინაიდან ომის ე რ თ ბ ა შ ა დ დამთავრება — ეს ყ ვ ე ლ ა ს ესმის — შეუძლებელია). დავადგეთ თუ არა კაპიტალისტებთან მორიგების გზას, და თუ დავადგებით, როგორი მორიგების? თუ მუშათა რევოლუციის გზას დავადგეთ, ე. ი. კაპიტალისტების დამხობის გზას? აი მთავარი და ძირითადი საკითხი.

ამ საკითხში ჩვენი პარტია დაშორდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს, რადგან ორივე საბჭო ე მ ხ რ ო ბ ა ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ.

ეს განსაკუთრებით თვალნათლივ დაადასტურა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს რეზოლუციამ ომის

შესახებ. თანახმად მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართული ყბადაღებული — და ამდენადვე არეულ-დარეული — (14 მარტის) მოწოდებისა, ეს რეზოლუციაც მოითხოვს:

«...ზავს დაპყრობათა და ფულადი ჯარიმების გარეშე, ყოველი ხალხისთვის, რომელი სახელმწიფოს ფარგლებშიც უნდა ცხოვრობდეს იგი, უფლების მინიჭებით — დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი».

ანექსიების (დაპყრობათა) საკითხი აქ დაყენებულია ა რ ა ისე, როგორც ის ამ დღეებში დააყენეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიამ» და «დელო ნაროდამ» (იხ. «პრავდა» № 60, 18 მაისი *).

ეს ორი უკანასკნელი ორგანო, რომლებსაც ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბლოკი ხელმძღვანელობს, სრულიად დაიბნა, როდესაც განაცხადეს: დაპყრობათა გარეშე — მაშასადამე, დარჩეს ისე, როგორც ომამდე იყოო (ლათინურად ეს ასე ითქმის: უანექსიო ზავი ნიშნავს სტატუს ქვოს).

საკითხის ასე გადაწყვეტა, — მართალი უნდა ითქვას, — ნიშნავს საკითხის გადაწყვეტას კაპიტალისტებთან მორიგებით და კაპიტალისტებს შორის. ეს ნიშნავს: დავტოვოთ ძველი ანექსიები (რაც ომამდე მომხდარა), ახალი კი ნულარ იქნებაო.

ასეთ გადაწყვეტილებას, ჯერ-ერთი, ვერ გაამართლებს სოციალისტი, თუ სოციალიზმს არ უღალატებს. რა სოციალისტის საქმეა კაპიტალისტების მორიგება ძველი ნადავლის, ე. ი. ანექსიების გასაყოფად. ეს ცხადია. მეორეც, ასეთი გადაწყვეტილება, სულ ერთია, ვერ განხორციელდება ურევოლუციოდ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ყოველ შემთხვევაში, ინგლის-იაპონიის კაპიტალის წინააღმდეგ, რადგან ყოველი ადამიანი, თუ ის ჭკუაზე არ შემცდარა, ხედავს, რომ უ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო დ იაპონია არ დათმობს კიაო-ჩაოს, ხოლო ინგლისი — ბაღდადსა და აფრიკის კოლონიებს.

გლეხთა გადაწყვეტილებამ ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ განსაზღვრა დაპყრობანი (ანექსიები), როცა გამოაცხადა, «ყ ო ვ ე ლ» ხალხს (მაშასადამე, ანექსირებულსაც, ე. ი. ო მ ა მ დ ე ძალით

* იხ. ეს ტომი, გვ. 524 — 526. რ ე დ.

შეერთებულსაც) უფლება ენიჭება თავისუფლად, «დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედიო».

აი ესაა საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა მართლაც თანამიმდევარი დემოკრატის, მით უმეტეს — სოციალისტის თვალსაზრისით. არც ერთ სოციალისტს, თუკი მას სოციალისტად დარჩენა სურს, არ შეუძლია ანექსიების (დაპყრობათა) საკითხის სხვანაირად დაყენება, არ შეუძლია უარი განაცხადოს ყ ო ვ ე ლ ი ხალხის თვითგამორკვევის უფლებაზე, გამოყოფის თავისუფლებაზე.

მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ: ასეთი მოთხოვნა ნიშნავს რევოლუციას კაპიტალისტების წინააღმდეგ. და უწინარეს ყოვლისა, პირველ რიგში ასეთ მოთხოვნას (ურევოლუციოდ) უკუაგდებენ ინგლისელი კაპიტალისტები, რომლებსაც უფრო მეტი ანექსიები (დაპყრობანი) აქვთ, ვიდრე რომელიმე სხვა ერს მსოფლიოში.

ორივე მოთხოვნა, ორივე სურვილი, როგორც სურვილი ანექსიებზე ხელის აღებისა ძველის აღდგენის აზრით («სტატუს ქვო»), ისე სურვილი როგორც ახალ, ისე ძველ, ყოველგვარ ანექსიებზე ხელის აღებისა, ორივე ეს სურვილი განუხორციელებელია რევოლუციის გარეშე კაპიტალის წინააღმდეგ, კაპიტალისტების დაუმხობლად. ამ მხრივ არც თავი უნდა მოვიტყუოთ და არც ხალხი მოვატყუოთ!

ან უნდა იქადაგო კაპიტალისტებთან მორიგება და უცადო მას, ეს კი უდრის იმას, რომ ხალხებს მათი მოსისხლე მტრის ნდობა ჩაუნერგო, ან უნდა დაენდო მუშათა რევოლუციას, მხოლოდ მას, და მთელი ძალ-ღონე მოახმარო კაპიტალისტების დამხობას.

ამ ო რ ი გზიდან ერთ-ერთი უნდა ა ვ ი რ ჩ ი ო თ ომის დ ა ს ა მ თ ა ვ რ ე ბ ლ ა დ.

«პრავდა» № 65, 1917 წ.
7 ივნისი (25 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ჯაჭვის სიმაგრეს განსაზღვრავს მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმაგრე

თუ, ვთქვათ, 100 ფუთი სიმძიმის დასაჭერად საჭიროა რკინის ჯაჭვი, — რა მოხდება იმით, რომ ამ ჯაჭვის ერთი რგოლი ხის რგოლით შევცვალოთ?

ჯაჭვი გაწყდება.

ჯაჭვის ყველა დანარჩენი რგოლის სიმაგრე ან სიმთელე, გარდა ამ ერთისა, საქმეს ვერ უშველის. გატყდება ხის რგოლი — და მთელი ჯაჭვიც გაწყდება.

პოლიტიკაშიც იგივე ხდება.

ბატონი მენშევიკები და ნაროდნიკები, ამ წვრილბურჟუაზიული პარტიების ბატონი მინისტერიალისტები რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში გაერთიანდნენ პლეხანოვის «ედინსტვოსთან».

თქვენსავე თავს დააბრალეთ, ბატონებო!

თქვენს ისედაც უვარგის, დაჟანგულ «რკინის» ჯაჭვში ამჟამად არის არა ხის, არამედ თიხისა და ქაღალდის რამდენიმე რგოლიც კი.

თქვენსავე თავს დააბრალეთ!

ამხანაგო მუშებო და მუშა-ქალებო! ამხანაგო ჯარისკაცებო! ამხანაგო მშრომელებო! იცოდეთ, რომ, როცა ხმას აძლევთ ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბლოკს (კავშირს), თქვენ ხმას აძლევთ პლეხანოვის «ედინსტვოს»;

— თქვენ ხმას აძლევთ პლეხანოვის ამ სამარცხვინო «ედინსტვოს», რომელსაც მენშევიკებისა და «სოციალისტ-რევოლუციონერების» გაზეთებიც კი ზურგს აქცევენ;

— თქვენ ხმას აძლევთ პლეხანოვის სამარცხვინო «ედინ-სტვოს», რომელიც, კაპიტალისტების სასიხარულოდ, აშკარად ქადაგებს ომს გამარჯვებამდე;

— თქვენ ხმას აძლევთ პლეხანოვის იმ სამარცხვინო «ედინსტვოს», რომელიც ყოველდღიურად ამართლებს რუსეთის კაპიტალისტებს და მთელ დანაშაულს თავს ახვევს მხოლოდ მარტოოდენ გერმანიის კაპიტალისტებს, ფეხქვეშ თელავს რა ყველა ქვეყნის მუშების ძმურ კავშირს ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისინი კი, ვისაც სურს მხარი დაუჭიროს მშრომელებს, ვინც წინააღმდეგია კაპიტალისტებისა, ვისაც სურს იბრძოლოს პურისთვის, ზავისთვის, თავისუფლებისთვის,

— დაე ნურც ერთ ხმას ნუ მისცემენ იმ ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბლოკს (კავშირს), რომელნიც თავიანთ სიებში დამპალ «ედინსტვოს» მალავენ!

ხმა მიეცით მხოლოდ სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკებისა და ინტერნაციონალისტების სიებს!

«პრავდა» № 67,
1917 წ. 9 ივნისი (27 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

უნდა ვამხილოთ კაპიტალისტები

ვ. ბაზაროვი, რომლის შესახებ ვერავინ იტყვის ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის საკითხს არ იცნობსო, 24 მაისს «ნოვაია ჟიზნში» წერდა:

«ომმა და მის მიერ გამოწვეულმა ეკონომიურმა და ფინანსურმა რღვევამ ისეთი მდგომარეობა შექმნა, როცა კერძო მეწარმის კერძო ინტერესი მიმართულია არა ქვეყნის საწარმოო ძალების განმტკიცებისა და განვითარებისაკენ, არამედ ამ ძალების დარღვევისაკენ. ამჟამად — ფასების აწევის მოლოდინში — უფრო ხელსაყრელია კაპიტალის შემადგენელი მატერიალური ნაწილების უმოქმედოდ დატოვება, ვიდრე საქმეში მათი დაბანდება; უფრო ხელსაყრელია ქვეყნისათვის დიდად საზარალო პირობებში სამხედრო მომარაგების სრულიად გამოუსადეგარი საგნები აკეთო, ვიდრე სინდისიერად დააკმაყოფილო ხალხის მასების საარსებო მოთხოვნილებები; და ყველაზე უფრო ხელსაყრელია აშენო თავდაცვის ახალი ქარხნები, რომლებიც არასოდეს გამოყენებული არ იქნება, რომლებიც მხოლოდ 2 — 3 წლის შემდეგ შეძლებენ დაიწყონ მუშაობა. განა გასაკვირია, რომ ეგრეთწოდებული «სახალხო მეურნეობა» ჩვენში გადაიქცა ძარცვა-გლეჯის, სამრეწველო ანარქიის, ნაციონალური სიმდიდრის სისტემატური დატაცების აღვირახსნილ ბაკქანალიად?..

...რის გულისთვის უნდა თქვას უარი ნაკლებად შეგნებულმა და თუნდაც სავსებით შეგნებულმა მუშამ «მეტისმეტ» მოთხოვნაზე — 3 — 4 მანეთის მომატებაზე, როცა მის თვალწინ ასეულ მილიონებს იტაცებენ და ანიავებენ?»

ვერც ერთი კეთილსინდისიერი ადამიანი ვერ გაბედავს იმის უარყოფას, რომ ვ. ბაზაროვი სრულ სიმართლეს ამბობს.

«ძ ა რ ც ვ ა-გ ლ ე ჯ ი ს ბ ა კ ქ ა ნ ა ლ ი ა» — სხვა სიტყვა არ არსებობს კაპიტალისტების საქციელის გამოსახატავად ომის დროს.

ამ ბაკქანალიას დაღუპვამდე მიპყავს მთელი ჩვენი ქვეყანა. შეუძლებელია გაჩუმება. შეუძლებელია მოთმენა.

დაე ყოველმა მუშამ, რომელმაც იცის, რომელსაც ესმის, რა ხდება ამ მხრივ «მის» ფაბრიკაში; დაე ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო დაწესებულების ყოველმა მოსამსახურემ, ვინც გულგრილად არ უყურებს ქვეყნის დაღუპვას; დაე ყოველმა ინჟინერმა, სტატისტიკოსმა, ბუხჰალტერმა დაძაბოს მთელი ძალონე, რათა შ ე კ რ ი ბ ო ს, თუნდაც ნაწილ-ნაწილ, ზუსტი — შეძლებისდაგვარად დოკუმენტური — მონაცემები ძარცვაგლეჯის ამ ბაკქანალიის, ესე იგი ფ ა ს ე ბ ი ს ა დ ა მ ო გ ე ბ ი ს შესახებ.

შეუძლებელია გაჩუმება. შეუძლებელია მოთმენა. მართლაცდა, ბავშვები ხომ არა ვართ, რომ მიგვაძინონ თითქმის-სოციალისტი მინისტრების დაპირებებით, ანდა მოხელეების კომისიებით, განყოფილებებით და ქვეგანყოფილებებით.

რუსეთის მთავრობა რომ კაპიტალისტების ტყვე არ იყოს, ეს მთავრობა რომ ისეთი ადამიანებისაგან შედგებოდეს, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ კიდევაც გაბედულად იმოქმედონ, იმოქმედონ დაღუპვისაგან ქვეყნის გადასარჩენად, იგი ახლავე, ერთ დღესაც, ერთ საათსაც არ დააყოვნებდა და ახლავე გამოსცემდა კანონს სამხედრო მიწოდებათა ყ ვ ე ლ ა ფასის, მ ო გ ე ბ ი ს ყ ვ ე ლ ა მონაცემების გამოქვეყნების შესახებ.

ილაყბო მომავალ კრახზე, დაღუპვისაგან ქვეყნის გადარჩენაზე და საქმით კი ეს ა რ გ ა ა კ ე თ ო, — ნიშნავს ხალხის მასების მომტყუებლის დონემდე დაეცე, ანდა თვითონ გახდე შატყუარათა სათამაშო ნივთი.

ლოდინი იმისა, რომ კაპიტალისტების მთავრობა, ბბ. ლვოვი, ტერეშჩენკო, შინგარიოვი და კომპანია, მათი უძლური და სათამაშო «დამატება» — ჩერნოვი, წერეთელი, პეშეხონოვი და სკობელევი გამოსცემენ ასეთ კანონს და ამხელენ კაპიტალისტებს, ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა. ამის ლოდინი შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც შეპყრობილია «ტვინის მინისტერიალისტური შეთხელების» სენით.

მით უფრო ენერგიულად უნდა მოვუწოდოთ კერძო ინიციატივის გამოჩენისაკენ. ამხანაგებო და მოქალაქენო! ყველამ, ვისაც საქმით სურს დაეხმაროს ქვეყნის ხსნას შიმშილისაგან, ახლავე შეკრიბოს და გამოაქვეყნოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა მონაცემი ფასებისა და მოგების შესახებ.

კაპიტალისტების მხილება არის პირველი ნაბიჯი კაპიტალისტების ასალაგმავად.

ძარცვა-გლეჯის ბაკქანალიის მხილება პირველი ნაბიჯის გადადგმაა მტაცებლებთან საბრძოლველად.

«პრავდა» № 67,
1917 წ. 9 ივნისი (27 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მოსსენებები ნგრევის შესახებ

კატასტროფის მოახლოება თანადროულობის უმთავრესი და ძირითადი საკითხია. საჭიროა რაც შეიძლება უფრო ზუსტი მონაცემები შეიკრიბოს მის შესახებ. აი უაღრესად საგულისხმო ციტატები ჩვენი მოწინააღმდეგეების, გაერთიანებული ნაროდნიკებისა და მენშევიკების გაზეთიდან (პეტროგრადის საბჭოს «იზვესტია», № 70, 19 მაისი).

«ახლოვდება მასობრივი უმუშევრობის უბედურება. გაერთიანებულ მეწარმეთა წინააღმდეგობა მუშების მოთხოვნების მიმართ იზრდება. მეწარმეები მიმართავენ თავისებურ იტალიურ გაფიცვას და ფარულ ლოკაუტებს».

და შემდეგ:

«...კაპიტალისტები არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დაეხმარონ სახელმწიფოს თავი დააღწიოს ეკონომიურ სიძნელეებს...

...ებღაუჭებიან რა თავგამოდებით თავიანთ მოგებას, სწორედ კაპიტალისტები არიან ნამდვილი დეზორგანიზატორები და კონტრრევოლუციონერები. მაგრამ რევოლუციას არ სურს დაიღუპოს და არც უნდა დაიღუპოს. თუ კაპიტალისტები ნებაყოფლობით არ ეხმარებიან რევოლუციას, რევოლუციამ თვითონ უნდა შეახოს მათ ხელი».

ამაზე უფრო მჭევრმეტყველურად ლაპარაკი ძნელია, არა? მაშასადამე, მდგომარეობა მართლაც მეტად კრიზისულია. «რევოლუციამ ხელი» უნდა «შეახოს კაპიტალისტებს» — რ ო მ ე ლ მ ა რევოლუციამ? რ ო მ ე ლ ი კლასის რევოლუციამ? რ ო გ ო რ შეახოს ხელი?

აი მომხსენებლების პასუხი აღმასრულებელი კომიტეტის 16 მაისის სხდომაზე:

«მთელმა რიგმა მომხსენებლებმა გაარკვიეს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საერთო ნგრევის მძიმე სურათი... ბურჟუაზიული პრესა... დუმს უბედურების ნამდვილ მიზეზებზე: ომსა და ბურჟუაზიის ანგარებიან საქციელზე».

მინისტერიალისტ-მენშევიკის ჩერევანინის მოხსენებიდან:

«ეკონომიური ნგრევა, რომელსაც ამჟამად განვიცდით, იმდენად სერიოზულია, რომ ცალკეული პალიატივებით, მთელი რიგი ცალკეული კონკრეტული ღონისძიებებით, საქმეს ვერ ვუშველით. საჭიროა საერთო გეგმა, საჭიროა სახელმწიფოს მიერ მთელი ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება...

ჩვენი გეგმის კონკრეტულად განხორციელებისათვის საჭიროა სამინისტროსთან შეიქმნას სპეციალური ეკონომიური საბჭო».

აქლემი დააწვინა და რწყილი აშობინაო. ნაცვლად «რევოლუციისა, რომელმაც ხელი უნდა შეახოს კაპიტალისტებს», იძლევიან წმინდა ბიუროკრატიულ რეცეპტს.

ავილოვის მოხსენებიდან:

«თანამედროვე სამეურნეო ნგრევის ძირითადი მიზეზი — მრეწველობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების ნაკლებობაა...

...მუშების მდგომარეობა მზარდი სიძვირის პირობებში ბევრი კატეგორიისთვის ქრონიკულ შიმშილობას უდრის...

...მეწარმეები, რომლებიც უდიდეს მოგებას იხვეჭენ, არაფერს უთმობენ მუშებს, თუ იმავე დროს მათი პროდუქტების ფასი არ მატულობს...

...შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს საქონლის ფასების ნორმირება. მაგრამ ასეთი ნორმირება პრაქტიკულად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუ პროდუქტის მთელი განაწილება საზოგადოებრივი ხელისუფლების მითითებით ხდება.

ნორმირებული ფასების მიხედვით ასეთი იძულებითი განაწილების დროს საჭიროა დაწესდეს კონტროლი წარმოების მიმართაც, თორემ წარმოება შეიძლება შემცირდეს ან სრულიადაც შეჩერდეს...

...ამასთან საჭირო გახდება სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებაროს ის წყაროებიც, რომელნიც მრეწველობას ასაზრდოებენ საბრუნავი და ძირითადი თანხებით — საკრედიტო დაწესებულებები».

ამხ. ავილოვს თითქოს დაავიწყდა, რომ «სახელმწიფო» ის მანქანაა, რომელსაც სხვადასხვა მხარეს ეწევიან მუშათა კლასი

და კაპიტალისტები. რომელ კლასს შეუძლია ამჟამად სახელმწიფო ხელისუფლება შექმნას?

ბაზაროვის მოხსენებიდან:

«მტკიცე ფასებს ფაქტიურად გვერდს უვლიან; სახელმწიფო მონოპოლიები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ; ქვანახშირითა და ლითონით ქარხნების მოწესრიგებულმა მომარაგებამ არათუ იმის საშუალება არ მოგვცა, რომ წარმოება წარგვემართა სახელმწიფოს სასარგებლოდ, არამედ ისიც კი ვერ შეძლო, რომ ბაზარზე გამეფებული ანარქია დაეძლია, ვერ შეძლო მოესპო დალალ-გადამყიდველთა თავაშვებული სპეკულაცია.

აუცილებელია მრეწველობის იძულებითი სახელმწიფოებრივი ტრესტიფიკაცია.

მხოლოდ საწარმოთა ადმინისტრაციისა და კაპიტალისტების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურში გაწვევის შემდეგ შეიძლება მივიღოთ ნამდვილი ზომები იმ ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მრეწველებს შეგნებულად შეაქვთ წარმოებაში».

კაპიტალისტების (რომლებსაც შეგნებულად შეაქვთ ანარქია) სახელმწიფომ სავალდებულო სახელმწიფო სამსახურში უნდა გაიწვიოს კაპიტალისტები — ეს კლასობრივი ბრძოლის დავიწყებას უდრის.

გ. ვ. შუბას მოხსენებიდან:

«მიუხედავად იმისა, რომ ორი თვეა განუწყვეტლივ მოვითხოვთ, საერთო საკითხი, სახალხო მეურნეობისა და შრომის ორგანიზაციის საკითხი ადგილიდან არ იძვრის. ამის შედეგია ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა. ამჟამად ძდგომარეობა ასეთია: მთელი რიგი ზომების, კანონების გატარება, თუმცა ბრძოლით, მაინც შევძელით, უკვე გვაქვს პურის მონოპოლიის კანონი... მაგრამ ყოველივე ეს ქაღალდზე რჩება...

...ჩვენ მივაღწიეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუნიციპალიზაციის საკითხის პრინციპულ გადაჭრას. მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი გახდა, რადგან მანქანები არ არის ან თითქმის არ არის. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები კი ამზადებენ სრულიად უმნიშვნელო საგნებს ჯარისათვის. მაგრამ გარდა იმისა, რომ უნდა მოწესრიგდეს ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება, საჭიროა, ბოლოს, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აღმასრულებელი აპარატის დამსხვრევა და გარდაქმნა»...

აი ეს კი ახლოსაა საქმესთან, ახლოსაა არსთან! «სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აღმასრულებელი აპარატის დამსხვრევა და გარდაქმნა» — აი ეს სიმართლეა. მაგრამ განა

ცხადი არ არის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის საკითხი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კლასის საკითხისა, რომლის ხელშიცაა ძალაუფლება?

კუკოვეცკის მოხსენებიდან:

«ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა საშინლად აწეწილია. ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივექანებით ფინანსური გაკოტრებისაკენ...

წინდა ფინანსური ღონისძიებები საქმეს ვერ უშველის...

უნდა მივიღოთ ზომები სესხის იძულებით გასანაწილებლად და თუ ეს სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, მაშინ იძულებითს სესხზე უნდა გადავიდეთ.

მეორე ღონისძიებაა — მრეწველობის სავალდებულო მოწესრიგება, პროდუქტებზე მტკიცე ფასების დაწესება».

«იძულება» — კარგი რამაა, მაგრამ მთელი საკითხი იმაშია, თუ რომელმა კლასმა უნდა აიძულოს და რომელი კლასი უნდა იქნეს იძულებული?

გრომანის მოხსენებიდან:

«ყოველივე ის, რაც ამჟამად ყველა ქვეყანაში ხდება, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სახალხო მეურნეობის ორგანიზმის მოშლის პროცესი. მას ყველგან უპირისპირებენ მაორგანიზებელ საწყისს. სახელმწიფო ყველგან შეუდგა მეურნეობისა და შრომის ორგანიზაციას...

არც მთავრობას და არც ქვეყანას დღემდე არ გააჩნია ისეთი ცენტრი, რომელიც მოაწესრიგებდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, არ გააჩნია, ასე ვთქვათ, ეკონომიური ტვინი. იგი აუცილებლად უნდა შეექმნათ... უნდა შეიქმნას ძლიერი აღმასრულებელი ორგანო. უნდა შეექმნათ ეკონომიური საბჭო»...

ახალი ბიუროკრატიული დაწესებულება — აი გრომანის აზრი! სამწუხაროა.

ყველა აღიარებს, რომ გაუგონარი კატასტროფა გარდუვალია. მაგრამ უმთავრესი კი არ ესმით: ქვეყნის ხსნა ამ კატასტროფისაგან შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ კლასს.

«პრავდა» № 67,
1917 წ. 9 ივნისი (27 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

«ხელის ოინები» და პოლიტიკური უპრინციპობის ოინები

გამოთქმა «ხელის ოინები» ამოღებულია «დელო ნაროდას» დღევანდელი მოწინავიდან. «სოციალისტ-რევოლუციონერების» გაზეთი, რომელშიც მონაწილეობენ კერენსკი და ჩერნოვი, ამხილებს რა «ბურჟუაზიის მიერ მოშინაურებული სოციალიზმის» ფ რ ა ნ გ წარმომადგენლებს, წერს:

...«ეს ძველი, ძველისძველი ხელის ოინებია, ჩვენში ამით მრავალჯერ და უშედეგოდ თავს ირთობს გ. პლეხანოვი, მაგრამ შეცდომაში ვერავინ შეიყვანა»...

განა მარტო პლეხანოვი, პატივცემულნო?

არჩევნებში თქვენ ხომ პლეხანოვის სწორედ ამ «ედინსტვოსთან» ბლოკში გამოდიხართ, თქვენ ხომ მას მიათრევთ, მას შველით!!

აკი თქვენსავე გაზეთში წერდა (9 მაისს, № 44) ს. მსტისლავსკი პლეხანოვის შესახებ:

«როდესაც ასეთივე კონტრრევოლუციურ გამოხდომებში» (როგორიცაა «რუსსკაია ვოლიას» და «ნოვოე ვრემიას» გამოხდომები) «მონაწილეობას იღებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გუშინდელი იდეური ბელადი, ასეთ ფაქტს დიდი სინანულით, გულწრფელი მწუხარებით აღვნიშნავთ, რადგან, ჭეშმარიტად, არ ვფიქრობდით, თუ ინტერნაციონალის გახრწნა ასე შორს იყო წასული».

...და გახრწნა სოციალისტ-რევოლუციონერებისაც, რომლებიც ამ «ედინსტვოსთან» ბლოკში მიდიან!

ხოლო «დელო ნაროდას» 48-ე ნომრის (13 მაისის) ხელმოუწერელ, ე. ი. სარედაქციო, შენიშვნაში ვკითხულობთ:

«ედინსტვოს» პოლიტიკური ერთობა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან—საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია»...

უსმინეთ! უსმინეთ! «სოციალისტ-რევოლუციონერებს» და მენშევიკებს ერთობა აქვთ სწორედ იმ «ედინსტვოსთან», რომლის პოლიტიკური ერთობა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ნუ დაივიწყებთ ამას, ამხანაგო მუშებო და მუშა-ქალებო, ამხანაგო ჯარისკაცებო!

მენშევიკური «რაბოჩაია გაზეტა» 35-ე ნომრის სარედაქციო მოწინავეში 20 აპრილს წერდა:

«ჩვენ ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგი ვართ. «ედინსტვო» ინგლისის სოციალისტების წინააღმდეგია. მთელი განსხვავება ამაშია. აქ მარხია იმის მიზეზი, თუ რისთვის უნდა მსჯელობდეს «ედინსტვო» ჰოტენტოტურად... რუს მუშებს მშვენივრად ახსოვთ მეფის რეჟიმის დროს (ტექსტში ბეჭდვითი შეცდომაა: მეფურ-რესპუბლიკური რეჟიმის დროს) თუ როგორ ყოველნაირად ცდილობდა პლეხანოვი დაეჯერებინა ისინი ხელი აეღოთ ყოველგვარ გაფიცვაზე. მაშინ პლეხანოვიც გვაფრთხობდა კიდევ უფრო მეტი საშინელებით და გვარწმუნებდა, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ სამსახურს უწევს გერმანიის არმიის გენერალურ შტაბსო».

ხოლო იმავე გაზეთის 57-ე ნომერში (16 მაისს) უზომიერესი მინისტერიალისტი ჩერევანინი წერდა:

«პლეხანოვი და მისი «ედინსტვო» ყოველ ღონეს ხმარობენ, რაც კი მათზეა დამოკიდებული, რომ თავდაცვის პრინციპს, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბით საკმაოდ გაუტეხა სახელი საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა სოციალისტების უმრავლესობამ, სახელი გაუტეხონ ჩვენშიაც».

აი როგორ აფასებენ «ედინსტვოს», აი როგორ ემიჯნებიან მას, აი როგორ თაკილობენ მას ნაროდნიკები და მენშევიკები!!.

და ამავე დროს არჩევნებში გამოდიან მათთან ბლოკში (კავშირში), — ხოლო პლეხანოვი ადგილებს ღებულობს იმ ადამიანებისაგან, რომლებიც მას საჯაროდ თათხავენ როგორც

«თვალთმაქცს», «ბურჟუაზიის მიერ მოშინაურებულს», «ჰოტენ-ტოტს», «სახელგატეხილს», «ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთობაში მყოფს».

რომელი მხარეა უარესი ამგვარ ბლოკში?

მუშებო და ჯარისკაცებო! არც ერთი ხმა ნაროდნიკების და მენშევიკების ბლოკს, რომელიც ხელს აფარებს და მიათრევს «ედინსტვოს», რომელსაც «ერთობა აქვს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან»!

დაწერილია 1917 წ. 25 მაისს (7 ივნისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 9 ივნისს (27 მაისს) გაზეთ «პრავდაში» № 67

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

შავები კადეტებს უჭერენ მხარს, მენშევიკები და ნაროდნიკები კადეტებთან ერთად არიან ერთ მთავრობაში

ვინ არ იცნობს გაზეთ «ნოვოე ვრემიას»? ვინ არ იცის, რომ მან მრავალი ათეული წლების განმავლობაში თავი «ისახელა» მეფის ხელისუფლების დაცვით, კაპიტალისტების დაცვით, ებრაელების დევნით, რევოლუციონერების დევნით?

ვინ არ იცის, რომ რაც კი რამ პატიოსანი იყო რუსეთში, მუდამ ზიზღითა და აღშფოთებით ზურგს აქცევდა «ნოვოე ვრემიას»? რომ ამ გაზეთს დღესაც, გადატრიალების შემდეგ, სრულიად არ შეუცვლია თავისი მიმართულება?

და აი — პირველი არჩევნებია თავისუფალ რუსეთში. არჩევნების პირველ დღეს «ნოვოე ვრემია» წერს: «ხმა მიეცით სახალხო თავისუფლების პარტიის სიას».

ფაქტი აშკარაა: ყველა მემამულე და კაპიტალისტი, მთელი ბნელი ძალები, ყველა, ვინც მეფის აღდგენას ცდილობს — კადეტებს უჭერს მხარს.

მენშევიკებმა და ნაროდნიკებმა კი თავიანთი 6 მინისტრი მძევლად მისცეს კადეტების 10 მინისტრს.

მენშევიკებმა და ნაროდნიკებმა კი თავი მოიტყუეს ფუჭი დაპირებებით, რომელთაგან არც ერთი არ შეუსრულებიათ. არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა ომის შესაწყვეტად, ანექსიებზე (დაპყრობებზე) ხელის ასაღებად *, იმ კაპიტალისტების

* საიდუმლო ხელშეკრულებების გამოსაქვეყნებლად, ყველა ხალხისთვის ზავის აშკარა, პატიოსანი, პირდაპირი წინადადების მისაცემად ზუსტი და გარკვეული პირობებით.

ასალაგმავად, რომლებიც უზომო მოგებას იხვეჭენ და რომ-ლებსაც ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიჰყავთ, არც ერთი ასეთი ნაბიჯი მთავრობას არ გადაუდგამს.

ომი ჭიანურდება, ნგრევა გვემუქრება, კაპიტალისტები ჯიბეს ისქელებენ, მენშევიკები და ნაროდნიკები კი მხოლოდ ლაპარაკობენ და იმუქრებიან, იმუქრებიან და ლაპარაკობენ... ციცუნია კატა კი (კაპიტალისტები) ყურს უგდებს და შეექ-ცევა.

მუშებო, ჯარისკაცებო და ყველა მშრო-მელნო! არც ერთი ხმა არც კადეტებს, არც მენშევიკებსა და ნაროდნიკებს!

ხმა მიეცით ბოლშევიკებს!

«პრავდა» № 68, 1917 წ.
10 ივნისი (28 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მენშევიკებისა და ნაროდნიკების სამარცხვინო ბლოკი «ედინსტვოსთან»

დღეს არჩევნების მეორე და უმთავრესი დღეა.

გარდა კადეტებისა თავიანთი კანდიდატებით ამომრჩევლებს ყველაზე უფრო თავს აბეზრებენ გაერთიანებული მენშევიკები და ნაროდნიკები.

მერე, რა პასუხი გაგვცეს «ედინსტვოსთან» მათი ბლოკის (კავშირის) აღმაშფოთებელ ფაქტზე ჩვენი მითითების გამო? ბედავენ თუ არა პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ დაიცვან ასეთი ბლოკი?

საქმეც ისაა, რომ ვ ე რ ბ ე დ ა ვ ე ნ.

«რაბოჩაია გაზეტა» პ ა ს უ ხ ა დ ჩვენი მითითებისა: უხამსობაა «ედინსტვოსთან» ბლოკის შეკვრაო, მიუთითებს... როგორა გგონიათ, ვისზე?.. პროვოკატორ მალინოვსკიზე და სათათბიროში ოხრანკის მიერ მის გათრევაზე!!

ასეთი ვითომდა-პოლემიკის უპატიოსნობას ჩვენ ცალკე შენიშვნაში აღვნიშნავთ *. მაგრამ ახლა საკითხი ეხება არა «რაბოჩაია გაზეტას» პატიოსნებას, არამედ მის ლ ო გ ი კ ას. როგორ, ბატონებო? თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ ჩვენი მითითება «თქვენს» «ედინსტვოზე» მოიგერიოთ «ჩვენს» პროვოკატორ მალინოვსკიზე მითითებით!! ეს რაღა გამოდის? გამოდის ის, რომ თქვენ «ედინსტვოს» და პროვოკატორს ერთ დონეზე აყენებთ!!

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 655 — 656. რ ე დ.

აი როგორ «დაიცვეს» «ედინსტვოსთან» ბლოკი «რაბოჩაია გაზეტას» მიხვედრილმა მწერლებმა, თქმა არ უნდა — ჭკვიანი ხალხია. როცა მათ უკიჟინებენ, თავისუფალ რუსეთში თქვენ გყავთ ისეთი სამარცხვინო კოლეგა, როგორიც არის პლეხანოვის «ედინსტვოო», ისინი უპასუხებენ: ბოლშევიკებს კი მეფის რუსეთში პროვოკატორი მალინოვსკი ჰყავდათ!! «რაბოჩაია გაზეტას» მხრივ ეს «ედინსტვოს» დაცვა კი არა, მარგალიტია.

«დელო ნაროდაც», შჩედრინის თქმისა არ იყოს, «დაუბაბუავდა» «ედინსტვოს». არჩევნების პირველ დღეს, 27 მაისს. კერენსკის, ჩერნოვისა და კომპანიის გაზეთის პირველ გვერდზე ვკითხულობთ მოწოდებას — ხმა მისცენ იმ სიებს, რომლებიც «ედინსტვოს» მიათრევენ.

ხოლო იმავე «დელო ნაროდას» იმავე ნომრის მეორე გვერდზე ვკითხულობთ «სოციალ-პატრიოტ» პლეხანოვისა და მისი «ედინსტვოს» არა მარტო გრძელ ლანძღვა-გინებას, არამედ შემდეგ «გესლიან ფრაზასაც»:

«ჩვენ სიამოვნებით ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს. თუ რას ფიქრობენ იტალიის მიერ (ალბანეთის) მიტაცების გამო სხვა ლიბერალ- და სოციალ-იმპერიალისტები: «რეჩი», «რუსსკაია ვოლია», «ედინსტვო»».

მარგალიტია, მაშ რა არის!

«სოციალისტ-რევოლუციონერები» ხალხს მოუწოდებენ ხმა მისცენ იმ სიებს, სადაც შეფარებული არიან «ედინსტვოს» კანდიდატები, რომელ «ედინსტვოსაც» თვითონ სოციალისტ-რევოლუციონერები, და ისიც არჩევნების დღეს, «სოციალ-იმპერიალისტურს», ე. ი. სიტყვით სოციალისტურს, «საქმით კი იმპერიალისტურს» უწოდებენ, რომელ «ედინსტვოსაც» «რეჩისა» და «რუსსკაია ვოლიას» გვერდში აყენებენ თვითონვე.

აი როგორ «დაიცვა» დღეს «ედინსტვო» ჭკვიანმა «რაბოჩაია გაზეტამ» ჭკვიან «დელო ნაროდასთან» ბლოკში!

პლეხანოვი კი მოწყალებას იღებს იმ ადამიანებისგან, რომლებიც «უნებლიეთ» მალინოვსკის ადარებენ მას, ან არჩევნე-

ბის დღეს პირდაპირ აცხადებენ მას «სოციალ-იმპერიალისტად».

აი რა ზნე-ჩვეულებებია ამ სამარცხვინო ბლოკში: მენშევიკები პლუს ნაროდნიკები, პლუს «ედინსტვო»...

მუშებო და ჯარისკაცებო! მშრომელებო! არც ერთი ხმა ნაროდნიკებსა და მენშევიკებს, რომლებიც «სოციალ-იმპერიალისტებს» მიათრევენ!

ხმა მიეცით ბოლშევიკებს!

«პრავდა» № 68, 1917 წ.
10 ივნისი (28 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კონტრრევოლუციის გადასვლა შეტევაზე

(«უხალხო იაკობინელები»)

კონტრრევოლუციამ იმდენად მოიკრიბა ძალები, რომ შეტევაზე გადადის. ნაროდნიკი და მენშევიკი მინისტრების დახმარებით კაპიტალისტები შეტევას აწყობენ თავისუფლებაზე.

დადგენილება მე-12 და მე-13 დივიზიის «45-ე, 46-ე, 47-ე და 52-ე პოლკების» დაშლის შესახებ, დადგენილება «წამქეზებელთა» (რა უცნაური სიტყვაა? ნუთუ ომში უფრო საყურადღებოა «წამქეზებლები», ვიდრე «ჩამდენნი»?) «პასუხისგებაში მიცემის» შესახებ, შემდეგ, ამასთან ერთად, ცნობა პრაპორშჩიკ კრუსერის დაპატიმრების შესახებ სკულიანში მიტინგზე წარმოთქმული სიტყვისათვის, დასასრულ, დროებითი მთავრობის გაუგონრად უხეში კილო კრონშტადტის მიმართ (განკარგულებები «უსიტყვოდ უნდა სრულდებოდესო»: განა შეიძლება ასე ელაპარაკო იმ მოქალაქეებს, რომელთაც ჯერ არაფერი ბრალდებათ? არც ერთი ურჩობა?), — ყველაფერი ეს, ერთად აღებული, კონტრრევოლუციურ კაპიტალისტთა ნიშნის მომგები დამცველის «რეჩის» შუშხუნათი გაშუქებული («მთავრობა, როგორც იქნა, ალაპარაკდა ხელისუფლების ენით»), — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ კონტრრევოლუცია შეტევაზე გადმოდის.

უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს ეს «შეტევა». ფრონტზე პასუხისგებაში აძლევენ «ურჩობის წამქეზებლებს» და «შლიან» ოთხ პოლკს (თუმცა დეპეშაში დასახელებული ორი

დივიზიის რვა პოლკიდან, პეტროგრადის საბჭოს «იზვესტიის» 76-ე ნომერში მოთავსებული იმავე დეპეშის სიტყვით, «მთელი შემადგენლობით გამოვიდა» მხოლოდ ერთი პოლკი ამ რვიდან, და კიდევ მხოლოდ ერთი გამოვიდა «თითქმის მთელი შემადგენლობით»). თუ თქვენ, ბატონო მმართველებო, ხალხს ატყობინებთ პოლკების დაშლის შესახებ, თუ თქვენ ეს სასარგებლოდ მიგაჩნიათ, თუ ამის შესახებ დეპეშებს აქვეყნებთ, რატომ ზუსტად და ცხადად, თუნდაც რამდენიმე სტრიქონით, არ აცხადებთ იმათი ურჩობის მოტივებს, ვისაც თქვენ პასუხისგებაში აძლევთ?

ორში ერთი, ბატონებო: ან იმოქმედეთ ჩუმად, თქვენ ხომ გყავთ სამხედრო ცენზორები, თავს ნუ შეიწუხებთ ხალხისათვის ცნობების მიწოდებით და მასაც ნუ შეაწუხებთ თქვენი ცნობებით.

ანდა, თუ თქვენ გადაწყვიტეთ ცნობების მიწოდება, მაშინ თქვით ბარემ, რაშია საქმე? როგორ, რისთვის, რის გულისათვის? კერძო თუ საერთო საკითხის გამო არ გემორჩილებიან ისინი, ვინც თქვენ პასუხისგებაში მიეცით?

გაურკვევლობა მავნებელია.

კრუსერის დაპატიმრების საქმე კი სავსებით აშკარაა: მიტინგზე წარმოთქმული სიტყვისათვის ადამიანის დაპატიმრება, განა ეს გონივრულია? განა ეს პირდაპირ თავგზის დაბნევას არ ნიშნავს? თქვენ ხომ, ბატონო კადეტებო და მემარჯვენეებო, სამინისტროში ნაროდნიკებთან და მენშევიკებთან გაერთიანებულნო, თქვენ ხომ ყოველდღიური გაზეთების ათჯერ, თუ ასჯერ არა, მეტი ეგზემპლარი გაქვთ, ვიდრე თქვენს მოწინააღმდეგეებს!! და აგიტაციის მთავარი იარაღის ასეთი სიჭარბის დროს საპყრობილეში უნდა ჩასვათ კაცი «მიტინგზე წარმოთქმული სიტყვისათვის»!! ნუთუ, ბატონებო, შიშისაგან ჭკუაზე შეიშალეთ?

ჩვენ რევოლუციური ძალადობის წინააღმდეგი არა ვართ, თუკი ამას ხალხის უმრავლესობის ინტერესები მოითხოვს.

როცა პლეხანოვმა ამ დღეებში როგორღაც გაიხსენა 1793 წლის იაკობინელები და მათი პირდაპირი განცხა-

დება: «ხალხის მტრები ესენი და ესენი არიანო», ჩვენ ამის გამო გავიფიქრეთ:

არც ერთმა პარტიამ უარი არ უნდა თქვას 1793 წლის იაკობინელების მიბაძვაზე ამ, პლეხანოვის მიერ არჩეულ, პუნქტში.

საკითხი მხოლოდ ისაა, რომ «იაკობინელებიც» არიან და «იაკობინელებიც». ფრანგული ნაკვესი, რომელსაც ხშირად იგონებდა ხოლმე პლეხანოვი ოციოდე წლის წინათ, როცა ის ჯერ კიდევ სოციალისტი იყო, სასაცილოდ იგდებს «უხალხო იაკობინელებს» (jacobins moins le peuple).

ნამდვილი იაკობინელების, 1793 წლის იაკობინელების, ისტორიული სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი იყვნენ «იაკობინელები ხალხითურთ», ხალხის რევოლუციური უმრავლესობითურთ, თავისი დროის მოწინავე რევოლუციური კლასებითურთ.

სასაცილონი და უბადრუკნი არიან «უხალხო იაკობინელები», ისინი, ვისაც მხოლოდ თავი მოაქვთ იაკობინელებად, ისინი, ვისაც ეშინია აშკარად, პირდაპირ, ყველას გასაგონად გამოაცხადოს ხალხის მტრებად ექსპლოატატორები, ხალხის მჩაგვრელები, მონარქიის მსახურნი ყველა ქვეყანაში, მემამულეების მომხრეები ყველა ქვეყანაში.

თქვენ, ბბ. მილიუკოვებო და პლეხანოვებო, ისტორია შეგისწავლიათ და განა შეგიძლიათ უარყოთ, რომ 1793 წლის დიად იაკობინელებს არ ეშინოდათ ხალხის მტრებად გამოეცხადებინათ ხალხის სწორედ იმ დროის რეაქციული, ექსპლოატატორული უმცირესობის წარმომადგენლები? სწორედ იმ დროის რეაქციული კლასების წარმომადგენლები?

თქვენ, თანამედროვე მთავრობას, მის ხელისშემწყობთ, დამცველებსა და მსახურთ, განა შეგიძლიათ აშკარად, პირდაპირ, ოფიციალურად თქვათ, რომელ კლასებს თვლით «ხალხის მტრებად» მთელ მსოფლიოში?

აბა, საიდან შეძლებთ ამას! თქვენ ხომ უხალხო იაკობინელები ხართ? თქვენ მხოლოდ თავი მოგაქვთ იაკობინელებად.

თქვენ ბევრად უფრო ჰგავხართ მემამულეთა და კაპიტალისტთა ჩვეულებრივი რეაქციის ჩვეულებრივ წარმომადგენლებს.

მუშებო და ჯარისკაცებო! მშრომელებო! მემამულეთა და კაპიტალისტთა კონტრრევოლუცია შეტევაზე გადმოდის! არც ერთი ხმა მთავრობის არც ერთ პარტიას, მთავრობაში მონაწილე არც ერთ პარტიას!

ხმა მიეცით ბოლშევიკებს!

«პრავდა» № 68, 1917 წ.
10 ივნისი (28 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ერთი პრინციპული საკითხი

(დემოკრატიზმის «დავიწყებული სიტყვები»)

იმ სიცრუისა და ცილისწამების ბინძურმა ნიაღვარმა, რაც კაპიტალისტების გაზეთებმა თავზე გადაასხეს კრონშტადტელ ამხანაგებს, კიდევ და კიდევ ერთხელ გამოააშკარავა მთელი უპატიოსნობა ამ გაზეთებისა, რომლებიც სულ უბრალო და უმნიშვნელო შემთხვევას აზვიადებდნენ «სახელმწიფოებრივ» მოვლენად — რუსეთისგან «ჩამოშორებად» და სხვა და ასე შემდეგ.

პეტროგრადის საბჭოს «იზვესტიის» 74-ე ნომერი კრონშტადტის ამბების ლიკვიდაციის შესახებ იუწყება: როგორც მოსალოდნელი იყო, მინისტრებმა წერეთელმა და სკობელევმა ადვილად დაითანხმეს კრონშტადტელები კომპრომისულ რეზოლუციაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ იმედსა და რწმენას გამოვთქვამთ, რომ ეს კომპრომისული რეზოლუცია, თუ მას ო რ ი ვ ე მხარე ლოიალურად დაიცავს, საკმაოდ დიდი ხნით შექმნის რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს უკონფლიქტო მუშაობის შესაძლებლობას როგორც კრონშტადტში, ისე დანარჩენ რუსეთში.

კრონშტადტის ინციდენტს ჩვენთვის ორი მხრივ აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

ჯერ-ერთი, ამ ინციდენტმა გამოააშკარავა ჩვენ მიერ უკვე დიდი ხნის შემჩნეული და ჩვენი პარტიის რეზოლუციაში

(საბჭოების შესახებ) ოფიციალურად აღიარებული ფაქტი, რომ ადგილებზე რევოლუცია უფრო შორს წავიდა, ვიდრე პიტერში. არა მარტო კადეტებმა, არამედ ნაროდნიკებმაც მენშევიკებთან ერთად, აჰყვნენ რა ყველგან გამეფებულ რევოლუციურ ფრაზას, არ მოისურვეს — თუ ვერ შეძლეს — ჩაფიქრებოდნენ ამ ფაქტის მნიშვნელობას.

მეორეც, კრონშტადტის ინციდენტმა წამოაყენა ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრინციპული, საპროგრამო საკითხი, რომელსაც ვერც ერთი პატიოსანი დემოკრატი, სოციალისტზე რომ არაფერი ვთქვათ, გულგრილად გვერდს ვერ აუვლის. ეს არის საკითხი — აქვს თუ არა ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეულ თანამდებობის პირთა დამტკიცების უფლება?

მენშევიკები, რომელთა პარტიასაც ეკუთვნიან მინისტრები წერეთელი და სკობელევი, კვლავ აცხადებენ პრეტენზიას მარქსისტობაზე. წერეთელსა და სკობელევს გაჰყავდათ რეზოლუცია ამგვარი დამტკიცების შესახებ. ფიქრობდნენ თუ არა ამ დროს თავიანთ, როგორც მარქსისტების, მოვალეობაზე?

თუ მკითხველი ამ საკითხს გულუბრყვილობად მიიჩნევს და იტყვის, რომ ახლა მენშევიკები საქმით სავსებით წვრილბურჟუაზიული და ისიც ობორონცული (ე. ი. შოვინისტური) პარტია გახდნენო, რომ ამიტომ მარქსიზმზე ლაპარაკიც კი სასაცილოაო, ჩვენ ამაზე დავას არ დავიწყებთ. ჩვენ მხოლოდ ვიტყვით, რომ მარქსიზმი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობა საერთოდ დემოკრატიზმის საკითხებს, ხოლო მოქალაქე წერეთელსა და სკობელევს დემოკრატის სახელწოდებას ვერ წავართმევთ.

როცა ისინი ატარებდნენ ამ რეზოლუციას კრონშტადტის მოსახლეობის მიერ არჩეულ თანამდებობის პირთა დროებითი მთავრობის მიერ «დამტკიცების» შესახებ, ფიქრობდნენ თუ არა თავიანთ, როგორც დემოკრატების, მოვალეობაზე? თავიანთ, როგორც დემოკრატების, «სახელწოდებაზე»?

ცხადია, არ ფიქრობდნენ.

ასეთი დასკვნის დასასაბუთებლად მოვიყვანთ ისეთი მწერლის აზრს, რომელსაც, ალბათ, წერეთლისა და სკობელევის თვალშიც კი ჯერ კიდევ მთლად არ დაუკარგავს მეცნიერული და მარქსისტული ავტორიტეტი. ეს მწერალია ფრიდრიხ ენგელსი.

1891 წელს, როცა ენგელსი აკრიტიკებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის (ამჟამად ეგრეთწოდებული ერფურტის პროგრამის) პროექტს, ის წერდა, გერმანიის პროლეტარიატს მთლიანი და განუყოფელი რესპუბლიკა ესაჭიროებაო.

«მაგრამ არა ისეთი რესპუბლიკა, — დასძენდა ენგელსი,— როგორიცაა ახლანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა 1798 წელს დაარსებულ უიმპერატორო იმპერიას. 1792-დან 1798 წლამდე საფრანგეთის ყოველი დეპარტამენტი, ყოველი თემი, მსგავსად ამერიკისა, სრული თვითმმართველობით სარგებლობდა. სწორედ ეს უფლება უნდა მოვიპოვოთ ჩვენც» (ე. ი. გერმანიის სოციალ-დემოკრატებმაო). «თუ როგორ უნდა მოეწყოს თვითმმართველობა და როგორ შეიძლება მართვა უბიუროკრატიოდ, ეს დაგვიმტკიცა ამერიკამ და საფრანგეთის პირველმა რესპუბლიკამ; ამას ამტკიცებენ დღესაც ავსტრალია, კანადა და ინგლისის სხვა კოლონიები. და ამგვარი საოლქო და სათემო თვითმმართველობა გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე, მაგალითად, შვეიცარიის ფედერალიზმი, სადაც კანტონი მართლაც უაღრესად დამოუკიდებელია «ბუნდისაგან»» (ე. ი. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლებისაგან), «მაგრამ იმავე დროს დამოუკიდებელია აგრეთვე კანტონის უფრო წვრილი ერთეულების — მაზრისა (ბეცირკის) და თემის მიმართაც. საკანტონო მთავრობა ნიშნავს სამაზრო კომისრებს (შტატჰალტერებს) და პრეფექტებს. ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებში დანიშვნის ასეთ უფლებას სრულიად არ იცნობენ, და ჩვენც მომავალში ისევე ზრდილობიანად უნდა უარვყოთ ეს უფლება» (ზევიდან დანიშვნისა), «როგორც უნდა უარვყოთ

პრუსიელი ლანდრატები (სამაზრო პოლიციის უფროსები) და რეგირუნგსრატები» (გუბერნატორები ან კომისრები) [104].

ასე მსჯელობდა ფრიდრიხ ენგელსი დემოკრატიზმის საკითხებზე მოხელეების ზემოდან დანიშვნის უფლებასთან დაკავშირებით. და რომ უფრო მკვეთრად, უფრო პირდაპირ და ზუსტად გამოეთქვა თავისი აზრი, ის ურჩევდა გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ჩაემატებინათ პარტიის პროგრამაში შემდეგი მოთხოვნა:

«სრული თვითმმართველობა თემში, მაზრასა და ოლქში საყოველთაო ხმისმიცემით არჩეულ თანამდებობის პირთა მეშვეობით; გ ა დ ა ყ ე ნ ე ბ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ი ე რ დ ა ნ ი შ ნ უ ლ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ დ ა ს ა ო ლ ქ ო ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა».

ხაზგასმული სიტყვები მეტად გადაჭრით და გარკვევით არის ნათქვამი.

პატივცემულო მოქალაქე მინისტრებო, წერეთელო და სკობელევო! თქვენთვის, ალბათ, ძალიან საქებურია, რომ თქვენი სახელი ისტორიის სახელმძღვანელოებში შევა. მაგრამ საქებური იქნება თუ არა თქვენთვის, რომ ყოველი მარქსისტი — და ყოველი პატიოსანი დემოკრატი — იძულებული იქნება თქვას: მინისტრები წერეთელი და სკობელევი ეხმარებოდნენ რუსეთის კაპიტალისტებს რუსეთში ისეთი რესპუბლიკის შენებაში, რომ ეს არსებითად იყოს არა რესპუბლიკა, არამედ უ მ ო ნ ა რ ქ ო მ ო ნ ა რ ქ ი ა?

P. S. * ეს სტატია დაწერილია კრონშტადტის ინციდენტის უკანასკნელ ს ტ ა დ ი ა მ დ ე, რომლის შესახებაც დღევანდელი გაზეთები ლაპარაკობენ. კომპრომისული შეთანხმება კრონშტადტელებს ა რ დაურღვევიათ: ა რ ც ე რ თ ი ფ ა ქ ტ ი, რომელიც შორეულად მაინც ჰგავდეს შეთანხმების დარღვევას, ა რ ა ვ ი ს ა რ დაუსახელებია. «რეჩის» მიერ გაზეთების სტატიებზე მითითება — თავის დაძვრენაა, რადგან შეთანხმების დარღვევა შეიძლება არა სტატიებით, არამედ

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

მხოლოდ საქმით. ფაქტი ფაქტად რჩება: მინისტრები წერეთელი, სკობელევი და კომპანია მეასეჯერ და მეათასეჯერ არიან დაშინებული დამფრთხალი ბურჟუების ყვირილით და კრონშტადტელების მიმართ უხეშ მუქარაზე გადავიდნენ. უჭკუო, უაზრო მუქარაა, რაც მხოლოდ კონტრრევოლუციას უწევს სამსახურს.

დაწერილია 1917 წ. 25 მაისამდე (7 ივნისამდე)

დაიბეჭდა 1917 წ. 10 ივნისს (28 მაისს) გაზეთ «პრავდაში» № 68

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

უმწიკვლო, პრინციპული იარაღი არ მოეპოვებათ და ბინძურ იარაღს ჰკიდებენ ხელს

«რაბოჩაია გაზეტა», მენშევიკ-მინისტერიალისტების ორგანო, ცდილობს კბილი გაგვკრას იმით, რომ ოხრანკამ 1911 წელს დააპატიმრა ბოლშევიკი-შემარიგებელი რიკოვი, რათა «IV სათათბიროს არჩევნების წინ» (ამას ცალკე აღნიშნავს «რაბოჩაია გაზეტა») მოქმედების «თავისუფლება» მიენიჭებინა ჩვენი პარტიის ბოლშევიკებისთვისო.

მერე რას ამტკიცებს ეს ფაქტი? იმას, რომ ოხრანკა გზას უკაფავდა სახელმწიფო სათათბიროში მალინოვსკის გაყვანას, რომელიც პროვოკატორი აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ ოხრანკა ზრუნავდა თავის პროვოკატორებზე.

არის თუ არა ეს სასაყვედურო ჩვენი პარტიისათვის? არა, არ არის სასაყვედურო, როგორც პ ა ტ ი ო ს ა ნ ი ადამიანები არ უსაყვედურებენ ჩერნოვსა და კომპანიას, რომ მათ შეცდომით გაამართლეს აზეფი; არ უსაყვედურებენ იონოვს (ბუნდელს, «რაბოჩაია გაზეტას» კოლეგას) და კომპანიას იმისათვის, რომ მათ 1910 წელს, გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის სახელით, გაამართლეს პროვოკატორი ჟიტომირსკი («ოტკოვი»); არ უსაყვედურებენ იმ მენშევიკებს, რომლებიც განსაზღვრული დროის განმავლობაში ცდილობდნენ დაეცვათ 1904 წელს პროვოკატორი დობროსკოკოვი; არ უსაყვედურებენ იმ კადეტებს, რომელთა შორისაც იყვნენ ახლა გამომჟღავნებული პროვოკატორები.

პროვოკატორების გამოცნობის საქმეში შეცდომები გამოუკლებლივ ყველა პარტიას ჰქონდა. ეს ფაქტია. და თუ «რაბოჩაია გაზეტა», მინისტრ ჩერნოვთან ბლოკის შეკვრისას აღარ იხსენებს მის ძველ შეცდომებს და მხოლოდ თავის ახლანდელი მოწინააღმდეგეების შეცდომებზე ლაპარაკობს, ეს აშკარად უნამუსო, უსინდისო ფანდია. ჩვენთვის მოქნეული მახვილი თვით «რაბოჩაია გაზეტასვე» ხვდება: თვით «რაბოჩაია გაზეტა» ვერასოდეს ვერ გაბედავს აღიაროს ყველას გასაგონად, რომ პატიოსნებაა დუმილი აზეფზე და ფრაქციულ-მიკერძებითი «ყვირილი» ასეთივე პროვოკატორ მალინოვსკიზე.

«პრავდა» № 68, 1917 წ.
10 ივნისი (28 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომა

1917 წ. 30 მაისი (12 ივნისი)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში»
№ 3 (14)

42 ტ. 24

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

1

სიტყვა პეტერბურგის კომიტეტის ორგანოს საკითხზე

პეტერბურგის კომიტეტის სურვილი — ჰქონდეს საკუთარი ცალკე ორგანო, ცენტრალური კომიტეტისთვის ახალი ამბავი შეიქნა. გაუგებარია, რატომ წამოიჭრა ეს საკითხი სწორედ იმ დროს, როდესაც ეწყობა საკუთარი სტამბა, როდესაც გვარდება შეთანხმება მეჟრაიონელებთან პოპულარული ორგანოს გამოცემის საქმეში ამხ. ტროცკის ჩაბმის შესახებ.

დასავლეთ ევროპის დედაქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები გაყოფილი არ არიან. ასეთი გაყოფა ძალთა განიავებას იწვევს და მავნებელია. ცენტრალური ორგანოსაგან გამოცალკევებული პ. კ-ის ორგანოს არსებობა მიზანშეუწონელია. პეტერბურგი, როგორც ცალკე კუთხე, არ არსებობს. პეტერბურგი — მთელი რუსეთის გეოგრაფიული, პოლიტიკური, რევოლუციური ცენტრია. პეტერბურგის ცხოვრებას თვალყურს ადევნებს მთელი რუსეთი. პეტერბურგის ყოველი ნაბიჯი სახელმძღვანელო მაგალითია მთელი რუსეთისათვის. ამ დებულებიდან თუ გამოვალთ, პეტერბურგის კომიტეტის ცხოვრებას ადგილობრივ ცხოვრებად ვერ გავხდით.

რატომ არ უნდა მივიღოთ ცენტრალური კომიტეტის წინადადება პრესის კომისიის შექმნის შესახებ? დასავლეთის პრესის ისტორიაში, იქ, სადაც ასეთი კომისიები არსებობდა, რა თქმა უნდა, ყოფილა გაუგებრობანი ორგანოს რედაქციასა და კომისიას შორის, მაგრამ ეს გაუგებრობანი ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ორგანოს პრინციპულად წარმართვის ნიადაგზე. მერე რა პრინციპული პოლიტიკური მოტივები აქვთ კონფლიქტისთვის პეტერბურგის კომიტეტსა და ცენტრალურ

კომიტეტს? მიუხედავად იმისა, სურს ეს მას თუ არ სურს, პეტერბურგის კომიტეტის ორგანო ყოველთვის პარტიის ხელმძღვანელი ორგანო იქნება.

თავისი ცალკე ორგანოს შექმნის გამოცდილება მალე დაარწმუნებს პეტერბურგის კომიტეტს, რომ შეუძლებელია ადგილობრივი ცხოვრების ფარგლებში ჩაკეტვა. ცენტრალური კომიტეტი არ უარყოფს იმის აუცილებლობას, რომ პეტროგრადის ორგანიზაციის საჭიროებათათვის დიდი ადგილი გამოიყოს გაზეთებში. ცენტრალური კომიტეტი არ უარყოფს, რომ საჭიროა პოპულარული ორგანო ფართო მასებისათვის ჩვენი ლოზუნგების განსამარტებლად. მაგრამ პოპულარული გაზეთის დაყენება რთული საქმეა და დიდ გამოცდილებას მოითხოვს. ამიტომაც არის, რომ ცენტრალური კომიტეტი პოპულარული გაზეთის დაყენების საქმეში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ამხ. ტროცკის, რომელმაც შეძლო თავისი პოპულარული ორგანოს «რუსსკაია გაზეტას» დაყენება.

დასავლეთ ევროპის ისტორიაში პოპულარული ორგანოს საკითხი ისე მწვავედ არ მდგარა, როგორც ჩვენში. დასავლეთში მასების განათლების დონე მათში ლიბერალების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წყალობით უფრო თანაბრად იზრდებოდა. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩეხია და ბოჰემია, პოპულარული ორგანოები არსებობს. პოპულარული ორგანოს ამოცანაა — იმდენად აამაღლოს მკითხველი, რომ მისთვის გასაგები გახდეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანო. თუ ჩვენ არ შევქმნით პოპულარულ ორგანოს, მასას სხვა პარტიები დაეუფლებიან და მას სასპეკულაციოდ გამოიყენებენ. პოპულარული ორგანო თავისი ტიპით არ უნდა იყოს ადგილობრივი ხასიათისა, მაგრამ საფოსტო გზავნილების სიძნელის გამო იგი იძულებული იქნება უმთავრესად პეტერბურგს მოემსახუროს. ადგილობრივ საჭიროებათა წესიერი მომსახურების მისაღწევად პეტერბურგის კომიტეტმა უნდა გააფორმოს თავისთვის სასურველი ადგილი ამ ორგანოს რედაქციაში.

2

პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე შეტანილი რეზოლუციების პროექტები

პირველი რეზოლუცია

ცენტრალური კომიტეტი აარსებს პიტერში ორ გაზეთს: ცენტრალურ ორგანოს და პოპულარულს ერთი რედაქციით. პეტერბურგის კომიტეტს ეძლევა სათათბირო ხმა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და გადამწყვეტი ხმა — პოპულარულ ორგანოში. ორივე გაზეთში ცენტრალური კომიტეტი სვეტების განსაზღვრულ რაოდენობას უთმობს წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის ადგილობრივი ინტერესების მომსახურებას.

მეორე რეზოლუცია

პეტერბურგის კომიტეტი ადგენს მონაწილეობა მიიღოს ორივე გაზეთში, რომელთაც აარსებს ცენტრალური კომიტეტი, იმ პირობებით, რომელთაც ცენტრალური კომიტეტი აყენებს, — და ყოველგვარი ძალ-ღონე იხმაროს, რათა რაც შეიძლება სრულად და ფართოდ მოემსახუროს ადგილობრივი მუშაობის საჭიროებებს და უფრო დეტალურად დაამუშაოს საერთო-პარტიული ხაზი. რადგან არსებობს საფუძველი იმის შიშისა, რომ ცენტრალურ კომიტეტს ან მის მიერ დანიშნულ რედაქციას შეუძლია მეტისმეტად დაენდოს ამხანაგ-ინტერნაციონალისტებს, რომლებიც ბოლშევიზმს არ იზიარებენ, **რომ**

ცენტრალური კომიტეტი შეზღუდავს ადგილობრივი ამხანაგებ-ის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რომ ცენტრალური კომიტეტი არ მისცემს მათ ისეთი გავლენის საშუალებას, რო-გორიც ადგილობრივი მუშაობის ხელმძღვანელებს შეეფერე-ბათ, პეტერბურგის კომიტეტი ირჩევს კომისიას, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს პეტერბურგის კომიტეტის უფლებათა ზუსტი გარანტიები ორივე გაზეთის ადგილობრივ განყოფი-ლებაში.

ფრაზების მავნებლობის შესახებ

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების პასუხმა განსაკუთრებული სიცხადით დაადასტურა ჩვენი მრავალგზისი სამართლიანი მითითება იმაზე, რომ არც რუსეთის, არც საფრანგეთის, არც ინგლისისა და არც გერმანიის კაპიტალისტურ მთავრობას ანექსიებზე (დაპყრობებზე) უარის თქმა არ შეუძლია, რომ ყველა ასეთი დაპირება — ხალხთა უბრალო მოტყუებაა [105].

ჩვენ ვომობთ იმისთვის, რომ იარაღით ხელში ჩავიგდოთ ელზასი და ლორენი, ვომობთ იმისთვის, რომ გავიმარჯვოთო, — გვიპასუხეს ფრანგებმა. — კეთილინებეთ და შეასრულეთ ხელშეკრულება, იომეთ რუსეთისა და გერმანიის პოლონეთისათვისო, — გვიპასუხეს ინგლისელებმა.

კიდევ და კიდევ გამოაშკარავდა მწარე ჭეშმარიტება — ჭეშმარიტება, რომ კაპიტალიზმი და ანექსიების უარყოფა შეუერიგებელი რამაა. ცხადზე უცხადესია კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის «შემთანხმებელთა», შემარიგებელთა პოლიტიკის, მინისტერიალისტ ნაროდნიკებისა და მენშევიკების პოლიტიკის კრახი. გაცამტვერდა კოალიციურ მთავრობაზე დამყარებული მთელი მათი იმედი, გამოაშკარავდა მთელი მათი დაპირებები, როგორც ყოვლად ფუჭი სიტყვები.

და ახლა რევოლუციის საქმისათვის, მშრომელი მასების ინტერესებისათვის, ყველაზე უფრო მავნებელია ჭაპანწყვეტა იმისათვის, რომ ფრაზებით მიჩქმალონ საქმე. გამოისახა ფრა-

ზების ამ ნიაღვრის ორი ნაირსახეობა, და, ჭეშმარიტად, — «ორივე უარესია».

მინისტერიალისტ-მენშევიკების ორგანო, «რაბოჩაია გაზეტა», «კადეტების» საქმეს აკეთებს. ერთი მხრივ, «ასეთ ნიადაგზე» (შეთანხმების ორი სახელმწიფოს პასუხის ნიადაგზე) «რაიმე შეთანხმება ჩვენსა და მათ შორის შეუძლებელია»... «ჩვენს» შორის? — ე. ი. რუსეთის კაპიტალისტებს შორის? კლასობრივი ბრძოლის თეორია უკუგდებულია; უფრო ხელსაყრელია ფრაზიორობდე საერთოდ «დემოკრატიაზე» და იმავე დროს ფეხებით სთელავდე მარქსიზმის ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ სწორედ «დემოკრატიის» შიგნით უფსკრული კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის ყველაზე უფრო ღრმაა.

მეორე მხრივ, «რაბოჩაია გაზეტა» «ცდილობს გადასინჯოს» (შეთანხმება და ხელშეკრულებები) «მოკავშირე მთავრობების წარმომადგენელთა სპეციალურად მოწვეული კონფერენციის გზით». კიდევ და კიდევ: შემთანხმებლობა კაპიტალისტებთან, რაც საქმით ნიშნავს მუშების მოტყუებას მათ კლასობრივ მტრებთან მოლაპარაკებათა თამაშით.

«საფრანგეთისა და ინგლისის დემოკრატიის ფართო ფენების იერიში, თუნდაც მხოლოდ საფრანგეთისა და ინგლისის პროლეტარიატის იერიში თავიანთი მთავრობების წინააღმდეგო»... წერს «რაბოჩაია გაზეტა». რუსეთში მენშევიკები მხარს უჭერენ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობას, სხვა ქვეყნებში კი იერიშზე გადასვლას მოუწოდებენ... განა ეს, პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე, თაღლითური ფრაზიორობა არ არის?

«ჩვენ ვამზადებთ მას (ზავს საერთაშორისო მასშტაბით) საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევით»... იმ ყოფილი სოციალისტი მინისტრების მონაწილეობით, რომლებიც თავიანთი მთავრობების მხარეზე გადავიდნენ!! სწორედ რომ ჩინებული «მომზადებაა» ხალხის მოტყუებისა დიდი მასშტაბით მთელი რიგი უფრო მცირე მასშტაბის მოტყუებათა საშუალებით, თქმა არ უნდა.

«დელო ნაროდა» «იაკობინელივით» ფრაზიორობს. მრისხანე კილო, ეფექტიანი რევოლუციური წამოძახილები... «ჩვენ საკმაოდ ვიცით»... «რწმენა ჩვენი რევოლუციის» (რევოლუცია უთუოდ ასომთავრულით) «ძლევამოსილებისა», «რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის... ამა თუ იმ ნაბიჯზეა... დამოკიდებული ბედი... ასე ბედნიერად, ასე ძლევამოსილად დაწყებული მშრომელთა მ თ ე ლ ი აჯანყებისა (აჯანყება უთუოდ ასომთავრულით)...».

რა თქმა უნდა, თუ სიტყვებს: რევოლუციას და აჯანყებას ასომთავრულით დასწერთ, ეს «საშინლად» შემაძრწუნებელი გამოდის, სწორედ ისე, როგორც იაკობინელებს გამოუდიოდათ! იაფიცაა და მრისხანეც. ვინაიდან ამას წერენ ის ადამიანები, რომლებიც საქმით ხელს უწყობენ რევოლუციის ჩახრჩობას და აფერხებენ მშრომელთა აჯანყების ზრდას იმით, რომ მხარს უჭერენ რ უ ს ე თ ი ს იმპერიალისტების მთავრობას, მხარს უჭერენ საიდუმლო ხელშეკრულებების ხალხისაგან დამალვის მ ა თ ს ფანდებს, მემამულეთა მიწათმფლობელობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის გაჭიანურების მ ა თ ს ფანდებს, «შეტევის» სამხედრო პოლიტიკის მ ა თ ს ფანდებს, ადგილობრივი არჩევითი დაწესებულებების მ ა თ ს ხეპრულ დატუქსვას, მ ა თ ს პრეტენზიას — დანიშნონ ანდა დაამტკიცონ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული თანამდებობის პირნი და ასე დაუსრულებლივ.

ბატონო ფრაზის გმირებო! ბატონო რევოლუციური მრავალსიტყვაობის რაინდებო! სოციალიზმი მოითხოვს — კაპიტალისტების დემოკრატია გაარჩიოთ პროლეტარების დემოკრატიისაგან, ბურჟუაზიის რევოლუცია — პროლეტარიატის რევოლუციისაგან, მდიდრების აჯანყება მეფის წინააღმდეგ და მშრომელთა აჯანყება... მ დ ი დ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ... სოციალიზმი მოითხოვს გაარჩიოთ ჩვენში უკვე დამთავრებული რევოლუცია ბურჟუაზიისა (ახლა ბურჟუაზია კონტრრევოლუციურია) პროლეტარებისა და უღარიბესი გლეხების მზარდი რევოლუციისაგან. პირველი რევოლუცია მ ო მ ხ რ ე ა ომისა, მომხრეა მემამულეთა მიწათმფლობელობის

შენარჩუნებისა, მ ო მ ხ რ ე ა ცენტრისადმი ადგილობრივ თვითმმართველობათა «დამორჩილებისა», მ ო მ ხ რ ე ა საიდუმლო ხელშეკრულებებისა; მეორე რევოლუციამ დ ა ი წ ყ ო ომის ჩახშობა რევოლუციური დაძმობილებითაც, მემამულეთა ხელისუფლების ლიკვიდაციითაც ადგილებზე, საბჭოების რიცხვის გამრავლებითაც, მათი გაძლიერებითაც და არჩევითობის პრინციპის სრული განხორციელებითაც.

მინისტერიალისტი ნაროდნიკები და მენშევიკები ფრაზიორობენ «დემოკრატიაზე» საერთოდ, «რევოლუციაზე» საერთოდ, რათა ამით დ ა ფ ა რ ო ნ თავიანთი შეთანხმება საკუთარი ქვეყნის იმპერიალისტურ, საქმით უკვე კონტრრევოლუციურ, ბურჟუაზიასთან, შეთანხმება, რომელიც საქმით უკვე იქცევა ბრძოლად პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების რევოლუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

«პრავდა» № 69, 1917 წ.
13 ივნისი (31 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კაპიტალისტების მიერ ხალხის აბუჩად აგდება

23 მაისს დამთავრდა სამხრეთის სამთამადნო მრეწველობის კაპიტალისტებისა და მუშების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირი უშედეგოდ დამთავრდა. ბატონმა კაპიტალისტებმა მუშების ყველა მოთხოვნა მიუღებლად ცნეს. მუშათა დელეგაციამ, რომელიც თათბირში მონაწილეობდა, გამოაქვეყნა განცხადება, რომ იგი შესაძლებელ გართულებათა პასუხისმგებლობას თავიდან იხსნის.

ეს ცხადზე უცხადესია. კრიზისი ოდნავადაც არ არის აცილებული. მეწარმეები ოდნავადაც არ არიან ალაგმულნი.

სასაცილო იქნებოდა, სავალალო რომ არ იყოს, იმის წაკითხვა, რომ გადაწყვეტილია კვლავ დაინიშნოს კომისია მთავრობისა და მხარეების (!!) წარმომადგენლებისაგანო, რომ მეწარმეებმა ახლავე მოითხოვეს ფასების მომატებაო!!!

მკითხველებმა რომ უფრო თვალნათლივ წარმოიდგინონ, თუ სადამდე მიდიან ბატონი კაპიტალისტები ხალხის აბუჩად აგდებაში, მოვიყვანთ რამდენიმე ციტატს სამინისტროს ერთი გაზეთიდან (ე. ი. ისეთი პარტიის გაზეთიდან, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავს სამინისტროში):

«ჩამოსულმა (სამხრეთის სამთამადნო მრეწველობის) მუშათა დელეგაციამ გააცნო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ეკონომიურ განყოფილებას საქმის ნამდვილი მდგომარეობა და, ვსარგებლობთ რა ამ ცნობებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ციფრები,

რომლებიც მრეწველთა ნალაპარაკევიდან მოიყვანა ნ. ნ. კუტლერმა, «ერაგითარი ნდობის ღირსი არ არის.

...ქვანახშირის მრეწველნი რევოლუციამდე უზარმაზარ მოგებას იღებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რევოლუციის წინ ისინი მაინც ევაჭრებოდნენ ძველ მთავრობას ქვანახშირზე სარეკვიზიციო ფასების გადიდების შესახებ. ქვანახშირის მრეწველები 5 კაპიკის მომატებას მოითხოვდნენ, მზეეველობაში ჰქონდათ რა ის 3 კაპიკი, რომლის მიცემასაც ძველი მთავრობა თანხმდებოდა. რევოლუციის პირველ დღეებში კი მათ მოახერხეს რევოლუციური დროებითი მთავრობისაგან ერთბაშად 8 კაპიკის მიღება, და ეს მომატება გაავრცელეს რკინიგზების ძველ შეკვეთებზეც და იანვრიდან გატარებულ რეკვიზიციებზეც, შემდეგ კი კვლავ მოახერხეს 3 კაპ. მიღება, სულ 11 კაპ.

სარეკვიზიციო ფასი რევოლუციამდე იყო 18 კაპ., ახლა 29 კაპიკია. მთავრობასთან წინათ ხელშეკრულება იდებოდა ფუთზე 22 კაპიკის ანგარიშით, ახლა კი იდება 33 — 34 და უფრო მეტი კაპიკის ანგარიშით»...

განა ეს ხალხის გაუგონარი ა ბ უ ჩ ა დ ა გ დ ე ბ ა არ არის კაპიტალისტების მხრივ?

რევოლუციის გამო, კაპიტალისტის მთავრობა, რომელიც თავს «რევოლუციურს» უწოდებს და ატყუებს შეუგნებელ ხალხს ამ «დიდებული» სახელწოდებით, ახალ-ახალ მომატებას უბოძებს კაპიტალისტებს! ჯიბეში უდებს მათ ახალ-ახალ მილიონებს.

ქვეყანა დაღუპვის პირასაა მისული, 10 კაპიტალისტი, დროებითი მთავრობის წევრი, მფარველობს მეწარმეებს, რომლებიც ძარცვავენ ქვეყანას, ძარცვავენ ხალხს და მით უფრო და უფრო ა დ ი დ ე ბ ე ნ კაპიტალის ისედაც უზომო მოგებას.

«ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ტყვედა ჰყავს სამხრეთ რუსეთის სამთამადნო მრეწველთა ყრილობას და, იმ კატასტროფის წინაშე მდგომი, რომლისკენაც სამხრეთის მრეწველობა მიექანება, არათუ არავითარ ზომებს არ იღებს, რომ თავიდან აიცილოს იგი, არამედ თავის მოქმედებაში სისტემატურად ემორჩილება სამხრეთის მრეწველთა ზემოქმედებას».

ასე წერდა სამინისტროს იგივე გაზეთი, მენშევიკების ორგანო, «რაბოჩაია გაზეტა», 1917 წლის 14 მაისს, კოალიციური სამინისტროს შედგენის ერთი კვირის და უფრო მეტი ხნის შემდეგ.

და მას შემდეგ სრულიად არაფერი შეცვლილა.

სამინისტროს გაზეთი კი იძულებული იყო უფრო უარესი ფაქტებიც ეღიარებინა. მოუსმინეთ, მოუსმინეთ:

«...მრეწველები იტალიურ გაფიცვას აწარმოებენ. ისინი განზრახ არ იღებენ ზომებს. უნდა მოიძებნოს ტუმბო, მას არავინ ეძებს; საჭიროა ბადე ნათურებისათვის, ვერ შოულობენ. მრეწველებს არ სურთ წარმოების გადიდება. ამავე დროს მათ არ სურთ დახარჯონ ფული აუცილებელ რემონტზე, საწარმოთა გაცვეთილი მოწყობილობის აღდგენაზე. მანქანები დაძველდა, ამ მანქანებით მუშაობა მალე შეუძლებელი იქნება. მუშები ხშირად, როცა მათ ეუბნებიან — ამისა და ამის შოვნა არ შეიძლებაო, თვითონ მიდიან საჭირო იარაღების საყიდლად და შოულობენ კიდეც. მეწარმენი არავითარ ზომებს არ იღებენ დამზადებული პროდუქტების — ქვანახშირის, თუჯის გასატანად. ეს პროდუქტები ათეული და ასეული მილიონი ფუთობით ფუჭად ყრია, მაშინ როდესაც ქვეყანა საშინლად საჭიროებს მათ».

ასე წერდა სამინისტროს გაზეთი, მენშევიკების იმ პარტიის გაზეთი, რომელსაც ეკუთვნიან წერეთელი და სკობელევი.

ეს ხომ პირდაპირ ხალხის აბუჩად აგდებაა კაპიტალისტების მხრივ! ეს ხომ რაღაც საგიჟეთია: კაპიტალისტები პირშეთქმული არიან დროებითი მთავრობის (რომელშიც მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერებიც შედიან) ბურჟუაზიულ ნაწილთან; კაპიტალისტები აფერხებენ საქმეს, აფუჭებენ სამუშაოს, არ იღებენ ზომებს იმ პროდუქტების გამოსატანად, ურომლისოდაც ქვეყანა იღუპება!!

უქვანახშიროდ ჩერდებიან ფაბრიკები და რკინიგზები. იზრდება უმუშევრობა. იზრდება უსაქონლობა. გლეხებს არ შეუძლიათ პურის მუქთად მოცემა. გარდუვალად გვიახლოვდება შიმშილი.

და ყოველივე ამას სჩადიან კაპიტალისტები, რომლებიც პირშეთქმული არიან მთავრობასთან!!

და ყოველივე ამას ითმენენ ნაროდნიკები, სოციალ-რევოლუციონერები და მენშევიკები!! ისინი სიტყვებს სჯერდებიან, ისინი ჯერ კიდევ 14 მაისს წერდნენ კაპიტალისტე-

ბის ამ დანაშაულობაზე. დღეს 31 მაისია. ორ კვირაზე მეტი გავიდა. ყველაფერი ძველებურად რჩება. შიმშილი კი თანდათან გვიახლოვდება.

ხოლო კაპიტალისტების დანაშაულის დასაფარავად, ხალხის ყურადღების გასაფანტავად კაპიტალისტების ყველა გაზეთი: «რეჩი», «დენი», «ნოვოე ვრემია», «რუსსკაია ვოლია», «ბირჟევკა», «ედინსტვო» ყოველდღე რაც კი შეუძლიათ სიცრუისა და ცილისწამების წუმპეს ასხამენ «ბოლშევიკებს»... ბოლშევიკებია დამნაშავე იმაში, რომ ქვანახშირის მრეწველებმა და მთავრობამ პირი შეთქვეს, რომ მრეწველები აფუჭებენ და აჩერებენ წარმოებას!!

დიახ, ეს მართლაც საგიჟეთს დაემსგავსებოდა, კლასობრივი ბრძოლის თეორია, კლასობრივი ბრძოლის მსოფლიო გამოცდილება რომ არ გვეუბნებოდეს: მოგების დასაცავად კაპიტალისტები და მ ა თ ი მთავრობა (რომელსაც მხარს უჭერენ მენშევიკები) დანაშაულსაც არ ერიდებიან.

როდემდე გაგრძელდება ეს? ნუთუ საჭიროა, რომ კატასტროფა თავს დაგვატყდეს ყველგან, რომ ასობითა და ათასობით ადამიანი დაიხოცოს შიმშილით?

«პრავდა» № 69, 1917 წ.
13 ივნისი (31 მაისი)

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წერილი რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტებისადმი

პატივცემულო ამხანაგებო!

ამასთანავე გიგზავნით პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციას საკუთარი გაზეთის დაარსების შესახებ და ორ რეზოლუციას, რომლებიც მე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წარვუდგინე პეტერბურგის კომიტეტის სხდომას სამშაბათს, 30 მაისს *, მე გთხოვთ განიხილოთ ყველა ეს რეზოლუცია და რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით და დასაბუთებულად გამოთქვათ თქვენი აზრი.

იმ საკითხის გამო, ესაჭიროება თუ არა პეტერბურგის კომიტეტს პიტერში ცალკე გაზეთი, კონფლიქტი მწიფდება პეტერბურგის კომიტეტსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის. ფრიად მნიშვნელოვანი და უაღრესად სასურველია, რომ პიტერში ჩვენი პარტიის რაც შეიძლება მეტმა წევრმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ მოსალოდნელი კონფლიქტის განხილვაში და თავისი გადაწყვეტილებით დახმარება გაუწიოს პარტიას კონფლიქტის მოგვარებაში.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 661 — 662. რ ე დ.

პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელმა კომისიამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პიტერში პეტერბურგის კომიტეტის ცალკე ორგანოს შექმნას, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, რომ «პრავდის» მაგივრად, რომლის ზომა აშკარად არ არის საკმარისი, დაარსდეს ო რ ი გაზეთი: ყოფილი «პრავდა», პარტიის ცენტრალური ორგანო, და პატარა «ნაროდნაია პრავდა» (არც ერთი ამ გაზეთის სახელწოდება საბოლოოდ არ არის დადგენილი), როგორც პოპულარული ორგანო ფართო მასებისთვის. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ორივე გაზეთს უნდა ჰყავდეს ერთი რედაქცია და ორივე გაზეთის რედაქციაში უნდა შედიოდეს პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელი (ცენტრალურ ორგანოში — სათათბირო ხმით, ხოლო პოპულარულ ორგანოში — გადამწყვეტი ხმით). უნდა შეიქმნას «პრესის კომისია» (რაიონების იმ მუშებისაგან, რომლებსაც უაღრესად ახლო კავშირი აქვთ მასებთან), აგრეთვე ო რ ი ვ ე გაზეთში სვეტების განსაზღვრული რაოდენობა უნდა დაეთმოს ადგილობრივი მუშათა მოძრაობის წმინდა ადგილობრივ საჭიროებათა მომსახურებას.

ასეთია ცენტრალური კომიტეტის გეგმა.

პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიას ამის მაგივრად სურს ს ა კ უ თ ა რ ი გაზეთი, პეტერბურგის კომიტეტის ცალკე გაზეთი. აღმასრულებელმა კომისიამ ეს ერთხმად გადაწყვიტა.

პეტერბურგის კომიტეტის 30 მაისის სხდომაზე, ამხ. მ. ტომსკის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის, ჩემი სიტყვისა და კამათში მრავალი ამხანაგის მონაწილეობის შემდეგ, ხმები თანაბრად გაიყო: 14-მა მხარი დაუჭირა აღმასრულებელ კომისიას, 14 წინააღმდეგი იყო. ჩემი რეზოლუცია კი უარყოფილ იქნა 16 ხმით 12-ის წინააღმდეგ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ პეტერბურგის კომიტეტს ცალკე გაზეთი პრინციპულად არ ესაჭიროება, რადგან დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ შ ი, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ხელმძღვანელი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა იყოს პარტიის ე რ თ ი

ორგანო, სახელდობრ ცენტრალური ორგანო, და პოპულარული გაზეთი, შედგენილი განსაკუთრებით პოპულარულად იმავე რედაქციით.

პეტერბურგის კომიტეტის ცალკე ორგანო აუცილებლად გააძნელებს სრულ თანხმობას მუშაობაში, შესაძლოა, ხაზის განსხვავებაც (ან ხაზის ნაირსახეობაც) კი წარმოშვას, ეს კი — განსაკუთრებით რევოლუციურ დროს — ფრიად მავნებელია საქმისთვის.

რა საჭიროა ძალთა დაქსაქსვა?

ჩვენ ყველანი საშინლად გადატვირთული ვართ მუშაობით, ძალები ცოტა გვყავს; ჩვენი ლიტერატორები სულ უფრო და უფრო მეტად გადადიან ობორონცების მხარეზე. ასეთ პირობებში განა შესაწყნარებელია ძალთა დაქსაქსვა?

საჭიროა ძალთა შემჭიდროება და არა დაქსაქსვა.

შეიძლება განა არ ვენდოთ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ის წესიერად შეადგენს რედაქციას, ან ორივე გაზეთში საკმაო ადგილს დაუთმობს ადგილობრივი მუშაობის მომსახურებას ანდა არ «აწყენინებს» უმცირესობაში მყოფ პეტერბურგის კომიტეტის რედაქტორებს და სხვ.

ჩემი რეზოლუციის მეორე პროექტში მე განგებ ჩამოვთვალე მთელი რიგი ასეთი მოსაზრებები (რომლებიც მოვისმინე პეტერბურგის კომიტეტის 30 მაისის სხდომაზე), რათა აშკარად დამეყენებინა საკითხი პარტიის ყველა წევრის წინაშე, რათა იძულებული გამეხადა ისინი გულმოდგინედ აეწონ-დაეწონათ ორივე მოსაზრება და მიეღოთ პასუხსაგები გადაწყვეტილება.

თუ თქვენ, ამხანაგებო, საფუძვლიანი და სერიოზული საბუთი გაქვთ არ ენდოთ ცენტრალურ კომიტეტს, თქვით ეს პირდაპირ. ეს ჩვენი, დემოკრატიულად მოწყობილი, პარტიის ყოველი წევრის მოვალეობაა, და მაშინ ჩვენი პარტიის ც. კ-ის მოვალეობა იქნება ცალკე განიხილოს თქვენი უნდობლობის საკითხი, მოახსენოს მის შესახებ პარტიის ყრილობას, განსაკუთრებული მოლაპარაკება გამართოს ცენტრალური კომი-

ტეტისადმი ადგილობრივი ორგანიზაციის ამ სამწუხარო უნდობლობის მოსასპობად.

ხოლო თუ ასეთი უნდობლობა არ არის, მაშინ უსამართლო და უმართებულოა იმის დაჩემება, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ ჰქონდეს პარტიის ყრილობის მიერ მინიჭებული უფლება — უ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ს მ უ შ ა ო ბ ა ს საერთოდ პარტიაში და განსაკუთრებით დედაქალაქში.

იქნებ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი გადამეტებულ, გადაჭარბებულ მოთხოვნას აყენებს, როდესაც სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს პიტერის გაზეთებს? არა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მის საუკეთესო ხანაში, როდესაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში პარტიას ვილჰელმ ლიბკნეხტი ედგა სათავეში, იგი იყო პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორი. ცენტრალური ორგანო გამოდიოდა ბერლინში. ბერლინის ორგანიზაციას ა რ ა ს ო დ ე ს არ ჰქონია ცალკე გაზეთი ბერლინში. არსებობდა მუშებისაგან შემდგარი «პრესის კომისია», არსებობდა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა პარტიის ცენტრალურ ორგანოში. რატომ უნდა გადავუხვიოთ ჩვენი უცხოელი ამხანაგების ამ კარგ მაგალითს?

თუ თქვენ, ამხანაგებო, გსურთ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი გ ა რ ა ნ ტ ი ე ბ ი ცენტრალური კომიტეტისაგან, თუ თქვენ გსურთ შეცვალოთ ესა თუ ის მუხლი (ცენტრალური კომიტეტის გეგმაში ორი გაზეთის დაარსების შესახებ), ცენტრალური კომიტეტის სახელით გთხოვთ ზედმიწევნით განიხილოთ და გაგვაცნოთ ეს.

პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის გადაწყვეტილება პიტერში ცალკე გაზეთის შექმნის შესახებ მე მიმაჩნია მეტისმეტად უმართებულო, არასასურველ, ძალთა დამ.ქსაქსვილ გადაწყვეტილებად, რომელიც ჩვენს პარტიაში შემოიტანს მთელ რიგ საბაბს კონფლიქტებისათვის. ჩემი აზრით (ამ პუნქტშიც მე მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის აზრს გამოვთქვამ), სასურველია პიტერის ორგანიზაციამ მხარი დაუჭიროს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ერთხანს დაუცადოს ცენტრალური კომიტეტის გეგმის მიხედვით

შექმნილი ორი გაზეთის მუშაობის გამოცდილების შედეგებს და შემდეგ გამოიტანოს, თუ საჭირო იქნება, განსაკუთრებული გადაწყვეტილება ამ გამოცდილების შედეგების შესახებ.

ამხანაგური სოციალ-დემოკრატიული სალამით

1917 წლის 31 მაისი. ნ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 3 (14)

იბეჭდება საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

სიტყვა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა პეტროგრადის I კონფერენციაზე 1917 წ. 31 მაისს (13 ივნისს)

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხ. ავილოვის რეზოლუცია გამსჭვალულია კლასობრივი პოზიციის სრული მივიწყებით. თავის რეზოლუციაში ბ. ვ. ავილოვს თითქოს მიზნად დაუსახავს შეკრიბოს და თავი მოუყაროს ყველა იმ ნაკლს, რაც ახასიათებს წვრილბურჟუაზიული პარტიების ყველა რეზოლუციას.

თავისი რეზოლუციის დასაწყისში ავილოვი აღნიშნავს იმ დებულებას, რომელიც ამჟამად უდავოა ყოველი სოციალისტისათვის, რომ კაპიტალისტების მტაცებლურმა პარპაშმა რუსეთი მიიყვანა სრულ ეკონომიურ და სამრეწველო კრახამდე; მაგრამ შემდეგ იგი აყენებს ბუნდოვან ფორმულას, რომლის მიხედვითაც «სახელმწიფო ხელისუფლება» კონტროლს გაუწევს მრეწველობას დემოკრატიის ფართო ფენების მონაწილეობით.

ახლა ყველანი ბევრს ლაპარაკობენ კონტროლზე; ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც წინათ სიტყვა «კონტროლის» გაგონებაზე მზად იყვნენ ეყვირათ «გვიშველეთ», ახლა კონტროლს აუცილებელ რამედ აღიარებენ.

მაგრამ ამ ზოგადი სიტყვის — «კონტროლის» — საშუალებით სურთ ფაქტიურად იგი არარად აქციონ.

კოალიციურ მთავრობას, რომელშიც ახლა «სოციალისტებიც» შედიან, ჯერ არაფერი გაუკეთებია ამ კონტროლის განსახორციელებლად; ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ქარხნის კომიტეტები მოითხოვენ არა ქაღალდის, არამედ ნამდვილ მუშათა კონტროლს.

როდესაც ვარკვევთ «კონტროლის» ცნებას, აგრეთვე იმ საკითხს, თუ როდის და ვინ განახორციელებს ამ კონტროლს, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ თანამედროვე სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი, იმ სახელმწიფოსი, რომელიც მხოლოდ კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციას წარმოადგენს. ასეთივე კლასობრივი ანალიზი უნდა გამოვიყენოთ «რევოლუციური დემოკრატიის» ცნების მიმართაც. ამ ანალიზის დროს უნდა გამოვდიოდეთ საზოგადოებრივ ძალთა რეალური თანაფარდობიდან.

ავილოვის რეზოლუცია, რომელიც იწყება იმით, რომ ყველაფერს გვპირდება, ამთავრებს იმით, რომ არსებითად გვირჩევს ყველაფერი ძველებურად დავტოვოთ. მთელ მის რეზოლუციაში რევოლუციურობის ნასახიც კი არ არის.

რევოლუციურ ხანაში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ზუსტი ანალიზი გავუკეთოთ თვით სახელმწიფოს არსის საკითხს, თუ ვის ინტერესებს დაიცავს ის და როგორ უნდა ავაგოთ იგი, რომ მან ნამდვილად დაიცვას მშრომელთა ინტერესები. ეს კი სრულიად არ არის გარკვეული ავილოვის რეზოლუციაში.

რატომ მოხდა, რომ ჩვენს ახალ კოალიციურ მთავრობას, რომელშიც ახლა «სოციალისტებიც» შედიან, სამი თვის განმავლობაში არ განუხორციელებია კონტროლი და არათუ არ განუხორციელებია ის, არამედ სამხრეთ რუსეთის სამთამადნო მრეწველებსა და მუშებს შორის შექმნილ კონფლიქტში მთავრობამ აშკარად მხარი დაუჭირა კაპიტალისტებს.

მრეწველობის კონტროლი რომ ნამდვილად ხორციელდებოდეს, იგი უნდა იყოს მ უ შ ა თ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი, რომ ყველა პასუხსაგებ დაწესებულებაში უმრავლესობას მუშები უნდა შეადგენდეს და ადმინისტრაცია თავის მოქმედებაში

პასუხს უნდა აგებდეს მუშათა ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციების წინაშე.

მოითხოვეთ, ამხანაგო მუშებო, ნამდვილი კონტროლი და არა ფიქციური, და გადაჭრით უკუაგდეთ ყველა რეზოლუცია და წინადადება ამგვარი ფიქციური, ქაღალდის კონტროლის შესახებ.

«პრავდა» № 72,
1917 წ. 16 (3) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სამარცხვინო საქმის გამართლება

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებამ ცნობა გაუგზავნა ჰიუისმანსს, გაკოტრებული, «თავისი», ნაციონალური მთავრობების მხარეზე გადასული, მეორე ინტერნაციონალის ცნობილ მდივანს; ეს ცნობა დაიბეჭდა «იზვესტიის» 78-ე ნომერში.

ეს ცნობა ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთის ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბურჟუაზიულ და იმპერიალისტურ მთავრობაში შესვლა არ შეიძლება «შევადაროთ» სოციალიზმის დასავლეთევროპელ მოღალატეთა შესვლას «თავიანთ» მთავრობებშიო. «განყოფილების» დამამტკიცებელი საბუთები იმდენად სუსტი და უბადრუკია, იმდენად სასაცილო და უმწეოა, რომ საჭიროა ერთხელ კიდევ გამოვააშკარაოთ მთელი მათი უბადრუკობა.

საბუთი პირველი. სხვა ქვეყნებში მთავრობაში შესვლა «სულ სხვა პირობებში» მოხდაო. ტყუილია! განსხვავება, ერთი მხრივ, ინგლისსა, საფრანგეთსა, დანიასა, ბელგიასა, იტალიასა და სხვ. და, მეორე მხრივ, ახლანდელ რუსეთს შორის, «სრულიადაც» ა რ ა რ ი ს არსებითი, რადგან ყველამ, ვისაც სოციალიზმისათვის ა რ უღალატნია, იცის, რომ საქმის არსს ბურჟუაზიის კლასის ბ ა ტ ო ნ ო ბ ა შეადგენს. ა მ მხრივ ყველა დასახელებულ ქვეყანაში არა «სხვა», არამედ ერთნაირი პირობებია. ნაციონალური თავისებურებანი კი ბურჟუაზიის კლასის ბატონობის ძირითად საკითხში არაფერს არ ცვლის.

საბუთი მეორე. «ჩვენი» მინისტრები «რევოლუციური» მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენო. ეს ხალხის უაღრესად სამარცხვინო მოტყუებაა დიადი სიტყვით — «რევოლუცია», რომელსაც ნაროდნიკები და მენშევიკები იმიტომ იმოწმებენ, რომ დაფარონ თავიანთი ღალატი მისდამი. ვინაიდან ყველამ იცის, რომ 10 მინისტრი 16-დან ახლანდელ «რევოლუციურ» მთავრობაში ეკუთვნის მემამულეებისა და კაპიტალისტების პარტიებს, რომლებიც მხარს უჭერენ იმპერიალისტურ ომს, წინააღმდეგი არიან საიდუმლო ხელშეკრულებების გამოქვეყნებისა, რომ ეს პარტიები ამჟამად აწარმოებენ კ ო ნ ტ რ - რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ პოლიტიკას. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ დაამტკიცა პიტერის რაიონული თვითმმართველობების არჩევნებმა 27 — 29 მაისს, როცა ყ ვ ე ლ ა შავრაზმელი გაერთიანდა ჩვენი «რევოლუციური» მთავრობის უმრავლესობისთვის მ ხ ა რ დ ა ს ა ჭ ე რ ა დ.

საბუთი მესამე. «ჩვენები» შევიდნენ «გარკვეული მანდატით, რათა ხალხთა შეთანხმების გზით მიეღწიათ საყოველთაო ზავისათვის და არა იმისათვის, რომ გაეჭიანურებინათ იმპერიალისტური ომი იარაღის გზით ერთა განთავისუფლების გულისთვის». ჯერ-ერთი, ეს მანდატი სრულიადაც არ არის «გარკვეული», ვინაიდან იგი არც გარკვეულ პ რ ო გ რ ა მ ა ს ნიშნავს და არც გარკვეულ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს. ეს ცარიელი სიტყვებია. ეს იგივეა, რომ მუშათა კავშირის მდივანი გადავიდეს კაპიტალისტების კავშირის გამგეობის წევრად 10 000 მანეთიან ჯამაგირზე «გარკვეული მანდატით», რათა მიაღწიოს მუშათა კეთილდღეობას და არა იმას, რომ კაპიტალიზმის ბატონობა გაახანგრძლივოს. მეორეც, «ხალხთა შეთანხმებისაკენ» მიისწრაფვის ყ ვ ე ლ ა იმპერიალისტი, ვილჰელმიც, პუანკარეც და სხვ., ესეც ლიტონი ფრაზაა. მესამე, 1917 წლის 6 მაისის შემდეგ ომი რუსეთის მხრივ აშკარად «ჭიანურდება», სხვათა შორის, იმითაც, რომ დღემდე ჩვენს იმპერიალისტურ მთავრობას ზავის ზუსტი და გარკვეული პირობები, შეთანხმების პირობები არ გამოუქვეყნებია, არ წამოუყენებია.

საბუთი მეოთხე. «ჩვენების» მიზანია «არა კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტა, არამედ მისი განგრძობა პოლიტიკური ძალაუფლების იარაღის საშუალებით». ჩინებულია! ამრიგად, თუ საზიზღრობას კარგი მიზნით ანდა საზიზღრობაში «მონაწილეობის» კარგი «გამოსავალი წერტილით» დაფარავ, საქმე გაჩარხული ყოფილა!! თურმე ნუ იტყვით, მონაწილეობას ბურჟუაზიულ, იმპერიალისტურ მთავრობაში, რომელიც ს ა ქ მ ი თ იმპერიალისტურ ომს აწარმოებს, შეიძლება ვუწოდოთ «კლასობრივი ბრძოლის განგრძობა პოლიტიკური ძალაუფლების იარაღის საშუალებით». ეს პირდაპირ მარგალიტია. ჩვენ ვურჩევთ ყველას ყოველ მუშათა კრებაზე, ყოველ სახალხო კრებაზე «ვაშა» იძახონ ჩერნოვის, წერეთლის, პეშეხონოვის, სკობელევის საპატივცემულოდ, რომლებიც «კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ა ს» აწარმოებენ ტერეშჩენკოს, ლვოვისა და კომპანიის წინააღმდეგ.

საშინელ სიცილს დაგაყრიან, «განყოფილების» მოღვაწე ვაჟბატონებო, რომლებიც ასეთი საბუთებით იცავთ მინისტერიალიზმს. თუმცა, თქვენ ვერც ორიგინალობას დაიჩემებთ: სახელგანთქმულმა ვანდერველდემ, პლეხანოვის მეგობარმა (რომელსაც თქვენ ლანძღავთ, თუმცა საამისოდ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გაქვთ მას შემდეგ, რაც სამინისტროში შეხვედით), ვანდერველდემ უკვე დიდი ხანია თქვა, მეც «კლასობრივი ბრძოლის განსაგრძობად» შევედი სამინისტროშიო.

საბუთი მეხუთე. «ჩვენები» შევიდნენ მას შემდეგ, რაც «რევოლუციური მასების 20 — 21 აპრილის მოძრაობამ» ცარიზმი დაამხო და «რუსეთის პროლეტარიატის მტრები» (ე. ი. მილიუკოვი, გუჩკოვი) განდევნაო.

რაღა დააშავეს ფრანგებმა, რომ მათ თვითმპყრობელობა დაამხვეს არა 100 დღის, არამედ 122 წლის წინათ? ინგლისელებმა კი 260 წლის წინათ და უფრო ადრეც? ხოლო იტალიელებმა რამდენიმე ათეული წლის წინათ? 20-მა აპრილმა კი გააძევა მილიუკოვი, დასვა რა მის ადგილას ტერეშჩენკო, ე. ი. სრულიად არაფერი შეცვალა არც კლასთა ურთიერთო-

ბის, არც პარტიათა ურთიერთობის მხრივ. ახალი დაპირებები ახალი პოლიტიკა როდია.

მიტროპოლიტი რომ გააგდო და მის ადგილას პაპი დასვა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კლერიკალი აღარა ხარ.

საბუთი მეექვსე. რუსეთში «სრული თავისუფლებაა პროლეტარიატისა და ჯარისთვის». ტყუილია, სრული თავისუფლება არ არის. იგი უფრო სრულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ამიტომ მით უფრო სამარცხვინოა, როცა ამ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ნორჩ თავისუფლებას სვრით ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ მთავრობაში მონაწილეობის ბინძური საქმით.

სოციალიზმის რუსი მოღალატეები მხოლოდ იმდენად განირჩევიან ევროპელი მოღალატეებისაგან, რამდენადაც ნამუსის ამხდელი განირჩევა გამხრწნელისაგან.

საბუთი მეშვიდე. «გარდა ამისა რუსეთის პროლეტარიატს საშუალება აქვს სრული კონტროლი გაუწიოს თავის არჩეულებს».

ტყუილია. რუსეთში პარტიულობა იმდენად ნორჩია, მენშევიკებისა და ესერების დაშლა იმდენად აშკარაა (მარტოვის სანახევროდ გამოთიშვა, კამკოვის პროტესტები, მისი ბლოკი ჩვენთან არჩევნებში თავისი პარტიის წინააღმდეგ; მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების ბლოკი «ედინსტვოსთან», რომელსაც თვითონვე უწოდებენ იმპერიალისტურს და სხვ.), რომ არათუ «სრული», არამედ არავითარი სერიოზული კონტროლი «პროლეტარიატისა» მინისტრების მიმართ არ არსებობს.

პროლეტარიატიც კლასობრივი ცნებაა, რომლის ხმარების უფლება მენშევიკებსა და ნაროდნიკებს არა აქვთ, რადგან ისინი უფრო მეტად წვრილ ბურჟუაზიას ეყრდნობიან. თუ თქვენ კლასებზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი, დაიცავით კიდეც სიზუსტე!

საბუთი მერვე. «რუსეთის სოციალისტური (??) პროლეტარიატის (???) წარმომადგენლების შესვლა მთავრობაში სრულიადაც არ მოასწავებდა იმ კავშირის შესუსტებას, რომლითაც ეს პროლეტარიატი დაკავშირებულია ყველა ქვეყნის იმ

სოციალისტებთან, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ; პირიქით, ეს ნაბიჯი მოასწავებდა ამ კავშირის განმტკიცებას საყოველთაო ზავისათვის საერთო ბრძოლის საქმეში».

ტყუილია. ფრაზაა და სიცრუე.

ყველამ იცის, რომ სამინისტროში შესვლამ რუსეთში განამტკიცა ის კ ა ვ შ ი რ ი, რომელიც აერთებს იმპერიალიზმის მ ო მ ხ რ ე ე ბ ს, სოციალ-შოვინისტებს, ყველა ქვეყნის ს ო ც ი ა ლ-ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ ე ბ ს, ჰენდერსონსაც კომპანიითურთ, ტომასაც კომპანიითურთ, შ ე ი დ ე მ ა ნ ს ა ც კომპანიითურთ.

დიახ, შეიდემანსაც! ვინაიდან იგი მიხვდა, რომ გ ე რ მ ა ნ ი ი ს სოციალ-იმპერიალიზმი თავისი მავნე გავლენითურთ მსოფლიო მუშათა მოძრაობაზე გ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი იქნება, თუ რუსებმაც კ ი, უდიდესი თავისუფლების დროსაც კ ი, რევოლუციის დროსაც კ ი სამარცხვინო კავშირი შეკრეს თ ა ვ ი ა ნ თ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან.

«პრავდა» № 70,
1917 წ. 14 (1) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წვრილბურჟუაზიული პოზიცია ნგრევის საკითხში

დღევანდელი «ნოვაია ჟიზნი» ბეჭდავს რეზოლუციას, რომელიც ამხ. ავილოვმა წარუდგინა ქარხნების კომიტეტთა თათბირს. სამწუხაროდ, ეს რეზოლუცია უნდა მივიჩნიოთ საკითხისადმი არა მარქსისტული, არა სოციალისტური, არამედ წვრილბურჟუაზიული მიდგომის ნიმუშად. და სწორედ იმიტომ, რომ ამ რეზოლუციაში მეტისმეტად ნათლადაა თავმოყრილი ჩვეულებრივი მენშევიკური და ნაროდნიკული საბჭოთა რეზოლუციების ყველა სუსტი მხარე, სწორედ ამიტომ ეს რეზოლუცია ტიპიური და ყურადღების ღირსია.

რეზოლუცია იწყება საუცხოო ზოგადი ადგილით, კაპიტალისტებისათვის ჩინებული ბრალდების წაყენებით: «თანამედროვე სამეურნეო ნგრევა... შედეგია ომისა და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს დ ა მ თ ა ვ რ ო ბ ი ს მ ტ ა ც ე ბ ლ უ რ ი ა ნ ა რ ქ ი უ ლ ი პ ა რ პ ა შ ი ს ა»... სწორია! კაპიტალი რომ გვჩაგრავს, იგი რომ მტაცებელია, რომ სწორედ კაპ-ტალია ანარქიზმის წყარო, ამაში წვრილი ბურჟუა მზადაა დაეთანხმოს პროლეტარს. მაგრამ მყისვე იწყება განსხვავება მათ შორის: პროლეტარი კაპიტალისტების მეურნეობას აღიარებს მტაცებლობად, რ ა თ ა კლასობრივი ბრძოლა აწარმოოს მის წინა-

აღმდეგ, რ ა თ ა მთელი პოლიტიკა ააგოს კაპიტალისტთა კლასისადმი უცილობელ უნდობლობაზე, რ ა თ ა სახელმწიფოს საკითხში უწინარეს ყოვლისა გაარკვიოს, თუ რომელ კლასს ემსახურება «სახელმწიფო», რომელი კლასის ინტერესებს იცავს იგი. წვრილი ბურჟუა ზოგჯერ «გაცოფებულია» კაპიტალის წინააღმდეგ, მაგრამ როგორც კი ცოფის შეტევა გაუვლის, მყისვე უბრუნდება კაპიტალისტებისადმი ნდობას, იმედებს, რომელთაც ის ამყარებს... კაპიტალისტების «სახელმწიფოზე»!

ასევე ემართება ამხ. ავილოვსაც.

მშვენიერი, გაბედული, მრისხანე შესავლის შემდეგ, სადაც ის ბრალს სდებს კაპიტალისტებს, და არა მარტო კაპიტალისტებს, არამედ კაპიტალისტების მთავრობასაც, «მტაცებლობაში», ამხ. ავილოვი მთელ თავის რეზოლუციაში, მთელ მის კონკრეტულ შინაარსში, რეზოლუციის ყველა პრაქტიკულ წინადადებაში, ი ვ ი წ ყ ე ბ ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ თ ვ ალ ს ა ზ რ ი ს ს და, მსგავსად მენშევიკებისა და ნაროდნიკებისა, ჯერდება ფრაზებს საერთოდ «სახელმწიფოს» შესახებ, საერთოდ «რევოლუციური დემოკრატიის» შესახებ.

მუშებო! მტაცებლური კაპიტალი თავისი მტაცებლობით ქმნის ანარქიას და ნგრევას, ამასთან კაპიტალისტების მთავრობა ასევე ანარქიულად პარპაშებს. ხსნა იმაშია, თუ შემოღებული იქნება კონტროლი «სახელმწიფოს» მხრივ «რევოლუციური დემოკრატიის მონაწილეობით». აი ავილოვის რეზოლუციის შინაარსი.

იწამეთ ღმერთი, ამხ. ავილოვ! ნუთუ მარქსისტს ეპატიება იმის დავიწყება, რომ სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის ორგანოა? განა სასაცილო არ არის «კაპიტალისტების მტაცებლობის» წინააღმდეგ შესჩიოდე კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს?

ნუთუ მარქსისტს ეპატიება იმის დავიწყება, რომ კაპიტალისტებიც ხშირად გვევლინებოდნენ «რევოლუციურ დემოკრატებად» ყველა ქვეყნის ისტორიაში — 1649 წელსაც ინგ-

ლისში, 1789 წელსაც საფრანგეთში, 1830, 1848, 1870 წლებშიც იმავე ქვეყანაში, 1917 წ. თებერვალშიც რუსეთში?

ნუთუ მართლა დაივიწყეთ, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ კაპიტალისტების, წვრილი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის რევოლუციური დემოკრატია? ნუთუ ჩემ მიერ ახლა ჩამოთვლილი ყ ვ ე ლ ა რევოლუციის მ თ ე ლ ი ისტორია არ წარმოადგენს კლასების განსხვავებას «რევოლუციური დემოკრატიის» შ ი გ ნ ი თ?

ვინც ახლა, 1917 წლის თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის გამოცდილების შემდეგ, კვლავ განაგრძობს რუსეთში საერთოდ «რევოლუციურ დემოკრატიაზე» ლაპარაკს, იგი ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ატყუებს ხალხს. ვინაიდან ცარიზმის წინააღმდეგ კლასთა საყოველთაო შეერთების «მომენტი» იყო და გაქრა. სახელმწიფო სათათბიროს პირველი «დროებითი კომიტეტისა» და საბჭოს პირველივე შეთანხმება უკვე ნიშნავდა კლასთა შეერთების დ ა ს ა ს რ უ ლ ს ა და კლასობრივი ბრძოლის დასაწყისს.

აპრილის (20 აპრილის), შემდეგ 6 მაისის, შემდეგ 27 — 29 მაისის (არჩევნები) კრიზისმა და სხვ. და სხვ. უკვე საბოლოოდ გამიჯნეს კ ლ ა ს ე ბ ი რუსეთის რევოლუციაში რუსეთის «რევოლუციური დემოკრატიის» შიგნით. ამის უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ ჩამოქვეითდე წვრილი ბურჟუას უმწეობამდე.

ახლა «სახელმწიფოსადმი» და «რევოლუციური დემოკრატიისადმი» მიმართვა, ისიც სწორედ კაპიტალისტების მტაცებლობის საკითხზე, იმას ნიშნავს, რომ უკან ეწეოდე მუშათა კლასს, იმას ნიშნავს, რომ ს ა ქ მ ი თ ქადაგებდე რევოლუციის სრულ შეჩერებას. ვინაიდან ჩვენი «სახელმწიფო» ა მ ჟ ა მ ა დ, აპრილის, მაისის შემდეგ — ეს არის სახელმწიფო (მტაცებელი) კაპიტალისტებისა, რომლებმაც ჩერნოვის, წერეთლისა და კომპანიის სახით მ ო ი შ ი ნ ა უ რ ე ს «რევოლუციური (წვრილბურჟუაზიული) დემოკრატიის» მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეს სახელმწიფო აფერხებს რევოლუციას ყველგან, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყველა სფეროში.

კაპიტალისტების «მტაცებლობასთან» ბრძოლის საქმის ამ სახელმწიფოსთვის ჩაბარება — მდინარეში ორაგულის გადაგდებას ნიშნავს.

დაწერილია 1917 წ. 31 მაისს (13 ივნისს)

დაიბეჭდა 1917 წ. 14 (1) ივნისს
გაზეთ «პრავდაში» № 70

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

სხვის თვალში ბეწვი

ალჟირმა უმუხთლა... ჩვენმა მინისტერიაბელურმა «სოციალისტ-რევოლუციონერებმა» კინაღამ სავსებით გაიყრუეს თავი და თავიანთი მსმენელებიც გამოაყრუეს ფრაზებით — «უანექსიო (ე. ი. სხვისი მიწა-წყლის დაუპყრობლად) ზავს» ვაღიარებთო, მაგრამ დახეთ... ალჟირმა უმუხთლა! გაზეთმა «დელო ნაროდამ», რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი მინისტრი «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტიიდან, კერენსკი და ჩერნოვი, გამოიჩინა... წინდაუხედაობა და მოკავშირეთა სამ მინისტრს (ესენიც თითქმის-სოციალისტები არიან) სიტყვა ჩამოუგდო ალჟირის შესახებ. თუ რა საშინელებაა ასეთი წინდაუხედაობა კერენსკებისა და ჩერნოვების გაზეთის მხრივ, მკითხველი ნათლად დაინახავს ქვემომოყვანილიდან.

მოკავშირე ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის სამმა მინისტრმა, ბატონმა ჰენდერსონმა, ტომამ და ვანდერველდემ, განაცხადეს, ჩვენ გვსურს არა «ანექსიები», არამედ მხოლოდ «ტერიტორიების განთავისუფლებაო». კერენსკებისა და ჩერნოვების გაზეთმა ამას — და სრულიად სამართლიანადაც — უწოდა «ბურჟუაზიის მიერ მოშინაურებული სოციალისტების» «ხელის ოინები», და თავს დაატეხა მათ შემდეგი მრისხანე სარკაზმული ტირადა:

««მართალია, ისინი» (სამი მინისტრი) «ტერიტორიების განთავისუფლებას მოითხოვენ» მხოლოდ «მოსახლეობის ნება-სურვილის თანახმად». ძალიან კარგი! მაგრამ მაშინ მოვთხოვოთ მათაც და ჩვენს საკუთარ თავსაც თანმიმდევრულობა და ვაღიაროთ, ერთი მხრივ, ირლანდიისა და ფინეთის «ტერიტორიების განთავისუფლება», ხოლო მეორე მხრივ — ალჟირის ან სიამის «ტერიტორიების განთავისუფლება». ჩვენთვის ფრიად საინტერესო იქნებოდა მოგვესმინა, მაგალითად, სოციალისტ ალბერ ტომას აზრი ალჟირის «თვითგამორკვევის» შესახებ».

დიახ, დიახ, «ჩვენთვის ფრიად საინტერესო იქნებოდა მოგვესმინა აზრი» კერენსკისაც, წერეთლისაც, ჩერნოვისაც და სკობელევისაც სომხეთის, გალიციის, უკრაინის, თურქესტანის «თვითგამორკვევის» შესახებ.

თქვენ ხომ, ბატონებო, რუსეთის ნაროდნიკო და მენშევიკო მინისტრებო, ირლანდიისა და ალჟირის მაგალითით გამოააშკარავეთ თქვენი მდგომარეობისა და თქვენი საქციელის მთელი სიცრუე და მთელი სიყალბე. ამით თქვენ ცხადყვეთ, რომ «ანექსიებად» ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვიგულისხმოთ მხოლოდ ა მ ო მ ი ს დ რ ო ს დაპყრობილი ტერიტორიები. მაშასადამე, თქვენ თავიც გაიმათრახეთ და გაამათრახეთ პეტროგრადის საბჭოს «იზვესტიაც», რომელმაც ამ დღეებში მედიდური უვიცობით განაცხადა, თითქოს «ანექსიებად» მხოლოდ ამ ომის დროს დაპყრობილი ადგილები იგულისხმებოდეს. ვინ არ იცის, რომ ირლანდია და ალჟირი დაპყრობილია ათეული და ასეული წლით ადრე, ვიდრე ეს ომი დაიწყებოდა?

წინდაუხედავია, წინდაუხედავი «დელო ნაროდა»: მან თავისი თავიც ამხილა, მენშევიკებიც და პეტროგრადის საბჭოს «იზვესტიაც» აზრთა სრულ არევ-დარევაში ესოდენ მნიშვნელოვან, ესოდენ ძირითად საკითხში — ანექსიების საკითხში.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. თუ თქვენ ჰენდერსონს ირლანდიაზე ეკითხებით, ალბერ ტომას — ალჟირზე, თუ თქვენ «ხელისუფლების სათავეში მდგომი საფრანგეთის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს» აზრს ანექსიების შესახებ უპირისპირებთ საფრანგეთის ხ ა ლ ხ ი ს აზრს, თუ თქვენ ჰენდერსონსა და ალბერ ტომას «ბურჟუაზიის მიერ მოშინაურებულ სოციალისტებს» უწოდებთ, — მაშინ რატომ თქვენს თავზე არ დაიხედავთ??

თქვენ ვინღა ბრძანდებით, კერენსკი, წერეთელო, ჩერნოვ, სკობელევ? განა თქვენ კი «ბურჟუაზიის მიერ მოშინაურებული სოციალისტები» არა ხართ? განა თქვენ «ხელისუფლების სათავეში მდგომი რუსეთის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს» სამინისტროში დააყენეთ საკითხები რ უ ს ე თ ი ს ირლანდიის, რ უ ს ე თ ი ს

ალჟირის, ე. ი. თურქესტანის, სომხეთის, უკრაინის, ფინეთისა და სხვათა შესახებ? როდის დააყენეთ ეს საკითხი? რატომ არ უამბობთ ამის შესახებ რუს «ხალხს»? რატომ «ხელის ოინებს» არ უწოდებთ რუსი ნაროდნიკებისა და მენშევიკების ფანდებს — საბჭოსა და სამინისტროში, ხალხის წინაშე მაღალფარდოვან ლაყბობას «უანექსიო ზავის» შესახებ, ზუსტად, ნათლად და არაორაზროვნად არ აყენებთ რუსეთის ყველა იმ ანექსიის საკითხს, რომელიც ირლანდიისა და ალჟირის ტიპისაა?

რუსეთის მინისტერიაბელური ნაროდნიკები და მენშევიკები დაიბნენ და დღითი დღე იხსნიან ნიღაბს.

ჩვეულებრივ ისინი იმოწმებენ «უკანასკნელ» საბუთს: ჩვენში რევოლუციაა. მაგრამ ეს საბუთი მთლიანად ყალბია. ვინაიდან ჩვენმა რევოლუციამ დღემდე მხოლოდ ბურჟუაზიას მისცა ძალაუფლება, როგორც საფრანგეთსა და ინგლისში, «ბურჟუაზიის მიერ მოშინაურებული სოციალისტების» «უვნებელი უმცირესობითურთ», როგორც ეს საფრანგეთსა და ინგლისშია. რას მოგვიტანს ხვალ ჩვენი რევოლუცია:—მონარქიისაკენ დაბრუნებას, ბურჟუაზიის განმტკიცებას, თუ ძალაუფლების უფრო მოწინავე კლასების ხელში გადასვლას, — ეს ჩვენ არ ვიცით, და არც არავინ იცის. მაშასადამე, საერთოდ «რევოლუციის» დამოწმება — ხალხისა და თავის თავის უხეში მოტყუებაა.

ანექსიების საკითხი კარგი გამოსაცდელია სიცრუესა და სიყალბეში გახლართული ნაროდნიკებისა და მენშევიკებისათვის. ისინი დაიბნენ ისევე, როგორც პლეხანოვი, ჰენდერსონი, შეიდემანი და კომპანია; ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ სიტყვით განსხვავდებიან, საქმით კი სოციალიზმისათვის ისინი ერთნაირად დაღუპულნი არიან.

«პრავდა» № 70,
1917 წ. 14 (1) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

დემოკრატიულად ვერ მოიქეცით, მოქალაქე კერენსკი!

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

კ ი ე ვ ი. 30 მ ა ი ს ი. სრულიად უკრაინის გლეხთა ყრილობის სხდომაზე გამოაქვეყნეს სამხედრო მინისტრის კერენსკის დეპეშა, სადაც ის, სამხედრო მდგომარეობასთან დაკავშირებით, დროის შესაფერისად არ ცნობს უკრაინის კაზაკთა მეორე ყრილობის მოწვევას. ყრილობამ მინისტრის განკარგულება ცნო უკრაინელების მიმართ კრებების თავისუფლების დარღვევად და დროებითს მთავრობასა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

«თქვენს ყურადღებას მივაქცევთ კრებების თავისუფლების კანონის დარღვევის პირველ შემთხვევას, რომელიც მინისტრმა კერენსკიმ დაუშვა უკრაინის კაზაკთა ყრილობის მიმართ. ჩვენ თავიდან ვიხსნით იმ შედეგების პასუხისმგებლობას, რაც შესაძლებელია მოჰყვეს ახალი ცხოვრების დემოკრატიული საწყისების დარღვევას უკრაინელების მიმართ, ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს და ველით დაუყოვნებელ პასუხს უკრაინის ცენტრალური რადის დელეგაციის მიერ დროებითი მთავრობისათვის წაყენებულ მოთხოვნებზე».

ეს ცნობა უეჭველად ძლიერ შეშფოთებას იწვევს მუშა-სოციალისტების რიგებში.

სამხედრო მინისტრს «დროის შესაფერისად» არ მიაჩნია უკრაინელების ყრილობა და თავისი ნებით კრძალავს ამ ყრილობას! ამ ცოტა ხნის წინათ მოქალაქე კერენსკიმ ფინეთს «დაუტატანა», ახლა მას გადაუწყვეტია უკრაინელებს «დაუ-

ტატანოს». და ყველაფერი ეს «დემოკრატიის» სახელით კეთდება.

ოდესღაც ა. ი. გერცენმა თქვა: როცა ხედავ რუსეთში გაბატონებული კლასების «ოინებს», გრცხვენია, რომ რუსი ხარო [106]. ეს მაშინ ითქვა, როცა რუსეთი ბატონყმობის უღელქვეშ გმინავდა, როცა ჩვენს ქვეყანაში მათრახი და ჯოხი ბატონობდა.

ახლა რუსეთმა დაამხო მეფე. ახლა რუსეთის სახელით კერენსკები და ლვოვები ლაპარაკობენ. კერენსკებისა და ლვოვების რუსეთი დამორჩილებულ ეროვნებებს ისე ეპყრობა, რომ ა. ი. გერცენის მწარე სიტყვები ახლაც უნებლიეთ გადგება ენაზე.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მოქალაქე კერენსკი თავისი «დიდმპყრობელური» ნაციონალისტური პოლიტიკით მხოლოდ აძლიერებს, მხოლოდ აღვივებს სწორედ იმ «სეპარატიულ» მისწრაფებებს, რომელთა წინააღმდეგაც სურთ იბრძოლონ კერენსკებსა და ლვოვებს.

ვაყენებთ კითხვას: შეეფერება თუ არა, სოციალიზმს რომ თავი დავანებოთ, უბრალო დემოკრატიზმის ღირსებას ჩაგრულ ეროვნებათა ასეთი აბუჩად აგდება? ვაყენებთ კითხვას: სად აქვს საზღვარი მოქალაქე კერენსკისა და მის გვერდში მყოფთა «სიცელქეს»?

ვეკითხებით «სოციალისტ-რევოლუციონერთა» პარტიას: იწონებს თუ არა იგი თავისი საპატიო წევრის, მოქალაქე კერენსკის მიერ უკრაინელთა ყრილობის აკრძალვას?

* * *

გვატყობინებენ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გუშინ დაუდგენია — სპეციალურად მიიწვიოს მოქალაქე კერენსკი ერთა თვითგამორკვევისა და საერთოდ ნაციონალური **პოლიტიკის საკითხზე ახსნა-განმარტებისათვისო.**

იმასაც კი ამბობენ, «საკონტაქტო კომისიამ» სული განუტევაო. სრულიადაც არა, ბატონებო! ორხელისუფლებიანობა დარჩა. ახლანდელი მდგომარეობიდან არავითარი გამოსავალი არ არსებობს, თუ მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს არ გადაეცა.

«პრავდა» № 71,
1917 წ. 15 (2) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბოლშევიზმი და ჯარის «გაახრწნა»

ყველა «მტკიცე ხელისუფლებაზე» ღაღადებს. ხსნა დიქტატურაშია, «რკინისებურ დისციპლინაში», იმაში, რომ ყველა ურჩი როგორც «მარჯვნივ», ისე «მარცხნივ», ჩააჩუმო და დაიმორჩილოო. ჩვენ ვიცით, ვისი ჩაჩუმებაც უნდათ. მემარჯვენეები კი არ ყვირიან, მუშაობენ. ზოგი სამინისტროში, ზოგი ფაბრიკებში ლოკაუტების მუქარით, ბრძანებებით პოლკების დაშლის შესახებ, კატორღის მუქარით. კონოვალოვები და ტერეშჩენკოები, კერენსკებისა და სკობელევების დახმარებით, ორგანიზებულად მუშაობენ თავიანთ სასარგებლოდ. ისინი არ უნდა ჩავაჩუმოთ...

ჩვენს განკარგულებაში კი მხოლოდ სიტყვაა.

და ეს სიტყვაც სურთ წაგვართვან...

«პრავდას» ფრონტზე არ აჭაჭანებენ. კიეველმა «აგენტებმა» დაადგინეს — «პრავდა» არ გაავრცელონ. «ერობათა კავშირი» თავის კიოსკებში «პრავდას» არ ყიდის. დასასრულ, გვპირდებიან, რომ «სისტემატურად იბრძოლებენ ლენინიზმის ქადაგების წინააღმდეგ»... (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების «იზვესტია»). სამაგიეროდ ყოველგვარ ასეთ სტიქიურ პროტესტს, ყოველგვარ ექსცესს, სადაც კი უნდა მოხდეს იგი, ჩვენ გვაბრალებენ.

ესეც ბოლშევიზმთან ბრძოლის ხერხია.

ნაცადი ხერხია.

მასები მოკლებული არიან საშუალებას მიიღონ ნათელი ხელმძღვანელი მითითებანი, ისინი ინსტინქტურად გრძნობენ დემოკრატიის ოფიციალური ბელადების პოზიციის სიყალბეს, არადამაკმაყოფილებლობას, — და იძულებული არიან ხ ე ლ ი ს ც ე ც ე ბ ი თ ე ძ ე ბ ო ნ გ ზ ე ბ ი...

შედეგი კი ის არის, რომ ბოლშევიზმის დროშის ქვეშ თავს იყრის ყველა უკმაყოფილო, შეგნებული რევოლუციონერი, აღშფოთებული მებრძოლი, რომელსაც თავისი ქოხი მონატრებია და რომელიც ვერ ხედავს ომის დასასრულს, ზოგჯერ კი ისეთი ადამიანიც, რომელიც პირდაპირ საკუთარ ტყავს უფრთხილდება...

იქ, სადაც ბოლშევიზმს შეუძლია აშკარად გამოვიდეს, იქ დეზორგანიზაცია არ არის.

იქ, სადაც ბოლშევიკები არ არიან ან მათ ლაპარაკს არ აცლიან, იქ ექსცესებია, იქ გახრწნაა, იქ ცრუ-ბოლშევიკები არიან...

ჩვენს მტრებსაც სწორედ ეს უნდათ.

მათ უნდათ საბაბი ჰქონდეთ თქვან: «ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ჯ ა რ ს ხ რ წ ნ ი ა ნ ო», დ ა შ ე მ დ ე გ კ ი ჩ ა ა ჩ უ მ ო ნ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი.

ერთხელ და სამუდამოდ რომ გავემიჯნოთ «მტრების» ცილისწამებასაც და ბოლშევიზმის ფრიად უაზრო დამახინჯებასაც, მოვიყვანთ იმ პროკლამაციის ბოლოს, რომელიც სრულიად რუსეთის ყრილობის წინ გაავრცელა ჯარში ერთ-ერთმა დელეგატმა.

აი იგი:

«ამხანაგებო! თქვენ უნდა თქვათ თქვენი სიტყვა. საჭირო არ არის ბურჟუაზიასთან შეთანხმება!

მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა მ უ შ ა თ ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს!

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ახლავე უნდა დავამხოთ ახლანდელი მთავრობა და არ დავემორჩილოთ მას. ვიდრე ამ მთავრობას მიჰყვება ხალხის უმრავლესობა, რომელსაც სწამს, რომ ხუთ სოციალისტს შეუძლია დაძლიოს დანარჩენები, ჩვენ არ შეგვიძლია ცალკეული ამბოხებებით დავაქუცმაცოთ ჩვენი საკუთარი ძალები.

არასოდეს!

გაუფრთხილდით ძალებს! შეიკრიბენით მიტინგებზე! გამოიტანეთ რეზოლუციები! მოითხოვეთ მთელი ძალაუფლების გადასვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში! დაჯერეთ ვინც ამის თანახმა არ არის! გადმომიგზავნეთ თქვენი რეზოლუცია პეტროგრადში ყრილობაზე პოლკის სახელით, რომ იქ შემეძლოს დავიმოწმო თქვენი ხმა!

მაგრამ უფრთხილდით პროვოკატორებს, რომლებიც შეეცდებიან ბოლშევიკების სახელით მოგიწოდონ უწესოებისა და ამბოხებისაკენ და ამით დაფარონ საკუთარი ლაჩრობა! იცოდეთ, რომ, მართალია ისინი ახლა თქვენთან ერთად არიან, მაგრამ ხიფათის უმალვე გიღალატებენ და ძველ რეჟიმზე გაგყიდიან.

ნამდვილი ბოლშევიკები მოგიწოდებენ არა ამბოხებისაკენ, არამედ შეგნებული რევოლუციური ბრძოლისაკენ.

ამხანაგებო! სრულიად რუსეთის ყრილობა აირჩევს წარმომადგენლებს, რომლებსაც დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ანგარიშს ჩააბარებს ლროებითი მთავრობა.

ამხანაგებო! ამ ყრილობაზე მე მოვითხოვ:

ჯერ-ერთი: მთელი ძალაუფლების გადაცემას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთვის!

მეორე: ხალხის სახელით დაუყოვნებლივ მიმართვას უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მშვიდობიანი წინადადებით ყველა მეომარი სახელმწიფოს, როგორც მოკავშირე, ისე მოწინააღმდეგე სახელმწიფოს, ხალხებისა და მთავრობებისადმი. აბა ცადოს მაშინ უარის თქმა რომელიმე მთავრობამ — მას დაამხობს თავისივე ხალხი.

მესამე: სახელმწიფოს საჭიროებისათვის ფულის ჩამორთმევას კაპიტალისტების სამხედრო მოგების კონფისკაციის სახით იმათთვის, ვინც ომის წყალობით გამდიდრდა.

ამხანაგებო! ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ რუსეთში, გერმანიასა და საფრანგეთში ძალაუფლების გადაცემით დემოკრატიისათვის, ყველა ქვეყანაში ბურჟუაზიულ მთავრობათა დამხობით.

ჩვენმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ამას — ჩვენი ამოცანაა რუსეთის სრულუფლებიანი სახალხო მთავრობის მიერ ევროპის ყველა მთავრობისადმი ზავის წინადადებით მიმართვით, დასავლეთ ევროპის რევოლუციურ დემოკრატიასთან კავშირის განმტკიცებით ახალი ბიძგი მივცეთ მსოფლიო რევოლუციას.

და მაშინ ვაი ბურჟუაზიის იმ მთავრობას, რომელიც მაინც მოისურვებს ომის განგრძობას!

მისსავე ხალხთან ერთად ჩვენ რევოლუციურ ომს ავუტეხთ ასეთ მთავრობას.

მე არჩეული ვარ პეტროგრადის ყრილობის დელეგატად, რათა თქვენი სახელით ყველაფერი ეს გადავცე ჩვენს მთავრობას.

XI არმიის საარმიო კომიტეტის წევრი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ელეგატი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყრილობაზე ჰრაპორშჩიკი კრილენკო».

ვინც გაისარჯა და წაიკითხა ჩვენი პარტიის რეზოლუციები, მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ამ რეზოლუციების დედაარსი ამხანაგმა კრილენკომ სავსებით სწორად გამოხატა.

არა არეულობისა და ამბოხებებისაკენ, არამედ შეგნებული რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებენ ბოლშევიკები პროლეტარიატს, უღარიბეს გლეხებს და ყველა მშრომელსა და ექსპლოატირებულს.

მხოლოდ ხალხის ნამდვილ ხელისუფლებას, ე. ი. ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ხალხის უმრავლესობას ეკუთვნის, შეუძლია დაადგეს სწორ გზას, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს კაპიტალისტების უღლის დამხობისაკენ, იმპერიალისტური ომის საშინელებათაგან და უბედურებათაგან გადარჩენისაკენ, მტკიცე და სამართლიანი ზავისაკენ.

«პრავდა» № 72,
1917 წ. 16 (3) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ვის დასცინით? საკუთარ თავს დასცინით!

«მეფე კონსტანტინემ (საბერძნეთისამ) მოკავშირეთა დიპლომატიის ზეგავლენით ხელი მოაწერა ტახტიდან გადადგომის აქტს», — ასე წერს ტახტიდან გადადგომის გამო დროებითი «რევოლუციური» მთავრობის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ბ-ნი მილიუკოვი.

საბერძნეთი საბოლოოდ ჩაახრჩვეს მოკავშირეთა ბატონმა დიპლომატებმა; თავდაპირველად მათ გამოიწვიეს ვენიზელოსის (ვენიზელოსი — კონსტანტინეს ყოფილი მინისტრი, რომელიც ინგლისის კაპიტალის სამსახურში გადავიდა) მომხრეთა მოძრაობა, მიიმხრეს ჯარის ნაწილი, ძალით ჩაიგდეს ხელში საბერძნეთის ტერიტორიის ნაწილი და, ბოლოს, «გავლენა» მოახდინეს «კანონიერ» მონარქზე და აიძულეს იგი უარი ეთქვა ტახტზე, ე. ი. ძალით გამოიწვიეს რევოლუცია ზემოდან. რაგვარი იყო და არის ეს «ზეგავლენა». ყველამ იცის: ავიწროებდნენ შიმშილით, საბერძნეთის ბლოკადას ახორციელებდნენ ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის იმპერიალისტების სამხედრო გემები, საბერძნეთს უპურობდ ტოვებდნენ. «ზეგავლენა» საბერძნეთზე სწორედ ისეთივე ხასიათისა იყო, როგორიც ამას წინათ გამოუყენებიათ რუსეთში, თუ გაზეთებს დავუჯერებთ, ერთი მივარდნილი კუთხის შეუგნებელ გლეხებს, — შიმშილით სიკვდილი მიუსჯიათ მოქალაქისათვის, რომელსაც ბრალად დასდვეს ქრისტიანული სარწმუნოების შებღალვა.

რუსეთის ნახევრადველური კუთხის შეუგნებელმა გლეხებმა შიმშილით მოკლეს «დამნაშავე». ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვ. «ცივილიზებული» იმპერიალისტები შიმშილით კლავდნენ მთელ ქვეყანას, მთელ ხალხს, რათა «ზეგავლენა» მოეხდინათ და აეძულებინათ იგი შეეცვალა პოლიტიკა.

აი როგორია იმპერიალისტური ომის სინამდვილე. აი როგორია ჩვენი დროის საერთაშორისო ურთიერთობის რეალური ვითარება. ბატონი ესერები კი ამის გამო იცინიან... ეს მართლაც ძალიან, ძალიან სასაცილოა...

«დელო ნაროდა», სამინისტროს გაზეთი კერენსკებისა, ჩერნოვებისა და კომპანიისა, ათავსებს დამცინავ მოწინავე სტატიას სათაურით: «საბერძნეთის «თვითგამორკვევა»». ესერების დაცინვა საბერძნეთის «თვითგამორკვევის» მიმართ ჩინებული იქნებოდა, ის რომ გულწრფელი იყოს.

პოლიტიკაში გულწრფელობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ბბ. კერენსკებს, ჩერნოვებს და კომპანიას უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი პირადი გულწრფელობა, — მათი გულწრფელობა ძალიანაც შესაძლებელია, მაგრამ საქმე ამაში სულაც არ არის. გულწრფელობა პოლიტიკაში, ესე იგი ადამიანთა ურთიერთობის იმ სფეროში, რომელსაც საქმე აქვს არა ერთეულებთან, არამედ მილიონებთან, — გულწრფელობა პოლიტიკაში ეს არის შემოწმებისათვის სავსებით მისაწვდომი შესაბამისობა სიტყვასა და საქმეს შორის.

«დელო ნაროდას» მოწინავე სტატია გულწრფელი არ არის იმიტომ, რომ სწორედ სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, სწორედ კერენსკები და ჩერნოვები, როგორც მისი ბელადები, მხარს უჭერენ საბერძნეთის ჩახრჩობის სამინისტროს... უკაცრავად, «თვითგამორკვევის» სამინისტროს, მოქალაქე წერეთელთან და სკობელევთან ერთად.

«...ყველასთვის ცხადია, — წერს «დელო ნაროდა», — რომ იმპერიალისტური გერმანიის — ბელგიაზე, ავსტრიის — სერბიაზე ყაჩაღურ თავდასხმასა და მოკავშირეთა მთავრობების «საბერძნეთის სიღრმეში» ახლანდელ «შეტევას» შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის».

დიახ, ეს ცხადია, და ეს სრულიადაც არაა «ეთიკა», როგორც ესერები ფიქრობენ, არამედ წმინდა წყლის პოლიტიკაა. ყაჩაღური თავდასხმა, — აი რისი მონაწილენი ხართ თქვენ, მოქალაქე ესერებო, მოქალაქე მენშევიკებო, როცა მონაწილეობას იღებთ მთავრობაში. ყაჩაღური თავდასხმა ფაქტია, «მოკავშირეთა დიპლომატიის ზეგავლენა» — მოელ მოკავშირეთა, მაშასადამე, რუსეთისაც — ცხადია, ხდებოდა მას შემდეგაც, როცა სამინისტროში. ჩერნოვი, წერეთელი და კომპანია შევიდნენ.

მერე «უანექსიო ზავის» პლატფორმები? «რევოლუციური დემოკრატიის» «მოთხოვნები» ახალი მთავრობისაგან? დეკლარაციები? ნუთუ კიდევ არ არის ცხადი, რომ ყველა ეს პლატფორმა, დეკლარაცია, დაპირება, განცხადება, ფიცი, დაპირებითი ფიცი და სხვა და სხვა — ხალხის სულ მთლად აბუჩად აგდებაა?

საკუთარ თავს დასცინით, ბატონო ესერებო და მენშევიკებო! თქვენს საკუთარ პოლიტიკას — კაპიტალისტებისა და კაპიტალისტთა მთავრობისადმი ნდობის პოლიტიკას! თქვენს საკუთარ როლს — კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის მჭევრმეტყველ, მაღალფარდოვან, მინისტრის წოდებით აღჭურვილ მსახურთა როლს!

«პრავდა» № 72,
1917 წ. 16 (3) ივნისი

იბეჭდება
ვაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 სტატია «პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში», რომელიც გამოქვეყნდა «პრავდის» 26-ე ნომერში 1917 წლის 7 აპრილს ნ. ლენინის ხელმოწერით, შეიცავს ვ. ი. ლენინის აპრილის განთქმულ თეზისებს, რომლებიც მან წაიკითხა ორ კრებაზე 1917 წლის 4 (17) აპრილს (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის ბოლშევიკი დელეგატების კრებაზე და ამავე თათბირის ბოლშევიკი და მენშევიკი დელეგატების გაერთიანებულ კრებაზე) თავრიდის სასახლეში. სტატია გადაბეჭდეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა «სოციალ-დემოკრატმა» (მოსკოვი), «პროლეტარიმ» (ხარკოვი), «კრასნოიარსკი რაბოჩიმ» (კრასნოიარსკი), «ვპერიოდმა» (უფა), «ბაკინსკი რაბოჩიმ» (ბაქო), «კავკაზსკი რაბოჩიმ» (თბილისი) და სხვა გაზეთებმა.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების მნიშვნელობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 227 — 231, 441 — 443. — 1.

2 «ედინსტვო» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე. აგრეთვე 1917 წლის დეკემბერსა და 1918 წლის იანვარში სხვა სახელწოდებით; რედაქტორობდა გ. ვ. პლეხანოვი. გაზეთი აერთიანებდა მენშევიკ-ობორონცების უკიდურეს მემარჯვენე ჯგუფს და უსიტყვოდ უჭერდა მხარს ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობას; გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ. — 7.

3 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 1 — 2, 474 — 488; ტ. II, 1948, გვ. 32, 443 — 445. — 9.

4 სტატია «როგორ ჩამოვედით» წარმოადგენს ლენინის მოხსენებას, რომელიც მან პეტროგრადში ჩამოსვლის მეორე დღეს,

1917 წლის 4 (17) აპრილს, წარუდგინა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს იმ ემიგრანტთა დავალებით, რომლებიც ლენინთან ერთად დაბრუნდნენ შვეიცარიიდან. — 10.

5 «ნაშე სლოვო» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე. — 10.

6 რსდმ პარტიის ორგანიზაციული კომიტეტი — მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს მენშევიკლიკვიდატორების და ყველა ანტიპარტიული ჯგუფისა და მიმდინარეობის აგვისტოს კონფერენციაზე; მოქმედებდა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევამდე — 1917 წლის აგვისტომდე. — 10.

7 «რეჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 25 ოქტომბერს (8 ნოემბერს); სხვა სახელწოდებებით გამოდიოდა 1918 წლის აგვისტომდე. — 12.

8 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მანიფესტს ლენინი უწოდებს პეტროგრადის საბჭოს მიმართვას «მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი», რომელიც მიღებულ იქნა საბჭოს სხდომაზე 1917 წლის 14 (27) მარტს და მეორე დღეს გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში. ესერებისა და მენშევიკების ბელადები იძულებული იყვნენ მიეღოთ ეს მიმართვა რევოლუციური მასების ზეგავლენით, რომლებიც მოითხოვდნენ ომის დამთავრებას.

მიმართვა მოუწოდებდა მეომარი ქვეყნების მშრომელებს გამოსულიყვნენ ზავის სასარგებლოდ. მაგრამ ის არ ამხელდა ომის მტაცებლურ ხასიათს, არ აყენებდა ზავისთვის ბრძოლის პრაქტიკულ ღონისძიებებს და არსებითად ამართლებდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიერ იმპერიალისტური ომის განგრძობას. — 12.

9 «ნოვოე ვრემია» — რეაქციული თავადაზნაურული და მოხელეურ-ბიუროკრატიული წრეების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან; 1905 წლიდან გახდა შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. ლენინი მას უწოდებდა გათახსირებულ გაზეთთა ნიმუშს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ «ნოვოე ვრემია» სავსებით მხარს უჭერდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და გააფთრებით დევნიდა ბოლშევიკებს. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — 12.

10 «რ უ ს ს კ ა ი ა ვ ო ლ ი ა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც დაარსდა და არსებობდა დიდი ბანკების სახსრებით; რბევითს აგიტაციას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ლენინი მას უწოდებდა ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარ ბურჟუაზიულ გაზეთს. გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლის დეკემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. — **13.**

11 პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს მ უ შ ა თ ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდის 1917 წლის 28 თებერვლიდან (13 მარტიდან). საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემდეგ გაზეთი გახდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო და 1917 წლის 1 (14) აგვისტოდან (132-ე ნომრიდან) გამოდიოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიას» სახელწოდებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაზეთი იყო მენშევიკებისა და ესერების ხელში და გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის შემდეგ «იზვესტია» საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო გახდა. 1918 წლის მარტში, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს პეტროგრადიდან მოსკოვს გადასვლასთან დაკავშირებით, გაზეთის გამოცემა გადატანილ იქნა მოსკოვში. — **13.**

12 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში; დაარსდა ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის ინიციატივით 1912 წლის აპრილში.

«1912 წლის «პრავდა», — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — ეს საძირკვლის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს».

პირველი ნომრის გამოსვლიდან (1912 წლის 22 აპრილი (5 მაისი)) ორ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში მეფის მთავრობამ რვაჯერ დახურა «პრავდა», მაგრამ ის მაინც განაგრძობდა გამოსვლას სხვა სახელწოდებებით. იმპერიალისტური ომის წინა დღეებში — 1914 წლის 8 (21) ივნისს გაზეთი დახურეს.

«პრავდის» გამოცემა განახლდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1917 წლის 5 (18) მარტს). გაზეთი გამოდიოდა როგორც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო.

15 (28) მარტს რსდმ პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის აპრილში, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, «პრავდის» ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა

ვ. ი. ლენინი. 1917 წლის 5 (18) ივლისს «პრავდის» რედაქცია დაარბიეს იუნკრებმა და კაზაკებმა. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი.

1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდა», დროებითი მთავრობის მარიგ დევნის გამო, ხშირად იცვლიდა სახელწოდებას და გამოდიოდა როგორც «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთი გამოდის თავისი ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — **13.**

13 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირი, მოწვეული პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 29 მარტიდან 3 აპრილამდე (11—16 აპრილს).

თათბირს დაესწრნენ პეტროგრადისა და ადგილობრივი საბჭოების, აგრეთვე ფრონტისა და ზურგის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. თათბირმა განიხილა საკითხები: ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, დამფუძნებელი კრების შესახებ, აგრარული, სასურსათო და სხვა საკითხები.

თათბირმა, რომელზედაც უპირატესი გავლენა მენშევიკებს და ესერებს ჰქონდათ, დაიკავა «რევოლუციური ობორონაობის» პოზიცია და გამოიტანა გადაწყვეტილება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის მხარისდაჭერის შესახებ. — **17.**

14 «რაბოჩაია გაზეტა» — მენშევიკების ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ყოველდღიურად პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე. — **20.**

15 ლენინის ბროშურა «წერილები ტაქტიკაზე. წერილი პირველი» პეტროგრადში გამოსცა 1917 წელს «პრიბოიმ», ბოლშევიკურმა გამომცემლობამ, სამ გამოცემად. ბროშურის სამივე გამოცემის დამატებებში დაიბეჭდა აპრილის თეზისები. — **27.**

16 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. 1947, გვ. 396. — **28.**

17 ლენინს ციტატი მოჰყავს გოეთეს ნაწარმოებიდან «ფაუსტი» (იხ. ი.-ვ. გოეთე. «ფაუსტი», 1942, გვ. 77). — **32.**

18 მისი უდიდებულესობის ოპოზიცია — ინგლისური პარლამენტური გამოთქმა, რომელსაც ხმარობენ პარლამენტის ბურჟუაზიული დეპუტატების ოპოზიციური უმცირესობის მიმართ, რომლე-

ბიც, თუმცა ერთგული არიან მთელი კაპიტალისტური წესწყობილებისა და შეფის ხელისუფლებისა, მაგრამ პარტიული თუ ჯგუფური ინტერესების ძოსაზრებებით მხარს არ ეჭერეს მთავრობას და წინააღმდეგობას უწევენ მის პოლიტიკას. პარლამენტური ოპოზიციის ამ ტაქტიკას ფართოდ იყენებენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები მასების მოსატყუებლად.

ლეანი ამ გამოთქმით აბაასათებს მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკას, რომლებიც სიტყვით თვალთმაქცურად ემიჯნებოდნენ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, საქმით კი მის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, უთანხმდებოდნენ მას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის პერიოდში, ისევე როგორც კადეტები უთანხმდებოდნენ ცარიზმს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. — **35.**

19 «უ მ ე ფ ო დ, მ თ ა ვ რ ო ბ ა კ ი მ უ შ უ რ ი» — ანტიბოლშევიკური ლოზუნგი, რომელიც 1905 წელს წამოაყენეს პარვუსმა და ტროცკიმ. ეს ლოზუნგი რევოლუციის შესახებ უ ლებებოდ, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი დებულება გახდა კონტრრევოლუციური ტროცკიზმისა, კრიტიკის ქარცეცხლში გატარეს ლენინმა და სტალინმა (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 6, 1949, გვ. 381 — 382, 416 — 417). — **35.**

20 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I. 1948, გვ. 474 — 488) და ფ. ენგელსი. «1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 107 — 112). — **36.**

21 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის ნაშრომი «ანარქიზმი და სოციალიზმი», რომელიც პირველად გამოვიდა გერმანულ ენაზე 1894 წელს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. IV, 1925, გვ. 167 — 248). — **37.**

22 ლენინს მხედველობაში აქვს თავის ნაწარმოებთა კრებული, რომელიც გამოვიდა პეტერბურგში 1907 წლის დამლევს: ვლ. ილინი. «12 წლის მანძილზე. სტატიათა კრებული. ტომი პირველი. ორი მიმართულება რუსულ მარქსიზმსა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში». — **40.**

23 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1948, გვ. 32. — **60.**

24 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 481. — **62.**

25 ფ ა ბ ი ა ნ ე ლ ე ბ ი — რეფორმისტული, უკიდურესი ოპორტუნისტული «ფაბიანელთა საზოგადოების» წევრები; ეს საზოგადოება დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა ინგლისში 1884 წელს. საზოგადოებას ეწოდა სახელი რომაელი მხედართმთავრის ფაბიუს კუნქტატორისა («დამყოვნებლისა»), რომელიც ცნობილი იყო ლოდინის ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის თავის არიდებით. ფაბიანური საზოგადოება, ლენინის გამოთქმით, წარმოადგენს «ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ყველაზე დასრულებულ გამოხატულებას». ფაბიანელები პროლეტარიატს აშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას რეფორმების გზით. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ფაბიანელები სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე იდგნენ. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 12, გვ. 451 — 452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 202 — 203), «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 311 — 312) და სხვ. — 71.

26 «ლ ა ბ ი ს ტ ე ბ ს» ლენინი უწოდებს ლეიბორისტებს, ინგლისის მუშათა პარტიის (Labour Party) წევრებს.

მუშათა პარტია დაარსდა 1900 წელს როგორც მუშათა ორგანიზაციების — ტრედ-უნიონების, სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების — გაერთიანება პარლამენტში მუშათა წარმომადგენლობის შექმნის მიზნით. ამ გაერთიანებას ეწოდებოდა «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი», რომელმაც 1906 წელს სახელი შეიცვალა და დაირქვა მუშათა (ლეიბორისტული) პარტია. ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით ყველაზე უფრო ოპორტუნისტულ, «სულ მთლად ბურჟუაზიულ» (ლ ე ნ ი ნ ი) ორგანიზაციას წარმოადგენს, აშკარად ატარებს ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს ეკავათ სოციალ-შოვინისტური პოზიცია, ისინი, ლენინის თქმით, «იმპერიალისტური ბანდიტიზმის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი» იყვნენ.

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების სათავეში იდგა 1924, 1929 და 1945 წლებში და ადგენდა თავის მთავრობებს, რომლებიც უცვლელად ატარებდნენ ინგლისური იმპერიალიზმის პოლიტიკას.

1945 წელს შექმნილი ლეიბორისტული მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახორციელებს ინგლისელი იმპერიალისტების რეაქციულ პროგრამას. ლეიბორისტების მემარჯვენე ლიდერები არსებითად წარმოადგენენ ამერიკული იმპერიალიზმის აგენტურას, დგანან ანტისაბჭოთა პოზიციაზე და ბრძოლას აწარმოებენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ. — 71.

27 «მ უ შ ა თ ა ა ნ უ შ რ ო მ ი თ ი თ ა ნ ა მ ე გ ო ბ რ ო ბ ა» — «Arbeitsgemeinschaft» («სოციალ-დემოკრატიული შრომის ჯგუფი») — გერმანელი ცენტრისტების ორგანიზაცია; 1916 წლის მარტში შექმნეს რეიხსტაგის იმ დეპუტატებმა, რომლებიც გამოეთიშნენ რეიხსტაგის ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. ამ ჯგუფმა შეადგინა ძირითადი ბირთვი გერმანიის ცენტრისტული დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელიც 1917 წელს შეიქმნა, ამართლებდა აშკარა სოციალ-შოვინისტებს და იცავდა მათთან ერთიანობის შენარჩუნებას. — 72.

28 მ ი ნ ო რ ი ტ ე რ ე ბ ი ა ნ უ ლ ო ნ გ ე ტ ი ს ტ ე ბ ი — საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უმცირესობა, რომელიც შეიქმნა 1915 წელს. ლონგეტისტები (სოციალ-რეფორმისტის ლონგეს მოსახრეები) ადგნენ ცენტრისტულ შეხედულებებს და ატარებდნენ შემთანხმებლურ პოლიტიკას სოციალ-შოვინისტების მიმართ.

პირველი მსოფლიო ომის დროს ლონგეტისტებს ეკავათ სოციალ-პაციფისტური პოზიცია. რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლონგეტისტებმა სიტყვით თავი გამოაცხადეს პროლეტარიატის დიქტატურის მომხრედ, საქმით კი მისი მტრები იყვნენ. ისინი განაგრძობდნენ სოციალ-შოვინისტებთან შერიგების პოლიტიკას, მხარს უჭერდნენ ვერსალის მძარცველურ ზავს. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე, რომელიც შედგა ტურში 1920 წლის დეკემბერში, სადაც მემარცხენე ფრთამ გაიმარჯვა, ლონგეტისტები უმცირესობაში დარჩნენ, აშკარა რეფორმისტებთან ერთად გამოეთიშნენ პარტიას და მიეშხრნენ ეგრეთწოდებულ 2½ ინტერნაციონალს, ხოლო მისი დაშლის შემდეგ დაუბრუნდნენ II ინტერნაციონალს. — 72.

29 «ი ნ გ ლ ი ს ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა» (Independent Labour Party) დაარსდა 1893 წელს. პარტიის სათავეში იდგნენ ჯემს კეირ-ჰარდი, რ. მაკდონალდი და სხვები. დამოუკიდებელი მუშათა პარტია ბურჟუაზიული პარტიებისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრეტენზიას აცხადებდა, ნამდვილად კი იყო «დამოუკიდებელი სოციალიზმისაგან, მაგრამ დამოკიდებული ლიბერა-

ლიზმისაგან» (ლ ე ნ ი ნ ი). მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) დამოუკიდებელი მუშათა პარტია თავდაპირველად გამოვიდა მანიფესტით ომის წინააღმდეგ (1914 წლის 13 აგვისტოს (ახ. სტ.)). შემდეგ 1915 წლის თებერვალში, ანტანტის ქვეყნების სოციალისტების ლონდონის კონფერენციაზე, დამოუკიდებლები შეუერთდნენ კონფერენციაზე მიღებულ სოციალ-შოვინისტურ რეზოლუციას. ამ დროიდან დაწყებული დამოუკიდებლების ლიდერებს, რომლებიც პაციფისტურ ფრაზებს ეფარებოდნენ, სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავათ. კომინტერნის დაარსების შემდეგ 1919 წელს გამომარცხენებული პარტიული მასების გავლენით დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ. 1921 წელს დამოუკიდებლები შეიდნენ ეგრეთწოდებულ 2½ ინტერნაციონალში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ კვლავ შეუერთდნენ II ინტერნაციონალს. — **72.**

30 ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (B. S. P. — British Socialist Party) დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. მისი ბირთვი გახდა 1884 წელს შექმნილი სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია (რომლის სათავეში იდგნენ ჰაინდმანი, ჰარი კველჩი, ტომას მანი და სხვები), რომელმაც შემდეგ სახელი შეიცვალა და დაირქვა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ეწეოდა პროპაგანდასა და აგიტაციას მარქსისტული სულისკვეთებით და წარმოადგენდა «არა ოპორტუნისტულ, ლიბერალებისაგან ნამდვილად დამოუკიდებელ» (ლ ე ნ ი ნ ი) პარტიას. პარტიის მეთაურობა და მასებისაგან მოწყვეტა მას ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) პარტიაში გამოისახა ორი მიმდინარეობა: ერთი — აშკარად სოციალ-შოვინისტური ჰაინდმანის მეთაურობით და მეორე — ინტერნაციონალისტური ა. ინკპინის, ფ. როტშტეინის და სხვების მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტიაში მოხდა გათიშვა. ჰაინდმანი და მისი მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გამოვიდნენ პარტიიდან. ამ დროიდან დაწყებული ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც აწარმოებდნენ ბრძოლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინიციატორი იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს; B. S. P. ორგანიზაციების მეტი ნაწილი შევიდა კომპარტიაში. — **72.**

31 ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ი ს მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ჯ გ უ ფ ი მოაწყო ლენინმა ინტერნაციონალისტების პირველ სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1915 წლის სექტემბრის დამდეგს ციმერვალდში

(შვეიცარია). ამ კონფერენციას ლენინი უწოდებდა ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარების «პირველ ნაბიჯს». ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით ეკავათ ერთადერთი სწორი, ბოლომდე თანმიმდევრული პოზიცია. ამ ჯგუფში შედიოდნენ არათანმიმდეეარი ინტერნაციონალისტებიც. მათი შეცდომების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიებში «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», ««ვანდერველდების» ლოზუნგის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 22, გვ. 385 — 405, 406 — 459 და ტომი 23, გვ. 115 — 129) და ი. ბ. სტალინის წერილში «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», გამოც. მე-11, გვ. 449 — 463). — **73.**

32 «ინტერნაციონალის ჯგუფი» შექმნეს გერმანელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა — კ. ლიბკნეხტმა, რ. ლუქსემბურგმა, კ. ცეტკინმა, ფ. მერინგმა და სხვ. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში. შემდგომ ამ ჯგუფს ეწოდებოდა აგრეთვე «სპარტაკის» კავშირი. სპარტაკელები ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას მასებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ამხელდნენ გერმანული იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. მაგრამ სპარტაკელები, გერმანელი მემარცხენენი, ვერ განთავისუფლდნენ ნახევრადმენშევიკური შეცდომებისაგან თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში: ავითარებდნენ იმპერიალიზმის ნახევრადმენშევიკურ თეორიას, უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მარქსისტულ გაგებას (ესე იგი თვით გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნამდე), უარყოფდნენ იმპერიალიზმის ეპოქაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას, საკმაოდ ვერ აფასებდნენ რევოლუციური პარტიის როლს, ქედს იხრიდნენ მოძრაობის სტიქიურობის წინაშე. გერმანელ მემარცხენეთა შეცდომების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» და სხვ. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 22, გვ. 385 — 405 და ტომი 23, გვ. 22 — 90) და ი. ბ. სტალინის წერილში «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», გამოც. მე-11, გვ. 449 — 463). 1917 წელს სპარტაკელები შევიდნენ «დამოუკიდებელთა» ცენტრისტულ პარტიაში, თუმცა შეინარჩუნეს ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ სპარტაკელებმა კავშირი გაწყვიტეს «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსეს გერმანიის კომუნისტური პარტია. — **73.**

33 «ამერიკის მუშათა სოციალისტური პარტია» შეიქმნა 1876 წელს I ინტერნაციონალის ამერიკული სექციების, ამერიკის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მთელი რიგი სოციალისტური ჯგუფების შეერთების გზით. პარტიის წევრთა უმრავლესობას ემიგრანტები შეადგენდნენ. ამერიკის სოციალისტურ მუშათა პარტიას სექტანტური ხასიათი ჰქონდა, არასდროს არ ჰქონია ფართო კავშირურთიერთობა პროლეტარულ მასებთან. პირველი მსოფლიო ომის წლებში ამერიკის სოციალისტური მუშათა პარტია ინტერნაციონალიზმისაკენ იხრებოდა. — 75.

34 ლენინს მხედველობაში აქვს 1901 წელს დაარსებული ამერიკის სოციალისტური პარტიის (რეფორმისტული, ოპორტუნისტული პარტიის) რევოლუციური უმცირესობა. რევოლუციური უმცირესობა ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა, გამოდიოდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ (1914 — 1918) და რუსეთის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით მან შექმნა მემარცხენე ფრთა, რომელიც 1921 წელს გახდა ამერიკის კომუნისტური პარტიის შექმნის ინიციატორი და ძირითადი ბირთვი.

ამერიკის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე უმრავლესობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914 — 1918) ამართლებდა იმპერიალისტურ ომს და მხარს უჭერდა ამერიკული იმპერიალიზმის პოლიტიკას. ამჟამად ამერიკის სოციალისტური პარტია წარმოადგენს მცირერიცხოვან სექტანტურ ორგანიზაციას, რომელიც შედგება სოციალ-რეფორმისტების, ტროცკისტებისა და მუშათა კლასის სხვა გამცემლებისაგან, და წარმოადგენს ამერიკის რეაქციული იმპერიალისტური წრეების აგენტურას. — 75.

35 «ტრიბუნისტების» პარტიას ლენინი უწოდებს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც შეიქმნა 1909 წელს. თავდაპირველად ტრიბუნისტები წარმოადგენდნენ ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთას, რომელმაც 1907 წელს მოაწყო გაზეთი «ტრიბუნა» («De Tribune») და რომელიც დაჯგუფებული იყო მის გარშემო. 1909 წელს ტრიბუნისტები გარიცხეს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან და მათ მოაწყვეს დამოუკიდებელი პარტია. ტრიბუნისტები წარმოადგენდნენ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას, მაგრამ არ შეიდგინდნენ თანმიმდევრულ რევოლუციურ პარტიას. 1918 წელს ტრიბუნისტები მონაწილეობას იღებდნენ ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის შექმნაში.

გაზეთი «ტრიბუნა» 1909 წლიდან წარმოადგენდა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, ხოლო 1918 წლიდან —

კომუნისტური პარტიის ორგანოს; ოცდაათიანი წლების დამდეგიდან 1940 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით «ფოლკსდახბლადი» («სახალხო გაზეთი»). — 75.

36 შვეიცის ახალგაზრდათა ანუ მემარცხენეთა პარტიას ლენინი უწოდებდა შვეიცის სოციალ-დემოკრატიაში არსებულ მემარცხენე მიმდინარეობას. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში «ახალგაზრდები» იდგნენ ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე, ემხრობოდნენ ციმერვალდის მემარცხენე ფრთას. 1917 წლის მაისში მათ შექმნეს შვეიცის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის ყრილობაზე 1919 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. პარტიის რევოლუციურმა ფრთამ 1921 წელს შექმნა შვეიცის კომუნისტური პარტია, რომელიც შევიდა კომინტერნში. — 75.

37 «ტესნიაკები» — ბულგარეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც დაარსდა 1903 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ. «ტესნიაკების» დამაარსებელი და ბელადი იყო დ. ბლაგოევი, შემდეგ კი «ტესნიაკებს» მეთაურობდნენ ბლაგოევის მოწაფეები — გ. დიმიტროვი, ვ. კოლაროვი და სხვები. 1914 — 1918 წლებში «ტესნიაკები» გამოდიოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. 1919 წელს «ტესნიაკები» შევიდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალში და შექმნეს ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ბულგარეთის მუშათა პარტიად (კომუნისტებისა). — 75.

38 «წინ!» («Avanti!») — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთს ეკავა არათანმიმდევრულ-ინტერნაციონალისტური პოზიცია და კავშირი არ გაუწყვეტია რეფორმისტებთან. ამჟამად გაზეთი გამოდის როგორც იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — 75.

39 აქ მოხსენებული რეზოლუცია დაწერილი იყო ლენინის მიერ და შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სახელით შეტანილ იქნა ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საკანტონო ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 23, გვ. 374 — 375). — 76.

40 «ზარი» («Die Glocke») — ორკვირეული ჟურნალი, სცემდა მიუნხენში, ხოლო შემდეგ ბერლინში 1915 — 1925 წლებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სოციალ-შოვინისტი პარვუსი (გელფანდი) — გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. — 78.

41 ივულისხმება მიმართვა «ხალხებისადმი, რომლებსაც ანადგურებენ და ხოცავენ», მიღებული «ციმერვალდელთა» მეორე საერთაშორისო კონფერენციის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა 1916 წლის 24 — 30 აპრილს (ახ. სტ.) კინტალში (შვეიცარია). კინტალის კონფერენციისა და მის მიერ მიღებული მანიფესტის მნიშვნელობის შეფასება იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 205 — 206. — **78.**

42 «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» («Jugend-Internationale») — ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის ორგანო, რომელიც ემხრობოდა ციმერვალდის მემარცხენე ფრთას; გამოდიოდა ციურიხში 1915 წლის სექტემბრიდან 1918 წლის მაისამდე. — **79.**

43 ლენინს მხედველობაში აქვს მენშევიკების ხმისმიცემა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 7 (20) აპრილის სხდომაზე «თავისუფლების სესხისთვის», რომელიც გამოუშვა დროებითმა მთავრობამ სამხედრო ხარჯების დასაფინანსებლად. — **82.**

44 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1948, გვ. 9 — 27, აგრეთვე კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 386 — 387. — **82.**

45 იხ. კ. მარქსის და ფ. ენგელსის ნაშრომი «გერმანული იდეოლოგია», სადაც მოყვანილია ჰეინეს ეს გამოთქმა (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. IV, 1938, გვ. 507). — **85.**

46 «სოლდატსკაია პრავდა» — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა 1917 წლის 15 (28) აპრილიდან როგორც რუდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის ორგანო, ხოლო 1917 წლის 19 მაისიდან (1 ივნისიდან) გახდა რუდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის ორგანო; 1917 წლის ივლისის დღეებში დახურა დროებითმა მთავრობამ; 1917 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე გამოდიოდა სახელწოდებით «რაბოჩი ი სოლდატ», «სოლდატ». ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაზეთის გამოცემა განახლდა წინანდელი სახელწოდებით და გაგრძელდა 1918 წლის მარტამდე. — **88.**

47 ლენინის ბროშურა «პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები» პეტროგრადში გამოსცა გამომცემლობა «ჟიზნ ი ზნანიემ» 1917 წლის იანვარში ასეთი ქვესათაურით: «განმარტება იმ პლატფორმის პროექტისა, რომელიც

შეადგინა ნ. ლენინმა ბოლშევიკების თათბირებზე განსახილველად. თვით პროექტის დაბეჭდვა შეფერხდა მხოლოდ პეტროგრადში სტამბების ნაკლებობის გამო».

ვ. ი. ლენინის ბროშურა «პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები» დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე ჟურნალში «The Class Struggle» («კლასობრივი ბრძოლა»), ნიუ-იორკი, 1917 წლის ნოემბერი — დეკემბერი, ტომი I, № 4, გვ. 49 — 59, აგრეთვე გაზეთში «New York Evening Post» («ნიუ-იორკის საღამოს ფოსტა») 1918 წლის 15 იანვარს.

1918 წელს მოსკოვში გამოვიდა ბროშურის მეორე გამოცემა ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით. — **93.**

48 «საკონტაქტო კომისია» გამოყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1917 წლის 8 (21) მარტს დროებითს მთავრობასთან კონტაქტის დასამყარებლად, მასზე «გავლენის მოსახდენად» და მისი მოღვაწეობის «კონტროლისათვის». ნამდვილად კი «საკონტაქტო კომისია» ხელს უწყობდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელებას და ცდილობდა შეეკავებინა მუშათა მასები აქტიური რევოლუციური ბრძოლისაგან მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის. «საკონტაქტო კომისიის» შემადგენლობაში შედიოდნენ ჩხეიძე, სტეკლოვი, სუხანოვი, ფილიპოვსკი და სკობელევი (შემდგომ შევიდნენ ჩერნოვი და წერეთელი). «საკონტაქტო კომისიამ» იარსება 1917 წლის მაისამდე, როცა მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები უშუალოდ შევიდნენ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. — **99.**

49 ლენინს მზედველობაში აქვს მიწათმოქმედების მინისტრის ა. ი. შინგარიოვის დეპეშა რიაზანის გუბერნიის რანენბურგის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისადმი. ამ დეპეშით უქმდებოდა აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ გლეხებს იჯარის უფლებით გადასცემოდათ მემამულეთა ის სახნავი მიწები, რომლებიც დაქირავებული შრომით მუშავდებოდა, აგრეთვე დადგენილება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ცხენებისა და თესლის რეკვიზიციის შესახებ მათი ღირებულების გადახდით.

ლენინმა და სტალინმა თავიანთ სტატიებში ამხილეს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ამ ღონისძიების ანტიხალხური ხასიათი (იხ. ვ. ი. ლენინი. «ნებაყოფლობითი შეთანხმება» მემამულეებსა და გლეხებს შორის?», იხ. ეს ტომი, გვ. 145 — 146; ი. ბ. სტალინი. «მიწა გლეხებს», თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 37 — 40). — **105.**

50 «The Times» («დროება») — ინგლისის ბურჟუაზიის კონსერვატიული წრეების გავლენიანი ყოველდღიური გაზეთი; გამოდის ლონდონში 1785 წლიდან. — **114.**

51 იგულისხმება დროებითი მთავრობის დეკლარაცია ომის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში 1917 წლის 28 და 29 მარტს (10 და 11 აპრილს). — **110.**

52 მინსკის სამხედრო ყრილობას ლენინი უწოდებს დასავლეთის ფრონტის ჯარისა და ზურგის სამხედროთა და მუშათა დეპუტატების ყრილობას, რომელიც მიმდინარეობდა მინსკში 1917 წლის 7-დან 16 (20 — 29) აპრილამდე. ყრილობას დაესწრო დაახლოებით 1 200 დელეგატი.

ბოლშევიკები იბრძოდნენ რევოლუციის მხარეზე ჯარისკაცთა მასების გადასაყვანად და ამიტომ მონაწილეობას იღებდნენ ყრილობის მუშაობაში. ყრილობის დელეგატებს შორის მენშევიკების და ესერების პარტიათა წევრების და მათ თანამგრძნობთა სიჭარბემ წინასწარ განსაზღვრა ყრილობის გადაწყვეტილებათა ხასიათი. დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (ომის შესახებ და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ) ყრილობამ მიიღო საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის შემთანხმებლური რეზოლუციები, თათბირისა, რომელიც მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის მარტის დამლევს — აპრილის დამდეგს, ესე იგი ის შეუერთდა «რევოლუციური ობორონცობის» პოზიციას და მიემხრო ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის მხარისდაჭერას. — **118.**

53 ლაპარაკია ლენინის მოხსენებაზე, რომელიც მან გააკეთა საბჭოების სრულიად რუსეთის 1917 წლის 4 (17) აპრილის თათბირის ბოლშევიკი და მენშევიკი დელეგატების გაერთიანებულ კრებაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 3 — 9, 27) — **124.**

54 «დელო ნაროდა» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ივნისამდე, ხშირად იცვლიდა სახელწოდებას. გაზეთის გამოცემა განახლდა 1918 წლის ოქტომბერში სამარაში (გამოვიდა სამი ნომერი) და 1919 წლის მარტში მოსკოვში (გამოვიდა ათი ნომერი). გაზეთი მაშინვე დახურეს კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის. — **127.**

55 მოწოდება «დამრბევთა წინააღმდეგ», რომელიც წარმოადგენს გადამუშავებულ მოწოდებას «ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი» (იხ. ეს ტომი, გვ. 132 — 135), მიღებული იყო რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციის მიერ 1917 წლის

14 (27) აპრილს დღის წესრიგის მეექვსე მუხლის — ««პრავდის» დევნის შესახებ» — რიგგარეშე განხილვის დროს. — 136.

56 მინისტრის ა. ი. შინგარიოვის დეპეშა დაიბეჭდა გაზეთ «დენის» 23-ე ნომერში 1917 წლის 14 აპრილს და იმავე დღეს მოიხსენია «პრავდის» 32-ე ნომრის მოწინავემ.

«დ ე ნ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან ბანკების სახსრებით, მენშევიკ-ლიკვიდატორების მონაწილეობით, რომელთა ხელშიც გაზეთი საესებით გადავიდა 1917 წლის თებერვლის შემდეგ. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს), ამის შემდეგ სხვა სახელწოდებებით გამოდიოდა 1918 წლის მაისამდე.—145.

57 «მ ა ლ ე ნ კ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1914 წლის სექტემბრიდან 1917 წლის ივლისამდე. — 147.

58 რ ს დ მ პ (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს) პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს ს ა ე რ თ ო ს ა ქ ა ლ ა ქ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა მიმდინარეობდა 1917 წლის 14 — 22 აპრილს (27 აპრილს — 5 მაისს). კონფერენციას დაესწრო 57 დელეგატი. კონფერენციის დღის წესრიგი: მიმდინარე მომენტი; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსადმი დამოკიდებულების შესახებ და მისი რეორგანიზაციის საკითხი; პარტიული ორგანიზაციის წყობა; დამოკიდებულება სხვა მიმართულების სოციალ-დემოკრატიისადმი; საქალაქო არჩევნები; «პრავდის» დევნის შესახებ. მიმდინარე მომენტის საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინმა.

კონფერენციამ მოიწონა ლენინის აპრილის თეზისები და საფუძვლად დაუდო ისინი თავის მუშაობას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. — 151.

59 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო — არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის ივნისამდე; გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ მისი გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, შემდეგ ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია შედგენილი იყო, თანახმად რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ლენინის 80 სტატია და შენიშვნა. გაზეთის რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას თანმიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და

ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას თავიანთ ფრაქციულ გაზეთ «ბოლოს სოციალ-დემოკრატში». ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია მარტოვისა და დანის გასვლა 1911 წლის ივნისში «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — **154.**

60 გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა ს ლენინი უწოდებს გლეხთა ორგანიზაციებისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენლების თათბირს, რომელიც მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 12 — 17 (25 — 30) აპრილს. თათბირი მიეძღვნა 1917 წლის 4 — 28 მაისს (17 მაისს — 10 ივნისს) შემდგარი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევისათვის ნაზადებას. — **186.**

61 ლენინს მხედველობაში აქვს სრულიად რუსეთის კოოპერაციული ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1917 წლის 25 — 28 მარტს (7 — 10 აპრილს). ყრილობას დაესწრო დაახლოებით 800 დელეგატი. ყრილობამ განიხილა საკითხები სრულიად რუსეთის კოოპერაციული კავშირის მოწყობის შესახებ, სასურსათო საქმეში კოოპერაციული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ, დამფუძნებელი კრებისათვის მზადების საქმეში კოოპერატივების მონაწილეობის შესახებ და სხვა. ყრილობაზე უპირატესი გავლენა ჰქონდათ მენშევიკებსა და ესერებს. ყრილობამ მხარი დაუჭირა კოოპერატივების მონაწილეობას დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის მზადების საქმეში, დროებითს მთავრობასა და მსოფლიო იმპერიალისტური ომის განგრძობას.

ყრილობის აზრი გლეხთა დეპუტატების საბჭოების, როგორც გლეხობის მასობრივი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმის, მოწყობის შესახებ, რამაც ვ. ი. ლენინის ყურადღება მიიპყრო, გამოითქვა რეზოლუციაში მოხსენების გამო «ქვეყნის განახლების საქმეში კოოპერატივების მონაწილეობის შესახებ». — **186.**

62 «ფ ი ნ ა ნ ს ო ვ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» ყოველდღიურად გამოდიოდა პეტროგრადში 1915 — 1917 წლებში როგორც საღამოს გამოცემა. — **198.**

63 ლენინს მხედველობაში აქვს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის მიერ გამოთქმული აზრი საფრანგეთზე ნარკვევში «საზღვარგარეთ» (იხ. მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 407). — **202.**

64 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 479. — **203.**

65 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1948, გვ. 21 — 22. — **218.**

66 «ნოვაია ჟიზნ» — მენშევიკური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, ორგანო სოციალ-დემოკრატების ეგრეთწოდებული «ინტერნაციონალისტების» ჯგუფისა, რომელიც აერთიანებდა მენშევიკებს — მარტოვის მომხრეებს და ნახევრადმენშევიკური მიმართულების ერთეულ ინტელიგენტებს. «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი მუდამ მერყეობდა შემთანხმებლებსა და ბოლშევიკებს შორის.

«ნოვაია ჟიზნ» გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან; ოქტომბრის რევოლ ციის შემდეგ დიდი ხანი მტრული პოზიცია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და დახურულ იქნა 1918 წლის ივლისში. — **221.**

67 «გაზეტა-კოპეიკა» — ყოველდღიური ბულვარული ტიპის ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1908 წლიდან; დახურეს 1918 წელს. — **237.**

68 «ბირჟევიე ვედომოსტი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო სახელი გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და სინდისგარეცხილობის გამოსახატავად. 1917 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. — **248.**

69 ლენინის ინტერვიუ ე. ტორნიაინენთან გამოქვეყნდა ფინურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში «Työmies» («მუშა») № 122, 1917 წლის 8 მაისს კორესპონდენციაში სათაურით «ინტერვიუ რუსეთის რევოლუციონერებთან» კორესპონდენტის შემდეგი შესავლით:

«„პრავდის» რედაქციაში დამსვდა ამხ. ლენინი, რომლის შესახებაც უკანასკნელ დღეებში ბევრს ლაპარაკობდნენ რუსეთში. დროის უქონლობის გამო ლენინი დათანხმდა მხოლოდ მოკლედ ელაპარაკნა. ჩემს შეკითხვებზე მან მაინც მიპასუხა შემდეგი...».

გაზეთი «Työmies» გამოდიოდა ჰელსინგფორსში 1895 წლის მარტიდან 1918 წლამდე. — **253.**

70 ლენინს მხედველობაში აქვს ავანტიურისტული ტაქტიკა პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრთა მცირე ჯგუფისა (ბოგდატიევი და სხვ.), რომელმაც 1917 წლის აპრილის დემონსტრაციის დროს წამოაყენა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის ლო-

ზუნგი, მიუხედავად პარტიის მითითებისა იმ პერიოდში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესახებ. ამ ჯგუფის საქციელი დაგმო რსდმპ (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა. — **255.**

71 რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 24 — 29 აპრილს (7 — 12 მაისს). კონფერენციას დაესწრო 133 დელეგატი გადამწყვეტი და 18 სათათბირო ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 80 ათას წევრს. ეს იყო ბოლშევიკების პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელსაც პარტიული ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა.

ლენინი გამოდიოდა მოხსენებებით და სიტყვებით კონფერენციის დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე. კონფერენციამ მიიღო ლენინის პროექტები რეზოლუციებისა ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიმდინარე მომენტის შესახებ, პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ, აგრარულ საკითხზე, წვრილბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანების შესახებ, საბჭოების შესახებ, ნაციონალურ საკითხზე და ბორგბიერგის წინადადების გამო.

სტალინი კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით მიმდინარე მომენტის საკითხზე ლენინის რეზოლუციის დასაცავად და მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე. ლენინმა და სტალინმა ამხილეს კაპიტულანტური, მენშევიკური პოზიცია კამენევისა და რიკოვისა, რომლებიც კონფერენციაზე ილაშქრებდნენ სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ; კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს შეხედულებები პიატაკოვისა, რომელიც გამოდიოდა ნაციონალურ საკითხში პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ და რომელსაც ჯერ კიდევ ომის წლებში ბუხარინთან ერთად ნაციონალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. პიატაკოვი და ბუხარინი ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგნი იყვნენ. ლენინმა გადაჭრით დაგმო ზინოვიევის გამოსვლა, რომელიც მხარს უჭერდა ბოლშევიკების თანამშრომლობას ციმერვალდელებთან და წინააღმდეგი იყო ახალი, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებისა.

აპრილის კონფერენციამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო ლენინის აპრილის თეზისები, განსაზღვრა პარტიის ხაზი რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში და პარტიას მისცა ბრძოლის გეზი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის. აპრილის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 231 — 236. — **257.**

72 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 264. — **276.**

73 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 105 — 106. — **277.**

74 ამ კონფერენციის მოწვევის საკითხი წარმოიშვა 1917 წლის აპრილში. პეტროგრადში ჩამოვიდა დანიელი სოციალ-დემოკრატი ბორგბიერგი და დანიის, ნორვეგიისა და შვეციის მუშათა პარტიების გაერთიანებული კომიტეტის სახელით რუსეთის სოციალისტურ პარტიებს სთხოვა მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაში, რომლის მოწვევა განზრახული იყო სტოკჰოლმში ზავის დადების საკითხზე. მენშევიკებმა და ესერებმა მიიღეს ბორგბიერგის წინადადება. ლენინის ინიციატივით აპრილის კონფერენციამ გადაჭრით უარყო ეს წინადადება, ამხილა ბორგბიერგი როგორც გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. — **286.**

75 1903 წელს რსდმ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამის შეცვლის საკითხი ლენინმა დააყენა ჯერ კიდევ აპრილის თეზისებში. სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციამ ლენინის წინადადებით მიიღო ზოგადი ხასიათის რეზოლუცია პროგრამის შეცვლის საჭიროების შესახებ, განსაზღვრა ამ ცვლილებათა ძირითადი მიმართულება და მოუწოდა პარტიის წევრებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ახალი პროგრამის შემუშავების საქმეში. ამ მიზნით მალე კონფერენციის შემდეგ გამოიცა ბროშურა «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» ვ. ი. ლენინის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

პარტიის ახალი პროგრამის დამუშავება დამთავრდა უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და ეს პროგრამა მიღებულ იქნა რკპ(ბ) VIII ყრილობაზე, 1919 წლის მარტში. — **324.**

76 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 25. — **325.**

77 წიგნი, რომელიც მეფის ცენზურამ დაწვა, — ეს არის ლენინის ნაშრომი «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში», რომელიც მან დაწერა 1907 წლის დამლევს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 13, გვ. 265 — 540). 1908 წელს წიგნი დაიბეჭდა პეტერბურგში, მაგრამ სტამბაშივე კონფისკაცია გაუკეთა და მოსპო პოლიციამ. გადარჩა ძხოლოდ ერთი ეგზემპლარი. წიგნი პირველად გამოქვეყნდა 1917 წელს. — **331.**

78 ლაპარაკია სტოკჰოლმის 1917 წლის 18 მაისისათვის ნავარაუდევ და 1917 წლის აგვისტოში შემდგარ სოციალისტ-ინტერნაციონალისტების მესამე კონფერენციაში მონაწილეობაზე. აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად ბოლშევიკებმა მონაწილეობა

მიიღეს მასში. ლენინი არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას და წინააღმდეგ მისცა ხმა რეზოლუციას ინტერნაციონალში არსებული ვითარებისა და რსდმპ(ბ) ამოცანების შესახებ. ლენინი შესაძლებლად ცნობდა ამ კონფერენციაში ბოლშევიკების მონაწილეობას მხოლოდ ინფორმაციული მიზნით, რაზედაც წერდა ჯერ კიდევ ბროშურაში «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში» (იხ. ეს ტომი, გვ. 79). ამ ბროშურის ბოლოსიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 1917 წლის მაისში, ლენინი აღნიშნავდა კონფერენციის ამ გადაწყვეტილების მცდარობას (იხ. ეს ტომი, გვ. 88 — 90). — **358.**

79 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 105 — 106. — **361.**

80 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 110 — 111. — **382.**

81 ლაპარაკია იმაზე, რომ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელსაც იმ პერიოდში მენშევიკები და ესერები ხელმძღვანელობდნენ, გამოიტანა დადგენილება — მიეღო მონაწილეობა ზავის საკითხის შესახებ მეომარი ქვეყნების სოციალისტების კონფერენციის მომზადებაში. კონფერენციის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნოდა გერმანიის იმპერიალიზმის აგენტს დანიელ სოციალდემოკრატს ბორგბიერგს. რსდმპ(ბ) აპრილის კონფერენციაზე ლენინმა მკაცრად გაილაშქრა ბორგბიერგის წინადადების წინააღმდეგ და ამხილა მისი იმპერიალისტური ხასიათი. კონფერენციამ მიიღო ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია (იხ. ეს ტომი, გვ. 291 — 294). განზრახული კონფერენცია არ შედგა. — **385.**

82 «პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს მ ხ ა რ ე» — პეტროგრადის რაიონი, სადაც იყო ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები, რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია, ჯარისკაცთა კლუბი და მუშათა და ჯარისკაცთა სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მოთავსებული იყო ქშესინსკაიას ყოფილ სასახლეში. — **389.**

83 «დ ა მ ა მ შ ვ ი დ ე ბ ე ლ ქ ა ღ ა ლ დ ს» ლენინი უწოდებს დროებითი მთავრობის ცნობას, გამოქვეყნებულს ცენტრალურ გაზეთებში 1917 წლის 22 აპრილს (5 მაისს), რომელშიც «განმარტებული» იყო საგარეო საქმეთა მინისტრის პ. ნ. მილიუკოვის 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტა. ამ «განმარტებით» დროებითს მთავრობას სურდა დაეფარა იმპერიალისტური ხასიათი ნოტისა, რომელშიც გამოცხადებული იყო ომის განგრძობა «საბოლოო გამარჯვებამდე», და დაეშშვიდებინა აღშფოთებული მასები. — **395.**

84 საფრანგეთის «რადიკალური და რადიკალურ-სოციალისტური პარტია», რომელიც ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 1901 წელს, გამოხატავდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს. ლენინი აღნიშნავდა, ფრანგი რადიკალ-სოციალისტები «იმიტომ «ეომებოდნენ» ფრანგ კადეტებს, რომ, როცა მინისტრები გახდებოდნენ, სავსებით ისევე მოქცეულიყვნენ, როგორც ფრანგი კადეტებიო». — 417.

85 იგულისხმება IV სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო თათბირი, რომელიც შედგა პეტროგრადში 1917 წლის 4 (17) მაისს; თათბირს დაესწრო ყველა ფრაქციის დაახლოებით ასი დეპუტატი, გარდა ბოლშევიკებისა. — 433.

86 «ვეჩერნეე ვრემია» — რეაქციული მიმართულების ყოველდღიური საღამოს გაზეთი, რომელიც დააარსა ა. ს. სუვორინმა; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლიდან 1917 წლამდე. — 438.

87 ლენინი გულისხმობს იმას, რომ 1917 წლის 5 (18) მაისს შექმნილი კოალიციური დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ «სოციალისტური» პარტიების წარმომადგენლები: ი. გ. წერეთელი და მ. ი. სკობელევი — მენშევიკებისგან; ა. თ. კერენსკი და ვ. მ. ჩერნოვი — ესერებისგან; პ. ნ. პერევერზევი (ესერებთან ახლოს მდგომი) და ა. ვ. პეშეხონოვი — «სახალხო სოციალისტების» პარტიისგან. — 460.

88 «მეჟრაიონელები» — სოციალ-დემოკრატების იმ რაიონთაშორისო ორგანიზაციის წევრები, რომელიც წარმოიშვა პეტერბურგში 1913 წელს. მასში შედიოდნენ ტროცკისტი-მენშევიკები და პარტიისგან გამოთიშული ყოფილი ბოლშევიკების ნაწილი. პირველი მსოფლიო ომის დროს «მეჟრაიონელებს» ეკავათ ცენტრისტული პოზიცია, ისინი იბრძოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1917 წელს «მეჟრაიონელებმა» განაცხადეს, ვეთანხმებით ბოლშევიკური პარტიის ხაზსო. ამიტომ პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში 1917 წლის მაისში ბოლშევიკები გამოდიოდნენ «მეჟრაიონელებთან» ბლოკში. პარტიის VI ყრილობაზე «მეჟრაიონელები» მიღებულ იქნენ რსდმპ(ბ)-ში. «მეჟრაიონელების» ნაწილი ტროცკის მეთაურობით პარტიის შენიღბული მტრები იყვნენ და შემდგომ მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები. — 468.

89 «ახალი» კოალიციური დროებითი მთავრობის დეკლარაცია გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში 1917 წლის 6 (19) მაისს. ამ დოკუმენტის მე-3 პარაგრაფში ნათქვამი იყო: «დროებითი მთავრობა განუხრელად და გადაჭრით იბრძოლებს ქვეყნის სამეურნეო ნგრევის

წინააღმდეგ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შემდგომი გეგმაშეწონილი განხორციელებისათვის წარმოების, ტრანსპორტის, პროდუქტების გაცვლა-გამოცვლისა და განაწილების მიმართ, ხოლო საჭირო შემთხვევაში მიმართავს წარმოების მოწყობასაც». — **476.**

90 იხ. კლაუზევიცი. «ომის შესახებ», ტ. I, მე-5 გამოცემა, 1941, გვ. 43. — **480.**

91 **«L'Humanité»** («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც დააარსა ჟ. ჟორესმა 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) გაზეთი იყო საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში და სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის ცოტა ხნის შემდეგ ეს გაზეთი მისი ორგანო გახდა; ამჟამადაც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **485.**

92 «ზ ე მ ლ ი ა ი ვ ო ლ ი ა» — ესერების გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მაისამდე. — **490.**

93 ც ი ვ ი ლ უ რ ფ უ რ ც ე ლ ს კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოებში უწოდებენ სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ნაწილს, რომელსაც გაიღებენ ხოლმე მონარქისა და მისი კარის შესანახად. — **497.**

94 ფ რ ო ნ ტ ი ს დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მ, რომელიც მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 12 — 17 (25 — 30) მაისს, განიხილა შემდეგი საკითხები: ომის შესახებ, ფრონტზე ჯარისკაცთა დაძმობილების შესახებ, დეზერტირების შესახებ, სამხედრო ტყვეების შესახებ და სხვა. ყრილობამ სურვილი გამოთქვა, სანამ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო შეიქმნებოდეს. პეტროგრადის საბჭოსთან მოეწყოს საფრონტო სექციაო. ყრილობა განიცდიდა მენშევიკებისა და ესერების გავლენას, წინააღმდეგ წავიდა ფრონტზე ჯარისკაცთა დაძმობილებისა და მხარი დაუჭირა ომის განგრძობას. — **509.**

95 «პ რ ი ბ ო ი» — ბოლშევიკური ლეგალური გამომცემლობა; დაარსდა პეტერბურგში 1913 წლის დამდეგს და იარსება 1914 წლის ზაფხულამდე; კვლავ განაახლა მუშაობა 1917 წელს.

«პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ბოლშევიკური თეორიული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 — 1914 წლებში. ჟურნა-

ლის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ ლენინი და სტალინი. 1917 წლის შემოდგომაზე გამოვიდა ჟურნალის 1 — 2 ნომერი. ამით მისი გამოცემა შეწყდა. ლენინის მიერ ჟურნალ «კომმუნისტის» მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ განზრახული იყო ჟურნალის გამოცემა «პროსვეშჩენიეს» ან «კომმუნისტის» სახელწოდებით. — **522.**

96 მ უ ჟ ი კ ვ რ ე დ ნ ი — ფსევდონიმი პოეტ ე. ა. პრიდვოროვისა, რომელიც ფართოდაა ცნობილი მეორე ფსევდონიმით — დემიან ბედნი. — **527.**

97 ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მაისიდან დეკემბრამდე; გამოხატავდა ესერების მემარჯვენე ფრთის შეხედულებებს. — **548.**

98 ლენინი მიუთითებს თავის სტატიას «ერთი პრინციპული საკითხი» (იხ. ეს ტომი, გვ. 652 — 653), რომელშიც მოყვანილია ციტატი ფ. ენგელსის ნაშრომიდან «1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 110 — 111). — **556.**

99 გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 4 — 28 მაისს (17 მაისს — 10 ივნისს). ყრილობას დაესწრო 1 115 დელეგატი გუბერნიებისგან და ჯარის ნაწილებისგან. ბოლშევიკები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყრილობის მუშაობაში, ამხელდნენ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობას. მაგრამ ესერების სიჭარბემ განსაზღვრა ყრილობის ყველა გადაწყვეტილების ხასიათი. ყრილობამ მოიწონა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკა და დროებითს მთავრობაში «სოციალისტების» შესვლა, მხარი დაუჭირა ომის განგრძობას «საბოლოო გამარჯვებამდე» და შეტევას ფრონტზე. ყრილობამ გაილაშქრა მემამულეთა მიწების გლეხებისთვის დაუყოვნებლივ გადაცემის წინააღმდეგ და მიწის საკითხის გადაჭრა გადადო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. — **583.**

100 მ თ ა ვ ა რ ი ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ შექმნა 1917 წლის აპრილში. მთავარ საადგილმამულო კომიტეტს ეკისრებოდა მიწის რეფორმისთვის მასალების შეგროვებისა და დამუშავების საერთო ხელმძღვანელობა. ნამდვილად კი მთავარი საადგილმამულო კომიტეტის ძირითადი დანიშნუ-

ლება იყო ბრძოლა მემამულეთა მიწების დასატაცებლად აღმდგარ გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ.

მთავარი საადგილმამულო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ მიწათმოქმედების სამინისტროს ხელმძღვანელები და მთავრობის მიერ დანიშნული სხვა მოხელეები, საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მის წევრთა დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა კადეტებსა და ესერებს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მთავარი საადგილმამულო კომიტეტი ბრძოლას აწარმოებდა მიწის ლენინური დეკრეტის განხორციელების წინააღმდეგ და დაშლილ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით 1917 წლის დეკემბერში. — **588.**

101 «ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ო ბ შ ჩ ე ს ტ ვ ე ნ ნ ო გ ო გ რ ა დ ო ნ ა ჩ ა ლ ს ტ ვ ა» — ყოველდღიური გაზეთი, ქ. პეტროგრადის ქალაქის უფროსის სამმართველოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა 1917 წლის 8 (21) მარტიდან როგორც გაგრძელება გაზეთისა «ვედომოსტი სანკტ-პეტერბურგსკოი გოროდსკოი პოლიციი», რომელიც გამოდიოდა 1839 წლიდან და ხშირად იცვლიდა სახელწოდებას. 1917 წლის 22 ივნისიდან (5 იელისიდან) გაზეთმა დაირქვა «ვესტნიკ გოროდსკოგო სამოუპრავლენია». გაზეთი სავსებით უჭერდა მხარს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკას. დახურეს მალე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — **613.**

102 «ე დ ი ნ ს ტ ვ ო ს» ჯ გ უ ფ ი — ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 1917 წლის მარტში. მასში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა გ. ვ. პლეხანოვს, გ. ა. ალექსინსკის და ყოფილ ლიკვიდატორებს ა. ფ. ბურიანოვსა და ნ. ი. იორდანსკის. «ედინსტვოს» ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა უკიდურეს მემარჯვენე მენშევიკ-ობორონცებს, უსიტყვოდ უჭერდა მხარს ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობას, მოითხოვდა იმპერიალისტური ომის განგრძობას «სრულ გამარჯვებამდე» და შავრაზმელებთან ერთად დევნიდა ბოლშევიკებს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ კონტრრევოლუციურ «სამშობლოსა და რევოლუციის ხსნის კომიტეტში». — **617.**

103 «რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ნ გ რ ე ვ ა ს თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ებ» დაწერილი იყო ლენინის მიერ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციისთვის, რომელიც უნდა შემდგარიყო, და 1917 წლის 25 მაისს (7 ივნისს) გამოქვეყნდა მოსკოვის ბოლშევიკურ გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით. 1917 წლის 1 (14) ივნისს რეზოლუ-

ცია მიიღო ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ და მეორე დღეს გამოქვეყნდა «პრავდის» 71-ე ნომერში. — **622.**

104 ლენინს საკუთარი თარგმანით მოჰყავს ციტატი ფ. ენგელსის ნაშრომიდან «1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 110 — 111). — **653.**

105 იგულისხმება საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების საპასუხო ნოტები დროებითი მთავრობის 1917 წლის 27 მარტის (9 აპრილის) დეკლარაციაზე და 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტაზე ომის შესახებ. საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების საპასუხო ნოტების შესახებ ცნობები პრესაში გამოქვეყნდა 1917 წლის 27 და 28 მაისს (9 და 10 ივნისს). — **663.**

106 იხ. ა. ი. გერცენი. თხზულებათა და წერილთა სრული კრებული, ტ. XVI, 1920, გვ. 126. — **692.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1917* წლის აპრილი — ივნისი)

აპრილი, 3 (16). ლენინი შვეიცარიიდან ბრუნდება რუსეთში. სადგურ-ბელოოსტროვში მას ეგებება პეტროგრადის მუშათა დელეგაცია ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ვაგზალზე ლენინი წარმოთქვამს მოკლე მისასალმებელ სიტყვას.

გვიან საღამოს ლენინი ჩამოდის პეტროგრადში. ფინეთის ვაგზალზე პეტროგრადის მუშები, ჯარისკაცები და მატროსები საზეიმო შეხვედრას უმართავენ ლენინს.

ვაგზლის წინ მოედანზე ლენინი ჯავშნიანი ავტომანქანიდან წარმოთქვამს სიტყვას, მიესალმება რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატს და ჯარს და მოუწოდებს მათ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლისაკენ.

აპრილი, 3 (16) ღამით. ლენინი მონაწილეობას იღებს მისი ჩამოსვლის გამო ქშესინსკაიას სასახლეში გამართულ პეტროგრადის პარტიულ მუშაკთა საზეიმო კრებაში; წარმოთქვამს სიტყვას ბოლშევიკების პარტიის ახალი ამოცანების შესახებ.

აპრილი, 4 (17). ლენინი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის მონაწილე ბოლშევიკების კრებაზე აკეთებს მოხსენებას, რომელშიც აქვეყნებს და განმარტავს თავის თეზისებს რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანების შესახებ (აპრილის თეზისები).

ლენინი მეორედ გამოდის მოხსენებით და კითხულობს თავის თეზისებს საბჭოების თათბირის მონაწილე ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებულ სხდომაზე.

აპრილი, 5 (18). «პრავდის» 24-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის მოხსენება, რომელიც წარედგინა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სათაურით: «როგორ ჩამოვედით».

აპრილი, 6 (19). «პრავდის» 25-ე ნომერში ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ ემიგრაციიდან დაბრუნებული ლენინი, ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრი, შევიდა «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში.

ლენინის სტატია «ორი სამყარო» ქვეყნდება «პრავდის» 25-ე ნომერში.

აპრილი, 7 (20). ლენინის სტატია «პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში», რომელიც შეიცავს აპრილის განთქმულ თეზისებს, ქვეყნდება «პრავდის» 26-ე ნომერში.

აპრილი, 8 (21). ლენინის სტატია «ლუიბლანელობა» ქვეყნდება «პრავდის» 27-ე ნომერში.

აპრილი, 9 (22). ლენინის სტატია «ორხელისუფლებიანობის შესახებ» ქვეყნდება «პრავდის» 28-ე ნომერში.

აპრილი, 8 და 13 (21 და 26) შუა. ლენინი წერს ბროშურას «წერილები ტაქტიკაზე». ბროშურა გამოდის 1917 წლის აპრილის დამლევს.

აპრილი, 10 (23). ლენინმა დაამთავრა ბროშურა «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში (პროლეტარული პარტიის პლატფორმის პროექტი)». ბროშურა გამოვიდა 1917 წლის სექტემბერში.

ლენინი გამოდის მიტინგზე იზმაილოვის პოლკში სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ.

აპრილის დამდეგი. ლენინი წერს ბროშურას «პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები». ბროშურა გამოდის 1917 წლის ივნისში.

აპრილი, 12 (25). ლენინის სტატია «კაპიტალისტების ურცხვი სიცრუე» ქვეყნდება «პრავდის» 30-ე ნომერში.

აპრილი, 13 (26). ლენინის სტატიები «ომი და დროებითი მთავრობა» და ««რუსსკაია ვოლიას» კვალდაკვალ» ქვეყნდება «პრავდის» 31-ე ნომერში.

აპრილი, 14 (27). ლენინის სტატიები «სიცრუის კავშირი», «ბანკები და მინისტრები» და «დიდმნიშვნელოვანი მხილება» ქვეყნდება «პრავდის» 32-ე ნომერში.

აპრილი, 11 და 14 (24 და 27) შუა. ლენინი წერს მოწოდებას «ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი» იმასთან დაკავშირებით, რომ ბურჟუაზიულმა გაზეთებმა სიცრუისა და ცილისწამების კამპანია გააჩაღეს რუსეთში დაბრუნებული პოლიტიკური ემიგრანტების გერმანიაზე გამოვლის გამო.

აპრილი, 15 (28). «პრავდის» 33-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «მოქალაქენო! გაიგეთ, რა ოინებს მიმართავენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები!», ««ნებაყოფლობითი შეთანხმება» მემამულეებსა და გლეხებს შორის?» და «პატიოსანი ხმა ცილისმწამებელთა გუნდში».

ლენინის სტატია «ჯარისკაცები და მიწა» ქვეყნდება «სოლდატსკაია პრავდას» 1-ლ ნომერში.

ლენინი გამოდის ჯავშნიანი დივიზიონის ჯარისკაცების მიტინგზე მიხეილის მანეჟში სიტყვით, რომელშიც ამხელს დროებითი მთავრობის მიერ მტაცებლური ომის განგრძობის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

აპრილი, 14 — 22 (27 აპრილი — 5 მაისი). რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენცია. ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს კონფერენციის მუშაობაში; მას ირჩევენ კონფერენციის საპატიო თავმჯდომარედ.

აპრილი, 14 (27). კონფერენციის პირველ სხდომაზე ლენინი გამოდის მოხსენებით და საბოლოო სიტყვით მიმდინარე მომენტისა და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხზე.

	კონფერენცია იღებს ლენინის მიერ დაწერილ მოწოდებას «დამრბევთა წინააღმდეგ. მუშებს, ჯარისკაცებსა და პეტროგრადის მთელ მოსახლეობას»; მოწოდება ქვეყნდება 15 აპრილის «პრავდაში» № 33 რსდმპ(ბ) ცენტრალური და პეტერბურგის კომიტეტების ხელმოწერით.
აპრილი, 15 (28).	კონფერენციის მეორე სხდომაზე ლენინი ორჯერ გამოდის და იცავს პროექტს რეზოლუციისას დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ. კონფერენცია იღებს ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას.
აპრილი, 22 (მაისი, 5).	კონფერენციის მეოთხე სხდომაზე ლენინი გამოდის კამათში კომუნალური არჩევნების საკითხზე. კონფერენცია იღებს მის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას.
არა უგვიანეს 22 აპრილისა (5 მაისისა).	ლენინი წერს პროექტს პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციის რეზოლუციისას სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიებისადმი, ეგრეთწოდებული «არაფრაქციული» სოციალ-დემოკრატების პარტიისა და სხვ. მონათესავე პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი დამოკიდებულების შესახებ. რეზოლუცია მიღებულ იქნა კონფერენციის მეოთხე სხდომაზე.
აპრილი, 22 (მაისი, 5).	ლენინის მიერ წამოყენებული პროექტი რეზოლუციისა ომის შესახებ კონფერენციის მეოთხე სხდომაზე მიღებულ იქნა საფუძვლად რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციაზე შესატანად.
აპრილი, 16 (29).	ლენინის სტატიები «გლეხთა დეპუტატების ყრილობა» და «ემიგრანტების დაბრუნებისათვის» ქვეყნდება «პრავდის» 34-ე ნომერში.
აპრილი, 17 (30).	პეტროგრადის საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სხდომაზე ლენინი გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის საკითხზე.

აპრილი, 18 (მაისი, 1).

ლენინის სტატია «ჩვენი შეხედულებანი. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომისიის რეზოლუციის პასუხად» ქვეყნდება «პრავდის» 35-ე ნომერში.

ლენინი მარსის მინდორზე დემონსტრანტების წინაშე გამოდის სიტყვით პირველი მაისის მნიშვნელობისა და რუსეთის რევოლუციის ამოცანების შესახებ.

ლენინი გამოდის სიტყვით ოხტენის ქარხნის მუშების საპირველმაისო მიტინგზე.

აპრილი, 20 (მაისი, 3).

ლენინის სტატიები «როგორ გამოებნენ ისინი კაპიტალისტებს», «პროლეტარული მილიციის შესახებ» და «კრახი?» ქვეყნდება «პრავდის» 36-ე ნომერში.

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი იღებს ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის შესახებ და «მოწოდებას ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი», რომლებიც ქვეყნდება «პრავდის» 37-ე ნომერში 4 მაისს (21 აპრილს).

აპრილი, 21 (მაისი, 4).

«პრავდის» 37-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «დროებითი მთავრობის ნოტა», «ერთ-ერთი ძირითადი საკითხი (როგორ მსჯელობენ ბურჟუაზიის მხარეზე გადასული სოციალისტები)», «ხატებით ზარბაზნების წინააღმდეგ, ფრაზებით კაპიტალის წინააღმდეგ», «მოქალაქე ვ. ჩერნოვის ლოგიკა» და «ბ-ნ პლეხანოვის უხეირო ცდები თავის დაძვრენისა».

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი იღებს ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას პარტიის ამოცანების შესახებ დროებითი მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით. რეზოლუცია ქვეყნდება «პრავდის» 38-ე ნომერში 5 მაისს (22 აპრილს).

აპრილი, 22 (მაისი, 5).

«პრავდის» 38-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «კეთილსინდისიერმა ობორონცობამ თავი იჩინა». «უგუნური კაპიტალისტები თუ სოციალ-დემოკრატიის ბრიყვები?» და «შინგარიოვის რჩევა ანუ ბრძანება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ერთი ადგილობრივი საბჭოს რჩევა».

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი იღებს ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას აპრილის კრიზისის შედეგების შესახებ. რეზოლუცია ქვეყნდება «პრავდის» 39-ე ნომერში 6 მაისს (23 აპრილს).

აპრილი, 23 (მაისი, 6). «პრავდის» 39-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «კრიზისის გაკვეთილები», «როგორ აბნევენ ნათელ საკითხს?» და «რა მიაჩნიათ «სამარცხვინოდ» კაპიტალისტებს და რა — პროლეტარებს».

ლენინი ინტერვიუს აძლევს ე. ტორნიაინენს, ფინური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის «Työmies» («მუშა») რედაქტორს.

ლენინი ესწრება სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მონაწილეთა წინასწარ თათბირს; გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ.

აპრილი, 25 (მაისი, 8). ლენინის სტატია «უჭკუო გესლიანობა» ქვეყნდება «პრავდის» 40-ე ნომერში.

აპრილი, 24 — 29 (მაისი, 7 — 12). რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია. ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს კონფერენციის მუშაობაში; ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

აპრილი, 24 (მაისი, 7). ლენინი ხსნის კონფერენციას მოკლე შესავალი სიტყვით.

კონფერენციის პირველ სხდომაზე ლენინი გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ და შეაქვს პროექტები რეზოლუციებისა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ და ომის შესახებ.

ი. ბ. სტალინი გამოდის დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ ლენინის რეზოლუციის პროექტის დასაცავად.

კონფერენციის საღამოს სხდომაზე ლენინი წარმოთქვამს საბოლოო სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების გამო.

აპრილი, 24 (მაისი, 7). ლენინს და სტალინს ირჩევენ რეზოლუციების სარედაქციო კომისიაში.

აპრილი, 25 (მაისი, 8). კონფერენციის მესამე სხდომაზე ლენინი გამოდის სიტყვით საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის პროექტის გამო და შეაქვს რეზოლუციის პროექტი, რომელსაც ამტკიცებს კონფერენცია.

კონფერენციის მეოთხე სხდომაზე ლენინი ორჯერ გამოდია კამათში საბჭოებისადმი დამოკიდებულების საკითხზე.

აპრილი, 25 — 26 (მაისი, 8 — 9). ლენინი წერს «საბჭოების შესახებ რეზოლუციის თეზისების მონასახს».

აპრილი, 26 და 27 (მაისი, 9 და 10). ლენინი და სტალინი მონაწილეობას იღებენ კონფერენციის რეზოლუციების სარედაქციო კომისიის მუშაობაში.

აპრილი, 27 (მაისი, 10). ლენინი მონაწილეობას იღებს სექციების მუშაობაში; პარტიული პროგრამის გადასინჯვის სექციაში შეაქვს პროგრამის თეორიული და პოლიტიკური ნაწილების ცვლილებათა პროექტი.

ლენინსა და სტალინს ნაციონალური საკითხის სექციაში შეაქვთ რეზოლუციის მათ მიერ შედგენილი პროექტი.

კონფერენციის მეექვსე სხდომაზე ლენინი სარეზოლუციო კომისიის სახელით გამოდის ომის შესახებ რეზოლუციის დასაცავად. კონფერენცია იღებს ლენინის მიერ შეტანილ რეზოლუციას.

აპრილი, 28 (მაისი, 11). კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე ლენინი გამოდის ორი მოხსენებით: პარტიული პროგრამის გადასინჯვის საკითხზე და აგრარულ საკითხზე; შეაქვს მის მიერ დაწერილი და სექციების მიერ მოწონებული პროექტები რეზოლუციებისა ორივე საკითხზე, რომლებსაც იღებს კონფერენცია.

აპრილი, 29 (მაისი, 12). კონფერენციის მერვე სხდომაზე იღებენ ლენინის ორ რეზოლუციას წვრილბურჟუაზიული ობორონცული

ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების ფაერთიანების შესახებ და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ.

კონფერენციის მეცხრე სხდომაზე ლენინს და სტალინს ირჩევენ რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებად.

ლენინი გამოდის იმ დებულებათა დასაცავად, რომლებსაც ავითარებს სტალინი მოხსენებაში ნაციონალურ საკითხზე; კონფერენცია იღებს ლენინისა და სტალინის მიერ შეტანილ რეზოლუციას.

ლენინი გამოდის სიტყვით ინტერნაციონალში არსებული ვითარების შესახებ ზინოვიევის მიერ შეტანილი რეზოლუციის წინააღმდეგ.

ლენინი გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ რეზოლუციის დასაცავად. კონფერენცია იღებს ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას.

კონფერენციის დახურვისას ლენინი გამოდის საბოლოო სიტყვით.

აპრილი, 28 (მაისი, 11). ლენინის სტატიები: «დაძმობილების მნიშვნელობა» და «სით მივყავართ დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ ნაბიჯებს» ქვეყნდება «პრავდის» 43-ე ნომერში.

აპრილი, 29 (მაისი, 12). ლენინის სტატიები: «სოციალ-შოვინისტები და ინტერნაციონალისტები», «ი. გ. წერეთელი და კლასობრივი ბრძოლა» და «წუხილი» ქვეყნდება «პრავდის» 44-ე ნომერში.

მაისი, 2 (15). ლენინის სტატიები: ««ხელისუფლების კრიზისი»» და «ფინეთი და რუსეთი» ქვეყნდება «პრავდის» 46-ე ნომერში.

მაისი, 3 (16). ლენინის სტატიები: «იმპერიალიზმის დაცვა, დაფარული კეთილი ფრაზებით» და «სავალალო დოკუმენტი» ქვეყნდება «პრავდის» 47-ე ნომერში.

«სოლდატსკაია პრავდას» მე-13 ნომრის დამატებაში ქვეყნდება რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციები ლენინის მიერ დაწერილი შესავლით.

მაისი, 4 (17). ლენინის სტატია «ხალხის დაფრთხობა ბურჟუაზიული შიშით» ქვეყნდება «პრავდის» 48-ე ნომერში.

მაისი, არა უადრეს 4 (17) რიცხვისა. ლენინი წერს თეზისებს იმ დეკლარაციის გამო, რომელიც დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ.

მაისი, 5 (18). ლენინის სტატიები: «წინადღე» და «უმთავრესი დაივიწყეს (პროლეტარიატის პარტიის მუნიციპალური პლატფორმა)» ქვეყნდება «პრავდის» 49-ე ნომერში.

მაისი, 7 (20). ლენინი წერს განაწესს იმ პირთათვის, რომლებსაც ქარხნებსა და პოლკებში ირჩევენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატებად.

მაისი, 6 (19). «პრავდის» 50-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «კლასობრივი თანამშრომლობა კაპიტალთან თუ კლასობრივი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ?», «მტკიცე რევოლუციური ხელისუფლების შესახებ», «საჩუქრად ახალშობილ... «ახალ» მთავრობას» და ««ახალი» მთავრობა უკვე ჩამორჩა არა მარტო რევოლუციურ მუშებს, არამედ გლეხობის მასასაც».

მაისი, 7 (20). ლენინის სტატია «გზას უჭრიან» ქვეყნდება «პრავდის» 51-ე ნომერში.

ლენინი წერს «ღია წერილს გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებისადმი», წერილი ქვეყნდება «სოლდატსკაია პრავდას» მე-14 ნომერში 1917 წ. 24 (11) მაისს.

მაისი, 8 (21). რსდმპ(ბ) წევრთა პეტროგრადის საერთო საქალაქო კრებაზე ლენინი გამოდის მოხსენებით აპრილის კონფერენციის შედეგების შესახებ.

მაისი, 9 (22). ლენინის სტატია ««ფაქტიური დროებითი ზავი»» ქვეყნდება «პრავდის» 52-ე ნომერში.

მაისი, 10 (23). «პრავდის» 53-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «საგარეო პოლიტიკის საიდუმლოებანი», «ერთი საიდუმლო ხელშეკრულებათაგანი», «მინისტრული კილო» და «ეძებენ ნაპოლეონს».

«მეკრაიონელების» კონფერენციაზე ლენინი გამოდის სიტყვით ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე მდგომ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფთა და მიმდინარეობათა ბოლშევიკების პარტიასთან გაერთიანების პირობების შესახებ.

მაისი, 11 (24). ლენინის სტატია «არაფერი შეცვლილა» დაიბეჭდა «პრავდის» 54-ე ნომერში.

მაისი, 12 (25). ლენინის სტატიები: «სავალალო გადახვევა დემოკრატიზმიდან» და «ვითომდა სოციალისტური საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ სოციალ-შოვინისტების მონაწილეობით» ქვეყნდება «პრავდის» 55-ე ნომერში.

ლენინი გამოდის პუტილოვის ქარხნის მუშების მიტინგზე და წარმოთქვამს სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ.

ლენინი გამოდის საადმირალოს გემთსაშენი ქარხნის, საფრანგეთ-რუსეთის და სხვა ქარხნების მუშების მიტინგზე და წარმოთქვამს სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ.

მაისი, 13 (26). ლენინის სტატიები: «პროლეტარიატის პარტია რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში» და «რას აცხადებდა ჩვენი პარტია ომის შესახებ რევოლუციის წინ» ქვეყნდება «პრავდის» 56-ე ნომერში.

მაისი, 14 (27). ლენინის სტატია «ნგრევა გვემუქრება» ქვეყნდება «პრავდის» 57-ე ნომერში.

ლენინი კითხულობს ლექციას თემაზე «ომი და რევოლუცია».

მაისი, 16 (29). ლენინის სტატია «საზიზღარი ფანდები» ქვეყნდება «პრავდის» 58-ე ნომერში.

მაისი, 16 და 17 (29 და 30). ლენინის სტატია «გარდუვალი კატასტროფა და უსაზომო დაპირებები» ქვეყნდება «პრავდის» 58-ე და 59-ე ნომრებში.

მაისი, 17 (30). ლენინი გამოდის მილების ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშების მიტინგზე და წარმოთქვამს სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ.

მაისი, 18 (31). «პრავდის» მე-60 ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «ინტერნაციონალისტთა გაერთიანების საკითხისათვის», «დომხალი (კიდევ ანექსიებზე)», «ნგრევასთან ბრძოლა კომისიათა გამრავლების საშუალებით» და «კიდევ ერთი გადახვევა დემოკრატიზმიდან».

მაისი, 19 (ივნისი, 1). «პრავდის» 61-ლ ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «როგორ აშინებენ ხალხს კაპიტალისტები?», «კაპიტალისტების კიდევ ერთი დანაშაული» და «კიდევ და კიდევ სიცრუე».

მაისი, 20-მდე (2 ივნისამდე). ლენინი დასაბეჭდად ამზადებს ბროშურას «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». ბროშურა გამოდის 1917 წლის ივნისის პირველ ნახევარში.

მაისი, 20 (ივნისი, 2). ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურისათვის «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის».

«პრავდის» 62-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «გაქრა თუ არა ორხელისუფლებიანობა» და «მიწის «თვითნებურად დატაცების» შესახებ («სოციალისტ-რევოლუციონერების» უხეირო საბუთები)».

მაისი, 21 (ივნისი, 3). ლენინი გამოდის ფაბრიკა «სკოროხოდისა» და ქ. პეტროგრადის მოსკოვის საგუშაგოს სხვა საწარმოთა კრებაზე მოხსენებით მიმდინარე მომენტისა და პროლეტარიატის ამოცანების შესახებ.

მაისი, 22 (ივნისი, 4). ლენინი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე გამოდის სიტყვით აგრარულ საკითხზე; ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სახელით შეაქვს რეზოლუციის პროექტი.

მაისი, 24 (ივნისი, 6). ლენინის სტატია «პარტიები პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში» ქვეყნდება «პრავდის» 64-ე ნომერში.

მაისი, 25-მდე (7 ივნისამდე). ლენინი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა პეტროგრადის I კონფერენციისათვის წარსადგენად წერს რეზოლუციას ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიური ღონისძიებების შესახებ. რეზოლუცია ქვეყნდება მოსკოვის ბოლშევიკური გაზეთის «სოციალ-დემოკრატის» 64-ე ნომერში 25 მაისს (7 ივნისს) ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით.

მაისი, 25 (ივნისი, 7). ლენინის სტატია «კაპიტალისტებთან მორიგება თუ კაპიტალისტების დამხობა? (როგორ დავამთავროთ ომი)» ქვეყნდება «პრავდის» 65-ე ნომერში.

მაისი, 27 (ივნისი, 9). «პრავდის» 67-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «ჯაჭვის სიმაგრეს განსაზღვრავს მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმაგრე», «უნდა ვამხილოთ კაპიტალისტები», «მოხსენებები ნგრევის შესახებ» და ««ხელის ოინები» და პოლიტიკური უპრინციპობის ოინები».

მაისი, 28 (ივნისი, 10). «პრავდის» 68-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის სტატიები: «შავები კადეტებს უჭერენ მხარს, მენშევიკები და ნაროდნიკები კადეტებთან ერთად არიან ერთ მთავრობაში», «მენშევიკებისა და ნაროდნიკების სამარცხვინო ბლოკი «ედინსტვოსთან»», «კონტრრევოლუციის გადასვლა შეტევაზე («უხალხო იაკობინელები»)», «ერთი პრინციპული საკითხი (დემოკრატიზმის «დავიწყებული სიტყვები»)» და «უმწიკვლო, პრინციპული იარაღი არ მოეპოვებათ და ბინძურ იარაღს ჰკიდებენ ხელს».

ლენინი წერს ბოლოსიტყვაობას ბროშურისათვის «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში».

მაისი, 30 (ივნისი, 12). ლენინი გამოდის რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე და შეაქვს **პროექტები რეზოლუციებისა პეტერბურგის კომიტეტის ცალკე ბეჭდვითი ორგანოს საკითხზე.**

მაისი, 31 (ივნისი, 13). ლენინის სტატიები: «ფრაზების მავნებლობის შესახებ» და «კაპიტალისტების მიერ ხალხის აბუჩად აგდება» ქვეყნდება «პრავდის» 69-ე ნომერში.

ლენინი წერს «წერილს რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტებისადმი» იმასთან დაკავშირებით, რომ რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტმა გადაწყვიტა გამოსცეს ცალკე ბეჭდვითი ორგანო ცენტრალური კომიტეტისაგან დამოუკიდებლად.

ლენინი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა პეტროგრადის I კონფერენციაზე გამოდის სიტყვით მრეწველობის მიმართ მუშათა კონტროლის საკითხზე. კონფერენცია იღებს ლენინის რეზოლუციას ნგრევასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის ბოლშევიკების ფრაქციის სხდომაზე ლენინი გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ.

ივნისი, 1 (14). ლენინის სტატიები: «სამარცხვინო საქმის გამართლება», «წვრილბურჟუაზიული პოზიცია ნგრევის საკითხშია» და «სხვის თვალში ბეწვი» ქვეყნდება «პრავდის» 70-ე ნომერში.

ივნისი, 2 (15). ლენინის სტატია «დემოკრატიულად ვერ მოიქეცით, მოქალაქე კერენსკი!» ქვეყნდება «პრავდის» 71-ე ნომერში.

ივნისი, 4 (17)-მდე. ლენინი ადგენს სიტყვის გეგმას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე გამოსასვლელად.

ივნისი, 3 (16). ლენინის სტატიები «ბოლშევიზმი და ჯარის «გახრწნა»» და «ვის დასცინით? საკუთარ თავს დასცინით!» ქვეყნდება «პრავდის» 72-ე ნომერში.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . IX — XI

1917 წ. აპრილი—ივნისი

პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში . 1 — 9

თეზისები 3

როგორ ჩამოვველით . . . . . 10 — 12

ორი სამყარო . . . . . 13 — 14

მოწასანი სტატიისა თუ სიტყვისა აპრილის თეზისებიზის დასაცავად . . . . . 15 — 16

ლუიგლანელობა . . . . . 17 — 21

ორხელისუფლებიანობის შესახებ . . . . . 22 — 26

წერილები ტაქტიკაზე . . . . . 27 — 44

წინასიტყვაობა 27

წერილი I. **მომენტის შეფასება** 28

პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში (პროლეტარული პარტიის პლატფორმის პროექტი) . . . . . 45 — 91

მომხდარი რევოლუციის კლასობრივი ხასიათი . . . 47

ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკა 49

თავისებური ორხელისუფლებიანობა და მისი კლასობრივი მნიშვნელობა 50
ზემომოყვანილიდან გამომდინარე თავისებურება ტაქტიკისა 54
რევოლუციური ობორონცობა და მისი კლასობრივი მნიშვნელობა 56
როგორ შეიძლება დავამთავროთ ომი? 59
სახელმწიფოს ახალი ტიპი, რომელიც იზრდება ჩვენს რევოლუციაში 60
აგრარული და ნაციონალური პროგრამები . . . 64
კაპიტალისტთა ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაცია 68
საქმის ვითარება სოციალისტურ ინტერნაციონალში . 69
ციმერვალდის ინტერნაციონალის კრახი. — საჭიროა მესამე ინტერნაციონალის დაარსება 77
როგორი უნდა იყოს მეცნიერულად სწორი და პოლიტიკურად პროლეტარიატის შეგნების გაცნობიერების ხელისშემწყობი სახელწოდება ჩვენი პარტიისა? 82
ბოლოსიტყვაობა 88

ПОЛИТИКУРИ ПАРТИЕБИ РУССЕТШИ ДА ПРОЛЕТАРИАТИС АМОЦАНЕБИ . . . . . 93 — 109

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის 95

СИТКВА ЖАРИСКАЦЕБИСАДМИ ИЖМАИЛОВИС ПОЛКИС МИТИНГЗЕ 1917 ВЛИС 10 (23) АПРИЛС . . . . . 110 — 112

КАПИТАЛИСТЕБИС УРЦЕВИ СИЦРУЕ . . . 113 — 115

ОМИ ДА ДРОЕБИТИ МТАВРОБА . . . . . 116 — 119

«РУССКАИА ВОЛИАС» КВАЛДАКВАЛ . . . . . 120 — 123

СИЦРУИС КАВШИРИ . . . . . 124 — 128

БАНКЕБИ ДА МИНИСТРЕБИ 129

ДИДМНИШВНЕЛОВАНИ МЕХИЛЕБА . . . . . 130 — 131

ЖАРИСКАЦЕБИСА ДА МАТРОСЕБИСАДМИ . . . . . 132 — 135

ДАМРБЕВТА ВИНААДМДЕГ. ШУШЕБС, ЖАРИСКАЦЕБСА ДА ПЕТРОГРАДИС МТЕЛ МОСАХЛЕОБАС . . 136 — 140

მუჭალაძენო! გაიგეთ, რა ოინებს მიმართავენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები! . . . . . 141 — 144

«ნებაყოფლობითი შეთანხმება» მემამულეებსა და გლეხებს შორის? . . . . . 145 — 146

პატიოსანი ხმა ცილისმწამებელთა გუნდში . . . 147 — 148

ჯარისკაცები და მიწა . . . . . 149 — 150

რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენცია. 1917 წ. 14 — 22 აპრილი (27 აპრილი — 5 მაისი) . . . . . 151 — 185

1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ 14 (27) აპრილს 153

2. საბოლოო სიტყვა მიმდინარე მომენტზე 14 (27) აპრილის მოხსენების გამო . . . 162

3. ორი რეპლიკა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ წარმოდგენილ რეზოლუციაზე კამათის დროს 15 (28) აპრილს 166

4. რეზოლუცია დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ 168

5. ორი რეპლიკა კომუნალური არჩევნების საკითხზე კამათის დროს 22 აპრილს (5 მაისს) 171

6. რეზოლუცია კომუნალურ საკითხზე . . 173

7. პროექტი რეზოლუციისა სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიებისადმი, ეგრეთწოდებული «არაფრაქციული» სოციალ-დემოკრატების პარტიისა და სხვ. მონათესავე პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი დამოკიდებულების შესახებ 175

8. პროექტი რეზოლუციისა ომის შესახებ . . 178 — 185

I 178

II 180

III 181

ბლეხთა დეპუტატების ყრილობა . . . . . 186 — 190

ემიგრანტების დაბრუნებისათვის 191

ჩვენი შეხედულებანი. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომისიის რეზოლუციის პასუხად . . . . . 192 — 197

როგორ გამოეგნენ ისინი კაპიტალისტებს . . . 198 — 200

პროლეტარული მილიციის შესახებ . . . . . 201 — 205

კრახი? 206

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 20 აპრილის (3 მაისის) რეზოლუცია დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის შესახებ . . 207 — 208

მოწოდება ყველა მეომარი ძვეყნის ჯარისკაცებისადმი . . . . . 209 — 212

დროებითი მთავრობის ნოტა . . . . . 213 — 215

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი (როგორ მსჯელობენ ბურჟუაზიის მხარეზე გადასული სოციალისტები) . . . . . 216 — 220

ხატებით ზარბაზნების წინააღმდეგ, ფრაზებით კაპიტალის წინააღმდეგ . . . . . 221 — 222

მოქალაქე ვ. ჩერნოვის ლოგიკა . . . . . 223 — 224

ბ-ნ პლეხანოვის უხეირო ცდები თავის დაძვრენისა . 225 — 226

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, მიღებული 1917 წლის 21 აპრილს (4 მაისს) . . . . 227 — 230

კეთილსინდისიერმა ოგოროდნიკოვამ თავი იჩინა . 231 — 234

უგუნური კაპიტალისტები თუ სოციალ-დემოკრატიის ბრიყვები? . . . . . 235 — 236

შინგარიოვის რჩევა ანუ ბრძანება და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ერთი აღგილობრივი საბჭოს რჩევა . . . . . 237 — 238

რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, მიღებული 1917 წ. 22 აპრილს (5 მაისს) დილით . . . 239 — 241

კრიზისის გაკვეთილები . . . . . 242 — 246

როგორ აბნევენ ნათელ საკითხს? . . . . . 247 — 249

რა მიაჩნიათ «სამარცხვინოდ» კაპიტალისტებს და რა — პროლეტარებს . . . . . 250 — 252

ინტერვიუ, მიცემული ე. ტორნიაინენისათვის 1917 წ. 23 აპრილს (6 მაისს) . . . . . 253 — 254

უჭკუო გესლიანობა . . . . . 255 — 256

რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია. 1917 წ. 24 — 29 აპრილი (7 — 12 მაისი) . . . . . 257 — 371

1. სიტყვა კონფერენციის გახსნისას 24 აპრილს (7 მაისს) 259

2. მოხსენება მიმდინარე მომენტზე 24 აპრილს (7 მაისს) 261

3. საბოლოო სიტყვა მიმდინარე მომენტზე გაკეთებული მოხსენების გამო 24 აპრილს (7 მაისს) 282

4. სიტყვა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის პროექტის შესახებ 25 აპრილს (8 მაისს) 286

5. რეზოლუცია ბორგბიერგის წინადადების გამო 291

6. სიტყვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულების შესახებ 25 აპრილს (8 მაისს). მოკლე საგაზეთო ანგარიში 295

7. საბჭოების შესახებ რეზოლუციის თეზისების მონასახი 296

8. სიტყვა ომის შესახებ რეზოლუციის დასაცავად 27 აპრილს (10 მაისს) 299

9. რეზოლუცია ომის შესახებ . . . . . 316 — 320

I 316

II 318

III 318

10. რეზოლუცია დროებითი მთავროგბისადმი დამოკიდებულების შესახებ 321

11. მოხსენება პარტიული პროგრამის გადასინჯვის საკითხზე 28 აპრილს (11 მაისს) . 324

12. რეზოლუცია პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ 328

13. მოხსენება აგრარულ საკითხზე 28 აპრილს (11 მაისს) 330

14. რეპლიკა ნ. ს. ანგარსკის აგრარულ საკითხზე კამათის დროს 28 აპრილს (11 მაისს) . . 337

15. რეზოლუცია აგრარულ საკითხზე . . . 339

16. რეზოლუცია წვრილგურჟუაზიული ოგოროდნიცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანების შესახებ . 344

17. რეზოლუცია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ 346

18. სიტყვა ნაციონალურ საკითხზე 29 აპრილს (12 მაისს) 348

19. რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე . . 355

20. სიტყვა ინტერნაციონალში არსებული მდგომარეობისა და რსდმპ(ბ) ამოცანების შესახებ 29 აპრილს (12 მაისს) 258

21. სიტყვა მიმდინარე მომენტის შესახებ წარმოდგენილი რეზოლუციის დასაცავად 29 აპრილს (12 მაისს) 360

22. რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ 365

23. საბოლოო სიტყვა კონფერენციის დახურვისას 29 აპრილს (12 მაისს) 370

შესავალი რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებისა . . . 372 — 375

დაძმობილების მნიშვნელობა . . . . . 376 — 379

საით მივყავართ დროებითი მთავრობის კონტრ-რევოლუციურ ნაბიჯები . . . . . 380 — 383

სოციალ-შოვინისტები და ინტერნაციონალისტები 384 — 386

ი. ბ. ფერეთელი და კლასობრივი ბრძოლა . . . 387 — 392

ფუხილი . . . . . 393 — 394

«ხელისუფლების კრიზისი» . . . . . 395 — 398

ფინეთი და რუსეთი . . . . . 399 — 403

წერილი რედაქციის მიმართ 404

იმპერიალიზმის დაცვა, დაფარული ქეთილი ფრა-ზებით . . . . . 405 — 407

სავალალო დოკუმენტი . . . . . 408 — 411

ხალხის დაფრთხობა ბურჟუაზიული შიშით . . . 412 — 415

წინადღე 416

უმთავრესი დაივიწყეს (პროლეტარიატის პარ-ტიის მუნიციპალური პლატფორმა) . . . 417 — 422

განაწესი იმ პირთათვის, რომლებსაც ქარხნებსა და პოლკებში ირჩევენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუ-ტატების საბჭოს დეპუტატებად . . . . . 423 — 425

კლასობრივი თანამშრომლობა კაპიტალთან თუ კლასობრივი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ? . 426 — 428

მტკიცე რევოლუციური ხელისუფლების შესახებ . 429 — 431

საჩუქრად ახალშობილ... «ახალ» მთავრობას . 432 — 435

«ახალი» მთავრობა უკვე ჩამორჩა არა მარტო რე-ვოლუციურ მუშებს, არამედ გლეხობის მასასაც . 436 — 437

გზას უჭრიან . . . . . 438 — 441

ღია წერილი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებისადმი . . . . . 442 — 447

«ფაქტიური დროებითი ზავი» . . . . . 448 — 451

საგარეო პოლიტიკის საიდუმლოებანი . . . . 452 — 454

ერთი საიდუმლო ხელშეკრულებათაგანი . . . 455 — 456

მინისტრული კილო 457

ეძებენ ნაპოლეონს . . . . . 458 — 459

არაფერი შეცვლილა . . . . . 460 — 461

სავალალო გადახვევა დემოკრატიზმიდან . . . 462 — 464

ვითომდა სოციალისტური საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ სოციალ-შოვინისტების მონაწილეობით 465

სიტყვა პუტილოვის ქარხნის მუშების მიტინგზე 1917 წ. 12 (25) მაისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 466 — 467

პროლეტარიატის პარტია რაციონულ თვითმმართველობათა არჩევნებში . . . . . 468 — 470

რას აცხადებდა ჩვენი პარტია ომის შესახებ რევოლუციის წინ . . . . . 471 — 473

ნგრევა გვემუქრება . . . . . 474 — 477

ომი და რევოლუცია. 1917 წ. 14 (27) მაისის ლექცია . . . . . 478 — 508

საზიზღარი ფანდები . . . . . 509 — 511

გარდუვალი კატასტროფა და უსაზღვრო დაპირებები . . . . . 512 — 520

(სტატია პირველი) 512

(სტატია მეორე) 516

ინტერნაციონალისტთა გაერთიანების საკითხისათვის . . . . . 521 — 523

დამხალი (კიდევ ანექსიებზე) . . . . . 524 — 526

ნგრევასთან ბრძოლა კომისიათა გამრავლების საშუალებით . . . . . 527 — 528

კიდევ ერთი გადახვევა დემოკრატიზმიდან . . 529 — 530

როგორ აშინებენ ხალხს კაპიტალისტები?. . . . 531 — 533

კაპიტალისტების კიდევ ერთი დანაშაული . . 534 — 535

კიდევ და კიდევ სიცრუე 536

წერილი რედაქციის მიმართ 537

გაჭრა თუ არა ორხელისუფლებიანობა? . . . 538 — 542

მიწის «თვითნებურად დატაცების» შესახებ («სოციალისტ-რევოლუციონერების» უხეირო საბუთები) . . . . . 543 — 547

მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის . . . . . 549 — 582

1. წინასიტყვაობა ბროშურისა «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». . 551

2. პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტი 553

3. მოსაზრებანი სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის სექციის შენიშვნების გამო 560

4. პროგრამის გადამუშავების პროექტისათვის 563

გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობა. 1917 წ. 4 — 28 მაისი (17 მაისი — 10 ივნისი). . . . . 583 — 612

1. პროექტი რეზოლუციისა აგრარულ საკითხზე 585

2. სიტყვა აგრარულ საკითხზე 1917 წ. 22 მაისს (4 ივნისს) 588

პარტიები პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში . . . . . 613 — 619

ორი ნაკლი . . . . . 620 — 621

რეზოლუცია ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ . . . . . 622 — 625

კაპიტალისტებთან მორიგება თუ კაპიტალისტების დამხობა? (როგორ დავამთავროთ ომი) . . . 626 — 628

ჯაჭვის სიმაგრეს განსაზღვრავს მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმაგრე . . . . . 629 — 630

უნდა ვამხილოთ კაპიტალისტები . . . . . 631 — 633

მოხსენებები ნგრევის შესახებ . . . . . 634 — 637

«ხელის ოინები» და პოლიტიკური უპრინციპობის ოინები . . . . . 638 — 640

შავები კადეტებს უჭერენ მხარს, მენშევიკები და ნაროდნიკები კადეტებთან ერთად არიან ერთ მთავრობაში . . . . . 641 — 642

მენშევიკებისა და ნაროდნიკების სამარცხვინო ბლოკი «ედინსტვოსთან» . . . . . 643 — 645

კონტრრევოლუციის გადასვლა შეტევაზე («ახალხო იაკობინელები») . . . . . 646 — 649

ერთი პრინციპული საკითხი (დემოკრატიზმის «დავიწყებული სიტყვები») . . . . . 650 — 654

უმწიკვლო, პრინციპული იარაღი არ მოეპოვებათ და ბინძურ იარაღს ჰკიდებენ ხელს . . . . . 655 — 656

რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომა 1917 წ. 30 მაისი (12 ივნისი) . . . . 657 — 562

1. სიტყვა პეტერბურგის კომიტეტის ორგანოს საკითხზე 659

2. პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე შეტანილი რეზოლუციების პროექტები . . . 661

ფრაზების მავნებლობის შესახებ . . . . . 663 — 666

კაპიტალისტების მიერ ხალხის აბუჩად აგდება . . 667 — 670

წერილი რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტებისადმი . . 671 — 675

სიტყვა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა პეტროგრადის I კონფერენციაზე 1917 წ. 31 მაისს (13 ივნისს). მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . 676 — 678

სამარცხვინო საქმის გამართლება . . . . . 679 — 683

წვრილბურჟუაზიული პოზიცია ნგრევის საკითხში . 684 — 687

სხვის თვალში ბეწვი . . . . . 688 — 690

დემოკრატიულად ვერ მოიქეცით, მოქალაქე კერენსკი! . . . . . 691 — 693

ბოლშევიზმი და ჯარის «ბახრწნა» . . . . . 694 — 697

ვის დასცინით? საკუთარ თავს დასცინით! . . . 698 — 700

შენიშვნები . . . . . 701 — 727

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 729 — 743

ილუსტრაციები

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში». — 1917 წ. . . . . 46 — 47

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა: «პროექტი რეზოლუციისა აგრარული საკითხის შესახებ». — 1917 წ. მაისი . 584 — 585

პირველი გვერდი გაზეთისა «პრავდა» № 64, 1917 წ. 6 ივნისი (24 მაისი), სადაც გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია «პარტიები პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში» და ი. ბ. სტალინის სტატია «მუნიციპალური კამპანია» . . . 615

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII-1951.
უე 05773. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 48.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფგამომცემლობის
საქმეთა სამმართველოს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.
შეკვეთის № 596.